თეიმურაზ ქორიძე

საუბრები ჟურნალისტიკაზე

თბილისი
2010 წელი

რედაქტორი:	**რევაზ მიშველაძე**
დიზაინერი:	**გია ჩიქვანაია**
ტექნიკური რედაქტორი:	**ქეთი ხეტეშვილი**
კორექტორები:	**მზია ქორიძე,**
ოპერატორი:	**დარეჯან მზარელუა**

ISBN 978-9941-0-2943-1

გამომცემლობა
„ბერიკა“
75-62-24; 899 202 413

ზეგ არ იქნება გვიან

ჩემი ქვეყნის წინაშე ორი გამოუსწორებელი „დანაშაული“ მიმ-იძღვის — დავიბადე ძალიან ადრე და ჟურნალისტიკის პრობლემე-ბით დავინტერესდი ძალიან გვიან. ასე რომ, ბევრი ჩანაფიქრის შესრულებას, ალბათ, ვერ მოვასწრებ. იმედი მაქვს, ამას ჩემი მო-მავალი თანამოაზრეები და ოპონენტები გააკეთებენ.

ფრიდრიხ ნიცშეს თაყვანისმცემლებს არ ვეკუთვნი, მაგრამ უნდა გავიხსენო ერთი პატარა აბზაცი მისი „ანტიქრისტიანის“ წინასიტყვაობიდან:

„ეს წიგნი ერთეულებისთვის დაიწერა. შესაძლოა, ისინი ამქვეყნად ჯერაც არ მოვლენილან. ჩემი დღე ზეგ დადგება — ზოგი ხომ წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ იბადება“.

ნიცშეს* „ანტიქრისტიანის“ დამჯერმა ხალხმა „ზეგ“ ქვე-ყნიერება კინაღამ უფსკრულში გადაჩეხა — ნაცისტურ-ლე-ნინურ იდეოლოგიებს და მასზე დაყრდნობით აღმოცენებულ სოვეტო-ფაშისტურ სახელმწიფოებს ვგულისხმობ. კაცობრიო-ბამ უდიდესი ძალისხმევისა და ენით აუწერელი მსხვერპლის ფასად, ფაშიზმიც და სოციალიზმიც დაამარცხა, მაგრამ ისინი არ მომკვდარან და მხოლოდ ისტორიის შესწავლის ობიექტებად არ ქცეულან — მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ხელისუფლებებში დღესაც ცოცხლობენ და ახალ-ახალი „ზეადამიანების“ გამო-საჩეკად, უსასტიკესი დიქტატურების დასამყარებლად ემზა-დებიან. 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციისას“ ქა-რთული საზოგადოება ამ მზადების პროცესის მოწმედ და უნ-ებლიე მონაწილედ იქცა.

იქ, ჩვენგან შორს, ცივილიზებულ სამყაროში, სადაც ქვეყანას მართავენ კანონები და კანონმორჩილი ადამიანები, დიქტატორ-ული რეჟიმის დამყარება, ბელადების გამოჩენა პრაქტიკულად გამორიცხულია. სამაგიეროდ, „დიდი ლიდერები“, ბელადები და, შესაბამისად, დიქტატორული რეჟიმები მრავლად აღმოცენდნენ „მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ბანაკის“ დაშლის შემდეგ.

იმ საერთაშორისო ძალებს, მრავალი წლის განმავლობაში მეთოდურად რომ ანგრევდნენ სოციალისტურ სისტემას, იმ ორ-განიზაციებს და პიროვნებებს შიგნიდან, ხშირად საკუთარი სი-ცოცხლის ფასად, ამ სისტემის, ნგრევისთვის ხელის წაშველებას რომ ცდილობდნენ, ალბათ, გულწრფელად სწამდათ, რომ შედე-

გად ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებს მიიღებდნენ. ამ გულუბრყვილო იმედმა ბევრგან არ გაამართლა — სოციალიზმის უღელგადაგდებული სახელმწიფოები და ხალხები აშკარად არ აღმოჩნდნენ მზად მმართველობის თვისობრივად ახალი, დემოკრატიული სისტემისთვის. საქართველო და მისი ხალხი ერთ-ერთია იმედგაცრუებულთა შორის. ჩემი ფიქრით, ყველაზე ტრაგიკული ამ ისტორიაში ის არის, რომ ოდესღაც უდიდესი კულტურის შემოქმედი, მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი — საქართველო იქცა მსოფლიოს სუპერსახელმწიფოების, იქაური მთავრობებისა და მეცნიერების დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების ობიექტად.

მსოფლიო გამოცდილებისთვის საქართველოში მომხდარ და მოსალოდნელ მოვლენებს მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „განვითარებულებს“ (რომელთა საქონლის გასაღების ბაზრად და იაფი მუშახელის ბაზად უნდა იქცნენ „განუვითარებლები“) ისტორიის სცენარის უმცირეს დეტალებამდე დახვეწა და მოვლენათა მსვლელობაზე სრული კონტროლის დამყარება სურთ. საქართველო მათთვის საექსპერიმენტოდ იდეალური ქვეყანა გამოდგა: ჰავა — შესანიშნავი, გეოგრაფიული მდებარეობა — სანატრელი, წარსული — საამაყო, აწმყო — სავალალო, მომავალი — ბუნდოვანი, ხალხი — დამჯერი, ამბიციები — უზომო, ნიჭი — უსაზღვრო, ჭკუა — მცირე, პატრიოტიზმი — საყველპურო, ლიდერები — ნახევარი მსოფლიოს სამყოფი!..

ევროპელი და ოკეანისგაღმელი „ცივილიზებულები“ არ ჩქარობენ. ის, რაც ქართველი ხალხისთვის ტრაგიკულია, მათთვის ერთუცნობიანი განტოლებაა, რომლის ამოხსნაც მომავალში, შესაძლოა, გაცილებით უფრო რთული (მრავალუცნობიანი) განტოლების ამოხსნაში დაეხმაროს. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურა მათთვის ყოვლად ჩვეულებრივი ეგზოტიკაა, ჩვენი ამბიციები — ბავშვის ჭირვეულობა, ჩვენი ხელისუფლების მახინჯი მიდრეკილებები — ნაცნობი თამაში, ჩვენი ხალხის უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე — სტატისტიკა. ისიც შესანიშნავად იციან, რომ სადღაც სამხრეთ კავკასიაში, შავი ზღვის პირას მოკეკლუცე ძველი ტრაქტირი მყვირალა აბრით — „თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო“ — უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ვერც თავისუფალი გახდება, ვერც დამოუკიდებელი და ვერც დიდი „მეგობრების“ ღირსეულ პარტნიორობას შეძლებს.

ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მოვუაროთ, ჩვენს სენს ჩვენვე უნდა ვუმკურნალოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისუფლების ვალია, მაგრამ მან რომ თავისი ფუნქცია სრულფასოვნად და უანგაროდ შეასრულოს, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, სრულფასოვანი და უანგარო ხელისუფლება უნდა ავირჩიოთ. თუ დღეს არა, თუ ხვალ არა, ზეგ მაინც. ეს წიგნიც ამ არჩევნისთვის მზადების დასაწყისი მგონია.

დარწმუნებული ვარ, ჩემს „საუბრებს“ საქართველოს არც დღევანდელი და არც ხვალინდელი ხელისუფლება არ შეისმენს — ასე ყოფილა ათადან-ბაბადან და ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე იარსებებს ძალადობრივი სახელმწიფო, ვიდრე ძალაუფლების პათოლოგიურად ტრფიალ ადამიანებს უმაღლესი ხელისუფლებისკენ მიმავალი ყველა გზა არ ჩაეკეტება. „საუბრები“ საინტერესოა არა იმ ადამიანებისთვის, ვისაც დღეს ხელისუფლებაში ირჩევენ, ან ვინც უკვე აირჩიეს, არამედ იმათთვის, ვინც ეს ადამიანები ხელისუფლებაში მიიყვანა, ან ხვალ მიიყვანს.

ჩემი (და „საუბრების“) მიზანი მოკრძალებულია — თანამოქალაქეებს როგორმე ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემები დავანახო. გაკვრით იქნებ ამ პრობლემების წარმოშობაზეც მივუთითო, მაგრამ არა პრობლემათა გადაჭრის გზებზე, რადგან ამისთვის ერთი ადამიანის გონება მეტისმეტად უძლური მეჩვენება.

რა თქმა უნდა, ყველა ამ და კიდევ ბევრ სხვა მტკივნეულ საკითხზე ბევრი მსჯელობა, ბევრნაირი დასკვნის გაკეთება შეიძლება — პრობლემათა ნუსხა ხომ უსასრულოა.

დიდი მადლობა კოლეგებს და ყველას, ვინც ამ წიგნზე მუშაობის დროს მხარში ამომიდგა, მათ შორის, ჩემი ოჯახის წევრებს.

რაც შეეხება მიძღვნას, ნება მიბოძეთ, ცნობილ უნგრელ კონსტიტუციონალისტს, პროფესორ ანდრაშ შაიოს* დავესესხო:

ამ პატარა ტრაქტატს ვუძღვნი იმათ, ვინც ამას ყველაზე მეტად იმსახურებს — საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, რომელთა ამპარტავნობამ და უვიცობამ მაიძულა ამ წიგნის დაწერა.

თეიმურაზ ქორიძე
31. XII. 2006

თავი I

უმოკლესი გზა პოპულარობისკენ

ამ მომხიბვლელ ახალგაზრდას ყველა იცნობს. უცნობებიც კი ღიმილით ესალმებიან. მისით ამაყობენ, რჩევას ეკითხებიან, სერიოზული პრობლემების გადაწყვეტას ანდობენ; მასთან დამეგობრებას თვით უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებიც ცდილობენ; მას ხანდაზმული ადამიანებიც კი ბაძავენ.

იგი არც ცნობილი სპორტსმენია, არც მსახიობი, არც ესტრადის მომღერალი, არც ვუნდერკინდი ფიზიკოსი, არც ტოპ-მოდელი და, წარმოიდგინეთ, ვერც განსაკუთრებული გარეგნობით დაიკვეხნის.

იგი ჟურნალისტია!

ჟურნალისტის კარიერაზე მსოფლიოში უამრავი ახალგაზრდა ოცნებობს. ოცნება, როგორც წესი, ტელევარსკვლავობიდან იწყება. დაღვინებასთან, ანუ ასაკის მომატებასთან ერთად, უპირატესობა თანდათან ენიჭება პრესის ჟურნალისტობას — როგორც უფრო რთულს და უფრო პრესტიჟულს.

სარბიელი ხომ, რომ ინატრებთ, ისეთი უკიდეგანოა — ასობით დასახელებისა და უკლებლივ ყველა გემოვნების შესაფერისი გაზეთი, ჟურნალი და საინფორმაციო სააგენტო. თუ ქართული ანბანის ყველა ასო უშეცდომოდ იცი, თანაც, ჟურნალისტობის დაუოკებელი სურვილიც გაქვს, ხელს ვერაფერი შეგიშლის. შეგიშლის კი არა, ძალიან ბევრი ქართველი ჟურნალისტი კარიერას პირდაპირ გაზეთის ან ჟურნალის მთავარი რედაქტორობიდან იწყებს.

არ მეგულება მსოფლიოში მეორე ქვეყანა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ამდენი ჟურნალისტი მოდიოდეს. საქართველო ამ მხრივ მართლაც უნიკალურია. რაც მთავარია, არ მეგულება ჟურნალისტი, ვინც თვით „ნიუ-იორკ თაიმსის“ მთავარ რედაქტორობაზე იტყოდა უარს.

ეს წიგნი იმ ადამიანებისთვის დაიწერა, ვინც ფიქრობს, რომ სანამ პოპულარობისკენ მიმავალ ბილიკზე აირბენდეს, იქნებ გაიზიაროს იმ ადამიანის მოკრძალებული გამოცდილება, ვისაც ეს მიმზიდველი, მაგრამ ძნელი ბილიკი ოდესღაც უკვე გაუვლია.

გონებამახვილი ვენეციელი, როცა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ხელნაწერ საინფორმაციო ფურცელს უშვებდა და ორიოდე გაბეტად (გროშად) ყიდდა, ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიო საგაზეთო ინდუსტრიას უყრიდა საფუძველს. ხოლო მას შემდეგ, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში პირველი რეგულარული გაზეთები გამოვიდა, არ წყდება კამათი, ზოგადად, პრესის რაობაზე. ზოგის აზრით, ეს არის ინფორმაციის გავრცელების საშუალება და მეტი არაფერი. არცთუ უსაფუძვლოდ იმასაც ფიქრობენ, რომ ეს არის საზოგადოებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი, უებარი საშუალება საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. სხვები დარწმუნებული არიან, რომ ეს არის იდეოლოგიური იარაღი— პოლიტიკური მანიპულაციების ინსტრუმენტი. გავიხსენოთ, თუნდაც, ლენინის „ისკრასთან“ დაკავშირებული იმედები და ამ გაზეთის როლი ბოლშევიკების ხელისუფლებაში მისვლაში; გავიხსენოთ, რა იმედებს ამყარებდა ქართულენოვან გაზეთზე დიდი განმანათლებელი სოლომონ დოდაშვილი; ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გამომავალი გაზეთების მნიშვნელობა იმ ეპოქის ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და მრავალი სხვა. თანამედროვე სამყაროში გაზეთს, ზოგადად, უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს — ხელისუფლების მოპოვებისთვის დაუნდობელ ბრძოლაში გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭება იმ ჯგუფს, რომელსაც პრესაზე რეალური გავლენა გააჩნია.

გულახდილად რომ ვთქვა, პრესის რომელიმე ფუნქციისთვის რაიმე განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება ძალიან მიჭირს, ვინაიდან თანამედროვე პირობებში პრესას აქვს ყველა ეს ფუნქცია და ბევრი სხვაც. მაგალითად — დეზინფორმატორის, საზოგადოებრივი აზრის გამმრუდებლის, პოლიტიკური მოწინააღმდეგის გამანადგურებლის, ძილის წამლის, ძეხვის გასახვევი ქაღალდის და ა. შ. უსასრულოდ.

ძალიან მოკლედ, ჟურნალისტიკა შეიძლება ასეთნაირადაც განვმარტოთ: **ჟურნალისტიკა არის მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების ხელოვნება.**

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა:

ვინ არის ჟურნალისტი?

90-იანი წლების დასაწყისში პატივი დამდეს და თბილისში, ჟურნალისტის სახლში პრესის შესახებ კანონის რომელიღაც ვერსიის განხილვაზე მიმიწვიეს. ეს იყო რამდენიმე ათეულ გვერდზე გადაჭიმული და, ფაქტობრივად, არაფრისმთქმელი დოკუმენტი. მისი ძირითადი ნაკლი ის გახლდათ, რომ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა კონსტიტუციის, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსების, სხვა ნორმატიული აქტების ცალკეულ მუხლებს. რაც მთავარია, მოცემული იყო ჟურნალისტის განმარტებაც. იგი დაახლოებით ასე ჟღერდა: „ჟურნალისტი არის პიროვნება, რომელსაც აქვს სპეციალური საუნივერსიტეტო ჟურნალისტური განათლება და მუშაობს რომელიმე გაზეთში, ჟურნალში, სააგენტოში, რადიოში, ტელევიზიაში ან გამომცემლობაში ნებისმიერ თანამდებობაზე“.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, მე უკვე აღარ მერქვა ჟურნალისტი, ვინაიდან საუნივერსიტეტო განათლებით ჟურნალისტი კი არა, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი ვიყავი. სამაგიეროდ, კანონის პროექტში ჟურნალისტად მოიხსენიებოდა ყველა, ვისაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაემთავრებინა, რომელიმე გაზეთის კორექტორად მუშაობდა და არასოდეს არც ერთი სტრიქონი არ დაეწერა!

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში „რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდებები ხშირად ენიჭებოდა ასოთამწყობებს, კორექტორებს, გამომშვებებს, მბეჭდავებს, გაზეთის გამსაღებლებს და ბევრ სხვა ტექნიკურ მუშაკს. ეს იყო კლასიკური საბჭოთა სტილი.

კანონის იმ პროექტს ბევრი სხვა ნაკლიც ჰქონდა და იგი პარლამენტმა განსახილველად არ მიიღო. მაგრამ აქ მთავარია თვით საკითხის დასმა — ვინ მიაჩნდათ ჟურნალისტად იმ პერიოდში: ის, ვინც უშუალოდ ქმნიდა ჟურნალისტურ პროდუქციას, თუ ის, ვინც გამოცემის ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა.

კითხვა, ვინ არის ჟურნალისტი, დიდი ხნის განმავლობაში, მართლაც, ძნელად საპასუხო აღმოჩნდა. ამბობდნენ, რომ ეს არის ის ადამიანი, ვინც წერს, არედაქტირებს, ან აკორექტურებს პრესისთვის განკუთვნილ მასალებს. მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, ერთი მოიპოვებდეს ინფორმაციას და მეორე წერდეს? საბოლოოდ, 1994 წელს, ბერლინში ყოფნისას ასეთი განმარტება

მოვისმინე: „ჟურნალისტი არის პირი, ვისი შემოსავლების 30 პროცენტზე მეტი ჟურნალისტურ საქმიანობაზე მოდის“.

მთლად იდეალური, ალბათ, არც ეს განმარტებაა, მაგრამ ჩვენებურ ვერსიაზე გაცილებით მრავლისმეტყველია, თუმცა, აუცილებლად მოითხოვს ცნების, „ჟურნალისტური მოღვაწეობა“, განმარტებას.

ვისაც ოდესმე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უმოღვაწია, უთუოდ იცის, რომ „ჟურნალისტური მოღვაწეობა“ ნიშნავს ინფორმაციის მოპოვებას, მასალის გამოსაცემად მომზადებას, სხვის მიერ მომზადებული მასალების რედაქტირებას, ზოგადად, — სარედაქციო სამუშაოს.

ჟურნალისტიკა არის აზრის სწორად, ნათლად და ლაკონიურად გადმოცემის ხელოვნება. ამ თვისებების შეძენა ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის აუდიტორიებშიც კი თითქმის შეუძლებელია. დიად საბჭოეთში ამაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, ვინაიდან საბჭოთა ჟურნალისტიკის წინაშე იდგა ცხადზე ცხადი ამოცანა — კომუნისტური პარტიის საქმიანობის, მისი იდეოლოგიის პროპაგანდა და არასოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია. მართალია, დავალება არცთუ კორექტულია, სამაგიეროდ, აბსოლუტურად გასაგები და, ამის გამო, დიდად დასაფასებელიცაა.

კომუნისტური რეჟიმისთვის პრესა მართლაც იყო იდეოლოგიური ბრძოლის ძალიან მძლავრი იარაღი. ამას არც არავინ მალავდა. ბრძენი კომუნისტური პარტიის დავალებით, ნებისმიერი გაზეთის, ჟურნალის, რადიოსა თუ ტელევიზიის ყველა თანამშრომლის საიმედოობას სპეცსამსახურები გულმოდგინედ ამოწმებდნენ. ასეთ ვითარებაში, ჟურნალისტის პოპულარობა დამოკიდებული იყო არა პიროვნების ნიჭზე, უნარზე, ცოდნაზე ან, თუნდაც, სიმამაცეზე, არამედ... ყოვლისმცოდნე პარტიაზე — პოპულარული იყო ის, ვისაც პარტია დაავალებდა ყოფილიყო პოპულარული.

ეს არ ნიშნავს, რომ იმდროინდელ პრესაში ნიჭიერი ადამიანები არ მოღვაწეობდნენ. რა თქმა უნდა, იყვნენ, მაგრამ მათი შესაძლებლობების გასამჟღავნებლად პირობები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ბუნებრივია, ძალიან ძნელი იყო კომუნისტურ პრესაში მუშაობის დაწყებაც. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ საბჭოთა ქვეყნის თვით უკანასკნელ წუთებამდეც კი, პრესის ავტორიტეტი უაღრესად მაღალი გახლდათ, — საზოგადოებისთვისაც

და უმაღლესი რანგის პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერებისთვისაც.

სწორედ იმ დროს აღმოვჩნდი „თბილისში“, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის გაზეთში. წარმოიდგინეთ, უპარტიო, უმუშევარი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი და პარტიული გაზეთის კორესპონდენტი! ეს იყო ყოვლად გაუგონარი მკრეხელობა, დანაშაული ლენინის ანდერძის წინაშე. მაგრამ ეს იყო სინამდვილე.

როგორ გავხდი ჟურნალისტი

1985 წელს საბჭოთა უმუშევართა რიგებს შევუერთდი — ნაქირავები ბინა, ცოლი, შვილები და... არავითარი შემოსავალი.

ღვთისა და ახლობლების წყალობით, საქართველოში კაცი ამას გაუძლებდა, მაგრამ ჩემს მდგომარეობას ართულებდა მილიციის უბნის რწმუნებული — შუახნის სიმპათიური მაიორი, ფილოსოფიის მოყვარული ინტელექტუალი. იგი ყოველ ორსამ დღეში ერთხელ მოდიოდა ჩემთან. ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ზოგადად, ცხოვრების ამაოებაზე. მერე ადგენდა ოქმს ჩემი უსაქმურობის თაობაზე და აკრავდა „საქმეში“. „საქმე“ იზრდებოდა და თანდათან იკვეთებოდა ჩემი, საზოგადოების ხორცმეტის სახე.

არადა, ვწერდი განცხადებებს რაიკომში, აღმასკომში, ქალაქკომში, ცეკაშიც კი და ვითხოვდი რომელიმე ქარხანაში მუშად მიღებას. ჩემი განათლების ცენზის გათვალისწინებით, მუშად არ მიმიღეს. სამაგიეროდ, ჩამწერეს უმუშევარი ისტორიის მასწავლებლების სიაში 325-ე ნომრად, რაც ნიშნავდა, რომ რიგის მიხედვით, სკოლის მასწავლებლის ადგილს მივიღებდი 103 წლის ასაკში.

მაშინ აღმასკომებში მოქმედებდა მუქთახორობისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია. ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიბარებდნენ ამ კომისიის სხდომაზე და უბნელ ქურდბაცაცებთან ერთად მკიცხავდნენ უსაქმურობისა და უსაქციელობის გამო. ახლანდელ თაობას, ვისაც კომუნისტურ ეპოქაში არ უცხოვრია, ჩემი ნაამბობი გადაჭარბებულად მოეჩვენება, მაგრამ, მერწმუნეთ, მართლაც ასე იყო. ცოტა უარესადაც.

ვითარება მეტისმეტად დაიძაბა 1986 წლის მაისში — შეიქმნა

ჩემი ე. წ. „შრომითი იძულების“, უფრო პროზაულად რომ ვთქვა, შრომა-გასწორების კოლონიაში (ციხეში) გაგზავნის რეალური საშიშროება. სწორედ მაშინ ჩვენი ოჯახის დიდი მეგობრის, მსახიობ ზეინაბ ბოცვაძის შუამდგომლობით გაზეთ „თბილისის“ რედაქტორ არჩილ გოგელიასთან აღმოვჩნდი.

ზეიკომ ბატონ არჩილთან ისე დამახასიათა, ჩემი თავი თვითონვე მომეწონა. თანაც, ჩემი ოჯახური მდგომარეობაც აუხსნა.

— როგორ, მთელ თბილისს ვიცნობ და ამ ბიჭს სამსახურს ვერ გამოვუძებნიო?! — დაჰპირდა ჩემს პროტექტორს ბატონი არჩილი, მე კი მთხოვა, მის სახელზე დამეწერა განცხადება, რაც შეიძლება დაწვრილებით.

გრძელი განცხადება მეორე დღესვე მივიტანე და მისაღებში მდივანს დავუტოვე. თუმცა, არც არჩილ გოგელიას დიდი იმედი გამჩენია, ვინაიდან არცერთ ჩინოვნიკს, ვისაც მაშინ მივმართავდი, ჩემს დახმარებაზე უარი არ უთქვამს.

მესამე დღეს, ზუსტად მახსოვს — 1986 წლის 18 მაისს — დამირეკეს, რედაქტორი გიბარებსო.

მივედი.

— კაცო, შენი განცხადება წავიკითხე და სამი ღამეა არ მიძინია, — მითხრა ბატონმა არჩილმა, — ნუთუ, ყველაფერი მართლაც ასეა?

— ასეა-მეთქი, — დავუდასტურე.

— იცი, რას გეტყვი, მე უამრავ ადამიანს ვიცნობ, დღეს-ხვალ ზოგ-ზოგებს დავუკავშირდები და რაღაცას გამოგიძებნი. შენ ნუ შეგეშინდება, ხან ასეა, ხან — ისე. მილიციაში და აღმასკომში უკვე დავრეკე, ხელს არავინ გახლებს... არ მჯერა, ნუთუ, მართლა ასეთი ამბები ხდება!

რედაქტორს დავემშვიდობე, კარამდეც მივედი, რომ არჩილმა ისევ დამიძახა:

— მოიცა, ერთი, თუ ძმა ხარ, არ გეწყინოს და, შენ რომ განცხადება მომიტანე, ვისი დაწერილი იყო?

— ჩემი, ვისი უნდა ყოფილიყო-მეთქი, — გამიკვირდა და, ცოტა არ იყოს, მეწყინა კიდეც.

— მაშინ, იცი რა, მოდი, ჩემთან მიგიღებ, რედაქციაში. ხელფასი ჯერჯერობით მაინცდამაინც დიდი არ გექნება, მაგრამ თანდათან ყველაფერი გამოსწორდება. ჰა, რას იტყვი?

რა მეთქმოდა.

მესამე დღეს კომუნისტური გაზეთის რედაქტორმა, რო-

მელიც ჩემს ერთადერთ „ნაწარმოებს“, განცხადებას, იცნობდა, დაწერა ბრძანება „თბილისის“ კორესპონდენტად ჩემი დანიშვნის თაობაზე.

იმ დროს ეს იყო ყოვლად წარმოუდგენელი შემთხვევა. „თბილისის“ კორესპონდენტად დანიშვნას ცეკას მდივნის დონე სჭირდებოდა. არჩილ გოგელია არ ცნობდა ნომენკლატურულ საზღვრებს. იგი გამოდიოდა საქმის ინტერესებიდან და თავის სარედაქტორო სამზარეულოში ზემოდან ჩარევის უფლებას არავის აძლევდა, თვით ცეკას ყოვლისშემძლე მდივანსაც კი. ამაში მერე და მერე უფრო დავრწმუნდი.

„თბილისი“ არჩილ გოგელიას ხელში უმშვენიერეს გაზეთად იქცა. მისი ტირაჟი ყოველდღიურად იზრდებოდა. არჩილმა შექმნა პრეცენდენტი, რომ, თურმე, შესაძლებელი ყოფილა მმართველობის კომუნისტური რეჟიმის სერიოზული კრიტიკა თვით კომუნისტურ გაზეთშიც კი.

თავად ის ფაქტი, რომ მე, „ვიღაც ქუჩიდან მოსული“ არაჟურნალისტი, რამდენიმე თვეში უკვე პოპულარული ჟურნალისტი ვიყავი, თავისთავად მეტყველებს არჩილ გოგელიას, როგორც რედაქტორის არაორდინალურ აზროვნებაზე, მამულიშვილობაზე, საქმის ცოდნასა და სიმამაცეზეც. მაშინდელ „თბილისში“ ისეთი რამეები იბეჭდებოდა, რასაც ოფიციოზი ბევრ, მართლაც დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ვერ ბედავს.

არჩილ გოგელიას „უფროსები“ ხშირად ურეკავდნენ, ბიუროებზე და სხდომებზე იძახებდნენ, საყვედურობდნენ, ემუქრებოდნენ კიდეც, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენამდე, უშუალო შემსრულებლებამდე არასოდეს არ მოდიოდა — არავითარი „სოციალური დაკვეთა“, არავითარი შეზღუდვა, არავითარი საყვედური! არჩილი იყო არა მხოლოდ შესანიშნავი რედაქტორი, არამედ ჩვენი, რედაქციის ყველა თანამშრომლის უახლოესი მეგობარი, მასწავლებელი და შემწე.

არჩილ გოგელიას, ჩემს უფროს მეგობარს, ჩემი ოჯახის დიდ მოამაგეს ბევრჯერ უთქვამს, რომ მან „შექმნა ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე“.

დიახ, არჩილ გოგელიამ შექმნა ჟურნალისტი ქორიძე და არა მხოლოდ ის. ამ ნიჭიერმა, უანგარო და უბოროტო კაცმა მეოცე საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკას აჩუქა ყოველგვარი კონიუნქტურისგან თავისუფალი, პატიოსანი, თავდადებული, მაღალპროფესიონალი ჟურნალისტების მთელი თაობა.

იმჟამინდელი „თბილისის“ რედაქტორმა მაშინ შეძლო ის, რაც მანამდე თითქმის შეუძლებელი ჩანდა — პარტიულ ცენზურას თავისი პირობები წაუყენა და აიძულა კიდეც მიეღო ისინი. მან, საკუთარი კარიერის რისკის ფასად რედაქციაში მიიწვია ბევრი ადამიანი, რომელთა დიდი უმრავლესობა სწრაფად იქცა პოპულარულ ჟურნალისტად. კარგი გაზეთის შექმნას და კარგი ჟურნალისტის აღზრდას უდიდესი მოთმინება, საზოგადოების ცოდნა, ალღო და ალბათ რაღაც ენით გამოუთქმელი სპეციალური ნიჭიც სჭირდება. ჩემი პირველი მასწავლებლები პრესაში ბატონ არჩილთან ერთად იყვნენ ლია გოდერძიშვილი, ირაკლი ბერიაშვილი, მარინე მაისურაძე, ოთარ ხუციშვილი და სხვები. ერთი მასწავლიდა, რა უნდა დამეწერა, მეორე — როგორ უნდა დამეწერა. მეც, ეტყობა, ბეჯითი მოწაფე გამოვდექი.

იყვნენ ნამდვილი, ორთოდოქსი კომუნისტი ჟურნალისტებიც. იმათიც დიდად მადლობელი ვარ: **რომ არა ისინი, ვერასოდეს ვერ ვისწავლიდი, როგორ არ შეიძლება წერა.**

ერთ კურიოზულ ფაქტს გავიხსენებ.

„თბილისში“ ჩემს მორიგ პუბლიკაციას პარტიის ქალაქკომის იდეოლოგიური განყოფილების მხრიდან მორიგი მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამხანაგმა იდეოლოგებმა (შემდეგში, „ქვეყანა რომ გადაბრუნდა“, თითქმის ყველა მათგანი მაღალი რანგის თანამდებობის პირი და „ეროვნული მოღვაწე“ გახდა!) კატეგორიულად მოითხოვეს ჩემი „პარტიული ხაზით“ დასჯა. ბატონი არჩილი შვებულებაში იყო და რედაქტორის მოვალეობას ქალბატონი ნარგიზა მგელაძე ასრულებდა. მოიწვიეს რედაქციის საერთო პარტიული კრება და სამაგალითოდ დამსაჯეს — სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, პარტიულ სააღრიცხვო ბარათში შეტანით! გაფორმდა ოქმი და გაეგზავნა ქალაქკომს.

საქმე ის არის, რომ არც კომუნისტური და არც რომელიმე სხვა პარტიის წევრი არასოდეს არ ვყოფილვარ. ეს, რა თქმა უნდა, იცოდა იუმორის ნიჭით დაჯილდოებულმა ქალბატონმა ნარგიზამაც.

— აკეთე, ძამიკო, შენი საქმე და ესენი რამდენჯერაც მოითხოვენ, იმდენ საყვედურს გამოგიცხადებ, — დამამშვიდა მან კრების შემდეგ.

და მაინც, რომ არა ის ვერაგი და საშინლად ცნობისმოყვარე მილიციის მაიორი, ჩემი უბნის რწმუნებული, ჟურნალისტობაზე, ალბათ, ვერასოდეს ვიოცნებებდი.

ჟურნალისტის პროფესია — მითი და სინამდვილე

ოდესღაც არჩილ გოგელიამ მწარედ იხუმრა, ადამიანების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გაზეთები ჯიხურებში გამოდისო. მთლად ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ადამიანების უმრავლესობამ ნამდვილად არ იცის, რა დგას ჟურნალისტობის, ამ ინტელიგენტური პროფესიის უკან.

ჟურნალისტობა მართლაც არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროფესია მთელ მსოფლიოში. იმას რა სჯობს, როცა გიწვევენ ყველაზე პრესტიჟულ წვეულებებზე; შენთან დამეგობრებას ცდილობენ ცნობილი ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, არისტოკრატები და თვით სამეფო ოჯახების წევრები; შენს ეკრანზე გამოჩენას, ან შენს საგაზეთო პუბლიკაციას მოუთმენლად ელის მილიონობით ადამიანი; გიგზავნიან წერილებს, გთავაზობენ ნაირნაირ მომხიბლავ წინადადებას...

ისიც გაითვალისწინეთ, რომ თქვენი კარიერა არ არის სპორტსმენის ან ტოპმოდელის კარიერასავით სწრაფწარმავალი — თქვენმა ვარსკვლავმა იქნებ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იკაშკაშოს!

მომხიბლავი პერსპექტივაა და ამიტომაც ასე ელტვის ახალგაზრდობა ჟურნალისტის პროფესიას.

არის კიდევ ერთი ფრიად სერიოზული მიზეზი — პროფესიის მოჩვენებითი სიიოლე. სიტყვა „მოჩვენებითი“ შემთხვევით არ მიხსენებია. პრესის ბევრი მუშაკი, ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ ან თვითონ არის გენიოსი, ან მისი პროფესიაა მეტისმეტად უბრალო. მთელი უბედურება ის არის, რომ 90-იანი წლების საქართველოს სინამდვილე მართლაც იძლეოდა ასეთი დასკვნის საშუალებას. წარმოიდგინეთ ოთხმილიონიანი ევროპის განაპირა სახელმწიფო ექვსასამდე დასახელების გაზეთით, ორასამდე ჟურნალით, ასამდე ტელე და რადიოკომპანიით, ამდენივე საინფორმაციო სააგენტოთი, ათეულობით პრესსამსახურითა და ათი ათასობით ჟურნალისტით! ადვილი რომ არ იყოს, ამდენი ხალხი ერთბაშად როგორ გაჟურნალისტდებაო, იფიქრებთ და მართალიც იქნებით. უფრო კონკრეტულად, მართალი იქნებით იმ შემთხვევაში, თუ ნამუშაკარს იმ ათეული ათასობით ადამიანისა, ვინც საკუთარ თავს ჟურნალისტს უწოდებს, მაღალი ან თუნდაც საშუალო ხარისხის პროდუქციად მიიჩნევთ.

სამწუხაროდ, სინამდვილე ერთობ პროზაული და უნუგეშოც კია.

მეოცე საუკუნეში საქართველო ორჯერ აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქვეყნის როლში და ორივეჯერ თავისუფლება მას მოულოდნელად დაატყდა თავს. საქართველოს საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა თავისუფლებისთვის — ეკონომიკურადაც, პოლიტიკურადაც, ფსიქოლოგიურადაც. საზოგადოების ნაწილმა თავისუფლება აღიქვა ყველაფრის კეთების (თქმის), თვითნებობის, თავხედობის უფლებად. ლოგიკა უმარტივესია — თუ ჟურნალისტიკა არის უმოკლესი გზა თავის გამოჩენისკენ, ხოლო პრესა არის უძლიერესი იარაღი ჭკვიანი კაცის ხელში, რატომაც არ უნდა გავაკეთო გაზეთი (ჟურნალი, რადიო, ტელევიზია), თავიც გამოვიჩინო და ზოგიერთებს ჭკუაც ვასწავლო?! გაზეთის „კეთება“ კი ძალიან იოლია: იყიდი საგამომცემლო კომპიუტერულ სისტემას, დაიქირავებ რამდენიმე ტექნიკურ მუშაკს და უმუშევარ ფილოლოგს, გაივლი რეგისტრაციას და, კახელი მიხოსი არ იყოს, მიდიი!..

ასეც მოხდა. საქართველოში არც მაშინ და არც დიდი ხნის შემდეგ არ არსებობდა პროფესიონალი ჟურნალისტების ის რაოდეობა, რომელიც ასეულობით მედიასაშუალებას გაწვდებოდა.. მეტიც, არ არსებობდა სრულფასოვანი ჟურნალისტური სკოლა, სადაც მსმენელებს დამოუკიდებელ აზროვნებას, ნააზრევის ქაღალდზე სხარტად და გასაგებად გადატანის კულტურას ასწავლიდნენ. იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს არ გვინდოდა — საბჭოთა საქართველოში არ იყო ამის ობიექტური პირობა.

1992 წელს ერთ ჩემს კოლეგას რამდენიმე გაზეთის გაერთიანების და მათ ბაზაზე ერთი სერიოზული გაზეთის გამოშვების იდეა შევთავაზე. მაშინ ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ საქართველოში ნებაყოფლობით გაერთიანება შესაძლებელი იყო. იდეა კი მოეწონა, მაგრამ ისე შემათვალიერა, როგორც „საერთაშორისო იმპერიალისტური შეთქმულების“ მონაწილე. მართლაც, რა გაერთიანებაზე შეიძლებოდა ფიქრი, როცა ირგვლივ ყველაფერი იშლებოდა. დაუკვირდით, თუნდაც გაზეთების დასახელებებს: „შვიდი დღე“ და „ახალი შვიდი დღე“, „საქართველო“ და „ახალი საქართველო“, „ეპოქა“ და „ახალი ეპოქა“, „კაბადონი“ და „ახალი კაბადონი“, „მერიდიანი“ და „ახალი მერიდიანი“...

ყველაფერი ეს განკერძოების, განდაგანობის, უსაფუძვლო

ამბიციურობის მანიშნებელია — ასე იყო ქვეყანაში და ასე იყო ამ ქვეყნის პრესაშიც.

ჟურნალისტობა უმაღლეს კვალიფიკაციასთან, მრავალმხრივ ცოდნასთან, გამოცდილებასა და უსაზღვრო მოთმინებასთან ერთად, უზარმაზარ ყოველდღიურ შრომას მოითხოვს. თუ კაცს ღმერთმა ჟურნალისტობის ნიჭი უბოძა, ამას რა სჯობს, მაგრამ ნიჭი და სიზარმაცე ყოვლად შეუთავსებელი ცნებებია. თავისი სპეციფიკის გამო, ჟურნალისტიკა ვერ ითმენს საქმის რამდენიმე წუთით გადადებასაც კი. იგი მთელ ჩვენს რესურსებს მოითხოვს. სისტემატური შრომით სავსებით შესაძლებელია საშუალო ნიჭის ადამიანი ჟურნალისტიკის ვარსკვლავად იქცეს. ისიც შესაძლებელია, უნიჭიერესი კაცი არცთუ სისტემატური უსაქმურობის გამო, ჟურნალისტიკისთვის სამუდამოდ დაიკარგოს.

ჯერ კიდევ „თბილისში“ მუშაობის დროს ჩემი კოლეგა და მეგობარი, ლევან თოფურიძე დაინტერესდა ჩემი მუშაობის წვრილმანით. კერძოდ, ამტკიცებდა, რომ ვიცოდი რაღაც საიდუმლო, რაც სარედაქციო დავალების ძალიან სწრაფად შესრულების საშუალებას მაძლევდა. შინაც მესტუმრა. სანამ ლევანი სამზარეულოში ჩემს მეუღლესთან ერთად ცხოვრების ამაოებაზე მსჯელობდა, საგაზეთო მასალა მოვამზადე და ლევანს ვაჩვენე. თან „საიდუმლოც“ გავუმხილე: **შენ ჯერ სამუშაო მაგიდასთან ჯდები და ფიქრს მერე იწყებ, მე ჯერ ვფიქრობ და სამუშაოდ მერე ვჯდები-მეთქი.**

წმინდა ფიზიკური თვალსაზრისითაც ჟურნალისტობა საკმაოდ მძიმე სამუშაოა. 90-იანი წლების ბოლოდან მშვენიერი სქესის მოზღვავებამ ქართული ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა მდარე ხარისხის ფლირტაობაში ჩაითრია. აღარაფერს ვამბობ სერიოზულობის ქურქში გახვეულ აშკარა სიყალბეებსა და შეუნიღბავ პროვინციულ ჭორიკნობაზე. ოდესღაც ე.წ. მებრძოლი გაზეთები სალონური კინკლაობისა და კულუარული ანგარიშსწორების ასპარეზად იქცა. ღმერთმა დამიფაროს, ყველაფერს ქალებს ვაბრალებდე. უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, 90-იანი წლების მიწურულს ოდესღაც „ვაჟკაცური“ ქართული პრესა ცოტა ფემინისტური გახდა-მეთქი. ჟურნალისტად მუშაობა თავისთავად გულისხმობს 24-საათიან სამუშაო დღეს, ფათერაკიან თავგადასავლებს, სიცოცხლისთვის აშკარა ხიფათს, ოჯახურ კონფლიქტებს, უამრავ ყოვლად გაუთვალისწინებელ შემთხვევას...

თბილისის ზოოპარკში დიდხანს არ იყო სპილო. ბოლოს ხმა დაირხა, კიევის ზოოპარკმა ჩვენებური სპილოს მოყვარულების ინტერესები გაითვალისწინაო. „თბილისმა“ პატარა სპილოს სახელის დასარქმევად კონკურსი გამოაცხადა. ატყდა ერთი ამბავი. ზოოპარკის ახალი ბინადრის ჩამოსვლის დღეც დაინიშნა. დეკემბერი იყო, ციოდა. საღამოს რვა საათისთვის „ბაჩო“ ჯერ კიდევ არ ჩანდა. არც ათზე, არც თორმეტზე არ გამოჩენილა. მოკლედ, რედაქციის დავალებიდან შინ დილის ხუთ საათზე დავბრუნდი — მშიერი, გაყინული და ღამენათევი.

ცოლის ალერსიან შეკითხვას, ამდენ ხანს სად ჯანდაბაში დახეტიალობდიო, მიამიტად ვუპასუხე, — ზოოპარკში-მეთქი.

იქნებ მაჩვენოთ რომელიმე ცოლი, ვინც დაიჯერებს, რომ მისმა ქმარმა დეკემბრის სუსხიანი ღამე ზოოპარკის ბინადართა თვალიერებაში გაატარა.

არადა, მართლაც ზოოპარკში ვიყავი!

„დრონის“ პირველი ნომერი 1991 წლის 1 ივნისს გამოვიდა და რამდენიმე კვირაში უპოპულარეს გამოცემად იქცა. იმდროინდელ „დრონში“ მოღვაწეობდა საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ყველაზე „ყოჩაღი“ ჟურნალისტებით დაკომპლექტებული გუნდი: **არჩილ გოგელია (რედაქტორი), თეიმურაზ ქორიძე, თეიმურაზ მეტრეველი, გიორგი ჩოჩიშვილი, თამარ ჩიქოვანი, სოსო სიმონიშვილი, მერაბ რატიშვილი.** დრო ძალიან მძიმე იყო. ირგვლივ მოახლოებული სამოქალაქო ომის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ქვეყანა, ფაქტობრივად, რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ განლაგებული ე. წ. „კარავთა ქალაქიდან“ იმართებოდა. პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებებზე ამომრჩევლებს საინფორმაციო მიტინგებიდან ესაუბრებოდა. ურა-პატრიოტული ლოზუნგებით შეიარაღებული პრიმიტივი დემაგოგები ყოველ კუთხე-კუნჭულში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სანაცვლოდ ხალხს ბალახის ჭამისკენ მოუწოდებდნენ. შეურიგებელი ოპოზიცია პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების გადადგომას მოითხოვდა. ხელისუფლება, თავის მხრივ, ყოველ დღე ათობით ახალ აგენტსა და მოღალატეს „ამხელდა“. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის მთლიანად მონოპოლიზებული იყო ხელისუფლების მიერ. დაუბრკოლებლად მხოლოდ „დრონი“ გამოდიოდა.

იმის გარდა, რომ სამთავრობო გაზეთები, რადიო და ტელევიზია თითქმის ყოველდღიურად ქართველი ხალხის მოსისხლე

მტრად, რომელიღაც ქვეყნის აგენტად და სამშობლოს მოღალატედ მომიხსენიებდა, ჩემს ბინაში ხშირად იმართებოდა დაახლოებით ასეთი შინაარსის გულთბილი სატელეფონო საუბარი:

— ქორიძის ბინაა?

— დიახ.

— თემური შინ არის?

— არა, ჯერ არ დაბრუნებულა.

— ჰოდა, არც დაბრუნდება — უკვე ჩამოვახრჩეთ კოჯრის ტყეში.

ასეთი და კიდევ უფრო „ტკბილი“ მუსაიფის შემდეგ, ნუ გაგიკვირდებათ, ჟურნალისტის ოჯახის წევრებმა ჟურნალისტიკისადმი ყოველგვარი ინტერესი რომ დაკარგონ.

ჩემი ძველი და კეთილი მეგობარი, ტელეჟურნალისტი გურამ გორელიშვილი პირველიდან ბოლო დღემდე აფხაზეთის ომში იმყოფებოდა და თითქმის ყოველდღიურად რეპორტაჟებს გადმოსცემდა საბრძოლო მოქმედებების ადგილებიდან. ოჯახის წევრები და ჩვენ, გურამის მეგობრები, გულის ფანცქალით ველოდით მის ტელეეკრანზე გამოჩენას. ძალიან დიდი იყო სიცოცხლის რისკი — ტყვია ხომ არავის ინდობს. 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში, გურამის „არაოფიციალური მიწვევით“ სოხუმში მეც გახლდით და იმდროინდელ ამბებზე ნაწილობრივი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, ერთი მოგონების ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ:

თოლიებზე ნადირობა

...აფხაზეთში ისეთი რამ მოხდა, მტერს რომ არ ვუსურვებდით — ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ გუშინდელი მეგობრები, მეზობლები, ნათესავები. ამ დროს ძნელია გარკვევა, ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე. ტრაგედიას ისიც ამძიმებს, რომ ორივე მხარე თავისივე ხელით ნაშენებს ანგრევს. დანგრეულის ხელახლა აშენება კი ოდესმე ორივეს ერთად მოუწევს. მოყვრების მოსისხლეებად გადაქცევა ერთ დღეშიც შეიძლება, მოსისხლეების შერიგებას კი დიდი დრო და უზარმაზარი მოთმინება სჭირდება. ქართველს და აფხაზს სხვა სამშობლო არ გააჩნია. შთამომავლობის, სამშობლოს წინაშე ორივე ვალდებულია საკუთარ თავს მოერიოს, როგორმე ბოღმა და სიძულვილი დაითმინოს, რომ მტრობით დანგრეულის სიყვარულით შენება შეძლოს...

სოხუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მოწყობილ იმპროვიზებულ ბაზრობაზე უთუოდ შეამჩნევთ ფრთამოტეხილ და დაკოჭლებულ მტრედს. იგი ამ ძმათამკვლელი ომის სიმბოლოა.

...სოხუმის აეროპორტის ადმინისტრაციული შენობის გვერდით გდია თავღია კუბო. ისიც ამ ძმათამკვლელი ომის სიმბოლოა...

— ჰოხ, გამარჯობა, გურამ, ჯიმა. სად ხარ, კაცო, თხის მწვადებზე რომ გეპატიჟებოდი, რატომ არ წამოხვედი!

— გმადლობ, ჩემო ბატონო. აგერ, დამთავრდება ომი და მერე ვიქეიფოთ.

— კი, ვიქეიფოთ, ბატონო, მარა, თხის მწვადი აღარ იქნება მაშვინ.

— რაო, რა მოუვიდა თქვენს თხას?

— რა მოუვიდა, ჩემო გურამ ბატონო და, აფხაზები რომ შემოვიდნენ შრომაში*, გადევიდა ჩემი თხა არძინბას მხარეს!..

გურამ გორელიშვილს, საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტს, სოხუმში ყველა იცნობს. ისიც ყველას იცნობს — რიგით მებრძოლებს, მეთაურებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, სოხუმელ მოქალაქეებს, გლეხებს... იცნობენ კი არა, გურამი, უბრალოდ, უყვართ — მისი სიმამაცის, ობიექტურობის, საქმის სიყვარულისა და ერთგულების გამო.

მეთერთმეტე თვეა, აფხაზეთშია. ომის ყველა დეტალი და ნიუანსი იცის. იცის, ვის რა უჭირს და ვინ რით ცხოვრობს.

სოხუმში, საზოგადოდ, აფხაზეთში, ფრონტის ორივე მხარეს ბევრი ჟურნალისტი მუშაობს. ისინი მამაცი ადამიანები, პროფესიონალები არიან. მათ არ უჭირავთ ხელში იარაღი. მათი იარაღი საკუთარი თვალი, ყური, გონება და სინდისია. ჩვენში ასეთი ტრადიციაა — ჟურნალისტებზე არავინ წერს, ფილმს არავინ იღებს. ჟურნალისტს არავინ აჯილდოებს. ხოლო თუ ვინმეს ჟურნალისტის ლანძღვა-გაკიცხვა მოუნდა, იცოცხლეთ, ქვეყნის ამშენებელი რომ იყოს, მისთვის ერთ ტკბილ სიტყვასაც არავინ გაიმეტებს.

გურამ გორელიშვილი აფხაზეთში დიდსა და პატარას მისი ობიექტურობისა და კაიკაცობისთვის უყვარს.

გურამმა იცის, რომ ამ ობიექტურობისა და კაიკაცობისთვის ოდესმე იქნებ დასაჯონ კიდეც. ამბობს, ჩემი შვილების და ჩემი თავის წინაშე ხომ მაინც მართალი ვიქნებიო.

გურამ გორელიშვილი არ არის გმირი. იგი პატიოსანი კაცია

და პატიოსნად იხდის ვალს სამშობლოს წინაშე: იგი ამ საზარელი ომის ისტორიას ქმნის.

აფხაზეთში ბევრი ჟურნალისტი მუშაობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავგანწირვა ადგილობრივი გაზეთების და ტელევიზიის თანამშრომლებისა, რომლებსაც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა. მათზე, ალბათ, ოდესმე ცალკე უნდა ითქვას და დაიწეროს. ახლა მხოლოდ ერთ მათგანზე, გურამ გორელიშვილზე გითხარით ორიოდ სიტყვა.

ნურავის გეწყინებათ — გურამი ჩემი ძველი, ძველი მეგობარია.

მე ვამაყობ ამ მეგობრობით“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

აქვე ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მოგვიანებით, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი, გურამ გორელიშვილი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის მშობლიური პირველი არხიდან ისე უბოდიშოდ დაითხოვეს, მიზეზიც არ უთქვამთ.

და მაინც, ნუ შეგეშინდებათ, ჟურნალისტობა არ არის რთული — მთავარია, იპოვოთ საჭირო სიტყვები საჭირო აზრის გადმოსაცემად.

ოფიციალური ცნობა:

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ცნობით, 1980-1999 წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში დაიღუპა 2335 ჟურნალისტი. უგზო-უკვლოდ დაიკარგა — 201. მონაცემები არ არის დაზუსტებული.

ახლა, თუ ჯერ კიდევ არ გადაგიფიქრებიათ ჟურნალისტობაზე ოცნება, გავაგრძელოთ საუბარი.

მწერლები და ჟურნალისტები

დიდი ხნის წინათ ცნობილმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ* ბრძანა, ჟურნალიზმმა წარყვნა მწერლობაო.

მწერალ გამსახურდიას დროინდელი ქართული ჟურნალისტიკა, ანუ ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკა, ვერ ვიტყვი, გარყვნილი-მეთქი, მაგრამ უკიდურესად ტენდენციური რომ იყო, ამას წყალი არ გაუვა. იგი, როგორც ყველაფერი დანარჩენი საბჭოეთში, კომუნიზმის დიად და აბსურდულ მიზანს ემსახურებოდა. უფრო ზუსტად, ემსახურებოდა კომუნისტური პარტიის დიქტატის შენარჩუნებას, ისევე, როგორც უშიშროების კომიტეტი, შინაგან

საქმეთა სამინისტრო, არმია, პროკურატურა, სასამართლო, რაიკომი, აღმასკომი, კომკავშირი და... მწერლობაც.

ოღონდ, თუ მწერლები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მაინც ახერხებდნენ ანტისაბჭოთა ნაწარმოებების შექმნას, ჟურნალისტებისგან ამის გაკეთება განუზომლად რთული იყო — მრისხანე ცენზურა გაზეთიდან დაუყოვნებლივ აქრობდა ყოველ საეჭვო სიტყვას.

რა თქმა უნდა, იმ დროსაც იყვნენ ნიჭიერი ჟურნალისტები, მაგალითად, ჩვენი თანამემამულე რუსი ჟურნალისტი მელორ სტურუა, მაგრამ მათი ნიჭიერება, ძირითადად, იმაზე იხარჯებოდა, რომ „ბედნიერი“ საბჭოთა ხალხისთვის როგორმე „დამპალი“ იმპერიალისტური სისტემა შეეძულებინა და მსოფლიოს ჩაგრული ხალხები შეეყვარებინა.

როცა ბატონი კონსტანტინე ჟურნალიზმის მიერ მწერლობის წარყვნაზე (წახდენაზე) საუბრობდა, უპირველეს ყოვლისა, იმ პერიოდის პრესაში გაბატონებულ საგაზეთო ენას და სტილს გულისხმობდა. გადაშალეთ საბჭოთა პერიოდის ნებისმიერი გაზეთი და მწერლის სიმართლეში უმალ დარწმუნდებით:

„ლაგოდეხელი მეთამბაქოები უდიდესი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სკკპ პოლიტბიუროს წევრის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის* გამოსვლას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა შინაარსიანმა სიტყვამ, სადაც მოცემულია თანამედროვეობის სრული და ამომწურავი ანალიზი, ლაგოდეხელი მშრომელები კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნა კომუნიზმის დიადი იდეის ურყევობასა და ჭეშმარიტებაში. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მგზნებარე სიტყვით აღფრთოვანებული ლაგოდეხელები პირობას დებენ, რომ მომავალ ხუთწლიან გეგმას სამ წელიწადში შეასრულებენ. საკოლმეურნეო მინდვრებში, ბრიგადებში, რგოლებში, ფერმებში, პარტიულ და კომკავშირულ უჯრედებში იმართება სახელდახელო მიტინგები. ახალი ძალით მჩქეფარებს სოციალისტური შეჯიბრება. ლაგოდეხელი მეთამბაქოები ახალ-ახალ შრომით ნობათებს უძღვნიან თანამედროვეობის უდიდეს პოლიტიკურ ფორუმს, სკკპ XXIV ყრილობას და ამ დიდ ფორუმზე მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის, ამხ. ლეონიდ ილიას ძის გამოსვლას...“

შეიძლება, შევცვალოთ თარიღები, გვარები და მოვლენები, მაგრამ საბჭოთა ეპოქის საგაზეთო პუბლიკაციების პათოსი

ამით ნამდვილად არ შეიცვლება. დიდი-დიდი, შეიძლება დაახლოებით ასეთი სახე მიიღოს:

„სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები გუშინ სასწრაფოდ შეიკრიბნენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტის ინიციატივით. პარტკომის მდივანმა, ამხანაგმა პ. სტურუამ დამსწრეთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ანტისაბჭოთა ელემენტების, საბჭოთა ხალხის პირსისხლიანი მტრების რიკოვის*, ზინოვიევის*, კამენევის* და სხვა მენშევიკ-ტროცკისტთა დაპატიმრების შესახებ.

სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა ერთხმად დაგმეს პროლეტარიატის დაუძინებელი მტრების ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი საქმიანობა და მათთვის სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მოითხოვეს. კრების მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ორატორთა ინიციატივას და მშრომელებს კიდევ უფრო მეტი სიფხიზლისაკენ მოუწოდეს, ვინაიდან ჩვენს შორის შესაძლოა კიდევ ბოგინობდნენ ჩვენი კლასობრივი მტრები.

კრების მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და აღუთქვეს დიდ სტალინს, პოლიტბიუროს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დიდი სტალინის ღირსეულ თანამებრძოლს, ამხ. ლავრენტი ბერიას*, რომ...“

ენა მართლაც საოქმო-კაზიონურია, სტილი საბჭოთაა, შინაარსი შემაძრწუნებელია. სწორედ ეს შემაძრწუნებელი შინაარსი განსაზღვრავდა იმ ეპოქის ჟურნალისტიკის სტილსა და ენას. ეს იყო მაუზერის ენა და სტილი და ამაში კონკრეტულად ვინმეს დადანაშაულება, უბრალოდ, უაზრობაა.

ჟურნალიზმმა კი არ გარყვნა მწერლობა, მმართველობის საბჭოთა პარტიულმა სისტემამ გარყვნა ჟურნალიზმიც, მწერლობაც, ხელოვნებაც, ზნეობაც და ასე შევეგებეთ თავისუფალ საქართველოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ალბათ, მშვენივრად იცოდა ყველაფერი ეს, მაგრამ სათქმელი ბოლომდე რომ ეთქვა, მასაც უბოდიშოდ იმ გზას გაუყენებდნენ, რომელსაც მანამდე მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და მრავალი სხვა გაუყენეს.

მწერლებს, ჟურნალისტებთან შედარებით, უზარმაზარი უპირატესობა აქვთ — განუსაზღვრელი დრო და შეუზღუდავი თემატიკა. ჟურნალისტიკაში საქმე სხვაგვარადაა — რედაქციის ყველა თანამშრომელი და, მათ შორის, მისი უდიდებულესობა

რიგითი ჟურნალისტი — შეზღუდულია დროშიც, სივრცეშიც და თემატიკითაც. როგორც წესი, ჟურნალისტი ასრულებს დავალებას მკაცრად განსაზღვრულ თემაზე, მკაცრად განსაზღვრულ დროში და მკაცრად განსაზღვრული მოცულობით. მოკლედ, ასე: ხუთშაბათს, ორ საათზე, 80 სტრიქონი, ინტერვიუ აკაკი ასათიანთან მისი პოლიტიკური მრწამსის შესახებ.

ბიჭი ხარ და, ნუ შეასრულებ!

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში კატასტროფული რაოდენობის (თუმცა, ჟურნალისტებზე ნაკლები) გამოჩენილი მწერალი გვყავს, მათ შორის არ მეგულება ორიოდეც კი, ვინც ჟურნალისტობას მოინდომებდა. სამწუხაროდ, ისეთებიც თითებზე ჩამოსათვლელია, ვინც ჟურნალისტობას შეძლებდა. მწერლობასა და ჟურნალისტობას შორის დაახლოებით ისეთივე მსგავსებაა, როგორიც თბილისის „გუბერსკის“ ციხესა და ოპერის თეატრს შორის — ორივე აგურითაა ნაშენი.

მწერლებსა და ჟურნალისტებს შორის არის კიდევ ერთი „პაწაწინა“ განსხვავება: პოპულარული ჟურნალისტი რომ გახდე, ამისთვის იქნებ რამდენიმე თვეც საკმარისი იყოს; მწერლის აღიარებას კი აუცილებლად სჭირდება მომავალი თაობების დასტური.

რატომ კითხულობენ გაზეთს?

სტაჟიანი მკითხველები ამ შეკითხვას არც სხვას და არც საკუთარ თავს არასოდეს არ უსვამენ. ხომ არ მოგეწონებათ, ვინმემ რომ გკითხოთ — რატომ ჭამთ? რატომ ოცნებობთ? რატომ იძინებთ?..

ოდესღაც, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამდე, გაზეთი მასობრივი ინფორმაციის ერთადერთი საშუალება იყო. ინტერნეტის ეპოქაში საინფორმაციო სივრცეში უსასტიკესი კონკურენცია გაჩაღდა და გაზეთის გამომცემლებსაც საქმე განუზომლად გაურთულდა — გაზეთმა დაკარგა მკითხველისთვის ინფორმაციის ოპერატიულად მიმწოდებლის ფუნქცია. ბუნებრივია, დღეში სამჯერაც რომ გამოვიდეს, იგი რადიოს, ტელევიზიას და ინტერნეტს მაინც ვერ გაეჯიბრება. მაგრამ მას, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან შედარებით, დარჩა ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა — ფაქტებისა და მოვლენების კომენტარის და

ანალიზის შესაძლებლობა. სწორედ ეს გახლავთ ის საიდუმლო, რაც გაზეთს (მით უფრო — ჟურნალს) მრისხანე მეტოქეებთან დაუნდობელ ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებს.

გაზეთს კითხულობენ იმიტომ, რომ უკეთ და სწრაფად გაერკვნენ ურთულეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ... პრობლემებში. არც ოპერატიულობა, უნივერსალიზმი (იქნებ, ამ განსაზღვრებას „მრავალფეროვნება“ სჯობდეს!), გამოცემებს შორის არსებული მოკლე ინტერვალი და მკითხველისთვის მასალების მიწოდების საშუალება (კომუნიკაცია) — ენა უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რას ვამბობთ, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როგორ ვამბობთ. მშობლიურ სალიტერატურო ენაზე უბრალოდ და გასაგებად დაწერილი ინფორმაცია ადამიანის ცნობიერებაში გაცილებით ღრმა კვალს ტოვებს, ვიდრე თუნდაც გენიალური პიროვნების საუბრის უნაკლო სინქრონული ტელეთარგმანი. ხოლო თუ ტელეეკრანიდან რამდენიმე გენიოსი ერთდროულად გველაპარაკება, თანაც, თუ მათი გენიალური აზრები ერთმანეთს არ ეთანხმება, მსმენელის ცნობიერებაზე ზემოქმედების ალბათობა მინიმუმამდე მცირდება.

მკითხველი გაზეთს მისთვის მოსახერხებელ დროს მიუბრუნდება. თუ ამის საჭიროება არსებობს, სტრიქონებს შორის ჩამალული აზრის აღმოჩენასაც შეეცდება, მისთვის საინტერესო მოსაზრებებსაც მოინიშნავს და ავტორისთვის თუ პასუხის გაცემა გადაწყვიტა, დოკუმენტური მასალაც ხელთ ექნება.

თანამედროვე პირობებში (XXI საუკუნის დასაწყისს ვგულიხმობ) გაზეთს რამდენიმე მიზეზის გამო კითხულობენ:

ა) ცოდნისადმი გაცნობიერებული ან ქვეცნობიერი ლტოლვა;

ბ) მომხმარებლური (მერკანტელური) მიდგომა, ანუ გაზეთებიდან იმის შეტყობის სურვილი, რაც მას (მკითხველს), შესაძლოა, თავის პროფესიულ საქმიანობაში გამოადგეს (რეკლამა, ასტროლოგიური პროგნოზი, ამინდი, მდგომარეობა საფინანსო ბირჟაზე, საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებები, მოსალოდნელი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში...);

გ) წაკითხულ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველებთან, რედაქციასთან, ჟურნალისტთან, კომპანიასთან... ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა;

დ) თავისუფალი დროის რაციონალურად გატარების შესაძლებლობა.

ეს მოსაზრებები, ძირითადად, ყუბანის უნივერსიტეტის პროფესორ ჩერედნიჩენკოს დავესესხე, რომელმაც, თავის მხრივ, დასკვნები რუსი, ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით გამოიტანა. თავს ვერ დავდებ, რომ ისინი ზუსტად მიესადაგება საქართველოში ან სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ალბათ, არსებობს კიდევ ბევრი მიზეზი, რის გამოც ადამიანები მდარე ხარისხის ტელესერიალებისგან გამოთაყვანებას, ჟურნალ-გაზეთების გულისყურით კითხვას ამჯობინებენ.

ამ სტრიქონებს იმ დროს ვწერ, როცა საქართველოში და მსოფლიოს თითქმის ყველა საქართველოსნაირ (ეკონომიკურად დაცემულ და პოლიტიკურად დეზორიენტირებულ) ქვეყანაში უფრო აქტუალურია კითხვები — რატომ არ კითხულობენ გაზეთებს? ან რატომ უნდა კითხულობდნენ გაზეთებს? (მერწმუნეთ, ეს კითხვები მთელ მსოფლიოში მრავალი წლის შემდეგაც აქტუალური იქნება).

მეორე კითხვა შედარებით იოლია და ზემოთ მას ნაწილობრივ ვუპასუხეთ კიდეც — თუ თქვენთვის სულერთი არ არის კაცობრიობის ბედი, თუ ადამიანთა საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება გსურთ, გაზეთებიც უნდა იკითხოთ. თუმცა, ეს კითხვა-პასუხი განკუთვნილია მკითხველებისთვის. ჟურნალისტებისთვის უფრო აქტუალურია სხვა კითხვა — როგორი უნდა იყოს გაზეთი, რომ იგი წაიკითხონ?

ჩვენი ვალია, ისეთი გაზეთი (ჟურნალი) გამოვუშვათ, რომელსაც ადამიანები წაიკითხავენ, იქ სათავისოს მუდამ იპოვნიან, მიეჩვევიან და დაიმეგობრებენ კიდეც.

მართლაც ურთულესი ამოცანაა.

რა თქმა უნდა, იმის იმედი არ მაქვს, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, მცირერიცხოვან საქართველოში მოღვაწე ურიცხვი ამბიციური რედაქტორი კალამს გადადებს და ალექსანდრე ყაზბეგივით, მეცხვარეობას დაიწყებს. თუ ვინმე ზოგიერთ რჩევას გაითვალისწინებს და საკუთარი გაზეთის წარუმატებლობას მთლიანად პრეზიდენტ შევარდნაძეს, ჯორჯ სოროსს* ან არარსებულ საერთაშორისო მასონურ ორგანიზაციას არ გადააბრალებს, ესეც კარგი იქნება.

1992 წლის ბოლოს თუ 93-ის დასაწყისში პრეზიდენტ შე-

ვარდნაძის ყოფილმა კომპარტიელმა თანამებრძოლმა, უკვე გარდაქმნილ-გარდასახულმა, ალბათ, პრეზიდენტისვე დავალებით, ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიური, დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის გამოშვება გადაწყვიტა. ჩატარდა რაღაც შინაურული კონკურსიც. მასში ორი შემოქმედებითი ჯგუფი ვმონაწილეობდით. ჟიურისა და უზენაესი მსაჯულის როლი თვითონ იმ პარტიულმა ბოსმა იკისრა.

დათქმულ დროს წარვადგინეთ ჩვენი კონცეფცია გაზეთის სანიმუშო ნომერთან ერთად. ახლა, ამ ამბიდან მრავალი წლის შემდეგ ვიცი, რომ ჩვენს კონცეფციას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ეს იყო მაინც ცენზურისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი გაზეთის შექმნის მცდელობა. ბოსი (სხვათა შორის, არცთუ უნიჭო ადამიანი) ყურადღებით გაეცნო ჩვენს მოსაზრებებს და თავისიც გაგვაცნო. მისი ღრმა რწმენით, გაზეთი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი, ოღონდ უნდა დარქმეოდა „მოქალაქე“ (იმდროინდელი მმართველი პარტიის, „მოქალაქეთა კავშირის“ ანალოგიით), რედაქცია უნდა დაკომპლექტებულიყო ამავე პარტიის თანამგრძნობი ჟურნალისტებით, გაზეთში უნდა გატარებულიყო პარტიის „გენერალური ხაზი“, გამოსაქვეყნებელი მასალები უნდა შეთანხმებულიყო პარტიის შესაბამის ინსტანციებთან და, რაც მთავარია, გაზეთის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება „ახლებური აზროვნების“, „დემოკრატიზმის პრინციპების“, მაშინ უღმერთოდ ექსპლუატირებული „პლურალიზმის“ დამკვიდრება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო! გაზეთის გამოცემას პრეზიდენტის ფონდი დააფინანსებდა.

ვცადე მისთვის ამეხსნა, რომ პარტიული გაზეთი ვერ იქნებოდა ვერც თავისუფალი და ვერც დამოუკიდებელი; ვერასოდეს ვერ მოახერხებდა საზოგადოების ინტერესების გამოხატვას, ვერ მოიხვეჭდა პოპულარობას და განწირული იქნებოდა წარუმატებლობისთვის. იმის ახსნაც ვცადე, რომ ფულის და დროის უქმად ხარჯვა არ ღირდა.

მოვიშველიე კიდევ ბევრი არგუმენტი; ვისაუბრეთ, ზოგადად, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე; ფორთოხლის წვენიც ბლომად დავლიეთ. ბოსი შეუვალი იყო — ერთ-ერთი დიდი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნობისას, მრავალტირაჟიან გაზეთს ვუშვებდი და პრესის ავან-ჩავანი თქვენზე ნაკლებ არ მომეხსენებაო.

ბუნებრივია, ვერ შევთანხმდით, მაგრამ მალე ერთი სახელიანი ჟურნალისტის რედაქტორობით „მოქალაქე“ მაინც გამოვიდა. მან სულ წელიწადნახევარს იცოცხლა და უსახელოდ გარდაიცვალა. მისი ბედი შემდეგ ბევრმა არანაკლებ ამბიციურმა გამოცემამაც გაიზიარა. მათ შორის აღმოჩნდა მილიარდელ ბადრი პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგი „მთავარი გაზეთი“. ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვი, მკითხველს აინტერესებს პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტის მცდელობა, განსჯის პროცესში უშუალო მონაწილეობა და არ აინტერესებს რომელიმე პარტიული ბოსის კაბინეტში შეთხზული უალტერნატივო რეცეპტები.

„მთავარის“ გაკოტრების მთავარი მიზეზები გახლდათ მისი სრული დეზორიენტაცია, ხელისუფლებისთვის „კოჭის გორების“ დაუძლეველი სურვილი; რედაქციის „სამზარეულოში“ „ზემოდან“ სისტემატური და უხეში ჩარევები; შემოქმედებითი კადრების „სანდოობის“, „ერთგულების“ და პოლიტიკური პრინციპების, ანუ სრული უპრინციპობის მიხედვით შერჩევა. შედეგად, მედია-ჰოლდინგის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდნენ სიმპათიური, განათლებული და სერიოზული პრესისთვის ყოვლად შეუფერებელი ადამიანები, მოკლედ — პროფანები.

იყო, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც: არასწორი მენეჯმენტი, შეფასების კრიტერიუმების არარსებობა, სისტემატური რუბრიკაციის უგულებელყოფა, დავალებათა შესრულების დაბალი დონე და, როგორც დეილ კარნეგი* იტყოდა, სხვა „დიდი წვრილმანი“. მაგრამ მისი ტრაგედიის მთავარი მიზეზი მაინც მისივე სწორხაზოვანი პარტიულობა იყო. გთხოვთ, მენდოთ — ლიკვიდაციამდე ცოტა ხნით ადრე, მფლობელთა დავალებით, ჰოლდინგის წარუმატებლობის მიზეზები საკმაოდ საფუძვლიანად შევისწავლე. ამ გამოცემაზე ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბეთ, რომ იგი, იმჟამინდელი ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, საკმაოდ კარგად იყო დაფინანსებული.

სანამ გაზეთს ან ჟურნალს გამოსცემდეთ, კარგად უნდა მოიფიქროთ, ვინ იქნება თქვენი ძირითადი მკითხველი — ფერმერი, პედაგოგი, არისტოკრატი, ბიზნესმენი, აზარტული თამაშების ტრფიალი, თინეიჯერი, ცივსისხლიანი ბერიკაცი, ინტელექტუალი უსაქმური, თუ ყველა ერთად. ისიც უნდა იცოდეთ, სად გავრცელდება თქვენი გაზეთი — მთელ

პლანეტაზე, მთელ ქვეყანაში, რეგიონში, კოლეჯში, თუ ქარხნის საქმიან ეზოში.

სასურველია, გაზეთს საკუთარი სახე ჰქონდეს. ეს არ ნიშნავს რაღაცის გამოგონებას. საუბარია დიზაინზე, ფორმატზე, რუბრიკებზე... მოკლედ, ვიზუალურ მხარეზე. რა თქმა უნდა, ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს. საბავშვო გამოცემებისთვის დამახასიათებელი „სიჭრელე“ სასაცილო და დამღუპველია სერიოზული პრესისთვის. ისევე, როგორც შეუძლებელია ყვითელი პრესისთვის დამახასიათებელი დიზაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთისთვის მისადაგება.

გაზეთის იერსახის ხშირი და რადიკალური ცვლა ძალიან სახიფათოა — მკითხველს დაკარგავ ან, თუ არ გყავს, ვერ შეიძენ. ამის მიზეზი უბრალოა — მკითხველი ეჩვევა გაზეთს. ამიტომ ცვლილებები აუჩქარებლად უნდა განხორციელდეს. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ თელაველ მკითხველს იაპონიის სანაპიროებთან ქარიშხალ „ივანის“ მიერ დატრიალებულ ტრაგედიაზე მეტად კურდღელაურში მოსული სეტყვის შედეგები ან ექიმ ლევან ჯამრულიძის ოჯახური ამბები აინტერესებს. როგორც გითხარით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მენეჯმენტს, რედაქტორების, ჟურნალისტების, რედაქციის მუშაობის სტილს, პროფესიონალიზმს, ტექნიკურ შესაძლებლობებს და ა. შ.

თუმცა, მთავარი მაინც ფულია. მით უფრო, თუ ცხოვრობ იმ ქვეყანაში, სადაც მკითხველთა უდიდესი უმრავლესობა უმძიმესი არჩევანის წინაშე დგას — ან გაზეთი, ან პური.

გაზეთის დამოუკიდებლობას, ძირითადად, მისი ფინანსური დამოუკიდებლობა განსაზღვრავს და არა შემსრულებლების ნიჭი, მონდომება და ამბიცია. ჩემი, ჟურნალისტის, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კანონით ჩემთვის მონიჭებული უფლებები, სამწუხაროდ, გაზეთზე არ ვრცელდება.

თავის მოტყუებას ვერავინ დაგიშლით, მაგრამ იმის იმედი ნუ გექნებათ, რომ დეკლარირებული თავისუფლებით მკითხველს მოატყუებთ. თანაც, პოლიტიკური ამბიციების არმქონე ფულიანი მეცენატის მოძებნაც ძალიან ძნელია...

თუმცა, არც ხელის ჩაქნევა ღირს — ოცდამეერთე საუკუნის მიწურულისთვის ყველაფერი კარგად იქნება.

თავი II

ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები...

როგორ მოვამზადოთ საგაზეთო მასალა

ამაზე უკვე ვისაუბრეთ: ჟურნალისტის პროფესია ახალგაზრდობას საკუთარი ცხოვრებისეული გამოუცდელობისა და პროფესიის მოჩვენებითი რომანტიკულობის გამო მოსწონს — მე, ჟურნალისტი ქარივით თავისუფალი ვარ: ვაკეთებ, რასაც მინდა, მივდივარ, სადაც მინდა, შევხვდები, ვისაც მინდა...

მართლაც მომხიბლავი პერსპექტივაა, თუ დავუმატებთ, რომ თქვენ უკვე გიცნობენ პოპულარული პოლიტიკოსები, სამხედრო პირები, სპორტსმენები, ჰოლივუდის ვარსკვლავები და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებიც კი.

იქნებ ოდესმე მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ სინამდვილე რომანტიკისთვის ადგილს არ ტოვებს. წარმოიდგინეთ, ასეთი ტიპიური ვითარება: დილის სარედაქციო თათბირზე ჟურნალისტებს დავალებებს აძლევენ — თბილისში მსოფლიო სახელის პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი ჩამოსულა; სახელგანთქმულ ნინო რამიშვილს ოთხმოცი წელი შესრულებია; ფილარმონიაში ლეგენდარული რასტროპოვიჩი* დაუკრავს; თბილისის „დინამო“ ინგლისურ „ვესტ ჰემს“ ეთამაშება; შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან გადამდგარა; დისიდენტი მერაბ კოსტავა ციხიდან გამოუშვიათ; ავჭალის კოლონიაში პატიმრების ამბოხი დაწყებულა...

მართლაც მდიდარი არჩევანის გაქვთ, მაგრამ დავალებებს ხომ რედაქტორი იძლევა! ჰოდა, ეს „დიქტატორი“ რედაქტორი გავალებთ მოამზადოთ საგაზეთო მასალა შრომის სამინისტროს ერთ-ერთ ჩინოვნიკთან. შეგიძლიათ უარი თქვათ ამ არცთუ პრესტიჟული დავალების შესრულებაზე, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ასეთ შემთხვევაში, რედაქტორსაც შეუძლია უარი თქვას თქვენთან თანამშრომლობაზე. უფრო გასაგებად — სავსებით შესაძლებელია, უმუშევარი დარჩეთ. თქვენც ბედს ურიგდებით. მეტიც, ცდილობთ ამ დავალებიდან რაც შეიძლება მეტი „გამოწუროთ“.

იწყებთ ინფორმაციის შეგროვებას ბატონ ვახტანგზე — პირობითად ასე დავარქვათ ჩინოვნიკს. კოლეგა-ჟურნალისტი გკარნახობთ, რომ ამ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობს მისი თანაკურსელი ქალბატონი, რომელსაც შეუძლია ინფორმაცია მოგაწოდოთ ამ პიროვნებაზე. ხვდებით ქალბატონ ლიზას და არკვევთ, რომ ბატონი ვახტანგი ამ თანამდებობაზე თურმე, სულ ორი წელიწადია მუშაობს. მანამდე ჯერ მძღოლი ყოფილა, მერე გარაჟის გამგე. იმავე ქალბატონ ლიზასთან არკვევთ, რომ თქვენი მომავალი რესპონდენტის თაობაზე საინტერესო ინფორმაცია შეიძლება მოგაწოდოთ სამინისტროს გარაჟის ყოფილმა გამგემ, რომელიც ამჟამად სიღნაღში ცხოვრობს.

მიემგზავრებით სიღნაღში. ხვდებით ბატონ ნიკოს, რომელსაც იქაურები „წიწკანას“ სახელით იცნობენ. მას ჯერ არ უნდა წარსულის გახსენება, მაგრამ, მერე, მწვადზე და ჭიქა ღვინოზე ფრიად საინტერესო ამბებს ჰყვება. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: **ეცადეთ, არ გამოიყენოთ დიქტოფონი, მით უფრო — ვიდეოტექნიკა, ინფორმაცია არ ჩაიწეროთ. თქვენს ხელში დანახული რაიმე ტექნიკა, თვით ავტოკალამიც კი, მოსაუბრეს თქვენს მიმართ ერთგვარი შიშით და უნდობლობით განაწყობს. მას, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიციის ან სასამართლოს ასოციაციები უჩნდება. იწყებს სიტყვებისა და მოვლენების შერჩევას. მოკლედ, ფსიქოლოგიური დისკომფორტი ექმნება. მაშ, ყველაფერს როგორ დაიმახსოვრებთ? — ძალიან კარგად! — მთავარია, საუბრის დროს შეძლოთ ყურადღების კონცენტრაცია. გახსოვდეთ, რომ თქვენ აქ ჩამოხვედით სამუშაოდ და არა დროის სატარებლად. საუბრის შემდეგ, ეცადეთ, გაიხსენოთ ყველაფერი, რასაც, შესაძლოა, საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. ისიც გახსოვდეთ, ვიდრე მასალა არ მოგიმზადებიათ, არ არსებობს არავითარი მეორეხარისხოვანი ინფორმაცია — ყველაფერი პირველხარისხოვანია.**

მოკლედ, ძია წიწკანა, ოდესღაც გარაჟის გამგე, ახლა კი ფერმერი-მევენახე გიამბობთ, რომ ბატონი ვახტანგი, მეტსახელად „მაღაზია“, მისი გარე ბიძაშვილი და თანასოფლელია. ვიდრე დედაქალაქში ჩავიდოდა, ღვინის ქარხანაში შოფრად მუშაობდა.

დაბადებულია 1945 წელს. ჰყავს ცოლი და სამი შვილი. განათლებულია. კარგი ორატორი და საინტერესო მოსაუბრეა. ხშირად ცრუობს, ოღონდ, შენიღბულად. როცა აქაურ უფროსობასთან საქმე გაფუჭებია, დასახმარებლად წიწკანასთან მისულა. მასაც სამინისტროს გარაჟში მოუწყვია. სულ მალე მინისტრს მოხვედრია თვალში და მის პირად შოფრად გადასულა. მერე იმდენი უქნია, თავისი კეთილისმყოფელი წიწკანა გარაჟის გამგეობიდან მოუხსნევინებია და მისი ადგილი დაუკავებია. მერე სამეურნეო განყოფილების უფროსად და, საბოლოოდ, მინისტრის მოადგილედ დაუწინაურებიათ.

ძია წიწკანას თქმით, ვახტანგი-მაღაზია ნიჭიერი, თუმცა დაუნდობელი და ორპირი კაცია. საქმე, რომელიც აბარია, არ იცის, მაგრამ ამას შესანიშნავად ფარავს მოჩვენებითი სერიოზულობითა და სიმკაცრით. ტიპიური კარიერისტია. იცის უფროსობასთან თავის დაჭერა. თუ დასჭირდა, არც ქრთამის აღებასა და გაცემაზე ამბობს უარს. კარგად მღერის. მალე თვრება და საკუთარ მოქმედებაზე ყოველგვარ კონტროლს კარგავს. ამის გამო ხშირად ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. თანამშრომლებს არ უყვართ და ზურგს უკან დასცინიან კიდეც.

რას იტყვით, საკმაოდ მსუყე ინფორმაციაა, არა? ახლა იგი უნდა შეამოწმოთ და გაამდიდროთ. ამიტომ კვლავ სამინისტროში მიდიხართ. ოღონდ, ძალიან ფრთხილად მოქმედებთ. იქაურმა თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ, რომ თქვენ იქ უკეთილშობილესი მიზნით მიხვედით.

გახსოვდეთ, რომ განაწყენებული თანამშრომლები უფროსების მიმართ მაინცდამაინც დიდი ობიექტურობით არ გამოირჩევიან. ამიტომ უნდა იმოქმედოთ ე.წ. „ორმაგი დაზღვევის“ პრინციპით — შეაგროვოთ ცნობები მომხრეებისგანაც და მოწინააღმდეგეებისგანაც. განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება რაიმე კრიმინალურ ისტორიას. თუ ორივე მხარის მოსაზრებები გაქვთ, მათი შეჯერება და დასკვნის გამოტანა თქვენს გონებამახვილობაზე, გამოცდილებაზე და, რაც მთავარია, თქვენს სინდისზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ჩვენს პირობით გმირზე, ბატონ ვახტანგზე შეგროვებული ინფორმაცია თავისთავად საინტერესო იყოს, მაგრამ ვიდრე მასალას ამზადებთ, იგი იქნებ პენსიაზე გავიდეს, ან რაიმე უბედურება დაატყდეს თავს. ასეთ შემთხვევაში,

თქვენი ნაშრომი წყალში გადაყრილად ჩათვალეთ — პროფესიული ინტერესის გარდა ამქვეყნად არსებობს კიდევ ზნეობა.

ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მიდის. უკვე ხელთა გაქვთ საკმაოდ სერიოზული ინფორმაცია თქვენი მომავალი რესპონდენტის ბავშვობის, სწავლა-განათლების, ხასიათის, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობის, ინტერესების შესახებ. საგაზეთო მასალაში, რა თქმა უნდა, ყველაფერზე არ ილაპარაკებთ, მაგრამ ამ ცოდნით შეიარაღებული მიდიხართ ბატონ ვახტანგთან. სავსებით შესაძლებელია, მან თქვენზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინოს, ვიდრე ელოდით. ასე იქნება, თუ ისე, თქვენ დაახლოებით იცით, „რა ენაზე“ უნდა ესაუბროთ რესპონდენტს. იცით, როგორ უნდა დაუხატოთ მკითხველს მისი პორტრეტი. **თქვენ ვალდებული ხართ უკუაგდოთ ყველა საეჭვო ინფორმაცია, რომელიც რესპონდენტის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს — ადამიანს ისედაც ბევრი ნაკლი აქვს და რაიმეს მიკერება სულაც არ არის აუცილებელი.** წინასწარ მიღებული ინფორმაცია გეხმარებათ პიროვნების ხასიათის გასახსნელად, ამ პიროვნების „გასაშიშვლებლად“.

დაახლოებით ასეთი პრინციპით მოქმედებს მსოფლიოს ყველა კვალიფიციური და სინდისიერი ჟურნალისტი. თუმცა, ამქვეყნად არც უსინდისო დაილევა, მაგრამ მათზე, მოდი, ნუ ვილაპარაკებთ.

და კიდევ ერთი — **ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ, ჟურნალისტს, უბრალო მოკვდავთა (თუნდაც ეს „უბრალო“ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს) წინაშე დიდი უპირატესობა გაქვთ და ამის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. ასეთმა ერთადერთმა შემთხვევამაც კი, შესაძლოა, სამუდამოდ დაღუპოს თქვენი ჟურნალისტური კარიერა. პრესა არ შეიძლება იყოს წვრილმანი ანგარიშსწორების სარბიელი.**

ინფორმაცია შეგროვებულია, შთაბეჭდილება ჩამოყალიბებულია. ახლა წმინდა ტექნიკური მხარე რჩება — ამ ყველაფრის ქაღალდზე გადატანა. თუ როგორ კეთდება ეს, ამის ნიმუშად შემოგთავაზებთ 1991 წლის სექტემბერში რუსულ „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან.

ავტოპორტრეტი

— ბატონო ზვიად, თქვენ დიქტატორი ბრძანდებით?

— აი-აი! რომელი დიქტატორი და რომელი დიქტატორული რეჟიმი აიტანს ანარქიას, რაც აქ ხდება — გესმით? ერთი შეტაკება იყო...

— 2 სექტემბერს? ტე-ეს-ენმა უჩვენა.

— დიახ. და მაშინაც მილიციას შეეშინდა, როცა დაუწყეს ცემა და ქვების სროლა, თვითონ ჰაერში ისროდა.

— იქ ხომ დაჭრილებიც იყვნენ...

— ამისთვის მილიციასაც ვსჯით. მეტი რა ვქნათ? ისინი კი... ახლა ამუქებენ, თითქოს ეს სისხლიანი რეჟიმი, დიქტატორული რეჟიმია... და ასე შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენთან ბევრად მეტი დემოკრატიაა, ვიდრე საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და... სადაც გნებავთ! არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო არ აიტანს იმას, რასაც ჩვენ ვიტანთ, გესმით?

— ესე იგი, თქვენ გული გტკივათ და ეს ყველაფერი გაწუხებთ?

— ცოტათი მაწუხებს, როცა ხედავ, რომ დიქტატორის იარლიყს, რის წინააღმდეგაც ვიბრძოდი მთელი ცხოვრება, მე მაკერებენ, მე კი არ დამიმსახურებია — აი, ეს...

— „სვობოდამ“ გადმოსცა თქვენი გამოსვლა თბილისის მიტინგზე, სადაც თქვენ ხალხს მოუწოდებდით — სიტყვა-სიტყვით — „ოპოზიციის ჩაქოლვას“. როგორ შეიძლება ასე იყოს?

— აბსოლუტური სიგიჟეა! მსგავსი რამ არ ყოფილა. ალბათ ვთქვი, რომ ოპოზიცია გვესვრის ქვებს და, აი, ეს გადაასხვაფერეს, ვითომ ჩვენ ვესვრით... ერთადერთი, რაც ვთქვი, რომ — ჩვენ არ ავიტანთ... მოკლედ, თუ ისინი სამხედრო ძალადობას მიმართავენ, აი, მაშინ მიიღებენ პასუხს. და ეს ბუნებრივია. მათ კი ახლა აიჩემეს: აი, ძალადობისკენ მოუწოდებსო! მე კი მხოლოდ ის ვთქვი, რომ შეიარაღებულ ძალადობას პასუხს გავცემთ. აი, მეტი არაფერი.

— თქვენ აკრძალეთ „ნეზავისიმაია გაზეტა?“

— მე მგონი, მაინც გამოდის... მაგრამ ცოტათი გვაწყენინა თქვენმა წარმომადგენელმა ბროლაძემ. ჩვენ მოვითხოვთ ბროლაძის შეცვლას. ეს არაობიექტური ჟურნალისტია.

— ანუ, თქვენ ინტერვიუს აძლევთ გაზეთს, რომელიც თავადვე აკრძალეთ?

— შემდგომში ჩვენი მეგობრული ურთიერთობა „ნეზავისიმაია გაზეტასთან“ ისევ აღდგება. ყველაფერი ბროლაძის გამო მოხდა. არაობიექტური ინფორმაცია დაბეჭდა.

— რომელი?

— მიჭირს ახლა გითხრათ. არ მახსოვს. ჩვენთან ყველაფერ ამაზე პრესცენტრი რეაგირებს. ის პასუხობს.

— და სად არის „იზვესტია“ და „კომსომოლკა?“ ისინი რატომ არ გამოდიან?

— იმიტომ, რომ იქაც „ველურ“ რაღაცეებს ბეჭდავენ.

— თქვენი შეხედულებით, არსებობს გაზეთი, რომელიც საქართველოზე სიმართლეს წერს?

— რუსეთის?

— ან ცენტრალური.

— მე არ მინახავს. სიმართლე გითხრათ... ყველაფერი არც ვიცი, თვითონ საქართველოში არის ობიექტური გაზეთები. მაგრამ არის, რა თქმა უნდა, პროვოკატორულიც.

— რა ულტიმატუმი წაგიყენეს სამხედროებმა?

— უპირველესად, საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური რეჟიმის აღდგენა და დამოუკიდებლობის გაუქმება...

— მათ სურდათ, თქვენ კომუნისტი გამხდარიყავით?

— აი... თითქმის ეს. მე ვუთხარი, რომ ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ, რომ ეს არ შეგვიძლია... ასეთი დიალოგი იყო. მაგრამ ისინი პირდაპირ იმუქრებოდნენ, რომ დაიწყებდნენ გვარდიის დაპატიმრებას. მე ვუთხარი: „ვერ გაბედავთ ამის გაკეთებას, რადგან ჩვენ გვარდიას უკვე მილიციის სტატუსი მივანიჭეთ“. ანუ გვარდია დარჩა, როგორც იყო, მხოლოდ ქაღალდზე მოხდა ეს, მათ კი ახლა აიჩემეს, რომ გვარდია დავშალე. ეს ტყუილია...

— როგორ აფასებთ რუსეთის პოზიციას ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ?

— ეს პროვოკაციული განცხადებაა, პირდაპირი ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში.

— პასუხს გასცემთ?

— რა თქმა უნდა, გავცემთ. ხვალ პარლამენტი იკრიბება.

— მაინც ვინ აწყობს ასეთ „პროვოკაციებს“, ბატონო ზვიად? როგორ ფიქრობთ?

— შოვინისტები. იმპერიული ძალები.

— კრემლის აგენტები?

— არ გამოვრიცხავ.

— რას გრძნობთ, როცა პარლამენტში შეურაცხყოფას გაყენებენ?

— დიახ, რა თქმა უნდა, აღშფოთებული ვარ, მაგრამ არ მინდა სისხლის სამართლის საშუალებები გამოვიყენო... პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის კანონი კი არსებობს, მაგრამ სინდისი ხომ უნდა იქონიონ?

— მაგრამ როცა თქვენ თვითონ შეურაცხყოფთ პარლამენტში თქვენს მოწინააღმდეგეებს?

— იცით, ისინი ზოგჯერ მაიძულებენ, ვუპასუხო. მაგრამ ყოველთვის ვეძებ გამოსავალს. მინდა დავიჯერო, რომ ეს შესაძლებელია და ყოველი ძალით ვცდილობ.

— გასაგებია... მაინც აქამდე რატომ არ მიეცით გლეხებს მიწა. გორბაჩოვმაც კი გააკეთა ეს. თქვენ ოპოზიცია ბრალს გდებთ, რომ პრივატიზაციას არ იწყებთ...

— ტყუილია! არა-არა, ეს ტყუილია!.. მაგრამ საჭიროა საკანონმდებლო საფუძველი. ჩვენ ახლახანს მივიღეთ კანონი. გავაკეთებთ.

ტატიანა მალკინა, ანდრეი კარაულოვი („ნეზავისიმაია გაზეტას“ ინფორმაცია).

უმაღლესი კვალიფიკაციის ორმა ჟურნალისტმა, იურიდიული ჟარგონი რომ მოვიშველიო, ჯვარედინი დაკითხვის ქარცეცხლში გაატარა პოლიტიკურ ინტრიგებში გამოუცდელი პრეზიდენტი და მკითხველს მისი ნამდვილი სახე დაანახა. და ეს მოხერხდა ამ პიროვნების წინასწარი საფუძვლიანი შესწავლით.

კიდევ ერთი „პატარა“ შტრიხი — ამ ინტერვიუს სათაური. უფრო ვრცლად სათაურებზე მომავალში ვისაუბრებთ (თუ მანამდე ამ წიგნის გაცნობის სურვილი არ გაგიქრათ!), მაგრამ ნახეთ, რას არქმევენ ავტორები ამ ინტერვიუს — „ავტოპორტრეტი“.

ამით მათ „ნეზავისიმაია გაზეტას“ მრავალმილიონიან აუდიტორიას არაორაზროვნად მიანიშნეს, ჩვენ, ბატონებო, არაფერი გამოგვიგონია, არც რაიმე შეგვილამაზებია, არც რაიმე დაგვიმახინჯებია, უბრალოდ, რესპონდენტისვე ხელით შექმნილი ავტოპორტრეტი შემოგთავაზეთო.

მართლაც შესაშური პროფესიონალიმზი და გონებამახვილობაა.

სხვისი პორტრეტის შექმნით გართულებს ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი ყოველი ჟურნალისტური ნაშრომი თქვენივე (ავტო)პორტრეტიცაა.

ყოვლისმცოდნეობა საშიში სენია

ერთხელ საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფრიად ორიგინალური გადაწყვეტილება — ყოველ ორშაბათს ჟურნალისტისთვის მიეცა რადიოინტერვიუ. პრეზიდენტი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ასეთი ნაბიჯი მას ხალხის მასებთან დააახლოებდა. ორშაბათის ინტერვიუ ყოველთვის ერთსა და იმავე ჟურნალისტს მიჰყავდა.

ქალბატონი ჟურნალისტი ამავე დროს გახლდათ პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელი*, ხშირად ხვდებოდა თავად პრეზიდენტს, მის მომხრეებს და ოპოზიციონერებსაც. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვას, ტრიალებდა თითქმის ყველა პოლიტიკური მოვლენის ცენტრში. ბუნებრივია, მის განკარგულებაში იყო უზარმაზარი ინფორმაცია. ამიტომაც თუ გამოუცდელობის გამო, ძალზე სწრაფად ირწმუნა, რომ შეეძლო თვითონვე ეპასუხა პრეზიდენტისთვის დასმულ თითქმის ყველა კითხვაზე. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ „ორშაბათის ინტერვიუმ“ მალე დაკარგა აქტუალობა, მსმენელმა კი — მისადმი ყოველგვარი ინტერესი. პრეზიდენტის ინტერვიუ ანეკდოტების წყაროდ იქცა. კითხვა-პასუხი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

კითხვა: ბატონო პრეზიდენტო. ამას წინათ, პრეზიდენტ კლინტონთან* შეხვედრისას აღნიშნეთ, რომ გაერომ უფრო მოქნილი და მკაცრი პოლიტიკა უნდა გაატაროს სეპარატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. თქვენ აგრეთვე ბრძანეთ, რომ გაერო საკმაოდ „ზანტი“ ორგანიზაციაა და უჭირს გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება. ასეთი მოქმედება, დამეთანხმებით, ხელს უწყობს სეპარატისტულ მოძრაობას. გაერო რომ ოპერატიულად მოქმედებდეს, საქართველო დიდი ხანია მოაგვარებდა პრობლემებს აფხაზეთთან, აზერბაიჯანი — მთიან ყარაბაღთან, რუსეთი — ჩეჩნეთთან და ასე შემდეგ. თქვენი აზრით, უნდა გარდაქმნას თუ არა მუშაობა გაერომ, უნდა ჰყავდეს თუ არა მას მობილური სამხედრო ძალა, უნდა შეეძლოს თუ არა გადაწყვეტილების სწრაფად მიღება?

პასუხი: დიახ, მართალი ბრძანდებით.

პრეზიდენტი ასეთ ლაკონიურ პასუხს იქნებ არც იძლეოდა, მაგრამ იგი ძალიან ხშირად იძულებული იყო, უბრალოდ, „გადაემღერებინა“ ჟურნალისტის ნათქვამი, ვინაიდან თავის კითხ-

ვაში ჟურნალისტმა უკვე თქვა პასუხის ყველა შესაძლო ვერსია და პრეზიდენტს სათქმელი თითქმის არ დაუტოვა.

ჟურნალისტებს, მათ შორის საკმაოდ ცნობილ ჟურნალისტებსაც, ხშირად ეჩვენებათ, რომ მკითხველს რაიმე თემაზე მათი საუბარი უფრო აინტერესებს, ვიდრე ამ საქმის სპეციალისტისა.

დიდი ხნის წინათ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცემოდა კლასიკური მუსიკისადმი მიძღვნილი გადაცემათა ციკლი. წამყვანი შესანიშნავად ერკვეოდა კლასიკურ მუსიკაში და გადაცემასაც მშვენივრად უძღვებოდა. მაგრამ მაყურებლისა და მსმენელისთვის გაუგებარი იყო ამ გადაცემაში მიწვეული სპეციალისტის მონაწილეობა — მთელი გადაცემის განმავლობაში იგი ან უბრად იჯდა ან, თუ წამყვანი რაიმეს ჰკითხავდა, უმალვე სიტყვას ჩამოართმევდა და საკუთარ შეკითხვას თვითონვე პასუხობდა.

თავისი სიტყვაძუნწობით ცნობილ საქართველოს სამხედრო მინისტრს, გენერალ თევზაძეს ერთმა ტელეჟურნალისტმა დაახლოებით ასეთი შინაარსის შეკითხვა დაუსვა:

— ბატონო მინისტრო, ქვეყნის წლევანდელი სამხედრო ბიუჯეტი ...მილიონი ლარია. ეს თანხა ჯარის მხოლოდ გამოკვებისთვისაც კი არ არის საკმარისი. იარაღის შეძენასა და სამხედრო მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არა გვყავს საშუალო და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა. ამას ზედ დაერთო ბიუჯეტის სეკვესტრი, რომელმაც თქვენი უწყების ფინანსური შესაძლებლობები კიდევ 30 პროცენტით შეამცირა. ასეთ ვითარებაში, შევძლებთ თუ არა დაკარგული ტერიტორიების იარაღის ძალით დაბრუნებას?

ჟურნალისტმა ამ შემთხვევაშიც ყველაფერი იცის, ყველაფერს ამბობს და „საწყალ“ მინისტრს სათქმელს არაფერს უტოვებს. ამიტომ გენერლის პასუხიც უკიდურესად ლაკონიური და გროტესკულია:

— თქვენ რას ფიქრობთ?

ერთ-ერთი საპრეზიდენტო არჩევნებისას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა ვრცელი ინტერვიუ შევარდნაძესთან. აქ უცნაური, რა თქმა უნდა, არაფერია. უფრო ზუსტად, არაფერი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა — ინტერვიუ მოქმედი პრეზიდენტის და მომავალი ასპროცენტიანი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის უახლოეს მრჩეველს, გელა ჩარკვიანს მიჰყავდა.

ეტყობა, ვიღაც ძალიან „ჭკვიანმა“ ურჩია პრეზიდენტს, რომ თუ ინტერვიუს ჩარკვიანი წაიყვანდა, ეს ამომრჩეველთა თვალში უფრო პრესტიჟულად გამოჩნდებოდა. სინამდვილეში, ფოლკლორიდან კარგად ცნობილი გუგულისა და მამლის დიალოგი გამოვიდა — კორესპონდენტი სამი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ხოტბას ასხამდა რესპონდენტს. ამ გადაცემით, სავარაუდოა, შევარდნაძემ ამომრჩეველთა რამდენიმე ათეული ათასი ხმა დაკარგა.

ასეთი მაგალითების მოყვანა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრესიდან შეიძლება. მდიდარი ინფორმაცია ხშირად აცდუნებს ხოლმე ჟურნალისტს — გაზვიადებულ წარმოდგენას უქმნის საკუთარ შესაძლებლობებზე. მას ხშირად ავიწყდება (ან შეგნებულად ივიწყებს!), რომ მკითხველს სამხედრო ამბების შესახებ ჟურნალისტისაზე მეტად გენერლის აზრი აინტერესებს, პოლიტიკის შესახებ — პრეზიდენტისა, მათემატიკის შესახებ — მათემატიკოსისა, ფეხბურთის შესახებ — მწვრთნელისა და ა.შ. **თუ არ გსურთ, სასაცილო ვითარებაში აღმოჩნდეთ, ნუ ეცდებით საკუთარი ცოდნის დემონსტრირებას — ეს თქვენი ნაწერიდან თუ ნათქვამიდან ისედაც გამოჩნდება. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ არიან ადამიანები, ვისაც ნებისმიერ დარგში თქვენზე განუზომლად მეტი ინფორმაცია აქვთ.**

ბევრმა ჟურნალისტმა საკმაოდ კარგად იცის ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, პოლიტოლოგია, სამხედრო საქმე და ა.შ. შეუძლია სწორი დასკვნების გამოტანა და მომავლის წინასწარმეტყველებაც კი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალისტს, პარლამენტის წევრისგან განსხვავებით, არა ჰყავს ოპონენტი, რომელიც დაუყოვნებლივ მიუთითებდა შეცდომაზე, მართლაც დიდია საკუთარი ცოდნა-განათლებით წაკეკლუცების ცდუნება. რას ვიზამთ, ჟურნალისტებიც ადამიანები არიან და ადამიანური სისუსტეები არც მათთვის არის უცხო. მართალია, საკუთარი ცოდნით კოპწიაობისთვის კანონმდებლობაში რაიმე სასჯელი არ არის გათვალისწინებული, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ერთობ სასაცილო ვითარებაში ჩაიგდოთ თავი.

ჟურნალისტის ნაშრომი (როგორც მწერლისა) აისბერგს უნდა ჰგავდეს — ხილული მისი მცირე ნაწილი უნდა იყოს. თუ საკუთარ საქმეს მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებთ, მკითხველს აისბერგის ხილული ნაწილიდან მისი მთლიანი მოცულობის წარმოდგენა სულაც არ გაუჭირდება, მკითხვ-

ელს თქვენი ცოდნის და ტალანტის დადგენა თქვენი დაწერილი რამდენიმე წინადადებითაც კი შეუძლია. ასე რომ, თუ თავის გამოჩენა გსურთ, ნუ ეცდებით თავის გამოჩენას.

ერთ ჭკუის სასწავლებელ ისტორიას გიამბობთ:

1988 წლის ზაფხულში რედაქციაში მეცნიერი-მათემატიკოსი გვესტუმრა. ეს იყო ორმოცდაორი-ორმოცდასამი წლის კაცი, მეცნიერებათა დოქტორი. ბატონი ზურაბი ამტკიცებდა, რომ მან ამოხსნა დღემდე საიდუმლოებით მოცული განტოლება. მისი სიტყვებით, ამას გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამტკიცებდა, რომ სამეცნიერო წრეები ხელოვნურად აჭიანურებდნენ მის აღიარებას, ვინაიდან მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთ ჩინოვნიკ-მეცნიერს ამ აღმოჩენის მითვისება სურდა, ზოგს მისი შურდა, ხოლო სხვას — მისი არ ესმოდა.

უმაღლეს სამეცნიერო წრეებში შურიანობა სულაც არ არის ახალი ამბავი და არც გამკვირვებია. რწმენა ამ კაცის გენიალურობის თაობაზე მის რამდენიმე კოლეგა-მათემატიკოსთან საუბრის შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა. მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ხელმძღვანელსაც შევხვდი და ისიც დავადგინე, რომ ბატონ ზურაბს ინგლისის ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტი ეპატიჟებოდა.

ფორმულების ჯუნგლებში თვენახევრის ხეტიალის შემდეგ გაზეთში ბატონი ზურაბისა და მისი აღმოჩენის თაობაზე საკმაოდ ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე. გულის ფანცქალით ველოდი რეაქციას სამეცნიერო წრეებიდან. ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანებიდან მაინც, ვინც ჩემს სტატიაში რეტროგრადებად მოვიხსენიე.

თქვენც არ მომიკვდეთ, არავითარი გამოხმაურება!

შეიძლებოდა მეფიქრა, რომ გავიმარჯვე, მაგრამ ბატონ ზურაბსაც რომ არავინ შეეხმიანა, ამან დამაეჭვა.

კიდევ ერთხელ გადავამოწმე ჩემს ხელთ არსებული მასალები. კიდევ ერთხელ ვესაუბრე სპეციალისტებს და კიდევ ერთი სტატია გამოვაქვეყნე. ისევ დუმილი. მხოლოდ ნოემბრის ბოლოს დამირეკეს მეცნიერებათა აკადემიიდან და ბატონ ზურაბთან ერთად მიმიწვიეს.

დათქმულ დროს მივედით. კაბინეტში რამდენიმე დარბაისელი მეცნიერი გველოდა. კედელზე დაფა ეკიდა და ზედ სწორედ ის ბედნავსი განტოლება ეწერა. ბატონ ზურაბს ტაქტიანად სთხოვეს მისი ამოხსნა. მანაც დაიწყო, მაგრამ მალევე შეაჩე-

რეს და მსჯელობაში ხარვეზზე მიუთითეს. ბატონი ზურაბი ჯერ დაიბნა, მერე გაწიწმატდა და, თუმცა, მისთვის ხმა უბატონოდ არავის გაუცია, გაგულისებულმა მიგვატოვა.

პატივცემულმა მეცნიერებმა ძალიან უბრალოდ ამიხსნეს, რომ ეს განტოლება მართლაც ყოფილა თეორეტიკოსი მათემატიკოსების მრავალი თაობის ვნებათაღელვის საგანი. საბოლოოდ, მეცნიერებას დაუდგენია, რომ ეს იყო ამოუხსნელი ფორმულა, „მათემატიკური თამაში“. ბატონ ზურაბს არავინ არ ჩაგრავს და მისი ნაშრომის მითვისებასაც არავინ არ აპირებს, ვინაიდან ამას არავითარი აზრი არა აქვსო. რაც შეეხება საზღვარგარეთ მიწვევას, ბატონი ზურაბი ცოტა ახირებული, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, თუ თავისი თეორიული კვლევის სფეროს შეცვლის, წარმატებების მოპოვებაც შეუძლია და იმიტომაც იწვევენო.

ბატონი მეცნიერები თავის დროზე იმიტომ არ გამომეხმაურნენ, რომ მიხვდნენ, შევცდი. ისინი გაზეთის და, იქნებ, ჩემს სახელსაც გაუფრთხილდნენ. მადლობის მეტი რა მეთქმის. იმავე მეცნიერებს ძალიან მწარედ რომ გავეკრიტიკებინე, ღირსი ვიყავი — დავისჯებოდი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო.

თავი III

სტატია იწყება სათაურიდან

სათაური

შეიძლებოდა ასეც გვეთქვა და ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს იქნებოდა — წამება იწყება სათაურიდან. დაუკვირდით: მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის არც ერთ გაზეთში უსათაურო სტატია არ ქვეყნდება. ეს იმიტომ ხდება, რომ საგაზეთო პუბლიკაციის კომპოზიციაში სათაური სრულიად განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, უნიკალურ ფუნქციას ასრულებს: სათაურად გამოტანილი ის ერთი ან რამდენიმე სიტყვა უნდა შეესაბამებოდეს პუბლიკაციის შინაარსს; უნდა იყოს ლაკონიური და გონებამახვილური; მკითხველს უნდა აიძულებდეს, გაეცნოს პუბლიკაციას. რთული ამოცანაა? — დიახ, რთულია და სწორედ ამის ბრალია, რომ ძალიან ხშირად თვით გამოცდილი ჟურნალისტებიც კი ცდილობენ, როგორმე თავიდან აიცილონ სტატიის დასათაურების შრომატევადი პროცესი. ამას ისინი უბრალოდ და გენიალურად ახერხებენ — რედაქტორთან უსათაურო სტატიები მიაქვთ.

ზოგი რედაქტორი ამას გაგებით, შემწყნარებლურად ხვდება, ზოგი ბუზღუნებს, ზოგი ბობოქრობს, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი თავის ადგილას დგება: ყველა რედაქციაში მოიძებნება ერთი ან რამდენიმე ადამიანი, ვინც იცის, რომ სათაური სადღაც სტატიის სტრიქონებში (შინაარსში) ან სტრიქონებს შორის იმალება. უფრო ხშირად, მნიშვნელოვანი სტატიის სათაურს გუნდური წესით ეძებენ — რამდენიმე ადამიანი გულმოდგინედ ეცნობა სტატიის შინაარსს და ყველა თავის ვარიანტებს წერს. მერე ყველა ერთად ირჩევს ერთ შეჯერებულ ვარიანტს. ბევრ სერიოზულ გაზეთს სათაურის ოსტატის ერთი ან რამდენიმე შტატიც კი აქვს.

1985-1990 წლების მოდელის გაზეთ „თბილისს“ სტატიის დასათაურების ერთდროულად რამდენიმე დიდოსტატი ჰყავდა — თვით მთავარი რედაქტორი არჩილ გოგელია, ჟურნალისტები — ლია გოდერძიშვილი, ირაკლი ბერიაშვილი და ნანა ჯოხარიძე. „7 დღეში“ სათაურის გამოგონების გუნდური თამაში ვირტუოზულობამდე იყო აყვანილი და მასში რედაქციის თითქმის ყვე-

ლა თანამშრომელი, მათ შორის, ტექნიკური მუშაკებიც სიამოვნებით მონაწილეობდნენ.

სათაური არ არის რაიმე განყენებული ცნება. ის არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი სასათაურე კომპლექსის ერთ-ერთი (და მთავარი!) ელემენტი. თუ პროფესორ ვ.ი. ჩერედნიჩენკოს დავესესხებით, **სასათაურო კომპლექსი შედგება ისეთი ელემენტებისგან, როგორიცაა ანონსი, რუბრიკა, გაზეთის თემატური სვეტის დასახელება, ლიდი, საკუთრივ სათაური, ქვესათაური, ჩანართი ტექსტში.** პრესის აღქმის ფსიქოლოგიის კანონებით, მკითხველის მიერ წასაკითხი (გასაცნობი) მასალის შერჩევისას გადამწყვეტი როლი სწორედ სასათაურო კომპლექსს ენიჭება. ამ კომპლექსში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი საკუთრივ სათაურს უჭირავს.

პროფესორი ჩერედნიჩენკო იქვე ფრანგ კრიტიკოსს, ლუი ფორესტსაც იმოწმებს: **„კარგად დასათაურებული კარგი წიგნი აუცილებლად მოიპოვებს წარმატებას; ცუდად დასათაურებული კარგი წიგნი ვერასოდეს ვერ მოიპოვებს წარმატებას, კარგად დასათაურებულმა ცუდმა წიგნმა შესაძლოა მოიპოვოს წარმატება“.**

დავუბრუნდეთ სათაურის ფუნქციას. ჟურნალისტიკის ბევრი თეორეტიკოსის აზრით, ზოგ ნაშრომში (სტატიაში) სათაური მხოლოდ ასახელებს პრობლემას, რომლის გადაჭრის მცდელობა შემდეგ მოცემულია ტექსტში; სხვაგან — სათაური ტექსტში მოცემული შინაარსის თეზისი შეიძლება იყოს; ზოგჯერ კი ეს არის ე.წ. კოდი, ტექსტის გასაღები, რომლის გაშიფვრა მხოლოდ ტექსტის გულისყურით წაკითხვის შემდეგ არის შესაძლებელი.

1994 წელს უცნობმა პირებმა დაუდგენელი მიზნით მოკლეს პრეზიდენტ შევარდნაძის ფონდის ხელმძღვანელი სოლიკო ხაბეიშვილი. პრესამ ძალიან მტკივნეულად აღიქვა ეს თავხედური მკვლელობა. ერთ-ერთი საგაზეთო პუბლიკაციის სათაური ასე იკითხებოდა: „ვინ მოჰკლა სოლიკო ხაბეიშვილი?!“ ტექსტში მოცემული იყო მკვლელობის რამდენიმე შესაძლო ვერსია. ცნობილი დისიდენტის და პოლიტიკური მოღვაწის, გია ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით, გაზეთმა „დრონმა“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ორიგინალური სათაურით — „მე მოვკალი გია ჭანტურია“. რა თქმა უნდა, გია ჭანტურია სტატიის ავტორს არ მოუკლავს. იგი გამოძიების მასალებზე დაყრდნობით და მკვლელობის შემდეგ განვითარებული მოვლენების ანალიზის საფუძ-

როგორ დავიჭიროთ სააკაშვილი

3

სად ჩაასხეს იუსტიციის სამინისტროს კუთვნილი 806 ლარის ბენზინი

ასლანმა თევზის მეურნეობა გადათელა

5

„ოცდაათს სააუთი დამვანგარის“ ანუ ძველის „ალორჩინეზას“ რა უნდა

ფასი 50 თეთრი

25 - 3 თებერვალი პარასკევი 2002 წ. №9 (33)

ახალი ვერსია

ქართველკვირეული გაზეთი - გამოდის ორშაბათობით

რეფერენდუმი

2



„მამიკო, მე კინაღამ პანკისში ამოვყავი თავი“

აეროპორტის გზაზე „ახალი ვერსიის“ გამომცემლის ოჯახზე თავდასხმას ცდილობდნენ

2 - 4

8

ბრძოლა „ახალი ვერსიისა“ და „რეზონანსის“ წინააღმდეგ

„ცეხე შიგნიდან ტყდება“ - მეთოდი, რომელსაც კარგად იყენებენ

4

ალეკო ქარტოზია მიხეილ სააკაშვილს შეეჯა

„ჯოგური პრინციპით“ ახლა მასწავლებლები შეიკრიბნენ

7

ვინ ესვრის პირველ ქვას ქართველ მეძავს

კოდორის ხეობის დამცველებს მძიმე დღეები ელით

3

მაინც რა წერია ასეთი გაიროს ყბადაღებულ დოკუმენტში

საიმედო ვიდეო ნარკოვაჭრობის - ვოლიარული მცდარების გზა

საქართველოში ნარკომანთა სამკურნალო სპეციალური ცენტრი არ არის

13

„დემოკრატია ანარქია არ არის!“

კომუნისტები ეროვნულ მოძრაობას ასეთი ლოზუნგებით უპირისპირდებოდნენ

10

19 თეიშრ ბაბლუანი: „ფილმით აფეთქებული ძვეყანა არ არსებობს“

20 სალი გვენეტაძე: „ათი ნლის რომ ვიყავი, მოდელობა მომინდა“

23 ლევან ლომაიძის ქართული ბლუზ-ჯგუფი რუსულ სცენას იპყრობს

25 საჩუქარი კინოთეატრ ქოლგასაგან

კროსვორდები 17, 18, 20, 21, 27, 28 ტელეპროგრამები 22 საოჯახო 17

Თბილისის უწყებანი

28 თებერვალი

№ 21 (32)

Newspaper Tpilisis Uwkebani (The Tbilisi Reports) • დაარსდა 1828 წ. • გამოიცემა განახლდა 1996 წ. • 1997 წ. • გამოდის ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით • ფასი 40 თეთრი



პარლამენტი მიწაში იჩიჩქნება

მცხეთის რაიონში, სოფელ ჩარდაწში, წეროვანის ყოფილი მეურნეობის ტერიტორიის დანაწილებამ და იჯარით გადაცემამ აღგზნებიერი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ტერიტორიის საუკეთესო მოსავლეთი (400 ჰექტარი) პარლამენტის საქმეურნეო სამსახურმა იჯარით აიღო, მაშინ, როდესაც მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ არ არის მიზომილი მიწის ნაკვეთები. ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად კი სწორედ მათ ენიჭებოდათ უპირატესობა მიწის მეპატრონეობაში.

3

ონკოლოგიური მეურნალობა უფასო იქნება

დადგენილება ამის თაობაზე ორიოდე დღეში გამოქვეყნდება.

შარშან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი 390 000 ლარით ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში საბელმწიფოს დაზღვევით ამეურნალა 350-მა ავადმყოფმა. წელს ამ საქმისათვის გათვალისწინებული იყო 1077.000 ლარი. პარლამენტის 23 თანამეურნალის სხდომაზე დეპუტატმა შალვა ნოეფლიშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის მიღებას მხარს არ დაუჭერდა თუ სახელმწიფო თავის თავზე არ აიღებდა ონკოლოგიურ დაავადებათა მეურნალობის ხარჯებს. მას მხარი დაუჭირეს სხვა დეპუტატებმაც და დაბამთა მინისტრმა გამოსახა რეზერვები და გადაწყვეტ ჯანდაცვისა-თვის გამოყოფილ სახსრებს: დიემატოს 3.300.000 ლარი სპეციალურად ონკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც იმის ნიშნავს, რომ ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი წელს 5000 ავადმყოფს უმეურნალებს უფასოდ. ■

NATO

ᲨᲘᲨᲚ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗᲒᲘ ᲐᲫᲚ

3

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ

შეტაკებები გრძელდება

4

მუშების ბირჟა

5

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ტრიბუნა არქივიდან

6

მხატვარი თამაზ კაკაბაძე

7

სპორტი 11

MENU

 დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
მითხარი, ვისთან ერთად გძინავს და გეტყვი, რა გესიზმრება.
სტანისლავ ლეცი
ასავალ-დასავალი
2002 წლის
25 თებერვალი – 3 მარტი
№9 (394)
ფასი 50 თეთრი
უძანაშაულო მენერლის დაბრუნება
ექსკლუზიური რეპორტაჟი სოფელ ხოლოლიდან, სადაც გუშინ უკრაფეული სამი წლის უნახავ დედას შეხვდა
ნეგზარ ჩუხუა: პრეზიდენტს «მუხა» მე ვესროლე!
30-4 გვ.
რუსეთის იმპერიის გვირგვინი
გიორგი გეზიერგანი
30-7 გვ.
რამაზ ჩხიკვაძე: გაიგეთ, მეზიზღება პოლიტიკა!!!
28 თებერვალს, თავის დაბადების დღეზე, ლეგენდარული მსახიობი აზრკან განსახიერებს, შემდეგ სანლში წავა და დაითხოვს...
30-3 გვ.
კაცი, რომელიც დედამიწას შემოუფურა, ანუ 41 ათასი კილომეტრი წყალქვეშ
30-11 გვ.
ქობა დავითაშვილი: ვინ ვისთან არის შეკრული?!
მაღალი ძაბვა
30-5 გვ.
ანა კალანდაძე: გული არავისთვის გადამიშლია!
ინფარქტი პირდ ხალითხებზე
30-8 გვ.
ანთოლოგიიდან ამოხეული ლექსი
ანუ რიგორი 25 თებერვალი გუოფენა კოლაუ ნადირაძეს გამოშვებულობის მუშაკებს
ვლადიმერ ეთერი სტრიონი
30-6 გვ.
„სალონის“ უჩვეულო სტუმრები უჩვეულო ამპლუაში
ოთხლისის ვაკეს საბორნალის ბოგეტობის თავმჯდომარე
ოსანი-საბორნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე
30-12 გვ.
ბიძინა ბარათაშვილი: ვერა, ვერ ვეკელი გარდაცვლილი დედის ნახვა...
ეგზისტენციალური
მედეა ძიძიგური
30-3 გვ.
ცხინვალის თეატრის მსახიობი მამუკა ბავლიაშვილი შეეარდნაძეს ერთ ყუთ წებოს უგზავნის!
30-6 გვ.
ერთი სიზმრის იმპერია
ბრიბუნა ლ.
30-2 გვ.

ველზე ამტკიცებდა, რომ გამოძიება თავიდანვე არასწორი გზით წარიმართა და მკვლელობაში ეჭვმიტანილის როლში, შესაძლოა, ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილიყო. ორივე შემთხვევაში, სათაურში გამოტანილია პრობლემა, რომლის გადაჭრის მცდელობა შემდეგ მოცემულია ტექსტში. ტექსტში მოცემული შინაარსის ერთ-ერთი თეზისის სათაურად გამოტანის ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი სათაურები: „თუ ხვალინდელზე არ ვიზრუნეთ, ზეგინდელზე ფიქრი არ დაგვჭირდება“, „ვალები მომავალი თაობებისთვის“ **(„მიმომხილველის“ ინფორმაციები).**

პირველ სტატიაში საუბარია, ზოგადად, განათლების პრობლემებზე, მეორეში — საქართველო-თურქმენეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

ახლა, რაც შეეხება ე.წ. კოდირებულ სათაურებს. 1994 წელს გაზეთ „დრონში“ გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი ანალიტიკური წერილი სათაურით „განდაგანა“. ერთი შეხედვით, სათაური ამავე სახელწოდების პოპულარული ქართული ხალხური ცეკვის (იგივე — „აჭარული“) ასოციაციას იწვევს. სტატიაში მართლაც ხშირად გვხვდება სიტყვები „აჭარა“, „აჭარელი“, „აჭარული“ და ა.შ. მაგრამ აქ საუბარია არა მშვენიერ აჭარულ ცეკვაზე, ან უგემრიელეს აჭარულ ხაჭაპურზე, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, აჭარის ხელისუფლების ურთიერთობაზე. კერძოდ, აჭარის ხელისუფლების ცენტრალურისადმი ფაქტობრივ დაუმორჩილებლობაზე, მის ოჩნობასა და საქართველოსგან განდა განთავის დაჭერაზე. მკითხველისთვის სათაურის ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ სტატიის შინაარსის გაცნობის შემდეგ ხდება ცხადი.

ერთი ასეთი მხიარული მაგალითიც. გაზეთმა „დრონმა“ 1992 წელს გამოაქვეყნა მომცრო ინფორმაცია მყვირალა სათაურით „ირაკლი წერეთელმა ნატო შეაცდინა“.

ნატო, მოგეხსენებათ, საქართველოში და მთელ მსოფლიოში გავრცელებული ქალის სახელია. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ახალგაზრდა ხმაურიანმა პოლიტიკოსმა მართლაც ვინმე ქალბატონი ნატო შეაცდინა. რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა — ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე წერეთელმა ჩვეულებრივ წაიტრაბახა, მე NATO — ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო ბლოკი — გავაცუცურაკეო. სტატიის (თუ სათაურის!) ავტორმა კი ცოტა „იეშმაკა“ და აბრევიატურა NATO ჩვეულებრივი ქარ-

თული ასოებით დაწერა, რითაც ერთბაშად „დაშიფრა“ მთელი სათაური.

აღნიშნულის გარდა, საგაზეთო სათაური შეიძლება იყოს ინფორმაციული, ნომინაციური, ემოციურ-შეფასებითი, სარეკლამო, ინტეგრაციული, კომპოზიციური. ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს, სათაურებზეც შეგვიძლია კიდევ ბევრი ვისაუბროთ, მაგრამ მთავარი მაინც უკვე ნათქვამია — სათაური საგაზეთო სტატიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მან მკითხველის ყურადღება უნდა მიიქციოს, ტექსტის წაკითხვამდე დააინტერესოს; ტექსტიდან გამოჰყოს ყველაზე მნიშვნელოვანი, მკითხველს მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია, გაუადვილოს იმ უმთავრესის აღქმა, რისთვისაც მოცემული სტატია დაიწერა. და, რაც მთავარია, დაეხმაროს მას სტატიის დამახსოვრებაში. სწორედ ის სტატია არის კარგი და მნიშვნელოვანი, რომელიც მკითხველს სათაურით ახსოვს.

ერთი პოპულარული ქართული ანდაზა გვამცნობს, თუ ურემი შეშას ვერ მოიტანს, იგი ხომ თვითონ შეშააო. წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება — მთელი გაზეთი მხოლოდ სათაურებითაა გადავსებული. ასეთ შემთხვევაში, სათაური თვითონ ასრულებს ტექსტის მოვალეობას, თვითონ არის ინფორმაცია. გადახედეთ თანამედროვე გაზეთების პირველ გვერდებს და ამაში თავად დარწმუნდებით.

ეს მხოლოდ პირველი გვერდებია და მას თავისი ფუნქცია აქვს. მთელი გაზეთის მხოლოდ სათაურებით შევსება მართლაც ცოტა სასაცილოა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ XXI საუკუნის უკიდურესად საქმიან ატმოსფეროში ჩამოყალიბდა მკითხველთა უზარმაზარი არმია, რომელიც ინფორმაციას იღებს... სათაურებიდან. ამიტომ დღის წესრიგში კიდევ ერთი საჭირბოროტო პრობლემა დგება — სათაურისა და ტექსტის შესაბამისობა, უფრო ზუსტად, სათაურისა და ტექსტის ურთიერთგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება. ყველაფერი გასაგები რომ იყოს, ასეც შეიძლება ვთქვათ: ზოგჯერ სტატიის ტექსტი შობს სათაურს, ზოგჯერ სათაური შობს სტატიის ტექსტს. მეტიც, **თუ სათაური ძალიან მახვილგონივრულადაა ნაპოვნი, შეიძლება ამ სათაურის თემაზე სტატიების მთელი ციკლი შეიქმნას.**

რა თქმა უნდა, უმჯობესია, ჯერ საკუთრივ სათაური ვიპოვოთ და სტატიის ტექსტი მერე დავწეროთ. ასეთ შემთხვევაში,

ავტორი უფრო დისციპლინებული და მიზანდასახული ხდება. **ტექსტის მთავარი მიმართულებიდან გადახვევა, ფუჭი წიაღსვლები და ზედმეტი სიტყვაუხვობა თითქმის გამორიცხულია.**

თვალშისაცემი სათაურების გამოგონებისას, მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ არსებობს ზომიერება. არ შეიძლება „დაუკრეფავში გადასვლა“, ანუ თქვენი საგაზეთო მასალისთვის მისი სათაურით იმაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება, ვიდრე მას სინამდვილეში აქვს. წიგნიერი მკითხველი ისევე იოლად გრძნობს უმცირეს გადაჭარბებას, როგორც სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი — ყალბ ნოტს.

1998 წლის მაისში გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით: „თევდორაძისთვის მოწყობა მისაღებია, მაგრამ ასე არა“. თავად ინფორმაციაში კი პარლამენტარი ელენე თევდორაძე, საერთოდ, ნახსენებიც არ არის — სხვა პარლამენტარის, გერმანე ფაცაციას მოსაზრებაზეა საუბარი!

ახლა ორიოდე სიტყვა იმის თაობაზეც, როგორი სათაურები არ უნდა იყოს თანამედროვე პრესაში. სანიმუშოდ 1991 წლის მოდელის გაზეთი „თბილისი“ ავიღოთ;

— **თავისუფალ საქართველოში ეს ტყეც იშრიალებს;**
— **ახმეტელები და წალენჯიხელები თბილისში;**
— **ხეხილიც მოგვიძღვნეს ნობათად;**
— **იმპერიული, თავსმოხვეული კანონები — როდემდე?**
— **ერთობა ჩვენი ტახტია;**
— **ლამაზი ჰანგები — პატარებს;**
— **ნაგავი საბავშვო ბაღის კარებთან;**
— **მტრის ჯიბრზე დაიზრდებიან!;**
— **ბაზარი, მისი არსი და მნიშვნელობა;**
— **მკაცრად დავიცვათ მოთხოვნები.**

და მრავალი, მრავალი სხვა. ბუნებრივია, ამგვარი სათაურების წაკითხვის შემდეგ, მკითხველს ძირითადი ტექსტის გაცნობის ყოველგვარი სურვილი გაუქრება. სანიმუშოდ „თბილისი“ იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ტრადიციული ოფიციოზის წარმომადგენელია. უფრო ზუსტად, ასეთი იყო 1991 წელს. პოსტკომუნისტურ, გარდამავალ ეპოქაში დასათაურების ასეთი ტენდენცია მეფობდა და ამ ერთი შეხედვით სასაცილო სათაურების გამო, რაიმე სერიოზული დასკვნის გამოტანა სარისკო საქმეა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არის პრესის ისტორია, ანუ ეს არც

შეცდომაა და არც პრესის საწინააღმდეგო რაიმე შეგნებული ქმედება. ეს არის მართვის კომუნისტური სისტემის გამოვლენა პრესაში. თუმცა, ვიმეორებ, 1991 წელს საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დე იურე აღარ არსებობდა. რატომ გააგრძელა „თბილისმა“ და ზოგმა სხვა გაზეთმა კომუნისტური ტრადიციები, ამის ახსნას მაშინ შევეცდები, როცა ზოგადად ხელისუფლებისა და პრესის დამოკიდებულებაზე ვისაუბრებთ.

მანამდე კი განსასჯელად კიდევ ერთ სათაურს შემოგთავაზებთ. სტატია, თუ არ ვცდები, 1992 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „კოლხური კოშკი“: **„საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული შინაარსის დაკანონება და „რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის“ დივერსიული სააზროვნო სტილისტიკის აღიარება“.**

როგორც წესი, ასეთი სათაურები (და, შესაბამისად, მაღალფარდოვანი ტექსტები), პრესაში ჩნდება რევოლუციური სიტუაციების დროს ან ე. წ. გადამავალ პერიოდებში. ერთი სიტყვით, იმ დროს, როცა ნოყიერი ნიადაგი იქმნება შარლატანობისთვის.

ამას, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არა აქვს ჟურნალისტიკასთან, მაგრამ იგი არსებობდა და, ალბათ, მომავალშიც იარსებებს. მთავარია, არ შევცდეთ და ამგვარ ტექსტებში რაიმე სიბრძნის ძიება არ დავიწყოთ — ადამიანების უმრავლესობა ხომ საკუთარი უვიცობის დაფარვას ხშირად უშინაარსო მაღალფარდოვნებით ცდილობს.

პირველი გვერდი

პირველ გვერდს დაახლოებით ის ფუნქცია ეკისრება მთლიანად გაზეთისთვის, რაც სასათაურო კომპლექსს — საგაზეთო პუბლიკაციისთვის, ან „ქუდს“ და ანონსს — სატელევიზიო პროგრამისთვის.

ტელევიზორის ყურებისას ან რადიოს სმენისას ადამიანი შედარებით პასიურია — სავარძელში, ან, სულაც, საწოლში მოკალათებული თავს მაინცდამაინც არ იწუხებს — ზანტად ირჩევს პროგრამებს და ცდილობს მაქსიმალური კომფორტი შეიქმნას. რადიო ან ტელევიზორი მისთვის ინფორმაციის მიმწოდებლის გარდა, დასვენების უებარი საშუალებაა და ხშირად ძილის წამლის მოვალეობასაც ასრულებს. ამის გარდა, მოაზროვნე ადამიანების უმრავლესობას, ცოტა არ იყოს, აღიზიანებს მეტისმეტად

ჭკვიანური, დამრიგებლური ხასიათის ტელე და რადიოგადაცემები. ამის მიზეზი ძალიან უბრალოა — ერთი ტელე ან რადიო გადაცემის ფორმატში, მით უფრო, თუ ამ გადაცემაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს, რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა თითქმის შეუძლებელია — ყველა მონაწილეს თავისი სიმართლე აქვს და მისი გადარწმუნება მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევაში თუ ხერხდება. თანაც, ადამიანებს უყვართ ტელეკამერების წინ კეკლუცობა — ეძებენ ლამაზ სიტყვებს და გამოთქმებს, უადგილოდ ოხუნჯობენ ან ენამწარობენ, ცდილობენ თავი ოპონენტზე ჭკვიანად წარმოადგინონ... ამასობაში ხშირად თვით კამათის საგანიც კი სადღაც იკარგება. ამას დაუმატეთ გადაცემებში სარეკლამო რგოლების ხშირ-ხშირი ჩართვაც.

რა თქმა უნდა, ელექტრონულ მედიას ბეჭდურთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. მეოცე საუკუნის მიწურულს იმასაც ხშირად იმეორებდნენ, რომ გაზეთის ეპოქა მალე ისტორიის კუთვნილებად იქცეოდა, მაგრამ როცა საუბარი ფართო გაგებით ეხება ანალიტიკურ მასალებს, აქ ბეჭდური პრესის უპირატესობა აშკარაა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო XXI საუკუნის დასაწყისში.

თუმცა, მომავალში რაც უნდა მოხდეს, ჟურნალისტიკას მაინც არაფერი ემუქრება — აზრების წერილობით გადმოცემის საჭიროებაზე კაცობრიობა უარს, ალბათ, ვერასოდეს ვერ იტყვის.

სულ ახლახანს თქვენ ნახეთ რამდენიმე გაზეთის პირველი გვერდები. ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები, გაზეთის მოკლე შინაარსი. მითითებულია, რომელ გვერდზე რა მასალაა გამოქვეყნებული და მინიშნებულია, რაზეა საუბარი ამ მასალებში. როგორც წესი და რიგი მოითხოვს, პირველ გვერდზე დომინანტური პოზიცია უჭირავს გაზეთის სათაურს. კომუნისტურ ეპოქაში ყველა საბჭოთა გაზეთის სათაურის ზემოთ დომინირებდა დიდი ლენინის უკვდავი მოწოდება-აფორიზმი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და კომუნიზმის მშენებლობაში გაზეთის დამსახურების აღმნიშვნელი ორდენები. თავად გაზეთების სათაურებიც დიადი კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის შესაბამისი იყო: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „კომუნიზმის განთიადი“, „კომუნიზმის მშენებელი“, „წინ, კომუნიზმისაკენ“, „ლენინელი,“ „ლენინის გზით“, „ნორჩი ლენინელი“, „რკინიგზელის ხმა“, „პედაგოგის ხმა“, „მეაბრეშუმის ხმა“, „ფეიქართა ხმა“,

„კოლმეურნის ხმა“, „ენერგეტიკოსის ხმა“, „მესაზღვრის ხმა“, „არტილერისტის ხმა“ და ა. შ. ასე იყო მთელ სოციალისტურ სამყაროში.

თვით სათაურებიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა პრესა ემსახურებოდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობას, ნათელ კომუნისტურ მომავალს. არავითარი მინიშნებაც კი ეროვნულობაზე, სახელმწიფოებრიობაზე, დამოუკიდებლობაზე.

მეორე უკიდურესობაში გადავვარდით „ურღვევი“ სოციალისტური სისტემისა და ერთიანი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პატრიოტული აღტყინება გაზეთების მხოლოდ სათაურებიდანაც კი შესანიშნავად ჩანს: „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს სამრეკლო“, „საქართველოს ცის ქვეშ“, „რესპუბლიკა“, „მამული“, „კოლხური კოშკი“ და უამრავი სხვა.

პრესის ცენზურისგან გათავისუფლებამ შვა ისეთი გაზეთებიც კი, როგორიც გახლდათ „ბადრიჯანი“, „ბუს კვერცხები“ და მისთანანი.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა საკუთარი თავის პატივისმცემელ გაზეთს ჰყავს პირველი გვერდის რედაქტორი. ამით ხაზგასმულია პირველი გვერდის მნიშვნელობა მთლიანად გაზეთისთვის. მნიშვნელოვანია ყველაფერი — გაზეთის სასათაურე შრიფტი და ზომა, დევიზი, ფოტო (ან ფოტოები), მათი ზომები და განლაგება, გამოტანები, სიტყვიერი მასალა, მხატვრული გაფორმება, შრიფტებით „თამაში“ და უამრავი სხვა წვრილმანი და მსხვილმანი.

თანამედროვე მსოფლიოს სერიოზულ პრესაში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა ასეთი ტენდენცია: გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილია რედაქციის აზრით, უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შესატყვისი ფოტო, ერთი-ორი ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მენიუ, ანუ გაზეთის შიდა გვერდებზე გამოქვეყნებული საინტერესო მასალების სათაურები (ან რამდენიმე სიტყვიანი ანონსები) შესაბამისი ფოტოებით ან უმისოდ. მოკლედ, „ტფილისის უწყებანის“ პირველი გვერდი გაკეთებულია სწორედ ამ ტენდენციის გათვალისწინებით. რაც შეეხება მეოცე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთის დასაწყისის ძალიან ბევრი ქართული გაზეთის პირველ გვერდებს, ეს არის რაღაც საშუალო კოლეჯების გაზეთებსა და ე. წ. ყვითელ პრესას შორის — როგორც მოგახსენეთ, ქართული პრესა ერთობ მოუმზადებელი

შეხვდა მოულოდნელად თავს დამტყდარ სახელმწიფოებრივ და პიროვნულ თავისუფლებას. ზოგმა ყოფილმა კომუნისტურმა გაზეთმა, საერთოდ, ყველაფერი უარყო, ზოგი ვერაფერს შეელია. საქმე ზოგჯერ კურიოზებამდე მიდიოდა. მაგალითად, 2003 წელს გამოშვებული ერთ-ერთი ყოფილი კომუნისტური, პატრიოტულად სახელგადარქმეული მრავალგვერდიანი გაზეთის პირველ გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ოცზე მეტი ინფორმაცია, მათ შორის ოთხი — პრეზიდენტის ხელმოწერით. აქვეა ინფორმაციები რუბრიკებით: „დოკუმენტი“, „სიტუაცია“, „ურჩი გადამხდელები“, „აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს“, „დაჯილდოება“, „კოლეგები“, „პალიტრა“, „უკანასკნელ საათს“, „ამინდი“, „ვალუტის კურსი“, „ინტერპანორამა“, „დღის ანეკდოტი“...

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო რუბრიკა: „გვირეკავენ, გვეკითხებიან“. შეკითხვა ასე ჟღერს: „მყავს 5 შვილი. უფროსი 7 წლისაა, უმცროსი — ერთისა. მე და ჩემი მეუღლე უმუშევრები ვართ. ვცხოვრობთ რაიონში. გვეკუთვნის თუ არა სახელმწიფოსგან რაიმე დახმარება“.

ამ პატიოსან და შიმშილისგან გაწამებულ საზოგადოებას გაზეთის რედაქცია დაწვრილებით უხსნის, რატომ და რა ოდენობის დახმარება ეკუთვნის... თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებს. ეს გულთბილი საუბარი მადლიერ მკითხველსა და გულისხმიერ რედაქციას შორის ასე მთავრდება: „ზემოაღნიშნული ყველა შეღავათი ფინანსდება დედაქალაქის ბიუჯეტიდან, ამიტომ რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე მათი გავრცელება, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

ვერაფერი შეღავათია საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მცხოვრები ხუთი მშიერი შვილის მშობლებისთვის, მაგრამ გაუგებარი ის არის, რატომ აქვეყნებს ამ კითხვა-პასუხს გაზეთი საერთოდ და, მით უფრო — პირველ გვერდზე, თანაც, თუ ეს გაზეთი ხელისუფლების მხარდამჭერი და მისი აზრის გამომხატველია.

მოკლედ, პირველ გვერდზე არის ყველაფერი — პრეზიდენტის განკარგულებებიდან და დაჯილდოებებიდან დაწყებული, დღის ანეკდოტითა და ტაილანდში გამოგონებული სიქაჩლის წამლით დამთავრებული.

სამაგიეროდ, ამ სოლიდური, ისტორიული, ა-2 ფორმატის მრავალგვერდიანი გაზეთის პირველ გვერდზე არ არის არაფერი,

რაც გაზეთის შიდა გვერდების შინაარსზე მიგვანიშნებდა. ეს არის შეცდომა. შეცდომაა ისიც, როცა პირველი გვერდი მეტის-მეტად გადაჭრელებულია, დამძიმებულია მუქი შტრიხებით, დაყოფილია კვადრატებად. **გახსოვდეთ, თუ თქვენს გაზეთში (ნებისმიერი ფორმატისა) ორი ნებისმიერი ჟურნალისტური ჟანრის საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული, იგი უკვე კარგი გაზეთია.** თუ პირველივე გვერდზე დაიწყებთ მკითხველის დარწმუნებას, რომ თქვენს გაზეთში ოცი საინტერესო და სენსაციური მასალა ქვეყნდება, ამას არავინ დაგიჯერებთ. სერიოზული მკითხველი გულში დაგცინებთ კიდეც. ასე რომ, თქვენი გაზეთის პირველი გვერდი ისეთივე უბრალო და კოპწია უნდა იყოს, როგორც ეზო იმერული ოდის წინ.

ლიდი

Lead ინგლისური სიტყვაა და დასაწყისს ნიშნავს. აქ, რა თქმა უნდა, არ არის საუბარი შესავალზე ან წინასიტყვაობაზე. ლიდი არის ე.წ. „გაშლილი“ ქვესათაური, სადაც რამდენიმე წინადადებაში მოცემულია სტატიის ძირითადი არსი. სათაურებზე საუბრისას ვთქვი და ახლაც გავიხსენოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დროის ქრონიკული დეფიციტის პირობებში. ამიტომ პრესის გაცნობისას მკითხველს უნდა შეექმნას მაქსიმალური კომფორტი — მან მინიმალურ დროში უნდა შეძლოს მაქსიმალური ოდენობის ინფორმაციის გაცნობა. სწორედ ამას ემსახურება ის ორი-სამი, იშვიათად, მეტი აბზაცი, რაც უშუალოდ სათაურს ან ქვესათაურს მოსდევს. ბევრ ჩვენგანს უნახავს საქმიანი ჯენტლმენი, რომელიც რამდენიმე დოლარს იხდის მრავალ ათეულგვერდიან გაზეთში. იქიდან რამდენიმე გვერდს იტოვებს, დანარჩენს კი გულგრილად უშვებს სანაგვე ურნაში. ადამიანები გაზეთებს კითხულობენ ტრანსპორტში, რესტორნებში, ქუჩაში, სამუშაო ადგილას და ა.შ. ასეთ ვითარებაში ძალიან დიდია ალბათობა, რომ თუ მკითხველს საგაზეთო სტატიის პირველივე ფრაზები არ დააინტერესებს, საერთოდ შეწყვეტს კითხვას.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი — უსასტიკესი კონკურენცია გაზეთებს შორის მკითხველის მოსაპოვებლად. ამიტომ ლიდების (ისევე, როგორც სათაურების) შედგენისას რედაქციების, ავტორების

გამომგონებლობას, ფანტაზიასა და გონებამახვილობას საზღვარი არა აქვს. სწორედ ეს გარემოება ართულებს ლიდების კლასიფიკაციას, ლიდების ტიპების მეტნაკლებად სრულ დახასიათებას.

ვინაიდან, ზოგადად, ჟურნალისტიკაში სრულყოფილებაზე საუბარი ცოტა საჩოთიროდ მეჩვენება, ალბათ, სჯობს დავეთანხმოთ ჩვენთვის უკვე ნაცნობ პროფესორ ჩერედნიჩენკოს და ლიდის რამდენიმე სახეობის აღწერით შემოვიფარგლოთ.

1. **თხრობითი ლიდი** — ეს არის მოქმედების განვითარების აუჩქარებელი, თანმიმდევრობითი გადმოცემა ქრონოლოგიური ორიენტირების მითითებით. ასეთი ლიდი, როგორც წესი, გამოიყენება კრიმინალური ისტორიების გადმოცემისას, როცა უფრო საინტერესოა პასუხი კითხვაზე — „როგორ მოხდა?“ ვიდრე — „რა მოხდა?“.

„სკოლისკენ მიმავალმა მეშვიდეკლასელებმა ახალთახალი თეთრი „ჟიგული“ დაინახეს — შუა ქუჩაზე კაპოტახდილი იდგა. მანქანის ირგვლივ სამი ბიჭი ფუსფუსებდა, ერთი საჭესთან იჯდა. სკოლის ზარის ხმაც გაისმა. გიომ და ირაკლიმ ფეხს აუჩქარეს. ისინი მანქანასთან ძალიან ახლოს იყვნენ. ისე ახლოს, რომ გაიგონეს, როგორ ჩაულაპარაკა საჭესთან მჯდომმა ამხანაგებს — მოდიან!

ბიჭებმა კაპოტი დახურეს, მანქანიდან „კალაშნიკოვის“ ავტომატები გადმოიღეს. ერთი მანქანასთან დარჩა, მეორე შუა ქუჩაზე დადგა, მესამემ პოზიცია „ჟიგულის“ მარცხნივ დაიკავა.

გაოცებული გიო და ირაკლი უყურებდნენ, როგორ მიუახლოვდა შავი „ვოლგა“ ავტომატიანებს. პირველად კაპოტზე დაყრდნობილმა ბიჭმა გაისროლა. „ვოლგა“ გაჩერდა. ბიჭები უნიღბოდ იყვნენ. ნაქსოვი ქუდები ეხურათ. ისინი მშვიდად იდგნენ და სამი მხრიდან უწყვეტი ჯერით ტყვიას უშენდნენ შავ „ვოლგას“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

2. **ლიდი-რეზიუმე** — ეს არის მოვლენების ან შედეგების მოკლე შინაარსი, სადაც ექვსი ძირითადი კითხვიდან (ვინ? რა? როდის? როგორ? სად? რატომ?) პასუხი 3-4-ზეა გაცემული. ეს თავისთავად უკვე არის ინფორმაცია. ხოლო ტექსტი, რომელიც მას მოჰყვება, უბრალოდ, ხსნის, ან აზუსტებს ლიდში ნათქვამს: „გუშინ ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის დროით 16 საათსა და 30 წუთზე ბარენცის ზღვაში ჩაიძირა რუსეთის სამხედრო ფლოტის სიამაყე, წყალქვეშა ნავი „კურსკი“. დაუზუსტებელი ინფორმაცი-

ით, მისი ეკიპაჟი 80 კაცზე მეტი იყო“ **(„დრონის“ ინფორმაცია**).

3. **ერთმნიშვნელოვანი (ცალკეული) ლიდი** — ასეთი ტიპის ლიდი გამოჰყოფს სტატიაში აღწერილი მოვლენის ერთ რომელიმე მნიშვნელოვან ასპექტს.

„1999 წლის არჩევნებში ხმა მისცა ორმა მილიონმა ადამიანმა, ანუ იმდენმა, რამდენი ხმის უფლების მქონე ადამიანიც ცხოვრობს ქვეყანაში. მწვანეთა აზრით, ეს ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბებულია — ფაქტია, რომ მასში ამომრჩეველთა 100 პროცენტს მონაწილეობა არ მიუღია“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

„უზენაესი სასამართლო აგრძელებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას რაფიელ ასაბაშვილისა და თამაზ ხოლოაშვილის მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებათ პოლიციელების მძევლად აყვანა, ყაჩაღობა და მატერიალური ზიანის მიყენება“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

4. **ლიდი — „დაყოვნებული ნახტომი“.** აქ, ალბათ, მცირე განმარტება იქნება საჭირო. „დაყოვნებული ნახტომი“ არის საპარაშუტო სპორტში გავრცელებული ტერმინი (როგორც საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარების ყოფილ ოფიცერს, შეგიძლიათ, მენდოთ). იგი გამოიყენება იმ სიტუაციის აღსანიშნავად, როცა პარაშუტისტი თვითმფრინავიდან გადმოხტომიდან სამი წამის შემდეგ კი არა, მღელვარებისგან სუნთქვაშეკრული მაყურებლების წინაშე მხოლოდ უკანასკნელ წამს ხსნის პარაშუტის გუმბათს.

ასეთი ტიპის ლიდი ყოფითი მოვლენებისა და სცენების აღწერით იწყება. დაახლოებით ისე, როგორც ნებისმიერი ანეკდოტის კულმინაციური ფრაზა — აქაც მთავარი სათქმელი გადატანილია ლიდის ბოლოს.

„დნეპრისპირა დიდი ქალაქის გარეუბანში, მყუდრო, მწვანეში ჩაფლულ ქუჩაზე, „ხრუშჩოვის“ ბინაში ცხოვრობს 86 წლის სანდომიანი, ცოცხალთვალება და მკვირცხლი გონების ქართველი მანდილოსანი. იგი საბჭოთა კავშირის ისტორიაში არასოდეს არ ასრულებდა რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს, მაგრამ თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის უპირველესი ლედი, მეუღლე კაცისა, ვის სახელს დღესაც ერთგვარი შიშით და კრძალვით ვახსენებთ — ლავრენტი ბერია!“ **(„7 დღის“ ინფორმაცია).**

5. **მიზეზ-შედეგობრივი ლიდი.** როგორც მისი დასახელებიდანაც ჩანს, ამ ტიპის ლიდისთვის დამახასიათებელია მიზეზ-

შედეგობრივი კავშირის არსებობა. მიზეზიც და შედეგიც, შესაძლოა, ერთ აბზაცში იყოს მოცემული, შესაძლოა, ისინი რამდენიმე ფრაზით, ან აბზაცითაც კი იყვნენ დაშორებული — გემოვნების და ოსტატობის საქმეა. ამ ტიპის ლიდების ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიც არის, რომ ხშირად ჯერ შედეგზეა საუბარი, მერე — მიზეზზე.

„გიორგი ჯაბაური კიდევ ერთი „ჩეკისტია", ვინც მის მიმართ განხორციელებული რეპრესიების გამო, სასამართლოს სარჩელით მიმართა. უშიშროების ოფიცერი რეაბილიტაციას და მისთვის მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურებას — 10 ათას დოლარს ითხოვს" **(„დრონის" ინფორმაცია).**

6. **ლიდი — „ცრუ მანევრი".** ეს არის ეფექტური დასაწყისი კვანძის გახსნით. მკითხველს უყვარს მწვავე შეგრძნებები და ავტორიც „თამაშობს" — იწყებს საოცარ ისტორიას და მას მოულოდნელი ფაქტით ამთავრებს. ასეთი ლიდის გამოყენებისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო — მკითხველმა შეიძლება არ გაპატიოს იმედის გაცრუება და თქვენი ნაწერები აღარასოდეს წაიკითხოს.

„არგენტინელ ვამპირებს გარეგნულად არაფერი აქვთ საერთო სავალალოდ სახელგანთქმულ გრაფ დრაკულასთან, თუმცა, ჩაკოს პროვინციის მოსახლეობას მათი ხსენებაც კი შიშის ზარსა სცემს. ღამის სიბნელეში ისინი უჩუმრად თავს ესხმიან მსხვერპლს, სხეულში ბასრ კბილებს არჭობენ და სისხლს სწოვენ. ნაკბენის ადგილას კი ოდნავ შესამჩნევ ნაჭრილობევს ტოვებენ.

პირუტყვის სისხლის მსმელი ღამურები დიდ ზიანს აყენებენ ჩაკოს პროვინციის მესაქონლეობას..." (**პროფ. ჩერედნიჩენკოს ინფორმაცია**).

7. **დრამატული ლიდი.** ტექსტიდან გამოტანილია, ავტორის აზრით, ყველაზე დრამატული მომენტი. ხშირად, ასეთი ლიდი წინ უძღვის საომარი მოქმედებების, ავარიების, კატასტროფების, დანაშაულობებისადმი მიძღვნილ მასალებს.

„თორმეტის თხუთმეტ წუთზე ტეხურის ქუჩიდან ჩიქოვანის ქუჩაზე ესკორტი შევიდა. მაშინვე გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. ძველი, წითელი „ზაპოროჟეცი" ჰაერში აფრინდა და უამრავ ნამსხვრევად გაიშალა. ირგვლივ ყველა სახლის ფანჯარა ჩაილეწა.

ხუთი წლის ოთარ ერაძე ვეღარასოდეს ითამაშებს ფეხბურთს — იგი აფეთქების ტალღამ მოკლა. დაიღუპა კიდევ ოთხი ადა-

მიანი. ოცამდე კაცმა სერიოზული ტრავმა მიიღო“ **(„საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაცია).**

8. **ისტორიული ლიდი.** ავტორი, მკითხველის ყურადღების მისაპყრობად, ისტორიიდან იხსენებს რომელიმე საინტერესო ფაქტს, რომელიც თავისი შინაარსით უკავშირდება სტატიაში აღწერილ მოვლენას.

„1989 წლის 9 აპრილს ტრაგედიით დამთავრდა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უგრძესი საპროტესტო მიტინგი — ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა მომიტინგეებს, დაიღუპა 16 უდანაშაულო ადამიანი“ („მიმომხილველის“ ინფორმაცია).

„1511 წელს უფლისწულმა გიორგიმ ღალატით მოკლა მშობელი მამა — მეფე ალექსანდრე პირველი, თვალები დათხარა ძმას, დიმიტრის და ორიოდე წლით დაისაკუთრა კახეთის მეფის ტახტი.

მამის მკვლელსა და არამზადას შთამომავლობა დღესაც ასე მოიხსენიებს — „ავგიორგი“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

9. **ლიდი „ვა-ბანკი“.** ავტორი ცდილობს პირველივე წინადადებით გააოგნოს, ააფორიაქოს მკითხველი. არც ერთი ლიტონი სიტყვა, არც ერთი ყალბი ნოტა! „ნასროლი“ აუცილებლად „ათიანში“ უნდა მოხვდეს, სხვანაირად ყველაფერი დაღუპულია. ასეთ ლიდს მიმართავენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ხშირად, უკვე გახმაურებული ინფორმაციის შემცველი სტატიის (როგორც წესი, პუბლიცისტურის) გამოქვეყნებისას. ავტორს უნდა ჰქონდეს ასპროცენტიანი გარანტია, რომ მისი ნათქვამი მკითხველში ზუსტად ნავარაუდევ ემოციებს გამოიწვევს. რისკი ძალიან დიდია. თუ წარმატებაში ოდნავ მაინც გეპარებათ ეჭვი, სჯობს თავი შეიკავოთ და გაკაფული გზით იაროთ. ამისთვის არავინ დაგძრახავთ. ამ ტიპის ლიდის შეთხზვას ნიჭთან ერთად დიდი გამოცდილება, სიტყვის უდიდესი გრძნობა და ვირტუოზული ოსტატობა სჭირდება. თუ დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი ეს გაქვთ, მით უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ — თქვენ გენიალობასა და ბანალობას შორის გადებულ ბეწვის ხიდზე გადიხართ.

ამგვარი შესავლის კლასიკურ ნიმუშად ითვლება 1906 წელს სან-ფრანცისკოში მომხდარი გამანადგურებელი მიწისძვრისადმი მიძღვნილი ჯეკ ლონდონის* სტატიის პირველი წინადადება: **„სან-ფრანცისკო აღარ არსებობს“.**

სტატიის ავტორისთვის საკუთრივ ამგვარი შინაარსის ლიდის

შექმნა კი არ არის საფრთხე, ან გადაულახავი სიძნელე, უაღრესად ძნელია თქვენს მიერ უკვე პირველ ფრაზაში ნათქვამის დასაბუთება, მკითხველის დარწმუნება, რომ ეს მართლაც ასეა. არ დაივიწყოთ, რომ ძალიან ხშირად მკითხველს მისთვის კარგად ნაცნობ თემაზე ესაუბრებით.

ამ ტიპის ლიდის კიდევ ერთ ნიმუშს შემოგთავაზებთ: „სამარისებურ სიჩუმეში თითქოს შორიდან მოისმა მოსამართლის მრისხანე სიტყვები: „დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის...“ ბრალდებული სკამზე დაეშვა, სახეზე ხელები აიფარა და ისე მოისმინა უკანასკნელი ფრაზა: „მიესაჯოს სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილი...“

განსასჯელის სკამზე იჯდა კაცი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ტაშს უკრავდა მთელი მსოფლიო“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

10. **ლიდი-რემარკა.** ეს ფრანგული სიტყვა (remarque) შენიშვნას, მინაწერსაც ნიშნავს და პიესაში ახალი მოქმედების დაწყების წინ სცენის აღწერასაც. ამგვარი ლიდები ხშირად გამოიყენება ისეთი ჟურნალისტური ჟანრით სარგებლობისას, როგორიცაა ნარკვევი ან ჩანახატი. თუმცა, ვინაიდან ჟურნალისტიკა არ არის ზუსტი მეცნიერება (მე თუ მკითხავთ, ჟურნალისტიკა, საერთოდ, არ არის მეცნიერება!), ნებისმიერი შინაარსის სტატიას შეგიძლიათ მიუსადაგოთ ნებისმიერი ტიპის ლიდი.

ამის მაგალითსაც შემოგაშველებთ:

„მხატვრის ღარიბული ნათელი ოთახი; შუაგულში — მივიწყებული მოლბერტი; მაგიდაზე — შენიშვნებით აჭრელებული ქაღალდები; კედლებზე ნახატები და წიგნები; ჰაერში — სიგარეტის სქელი ბოლი. გარეთ თბილი წვიმა მოდის, მაგიდას სამნი უსხედან და ცხოვრების ამაოებაზე საუბრობენ“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

როგორც ხედავთ, ლიდი აშკარად რემარკის სტილისაა. სტატია კი სულაც არ მიეკუთვნება ნარკვევის ან ჩანახატების ჟანრს — ეს უფრო არის მშვენიერი პოეტური კრებულის მხატვრული რეცენზია. თუმცა, გირჩევთ წინასწარ გულს ნუ გადაილევთ ჯერ კიდევ დაუწერელი სტატიების ტიპებსა და ჟანრებზე ფიქრით. უბრალოდ, უნდა იცოდეთ მათი არსებობის შესახებ. პრაქტიკულ საქმიანობაში მათი გამოყენების გზებს კი თვითონ პრაქტიკა გიკარნახებთ. არსებობს ერთი ძალიან უბრალო და უკვდავი წესიც:

ჯერ უნდა შექმნათ ნაწარმოები თავისი რუბრიკით, სათაურით, ქვესათაურით, ლიდით, ეპილოგით, დასკვნითა თუ შეგონებით და მერე იფიქროთ მის რომელიმე ჟანრზე მიკუთვნებაზე, მის კომპოზიციურ აგებულებაზე, თუნდაც, — ლიდის სტილზე. თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, ამითაც ბევრი არაფერი დაშავდება — გააგრძელეთ მკითხველისთვის საინტერესო ნაწარმოებების შექმნა, მათი მეცნიერული შესწავლა კი ჟურნალისტიკის თეორეტიკოსებს დაუთმეთ. აი, იმათ, ჟურნალისტიკის სფეროში თეორიულად ყველაფერი რომ იციან და პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებენ.

ლიდებზე საუბარი ისე გაგვიჭიანურდა, ალბათ, თავი მოგაწყინეთ კიდეც. რას ვიზამთ, როგორც დიდი პროლეტარული მწერალი, მაქსიმ გორკი (ალექსეი პეშკოვი) ამბობდა, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს. ჟურნალისტიკა კი ხელოვნებაა.

11. **ლიდი — ირონია.** ალბათ უჩემოდაც მიხვდით, რომ სტატიის (ან საუბრის) დასაწყისში ავტორი რაღაც მოვლენის საილუსტრაციოდ და მკითხველის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ირონიას იყენებს. ამგვარი ლიდების დიდოსტატად თავის დროზე ითვლებოდა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის წამყვანი, პროგრამა „ენერგიის“ ავტორი, მერაბ ბერაძე. ძალიან საჭირო გამოგონებაზე, ბიუროკრატიაზე, უსამართლობაზე, მოკლედ, უსერიოზულეს თემაზე საუბარს ბატონი ბერაძე დაახლოებით ასე იწყებდა:

„სვანს ქალაქიდან სტუმარი ეწვია, სოფლის დათვალიერების დროს შენიშნა, კოშკიდან ვიღაც თოფს უმიზნებდა და შეშინებული მასპინძელს მივარდა — არიქა, მგონი მკლავენ, რამე მიშველეო.

— მაგ საქმეს ვეღარაფერს ვუშველი, მაგრამ ნუ იდარდებ — მაგასაც მიუვა სტუმარი და აუცილებლად ავიღებ შენს სისხლსო, — დაამშვიდა მასპინძელმა“.

ამას ჟურნალისტი ყოველგვარი შესავლის გარეშე გიამბობთ და ძალიან სწრაფად ახერხებს თქვენი კეთილგანწყობის მოპოვებას — თქვენ ბოლომდე უყურებთ ბერაძის ტელეგადაცემას.

„ოთხმოციანი წლების ბოლოს ცივილიზებული სამყარო შეძრა ცნობამ, რომ ქართულმა საბჭოთა სუკმა დახოცა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ლიდერის უმანკო ქათმები! დახოცა არა ტრადიციულად — დანით ყელის გამოჭრით, არამედ ბარბაროსულად — მასობრივი

განადგურების იარაღის (საწამლავის) გამოყენებით **(„საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაცია).**

ავტორის ირონია აშკარა და შეუფარავია. ცხადია, მას ყოფილი „დიდი ლიდერის“ ქათმების ბედი არ აინტერესებს. და თქვენც იძულებული ხდებით ძირითად ტექსტში მოძებნოთ პასუხი კითხვაზე — რისი თქმა უნდა ავტორს.

ირონიული სათაურისა და შესავლის კიდევ ერთ მაგალითს შემოგთავაზებთ და ლიდებზე საუბარი ამით დავამთავროთ:

ნაღმი „სამშობლოში“

ორშაბათი, 1991 წლის 22 იანვარი სხვა დღეებისგან არაფრით გამოირჩეოდა — გასტრონომები ძველებურად ცარიელი იყო, კვერცხის რიგში უამრავი ადამიანი იდგა. ბაზრის ფასები თავქუდმოგლეჯილი* გარბოდა. ხალხი ძველებურად ლანძღავდა „ადამონ ნიხასს“, ოს ექსტრემისტებს და, რასაკვირველია, გორბაჩოვსაც“* **(„7 დღის“ ინფორმაცია).**

სათაურიდან გამომდინარე, მკითხველი, ცოტა არ იყოს, შემცბარი და აფორიაქებულია — ეს ის დროა, როცა ნაღმი, პირდაპირი გაგებით, მართლაც შეიძლება ყველგან აღმოჩენილიყო. თუმცა, ირონიული დასაწყისის გაცნობისთანავე იგი მშვიდდება და ინტერესით კითხულობს ტექსტს, სადაც არაფერია ნათქვამი არც ცარიელ გასტრონომიულ მაღაზიებზე, არც ოსურ მოძრაობა „ადამონ ნიხასზე“ და, რა თქმა უნდა, არც საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვზე.

რუბრიკა

Rubrika ლათინური სიტყვაა (ruber — წითელი) და ნიშნავს კანონის სათაურს, რომელსაც ძველი რომაელები წითელი საღებავით წერდნენ. თანამედროვე ინტერპრეტაციით, ეს არის განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში ან ტელეგადაცემაში.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ხშირად გულწრფელად აკვირვებთ, ვინ კითხულობს ან როგორ კითხულობს სქელტანიან გაზეთებს. პასუხი უბრალო და პროზაულია — თავიდან ბოლომდე გაზეთებს არავინ არ კითხულობს. კითხულობენ მხოლოდ იმას, რაც აინტერესებთ. აქვე ჩნდება მეორე კითხვაც: რა პრინციპით უნდა იპოვო საინტერესო მასალა ასგვერდიან

გაზეთში? **ძალიან იოლად — იცი, სად ეძებო „შენი“ რუბრიკა.** იგი, როგორც სათაური, ლიდი და ბევრი სხვა რამ, ემსახურება მკითხველის ინტერესებს.

თანამედროვე მსოფლიოში ურუბრიკო გამოცემა წარმოუდგენელია — ისინი თვით სასკოლო გაზეთებშიც კი დამკვიდრდა.

რუბრიკის მიზანია, მკითხველს გაზეთში ან ჟურნალში სწრაფად აპოვნინოს მისთვის საჭირო თემა. უკეთ რომ ვთქვათ, პრესის რუბრიკაცია მასალების თემატურად დალაგებას და თემების დასათაურებას ნიშნავს. მართალია, სხვადასხვა გამოცემას თემების რუბრიკაციის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერა აქვს, მაგრამ მკითხველს ეს მხოლოდ უადვილებს ამოცანას.

მრავალგვერდიანი (32, 48 გვერდი და მეტი) გაზეთები, როგორც წესი, დალაგებულია ე.წ. „რვეულებად“. ერთი „რვეული“ ერთი მთავარი რუბრიკითაა გაერთიანებული: „პოლიტიკა“, „ეკონომიკა“, „სოციალური სფერო“, „სამართალი“, „საერთაშორისო ცხოვრება“, „მოდა“, „სპორტი“ და სხვა. ყოველი მთავარი რუბრიკა თავის მხრივ იყოფა შედარებით ლოკალურ თემებად, ეს უკანასკნელი — კიდევ უფრო წვრილმან თემებად და ასე შემდეგ.

16-დან 32 გვერდამდე ფორმატის გაზეთების რუბრიკაცია, როგორც წესი, გვერდების მიხედვით კეთდება. ერთი რუბრიკა მოიცავს გაზეთის ერთ ან ორ, იშვიათად, სამ გვერდს. XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პრესაში ამის ბევრი მაგალითია — „დრონი“, „7 დღე“, „მიმომხილველი“, „რეზონანსი“ და სხვა.

რუბრიკაციის ე.წ. „შერეული“ სტილის მიმდევარია ძალიან პოპულარული და ძალიან სიმპათიური რუსული გაზეთი „Аргументы и факты“. მისი ზოგი გვერდი ერთი რუბრიკითაა გაერთიანებული, ზოგ გვერდზე რამდენიმეა. გვერდების რუბრიკები დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: 1. პოლიტიკა; 2. პიროვნება; 3. საზოგადოება; 4. ეკონომიკა; 5 სახლი, ქუჩა, ქალაქი; 6. პეტერბურგი; 7. კულტურა; 8. მოსკოვი; 9. რისკის ზონა; 10. უკუკავშირი; 11. წვრილმანი (подробности); 12. სპორტი; 13. ტელევიზია; 14. „ა და ფ“ გთავაზობთ; 15. სახეები...

ამავე გაზეთში ფრიად ორიგინალურად და საინტერესოდაა გადაწყვეტილი ყოველი სტატიის რუბრიკაციის პრობლემა. თავად განსაჯეთ: „ბაგირის გადაწევა“, „მოსკოვური კორიდა“, „გარჩევები“, „ახლა ამინდზეც“, „ღატაკები რომ არ იყვნენ“,

„სულის ყივილი“, „ნახატები კონვერტიდან“, „ბანდიტები“, „სადაც დელიკატესი იზრდება“, „სადღაც წავლენ, სადღაც მივლენ“ და ასე შემდეგ. ალბათ, იმის თქმა საჭირო აღარ უნდა იყოს, რომ უშუალოდ თემების რუბრიკების დასახელება თვით თემების შინაარსის მიხედვით მუდმივად იცვლება. სტაბილურია მხოლოდ გვერდების რუბრიკაცია. ამიტომ მკითხველს მისთვის საინტერესო მასალის პოვნა სულაც არ უჭირს.

სერიოზული გამოცემები, როგორც წესი, „მძიმე“ რუბრიკებს („პოლიტიკა“, „ეკონომიკა“ „სამართალი“...) გაზეთების წინა გვერდებზე ათავსებენ. განსაკუთრებით საინტერესო, „საზოგადოებრივი ჟღერადობის“ პრესტიჟულ მასალებს გაზეთის ცენტრალურ გვერდებზე განაწესებენ ხოლმე. საგულისხმოა, რომ სერიოზული გამოცემები შეძლებისდაგვარად ერიდებიან გაზეთში რუბრიკების ადგილების ცვლას. მომავალ რედაქტორებსაც ამას ვურჩევ: პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, გაზეთის (ჟურნალის) რომელ გვერდს რომელ რუბრიკას დაუთმობთ, მთავარია, ისინი არ ვცვალოთ, თორემ მასალების რუბრიკაცია თავის დანიშნულებას დაკარგავს. ეს ნიშნავს, რომ თქვენი გაზეთი ერთგული მკითხველების ნახევარს მაინც დაემშვიდობება.

თუმცა, შეგიძლიათ არც დამიჯეროთ — ჩვენ, ნამდვილი ქართველები ხომ სხვისას კი არა, საკუთარ გამოცდილებასაც არ ვენდობით!

კიდევ ერთ ნიმუშად, განსაკუთრებით მამაკაცებში საკმაოდ პოპულარულ ჟურნალს, „Клаксон“-ს შემოგთავაზებთ.

გვერდების რუბრიკები: „ბრიფინგი“, „ოქმი, ინფორმაცია“, „გზაჯვარედინი“, „ავტომობილი და ბიზნესი“, „მსოფლიო პრემიერა“, „პრაქტიკა, ანალიზი, რჩევები“, „საახალწლო საჩუქარი“, „რუსული ბაზრის სიახლეები“, „მრგვალი მაგიდა“, საუბრის საბაბი“, „ავტომობილი ზოგიერთებისთვის“, „კლუბი „ორი ბორბალი“...

ბარემ უფრო „დავწვრილმანდეთ“: „საბაჟო“, „ფრთხილად, სიყალბეა!“ „ფიასკო“, „როგორ მიდის თქვენი საქმე?“, „საინფორმაციო წყაროებიდან“ (საერთო რუბრიკა — „ოქმი, ინფორმაცია“); „ეხ, გზები...“, „საკრედიტო ხაზი“, „ექსპერიმენტი“, „მახლობელი საზღვარგარეთი“, „სუფთა ეზო“, „ახალი ამბები“ („გზაჯვარედინი“); „გიგანტების ცხოვრებიდან“, „ევროპული ბაზარი“, „მარკეტინგი“, „NOTEBOOK“, „დანიშვნა“, („ავტომო-

ბილი და ბიზნესი“); „გადასახადები“, „აქსესუარები“, „შპარგალკა“ („პრაქტიკა, ანალიზი, რჩევები“).

რა თქმა უნდა, შემეძლო მომეტანა სხვა უამრავი მაგალითი მსოფლიოს პოპულარული ჟურნალ-გაზეთებიდან, მაგრამ სანიმუშოდ, ვფიქრობ, ესეც საკმარისი უნდა იყოს.

ნურავინ იფიქრებს, რომ კომუნისტურმა პრესამ რუბრიკების სიკეთე არ იცოდა ან მკითხველთა დაინტერესების ამ მეთოდს არ იყენებდა. იცოდა და იყენებდა კიდეც, ოღონდ, თავისებურად: საბჭოთა რესპუბლიკების ამბები გადმოიცემოდა რუბრიკით „ჩვენს დიად საბჭოეთში“, კაპიტალისტური უცხოეთისა — „რკინის ფარდის მიღმა“, „იქ, სადაც ბატონობს კაპიტალი“, ან „ძია სემის სამშობლოში“; კრიმინალური ქრონიკებისა — „მგელი ცხვრის ქურქში“; ეკონომიკისა — „სოცშეჯიბრის დროშით“; განათლებისა — „ძია ლენინის ანდერძი“; ახალგაზრდობისა — „კომკავშირი პატაკს აბარებს“, საბავშვოსი — „ნორჩი ლენინელები“... საქმე ზოგჯერ მართლაც დაუჯერებელ კურიოზებამდე მიდიოდა — ერთი სპორტული გაზეთი, ხაზს ვუსვამ, სპორტული გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა სპორტულ ინფორმაციებს რუბრიკით... „ცოტა რამ სპორტის შესახებ!“

თავი IV

საგაზეთო ენა და სტილი

ოდესღაც, როცა მხოლოდ მკითხველი ვიყავი, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ არ არსებობდა არავითარი განსაკუთრებული „საგაზეთო ენა და სტილი“. მერე მივხვდი, რომ საგაზეთოს გარდა, არსებობს კიდევ საოქმო, იურიდიული, დიპლომატიური, სამთავრობო, სატელევიზიო, სატელეფონო, ქურდული, პოლიციური, ბაზრული ენები და ამ ენებზე მეტყველების სულ მცირე, ოთხი სტილი: კაპასური, ავარული, ანჩხლური და აშარული.

ეს, რა თქმა უნდა ხუმრობაა, მაგრამ ისეთი ხუმრობა შევარცხვინე, სადაც ჭეშმარიტება არ ურევია — ენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დაახლოებით ასეთი მიმართულების ჟარგონები ქართულ და სხვა ენებზეც ნამდვილად არსებობს.

ვფიქრობ, ტერმინი „საგაზეთო ენა“ მთლად გამართული არ უნდა იყოს. ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა „საგაზეთო ჟარგონი“. თუმცა, ამაზე საუბარი უკვე დაგვიანებულია — „საგაზეთო ენა“ დამკვიდრებულია და გულისხმობს რაღაც საშუალოს სალიტერატურო ენასა და პროფესიულ ჟარგონს შორის.

რაც ახლა მოგახსენეთ, ალბათ, საკამათო მოსაზრებაა. ენის სპეციალისტები, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ალბათ დაადგენენ სალიტერატურო და საგაზეთო-სატელევიზიო ქართული ენის მოქმედების საზღვრებს. იქამდე ჯერ საკმაოდ შორია. მანამდე იმაზე ვისაუბროთ, რაც რეალურად გვაქვს. საგაზეთო ენისა და სტილის არსებობა კი თანამედროვე პირობებში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ძალიან მოკლედ, ეს არის ყოვლად ჩვეულებრივი ქართული სალიტერატურო ენა ზოგიერთი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით. სწორედ ამ თავისებურებებზე უნდა ვისაუბროთ და, რაც მთავარია, მომავალში გამოვიყენოთ კიდეც.

თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, **ჟურნალისტმა სათქმელი უნდა თქვას მოკლედ, სხარტად და რაციონალურად, ანუ რაც შეიძლება ნაკლები სიტყვებით გადმოსცეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. თანაც, ეს უნდა გაკეთდეს მაქსიმალურად სწრაფად.**

ოდესღაც მეც მქონდა საბჭოთა პრესაში მუშაობის ბედნიერება და შემიძლია კატეგორიულად ვამტკიცო: საბჭოთა და თავისუფალ პრესას შორის განსხვავება უზარმაზარია. მაშინ პრესა იყო იარაღი მმართველი პარტიის ხელში. ამიტომაც არავის უკვირდა, როცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გამომავალი ყველა გაზეთი ერთდროულად პირველ გვერდზე ბეჭდავდა ბრეჟნევის სიტყვას და ბრეჟნევისადმი მიძღვნილ დაახლოებით ამგვარი შინაარსის ბარათებს:

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

ჩვენ, აბაშელი მესიმინდეები აღფრთოვანებული ვართ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და პირადად თქვენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ბრძნული გადაწყვეტილებებით, რომლებსაც ჩვენთვის, აბაშელი მესიმინდეებისათვის ახალ-ახალი წარმატებები მოაქვს.

პარტიულ კონფერენციაზე თქვენი გამოსვლა აბაშელმა მშრომელებმა, ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, აღვიქვით, როგორც დიადი მოწოდება ახალი წარმატებებისაკენ. თქვენ, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძევ, ხართ ის მანათობელი შუქურა, რომლისკენაც ილტვის მსოფლიო პროლეტარიატი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები. ჩვენ ძალღონეს არ დავიშურებთ თქვენს მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. პირობას ვდებთ...

ამ ენაზე ახლა აღარავინ მეტყველებს. მსოფლიოს არც ერთი თავმოყვარე გაზეთი საკუთარ თავს უფლებას არ მისცემს, სიტყვების ამგვარი უაზრო ბრახაბრუხი გამოაქვეყნოს. მაშინ ქვეყნდებოდა! მეტიც, პრესის პარტიულობიდან გამომდინარე, ასეთი შინაარსის მასალების გამოქვეყნება სავალდებულო იყო.

„დინამო“ იმ დღეს მოგვევლინა ერთ მუშტად შეკრულ თავდადებულ მებრძოლთა რაზმად, სადაც ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის იბრძოდა. იბრძოდა და გაიმარჯვა. ეს იყო გამარჯვება გამარჯვებაზე მეტი, გამარჯვება იმედისმომცემი და სამაგალითო. სამაგალითო მთელი ერისთვის! ახლა, ამ ძნელბედობის ჟამს სრულიად საქართველოს მართებს ისეთივე ერთიანობა და თავდადება, როგორიც მისი შვილების ერთმა ნაწილმა გამოიჩინა „დინამოს“ სტადიონის მწვანე მინდორზე“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

მოდი, ერთმანეთს შევადაროთ რაიკომის რომელიღაც კაბინეტში შეთხზული „აბაშელი მესიმინდეების“ მიმართვა და სპორტული ჟურნალისტის ხელით დაწერილი საფეხბურთო მატჩის ანგარიში. იმის მიუხედავად, რომ ამ ორი „ლიტერატურული ძეგლის“ შექმნის თარიღებს შორის განსხვავება სოლიდურია, მსგავსება ფანტასტიკურია: იგივე არაფრისმთქმელი მაღალფარდოვნება, იგივე სტილი, იგივე გაცვეთილი ფრაზეოლოგია, იგივე კეკლუცობა, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის იგივე წარუმატებელი მცდელობა...

ასე წერა, რა თქმა უნდა, სასაცილოა, ცუდია, მაგრამ მაინც, თვით XXI საუკუნეშიც კი ასე წერენ. ზოგი იმის გამო, რომ სხვანაირად არ შეუძლია, ზოგი იმის გამო, რომ ასე წერა კარგი ჰგონია. მაღალფარდოვნება, თუნდაც ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული, ვნებს ნებისმიერი ჟანრის საგაზეთო მასალას. აქ არ არის საუბარი მაღალფარდოვნების ელემენტების გამოყენებაზე. ზოგჯერ ეს იქნებ აუცილებლობამ მოითხოვოს, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ „აბაშელი მესიმინდის“ როლში არ აღმოჩნდე.

„გუშინვე გაირკვა, რომ პოლიცია ავიწროებს და სხდომის დარბაზში არშეშვებით ემუქრება გურამ აბსანძის მეუღლესაც. რამ გამოიწვია პოლიციის ასეთი გააქტიურება, ჩვენთვის უცნობი დარჩა იმ მოტივით, რომ პოლკოვნიკმა სიტყვის თქმის ღირსადაც არ ჩაგვთვალა“ **(„ახალი თაობის“ ინფორმაცია).**

სხვათა შორის, პრესაში ხშირია „არშეშვება-არგაგება-არჩამოსვლა-არდაშვებას“ მსგავსი ხელოვნური, გამოგონილი გრამატიკული ფორმები (ისევე, როგორც ყოვლად გაუგებარი „გადაჭრადი“, „მოგვარებადი“, „შესრულებადი“, „გაკეთებადი“, „ცნობადი“, „გააჟღერა“, „გაახმოვანა...“). ჟურნალისტმა, ეტყობა, არ იცის სიტყვა „მოტივის“ მნიშვნელობა. თანაც, ერთი საკმაოდ ბანალური აზრის გამოსათქმელად რაც შეიძლება მეტი სიტყვის გამოყენებას ცდილობს: „რამ გამოიწვია პოლიციის ასეთი გააქტიურება, ჩვენთვის უცნობი დარჩა იმ მოტივით, რომ პოლკოვნიკმა სიტყვის თქმის ღირსადაც არ ჩაგვთვალა“. ალბათ სჯობდა ეს აზრი ჟურნალისტს დაახლოებით ასე გამოეთქვა: „პოლიციის გააქტიურების მიზეზი ვერ დავადგინეთ, ვინაიდან პოლკოვნიკმა პასუხი არ გვაღირსა“.

„გასული წელი არჩილ ჩოხელის კარიერაში ქართველ სამ-

ბისტთა შორის საუკუნის მესამე და წლის მეორე სპორტსმენის ტიტულით აღინიშნა. თუმცა, მიუხედავად წარმატების ბარაქიანობისა, მას თვითმყოფადობა არ დაუფლებია“ **(„დილის გაზეთის“ ინფორმაცია).**

ასეთი ყოვლად უაზრო წინადადების გამოგონებასაც ნიჭი უნდა! ჟურნალისტმა არ იცის, კონკრეტული აზრის გამოსახატავად რომელი სიტყვა უნდა გამოიყენოს. იშვიათად, მაგრამ ასე ემართება უცხოელს, რომელმაც იცის სიტყვები, მაგრამ მათთვის წინადადებაში ადგილის მიჩენას ვერ ახერხებს.

ჟურნალისტმა არ იცის, რომ „გასულ წელს“ ქართულად ჰქვია „შარშან“; რომ სიტყვათშეთანხმება „წარმატების ბარაქიანობა“ ალოგიკურია, სულელურია და ქართულ ენაში არ არსებობს; რომ ადამიანს შეიძლება დაეუფლოს შიში, სიყვარული, სიძულვილი, შიმშილი, კმაყოფილებაც კი, მაგრამ „თვითმყოფადობის დაუფლება“ ყოვლად წარმოუდგენელია!

ტირაჟირებული უაზრობების კიდევ რამდენიმე ნიმუში ვნახოთ და მერე, იქნებ, რაიმე დასკვნის გამოტანაც შევძლოთ. ნიმუშები აღებულია გაზეთ **„ახალი თაობიდან“,** თუმცა, ასეთი მაგალითები ამ ეპოქის ნებისმიერ გაზეთში შეიძლება შეგვხვდეს*:

„მოქკავშირი შევარდნაძის შიშველ მდგომარეობაში დატოვებას არ დაუშვებს“ (სათაური).

„ეს ერთგვარი ინიციატივა, რომელიც „ახალი „ფრაქციის“ ინიციატივით გაფორმდა, ახალი არ არის და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში გამუდმებით ფიგურირებს“.

„შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მას რაღაცას ვკარნახობდე და ყველას მოვუწოდებ, ამ თემაზე წინასწარ აკვიატებული დამაჯერებელი და არადამაჯერებელი არგუმენტებით ბაასი შეწყვიტოთ“.

„არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ დავმარცხდით, ან კაპიტულაციას აქვს ადგილი“.

„როცა მოსამართლეს ამაზე მიუთითეს ჟურნალისტებმა, მოსამართლემ ნათქვამს იგნორირება გაუკეთა“.

„გურამ აბსანძის პროცესზე მსგავსი უპრეცენდენტო შემთხვევა მეორედ მოხდა“.

„ჟურნალისტებს მან უბრძანა, დაეკავებინათ ის ინსტანცია, საიდანაც საერთოდ არ ისმის განსასჯელების, თვით ბატონი

გურამ აბსანძის (მას ყველაზე მაღალი ხმა აქვს) ხმის გაგონებაც კი“.

„ჩვენ პირიქით, ვიცავდით განსასჯელების უფლებებს, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ მოსამართლესთან შევედით პოლემიკაში“.

„ამრიგად, მე თავი დავიზღვიე ამჯერად“.

და უამრავი სხვა.

თითქოს უცნაურია, მაგრამ თვით XXI საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოში არ არსებობდა არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი გაზეთი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით არ სცოდავდა. სცოდავდა კი არა, ქართული სალიტერატურო ენისადმი პრესის დამოკიდებულება, უბრალოდ, მკრეხელურიც კი იყო. გულახდილად რომ ვთქვა, პრესაში გამოქვეყნებული ამგვარი ტექსტებისთვის სახელის დარქმევა ძალიან მიჭირს. ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე, ზოგადად, უვიცობა, უპასუხისმგებლობა, ან საქმისადმი უსინდისო დამოკიდებულებაა.

ვცადოთ, გავარკვიოთ, რა ფენომენთან გვაქვს საქმე. ხოლო რა შეიძლება მოჰყვეს მშობლიური ენისადმი ასეთ დამოკიდებულებას, ეს ცალკე სერიოზული კვლევის საგანია.

ძალიან მოკლედ განვიხილოთ ნებისმიერი ზემოთ მოხმობილი ციტატა. მაგალითად, აი, ეს:

„როცა მოსამართლეს ამაზე მიუთითეს ჟურნალისტებმა, მოსამართლემ ნათქვამს იგნორირება გაუკეთა“.

ამ წინადადების პირველი ნაწილი ვულგარული მაღალფარდოვნების ნიმუშია: „როცა მოსამართლეს ამაზე მიუთითეს ჟურნალისტებმა“. ოციანი წლების ცისფერყანწელთა მანერული სტილი ამ წინადადებას ისე უხდება, როგორც სახედარს — საყურე. ამის გარდა, ამ წინადადების ავტორი თავს ერთობ ბრიყვულ ვითარებაში იგდებს — რა მორალური ან იურიდიული უფლება აქვს ჟურნალისტს „მოსამართლეს მიუთითოს!?“ ანუ ავტორი ვერ ერკვევა უმარტივეს კონსტიტუციურ ნორმებში. რაც შეეხება გამოთქმას, „იგნორირება გაუკეთა“, ესეც უვიცობის, უცხო სიტყვით კეკლუცობის და მშობლიური ენისადმი ყოვლად უდიერი დამოკიდებულების ნიმუშია. სჯობდა ჟურნალისტს ეთქვა „მოსამართლემ წაუყრუა“, „ყურადღება არ მიაქცია“, „არ უპასუხა“, ბოლოსდაბოლოს — „ფეხებზე დაიკიდა“.

ზემოთ მოხმობილი მაგალითები მხოლოდ მშობლიური ენის

უცოდინრობის კი არა, ზოგადად, გაუნათლებლობის ბრალია — ჟურნალისტი, ერთი მხრივ, ვერ პოულობს საჭირო სიტყვებს აზრის ნათლად გადმოსაცემად, მეორე მხრივ, არც რაიმე ნათელი აზრი აქვს. სამაგიეროდ, სიტყვების კორიანტელით საკუთარი უვიცობის შენიღბვას ცდილობს და ვინაიდან მისი ნამოღვაწარი გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდება, ამას აღწევს კიდეც.

ვიდრე ხელში კალამს აიღებდეთ და „ფეხი გავიქნიე ხელი“ ან „ამრიგად, მე თავი დავიზღვიე ამჯერადო“, დაწერდეთ, გაიხსენეთ, რედაქტორის თვალის ახვევა ან თავბრუს დახვევა მართლაც შესაძლებელია, მკითხველისთვის — ყოვლად წარმოუდგენელია. ისიც გაითვალისწინეთ, რომ სტატიები იწერება არა რედაქტორისთვის, არამედ, მკითხველისთვის.

ოდესღაც, ვიდრე საინფორმაციო სივრცეს და, შესაბამისად, ჩვენს გონებას ტელევიზია დაიპყრობდა, საქართველოში ზღაპრული პოპულარობით სარგებლობდა მსახიობ ეროსი მანჯგალაძის საფეხბურთო რადიორეპორტაჟები. მსმენელები ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში სულგანაბული ისხდნენ რეპროდუქტორებთან. მათ აინტერესებდათ არა მარტო მატჩის მიმდინარეობა და მისი შედეგი, არამედ რადიო-შოუ უნიჭიერესი მსახიობის შესრულებით:

„მიმდინარეობს თამაშის მეორე ნახევრის მეოცე წუთი. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და იუგოსლავიის „ოლიმპიას“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშია ოთხით ნოლი, ოთხით ნოლი თბილისელთა სასარგებლოდ. ჯარიმა. დაარტყამენ ჩვენი სტუმრები, იუგოსლავიელები. ჩვენს კარამდე იქნება, ასე, 40-45 მეტრი. ემზადებიან. თუ იუგოსლავიელები ამ ჯარიმას გაიტანენ, ანგარიში გახდება... ახლავე მოგახსენებთ, ანგარიშია 4:0, ესე იგი, ანგარიში გახდება 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ. უეფას თასის გათამაშებას რომ გამოვეთიშოთ, მაშინ საპასუხო მატჩი ლიუბლიანაში უნდა წავაგოთ ანგარიშით 4:0 ან 5:1. დარტყმა... არის! რამ დამაწყებინა, კაცო, ეს ლაპარაკი, ა?..“

ეროსი მანჯგალაძის რადიორეპორტაჟებზე დღესაც ლეგენდები დადის. ახლა წარმოიდგინეთ, იქნებოდა თუ არა იგი პოპულარული კომენტატორი, ასეთი ტექსტებით რომ ელაპარაკა: „მარჯვენა მხრიდან შეტევა განახორციელა...“ „შეტევაშია გიორგი კიკნაძე...“ „ყაველაშვილმა ჯამარაულს პასი გაუკეთა...“ „ბავარიელები ცენტრში ძალების აკუმულირებას ახდენენ...“, „ბუკვალურად შეიძლება ითქვას..“

ეს გამოთქმები მე არ გამომიგონია. ბევრი ქართველი სპორტული კომენტატორი, სამწუხაროდ, მართლაც ასე ლაპარაკობს და კიდევ უფრო უარესად — წერს. ისინი საკუთარ თავს სპორტის რომელიმე სახეობის სპეციალისტებს უწოდებენ. ალბათ, ასეცაა, მაგრამ მათ ნაამბობს რომ თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, ესეც მართალია.

„პასი გაუკეთას“ სინდრომი, ვფიქრობ, რუსიციზმებიდან უნდა მოდიოდეს (сделал пас). პოსტკომუნისტურ საქართველოში ცოტა უცნაური ვითარება შეიქმნა. ტოტალური რუსულენოვანი საქმის წარმოება წარსულს ჩაბარდა და იმავე საქმის ლიტერატურულ ქართულ ენაზე საკეთებლად ვერავინ მოიცალა. ამიტომ იმ სიტყვებს ვხმარობთ, რაც პირველად გაგვახსენდება. „ბუკვალურად რომ ვთქვა“, რუსული დავივიწყეთ და მშობლიური ქართულიც ვერ ვისწავლეთ.

საგაზეთო სტატიებში ძალიან ხშირად გვხვდება ე.წ. **შეუსაბამობანი**: „მე დავკითხე შევარდნაძე რუსულად, რადგან კარგად ვიცი რუსული და გავჭედავდი, გავჭედე კიდევაც“ **(„საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაცია).** ამ ქუჩური ჟარგონის („გავჭედე“) გამოყენებით, ავტორს სურს თქვას, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს ლოგიკით აჯობა, „კუთხეში მიიმწყვდია“. ხოლო ამ „ინტელექტუალური გმირობის“ საშუალებად რუსული ენის კარგად ცოდნას ასახელებს. ეს აბსურდია. რუსული ენის სრულყოფილად ცოდნა შევარდნაძის, ან ნებისმიერი სხვა ადამიანის „კუთხეში მისამწყვდევად“ არ გამოდგება. ეს მაშინ იქნებოდა საკმარისი, შევარდნაძეს რუსული ენის გრამატიკაში გამოცდა რომ ჰქონოდა ჩასაბარებელი.

„პროფესორის ხელფასი თვეში ხუთასი მანეთია. ამ ფულით ბაზარში მხოლოდ ორი გოჭის ყიდვა შეიძლება, ე.ი. პროფესორი თვეში ორ გოჭად მუშაობს. ამ დროს რამდენია კომერციული მაღაზიის მეპატრონისა და მისი თანამშრომლების შემოსავალი? ძალიან ბევრი, იმდენად ბევრი, რომ პროფესორისას რამდენჯერმე აღემატება. სამართალია ეს?“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

შეგვიძლია გულწრფელად ვუთანაგრძნოთ ღარიბ პროფესორს, მაგრამ რა შუაშია მაღაზიის მეპატრონე? ავტორს პროფესორის სიღარიბე ვაჭრის ბრალი ჰგონია და არა სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა.

ერიდეთ მაღალფარდოვნებას!

თანამედროვე პრესაში მაღალფარდოვნებისთვის ადგილი აღარ რჩება. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, ვლაპარაკობ არა სიტყვაკაზმულობაზე, არამედ მაღალფარდოვნებაზე. როგორც წესი, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში, უადგილო მაღალფარდოვნებით ავტორი საკუთარი გონებრივი უმწეობის, უვიცობის შენიღბვას ცდილობს და... ყოველთვის მარცხდება.

წერის ე.წ. „მაღალი შტილი“, ანუ მაღალფარდოვნება დამახასიათებელი იყო კომუნისტური პრესისთვის და მემკვიდრეობით მიიღო პოსტკომუნისტურმა პოლიტიზებულმა პრესამ. არსებობს მაღალფარდოვნების რამდენიმე სახეობა.

ნამდვილი მაღალფარდოვნება. ეს არის მაღალ ინტელექტუალურ დონეზე შესრულებული პრესისთვის განკუთვნილი მაღალფარდოვანი ლიტერატურა. უფრო ხშირად, ეს არის რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა, ცნობილი პიროვნების საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ნაწარმოები, ფაქტის ან პიროვნების გახსენება, პოლიტიკური პოლემიკა და სხვა.

მაღალფარდოვნების მიზანია სიტყვების თამაშით, წინადადებების კონსტრუქციებით აზრის რაც შეიძლება ლამაზად, ემოციურად გადმოცემა და ამით მკითხველის ცნობიერებაზე ზემოქმედება.

„არა, თარაშ, ეს არ მოხდება — უკვდავებას ვერ კლავენ, საქართველო კი უკვდავია და თუ მოკვდება, მზესთან ერთად მოკვდება...

რა ვთქვათ, ასეთი ჯილაგის და თოხუმის ხალხი ვართ ქართველები — მტრობას და წყენას დიდხანს ვერ ვიჩერებთ გულში. იმ დღეს, თარაშ, უნივერსიტეტში ლექციაზე მივიჩქარი, მაგვიანდება და ლამის საკუთარ თავს გავუსწრო. ვხედავ, ერთი ჩემი ნაცნობი პროფესორი მოდის, ეროვნებით ოსი*. მოდის და მოდენის ფიქრების ნახირს, თვალების აწევა უჭირს, მძიმედ მოიქნევს ჩანთას. მხართან გამისრიალა მისმა მზერამ და ვითომ ვერ დამინახა, უფრო ღრმად ჩაღუნა თავი... მივედი, მივესალმე და გადავკოცნე, როგორც ადრე... იქნებ ეს არის ჩვენი ქართული სისუსტე, თარაშ. იქნებ ამიტომ დაგვაფრინდება ხოლმე მხარზე ყორანი?!“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

ეს არის პროფესორ ჯემალ აფციაურის ეპისტოლარული ჟან-

რის მაღალფარდოვნება — ავტორი საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ესაუბრება თავის ოდინდელ მეგობარს, თარაშს. ამ წერილს A-3 ფორმატის გაზეთის მთელი გვერდი უჭირავს. მიუხედავად მაღალფარდოვნებისა, იგი თავიდან ბოლომდეც კი შეიძლება წაიკითხოთ. ეს არის ავტორის, პროფესორ აფციაურის დამსახურება. მან იცის, როგორ იმოქმედოს მკითხველზე. თუმცა, საბოლოოდ, მისი შრომა მაინც წყალში გადაყრილია — მაღალფარდოვნებისთვის, მათ შორის, მართლაც მაღალინტელექტუალური დონის მაღალფარდოვნებისთვის, აღარავის სცალია.

მაღალფარდოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს დათო მაღრაძის პოეზიისადმი მიძღვნილი ეს სტატიაც:

„...ოდესღაც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ფავორიტი, დაღესტნელ მეამბოხეთა რისხვა, ბრწყინვალე სეფექალების გულთა მპყრობელი, განთქმული თამადა და მოლექსე, აწ უკვე გადამდგარი, მარტოსული გენერალი სევდიანად იგონებს წარსულს: „მახსოვს, ტრფობაში დამთარსეს, გულს ახლაც კვამლი ევლება, სიტყვად იწვიმა ქაღალდზე შეკავებულმა ცრემლებმა...“

გენერალმა მშვენივრად იცის საკუთარი თავის ფასიც და საკუთარი ნაკეთებისაც — ომში მრისხანე და დაუნდობელი იყო, ქეიფში — თავაწყვეტილი, მეგობრებში — ყოჩი, ქალებში — უბადლო, ტოლებში — უბრალო, სასახლეებში — ქედმაღალი: „კვამლში ვახვევდი რამაზანს, მეხზე რომ მეხი დამერთო, დილიდან ვჭექდი ზარბაზანს, ვითარცა გლოვის კამერტონს. ხან მერეოდა გოდება, კანჭში მწვდებოდა ოღრაში, იმ ქვეყნად დაახსომდებათ, აქ რომ გავადე გოგრაში...“

დიახ, ეს გრიგოლ ორბელიანია, სინამდვილედ რომ აქცია მწუხარე სახის რაინდის — დონ კიხოტ ლამანჩელის ათასი წლის ნაოცნებარი: „ვინც მხნე ლამანჩელს იცნობდა, მწუხარე სახის ბაზიერს... რასაც ის დატინგიცობდა, მე სინამდვილედ ვაქციე“.

„...ეხრ, ღრაფინია“! ამქვეყნად ხომ ყველაფერი წარმავალია: სიძულვილიცა და სიყვარულიც, დარდიც, ვაებაც, სიხარულიც და სიამოვნებაც. ახლა ყველასგან დავიწყებულ, ყავლგასულ, უსაქმოდ დარჩენილ გენერალს სისხლნასვამი ხმალი სადღაც კუთხეში უჟანგდება, აქსელბანდებს წვიმა უსველებს, სეფექალებიც აღარ ეხვევიან. აღარც ომებია, აღარც დუელია, აღარც ძველი ბიჭებია და აღარც ორთაჭალის ბაღები. ბებერი ნაგენერ-

ლარი პეროვის ქუჩის კაფეში თავჩაქინდრული ზის და ზიზღით უსმენს უცხო ჯაზურ მუსიკას.

მე ნიკალასთან ერთად გახლდით ორთაჭალის დუქანში, ჯამბაზთა ყიჟინამ რომ დაიგრგვინა*, მეფე-იმპერატორი, ნიკოლოზ მეორე ჩამოაგდესო. მაშინ ნიკალამ თანაგრძნობით გახედა მეფის პორტრეტს და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: „რა უიღბლო ყოფილა ჩემი სეხნია“. ჩვენ ერთად მოვხატეთ თბილისური დუქნები, ერთად ვაჟღრიალებდით ხარფუხში არღანს და ერთად ვეტრფოდით უმშვენიერეს მარგარიტას. ერთად მივდიოდით კახეთში და ერთად გვევსებოდა ცრემლებით თვალი, ხბოს რომ დასაკლავად წამოაქცევდნენ... **(„დრონის“ ინფორმაცია).**

არავითარი ეპითეტები პოეტის მისამართით, არავითარი გადაკრული სიტყვაც კი მაღრაძის პოეზიაზე — ავტორი საუბრობს საკუთარ ემოციაზე, მასში პოეტის ლექსებს რომ აღუძრავს.

მკითხველი პირველივე სტრიქონებიდან რწმუნდება, რომ სტატიის ავტორის ენით თვით პოეტი ესაუბრება; რომ, თუნდაც, აი, ეს სიტყვები ეკუთვნის პოეტს და არა სტატიის ავტორს: „ოდესღაც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ფავორიტი, დაღესტნელ მეამბოხეთა რისხვა, ბრწყინვალე სეფექალების გულთა მპყრობელი, განთქმული თამადა და მოლექსე, აწ უკვე გადამდგარი მარტოსული გენერალი სევდიანად იგონებს წარსულს...“

მკითხველის ემოციას ისიც აძლიერებს, რომ ავტორის ამ სიტყვებს უშუალოდ და ბუნებრივად მოსდევს პოეტური სტრიქონები: „მახსოვს, ტრფობაში დამთარსეს, გულს ახლაც კვამლი ევლება, სიტყვად იწვიმა ქაღალდზე შეკავებულმა ცრემლებმა...“

მკითხველი გრძნობს ავტორის გულწრფელობას, უფრო ზუსტად, მას ავტორი აიძულებს, ირწმუნოს მისი გულწრფელობა და ამას ახერხებს კიდეც — პოულობს საჭირო სიტყვებს და აუცილებელ ტონს საკუთარი ემოციების მკითხველისთვის გადასაცემად.

რა თქმა უნდა, მოყვანილი ნიმუში არის „დრონში“ გამოქვეყნებული სტატიის ნაწილი. ამ სტატიის სრული ტექსტის გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ კახეთის ერთ-ერთ სოფელში, იქაური შუახნის კაცი, უშანგ ხეტეშვილი, ტრადიციულ ქართულ სუფრაზე თავდავიწყებით კითხულობდა მაღრაძის ლექსებს, ოღონდ, არცერთი მათგანი არ იცოდა თავიდან ბოლომდე — გაზეთში გამოქვეყნებული ნაწყვეტები დაესწავლა.

გულწრფელად მთხოვა, იქნებ პატივი დამდო, მაღრაძის ლექსების წიგნი მაშოვნინო და მერე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამო. ისიც დააყოლა, „დრონში“ ისეთი რამეები წავიკითხე მაგ კაცზე, უეჭველად ლაზათიანი პოეტი იქნებაო.

მოკლედ, ის მაღალფარდოვნებაა ნამდვილი, კახელ გლეხს უცნობი პოეტის ლექსებს რომ წააკითხებს და თვალზე ცრემლს მოადენს.

გთხოვთ, ერთმანეთში ნუ აურევთ მაღალფარდოვნებას და სიტყვაკაზმულობას — ამ წიგნში სიტყვაკაზმულობის ავკარგიანობაზე მსჯელობა, საერთოდ, არ არის.

ცრუ მაღალფარდოვნება. ეს არის პრესაში ძლიერ ფეხმოკიდებული დაავადება. რაც უფრო გამოუცდელია, რაც უფრო გაუნათლებელია ავტორი, გული და ხელი მით უფრო გაურბის მაღალფარდოვნებისკენ:

„...სამოცდაათი წელია თავისუფლებაწართმეული ქართველი ერი ბორგავს და გმინავს თავისი უფლებების აღსადგენად. მადლობა ღმერთს, გვყვანდნენ ერისკაცნი, გამუდმებით რომ გვაფხიზლებდნენ და გვამხნევებდნენ, ახლაც, ამ აბობოქრებულსა და აფოფრილ საქართველოშიც გვყავს ერისკაცი და წინამძღოლი, ბატონი ზვიად გამსახურდია. გავყვეთ, ვენდოთ ჩვენს წინამძღოლს, მის ალღოსა და ჭკუას, რადგან ეროვნულსა და პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს ნიჭი, უნარი — სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

...დიდხანს თათბირობდნენ უხუცესნი.

ბოლოს ერთი მათგანი გამოეყო მოთათბირეთ, მიუახლოვდა მესსიას, პირჯვარი გადასახა და ერის მამობა მიულოცა...

ქრისტე აღსდგა! — დაჭექა ერის სულის ნათლულმა.

— ჭეშმარიტად! — დაიქუხეს ყოველი მხრიდან“. **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

ავტორს სურს მხარი დაუჭიროს პრეზიდენტობის კანდიდატს. უფრო ზუსტად, სურს ამომრჩეველს წარუდგინოს ხალხისთვის წამებული რაინდი და ამ მიზნით ყალბ მაღალფარდოვნებას ირჩევს. შედეგი, როგორც მოსალოდნელი იყო, სასურველის საწინააღმდეგოა.

„ქალი ამასობაში ნელა წამოიმართა. სანთლები ციმციმებდნენ. ღვთისმშობელი, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწყალე იყო. წმინდა გიორგის კი მკვეთრად ემჩნეოდა თვალებში ნაღველი და მკაცრი სევდა. ნათელმოფენილი ტაძრიდან ნელა

გადიოდა ფერმიხდილი ქალი, რომელსაც დაჭრილი ფრთებივით მისდევდა ცისფერი, ნისლივით თხელი და გამჭვირვალე მოსასხამი“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

როგორც წესი, ასე წერენ 14-დან 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, ანუ ეს არის ლიტერატურული ვარჯიში, რომლის ადგილი არ შეიძლება იყოს მეხუთე-მერვე კლასის საკონტროლო წერის რვეულებში, მით უფრო — სერიოზულ პრესაში.

„ქალაქს მოედო საზარელი ამბავი — უნივერსიტეტის ეზოში ბიჭები მოუკლავთო.

ეზო სავსე იყო ცრემლგამშრალი, გაოგნებული, დამუნჯებული ხალხით. სიჩუმე იყო დამუხტული და საზარელი.

— ვაი, თქვენს დედას, შვილებო! — კვნესოდა ვიღაც“ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

შემდეგ ავტორი განაგრძობს შეგონებებს, რომ კაცის კვლა ცოდვაა, ცუდია, არ შეიძლება. ამას აკეთებს ისეთივე მაღალფარდოვნებით, როგორითაც დაიწყო. მკითხველი პირველივე სიტყვებიდან ცნობს მაღალფარდოვნებას ამოფარებულ გულგრილობას. ავტორი ვერ ახერხებს მისთვის გულის აჩუყებას. მკითხველს აინტერესებს მკვლელობის დეტალები: ვინ მოკლა, როგორ მოკლა, რატომ მოკლა.

ამის ნაცვლად კი ინფორმაციის ავტორი ზედსართავების აღლუმს გვთავაზობს: ცრემლგამშრალი, დამუნჯებული, გაოგნებული, დამუხტული, საზარელი...

„დროა დიდ-დიდმა ფუნქციონერებმა საღად იაზროვნონ, თავი დაანებონ ვირეშმაკობას, ზედმეტ პრობლემებს ნუ გვიქმნიან, ისედაც გაძაღლებულ ცხოვრებას ნუღა გვირთულებენ. სავსებით დაუზარლად შეუძლიათ აღმოსავლეთ ევროპიდან გამოიყვანონ ჯარები, რაკი მათი საჭიროება აღარ არსებობს, დემობილიზაციაში გაუშვან და ჯარისკაცებსაც და ოფიცრებსაც გზა დაულოცონ თავთავიანთი სამშობლოსაკენ, სადაც მათი წინაპრები განისვენებენ **(„თბილისის“ ინფორმაცია).**

— გაიყვანეთ საბჭოთა ჯარები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან! — ამ მოთხოვნის მამაცური ფორმაც, შინაარსიც და თვითონ წინადადებების კონსტრუქციაც კარიკატურის შთაბეჭდილებას ტოვებს. სურვილის მიუხედავად, მკითხველი ვერ თანაუგრძნობს ავტორს, თუმცა იცის, რომ მისი მოთხოვნა სამართლიანია. ავტორის მიზანი აქაც მიუღწეველია. ეს სტატია თვითონაც თავიდან ბოლომდე მხოლოდ იმისთვის წავიკითხე,

რომ თქვენთვის მეთქვა: ასე წერა არ შეიძლება. ეს არის უმაქნისი სიტყვაუხვობისა და ცრუ მაღალფარდოვნების ნიმუში.

მიამიტობა. ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, გულუბრყვილობას, უეშმაკობას, ადვილად დაჯერებას ნიშნავს. ვერ ვიტყვი, რომ ადამიანისთვის ცუდი თვისებაა, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული მიამიტობა უადგილოა.

XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის ქართულ პრესას თუ გადავხედავთ, სისულელემდე დასული მიამიტობა-გულუბრყვილობის უამრავ მაგალითს აღმოვაჩენთ.

ალბათ, თავისთვისაც მოულოდნელად პოლიტიკურ ელიტაში აღმოჩენილმა ოდესღაც მშვენიერმა მწერალმა და ჟურნალისტმა, მაღალფარდოვნად რომ ვთქვა, ქართული ენის ეროვნულ სამსახურში ჩაყენება განიზრახა. თანაც, დაუყოვნებლივ: ძირს რუსიციზმები, ძირს ბარბარიზმები, ძირს უცხო ტერმინოლოგია — ქართული ენა უნდა გაიწმინდოს! გურამ პეტრიაშვილის აზრით, მკრეხელობაა, როცა პამიდორს ამ ინტერნაციონალური ტერმინით მოვიხსენიებთ. გაცილებით „ეროვნული“ იქნება, თუ მას წმინდა ქართულ „ოქროვაშლას“ დავარქმევთ. ან ეს ვიოლინო რაღაა, როცა გვაქვს მშვენიერი ვიოლინოს გარე ბიძაშვილი ფანდური, ხოლო ყელზე მიბჯენილ ფანდურს რატომაც არ უნდა დავარქვათ „ყელფანდურა?!“ ან ეს ვერტმფრენი რას ჰგავს! — „ცადღვებია“ ამ მფრინავი მანქანისთვის სწორედ ზედგამოჭრილი იქნება! და, საერთოდ, დადგა დრო, თავისუფალ საქართველოში ქართველი ჩიტი ქართულად ჭიკჭიკებდეს!

თქვენთვის ეს ახლა დაუჯერებლად და სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მაშინდელ ქართულ პრესაში ასეთი რამეები მართლაც იწერებოდა და ამ იდეებს მომხრეებიც ჰყავდა. მათ უმრავლესობას გულწრფელად სჯეროდა, რომ ქართული ენის ამგვარი გენერალური „დასუფთავებით“ დიდი ეროვნული საქმე გაკეთდებოდა. ბევრი „პატრიოტი“ დღესაც დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ხალხთა ენებში არსებულ ყველა სიტყვას მოეძებნება ქართული შესატყვისი და უცხოური ტერმინოლოგია საჭირო არ არის; რომ ქართული ენა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი, ყველაზე კეთილხმოვანი, ყველაზე მრავლისმთქმელი, ყველაზე ლაკონიური, ყველაზე ძველი, ყველაზე, ყველაზე... ენაა. სიამოვნებით დავეთანხმებოდი ამ აზრს, რომ არ ვიცოდე, რომ თვით ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა, პური, ეკლესია, ფიქრი, უჯრა, საათი,

ამანათი, არაქათი, მაგიდა, ქისა, რაფა, დახლი, ხარჯი, მოედანი, ბეჭედი, ფანჯარა, ალამი, დროშა, ასლი, ლაშქარი, ამქარი, ამბავი, ხაბარი, ჯეელი და სხვა უამრავი „წმინდა ქართული“ სიტყვა... არაქართული წარმოშობისაა. თუმცა, ეს ქართული ენის ლექსიკურ „სიღარიბეს“ ან ამ სიტყვების არაქართულობას სულაც არ ნიშნავს.

მეორე უკიდურესობაში მას შემდეგ გადავვარდით, რაც ევროპასა და ამერიკაში ნასეირნები და ქართული ხაზინის ქურდობით გამდიდრებული „ახალი ქართველები“ მოგვევლინნენ (90-იანის შუა წლები). განსწავლულობით, ფულის შოვნის ნიჭითა და დახვეწილი მანერებითაც გაგვაკვირვეს და ახალი ტერმინოლოგიითაც გაგვამდიდრეს. ჯერ იყო და, შევარდნაძე წამდაუწუმ გვიმეორებდა მაგიურ „პლურალიზმს“, რომლის ადგილი შემდეგ უადგილოდ დაიკავა „მენეჯმენტმა“. იმერეთის გუბერნატორი თავდავიწყებით იყო შეყვარებული „ტენდერზე“, ჟურნალისტები განუწყვეტლივ იმეორებდნენ „ვიზავის“ და „მედიას“, ურაპატრიოტების საყვარელ სიტყვად „მენტალიტეტი“ იქცა, ეკონომისტებისა — „მენეჯერი“; საშუალო ნიჭის უჩინო მეცნიერებმა ლამის დაგვაყრუეს „რამეთუ-ოდენ-მანქურთის“ წამდაუწუმ და უადგილო ხმარებით. და მაინც, მეოცე საუკუნის მიწურულის ყველაზე გაცვეთილი სიტყვებია „განპირობებული“ და „გარკვეულწილად“. ერთიცა და მეორეც ე.წ. რუსული „კალკია“ („обусловленный“, „в известной мере~, `отчасти“). ორივე ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მათი ასე უსაშველო ექსპლუატაციაც არ ივარგებს. როცა პოსტკომუნისტური ეპოქის ქართულ პრესას ეცნობი, გეჩვენება, რომ ამქვეყნად ყველაფერი „განპირობებულია“ და ყველაფერი „გარკვეულწილად“ ხდება.

გაცვეთილი სიტყვებისა და ფრაზეოლოგიისგან თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ პროფესიონალმა ჟურნალისტმა ისინი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს.

უხვსიტყვაობა. ჩემი პირველი სერიოზული პუბლიკაცია ერთი მილიციელის უმსგავსო საქციელს ეხებოდა. სანამ დავწერდი, ჩემი ჭკუით, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე, სათაურიც მოვიფიქრე, შესავალში დიდი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკიც გავიხსენე. მოკლედ, კარგა მოზრდილი მრისხანე ანტიმილიციური სტატია გამოვაცხე.

ირაკლი ბერიაშვილმა, განყოფილების რედაქტორმა, სტატია ყურადღებით წაიკითხა, სათაური შეცვალა, შესავალი გაანახევრა და სტატიის ტექსტი ერთი მესამედით შეამცირა. თან შემაქო — მშვენივრად დაგიწერიაო. ასე გალამაზებული წერილი მოხვდა მთავარ რედაქტორთან. მანაც შესავალს კიდევ ერთი წინადადება მოაკლო და დარჩენილი ტექსტიც კიდევ ერთი მესამედით შეამცირა.

გულში ცოტა მეწყინა და შევფიქრიანდი კიდეც — ალბათ, დამწყები რომ ვარ, არ მენდობიან, თორემ ის ჩემი შეთხზული მშვენიერი, გულისამაჩუყებელი წინადადებები ნამდვილად არ უნდა წაეშალათ-მეთქი.

მრავალი წლის შემდეგ ის ჩემი პირველი წერილი წავიკითხე და შემიძლია გულახდილად გაგიმხილოთ — მისი უმტკივნეულოდ შემცირება კიდევ შეიძლებოდა. თავის დროზე ბერიაშვილმაც და გოგელიამაც დამინდეს — სწორედ იმიტომ, დამწყები რომ ვიყავი.

დღეს სიამოვნებით შევამცირებდი თითქმის ყველა ჩემს პუბლიკაციას. ვწუხვარ, რომ ახლა ამის გაკეთება შეუძლებელია.

თქვენც ჩემსავით რომ არ იდარდოთ, ნუ დაინდობთ საკუთარ ნაწერს — რაც მეტად „დაწურავთ“, რაც მეტად „გაკრეჭთ“, მკითხველის მით უფრო მეტ კეთილგანწყობას მოიხვეჭთ. ისიც გახსოვდეთ, რომ ჭკვიანი რედაქტორი ჰონორარს რაოდენობაში კი არა, ხარისხში იძლევა!

დიახ, საგაზეთო ენა და სტილი, თავისებურებების მიუხედავად, ლიტერატურული ენის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდეს, მაგრამ მაინც არის ერთი საკმაოდ უხერხული მოვლენა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით.

რედაქტორმა დილის თათბირზე ჯერ ისევ ახალბედა ჟურნალისტს თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩეულ ერთ სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერთან ინტერვიუ დამავალა. ჩემს განკარგულებაში სულ რამდენიმე საათი იყო. დავრეკე ბატონი აკადემიკოსის სამსახურში. მითხრეს, რომ ამერიკელ კოლეგებთან ერთად ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში ვნახავდი. გავქანდი მითითებულ ინსტიტუტში — შინ წავიდაო; დავურეკე შინ — არ მოსულა, ალბათ, ცეკაში შეხვედრაზე წავიდაო; დავუკავშირდი ცეკას — შეხვედრა ხვალ გვაქვს დანიშნულიო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემთვის მოცემული დრო ხელში ისე შემომადნა, აკადემიკოსის გზა-კვალს ვერ მივაგენი.

რედაქტორები დავალების შეუსრულებლობას ძალიან მტკივნეულად, ლამის პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ. ამ მხრივ, ბედნიერი გამონაკლისი არც ჩემი რედაქტორი ყოფილა. ამიტომ ფრიად ორიგინალური გადაწყვეტილება მივიღე — ჩემსავე კითხვებს აკადემიკოსის ნაცვლად პასუხები მე თვითონ გავეცი. იგი იმ პერიოდში ძალიან პოპულარული კაცი იყო და მასზე ბევრი მსმენოდა.

დანიშნულ დროს „ინტერვიუ“ მზად იყო. რედაქტორმა წაიკითხა, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა და დასაბეჭდად ვიზა მისცა. ინტერვიუ იმ დღესვე გამოქვეყნდა.

რედაქტორთან მეორე დილით, ტრადიციული თათბირის დროს დარეკეს. ბატონმა არჩილ გოგელიამ ისე გადმომხედა, მივხვდი, რომ „ჩამიშვეს“. როგორც მერე გაირკვა, აკადემიკოსს რედაქტორისთვის უთქვამს, ის თქვენი ჟურნალისტი ან გენიოსია, ან დიდი ავანტურისტი — მისთვის არავითარი ინტერვიუ არ მიმიცია, მაგრამ იმ შეკითხვებზე სწორედ იმას ვუპასუხებდი, რაც თვითონ მოუფიქრებიაო.

ამიტომ იყო, რომ რედაქტორს ჩემი „გონებამახვილობისთვის“ მადლობა არ გამოუცხადებია, მაგრამ არც დავუსჯივარ.

რა თქმა უნდა, მე არც გენიოსი ვყოფილვარ, არც ავანტურისტი და არც ნათელმხილველი. უბრალოდ, ვიცოდი, რომ **ადამიანების უმრავლესობა აზროვნებს და საუბრობს მკაცრად ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ჩარჩოებში. ეს განსაკუთრებით ეხება პოლიტიკურ მოღვაწეებს, დიპლომატებს, მაღალი თანამდებობის პირებს, გამოჩენილ მეცნიერებს, სპორტსმენებს და ა.შ. როგორც წესი, ისინი ერთი შეხედვით საინტერესო, მაგრამ მაინც ბანალურ კითხვებზე ბანალურ პასუხებს იძლევიან. თუ თქვენ რესპონდენტს იცნობთ, ბევრ კითხვაზე მისი პასუხის გამოცნობა დიდი სიძნელე სულაც არ არის.** სავარაუდო პასუხის კი არა, ზოგჯერ თვით იმ სიტყვების გამოცნობაც კი შეიძლება, რასაც რესპონდენტი საკუთარი აზრის გადმოსაცემად გამოიყენებს. „გამოცნობის“ ამ ტექნიკას ვირტუოზულად ფლობენ თარჯიმანი-სინქრონისტები.

ამ მაგალითით იმის ხაზგასმა მინდოდა, რომ გაზეთის ენა და სტილი სპეციფიკურია, ხოლო ამ სპეციფიკის ჯერ შესწავლა და მერე პრაქტიკულად გამოყენება — აუცილებელი. ჩემი ცუდი საქციელის გამეორება სავალდებულო არ არის, მაგრამ ყველა მომავალმა ჟურნალისტმა უნდა იცოდეს — დავალების შეუს-

რულებლობას არავითარი გამამართლებელი არგუმენტი არ გააჩნია. მათ შორის, არც ასეთები: სტუმრად ვიყავი, სიცხე მქონდა, ნათლია მესტუმრა, მეგობრებმა რესტორანში დამპატიჟეს...

„როგორც არისტოტელე ამბობდა“, ანუ ციტირების ხელოვნება

კამათისას, რაღაც მოსაზრების მტკიცებისას, მოპაექრეზე ზემოქმედების მოსახდენად, ზოგჯერ სულაც კოპწიაობისა და საკუთარი განსწავლულობის (ხშირად, არარსებულის) სადემონსტრაციოდ გამოჩენილი ადამიანების დამოწმება-ციტირება პრესაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. იშველიებენ ფილოსოფოსების, მხედართმთავრების, მეცნიერების, პოლიტიკოსების, პოპულარული ადამიანების გამონათქვამებს.

მართალია, საკუთარი მოსაზრების გასამაგრებლად გამოჩენილთა შეწუხება მაინცდამაინც არ მომწონს და ვერც ვინმეს ვურჩევ, ასე მოიქცეს, მაგრამ ამის აკრძალვა და დანაშაულად გამოცხადება, ვფიქრობ, უაზრობა იქნებოდა. ოღონდ, საჭიროა ზომიერება და ავტორისა და ციტატის ზუსტად შერჩევა.

თუ არ ვცდები, 1993 წლის დასაწყისში ჩემსა და ჩემს კოლეგას, თეიმურაზ მეტრეველს შორის მოულოდნელად კამათი გაიმართა. ახლაც დარწმუნებული ვარ, იმ კამათში მართალი ვიყავი, მაგრამ ეს ამბავი თავის გასამართლებლად, ან ხელახალი კამათის წამოსაწყებად არ გამხსენებია. იმიტომ გავიხსენე, რომ ნიჭიერმა ჟურნალისტმა და ლიტერატორმა თეიმურაზ მეტრეველმა ჩემს წინააღმდეგ შესანიშნავად გამოიყენა დეილ კარნეგი: „...აკი უკვდავი დეილ კარნეგი გვაფრთხილებს, „ათიდან ყოველი ცხრა კამათი მთავრდება იმით, რომ მისი თითოეული მონაწილე უფრო ღრმად რწმუნდება საკუთარი აზრის აბსოლუტურ სისწორეში“.

თავიდანვე კარგად მესმოდა, რომ თეიმურაზ ქორიძე ამ ათიდან მეათე არ იყო, ამიტომაც ჩემს წერილში მივმართავდი არა იმდენად მას, რამდენადაც მიუკერძოებელ მკითხველს...“

პოლემიკური წერილის სათაურიც კარნეგისეული და მრავლისმეტყველი იყო: „არა, ეს კაცი არ არის ათიდან მეათე!“

ჩემმა კოლეგა-ოპონენტმა ზუსტად გამოიყენა დეილ კარნე-

გის შეგონება და მისი აზრი წერილის სათაურშიც შესანიშნავად „გაათამაშა“.

მართალია, „გულახდილობა არ ალამაზებს ადამიანს“, მაგრამ მაინც, იგი კაცის ერთი შესანიშნავი თვისებაა: არც ისე კეთილშობილი ვარ, რომ გითხრათ, ჩემს წინააღმდეგ მიმართულმა თეიმურაზ მეტრეველის ამ პატარა ჟურნალისტურმა შედევრმა დიდად გამახარა-მეთქი, მაგრამ „სიმართლე — თვალში სინათლეო“, ხომ გაგიგონიათ.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა სახელმწიფო ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი აბონ ციციაშვილი (შეგახსენებთ, რომ კერძო ტელეარხები იმ ეპოქაში არ არსებობდა). თავად ებრაული წარმოშობის ბატონმა აბონმა სახელი გაითქვა სიონიზმისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კრიტიკით. იგი მართლაც მამაცურად და დაუნდობლად უსწორდებოდა არარსებულ ოპონენტებს.

მის სახელთან ერთი ასეთი ნახევარსიმართლეცაა დაკავშირებული: ერთხელ აბონ ციციაშვილმა რეიგანის* ლანძღვა-გაკილვით რომ გული იჯერა, თავისი ტირადა ამერიკის პრეზიდენტის გასაგონად და გულზე გასახეთქად, ასე დაამთავრა: „ეტყობა, პრეზიდენტ რეიგანს დაავიწყდა ქართული ანდაზა — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ეს არის ბრძნული ხალხური გამონათქვამის ყოვლად შეუფერებელ კონტექსტში მოხსენიების შესანიშნავი ნიმუში.

არაკომპეტენტურობის კიდევ ერთი „მხიარული“ მაგალითი. მისი ავტორი საკმაოდ მხცოვანი და ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული გაადვოკატებული მილიციელია. ბრძნულ გამოთქმას ისიც სათაურშივე იშველიებს: „თეიმურაზ ქორიძევ, „მცდარი ცოდნა უარესია, ვიდრე არცოდნა“, გირჩევ, გაუტიო!“

ამგვარი ბრძნული სათაურის შემდეგ, ანდაზები ტექსტშიც უხვად უნდა იყოს. არის კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან უადგილოდ: „...იმდენად კარგავ წონასწორობას, რომ ადამიანს ლანძღავ საქვეყნოდ? არ გაგიგია მაინც ანდაზა — „სხვისი ჭირი ჭკუას ვერ შეგმატებსო?“

ასეთი შინაარსის ანდაზა მართლაც არ გამიგია. იქნებ არსებობს კიდეც, მაგრამ ამ კონტექსტში რომ ავტორს უადგილოდ მოჰყავს, ცხადია. რა თქმა უნდა, გაცილებით გონივრული

იქნებოდა, ეს ანდაზა გაეხსენებინა: „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო“.

საბჭოთა ავტორები, ბუნებრივია, ყველა შესაძლებელი ვითარების განზოგადების მიზნით, ლენინის, მარქსის, ენგელსის, სტალინის, სხვა ბელადების ციტატებს იშველიებდნენ: როგორც დიდი ლენინი იტყოდა... როგორც მარქსი აღნიშნავდა... როგორც ენგელსი* ამბობდა... როგორც დიდმა სტალინმა თქვა... ეს იყო აუცილებელი ფარისევლობა, ვალის მოხდა მმართველი კომუნისტური პარტიის წინაშე. სამწუხაროდ, ბევრს იგი ჩვევად ექცა. ახლა „ბელადების“ ოდესღაც სიბრძნედ გასაღებულ ბანალურ გამოთქმებს აღარავინ ეტანება, სამაგიეროდ, დიდ გასავალშია არისტოტელე, პლატონი*, დეკარტი*, რუსო, ვოლტერი*, ნაპოლეონი, ტალეირანი*, ლა როშფუკო, ჯეფერსონი, აინშტაინი და მრავალი სხვა ყოვლად უდანაშაულო ისტორიული პიროვნება. თანამედროვეები მათ ზოგჯერ ისეთ რამეებს აბრალებენ, თავში, ალბათ, არასოდეს რომ არ მოსვლიათ.

გამოცდილმა „ციტატისტმა“ იცის, რომ მკითხველი მისი ნათქვამის (ნაწერის) შემოწმებას არ დაიწყებს. ამიტომ ხშირად თავს უმწეო „გამოჩენილის“ უსაზღვრო ექსპლუატაციის უფლებას აძლევს — მკვდრები ვერ გაიგებენ, ცოცხლები არ შეამოწმებენ! ამიტომ საქმე გასაოცარ კურიოზებამდეც კი მიდის: ერთმა გაპოლიტიკოსებულმა დიასახლისმა თავის საგაზეთო სტატიაში ერთი ცნობილი გამონათქვამი სტეფან მალარმეს* დააბრალა, იმ პერიოდშივე გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში — არტურ რემბოს. არადა, ეს „ცნობილი გამონათქვამი“ ალექსანდრ პუშკინს ეკუთვნოდა!

თანამედროვე პრესაში საკუთარი აზრის დასადასტურებლად ან მისი სისწორის შესამოწმებლად ბრძნული აზრების, ანდაზების, თუ იგავების მოსახმობად ადგილი თითქმის აღარ რჩება. თუმცა, ავტორის წინაშე ციტატების გამოყენების აუცილებლობაც ხშირად ჩნდება. განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს რეპორტაჟულ ჟანრთან. ვიმეორებ, აქ საუბარია საგაზეთო სტატიაში მოხსენიებული პირის ციტირებაზე და არა გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამების დამოწმებაზე.

ციტირების დროს დიდი სიფრთხილე და სიზუსტეა საჭირო. არც ლაკონიურობა უნდა დავივიწყოთ. მაგალითად: „საქართველოს სამხედრო მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ განაცხადა, რომ მას არავითარი საერთო არა აქვს პრ-

აღაში იარაღის შეძენასთან“ — სჯობდა, ჟურნალისტს ეს ფრაზა ასე დაეწერა: „გენერალმა თევზაძემ უარყო თავისი მონაწილეობა ჩეხური იარაღის შეძენაში“.

ციტირება გარდაუვალი და აუცილებელია ისეთი ურთულესი ჟურნალისტური ჟანრის გამოყენებისას, როგორიცაა პოლემიკა. ამ საკითხზე ვრცლად მომავალში უთუოდ ვისაუბრებთ, მაგრამ ერთი რამ ახლავე უნდა ვთქვა — პოლემიკის დროს აუცილებელია ციტირების კულტურის დაცვა. მოხმობილი ციტატა სიუჟეტური თვალსაზრისით დასრულებულ აზრს უნდა გამოხატავდეს და წინა და მომდევნო აბზაცების შინაარსზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. თუ ასეთი დამოკიდებულება არსებობს, მაშინ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისაუბროთ ამ დარჩენილი აბზაცების შინაარსზე და მის კავშირზე უშუალოდ მოხმობილ (ციტირებულ) ტექსტთან.

ციტატები აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როცა ჟურნალისტი ე.წ. „მრგვალი მაგიდის“, ანუ აზრთა გაზიარების სტილით წერს. აქ არ არის აუცილებელი ავტორის სტილის შენარჩუნება. პირიქით, უნდა დარჩეს მთავარი აზრი, დანარჩენი შეიძლება კარგად „გაშალაშინდეს“, ჟურნალისტის და რედაქტორის გემოვნებით „ჩამოიქნას“.

ნუ დაივიწყებთ, რომ ნებისმიერი სირთულის, თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საგაზეთო სტატია არის მხოლოდ საგაზეთო სტატია და არა აკადემიურ გამოცემაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი. საგაზეთო სტატიაში არ არის სავალდებულო ყველა თეზისის, მოსაზრების დასაბუთება და შესაბამისი მეცნიერული ნაშრომებიდან ციტირება. მთავარია, იცოდეთ, რომ რასაც წერთ ან ამბობთ, ყველაფერი სიმართლეა. გაზეთში წყაროების მითითება და სქოლიოების გაკეთება სასურველი არ არის. ამას არც არავინ აკეთებს, გარდა იმ ადამიანებისა, ვისაც, როგორც გითხარით, ნებისმიერი საშუალებით თავის გამოჩენის წყურვილი კლავთ.

ოდესღაც სავსებით სერიოზულად ტარდებოდა არაფრისმთქმელი გრანდიოზული პარტიული და კომკავშირული ღონისძიებები, პრესაში კი ასეთი შინაარსის ინფორმაციები ქვეყნდებოდა:

„საქართველოს ლენინური კომკავშირის XXXI ყრილობას ესწრებოდა ქვეყნის 2445 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის 3532 დელეგატი. მათ შორის: სკკპ წევრი — 2980, სკკპ წევ-

რობის კანდიდატი — 335, ალკკ წევრი — 350, მუშა — 2200, ქალი — 1700, ქართველი — 901, სომეხი... აზერბაიჯანელი... რუსი... უკრაინელი...“

„საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდობისა და კომკავშირელთა ძალებით შესრულებულია

მილიარდ 125 მილიონი მანეთის სამუშაო. მათ შორის: მძიმე მრეწველობაში — 435 მლნ.; მსუბუქ მრეწველობაში — 330 მლნ.; ენერგეტიკაში — 225 მლნ.; სოფლის მეურნეობაში — 125 მლნ...“

აქ საუბარი არ ეხება ამ ციფრების ნამდვილობას — ისინი, რა თქმა უნდა, ყალბია. ჩვენთვის სხვა რამ არის საინტერესო: საჭიროა თუ არა პრესაში ამგვარი ყოვლად უინტერესო სტატისტიკის გამოქვეყნება. წარმოიდგინეთ საფეხბურთო მატჩის საგაზეთო რეპორტაჟი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი, რამდენჯერ დაუსტვინა მსაჯმა, მოედანზე რამდენჯერ დაეცა თითოეული მოთამაშე, ვინ რამდენი ჯარიმა დაიმსახურა, რომელი გუნდი რამდენ წუთს ათამაშებდა ბურთს, რამდენი დარტყმა მოიგერია მეკარემ, რამდენი ასცდა კარს და ა.შ. წმინდა სტატისტიკისთვის ეს ციფრები იქნებ მართლაც აუცილებელია, მაგრამ ისინი მკითხველს არ აინტერესებს. ამიტომ, პრესაში ციფრებისა და რიცხვების დამოწმებისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო — ისინი მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა ამას უკიდურესი აუცილებლობა მოითხოვს. მაგალითად, თუ თქვენ 1980 წლის მოდელის სკკპ პოლიტბიუროს ასაკობრივი შეფასება გსურთ, არ არის აუცილებელი პოლიტბიუროს ყველა წევრის დაბადების თარიღის მითითება. სავსებით საკმარისია ითქვას ერთი ფრაზა: „პოლიტბიუროს 17 წევრიდან 15 დაბადებულია მეცხრამეტე საუკუნეში“.

თავი V

ძველი და მარადიული პრობლემები

ახლა ძნელია პასუხის გაცემა კითხვაზე: რა იყო პირველად, თვითონ ჟურნალისტიკა, თუ თეორია ჟურნალისტიკაზე. ეს არ არის კაზუისტიკა — ამის ცოდნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჟურნალისტური მოღვაწეობა ისე დავიწყე და საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტიც ისე გავხდი, ჟურნალისტიკის თეორიაზე (თუ თეორიულ ჟურნალისტიკაზე!) იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ მქონია — ბრძოლის ხელოვნებას ვსწავლობდი უშუალოდ ბრძოლის ველზე. ჩემს თავზე მოულოდნელად დატეხილ განსაცდელს (კორესპონდენტის მოვალეობას) თეორიული თვალსაზრისით მომზადებული რომ შევხვედროდი, რა თქმა უნდა, ჟურნალისტური მოღვაწეობის დაწყება ბევრად გამიადვილდებოდა. უნდა ვაღიარო, რომ იმ შორეულ და ბედნიერ დროს ბევრი არაფერი ვიცოდი ისეთი პოპულარული ჟურნალისტური ჟანრის შესახებაც კი, როგორიცაა

ინტერვიუ

ეს არის მართლაც ყველაზე პოპულარული ჟურნალისტური ჟანრი, ანუ მიმდინარეობა ჟურნალისტურ ხელოვნებაში. დავწერე ეს სიტყვები და იძულებული ვარ, აქვე დავუმატო, რომ ეს არ არის მხოლოდ ჟურნალისტური ჟანრი — ინტერვიუს გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია საგამოძიებო პრაქტიკა; ამ ჟანრს განეკუთვნება უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე გამართული რეფერენდუმები — მოსახლეობის გამოკითხვები; ქვეყნის მოსახლეობის ანკეტირება აღწერის მიზნით; მთელ მსოფლიოში ძალიან ფართოდ გავრცელებული რადიო-სატელევიზიო შოუ-გამოკითხვები და სხვა.

დამწყები ჟურნალისტების ერთი ნაწილი (იმის მიუხედავად, გავლილი აქვს თუ არა თეორიული ჟურნალისტური მომზადება) დარწმუნებულია, რომ ინტერვიუ ძალიან ადვილი და ხელმისაწვდომი ჟანრია. დიდი ამბავი, მიხვალ შენთვის საინტერესო კაცთან, რამეს ჰკითხავ, ის გიპასუხებს და შენ ჩაიწერ!

მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ ეს არის რაღაც საიდუმლოებით მოცული ჟანრი და იგი ხელეწიფება მხოლოდ რჩეულთა ამა ქვეყნისა!

სხვათა შორის, თავის დროზე მეც დამწყებ ჟურნალისტთა ამ კატეგორიას ვეკუთვნოდი.

რა თქმა უნდა, პროფესიულ დონეზე ინტერვიუს შესრულება რაიმე გადაულახავ სიძნელესთან დაკავშირებული არ არის. თუმცა, არც ისე უბრალოდაა საქმე: კარგი ინტერვიუს მოსამზადებლად საჭიროა თეორიული ცოდნაც, ჟურნალისტური მუშაობის გამოცდილებაც და წინასწარ გულდასმით მომზადებაც. ამისთვის, მთავარია, იცოდეთ, რა ტიპის ინტერვიუ გინდათ და, საერთოდ, კარგად გაიცნობიეროთ თქვენი მიზანი მოსალოდნელ ინტერვიუსთან, უფრო ზუსტად — რესპონდენტთან დაკავშირებით.

შინაარსის მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ ინტერვიუს რამდენიმე ძირითადი ტიპი:

1. შვლის ნუკრი — რედაქციისა და მკითხველების (მსმენელების, ტელემაყურებლების) ინტერესებიდან გამომდინარე, გულწრფელად გვაინტერესებს რომელიმე კომპეტენტური ადამიანის აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ანუ გვაქვს ინფორმაცია რაიმე მოვლენის თაობაზე, მაგრამ არ ვიცნობთ მის არსს, წინაპირობას, პერსპექტივას და ა.შ. ამიტომ მივმართავთ კომპეტენტურ პირს და კომენტარს ვთხოვთ. ჩვენ არ ვეკამათებით რესპონდენტს, არ ვცდილობთ ფაქტების გაანალიზებას ან „ჩამჭრელი“ შეკითხვებით რესპონდენტის „კედელთან მიმწყვდევას“. ვიმეორებ, გვაინტერესებს მხოლოდ მოვლენის, ფაქტის კომენტარი.

ინტერვიუს ამ ტიპს, თავისი უმტკივნეულობისა და კეთილშობილური მიზნის გამო, ვუწოდოთ „შვლის ნუკრი“. თუმცა, თავისი ფორმით იგი ძალიან წააგავს ოფიციალურ საკანცელარიო პროტოკოლს, მაგრამ ეს ნუ შეგაშფოთებთ — ზოგჯერ ისიც საჭიროა.

2. დედა ტერეზა* — ეს არის ინტერვიუს ის ტიპი, როცა ჟურნალისტმა იცის მოვლენის, ფაქტის არსი, აქვს ზოგადი ინფორმაცია, მაგრამ არ იცის ბევრი საინტერესო წვრილმანი და კომპეტენტურ პირთან მათ დაზუსტებას ცდილობს. აქაც, როგორც „შვლის ნუკრის“ შემთხვევაში, ჟურნალისტი გვევლინება ფაქტების, მოვლენების კეთილსინდისიერ აღმნუსხველად და რესპონდენტის შეკითხვებით თავბრუს დახვევას, ან მისგან ინ-

ფორმაციის „გამოძალვას“ არ ცდილობს. რესპონდენტი, შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება ჟურნალისტს მის ხელთ არსებული ინფორმაციის გავრცელებაში. ამ ტიპს „დედა ტერეზა“ სწორედ ამიტომ დავარქვი.

3. აპერკოტი — ეს კრივის ტერმინია და ნიშნავს დარტყმას მოწინააღმდეგის ნიკაპში, ქვემოდან ზემოთ. როგორც წესი, ძლიერ და ზუსტად შესრულებულ აპერკოტს მოწინააღმდეგის ნოკაუტი მოჰყვება ხოლმე. ეს არის ინტერვიუს ტიპი, როცა ჟურნალისტმა მომხდარი ფაქტის, ან მოვლენის ირგვლივ ძალიან ბევრი რამ იცის. ისიც იცის, რომ რესპონდენტი მას (ანუ საზოგადოებას) საკუთარი ან უწყების დანაშაულის დაფარვის, „მუნდირის ღირსების“ გადარჩენის, ან სხვა რამ მიზეზის გამო სიმართლეს უმალავს. ამიტომ ჟურნალისტი რესპონდენტის კომპეტენციის შემოწმებას და მის მხილებას ცდილობს.

თუკი თქვენ აპერკოტის გამოყენებით თანამოსაუბრის ნოკაუტში გაგზავნას აპირებთ, იყავით ძალიან ფრთხილად — კრივი ვერაგი სპორტია, უმნიშვნელო შეცდომების პატიებაც კი არ უყვარს. საკმარისია ოდნავი მოდუნება, ყურადღების ოდნავი დაფანტვა, რომ მოწინააღმდეგემ უძლიერესი დარტყმა მოგაყენოთ და თქვენი ბროლის კოშკები მირაჟივით გაუჩინარდეს. ამის ძალიან ბევრი პრეცედენტი არსებობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს მოსამართლეებთან, პროკურორებთან, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან, გამოცდილ და გამჭრიახ პოლიტიკოსებთან, ადვოკატებთან და ა.შ.

4. პორტრეტი — ეს არის ინტერვიუს ყველაზე რთული და ყველაზე პრესტიჟული ტიპი. თავად მისი დასახელებაც მიგანიშნებთ, რომ ჟურნალისტი რესპონდენტის პორტრეტის დახატვას ცდილობს. მან შეიძლება დახატოს დადებითი ან უარყოფითი პორტრეტი, გააჩნია, რა მიზანი აქვს. როცა ჟურნალისტი კითხვა-პასუხით რესპონდენტის უარყოფითი პორტრეტის დახატვას ცდილობს, იგი არავითარ ინიციატივას, არავითარ შეღავათს არ აძლევს თანამოსაუბრეს. პირიქით, თავისი კითხვებით მისი წონასწორობიდან გამოყვანას, განერვიულებას ცდილობს. ამ მიზნით, ზოგჯერ თავის შეკითხვებს იმეორებს კიდეც.

ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტი სიტყვა-სიტყვით იწერს მოსაუბრის ნათქვამს. არ ცდილობს მისი ნალაპარაკევის გრამატიკულ და სტილისტურ გამართვას — წერს ზუსტად ისე, როგორც რესპონდენტი ლაპარაკობს. ხაზს უსვამს მის არცთუ

ინტელიგენტურ მანერებს. ამგვარი, უარყოფითი პორტრეტის მაგალითად ამ წიგნის წინა თავში მოვიყვანე ტატიანა მალკინას და ანდრეი კარაულოვის ინტერვიუ საქართველოს პირველ პრეზიდენტთან. თუ არ შეწუხდებით, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადაათვალიეროთ ეს ნაშრომი. თქვენ აუცილებლად დაინახავთ, ჟურნალისტები რა მონდომებით ძერწავენ არაკომპეტენტური, გამოუცდელი, გაუწონასწორებელი, წინააღმდეგობრივი პიროვნების სახეს. მეტიც, ისინი აშკარად დასცინიან კიდეც რესპონდენტს. გეთანხმებით, არ არის მაინცდამაინც კეთილშობილური საქციელი. სამაგიეროდ, ინტერვიუ აშკარად აღწევს მიზანს. მისი ავტორები ვირტუოზულად მოქმედებენ. მათი თეორიული მომზადება და წერის ტექნიკაც უნაკლოა.

უფრო ხშირად ჟურნალისტებს ე.წ. „ლამაზი პორტრეტის“ დახატვა უწევთ. როცა მიზანი ასეთია, ამოცანის შესრულება ერთიორად რთულდება. ინტერვიუს მოსამზადებელი სამუშაოები უფრო რთული და ხანგრძლივია. ჟურნალისტი ვალდებულია, დეტალურად შეისწავლოს მომავალი რესპონდენტის წარსული და ახლანდელი მოღვაწეობა, მისი ხასიათი, ჰობი, საუბრის თუ წერის მანერა. უნდა გაითვალისწინოს, რომ ნიჭიერი ადამიანები, ცოტა არ იყოს, ჭირვეული და ახირებული ხალხია. ჟურნალისტს დიდი მოთმინება მართებს, რომ განზრახვაზე ხელი არ აიღოს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში, ჟურნალისტის ურთიერთობა რესპონდენტთან ხანგრძლივია და იგი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგაც დიდხანს გრძელდება. რესპონდენტის გავლენა ზოგჯერ ისე დიდია, რომ ჟურნალისტი მისგან დიდხანს ვერ თავისუფლდება. თუმცა, ამაში საშიში არაფერია — კარგი ადამიანის გავლენას და ავტორიტეტს ცუდი შედეგი არასდროს არავისთვის არ მოუტანია.

თუ „ლამაზი პორტრეტის“ დახატვა გსურთ, გულმოდგინედ უნდა დაუკვირდეთ ყველა სიტყვას, ყველა წინადადებას. არავითარი გრამატიკული, სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომა. ოღონდ, უნდა ეცადოთ, რესპონდენტის ტექსტს შეუნარჩუნოთ ავტორისეული სტილი. რთული, ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია (ქართველი პარლამენტარი იტყოდა, „შესრულებადიაო“). და რომ ეს ასეა, ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ ყურადღებით წაიკითხავთ ჟურნალისტ **იამზე ასანიშვილის** ინტერვიუს შესანიშნავ ქართველ მწერალ გურამ დოჩანაშვილთან:

გურამ დოჩანაშვილის ცხოვრების ისტორია

ინტერვიუში თუ რამე მოგეწონათ, ჩემია და თუ არ მოგეწონათ — ჟურნალისტის.

გურამ დოჩანაშვილი

— საშინლად ორპირი ვარ. როცა ვერდის ვუსმენ, ის მირჩევნია როსინის, როცა როსინის ვუსმენ, მაშინ როსინი მირჩევნია ვერდის.

— და უფრო დიდი მაინც ვინ არის?

— ბახი და მოცარტი, რომელიც ისეთია, საცეკვაო მოედანზე რომ ხულიგნები შემოცვივდებიან...

— ასე თუ გავაგრძელებთ, ორპირი კი არა, „მრავალპირი“ აღმოჩნდებით.

— ასე გამოვა, ალბათ, თუ კი ყველას ჩამოვთვლი.

მაგრამ გინდათ, დიდი საიდუმლო გაგანდოთ? იცით, რომ შემოქმედი არ არსებობს? ისინი ყველა „მეორადები“ არიან, შავი მუშები, გადამწერები. ხელოვნება სულიწმინდაა. სულიწმინდის მადლი — ღმერთი ქმნის მათი ხელით. ბიბლიიდან მოდიან ბახიც და მიქელანჯელოც. რუსთაველის ყველა აფორიზმი ბიბლიურია და, საერთოდ, შემოქმედის დანიშნულებაა, ბიბლია უბიბლიოდ მიიტანოს ადამიანებამდე. ბიბლიიდან მოდიან შოთაც, ილიაც, აკაკიც, ნიკო ლორთქიფანიძეც — ჩვენი სინდისი და პატიოსნება.

— იცით, დავით გურამიშვილი მიყვარს განსაკუთრებით. ერთი შეხედვით, აკადემიურია და თითქოს უცნაურია, მე რომ მომწონს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, დღეს რომ ასეთი კაცი გვყავდეს...

— თანამედროვე ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?

— ოთხი მოთხრობა მიყვარს: რეზო ინანიშვილის „თოვლი“, გიორგი ლეონიძის „ღვინჯუა“, გურამ რჩეულიშვილის „შაშას რევოლუცია“ და ჯემალ ქარჩხაძის „იგი“.

— თქვენი უამრავი გმირიდან ყველაზე გამორჩეულად ვინ გიყვართ?

— ყველა კარგი ბიჭია. ხომ კარგი ბიჭები არიან კანუდოსელები? ლუკა რა კარგი ვინმეა, არა? განსაკუთრებით მიყვარს დილის ქალი — როსა. გახსოვთ? ის თვით დიდ ქალზე — ტერეზაზეც კი ძლიერია...

— ანა-მარია? რატომ კლავთ ამ მშვენიერებას ასე უცებ და საზარლად?

— სხვათა შორის, ადრეც მკითხეს და იცით, რა ვუპასუხე? განა შეიძლება, ბედნიერება დიდხანს გაგრძელდეს-მეთქი?

ჩემი ირაკლის წასვლის შემდეგ გამახსენდა და ვინანე — ეს რამ მათქმევინა-მეთქი. ეტყობა, ბედნიერება მართლა ძალიან ხანმოკლეა... იცით, რა ბიჭი იყო ირაკლი? კეთილი, ლამაზი, ჭკვიანი. უკეთ ვინ მიცნობდა. იცოდა ჩემი პანიკიორი ხასიათი და სულ მამშვიდებდა ხოლმე.

— ბატონო გურამ, თქვენ უკვე ბაბუა ხართ...

— თინათინი! რომ მეგონა, ოჯახის ახალი წევრი გაჩნდა-მეთქი, ძველებიც წამართვა. საოცარი ბავშვია. სანამ დაიბადებოდა, ძალიან ვღელავდი. და, იცით, მაშინ ირაკლი მედგა გვერდით. როგორც ყოველთვის, მამშვიდებდა... იცით, რა კარგი ბიჭი მყავდა? არა, კი არ მყავდა, მყავს...

— ბატონო გურამ...

— არა, აღარ მინდა სიკვდილი. ათი წელი მაინც უნდა ვიცოცხლო კიდევ, თინათინს რომ დავამახსოვრდე. ისე არ წავალ...

(„დრონის“ ინფორმაცია).

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ — პორტრეტი თითქმის სრულყოფილია, ჟურნალისტი კი არ ჩანს, შესანიშნავადაა „შენიღბული“. იგი საკუთარი შესაძლებლობებით კი არ კოპწიაობს, არამედ ცდილობს მკითხველს დაანახვოს მწერალი, დახატოს მისი პორტრეტი და ამას აღწევს კიდეც.

ეს არის ჟურნალისტის მაღალი პროფესიონალიზმი. იგი მხოლოდ ნიჭით, შრომით და მონდომებით მიიღწევა. რა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „ცოტა ჭკუაცაა საჭირო.“

5. ანკეტა — ასეთი ტიპის ინტერვიუს დროს, როგორც წესი, რამდენიმე რესპონდენტს ურიგდება ერთი და იგივე შინაარსის კითხვარი. ვინც ქართულ პრესას თვალყურს ადევნებს, შეიძლება ახსოვდეს, რომ 1998-1999 წლებში ამგვარი „ანკეტური“ ინტერვიუები იბეჭდებოდა გაზეთ „დრონში“ რუბრიკით: — „გზაზე ერთი ქვეყანა მიდიოდა“. საუბარი ეხებოდა ქვეყნის მომავალ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

6. თამადა — ეს არის ინტერვიუს ტიპი, როცა რამდენიმე ადამიანი ერთდროულად მსჯელობს რომელიმე ერთ პრობლემაზე. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტი სპიკერის როლში გამოდის — სასურველი მიმართულებით წარმართავს საუბარს. ბუნებრივია, ინტერვიუ რომ საინტერესო გამოვიდეს, ბევრი რამ არის დამოკიდებული ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და მის,

როგორც წამყვანის, ხელოვნებაზე. იქნებ იგი ძალიან კომპეტენტური, ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყოს, მაგრამ აკლდეს ლიდერის თვისებები. ამიტომ, თუ თქვენ ერთხელ მაინც მეგობრების წრეში არ გითამადიათ, ამგვარი ტიპის ინტერვიუს გაძღოლა, სჯობს, სამერმისოდ გადადოთ. ეს რჩევა, უპირველეს ყოვლისა, ტელე და რადიოჟურნალისტებს გამოადგება.

შეცდომები

მათგან დაზღვეული არავინაა. მთავარია, დღეს არ გაიმეოროთ ის შეცდომა, რომელიც გუშინ უკვე მოგვიდათ. თუ ხვდებით, რომ სისტემატურად ერთსა და იმავე შეცდომას იმეორებთ, სჯობს, სანამ დროა, სხვა პროფესიაზე იფიქროთ. თუ საკუთარ შეცდომებს ვერ ხედავთ და ამაზე მუდამ სხვები (მაგალითად, რედაქტორი) მიგითითებთ, მაშინაც გაცლა სჯობს.

ჩემი აზრით, ინტერვიუს გაძღოლის დროს ჟურნალისტებს, ძირითადად, სამი სახის შეცდომა მოსდით:

1. **ჟურნალისტი ინტერვიუსთვის თავად არ არის სათანადოდ მომზადებული.** რედაქტორმა დაავალა, ხვალ „მრგვალ მაგიდასთან“ ელიტური მოდის ექვსიოდე სპეციალისტი შეიკრიბება და უნდა „უთამადოო“. ისიც დაუფიქრებლად თანხმდება. თუ დავალების მიზანი თქვენთვის ბუნდოვანია, მერწმუნეთ, ინტერვიუ არ გამოგივათ. სერიოზული დავალების შესასრულებლად აუცილებლად მოითხოვეთ იმაზე ცოტა მეტი დრო, ვიდრე სინამდვილეში გჭირდებათ.

თუ გრძნობთ, რომ ბევრი ფიქრის მიუხედავად, ინტერვიუს მიზანი თქვენთვის მაინც მთლად ნათელი არ არის, სჯობს დავალების შესრულებაზე უარი თქვათ. ამით ქვეყანა არ დაიქცევა — თითქმის ყველა რედაქციაში მოიძებნება ჟურნალისტი, ვისთვისაც ჰონორარი თავმოყვარეობაზე და პროფესიულ ეთიკაზე მაღლა დგას.

2. **მოსაუბრისთვის ინიციატივის დათმობა.** რამდენჯერ გინახავთ ასეთი გულსაკლავი სურათი: ტელეეკრანზე მიმდინარეობს დისკუსია ლეიბორისტ ნათელაშვილისა ან ლიბერალ ჟირინოვსკის მონაწილეობით. წამყვანი სვამს საკითხს, რომელზეც დისკუსიის ყველა მონაწილემ უნდა ისაუბროს. თანაც, ყველა აუცილებლად თანაბარ პირობებში უნდა იყოს.

ამ დროს, ბატონი შალვა (ან ბატონი ვლადიმერი) ხელთ იგდებს მიკროფონს და დაუსრულებლად თავისას მიერეკება. ძალიან ხშირად, პოლიტიკოსები ჟურნალისტის ნებისმიერი შეკითხვის, ან დისკუსიის ნებისმიერი თემის მიუხედავად, წინასწარ „დასწავლილი“ ტექსტით საუბრობენ, წამყვანი კი გაწბილებული ზის და უმწეოდ დაჰყურებს საკუთარ ხელებს. თუ თქვენ მოსაუბრეთა „ხელში აყვანა“ და საუბრის მთავარი თემის შესაბამისად წარმართვა ვერ მოახერხეთ, ინტერვიუ ჩაშლილია, თუნდაც საუბარი ძალზე ცხარედ და საინტერესოდ წარიმართოს.

მართალია, ასეთი შემთხვევები უფრო მეტად ტელეეკრანებიდან გვახსოვს, მაგრამ გაზეთის ფურცლებზეც საკმაოდ ხშირია.

3. მთავარი თემიდან გადახვევა. 1980 წელს კახეთში ქორწილში გახლდით. ცნობილი და პატივცემული თამადა, ყოველი სამი-ოთხი ჭიქის შემდეგ ნეფე-პატარძალს უბრუნდებოდა და მათ სადღეგრძელოს სვამდა. იმერელი სტუმრები, ეტყობა, გააოცა ძია ვალოდიას ორიგინალურმა თამადობამ და ეს გამოხატეს კიდეც. მაშინ ბრძენმა თამადამ კიდევ ერთხელ შეავსო ჭიქა და ასეთი რამ ბრძანა:

— ამ ჭიქით ჩვენს ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს, ხალხო... იმიტომ გაუმარჯოს, რომა, არ დაგვავიწყდეს, აქ რითვინა ვაართ მოსული!

ზოგჯერ ჟურნალისტი საკუთარი გამოუცდელობისა თუ პროვინციული თავმდაბლობის გამო, აშკარად ექცევა რესპონდენტის გავლენაში. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, თუ რესპონდენტი ცნობილი და გავლენიანი პირია. ზოგი ჟურნალისტი აღფრთოვანებული შესაციცინებს თვალებში მოულოდნელად მისთვის კუმირად ქცეულ თანამოსაუბრეს — მას კი შენი მთავარი თემა სულაც არ ეპიტნება და სექსუალურ უმცირესობაზე დაწყებული საუბარი შეიძლება ისე გადავიდეს ლეიბორისტული პარტიის დაპირებებზე, თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწროთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — საჭირო სიფრთხილე. ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოთ, რატომ წამოიწყეთ ეს საუბარი და რისთვის ზიხართ თქვენს თანამოსაუბრეებთან.

თუ ინტერვიუ აუდიო ან ვიდეოტექნიკაზე გაქვთ ჩაწერილი, გახსოვდეთ, თქვენი თანამოსაუბრე ქრისტე არ არის, მხოლოდ ჭეშმარიტებებს რომ ღაღადებდეს. ამიტომ მის ნალაპარაკევს კრიტიკულად უნდა მოეკიდოთ.

ჟურნალისტიკა შეკითხვების ხელოვნებაა

მგონი, უკვე ვთქვი, რომ ჟურნალისტიკა შეკითხვების დასმის ხელოვნებაა. ძალიან ხშირად, ინტერვიუში კითხვა პასუხზე გაცილებით მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, საინტერესო პასუხი რომ მიიღოთ, საინტერესო შეკითხვა უნდა დასვათ. მე ვიცნობდი ერთ ქართველ მწერალს, რომელიც სხვადასხვა გაზეთში სხვადასხვა ფსევდონიმით სისტემატურად აქვეყნებდა ინტერვიუებს... საკუთარ თავთან. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ის კაცი, სანამ საკუთარ გენიალობას დაიჯერებდა, ურიგო მწერალი სულაც არ ყოფილა. უბრალოდ, ჟურნალისტობა მწერლობასთან შედარებით თამაშად მიაჩნდა და იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ „დიდ მწერალთან“ ინტერვიუს მხოლოდ „დიდი მწერალი“ თუ შეძლებდა. ბატონ „დიდ მწერალს“ თავისი ინტერვიუები („ — ერთმა ჩემმა ნაცნობმა გააკეთა!“) დიდსულოვნად მიჰქონდა რედაქციებში. თავად მწერლის გარდა ყველამ იცოდა, რომ ეს იყო საკუთარი თავის დაცინვა და საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა. აბეზარ მწერალს არცთუ გულუბრყვილო ჟურნალისტები არაფრისმთქმელ ავტოინტერვიუებს ამიტომაც უბეჭდავდნენ.

შეკითხვების ძალიან ზოგადი კლასიფიკაცია შესაძლებელია ინტერვიუს ტიპის და ავტორის (ჟურნალისტის) განზრახვის მიხედვით. ანუ შეკითხვები შეიძლება იყოს **სტანდარტული, ნახევრად სტანდარტული, თავისუფალი და კომბინირებული.**

სტანდარტულია შეკითხვები, როცა ისინი კითხვარის სახით არის შედგენილი და პასუხების გასაცემად ეგზავნება რესპონდენტს. როგორც წესი, ასეთ ხერხს ჟურნალისტები იმ პირებთან ურთიერთობისას მიმართავენ, ვისთანაც უშუალო შეხვედრა რაიმე მიზეზის გამო (მოუცლელობა, ამბიციურობა...) ვერ ხერხდება. სხვათა შორის, ამ ხერხს ხშირად მიმართავენ არაჟურნალისტებიც. მაგალითად, საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლები.

სანიმუშოდ გაგაცნობთ ერთ ასეთ კითხვარს. მისი ავტორია საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი, ადრესატი — შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოს გენერალური დირექტორი:

„ბატონო გივი!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო

დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმეები ფიზიკური პირების მიმართ, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვის ფაქტზე.

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ფიზიკური პირები თბილისის „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან“ ახდენდნენ აშშ ხორბლის და სოიოს ზეთის, იტალიური ბრინჯისა და ხორცის კონსერვების შესყიდვას შ.პ.ს. „თ და კომპანიას“ მეშვეობით.

გთხოვთ გვაცნობოთ:

1. გააქვთ თუ არა დადებული ხელშეკრულება აღნიშნულ ბირჟასთან ან შ.პ.ს. „თ და კომპანიასთან“?

2. ბირჟიდან აღნიშნული პროდუქციის შეძენისას რა უფლებამოვალეობები ჩნდება თქვენსა და ფიზიკურ პირებს შორის?

3. საქართველოში კონკრეტულად რომელ სტრუქტურებს ეკუთვნის აღნიშნული პროდუქცია და რა სახის ხელშეკრულებები გააქვთ მათთან დადებული?

4. ხელშეკრულება დადებული გააქვთ პროდუქციის უშუალო მწარმოებელთან თუ რომელიმე, საქართველო, აშშ, იტალია, სახელმწიფო სტრუქტურასთან?

5. ვინ აწარმოებს აღნიშნული პროდუქციის იმპორტს და რა წესით? გთხოვთ მოგვაწოდოთ ჩვენთვის საინტერესო ხელშეკრულებების და თქვენი შ.პ.ს.-ს წესდების ასლები“ **(„საქართველოს რესპუბლიკის“ ინფორმაცია).**

ამ კითხვარის ავტორი რომ მშობლიურ ენასთან ერთობ მწყრალად ბრძანდება, ამას თავი დავანებოთ. კითხვარიდან გამომდინარე, ფრიად სავალალო დასკვნების გამოტანა შეიძლება მისი ავტორის პროფესიული ცოდნის დონის თაობაზე. კერძოდ: ამ შეკითხვების ავტორმა ყურმოკვრითაც არ იცის სასაქონლო ბირჟის მუშაობის სპეციფიკის შესახებ; არ იცის საბაზრო ეკონომიკის ელემენტალური საკითხები; არ იცის, რა დონეზე იდება სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები; არ იცის, რას ნიშნავს საქონლის იმპორტი და ექსპორტი; საერთოდ, არ იცის, რით უნდა დაინტერესდეს ამ კონკრეტული საქმის გამოძიების დროს.

ასეთ უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ჟურნალისტი, ვინც თავის პროფესიას, ან, კერძოდ, რომელიმე დავალებას გულგრილად მოეკიდება.

ნახევრად სტანდარტულია შეკითხვები, როცა კითხვარი

წინასწარ იგეგმება, მაგრამ იგი საუბრის მიმდინარეობისას ვითარების კვალდაკვალ იცვლება. ასე ხდება თითქმის ყოველი უშუალო საუბრის დროს.

თავისუფალი ეწოდება ისეთ კითხვებს, რომელთა წინასწარ დაგეგმვა პრაქტიკულად შეუძლებელია, ანუ იმ შემთხვევაში, როცა თქვენ, ჟურნალისტი, შეგნებულად უთმობთ ინიციატივას ინტერვიუერს. ამის მაგალითად გამოდგება ახლახანს თქვენს მიერ წაკითხული ჟურნალისტ იამზე ასანიშვილის ინტერვიუ-პორტრეტი მწერალ გურამ დოჩანაშვილთან.

კომბინირებულ კითხვებზე, ალბათ, საუბარიც არ ღირს: აქ არის ყველანაირი შეკითხვა ერთად — სტანდარტულიც, ნახევრად სტანდარტულიც და თავისუფალიც.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თქვენს მიერ შესრულებული ინტერვიუ ფორმის მიხედვით, შეიძლება იყოს მონოლოგი, დიალოგი, გამოკითხვა, დისკუსია ან პრესკონფერენცია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ აქ და ყველა დანარჩენ შემთხვევაში მოყვანილი კლასიფიკაციები არის პირობითი. მეტიც, ისინი სუბიექტურია, არა აქვს მტკიცებულების და, ბუნებრივია, არც კანონის ძალა — გნებავთ გაიზიარებთ, გნებავთ — არა. მე გთავაზობთ საკუთარ გამოცდილებას. პირადად თქვენ ან ნებისმიერმა სხვა დაინტერესებულმა პირმა, შესაძლოა, საყოველთაოდ ცნობილ საგნებს და მოვლენებს სხვა სახელები დაარქვათ, ან მათი ანალიზით სულ სხვა დასკვნამდე მიხვიდეთ.

მეტოქე თუ თანამოაზრე

როგორც ვთქვი, ინტერვიუ ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყველაზე საინტერესო ჟანრია. კარგი ინტერვიუს მომზადებას ბევრი წვრილმანი ახლავს თან, რომელთა უგულებელყოფა სასურველი არ არის. სამწუხაროდ, ყველაფერს ვერ გავწვდებით, მაგრამ ვიდრე ინტერვიუზე საუბარს დავამთავრებდეთ, ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას — ინტერვიუს ჟანრის საგაზეთო ნაწარმოების ავკარგიანობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თქვენს პარტნიორს, გნებავთ, მეტოქეს, მოკლედ, იმ კაცს, ვისთანაც საუბრობთ — რესპონდენტს.

თანამშრომლები. რამდენი ადამიანია, იმდენი ხასიათია.

უკლებლივ ყველას წინასწარ გამოცნობა ან შესწავლა შეუძლებელია. თქვენ, ჟურნალისტს, ამას არც არავინ მოგთხოვთ. უბრალოდ, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი ინტერვიუს სუბიექტი შეიძლება საკმაოდ **აქტიური თანამშრომლობის** მომხრე აღმოჩნდეს და ბევრი ინიციატივა სწორედ მისგან წამოვიდეს. რამე კი არ დამალოს, პირიქით, თვითონ იყოს დაინტერესებული რაღაც ინფორმაციის გავრცელებაში და ამაში თვითონვე დაგეხმაროს. ვერ ვიტყვი, ხშირად-მეთქი, მაგრამ ასეთი რესპონდენტები ნამდვილად შემხვედრია. მათთან მუშაობა შედარებით იოლი და, რაც მთავარია, სასიამოვნოა.

გულგრილები. უფრო ხშირად, თქვენი პარტნიორი ინტერვიუზე გთანხმდებათ, ხაზგასმული თავაზიანობითაც გხვდებათ, მაგრამ მთელი საუბრის განმავლობაში ფანჯარაში იყურება, ტელეფონზე საუბრობს, გაგრძნობინებს, რომ მას თქვენთან საუბარი მაინცდამაინც არ აინტერესებს. ამგვარი გულგრილობა შეიძლება ნამდვილიც იყოს და მოჩვენებითიც. ზოგ ბიზნესმენს, პოლიტიკოსს, სპორტსმენს ან მსახიობს ჰგონია, რომ რაც უფრო ყინჩად და გულგრილად დაიჭერს თავს ჟურნალისტებთან, მით უკეთესი. ასეთი რამ ადამიანს უფრო ახალგაზრდულ ასაკში ემართება — ფიქრობს, რომ გულგრილის ნიღაბი სოლიდურობას მატებს. ამიტომ, თუ იგრძნობთ, რომ თქვენი რესპონდენტი ეშმაკობს და გულგრილობის ფარდის მიღმა შეიძლება ალალი გულითადობა იმალებოდეს, ნუ დაიწყებთ საუბარს პირდაპირ საქმეზე — შეუქეთ ჰალსტუხი, უთხარით, რომ ახლა სწორედ ასეთებია მოდაში; ესაუბრეთ კომპიუტერის მეხსიერებაზე, აღფრთოვანდით მისი პატარა ქალიშვილის სილამაზით და გონიერებით... თუ ამან არ გაჭრა, ბედს შეურიგდით — ბუნებაში მართლაც არიან გულგრილი ადამიანები.

აგრესიულები. 90-იან წლებში გავიცანი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ გულუა. ჩვენ მალე დავმეგობრდით. ეს იყო უაღრესად საქმიანი, ენერგიული, კომპეტენტური და ნიჭიერი კაცი. შესანიშნავად იცოდა ქართული და მსოფლიო ლიტერატურა. იყო პოეზიის არა მარტო კარგი მცოდნე, არამედ შემფასებელიც.

ამ მართლაც ნიჭიერმა კაცმა, ალბათ, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერაფრით ვერ მოახერხა ნორმალური ურთიერთობის დამყარება ჟურნალისტებთან. სასტიკად აღიზიანებდა ჟურნალისტების მცირე არაკომპეტენტურობაც კი და ამის ხაზგას-

მას მაშინვე, პრესკონფერენციის მიმდინარეობისას ცდილობდა — „თქვენ არ იცით ეს საკითხი“; „თქვენ არასწორად სვამთ შეკითხვას“; „თქვენ აშკარა უცოდინრობას ამჟღავნებთ...“

ამის გარდა, ხშირად შეკითხვაზე პასუხს შეკითხვითვე იძლეოდა — „აბა, თქვენ რა გგონიათ?“ „თქვენ რას ფიქრობთ?“ „თქვენი აზრით, სხვანაირადაც შეიძლება?..“

ჟურნალისტები სწრაფად მიხვდნენ მინისტრის ამ სისუსტეს და სარგებლობდნენ კიდეც ამით — თითქმის ყველა გაზეთში იყო გაუთავებელი ქილიკი ბაკურ გულუას პრესკონფერენციების გამო. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მინისტრის არაპოპულარობას. არადა, თავისი მოღვაწეობით იგი ქილიკს, გაკილვას და მძაფრ კრიტიკას სულაც არ იმსახურებდა.

ბატონმა ბაკურმა ჩვენი ერთ-ერთი საუბრისას ჟურნალისტებთან თავის ამ აგრესიულ დამოკიდებულებას სახელი თვითონვე დაარქვა — ფრიადოსანი მოწაფის სინდრომი.

თუ თქვენ საქმე გაინტერესებთ და რესპონდენტის უარყოფითი პორტრეტის დახატვას არ აპირებთ, თანამოსაუბრის აგრესიულ ტონს ყურადღებას ნუ მიაქცევთ (თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხელჩართულ ჩხუბსა და პირად შეურაცხყოფაში არ გადაიზრდება). გახსოვდეთ, რომ ზოგს, უბრალოდ, საუბრის აგრესიული მანერა აქვს და ამის უკან გულთბილი, წესიერი, საქმიანი ადამიანი დგას. ზოგი კი კარგად დასწავლილი არისტოკრატიული მანერებით და მეგობრული ტონით საკუთარ უგულობას და ბოროტ ზრახვებს მალავს. თქვენი, როგორც ჟურნალისტის, ამოცანა ორივე შემთხვევაში ძალიან რთულია — დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ.

თქვენს დამოკიდებულებას რესპონდენტთან განსაზღვრავს თქვენი მიზანი. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს ცივი (ოფიციალური), თბილი (მეგობრული), მაგრამ არავითარ შემთხვევაში — გულგრილი ან აგრესიული. იმის მიუხედავად, თვითონ როგორ უჭირავს თავი რესპონდენტს, მასთან ურთიერთობისას აუცილებელია ხაზგასმული თავაზიანობა.

ხშირად ჟურნალისტი რესპონდენტს ერთობ ფამილარულად, შინაურულად ეპყრობა. ამით მას სურს, ხაზი გაუსვას საკუთარ მეგობრულ დამოკიდებულებას საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ადამიანთან. ეს მეგობრობა შეიძლება ბუნებაში მართლაც არსებობდეს, შეიძლება არც არსებობდეს. მერწმუნეთ, ორივე

შემთხვევაში მკითხველს აღიზიანებს თქვენი გრძნობების გამომზეურება; ფიქრობს, რომ ჟურნალისტს საკუთარი პერსონის წარმოჩენა რესპონდენტის ინფორმაციაზე მეტად აინტერესებს.

მონოლოგი

ამ ბერძნული (monologos, monos — ერთი, logos — სიტყვა) ხსენებისას თვალწინ წარმოგვიდგება ძველი ბერძნული ტრაგედიების გმირები, ტრიბუნიდან გადმომდგარი პოლიტიკოსები, ან ქადაგად დავარდნილი თეთრწვერა დამრიგებლები. ეს ასეცაა, მაგრამ მონოლოგი ერთი ჟურნალისტური ხერხიც გახლავთ. თეორეტიკოსები ცოტა სხვაგვარად ფიქრობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მონოლოგი ინტერვიუს ერთ-ერთ სახესხვაობაცაა. უბრალოდ, ავტორი არ ცდილობს საკუთარი განსწავლულობის ჩვენებას — არ წერს საკუთარ შეკითხვებს და ასპარეზს მთლიანად რესპონდენტს უთმობს.

მონოლოგის ხერხს შედარებით იშვიათად იყენებენ. ანუ ჟურნალისტის კარიერაში საკმაოდ იშვიათია შემთხვევა, როცა მას რესპონდენტთან კამათისა თუ არა, მასთან ზოგიერთი ფაქტის დაზუსტების სურვილი არ უჩნდება. უფრო ზუსტად, სურვილი, ალბათ, უჩნდება, მაგრამ რესპონდენტი ისე საინტერესო პიროვნებაა, რომ მასთან კამათით მონათხრობის პენი დაიკარგება. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტი სწირავს ზოგიერთ, თუნდაც, ძალიან საინტერესო ფაქტს და უკომენტაროდ გვთავაზობს მხოლოდ რესპონდენტის თვალსაზრისს. ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ისეთ ჟურნალისტს, რომელსაც ინფორმაციის დამახინჯებისადმი მიდრეკილებები არ გააჩნია.

მონოლოგი ის ხერხია, სადაც ყველაზე მეტად მჟღავნდება ჟურნალისტის... მწერლური ნიჭი. ვიმეორებ, მჟღავნდება ჟურნალისტის მწერლური ნიჭი და არა მწერლის ჟურნალისტური შესაძლებლობები. სხვათა შორის, ნიჭიც და კვალიფიკაციაც, შესაძლოა, არ გამოგადგეთ, თუ თქვენ რესპონდენტისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი არ იქნებით. ამიტომ, თუ სხვისი პირით მონოლოგის წარმოთქმა გსურთ, ძალიან კარგად დაფიქრდით თქვენს იმ კონკრეტულ „ხსვასთან“ დამოკიდებულდებაზე.

მოდი, ჯერ ერთი საკმაოდ ვრცელი მონოლოგის ნიმუში ვნახოთ:

ჩემი ქმარი ლავრენტი ბერია

დნეპრისპირა დიდი ქალაქის გარეუბანში, მყუდრო, მწვანეში ჩაფლულ ქუჩაზე, „ხრუშჩოვის“ ბინაში ცხოვრობს 86 წლის სანდომიანი, ცოცხალთვალება და მკვირცხლი გონების ქართველი მანდილოსანი.

იგი უკვე დიდი ხანია დაივიწყა თანამედროვეობამ.

ოდინდელი სილამაზის კვალი ახლაც ატყვია. საოცარი მეხსიერება აქვს და შესანიშნავი ქართულით საუბრობს.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში არასოდეს ასრულებდა რაიმე მნიშვნელოვან როლს, ვერც მაშინდელ შინაურ თუ საგარეო პოლიტიკაზე ახდენდა გავლენას. არც საზღვარგარეთ მოგზაურობდა და კრემლში ოფიციალურ მიღებებსაც იშვიათად ესწრებოდა (პოლიტიკოსთა ცოლები მაშინ ჯერ კიდევ არ მონაწილეობდნენ დიდ პოლიტიკაში).

და, მაინც, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი იყო საბჭოთა კავშირის უპირველესი ლედი, მეუღლე კაცისა, ვის სახელს დღესაც კი ერთგვარი შიშითა და კრძალვით ვახსენებთ: ლავრენტი ბერია!

ვუყურებ ამ სათნო მოხუცს და ძალიან მინდა გადავიხედო ორმოცდაათი წლის მიღმა, დავინახო ახალგაზრდა, ულამაზესი ძლევამოსილი ქალბატონი — ნინო გეგეჭკორი!

...ღარიბი კაცის ოჯახში დავიბადე. საერთოდ, იმ დროს, შეძლებული ოჯახები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა. დროც არეული იყო — რევოლუციები, პარტიები, შეხლა-შემოხლა. ბიძის, საშა გეგეჭკორის* ოჯახში ვიზრდებოდი. ქუთაისში ვცხოვრობდით, სკოლაშიც იქ დავდიოდი.

საშა რევოლუციური მოღვაწეობისთვის ციხეში იჯდა. მისი მეუღლე ხშირად დადიოდა ქმრის სანახავად. მე პატარა გოგო ვიყავი და ბიცოლას სულ უკან დავდევდი. ციხეშიც მივყვებოდი ხოლმე, მაინტერესებდა. სხვათა შორის, მაშინ პატიმრებს ურიგოდ არ ეპყრობოდნენ. ის ვაჟბატონიც მაშინ საშასთან ერთად ბრძანდებოდა ციხეში. მე მას არ ვიცნობდი, თვითონ კი, თურმე, დამიმახსოვრა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საშა თბილისში გადმოიყვანეს და, ბუნებრივია, მეც მათ ოჯახთან ერთად ჩამოვედი. უკვე მოზრდილი გოგო ვიყავი. ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი მქონდა, მაგრამ ბიცოლა ყოველდღე

არ მაცმევდა, უფრთხილდებოდა. სასწავლებელში ძველებით დავდიოდი. ცენტრალურ ქუჩებს ვერიდებოდი, მრცხვენოდა.

მახსოვს, საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო და ჩვენ, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა მის წინააღმდეგ დემონსტრაცია გავმართეთ. წყალი მოგვასხეს, სულ გავიწუწე და შინ გავიქეცი. იქ კიდევ ბიცოლა მეკითხება, რა მოხდაო. მეც ვუამბე. ამის გამო ერთი მიმბეგვა — შენ საშა გეგეჭკორის ოჯახში ცხოვრობ და თან საშა გეგეჭკორის წინააღმდეგ დემონსტრაციებში მონაწილეობო?!

ერთხელ სკოლის გზაზე დამხვდა ლავრენტი (გასაბჭოების შემდეგ ხშირად მოდიოდა საშასთან და მე მას უკვე ვიცნობდი). ჩამაცივდა, გინდა თუ არა, უნდა შევხვდეთ და ვილაპარაკოთო. დავთანხმდი. ნაძალადევში შევხვდით. იქ ჩემი უფროსი და და სიძე ცხოვრობდნენ და ამიტომ იმ უბანს კარგად ვიცნობდი. სკამზე ჩამოვჯექით. ლავრენტის ეცვა შავი პალტო და ეხურა სტუდენტის ქუდი. მითხრა, რომ დიდი ხანია მაკვირდება, ძალიან მოვწონვარ... ჰო, ისიც მითხრა, რომ ვუყვარდი და უნდოდა ცოლად გავყოლოდი. მაშინ თექვსმეტნახევარი წლის ვიყავი.

როგორც ამიხსნა, თურმე, საბჭოთა ხელისუფლება გზავნიდა ბელგიაში ნავთობის საკითხების შესასწავლად, ოღონდ, ერთი პირობით — ცოლი უნდა შეერთო. მითხრა, რომ მეც ხელს შემიწყობდა სწავლაში. დავფიქრდი და დავთანხმდი — სხვის ოჯახში ცხოვრებას ვარჩიე ამ კაცს გავყოლოდი და საკუთარი ოჯახი შემექმნა. იგი მაშინ ოცდაორი წლის იყო. არავისთვის მითქვამს, ისე გავყევი ცოლად. ალბათ, ამის გამო მერე გავრცელდა ჭორი, თითქოს ლავრენტიმ მომიტაცა. არა, ბატონო, საკუთარი ნებით გავყევი. თუმცა, ახლაც ასე არ არის? — გაყვება გოგო ბიჭს და მერე ამას დაარქმევენ მოტაცებას. ერთ წელიწადს ბაქოში ვცხოვრობდით, მერე თბილისში დავბრუნდით. ოცდაოთხში შეგვეძინა ბიჭი, სერგო.

საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა ჯერ გადაიდო, მერე შეუძლებელი გახდა, რადგან ლავრენტი სახელმწიფო საქმეებში ჩაეფლო და აღარსად აღარ გააგზავნეს.

ღარიბად ვცხოვრობდით. მაშინ დრო იყო ასეთი, ადამიანურად ცხოვრება სირცხვილად ითვლებოდა, სიმდიდრეს ვებრძოდით.

ოცდათერთმეტში ლავრენტი საქართველოს ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს. მანამდე ამ პოსტზე ქართველიშვილი მუშაობდა. უცნაური კაცი იყო. როგორც ჩანს, თანამდებობამ გაათამა-

მა. ერთი რუსი თანამდებობის პირი იყო, ერშოვი და იმას წაართვა ქართველიშვილმა ცოლი. ის ქალი, მერე, როცა ქართველიშვილი მოხსნეს, სხვას გაჰყვა.

ლავრენტი მუდამ უაღრესად დაკავებული იყო. დრო ოჯახისთვის თითქმის არ რჩებოდა. ძალიან ბევრს შრომობდა. ახლა ადვილია კრიტიკა, მაგრამ მაშინ მართლა ბრძოლა იყო — საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვა. ხომ გახსოვთ, რას წერდა სტალინი სოციალიზმის მტრების შესახებ. ის მტრები რეალურად არსებობდნენ. ახლა ყველა ბუღალტერს შეუძლია ადგეს და რამდენიც უნდა, აკრიტიკოს სტალინი. მე ვიცნობდი ამ კაცს, თავის დროზე მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთთან. მართალია, იგი ძალიან მკაცრი, სასტიკიც კი იყო, მაგრამ ვინ იტყვის, რომ იმ პერიოდში სისასტიკე საჭირო არ იყო? სტალინს უნდოდა შეექმნა დიდი და ძლიერი სახელმწიფო და მან ეს შექმნა შთამომავლობისთვის. მართალია, ამას შეეწირა ბევრი ადამიანი, მაგრამ სად იყო, რატომ ვერავინ დაინახა სხვა გზა, რომელიც უმტკივნეულოდ მიგვიყვანდა მიზნამდე?

მერე სვეტამაც* **(სვეტლანა ალილუევა, სტალინის ქალიშვილი, — თ. ქ).** დაწერა, მამაჩემი სასტიკად მეპყრობოდაო. სვეტა ჩემს თვალწინ გაიზარდა. ძალიან ნიჭიერი და მიზანდასახული ადამიანი იყო, საყვარელი ბავშვი. ძალიან უყვარდა მამამისს. ჰოდა, ეს საყვარელი ქალიშვილი ერთ მშვენიერ დღეს უცხადებს მამას, რომ შეუყვარდა მასზე 23 წლით უფროსი ებრაელი რეჟისორი კაპლერი და აპირებს ცოლად გაჰყვეს. თქვენ როგორ მოიქცევით, თქვენმა თექვსმეტი წლის ქალიშვილმა საკითხი ასე რომ დაგისვათ? მამამ ერთი სილა გააწნა თავის ქალიშვილს. კაპლერმა კი ის მიიღო, რისი ღირსიც იყო: მას არ ჰყვარებია სვეტა, უნდოდა სტალინის ოჯახში შემძვრალიყო და დარწმუნებული ვარ, ამაში მას რაღაც ძლიერი ორგანიზაცია უმაგრებდა ზურგს.

ახლა სტალინზე ათასგვარ ზღაპარს ჰყვებიან. იგი იყო ჩვეულებრივი ადამიანი. თავისი სისუსტეებიც ჰქონდა. შვილებს ყურადღებას არ აქცევდაო. როგორ არ აქცევდა, მაგრამ იგი შვილებს არ აქცევდა ზედმეტ ყურადღებას. მიაჩნდა, რომ მათ თვითონ, დამოუკიდებლად უნდა ეპოვნათ ცხოვრების გზა. თუნდაც იაშას, სტალინის უფროსი ვაჟის ცხოვრება არის ამის მაგალითი.

მოსკოვში გადავედით 1938 წლის დამლევს. ამ დროს ოცდაჩვიდმეტის რეპრესიები უკვე ჩავლილი იყო. როცა ჩემი ქმ-

რის შესახებ წერენ, ამ გარემოებას არ ითვალისწინებენ. ასე უმ-ჯობესია: არის კაცი, ვისაც შეიძლება ყველა ამქვეყნიურ ცოდ-ვაში დასდო ბრალი. დარწმუნებული ვარ, ოდესღაც დაიწერება ობიექტური ისტორია, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. მე ვერ მოვესწრები ამას, მაგრამ თქვენ ხომ აუცილე-ბლად მოესწრებით, ჯერ ახალგაზრდა ხართ.

რა შეიძლება იცოდეს, მაგალითად, ანასტას მიქოიანის შვილ-მა, ასე თავგამოდებით რომ ამტკიცებს რაღაც აბსურდებს? — არაფერი, მაგრამ, მაინც წერს, ალბათ, თავის გამოჩენის მიზნით. ეს არ არის წესიერი საქციელი!

ლავრენტის ბრალი დასდეს ვანო სტურუას ოჯახის ტრაგე-დიაში. ეს არის უდიდესი ცილისწამება... იცით, მაშინ მოქმედებ-და ისეთი მანქანა, რომლის შეჩერება ან მიმართულების შეცვლა არავის შეეძლო. არც ლავრენტის.

ქართული გაზეთები მაქვს გამოწერილი: „ლიტერატურული საქართველო“, „სამშობლო“ და „თბილისი“, საღამოს გაზეთი. ჟურნალებიც მომდის, მობრძანდით, „ცისკარი“ უნდა გაჩვენოთ. აქ არის დასტამბული გაბრიელ ჯაბუშანურის პოემა, რომელიც, თურმე, სტალინის სიცოცხლეში ყოფილა დაწერილი და ახლა დაიბეჭდა. შეიძლება, რა თქმა უნდა, არ გიყვარდეს კაცი, მაგრამ მასზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება. თუნდაც ყველაფერი ის, რასაც ამბობენ, მართალი იყოს, ქართველს მაინც არ შეეფერება სტალინის ასე ლანძღვა — ასეა თუ ისე, იგი მაინც ქართველი იყო. თუ გასალანძღია, გალანძღოს სხვამ, ჩვენ ნუ გამოვიჩენთ ინიციატივას...

მე არასოდეს ჩავრეულვარ ჩემი ქმრის სამსახურებრივ საქ-მეებში. მაშინდელი მოღვაწეები ცოლებს არ ანებივრებდნენ ისე, დღეს რომ ანებივრებენ. ამიტომ ჩემთვის შეუძლებელია ლავრენ-ტის საქმეებზე ლაპარაკი. ის, რაც მას ოფიციალურად დასდეს ბრალად, სახელმწიფოს ღალატი, უბრალოდ, დემაგოგიაა — რა-ღაც ხომ უნდა დაებრალებინათ. ეშინოდათ, სტალინის შემდეგ ბერიას არ დაეჭირა მისი ადგილი. მე ვიცნობდი ჩემი ქმრის ხა-სიათს და დარწმუნებული ვარ, მას ეყოფოდა გონიერება და არ დაიჩემებდა პირველობას. იგი პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო და იცოდა, რომ სტალინის შემდეგ ისევ ქართველი კაცის სახელმწი-ფოს სათავეში მისვლა გამორიცხული იყო. ამიტომ, ალბათ, იგი ხელს შეუწყობდა მისთვის სასურველ პიროვნებას, მაგალითად, მალენკოვს.

...ორმოცდაცამეტის ივნისში ჩვენ (მე და ჩემი შვილი სერგო*) მოულოდნელად დაგვაპატიმრეს და სხვადასხვა ციხეში ჩაგვკეტეს. თავიდან ვფიქრობდით, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, უფრო სწორედ, რაღაც კონტრრევოლუციის მაგვარი და სათავეში მოვიდა ანტიკომუნისტური ძალა. მე „ბუტირკაში“ ვიყავი. ყოველდღე მოდიოდა გამომძიებელი, რომელიც მოითხოვდა ჩვენებებს ჩემი ქმრის წინააღმდეგ. მეუბნებოდა, რომ „ხალხი აღშფოთებული იყო ლავრენტის საქციელით“. მე მას განვუცხადე, რომ არავითარ ჩვენებას არ მივცემდი, არც კარგს და არც ცუდს. მერე აღარ შევუწუხებივარ. წელიწადზე მეტ ხანს ვიყავი ციხეში. ბრალდებები? როგორ არა, წამომიყენეს, მაგრამ ნუ გაიცინებთ, ეს სავსებით სერიოზულად იყო ნათქვამი: ბრალი მედებოდა ერთი კასრი წითელი მიწის ჩამოტანაში რუსეთის არაშავმიწიანი ზონიდან მოსკოვში. საქმე ის გახლავთ, რომ მე ვმუშაობდი სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, ვიკვლევდი ნიადაგის შემადგენლობას. ჩემი თხოვნით, ოდესღაც მართლა ჩამომიტანეს ერთი კასრი წითელი მიწა. იგი თურმე, ჩამოუტანიათ თვითმფრინავით. ესე იგი, სახელმწიფოს ტრანსპორტი გამოიყენეს კერძო მიზნებისთვის.

მეორე ბრალდება გახლდათ დაქირავებული შრომის გამოყენება: თბილისში ცხოვრობდა ცნობილი მკერავი ვინმე „საშა პარტნიო“. სწორედ ეს „საშა პარტნიო“ ჩამოსულა ჩემთან მოსკოვში, შეუკერია კაბა და მე მისთვის გადამიხდია შესაბამისი გასამრჯელო. ალბათ, ასეც იყო. ახლა ზუსტად არ მახსოვს, როდის იყო ჩემთან თბილისელი მკერავი, მაგრამ ნამდვილად იქნებოდა. ოღონდ, თუ ეს დანაშაულია, ახლაც არ ვიცი.

ჩემი ყურით მომისმენია, როგორ ყვებოდნენ, თითქოს ქუთაისიდან გურიამდე ვიმგზავრე ოქროს ეჟვნებიანი ცხენით. ცხენით მართლაც ვიმგზავრე ოდესღაც, მაგრამ ოქროს მოსართავებიანი ნამდვილად არ ყოფილა. ხომ იცით, ადამიანებს ძალიან უყვართ არარსებულის გამოგონება და მერე იმის სინამდვილედ წარმოჩენა...

ციხეში მოვიდა ერთი ჩემი „კეთილისმყოფელი“ და დამარიგა, ასეთ პირობებში ყოფნას გიჯობს განცხადება დაწერო და საავადმყოფოში გადაგიყვანთო. მართლაც ძალზე მძიმე პირობებში ვიყავი. „ოდინოჩკა“ კარცერი ხომ გაგიგონიათ, სწორედ იქ. იმ საკანში არც დაწოლა შეიძლებოდა, არც დაჯდომა. ასე ვიყავი ერთ წელიწადზე მეტ ხანს. საავადმყოფოზე უარი განვაცხადე,

რადგან ზედამხედველმა მიჩურჩულა, თქვენზე ამბობენ, გაგიჟდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებაო.

ერთ დღეს გამომძიებელმა მამცნო, შვიდას სამოცმა ქალმა აღიარა, ბერიას საყვარლები ვართო! საოცარია, პირდაპირ: ლავრენტი დღეს და ღამეს შრომაში ასწორებდა და როდისღა მოასწრო, ნეტავ, ქალთა ამ ლეგიონის საყვარლებად გადაქცევა?! სხვა ამბავია აქ: ომის დროს და მერეც იგი ხელმძღვანელობდა დაზვერვას და კონტრდაზვერვას. ეს ქალები კი იყვნენ მისი ინფორმატორები, რომლებსაც მხოლოდ ლავრენტისთან ჰქონდათ უშუალო კავშირი. ლავრენტის ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და ეს სამსახურებრივი ურთიერთობანი ამ ქალებთან (ალბათ, სხვებთანაც) ინახებოდა მის გონებაში. ხოლო, როცა ამ თანამშრომლებს შეფთან ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს, ბუნებრივია, ყველამ თქვა, საყვარელი ვიყავიო. აბა, აგენტობას ხომ არ დაიბრალებდნენ?!

ერთი წლის შემდეგ მე და სერგო პირუტყვის გადასაყვან მატარებელში ჩაგვსხეს და სვერდლოვსკში ჩაგვიყვანეს. იქ ხუთასი მანეთი (ახლანდელი ორმოცდაათი) მოგვცეს და... გაგვიშვეს. ძალიან გვიჭირდა უბინაოდ, უსახსროდ, უმუშევრად. მერე, როგორც იქნა, სერგომ ტექნიკოსის თანამდებობა იშოვა (ციხიდან გამოსვლისას ზეინკალ-ტექნიკოსის დიპლომი მისცეს) და მუშაობა დაიწყო.

სხვათა შორის, სერგო დაპატიმრების მომენტში იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მე არ ვამტკიცებ, რომ იგი რაღაც არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცია, მაგრამ იგი არის ნამდვილად ძალზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. ასეთი იყო მუდამ. ამის გარდა, რა დასამალია, მას საშუალება ჰქონდა ესწავლა. კონსულტაციები მიეღო საუკეთესო სპეციალისტებისაგან, ბოლოს და ბოლოს, შეერჩია ის სპეციალობა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდა. დაპატიმრების შემდეგ მას ჩამოართვეს ხარისხები და, როგორც გითხარით, ტექნიკოსის მოწმობა მისცეს. მერე, ჩემი დაჟინებული თხოვნით, თავიდან დაიწყო ყველაფერი და ახლა, მადლობა ღმერთს, ბედს არ ვემდურით: კარგი სამსახური აქვს, მაღალი ხელფასი, დაფასება.

სვერდლოვსკის გადასახლება რამდენიმე წლის შემდეგ შეგვიცვალეს და უფლება მოგვცეს გვეცხოვრა საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში მოსკოვის გარდა. ბუნებრივია, მე

საქართველოში ჩამოსვლა ვინდომე. ჩამოვედი კიდეც. ჩემს მშობლიურ მარტვილს მივაშურე. იქაურ რაიკომის მდივანს მივაკითხე და ვთხოვე, ორიოდე გოჯი მიწა გამოეყო ჩემთვის. იმედი მქონდა, კეთილი ხალხის დახმარებით პატარა სახლს ჩავდგამდი, იქ ვიცხოვრებდი და იქვე დავიმარხებოდი. არ გამართლდა ჩემი მოლოდინი. მალე ქუთაისიდან ჩამოვიდა ორგანოს ორი თანამშრომელი და „ძალზე თავაზიანად“ გამომისტუმრეს უკან, რუსეთში. მას შემდეგ აქა ვარ და საქართველოს ნატვრაში ამომდის სული.

თვალყურს ვადევნებ ყველაფერს, რაც საქართელოში ხდება. ღმერთმა ხელის მოუმართოს ყველას, ვინც თავისი სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძოლებს. ადამიანი მხოლოდ თავისი სამშობლოსთვის უნდა ზრუნავდეს. სხვა ერი არასოდეს დაგიფასებს სამსახურს. ავიღოთ, თუნდაც სტალინი, ორჯონიკიძე, ჩხეიძე, წერეთელი, გეგეჭკორი, ბერია და ბევრი სხვა. იმათ მართლაც სწამდათ, რომ იბრძოდნენ რაღაც დიადი მიზნისთვის, კაცობრიობისთვის. რა გამოვიდა მერე აქედან? — თავის ერს, სამშობლოს ვერცერთი ვერ გამოადგა, იმ მეორე ერმა კი არ მიიღო მათი სამსახური. ეს ხალხი უსამშობლოდ გადაეგო. ასე მოუვა ყველას, ვინც თავისი ერის ინტერესებს სხვას ანაცვალებს. ეს უნდა გაითვალისწინონ ახლანდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც...

თუ არ დამზარდებით, ერთ პატარა ბარათს გაგატანთ ჩემს ახლობლებთან თბილისში.

„ჩემო თამარ, ვარ ცოცხალი, მაგრამ, ვაი, ასეთ სიცოცხლეს. უკვე 90 წელს მიახლოებული, ვარ ჩავარდნილი ლოგინში და დაუხმარებლად ჩემს ოთახშიც ვერ დავდივარ. მაინც მესმის, რომ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელია მხოლოდ ჩემი სიყვარული საქართველოსადმი და ყველა თქვენდამი. იყავით სულ კარგად და ბედნიერად. ნინო გეგეჭკორი. 9. VII. 90.“

ქალბატონმა ნინომ სიტყვა „უცვლელია“ დიდი ასოებით დაწერა და ქვეშ ორი სქელი ხაზი გაუსვა **(„7 დღის“ ინფორმაცია).**

იმედია, წაიკითხეთ. ალბათ, კითხვა გაგიჩნდათ, — ვიზიარებ თუ არა მე, ამ მონოლოგის ავტორი, ნინო გეგეჭკორის ზოგიერთ მოსაზრებას იოსებ სტალინის ან ლავრენტი ბერიას შესახებ? — არ ვიზიარებ, მაგრამ ამას არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა. მკითხველისთვის მთავარია, რას ფიქრობს მეუღლე იმ ადამი-

ანისა, ვისი მთელი ცხოვრება, მოღვაწეობა და სიკვდილი იდუმალების ბურუსითაა მოცული (სამწუხაროდ, ძლიერ მეეჭვება, რომ ეს ბურუსი ოდესმე გაიფანტოს).

ლეგენდადაა ქცეული თვით ნინო გეგეჭკორის ცხოვრებისა და, რაც მთავარია, მისი სილამაზის ამბავი. 1990 წლის ზაფხულს კიევში მე ვნახე სიბერისგან ჯანგატეხილი, დამჭკნარი და მაინც მომხიბლავი მოხუცი ქალბატონი. მაშინ უკვე შეუძლებელი იყო ოდესღაც თავზარდამცემი სილამაზის ქალის წარმოდგენა. იმ ქალისა, რომელიც იყო ლავრენტი ბერიას ცოლი და თხუთმეტი წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ მაინც საკუთარ ოჯახში მასპინძლობდა კაცობრიობის ისტორიაში არსებულ ყველაზე დიდ ტირანს.

შთაბეჭდილების შესაქმნელად ვერც ოჯახურ არქივში შემთხვევით შემორჩენილი ძველი ფოტოები ივარგებს. მე ვარ ერთადერთი, ვინც თავად მოხუცი დეიდა ნინოსგან იცის, რატომ არ უნდოდა მოხუც დეიდა ნინოს არცერთ მამაკაცთან შეხვედრა — არ მინდა, ვინმემ ასეთი მნახოსო!

გაზეთ „7 დღეში“ გამოქვეყნებული ეს მონოლოგი თითქმის მაშინვე გადაბეჭდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის გაზეთებმა, თვით „Совершенно секретно“-მაც კი (დაახლოებით ერთი თვის შემდეგ რამდენიმე ევროპულმა გაზეთმა). ცოტა მოგვიანებით, თითქმის უცვლელად დაიბეჭდა მოსკოვში გამოცემულ წიგნში „Кремлевские жены“. მოკლედ, უცნობ გაზეთში (ეს იყო „7 დღის“ პირველი ნომერი) გამოქვეყნებულ ნინო გეგეჭკორის მონოლოგს კომუნისტური წყობისთვის აბსოლუტურად უცხო აჟიოტაჟი, გრანდიოზული გამოხმაურება და, რა თქმა უნდა, სპეცსამსახურების დაინტერესებაც მოჰყვა.

ძალიან მინდა ცოტა კიდევ წავიტრაბახო, მაგრამ აჟიოტაჟი გამოიწვია არა ჩემმა ჟურნალისტურმა ნაღვაწმა, არამედ თვით ნინო გეგეჭკორის პიროვნებამ და ლავრენტი ბერიას ოჯახისადმი საზოგადოების უზარმაზარმა ინტერესმა. ჩემი, ჟურნალისტის დამსახურება ის გახლავთ, რომ მოვახერხე იმ იდუმალ ქალბატონთან შეხვედრა, ვისაც არც ჩემამდე და არც ჩემს შემდეგ მსოფლიოს არცერთი ჟურნალისტი არ შეხვედრია (ნინო გეგეჭკორი ჩვენი შეხვედრიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ კიევში გარდაიცვალა. მისი ფერფლი დაკრძალულია თბილისში, „ზღვის სასაფლაოზე“).

სამწუხაროა, მაგრამ თქვენ თვით ჰამლეტის ან მეფე ლირის საკადრისი მონოლოგებიც რომ დაწეროთ, იქნებ საზოგადოების ყურადღება მაინც ვერ მიიპყროთ, თუკი იმ გენიალური მონოლოგის მთქმელი ესტრადის უცნობი ვარსკვლავი ან ადგილობრივი მნიშვნელობის „სახელგანთქმული“ პოლიტიკოსი იქნება.

მოკლედ, კარგი მონოლოგისთვის საჭიროა დახვეწილი ჟურნალისტური ტექნიკაც და რესპონდენტის ავტორიტეტიც. ვგულისხმობ, ობიექტურად არსებულ ავტორიტეტს და არა პრეზიდენტის (თუნდაც, აშშ-სა) ბრძანებით შეთხზულს.

მონოლოგის შექმნის თვით პროცესი ფაქიზი და მაცდური რამეა. როგორც წესი, ძალზე საინტერესო რესპონდენტთა (თუნდაც გენიალურთა) უდიდესი უმრავლესობა გაუგებრად საუბრობს, არ იცავს ქრონოლოგიას, გადადის ერთი ამბიდან მეორეზე, აჭიანურებს ერთ ან კვეცავს მეორე ამბავს. ზოგჯერ მისი ხატოვანი ნაამბობით აღფრთოვანებული რჩებით, ხოლო როცა საქმე დაწერაზე მიდგება, ორიოდე ბანალური ანეკდოტის გარდა ხელთ არაფერი აღმოგაჩნდებათ.

ნინო გეგეჭკორს თუ დავუბრუნდებით, ეს მონოლოგი რომ დამეწერა, ჩვენ ზუსტად შვიდი დღის განმავლობაში ვსაუბრობდით.

სხვათა შორის, მისთვის არ მითქვამს, რომ ჟურნალისტი ვიყავი და რაიმეს დაწერას ვაპირებდი. მასთან მივედი, როგორც ნათესავი — დის შვილიშვილი. ბუნებრივია, არც კალმით, არც დიქტოფონით, არც ვიდეოთი არაფერი ჩამიწერია. ინტერვიუს დაწერა და გამოქვეყნება გადამაწყვეტინა მისმა ერთმა ფრაზამ: „მე ერთადერთ ქართველ ჟურნალისტს მივცემდი ინტერვიუს. აი, იმას, გაზეთ „თბილისში“ რომ მუშაობს“.

დეიდა ნინოს მაშინ არც უფიქრია, რომ მასთან მისული ნათესავი იყო სწორედ ის ჟურნალისტი, ვისაც იგი გაზეთ „თბილისიდან“ იცნობდა.

დეიდა ნინოს მასალის გამოქვეყნების შემდეგ საყვედური არ უთქვამს. პირიქით, კიევიდან დიდი მადლობა და ჩემი პატარა ქალიშვილისთვის სუვენირი გამომიგზავნა — მას ხომ ისედაც სურდა ჟურნალისტ ქორიძესთან შეხვედრა!

რაც მთავარია, თუ გსურთ, მკითხველმა დაიჯეროს, რომ ეს მონოლოგი მართლაც იმას ეკუთვნის, ვისაც თქვენ „აბრალებთ“, უნდა როგორმე შეინარჩუნოთ მთხრობელის სტილი.

დიალოგი

როგორც მიხვდით, ეს ტერმინიც ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს საუბარს ორი ან მეტი პირის მონაწილეობით. ასე ეძახიან საუბრის ფორმით დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებსაც. უძველესი დროიდან, ამ ფორმით იწერებოდა სამეცნიერო, კერძოდ, ფილოსოფიური ნაშრომები. ამგვარი დიალოგის ბრწყინვალე და უკვდავი ნიმუშები შექმნა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა (427-347 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

დიდი გერმანელი პოეტისა და მოაზროვნის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედების ბევრი ნიუანსი, მისი დაკვირვებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე კაცობრიობისთვის სამარადისოდ საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა იოჰან პეტერ ეკერმანი. იგი მთელი ათი წლის განმავლობაში, 1823 წლიდან მეფეპოეტის გარდაცვალებამდე, იყო გოეთეს მდივანი, უახლოეის* მეგობარი და მესაიდუმლე. ამ ხნის განმავლობაში მან გერმანული სიზუსტითა და გულმოდგინებით ჩაიწერა მისი საუბრები ბუმბერაზ მოაზროვნესთან.

ახალგაზრდა ეკერმანი განგების ძალით გოეთეს რომ არ შეხვედროდა, გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ალბათ მაინც იპოვიდა ადგილს, როგორც XIX საუკუნის ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტი და უსპეტაკესი ადამიანი. მაგრამ ყველა მისი ლიტერატურული ნაშრომი დაჩრდილა „გოეთეს საუბრებმა ეკერმანთან“.

სანამ „თქვენს“ ჟურნალისტურ ჟანრად დიალოგს აირჩევდეთ, გაითვალისწინეთ, რომ პლატონი სოკრატესთან საუბრობს, ხოლო ეკერმანი — გოეთესთან. მთელი კაცობრიობის ფილოსოფიური აზრი კი ამ ორი მწვერვალის დონემდე ჯერაც ვერ ამაღლებულა.

ხატოვნად რომ ვთქვათ, სოკრატე პლატონში არსებობს. ეს თავმდაბალი პლატონი გვამცნობს, სოკრატე ასე აზროვნებდა და მსჯელობდაო. სინამდვილეში, დღესაც არავინ იცის, სად მთავრდება სოკრატე და სად იწყება პლატონი. ამიტომ ამ გენიალური მოაზროვნისა და მთხრობელის მაგალითი ჟურნალისტთა თანამედროვე თაობას, ალბათ, ფილოსოფიის ლაბირინთებში სახეტიალოდ და წერის კულტურის შესასწავლად თუ გამოადგება.

სხვა საქმეა უაღრესად პუნქტუალური ეკერმანი, რომელიც

პედანტური სიზუსტით გადმოგვცემს მის ხანგრძლივ საუბრებს მოხუც ვაიმარელ ბრძენთან. თავად მუდამ ჩრდილში დგას, საკუთარი ცოდნისა და ნიჭის დემონსტრაციას ერიდება. სამაგიეროდ, ვირტუოზულად გადმოგვცემს დიდი მასწავლებლის აზრებს, რომელთა ხშირ-ხშირად გაცნობა ბევრზე ბევრ ჩვენს თანამედროვესაც დიდად წაადგებოდა:

„სუფრასთან სადილზე მანდილოსნები ერთი ახალგაზრდა კაცის პორტრეტს აქებდნენ. „განსაცვიფრებელი კი ისაა, — დასძენდნენ, — რომ თვითნასწავლია.“ ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ხელებზე, რომლებიც არასწორად და ხელოვნებისთვის ცოტა შეუსაბამოდ ჰქონდა გამოყვანილი.

— ჩანს, — თქვა გოეთემ, — ახალგაზრდა კაცი ნიჭიერია, მაგრამ ყველაფერი რომ თვითონ ისწავლა, ამისთვის მისი გაკიცხვა გვმართებს და არა შექება. ნიჭი იმისთვის კი არ იბადება, რომ მხოლოდ საკუთარ თავს მიენდოს, არამედ იმისთვის, რომ ხელოვნებას და კარგ ოსტატებს მიებაროს...“ („გოეთეს საუბრები ეკერმანთან“, აკაკი გელოვანის თარგმანი).

ერთია, რომ ეს სიტყვები მოხუცმა გოეთემ თქვა, მეორე და არანაკლებ დასაფასებელია, რომ ეს სიტყვები ახალგაზრდა (მაშინ 34 წლისა იყო) ეკერმანმა გაიგო და შთამომავლობას შეუნახა.

ჟურნალისტი, შესაძლოა, თავად იყოს დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე, ან, უბრალოდ, „სტენოგრაფისტის“ როლს დასჯერდეს. ერთიც რთულია და მეორეც, მაგრამ თუ ჩემს გამოცდილებას ენდობით, „სტენოგრაფისტობას“ გირჩევთ — ასეთ შემთხვევაში, მინიმუმამდე მცირდება თქვენი მხრიდან საბედისწერო შეცდომის ალბათობა.

ყოვლისმცოდნეობის სინდრომი რომ ძალიან ვერაგი დაავადებაა, ეს, რასაკვირველია, იცით, მაგრამ მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და აღარასოდეს დავივიწყოთ. საქმე ის არის, რომ პროფესიის თავისებურებებიდან გამომდინარე, ჟურნალისტს ხშირად საკუთარ შესაძლებლობებზე ცოტა გადაჭარბებული შთაბეჭდილება ექმნება და ზედმეტი თავდაჯერებით გამოთქვამს თავის „კომპეტენტურ“ მოსაზრებებს ურთულეს მეცნიერულ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე. ბუნებრივია, სასაცილო ვითარებაშიც აღმოჩნდება-ხოლმე. ასეთი რამ განსაკუთრებით ტელეჟურნალისტებს ემუქრება.

დიალოგი, როგორც წესი, არ არის ინტერვიუს ტიპის კითხვა-პასუხი — ეს არის ორი ან მეტი ადამიანის დარბაისლური მსჯ-

ელობა საინტერესო პრობლემაზე. დიალოგის დროს ჟურნალისტის მთავარი მიზანი არ არის ჟურნალისტური ფანდებისა და ილეთების გამოყენება თანამოსაუბრის დასაბნევად, „კუთხეში მისმწყვდევად“ ან მკითხველ-მსმენელთა მოსაღორებლად. დიალოგის მონაწილეები ცდილობენ ერთგვარად შეავსონ ერთმანეთი და მკითხველებთან, საოქმო-კაზიონური ჟარგონი რომ მოვიშველიო, შეჯერებული აზრი ერთობლივად მიიტანონ.

დიალოგი არც პოლემიკაა, როცა ერთი მხარე ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცოს ოპონენტს — დიალოგის დროს მაგიდასთან თანამოაზრეები სხედან.

ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, არ არის დიალოგის პასიური მაყურებელი. იგი, უმრავლეს შემთხვევაში, თავად წარმართავს საუბარს, რადგან ათიდან რვა შემთხვევაში მაინც, არის საშიშროება რომ მწვავე საბიუჯეტო საკითხზე დაწყებული საუბარი არასრულწლოვანი მეძავების პრობლემათა განხილვით დამთავრდეს.

ჟურნალისტის ხელოვნება ყველაზე მეტად მაშინ ჩანს, როცა დიალოგში ჟურნალისტის აღმოჩენა ჭირს.

თუ არ დაგეზარებათ, წაიკითხეთ „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ და თქვენთვის ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა. ოღონდ, ნუ წარმოიდგენთ, რომ ის, რაც შეეძლო იოჰან პეტერ ეკერმანს, ყველა ჩვენგანს შეუძლია. სამაგიეროდ, ბევრ ჩვენთაგან შეუძლია ის, რაც არ შეეძლო ეკერმანს — ხაჭაპურის გამოცხობა.

თუმცა, დღემდე აქტუალურია ბრძნული აფორიზმი — სწავლა სიბერემდეო. ადამიანი კი, თუ მოიწადინებს, დიალოგების წერის საიდუმლოებასაც ამოხსნის და ხაჭაპურის ცხობისაც.

პოლემიკა

ერთსადაიმავე ფაქტსა და მოვლენას, თვით ერთსადაიმავე საგანსაც კი სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს და, ბუნებრივია, თავისებურად აფასებს კიდეც. აღქმისა და შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ტრადიცია, აღზრდა, სოციალური გარემო, გემოვნება, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი (ვთქვათ, იმ მომენტისთვის არსებული მოდა), გუნება-განწყობილება, ადამიანის გონებრივი მდგომარეობა. ზოგი რამ, იქნებ, გამომრჩა კიდეც, მაგრამ ძირითადი მსაზღვრელები სწორედ ესაა.

კიდევ კარგი, ადამიანი (და, საერთოდ, სამყარო) ღმერთმა ასე უსაზღვროდ მრავალფეროვანი შექმნა, თორემ, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ჩინელი, მონღოლი, რუსი, არაბი, ინდიელი, ესპანელი, ებრაელი და ქართველი ერთნაირად რომ აღიქვამდეს და ერთნაირად აფასებდეს კიდეც სილამაზეს — მოსწონდეს გრძელცხვირა ქალი და თვალუწვდენელი ტრამალები!

თუ მე ჭიუხებში გავიზარდე, ნისლმოხვეული მწვერვალების დაპყრობის ჟინი მწვავს და დედამიწისთვის მაღლიდან დახედვის ხიბლით დავმთვრალვარ, კავკასიის მთებთან ტირიფონას ველის უპირატესობაში ვერავინ დამარწმუნებს.

ჩემთვის ყველაზე ლამაზი და მოხერხებული სამოსი ხევსურული ტალავარია, უგემრიელესი კერძი — ჯიხვის მწვადი, საუკეთესო სასმელი — ჟიპიტაური, საუკეთესო იარაღი — შაშხანა, საუკეთესო პოეზია — კაფია, საუკეთესო ბინა — ბანიანი სახლი, ულამაზესი ქალი — ალხასტაიძის გოგო იამზე.

არაბი ბედუინი გულისსწორს ასე უხსნის სიყვარულს:

„ჩემი ძმა რომ აქლემი ყოფილიყო, იმას გავყიდდი, რათა შენ შემეძინე“. თვალუწვდენელი ვარვარა უდაბნოს მკვიდრისთვის აქლემი ყველაფერია — ტრანსპორტი, ტანსაცმელი, საჭმელი, სასმელი, დამხმარე, მეგობარი...

ბედუინებმა აქლემებს უამრავი მომხიბლავი ლეგენდა და პოეზიის მთელი დარგი უძღვნეს — გულწრფელად უმღერეს მის მამაც გულს და მომხიბლავ ტუჩ-კბილს. ევროპელები კი გალიებში გამომწყვდეული ამ კუზიანი ცხოველების სიმახინჯით ერთობიან.

ბედუინს ვერასოდეს ვერავინ დაარწმუნებს აქლემის სიმახინჯეში, ისევე, როგორც ევროპელს — მის სიტურფეში.

ასე რომ, ამქვეყნად ყველაფერი საკამათოა, — აქლემის სილამაზიდან და ესტრადის ვარსკვლავის ჩაცმულობიდან დაწყებული, არისტოტელეს ფილოსოფიითა და ქართული საქადასახადო კოდექსით დამთავრებული.

პოლემიკა (კამათი, პაექრობა, დისკუსია) იმართება ბაზრებში, „ბირჟებზე“, მიტინგებზე, მეგობრულ თავყრილობებზე, ოფიციალურ შეხვედრებზე, ოჯახურ წრეში, მაგრამ ეს ყველაფერი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენისთვის აუცილებელია ამ კამათის საჯაროობა — მისი გადატანა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ასეც ხდება. თანამედროვე

მედიასივრცე წარმოუდგენელია პოლემიკური ჟანრის გარეშე და, ბუნებრივია, მასში უაქტიურეს მონაწილეობას იღებენ ჟურნალისტები. ეს ნაირ-ნაირი „მრგვალი მაგიდები“, თოქ-შოუები, განხილვები და დებატები, საბოლოოდ, პოლემიკაა. ძალიან ხშირად, ჟურნალისტები საკამათოს გამოძებნას იქაც კი ცდილობენ, სადაც ის, წესით, არ უნდა იყოს. მაგალითად, XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანის დასაწყისში საქართველოში სერიოზული კამათი მიდიოდა იმის შესახებ, უნდა ჰქონოდა თუ არა რაიმე უპირატესი უფლებები ეთნიკურ ქართველებს ქვეყნის არაქართული წარმოშობის მოქალაქეებთან შედარებით. თქვენ, ალბათ, ახლა გეღიმებათ, მაგრამ მაშინ ეს იყო უმწვავესი პრობლემა და კამათიც, შესაბამისად, — ძალიან მწვავე და მტკივნეული.

მეცნიერული პოლემიკა. ეს გახლავთ პოლემიკის ყველაზე „მშვიდი“ სახეობა — მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ჩახედული სპეციალისტების მიერ პრობლემის შედარებით მშვიდობიანი განსჯა. ავიღოთ, თუნდაც, რუსთველოლოგიის პრობლემები. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ 800 წლის წინათ დაიწერა, უამრავჯერ გამოიცა, უამრავ ენაზე ითარგმნა, უამრავმა მეცნიერმა უამრავი კომენტარი უძღვნა, მაგრამ კამათი პოემის ზოგიერთი სტროფის, სტრიქონის, სიტყვის, ავტორის მსოფლმხედველობის თაობაზე დღემდე მიმდინარეობს და, ვეჭვობ, ოდესმე დასრულდეს.

ასეთივე და კიდევ უფრო რთული ვითარებაა ბიბლიის, ყურანის, სხვა წმინდა წიგნების და ბევრი გამოჩენილი მწერლისა თუ მეცნიერის შემოქმედებასთან დაკავშირებით.

თავიდან ვთქვი, მეცნიერული პოლემიკა, ზოგადად, პოლემიკის ყველაზე მშვიდობიანი სახეობა არის-მეთქი. თუმცა, დროდადრო მშვიდობიანობა ირღვევა და სერიოზული განსჯა ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზრდება. განსაკუთრებით, როცა კამათში მეცნიერებას მიტმასნილი ამბიციური დილეტანტები და, საერთოდ, უბირი ადამიანები ერევიან.

არსებობს ჩვენს გონებაში მტკიცედ ფესვგადგმული მითი, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება. ეს, შესაძლოა, მართლაც ასე იყოს, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუბარი ზუსტ მეცნიერებებს შეეხება და ნათქვამის ექსპერიმენტულად დამტკიცება შეიძლება. ბოლოსდაბოლოს, თუ ერთი ამბობს, რომ „დირიხლეს თეორემის“ ამოხსნა შეუძლებელია, მეორე ამ თეო-

რემის ამოხსნით საპირისპიროს დაამტკიცებს და ოპონენტსაც სათქმელი აღარაფერი დარჩება.

მაგრამ რუსთველოლოგიაში, ფილოსოფიის რომელიმე მიმდინარეობაში, პედაგოგიკაში ან ლიტერატურის კრიტიკაში ერთმნიშვნელოვანი შედეგების მიღება პრაქტიკულად გამირიცხულია. კამათი, შესაძლოა, დინჯად, აკადემიურად და ჯენტლმენური მანერების დაცვით მიმდინარეობდეს, მაგრამ... უსასრულოდ — ერთი მხარე მეორეს ვერასოდეს დაარწმუნებს საკუთარი არგუმენტების ჭეშმარიტებაში. ეს კარგია, ვინაიდან აზრთა ჭიდილი არის მეცნიერული აზრის წინსვლის გარანტია.

თანაც, წუთით წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა მოკამათე ყველა საკითხზე შეთანხმდა და დედამიწაზე საკამათო და საპაექრო აღარაფერი დარჩა!

მეორე დღეს, ალბათ, კაცობრიობის ისტორია დასრულდება.

მეცნიერული კამათი, ძირითადად, სამეცნიერო გამოცემებში მიმდინარეობს და პრესასა და ტელევიზიაში შედარებით იშვიათად გადაინაცვლებს ხოლმე. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებს ამგვარ პოლემიკაში მეტნაკლებად პასიური როლი აქვთ და უფრო ხშირად, უბრალო წამყვანის, უკეთეს შემთხვევაში — მედიატორის მოვალეობას ასრულებენ. მაგრამ ეს მოვალეობა რომ შეასრულო, კამათის საგანს ზოგადად მაინც უნდა იცნობდე. ეს კი არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ წამყვანის, თუ მედიატორის როლს ასეთ შემთხვევაბში დარგის სპეციალისტები, ანუ არაჟურნალისტები ასრულებენ.

პოლემიკა კონკრეტული ფაქტის, ან მოვლენის გამო. ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში, მრავალ კამათში მიმიღია მონაწილეობა. ძირითადად, ეს იყო სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ, ქონებრივ თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ, რომელიმე მძაფრი პაექრობიდან გამარჯვებული გამოვსულვარ-მეთქი. კიდევ ერთხელ დავიმოწმებ დეილ კარნეგის: „ათიდან ცხრა შემთხვევაში, მოკამათე კიდევ უფრო რწმუნდება საკუთარი მოსაზრებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში“.

ვიდრე ეს არ ვიცოდი, საკმაოდ მტკივნეულად განვიცდიდი ოპონენტების მხრიდან ჩემი მოსაზრებების ყოვლად უარგუმენტოდ გაუზიარებლობას და ხშირად — სრულ უგულებელყოფასაც.

საბოლოოდ, მივხვდი, რომ პოლემიკის მიზანი არ არის ოპონენტის გადარწმუნება ან მისთვის სხვა მოსაზრების თავს მოხვევა. საჯარო პოლემიკა განკუთვნილია მსმენელებისა და მკითხველების გადასაბირებლად. აქედან გამომდინარე, ღრმად არგუმენტირებული ფილოსოფიური მსჯელობა ნებისმიერ პრობლემაზე საზოგადოების დიდ ნაწილს აღიზიანებს. მას ურჩევნია მარტივი და სწორხაზოვანი დემაგოგია, მაგალითად, ასეთი: „საქართველოში რომ სოციალური სიდუხჭირე მძვინვარებს, ამაში მთავარი დამნაშავეები სახელმწიფო ხაზინის, ანუ თქვენი ქონების ქურდობით გამდიდრებულ-გაზულუქებული ჩინოვნიკები ბრძანდებიან. ამიტომ ჩვენ (ხელისუფლება) მათ ჩამოვართმევთ ნაქურდალ ქონებას და დაგირიგებთ თქვენ. ოღონდ, არჩევნებში მხარი უნდა დაგვიჭიროთ“.

ბუნებრივია, ეს „მხარდაჭერა“ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციური ნორმების სისტემატურ და უხეშ დარღვევებზე თვალის დახუჭვას, საბოლოოდ, ქვეყანაში ტოტალური სამართლებრივი ნიჰილიზმის დამკვიდრებას ნიშნავს. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობისთვის ამის ახსნა ძალიან რთულია — არ მოგისმენენ, რადგან მას ხელისუფლება მხარდაჭერის სანაცვლოდ, „ვიღაც წურბელასთვის“ ჩამორთმეულ ქონებას დაჰპირდა. თანაც — ხვალვე.

პროლეტარული პირდაპირობით დაპირებულის შესრულება რომ შეუძლებელია, საზოგადოების დიდი ნაწილი ამაზე არც ფიქრობს. მისთვის მთავარია თვით დაპირების ფაქტი.

ისიც ვიკითხოთ, ვალდებულია თუ არა საზოგადოების მეორე (უმცირესი) ნაწილი ებრძოლოს ამგვარ უხამს დემაგოგიას — უნდა ებრძოლოს, რადგან, საბოლოოდ, მუდამ საღი აზრი იმარჯვებს. მხარს

ბუნებრივია, ჟურნალისტების ნაწილი ერთ მხარესაა, ნაწილი — მეორეს. ეს ან არაკომპეტენტურობის ბრალია, ან სოციალური მდგომარეობის, ან არსებული პოლიტიკური კონიუნქტურისა — პრესაც ხომ საზოგადოების ღვიძლი შვილია.

ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ.

90-იანი წლების დასაწყისიდანვე საქართველოში გაჩნდა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შემოღების აუცილებლობა. უფრო ზუსტად, დაიწყო კამათი, გამოგვეგონებინა ახალი, თუ აღგვედგინა ძველი, ისტორიული გორგასლიან-დავითიანი დროშა და ბაგრატოვანთა სამეფო გერბი. პოლემიკაში აქტიურად

ვმონაწილეობდი მეც — მხარს ვუჭერდი ისტორიული სახელმწიფო სიმბოლიკის აღდგენას.

რომელიმე მოსაზრებისთვის მხარი რომ დამეჭირა, ზოგადად, ჰერალდიკის და, კერძოდ, ქართული ისტორიული სიმბოლიკის შესწავლა გახდა აუცილებელი. ვერ ვიტყვი, მეცნიერების ამ დარგში ექსპერტად გამოვდგები-მეთქი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცოდნა ნამდვილად შევიძინე.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენთან (რა თქმა უნდა, ისტორიული სიმბოლიკის აღდგენის მომხრე ბევრი იყო) მოპაექრეთა უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა ამ საინტერესო მეცნიერებაზე, ან არ სცნობდა მას. ამიტომ ისინი გამოდიოდნენ ლოზუნგური მოსაზრებებით — შავი ქართული მიწის ფერია, ლურჯი — ქართული ზეცისა, წითელი — ქართული ღვინისა და სხვა ამგვარი აბდაუბდა. იშველიებდნენ არგუმენტს, რომ საქართველოს დროშაზე გამოსახული ჯვარი გააღიზიანებდა საქართველოს არაქრისტიან მოსახლეობას და ჩვენს მეზობელ ისლამურ ქვეყნებს; რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის, გალების, ბურგუნდების, ოსტგოთებისა თუ ირანის წინააღმდეგ დამანგრეველ ლაშქრობებს სწორედ ხუთჯვრიანი დროშით ახორციელებდა ჰუნების სახელგანთქმული (მას მოიხსენიებდნენ, როგორც სისხლისმსმელსა და კაციჭამიას) ბელადი ატილა; რომ ბაგრატოვანთა სამეფო გერბი იყო მხოლოდ ბაგრატოვანთა (სამეფო ოჯახის) საკუთრება და მისი სახელმწიფო გერბად აღიარება არ შეიძლებოდა; რომ ახალი გარემოებების წარმოშობის გამო (საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობა), გერბსა და დროშაზე უნდა ასახულიყო საქართველოს უძველესი ისტორიაც და თანამედროვეობაც...

კამათი თითქმის ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საოცარია, მაგრამ ისტორიული სიმბოლიკის აღდგენის თავგამოდებულ მოწინააღმდეგეთა შორის ბევრი იყო ტიტულოვანი მეცნიერი და მაღალჩინოსანი მოხელე.

მართალია, ისინი ცუდად იცნობდნენ ჰერალდიკის კანონებს, მაგრამ ისინი ხომ სახელგანთქმულები იყვნენ! ამიტომაც ან ქედმაღლურად პასუხობდნენ ჩემს პოლემიკურ წერილებს (ვინ ჰკითხავს ვიღაც ჟურნალისტს!), ან პასუხის გაცემას, საერთოდ, უკადრისობდნენ. სინამდვილეში, მათი ქედმაღლობისა და მოჩვენებითი სიდარბაისლის უკან ყოვლად ჩვეულებრივი უვიცობა და პარტიული სტერეოტიპებით შებოჭილობა იმალებოდა.

ცხრაწლიანი ცხარე კამათი, საბოლოოდ, „ჰერალდიკოსთა“ გამარჯვებით დამთავრდა.

თუმცა, ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მაინც ნაჩქარევად და ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული საპროცესო ნორმების უგულებელყოფით მიიღო — მას ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე მეტად, ოპონენტებზე რიტუალური გამარჯვება სჭირდებოდა*.

თუ პოლემიკაში უშუალოდ მონაწილეობთ და გრძნობთ, რომ ოპონენტების წინაშე დიდი უპირატესობა გაქვთ, ელვისებურ და სრულ გამარჯვებაზე არც იოცნებოთ. თქვენს სიმართლეს ოდესმე ისტორია დაადასტურებს. თუმცა, იმის იმედი ნუ გექნებათ, რომ მადლიერი ისტორია თავის ანალებში თქვენს სახელს ოქროს ასოებით ჩაწერს.

პოლიტიკური პოლემიკა. ამ სახეობის და ყველა დანარჩენის განსაზღვრება პირობითია. ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია გაავლო მკვეთრი ზღვარი, სად მთავრდება, მაგალითად, მეცნიერული პოლემიკა და სად იწყება პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური ან, საერთოდ, როდის გადაიზრდება სერიოზული კამათი ყოვლად უაზრო კინკლაობაში.

პოლიტიკურ პოლემიკას ერთი განმასხვავებელი ნიშანი მაინც აქვს — უპრინციპობა. გუშინ რომ ვერაფერზე ვერ თანხმდებოდნენ, დღეს ის პოლიტიკური ოპონენტები ერთ ჰანგზე არიან აწყობილი. ეს არ ნიშნავს, რომ მათ საკუთარი შეხედულებები დათმეს. ეს ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოების ზურგს უკან ერთმანეთში დროებით გარიგდნენ და კამათს პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე გააგრძელებენ. ამიტომ ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერა ძალიან სარისკოა. პირის გატეხვა, ორპირობა, მოტყუება და ფარისევლობა პოლიტიკაში ცუდ ტონად სულაც არ ითვლება — პოლიტიკოსები ხომ ჩვენთვის, უბრალო მოკვდავებისთვის იღებენ მსხვერპლს, ანუ უყოყმანოდ თმობენ პრინციპებს, იცვლიან პარტიებს, პატრონებს და მაღალ-მაღალ თანამდებობებსაც. თავსაც ძალიან იოლად იმართლებენ: არ არსებობენ მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები.

ამას ისე, განსჯისთვის მოგახსენებთ.

როგორც გითხარით, პოლიტიკური პოლემიკის დროს პოლემისტთა ერთი ნაწილი არგუმენტების მოშველიებით თავს

დიდად არ იწუხებს. სამაგიეროდ, იყენებს დემაგოგიას და ცრუ მაღალფარდოვნებას, თამაშობს იმ მომენტისთვის გაბატონებული საზოგადოებრივი აზრით, სარგებლობს საზოგადოების ერთი ნაწილის უმეცრებით, კონიუნქტურისადმი მონური მოწიწებით, ადმინისტრაციისადმი ტრადიციული შიშით და ა. შ.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, ანუ მას შემდეგ, რაც დიდ საბჭოეთს წყალი შეუდგა და მოკავშირე რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის შანსი გაუჩნდა, საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა რესპუბლიკაში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა დაიწყო.

მოდი, ახლა ამის მიზეზებზე ნუ ვისაუბრებთ, მხოლოდ ფაქტი ავღნიშნოთ — ეროვნულ მოძრაობას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის აყვავებაც მოჰყვა.

საქართველოსთვის ჯერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო.

იმ წლების საქართველოში ისეთი რევოლუციურ-შოვინისტური ეიფორია სუფევდა, რომ გონივრული აზრის გამოთქმა თითქმის შეუძლებელი იყო. მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ დიდ გასავალში იყო ლოზუნგები „საქართველო ქართველებისთვის!“ „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ქრისტიანულ საქართველოს!“ და სხვა მისთანანი. ყოვლად პატივცემული პოლიტიკოსები, მწერლები, ის ადამიანები, ვინც საკუთარ თავს ინტელიგენტებს უწოდებდნენ, სრული სერიოზულობით საუბრობდნენ საქართველოში მცხოვრებ „სტუმარ ერებზე“, ეთნიკურ ქართველთა უფლებრივ უპირატესობებზე სხვა ხალხებთან შედარებით, წმინდა სისხლის ქართველობაზე. ამას თან დაერთო სამხრეთ ოსეთში ინსპირირებული კონფლიქტი, ოსური რესპუბლიკის გამოცხადება და ეთნიკური ოსების ტოტალური დევნა თითქმის მთელ საქართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამით, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივმა კრიმინალებმა და მარადიორებმა ისარგებლეს.

სწორედ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში გამოვაქვეყნე ამ უგუნური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სტატიების სერია, რასაც ოფიციოზისა და მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი დამოუკიდებელი მასმედიის წარმომადგენელთა უმრავლესობის მხრიდან უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა.

ახლა შემოგთავაზებთ ერთ-ერთ იმდროინდელ სტატიას და მასზე რამდენიმე დამახასიათებელ გამოხმაურებას. ვიმედოვნებ, რომ ეს პოლემიკურ ოსტატობაზეც შეგიქმნით აზრს და 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზეც.

ომი უნდა დავამარცხოთ

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომისიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა განაცხადა, ეროვნულ საკითხებში ქართველების ხასიათს (შემწყნარებლობას გულისხმობდა) უნდა დავეყრდნოთო.

თუმცა, სიტყვა „შემწყნარებლობა“ ნათქვამი არ ყოფილა. ახსენეს სიტყვა „ტოლერანტობა“, რაც აგრეთვე მოთმენას, მიტევებას, შემწყნარებლობას ნიშნავს.

როცა ბატონი დეპუტატი ამას ბრძანებდა, მას, ალბათ, მართლაც სწამდა ქართველთა შემწყნარებლური ბუნებისა და მისი იმედიც ჰქონდა. ისე სწამდა და ისე დიდი იმედი ჰქონდა, რომ დაავიწყდა, ან საჭიროდ აღარ მიიჩნია ეხსენებინა სიტყვები: „კანონი“, „სამართალი“, „სახელმწიფო“...

სანამ ქართველთა ისტორიულ შემწყნარებლურ ბუნებაზე ვისაუბრებდეთ, გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, რამდენი მკვლელობა მოხდა საქართველოში მას შემდეგ, რაც ჩვენი ტოლერანტობის მტკიცება დაიწყებოდა.

იქნებ ვინმემ დათვალა, რამდენი მკვლელია დღეს საქართველოში, რამდენი ყაჩაღია, რამდენი ქურდბაცაცაა, რამდენი ნარკომანი და ნარკოტიკების გამავრცელებელია, რამდენი თაღლითი და მატყუარაა, რამდენი მექრთამეა, რამდენი კარიერისტია.

იქნებ ვინმემ ზუსტად იცის, რამდენი მძიმე დანაშაულია გაუხსნელი, რამდენი კაცია უსამართლოდ დასჯილი?

იქნებ ის იცის ვინმემ, რატომ ვერ ახერხებს სამართალდამცავი ორგანოები კარგად ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას!

იქნებ იმის დამტკიცება შეძლოს ვინმემ, რომ ის დამნაშავეები და მათი მფარველები არ არიან ქართველები, ჩვენი საზოგდოების წევრები.

ჩვენ, საზოგადოებამ, მხოლოდ ის ვიცით, რომ დამნაშავენი

ბევრნი, კატასტროფულად ბევრნი არიან; რომ უამრავი საქმეა გაუხსნელი; რომ ქუჩაში დადის უამრავი მკვლელი; ვვარაუდობთ, რომ დამნაშავეთა სამყარომ დიდი ხანია საერთო ენა გამონახა სამართალდამცავებთან; რომ ჩვენს ფეოდალურ არმიაში ბევრია ნარკომანი, ლოთი და მარადიორი; რომ დღეს ქრთამი ისეთ პატივშია, როგორც არასდროს...

და მაინც, ჯიუტად ვმსჯელობთ ქართველთა განსაკუთრებულ მოთმინებასა და შემწყნარებლობაზე.

ბატონმა დეპუტატმა ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად ბრძანა, ქართველები და აფხაზები ვერასოდეს შევრიგდებით, ომი აფხაზთა სრულ განადგურებამდე უნდა გაგრძელდესო.

თურმე განურჩევლად უნდა დავხოცოთ ყველა: ქალები, ბავშვები, მოხუცები, ტყვეები, ავადმყოფები და მერე ისევ ჩვენს ტოლერანტულ ბუნებაზე ვილაპარაკოთ.

რა თქმა უნდა, ჩემთვის გასაგებია უზომო გულისტკივილი და მრისხანება კაცისა, ვისაც ამ ომმა ბევრი რამ წაართვა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ერთადერთი არ არის, ვინც ასე ფიქრობს და ამბობს კიდეც — საზოგადოდ, ტენდენციაა ასეთი. ეს ძალზე საშიში ტენდენციაა.

როცა ფრიად ავტორიტეტული და პატივცემული ქალბატონები და ბატონები ამტკიცებენ, ჩვენ, ქართველებს არასოდეს დაგვიპყრია სხვისი ტერიტორიებიო, მგონია, რომ მათ ვარდისფერი სათვალით აქვთ წაკითხული საკუთარი სამშობლოს ისტორია. ჩვენ სხვათა მიწები არ დაგვიპყრია არა იმიტომ, რომ ასეთი სურვილი არასოდეს გაგვჩენია, არამედ იმიტომ, რომ ამის საშუალება იშვიათად გვეძლეოდა. ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო ყველაფერი, რაც, საზოგადოდ, ახასიათებდა ფეოდალურ სამყაროს: შინაომიც და შინააშლილობაც, ღალატიცა და ვერაგობაც, მოძმეთა თვალების დათხრაც და ძელზე გასმაც. გავიხსენოთ ბაღუაშ-ორბელიანები, კონსტანტინე და გიორგი ბატონიშვილები, ქართულ სამეფო-სამთავროთა გაუთავებელი შინაომები*...

...მთელი ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ ისტორიული ბედუკულმართობის გამო, რუსთაველის, საბას, გურამიშვილის, ვაჟას, ილიას ქვეყანა ვერ ეზიარა ევროპულ ცივილიზაციას. კომუნისტური რეჟიმი, თურმე, თრგუნავდა ჩვენს შუა საუკუნეების დონეზე დარჩენილ აზროვნების სტილს. დაიწყო ეროვნული მოძრაობა და დაიწყო ჩვენი ტრაგედიაც: ხოცვა-ჟლეტა, გამო-

ძალვა, მუცელღმერთობა, სხვათა დამცირება ლამის ხელობად გავიხადეთ.

„ქრისტიანულ საქართველოზე“ გაუთავებელი და დილეტანტური ლაყბობით იმდენი ვქენით, ბევრი ჩვენი გუშინდელი მოკეთე შევაშინეთ და მტრად მოვიკიდეთ. მერე ისეთი რამეებიც ვიკადრეთ, მამა-პაპათა ძვლებიც შევაწუხეთ: უდანაშაულო ადამიანების დევნა დავიწყეთ.

პირადად დავესწარი ერთ ფრიად სოლიდურ დაწესებულებაში გამართულ კრებას, სადაც იხილებოდა იქ მომუშავე ოსი ეროვნების ადამიანების საკითხი. შეკრებილები (თანამშრომლები!) სათითაოდ ასახელებდნენ „მტრებსა“ და „გამყიდველებს“ და საჯაროდ სთხოვდნენ მათ პასუხს სამაჩაბლოში ოსი „ბოევიკების“ მიერ ჩადენილი დანაშაულობებისთვის.

იმ მოძრაობის დაწყებისთანავე, რასაც ახლა „ეროვნულს“ ვუწოდებთ, მთელ საქართველოში დაიწყო არაქართველი მოქალაქეების, განსაკუთრებით, ოსების ტოტალური დევნა-შევიწროება. ჩემს კითხვაზე, ოსების თქვენი რაიონიდან განდევნით, რას მოიგებთ-მეთქი, გურჯაანის პრეფექტმა წინწალაშვილმა ცინიკურად მომიგო: „რას დავკარგავთ, რო?!“

თბილისში სულ დასტა-დასტად ითხოვდნენ სამსახურიდან ოსური წარმოშობის მუშებს; ტვინგახურებული ურა-პატრიოტები თითქმის მთელ საქართველოში სახლებიდან ერეკებოდნენ, სცემდნენ, ამცირებდნენ, ხოცავდნენ კიდეც სრულიად უდანაშაულო თანამემამულეებს. იმ ადამიანებს, ვისთანაც საუკუნეობრივი კეთილმეზობლობა, მეგობრობა, სიყვარული და სისხლით ნათესაობა აკავშირებდათ...

მსოფლიომ ვერ გაიგო ჩვენი უცოდველობა, ჩვენი სამართლიანი ბრძოლა და ლამის კაციჭამიებად შეგვრაცხა. ჩვენს წინ ჩაიკეტა მსოფლიო ცივილიზაციისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი, ჩვენთან მეგობრობა არავინ ისურვა.

...სიყრუე-სიბრმავის უგუნურმა პოლიტიკამ ქართველებისგან დააცარიელა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია... იქაური ქართველები, ძირითადად, დიდ ქალაქებში ჩასახლდნენ და უკან წასვლაზე აღარ ფიქრობენ. ეშინიათ კიდეც და, ბევრი მიზეზის გამო, აღარც სურთ უკან დაბრუნება.

თითქმის დაცარიელდა მთიანი ოსური სოფლები ბორჯომის რაიონში. მოდი, შევთავაზოთ, ვთქვათ, თბილისელ უმუშევარ,

უსახლკარო და მშიერ ქართველებს (გუშინდელ სოფლელებს) იმ დაცარიელებულ სოფლებში დასახლება, ცხვარ-ძროხისა და მამულის მოვლა.

არავინ წავა. იმიტომ არ წავა, რომ ქართველთა ერთ დიდ ნაწილს სამშობლოს მაგიერ სწორედ ის ქართული მიწა უყვარს, სწორედ იმ ქართულ მიწას ვერ შეელევა, რომელიც თბილისში ასფალტქვეშ ღრმად არის დამარხული. უფრო სწორად კი იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ხანია გადავეჩვიეთ სახელმწიფოებრივად აზროვნებას. არც არის გასაკვირი. მართალია, ხშირად ვიკვეხნით ჩვენი 25-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის გამო, მაგრამ გულში ისიც ხომ ვიცით, რომ ვიდრე რუსეთი ამ ორასიოდე წლის წინათ „მზრუნველ ხელს“ გამოგვიწვდიდა, 600 წლის განმავლობაში ერთიანი ქართული სახელმწიფო არ არსებულა. ალბათ, უსახელმწიფობის ეს 800-წლიანი ტრადიციაც არის ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი თავკერძობისა და განდაგანობისა...

თანამდებობებისა და პრივილეგიებისთვის გამართული თავაწყვეტილი დოღი, „მრგვლურ“ გამთიშველ პოლიტიკას ტაშისცემით აყოლა, ბატის ჭუჭულებივით მსგავსი ამბიციური პარტია-საზოგადოებების ნამდვილი შემოსევა, უამრავი შეიარაღებული დაჯგუფება-ფორმირების თარეში, აზრთა ჭიდილის ნაცვლად საკუთარი უცდომლობის კატეგორიული მტკიცებაც არის ჩვენი ხანგრძლივი უსახელმწიფობის ლოგიკური შედეგი.

...ის, რაც ბოლო წლებში მოხდა და რაც დღეს ხდება საქართველოში, აუცილებლად უნდა მომხდარიყო. დღეს ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობის ნამყოფს ვიმკით. ასეთი პერიოდი ჰქონდათ დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებს. გავიხსენოთ გერმანიის მაგალითი. მის ფონზე საქართველოში ატეხილი ხმაური იავნანასავით ისმის. მაგრამ ერთი რამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ: მცირერიცხოვნობის გამო ჩვენ, ქართველებმა, არ უნდა მივცეთ თავს იმის უფლება, რისი უფლებაც შეიძლება მისცეს საკუთარ თავს გერმანელმა, ფრანგმა ან რუსმა ერმა.

ნურავინ იფიქრებს, რომ გერმანელის, ფრანგის ან რუსის მსგავსად ჩვენ ოდესმე ძალით ვაჯობებთ სხვას, თუნდაც, ჩვენზე გაცილებით მცირერიცხოვანს. წავიდა ის დრო, როცა ხმალი და ძალგულოვნება წყვეტდა საკითხს. ახლა მხოლოდ ჭკუა, ნიჭი და, თუნდაც, ეშმკობა თუ გამოგვადგება. ჩვენ ჭკუაც გვაქვს, ნიჭიც,

არც მთლად მიამიტები ვართ, არც პატივმოყვარეობა გვაკლია, არც ენერგია, ოღონდ, სამწუხაროდ, არ ვიცით, როგორ გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობა.

საზოგადოდ, ჩვენ ბევრი ღირსება გვაქვს, დღევანდელ არეულობაშიც მარტო ჩვენ (ქართველებს) არ მიგვიძღვის ბრალი. ამას არც ვამტკიცებ. მე, უბრალოდ, ჩვენზე, ქართველებზე შემტკივა გული და ამიტომ ვლაპარაკობ მხოლოდ ნაკლზე.

ვიცი, ძალიან ბევრი ჩემი თანამემამულე, ჩემზე დიდი პატრიოტი და რომის პაპზედაც მეტად მორწმუნე და უცოდველი, ჰალალი გულით დამმოძღვრავს — ჩვენ ხომ ტოლერანტული ბუნებისა ვართ, რამდენი ერი შევიფარეთ, კალთა გადავაფარეთ და ძუძუ ვაწოვეთ. მერე რით გადაგვიხადეს, — ჩვენს მიწას ეპოტინებიან და სხვაგან წაღება სურთ; გვეყო, არავის არაფერს გავატანთ და საიდანაც მოსულან, იქით წავიდნენო!

საქართველო ჩვენი სამშობლოა. მხოლოდ ქართველებისა კი არა, ყველასი, ვინც აქ დაიბადა, ვისაც თავი საქართველოს შვილად მიაჩნია. ჩვენი დიდი და საამაყო კულტურა, ჩვენი დიდი და საამაყო ისტორია მხოლოდ ქართველი ეროვნების ადამიანებს არ შეუქმნიათ — იგი შექმნა ქართველმა ხალხმა, ანუ ყველამ, ვისაც საქართველოში ოდესმე უცხოვრია.

ჩვენ, ქართველებს, არ გვეკადრება საკუთარი უპირატესობის მტკიცება, მით უფრო — არგუმენტად იარაღის მოშველიება. ჩვენ სხვებს უნდა ვაჯობოთ მხოლოდ ჭკუით, ნიჭით, მოთმინებითა და... შემწყნარებლობით.

ომების დრო დიდი ხანია წავიდა. თუ საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენება გვინდა, ომი უნდა დავამარცხოთ. ბოლოს-დაბოლოს, ყველა ჩვენგანს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს ხელში ასაყვანი — საკუთარი თავი. თუ ეს არ შეგვიძლია, მაშინ ვინმე ჩვენზე ჭკვიანს უნდა დავუჯეროთ. ოღონდ, ჯერ უნდა ვაღიაროთ, რომ ის „ვინმე ჭკვიანი“ მართლაც ჩვენზე ჭკვიანია.

საქართველოში მშვიდობა არ დამყარდება, ვიდრე არ გადავწყვეტთ ავტონომიების საკითხს. ახლა დიდი შეხლა-შემოხლაა ეგრეთ წოდებული ავტონომიური წარმონაქმნების გამო — რა ეშველება სამაჩაბლოს, რა ვუყოთ აფხაზეთს, რას ვუპირებთ აჭარას?

კი, ბატონო, ავტონომიები იყო სტალინის მიერ „ჩადებული“ დაყოვნებული მოქმედების ბომბი, რომელიც სწორედ დროზე აფეთქდა. დიახ, არსებობს ოსური და აფხაზური სეპარატისტუ-

ლი ძალები (დროდადრო სომხური და აზერბაიჯანულიც წამოყოფს ხოლმე თავს) და მაინც, მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა თავისუფლება, რაც საქართველო ცნო ცივილიზებულმა მსოფლიომ და გაეროს სრულუფლებიანი წევრი გახდა, ვერავითარი ავტონომია საქართველოს მთლიანობას ვეღარ დაემუქრება. რა თქმა უნდა, აქ არ არის საუბარი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ უცხო ქვეყნის შესაძლო აგრესიაზე. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, მიუხედავად რასისა, ენისა, ეროვნებისა თუ რელიგიური კუთვნილებისა, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებებით და ეკისრებოდეს ერთნაირი პასუხისმგებლობა კანონისა და ქვეყნის წინაშე. ნებისმიერ მცირე ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რაც კულტურულ ავტონომიასთან ერთად ადმინისტრაციული სუბიექტის შექმნის შესაძლებლობასაც გულისხმობს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს (საქართველოს ფარგლებში) საფრთხე არ დაემუქრება. და ეს, ჩემი აზრით, იქნება ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება.

ახლა მივადექი ყველაზე საჩოთირო საკითხს, რომელზეც ალბათ ბევრი ფიქრობს და თქმას ვერ ბედავს: თუ ჩვენ გვინდა მყარი მშვიდობა საქართველოში, თუ გვინდა გვაღიარონ ცივილიზებულ ერად, თუ ვაღიარებთ კანონის უზენაესობას და პატივს ვცემთ ადამიანის უფლებებს, უნდა აღვადგინოთ ოსური ავტონომია საქართველოში. ნუ დავარქმევთ მას „სამხრეთ ოსეთს“, თუ ეს სახელწოდება რაღაც ცუდ მოგონებებს აღგვიძრავს. დავარქვათ მას დვალეთი, ცხინვალის ოლქი, სამაჩაბლო... რაც გნებავთ, მაგრამ ოსური ავტონომია (ოლქის სტატუსით) უნდა აღდგეს.

ვიმეორებ, ეს დამოუკიდებელი, სუვერენული, გაეროს წევრი საქართველოსთვის სულაც არ არის საშიში.

ყოველ ომს აქვს დასასრული. „სამაჩაბლოს ომიც“ უნდა დამთავრდეს. ახლა ოს-ქართველთა შერიგება მართლაც ძნელია. ოლქის სტატუსის აღდგენა იქნება ერთი დიდი ნაბიჯი ისტორიულად მოძმე ხალხების შერიგებისკენ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

მალე ამ სტატიის სრული თარგმანი გამოქვეყნდა სამხრეთ ოსეთის რუსულენოვან გაზეთში. რა თქმა უნდა, შესაბამისი სარედაქციო მინაწერით.

ვფიქრობ, ეს მინაწერი არის პატარა ჟურნალისტური ხრიკი მთლიანად სტატიის გამოსაქვეყნებლად: ამ მინაწერის გარეშე „ხუსსარ ირისთონის“ (`Южная Осетия~) რედაქცია მის გამოქვეყნებას ვერ გარისკავდა, ვინაიდან მაშინ ცხინვალში ყოველგვარი ქართულისადმი სრული უნდობლობა სუფევდა. გაზეთის რედაქციამ ამით ცხინვალელ მკითხველებს დაანახვა, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, როგორც ქართველ და ოს შოვნისტებს წარმოედგინათ. საქართველოში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ძმათამკვლელ ომს და კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარების ვერსიასაც გვთავაზობდნენ. მართალია, რედაქციას ავტორი შევარდნაძის მიგზავნილი და „სპეციალური სოციალური დაკვეთის“ შემსრულებელი ჰგონია, მაგრამ მთავარი საქმე მაინც გაკეთებულია — ოსურ გაზეთში ქვეყნდება ოსურ-ქართული ისტორიული მეგობრობის აღდგენის სურვილით ნაკარნახევი და უგუნური ქართული პოლიტიკის მძაფრი კრიტიკის შემცველი ქართველი ავტორის სტატია.

„მინაწერს“ გთავაზობთ ორიგინალის ენაზე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით:

От редакции:

Почему редакция посчитала допустимой перепечатку этой статьи?

Как мы знаем, одной из важнейших задач средств массовой информации является отображение, освещение происходящих вокруг нас событий и явлений. Своеобразным явлением, по нашему мнению, является статья Коридзе, публикуемая сегодня. В течение последних трех лет в грузинских стерствах массовой информации ничего подобного не было.

По прочтении статьи невольно приходит мысль о том, что в Грузии никто еще так сравнительно правильно и открыто не говорил о вопросах, поднятых журналистом Коридзе. Никто и не осмелился так прямо и открыто написать против грузинского нацизма, никто не посмел хотя бы немного приблизиться к правде в вопросе о далекой истории Грузии, наконец, никто из проживающих в Грузии грузин ни разу не посмел так прямо заявить об агрессии в Южной Осетии и Абхазии.

Однако это — одна сторона статьи. Она, на наш взгляд, являет-

ся не голосом запоздалого сожаления или раскаяния — она, скорее всего, признак осознания современных политических реалий, в том числе и в вопросах решения межнациональных отношений, в том числе и спорных.

Первая часть статьи является своеобразным вступлением, как бы вспомогательным рычагом убеждения второй ее части. Основная же „Формула“ статьи такова: грузины, согласитесь, что абхазцам и осетинам придется дать автономии, другого выхода нет“. И, дескать, не имеет значения, как будут называться эти автономии. Следует отметить, что в этой последней части статьи и заключается весь его интеллектуальный и эмоциональный груз, здесь „скрыта“ цель ее написания, может быть, даже по специальному социальному заказу.

Как бы прогрессивно и смело ни была написана статья журналиста Коридзе, здесь никак не скрыть вездесущего грузинского шовинизма. Возвращение Осетии статуса бывшей области приподносится словно подаяние осетинам, будучи заранее уверенным, что осетины от этого окажутся на седьмом небе от счастья. Вместе с тем, еще раз повторим, что по мнению автора, осетин и не стоит спрашивать о том, как будет называться эта их автономия.

После трех лет войны, безграничных потерь и горя осетинского народа такая позиция, будь она высказана неким журналистом Коридзе или официальной властью Грузии, оскорбительна и унизительна для нашего народа. У Южной Осетии есть избранный, выстраданный им путь — путь к свободе.

И все-таки, статья эта, по нашему мнению, недвусмысленно говорит о том, что по отношению К Южной Осетии в Грузии появились новые позиции, новые подходы.

Думается, будем недалеки от истины, если отнесем все это к проявляющимся уже открыто сходам хитроумной тактики в политике Шеварднадзе. Да, хитроумной, ибо автор сам не скрывает этого, заявляя, что миновало время силы и они, грузины, должны побеждать своих врагов умом и хитростью.

Пусть читатель рассудит, насколько правильны наши выводы. Но, может быть, они стоят того, чтобы все мы хоть немного задумались над ними:

Отдел общественно-политической жизни газеты „Хуссар Ирыстон“.

ახლა, დაპირებისამებრ, ამ თემაზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პოლემიკური წერილების სამიოდე ნიმუშს შემოგთავაზებთ მცირეოდენი შემოკლებით, ბოლოს კი ჩემს ერთ მცირე რეპლიკას ამავე თემაზე.

ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ იმ მძიმე ბრძოლაში მარტო ვიყავი და არავინ მითანაგრძნობდა. ის ფაქტი, რომ ჩემი წერილები სხვადასხვა გაზეთში ქვეყნდებოდა, თავისთავად ნიშნავდა მხარდაჭერასაც და თანაგრძნობასაც. თუმცა, ვიმეორებ, გაცილებით მეტი იყო ოპონენტი. თანაც, ძალიან აგრესიულად განწყობილი.

კიდევ ვის უნდა რესპუბლიკა?!
(ღია წერილი ჟურნალისტ თ. ქორიძეს)

....ბატონო თეიმურაზ, ლტოლვილების თავზე დაცემულ ყიჟინას განა არა სჯობდა, სრულიად საქართველოსათვის იმ მიზეზებზე გეთქვათ, რაც სინამდვილეში გვიშლის ხელს დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებაში?..

იქნებ სჯობდა, იმაზე გაგემახვილებინათ ყურადღება, რომ ტყუილადღა ვუწოდებთ „ე. წ. სამხრეთ ოსეთს“ ამ ტანჯულ მიწას, რადგან ოსებმა, რაც სურდათ, იმას მიაღწიეს — აქვთ საკუთარი სახელმწიფო, დაფინანსებას რუსეთის ფედერაციისაგან იღებენ, საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია სამხედრო დაცვის გარეშე შევიდეს ცხინვალში და იქ დაიდოს ბინა და ვიძახოთ ახლა ჩვენ „ეგრეთ წოდებული“.

თუმცა, თქვენ რა გესაყვედურებათ, როდესაც თვით პარლამენტმა დუმილით აუარა გვერდი ერთ-ერთი დეპუტატის უღიმღამო განცადებას — შიდა ქართლიც მისახედიაო.

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, ბატონო თეიმურაზ, ეს რამღა გათქმევინათ: „იქაური ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში ჩასახლდნენ და უკან წასვლაზე აღარ ფიქრობენ, ეშინიათ კიდეც და ბევრი მიზეზის გამო აღარც სურთ უკან დაბრუნება“-ო.

რაო, რაო! უიარაღო ხალხს ჩვენს შესაჭმელად დაღებულ ხახაში გვერეკებით და არც უნდა გვეშინოდეს? საიდანა ხართ ასე გულადები თქვენა და თქვენნაირები — მოსიარულეები იმ ქართულ მიწაზე, „რომელიც თბილისში, ასფალტქვეშ ღრმად არი დამარხული“?..

„უკან წასვლაზე აღარ ფიქრობენ“-ო, „აღარც სურთ უკან დაბრუნება“-ო..

გაიგეთ, ხალხნო! როგორ ამოუცვნია ჩვენი ფიქრები და სურვილები ამ „ეშმაკსა“. (ეშმაკობა კაი ხელობად მიგაჩნიათ, ბ-ნო თეიმურაზ).

სწორედაც რომ ვფიქრობთ და დიდი იმედი და სურვილიცა გვაქვს უკან დაბრუნებისა... მაგრამ არა ისეთი დაბრუნებისა, თქვენ რომ გსურთ — ოსებს ფეხებში ჩავუვარდეთ და პატიება ვთხოვოთ... ამიტომაც ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გვარდია შიდა ქართლში იმყოფებოდა, გუჯაბაური და ლიახვის მარცხენა ნაპირი რომ გაათავისუფლა, „იქაური ქართველები“ სამი ავტობუსით გორში წავიდნენ იარაღის მისაღებად და წვრთნის გასავლელად.

მერე რა?

მერე ის, რომ მესამე დღეს დაბრუნდნენ დაღონებული ბიჭები. ასე უთხრა სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულმა — სათქვენო იარაღი არა გვაქვსო.

ბატონო თეიმურაზ, იქნება გაგერკვიათ, რა მოხდა?! ერთს კი გეტყვით, სხვის ნაფიქრალში ჩაწვდომის მცდელობა ძალზედ ცუდ სამსახურს გიწევთ. არაა ეგ თქვენი ხელობა. ეშმაკისეულია ეგ საქმე, თუმცა დაგიჟინებიათ, ქართული საქმეების გასაკეთებლად ეშმაკობა თუ გამოგვადგებაო. როგორც შიდა ქართლელი ლტოლვილების ფიქრები ვერ ამოიცანით და დაგვაბრალეთ „უკან წასვლაზე აღარ ფიქრობენ“-ო. ასევე ვერ ამოიცანით იმათი ფიქრებიც, ვინც სამაჩაბლო სულმდაბლურად შეატოვა მტერს...

რაც შეეხება შემწყნარებლობას, მასზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ავლაგმავთ არძინბებს, ოზგანებს, კულუმბეგოვებს, ჩოჩიევებს და სხვა მათნაირებს.

მგლის თავზე სახარების კითხვა კი ვერაფერი პოლიტიკაა, როდესაც საქართველოს ბედ-იღბალზეა ლაპარაკი.

ბატონო თეიმურაზ! „გუშინდელ სოფლელებს“ რომ უკიჟინებთ, სამშობლო არ გიყვართო, თორემ წახვიდოდით ბორჯომის რაიონის ოსურ სოფლებში, შესახლდებოდით ოსების სახლებში (ესეც ეშმაკთან წილნაყარი კაცის აზრებია?!), ცხვარ-ძროხას გაამრავლებდითო, თანაც ასკვნით, არავინ წავაო. „იმ ქართულ მიწას ვერ შეელევა, რომელიც თბილისში, ასფალტქვეშ ღრმად არი დამარხული“-ო. სხვისი არ ვიცი, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ქორიძეები ვახტანგ გორგასლის ამალაში არა ყოფილან და თქვენ რომ წასულიყავით ბორჯომის ხეობაში, ჩასახლებულიყავით ოსის დაცარიელებულ სახლში და ცხვარ-ძროხისათვისა და მამულისათვის მოგევლოთ, მაშინ დავიჯერებდი, რომ თქვენი

ნათქვამი: „...ყველა ჩვენგანს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს ხელში ასაყვანი — საკუთარი თავი“, გულწრფელი განცხადებაა.

იმას კი ვერ დავიჯერებ, რომ თქვენი ღაღადი: „საქართველო ჩვენი სამშობლოა, მხოლოდ ქართველებისა კი არა, ყველასი, ვინც აქ დაიბადა, ვისაც თავი საქართველოს შვილად მიაჩნია“ — მთლად გააზრებული გქონდეთ.

თუ ეს ასე არ არის, მაშ გვირჩიეთ — ვისაც თავი საქართველოს შვილად არ მიაჩნია და ქართული მიწის მიტაცება საუკუნეობრივ ოცნებად აქვს გადაქცეული, იმათ როგორღა მოვექცეთ?! ხომ თქვენი სიტყვებია: — „უნდა აღვადგინოთ ოსური ოლქის სტატუსი საქართველოში. ნუ დავარქმევთ მას „სამხრეთ ოსეთს“, თუ ეს სახელწოდება რაღაც (რაღაც კი არა, ნამდვილად — ჰ.გ.) ცუდ მოგონებებს აღგვიძრავს, დავარქვათ მას დვალეთი, ცხინვალის ოლქი, სამაჩაბლო...“

ო, რა კარგი სიტყვებია! ო, როგორ გამოიცანი „დიდების“ სურვილი?!

ხომ მიაღწიეთ საწადელს და ხომ აღუდგინეთ ოსებს ავტონომიური ოლქი? აღუდგინეთ!

შე კაი დალოცვილის შვილო! ოსებს აღარ ეკითხები, ჰყოფნით თუ არა ავტონომიური ოლქის სტატუსი?!

ახალქალაქელ სომხებსა და მარნეულელ აზერბაიჯანელებს აღარ ეკითხები?! იქნებ იმათაც უნდათ ოლქი ან რესპუბლიკა?!

ის კი ძალიან საინტერესოა, თქვენ როგორ ფიქრობთ — უკანონობას შეუძლია კანონიერება დაამკვიდროს?!

ჰამლეტ გელაძე **(„საქართველოს სამრეკლოს“ ინფორმაცია).**

რაზე გვწყდება გული!

გაზეთ „დრონის“ 27 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა თეიმურაზ ქორიძის წერილი „ომი უნდა დავამარცხოთ“, რომელმაც სამაჩაბლოელთა გულისწყრომა გამოიწვია. მათი დაჟინებული თხოვნით, ვბეჭდავთ გამოხმაურებას აღნიშნულ წერილზე.

...დიახ, სამაჩაბლოში ომი დამთავრდა, დამთავრდა ისე, რომ ომიდან „ჩვენ ღირსეულად“ ვერ გამოვედით. ეს უსამართლო ომი ოსებმა მოიგეს და იცით რატომ? — „ერთი პირის ჭირიმე და ორი ხელისაო“, — ამ პრინციპით რომ მოქმედებდნენ, იმიტომ. განა ვერ ხვდება ოსეთის წამყვანი ძალა, რომ შეცდა ქართველებთ-

ან ურთიერთდამოკიდებულებაში, მაგრამ ჩვენს გასაგონად არ იტყვის ამას, ნირს არ წაუხდენს თავის ხალხს. აბა გადახედეთ მათ ოსურ და რუსულ გაზეთებს, მათ ტელევიზიას (დიახ, ტელევიზიაც აქვთ უკვე), სავსეა ქართველებისადმი ზიზღით. გაზეთი „დრონი“ კი 1992 წლის 27 ნოემბრის ნომერში ბეჭდავს თეიმურაზ ქორიძის წერილს „ომი უნდა დავამარცხოთ“, რომელიც ჩვენთვის მოულოდნელად, აი, ასე მთავრდება:

„ახლა მივადექი ყველაზე საჩოთირო საკითხს, რომელზეც, ალბათ, ბევრი ფიქრობს და თქმას ვერავინ ბედავს: თუ ჩვენ გვინდა მყარი მშვიდობა საქართველოში, თუ გვინდა გვაღიარონ ცივილიზებულ ერთად, თუ ვაღიარებთ კანონის უზენაესობას და პატივს ვცემთ ადამიანის უფლებებს, უნდა აღვადგინოთ ოლქის სტატუსი საქართველოში. ნუ დავარქმევთ მას „სამხრეთ ოსეთს“, თუ ეს სახელწოდება რაღაც ცუდ მოგონებებს აღგვიძრავს. დავარქვათ მას დვალეთი, ცხინვალის ოლქი, სამაჩაბლო... რაც გნებავთ, მაგრამ ოსური ავტონომია (ოლქის სტატუსი) უნდა აღდგეს“. — ხუმრობასაც ხომ უნდა ეშხი: სამაჩაბლო — ოსური ავტონომიური ოლქი, მაშინ, როცა მარტო წარწერა „სამაჩაბლო“ თამარაშენთან გულმოდგინედ დაცხრილეს ოსებმა.

ცოტა ადრე ავტორი აღნიშნავს: „მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა თავისუფლება, რაც საქართველო სცნო ცივილიზებულმა მსოფლიომ და გაეროს სრულუფლებიანი წევრი გახდა, ვერავითარი ავტონომია საქართველოს მთლიანობას ვერ დაემუქრება... ნებისმიერ მცირე ერს აქვს თვითორგანიზაციის უფლება, რაც კულტურულ ავტონომიასთან ერთად ადმინისტრაციული სუბიექტის შექმნის შესაძლებლობასაც გულისხმობს“. მაშ მივცეთ მწვანე გზა სომხეთის ავტონომიას, თათრეთის ავტონომიას, რუსეთის, ქურთების და ა. შ. ავტონომიებს ჯერ „საქართველოს ფარგლებში“, მერე...

მაგრამ ოსებს ქართველების ნაწყალობევი ოლქი „საქართველოს ფარგლებში“ სულაც აღარ ჭირდებათ. მათ თვითონვე გააუქმეს ოლქი და დაამტკიცეს რესპუბლიკა — დღეს უკვე სრულიად დამოუკიდებელი როგორც საქართველოსგან, ასევე რუსეთისაგან...

კმარა! ბევრ თბილისელ ჟურნალისტსაც კარგად ესმის, რაც მოხდა სამაჩაბლოში, რითაც დაიწყო ყველაფერი და რატომაც ვერ მთავრდება. და თუ არ გესმის, მაშინ შეწყვიტეთ ეს „ყოვ-

ლისმცოდნეთა“ მოღვაწეობა! როგორ შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ოლქის მიცემა „იქნება ერთი დიდი ნაბიჯი ისტორიულად მოძმე ხალხების შერიგებისკენ“ მაშინ, როცა ერთხელაც არ შეხვედრიხართ ცხინვალელ ლტოლვილებს, არ იცით მათი წარსული, აწმყო და თქვენი გადაწყვეტილებით სამუდამო ლტოლვილების განაჩენს უტანთ.

გვინდა შეგახსენოთ, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მსგავსი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩვენი პლანეტის არც ერთ ქვეყანაში ისტორიულად არ არსებულა, არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგან ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმის დარღვევა.

ოსების პრეტენზიები უსაფუძვლოა სამართლებრივადაც და ცივილიზებულ მსოფლიოში დადგენილი პრაქტიკითაც. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითაც ეროვნული თვითგამორკვევის უფლება აქვთ მხოლოდ თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს, აბორიგენებს, რომლებიც ოდესღაც დაიპყრეს. ოსები კი არავის დაუპყრია და არც აბორიგენებს მიეკუთვნებიან.

გაზეთ „დრონში“ გამოქვეყნებული წერილი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა ძლიერია ქართველი ქართველის წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში სამაჩაბლოში ოსები ვერაფერს დაგვაკლებდნენ. ისევ ჩვენმა გენმა და ჯილაგმა გაათამამა, ფრთები გაუშალა ოსებს, პარპაშის დიდი სარბიელი მისცა. თქვენ გინდათ ის შეცდომა ჩაიდინოთ, რაც ჩვენმა „დიდმა ქართველებმა“ ჩაიდინეს თავის დროზე. გეყოფათ სამაჩაბლოელების აბუჩად აგდება. ისტორიას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სიტყვა ამგვარად მოაზროვნე ქართველების მიმართ, ღმერთს ჯერ არ გამოუტანია განაჩენი. ასე რომ, წინ ბევრი რამ არის მოსალოდნელი.

ხელს აწერს 1132 სამაჩაბლოელი ლტოლვილი **(„დრონის“ ინფორმაცია).**

ამის მეტს აღარ გიტირებ...
(ღია წერილი ბატონ თ. ქორიძეს)

ბატონო თეიმურაზ, გაზეთ „დრონში“ გამოქვეყნებულ თქვენს წერილში, ჩემი მისამართით გამეტებულ სხვა „სასიამოვნო“ ფრაზებთან ერთად, არის ერთი ასეთი ქილიკნარევი წი-

ნადადებაც: ნოდარ გრიგალაშვილი მხარზე ხელს ძმაბიჭურად მითათუნებს და ატირებული პატარა ბიჭივით მამშვიდებსო.

თქვენდა გასაკვირად, უნდა გითხრათ, რომ ეს შედარება ერთობ მომეწონა...

წერილში — „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“ („საქართველო“ 47 1992 წ.) — მე მართლაც „გამოვიტირე“ თქვენი აზრი, რომლითაც „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის აღდგენის საჭიროებას ქადაგებთ.

ამასთან, პიროვნულად ურთიერთ კეთილგანწყობის მოიმედედ დავრჩი, რაც მართლაც გულუბრყვილო პატარა ბიჭივით დამემართა, რადგან უნდა მცოდნოდა, რომ ახლა ის დრო აღარ არის, როცა ჩვენი დიდი წინაპრები, მიუღებელი აზრების გამო, ერთმანეთს საკმაოდ მკვახედ ელაპარაკებოდნენ პრესაში ამტყდარი პოლემიკის ჟამს, პიროვნულ ურთიერთობებში კი კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ.

როგორც „საქართველოში“ შემოსული მასალებისა და თქვენივე ამჟამინდელი წერილიდან შევიტყვე, ჩემს გარდა თქვენი სტატიის („ომი უნდა დავამარცხოთ“) დასკვნები არ მოსწონებია ათასობით ქართველს.

ათას კაცზე მეტი ხელმოწერით საყოველთაო აღშფოთება გამოუხატავს თვით სამაჩაბლოელ ქართული ეროვნების მოსახლეობასაც.

იმ თქვენი ნააზრევით აღფრთოვანებულან მხოლოდ ოსები და გახარებულ ბანდიტებსა და ექსტრემისტებს დიდი სიამოვნებით გადუბეჭდავთ თავიანთ ანტიქართულ გაზეთში.

როცა რაღაცა შენს სისხლსა და ხორცს არ მოსწონს და, ამ დროს, მისით აღფრთოვანებულია შენი სისხლ-ხორცის მტერი, ამან უნდა დააფიქროს კაცი...

არადა, თქვენ მაინც დაჟინებით იმეორებთ — „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია აღვადგინოთო.

ეს აზრი, თქვენივე შეუდარებელი შედარებისა არ იყოს, — ატირებული პატარა ბიჭივით ერთხელ უკვე „გამოვიტირე“, მეორედაც რომ არ დავიმსახურო თქვენგან ქილიკი, იძულებული ვარ, აქ შევწყვიტო „ტირილი“ და დაგპირდეთ:

„ამის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია...“

(ნოდარ გრიგალაშვილი, „საქართველოს“ ინფორმაცია).

საით მივდივართ, ძმებო!

16-22 თებერვლის „იბერია სპექტრში“ გამოქვეყნებულია ცხინვალელი ლტოლვილის ჰამლეტ გელაძის ინფორმაცია „რა აწუხებთ სამაჩაბლოელებს“.

ავტორს ინფორმაციაში მთლიანად მოჰყავს სამაჩაბლოელთა იმ მიტინგზე მიღებული თორმეტპუნქტიანი „მოთხოვნები“. რა თქმა უნდა, თორმეტივე მიმართულია ხელისუფლებისადმი და დიდ ყურადღებასაც იმსახურებს, მაგრამ პირადად ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობა აქვს მეცხრე პუნქტს:

„მოვითხოვთ გაზეთ „დრონის“ კორესპონდენტის თეიმურაზ ქორიძის, როგორც ქართველი ხალხის და ჩვენი ქვეყნის მოღალატის, სათანადოდ დასჯას“.

სხვათა შორის, ამავე გაზეთში (რომელიც თითქმის მთლიანად ეძღვნება მის რედაქტორს, ბატონ ირაკლი გოცირიძეს) გამოქვეყნებულია „ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის“ მიერ ხელმოწერილი ულტიმატუმი ბ-ნ თემურ მირიანაშვილისადმი. ამ კოლექტიურ ნამუშევარში აშკარად არის ნათქვამი, რომ წერილის ავტორები თვითონვე გამოუტანენ განაჩენს მირიანაშვილს და თვითონვე მოიყვანენ მას სისრულეში!

საჯარო ანგარიშსწორებისკენ ამგვარი მოწოდებანი ახალი არ არის „იბერია-სპექტრისთვის“, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი გამოსვლები ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს.

კი ბატონო, ირაკლი გოცირიძეს უყვარს ყოფილი პრეზიდენტი, უნდა „მრგვალების“ რესტავრაცია, აღმერთებს საკუთარ პერსონას, გაუთავებლად ლაქლაქებს სამშობლოზე, მაგრამ, ნუთუ, ამისთვის საჭიროა თეიმურაზ ქორიძის და თემურ მირიანაშვილის სიკვდილით დასჯისკენ მოწოდება?

უწიგნურმა ბატონმა გელაძემ იქნებ არც იცის, რას ნიშნავს კაცის მოღალატედ გამოცხადება და მისი „სათანადოდ დასჯის“ მოთხოვნა, მაგრამ მრავალნაცადმა ბატონმა გოცირიძემ ხომ იცის?!

ნება მიბოძეთ, მივმართო კოლეგა-ჟურნალისტებს: საით მივდივართ, ძმებო! ნუთუ, ბოლო არ უნდა მოეღოს ამ გაუთავებელი და ყოვლად უღირსი ლანძღვა-გინების, ცილისწამების, უვიცობის და უწიგნურობის პარპაშს პრესაში? ფრთხილად ვიყოთ, ფრთხილად — ჩვენს დღევანდელ ნაწერებს მომავალი თაობები წაიკითხავენ და მერე აღარ გვიშველის გოცირიძესავით თავის

მართლება: ადრე „იმნაირი“ ვიყავი, ბატონო, მაგრამ მერე სულ მთლად გარდავიქმენი და ახლა „ამნაირი“ ვარო! **(„დრონის“ ინ-ფორმაცია).**

ძალების აშკარა შეუსაბამობის მიუხედავად, ამ პოლემიკაში „გამარჯვებულის“ გამოვლენა ვერც მაშინ და ვერც 15 წლის შემდეგ ვერ მოხერხდა. საბედნიეროდ, საქართველო იმდროინდელი ქსენოფობიური სენისგან სწრაფად განიკურნა. ანტიოსური ისტერიაც ჩაცხრა და მეამაყება, რომ ამაში ჩემი და ჩემი თანამოაზრეების წვლილიც ურევია. თუმცა, დარჩა ქართულ-ოსური პრობლემა, რომელიც მომავალში ბრძნული სახელმწიფო პოლიტიკით და ჟურნალისტების აქტიური მონაწილეობით (ცეცხლზე ნავთის დასხმას არ ვგულისხმობ) უნდა მოგვარებულიყო.

სანამ მძაფრ პოლიტიკურ პოლემიკაში გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ ჩარევას განიზრახავდეთ, გაიხსენეთ, რა მოიმკეს თქვენმა წინამორბედებმა. ხოლო გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეთ, როცა საკუთარ ძალებში და თქვენი განზრახვის ჭეშმარიტებაში დარწმუნდებით. საკუთარ ოჯახთან და ახლობლებთან მოთათბირება და... გამომშვიდობებაც არ დაგავიწყდეთ — ხომ ნახეთ, ზოგიერთ ტვინგახურებულ ურა-პატრიოტს ჟურნალისტებისთვის რა სიიოლით გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი?!

შეგახსენებთ პოლიტიკური კონიუნქტურის პარადოქსებსაც — ქსენოფობიის მანიით შეპყრობილი ყოფილი ჟურნალისტი ნოდარ გრიგალაშვილი მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის მეცნიერების, განათლების და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე და, რასაკვირველია, დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის და ტოლერანტობის მქადაგებელი!

ცარიელი პოლემიკა. მისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა უმიზნოც, უაზროც, სამარცხვინოც კი. ზოგჯერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფრიად პატივცემული გვამების მონაწილეობით იმართება ხანგრძლივი პოლემიკა... არაფრის გამო. საქართველოში, მაგალითად, მთელი ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში არ წყდებოდა დავიდარაბა იმის თაობაზე, შეიძლებოდა თუ არა ქვეყნის უძვირფასესი სამუზეუმო ექსპონატების (მათ შორის, ხატების) გამოფენა სხვა ქვეყანაში. იგულისხმებოდა ის ექსპონატები, რომელთა გატანა ფიზიკურად შესაძლებელი იყო.

მართალი გითხრათ, არ გამიგონია, ამ თემაზე რომელიმე ქვეყანაში ეკამათოთ. ყველა ცდილობს საკუთარი შედევრები გამოფინოს და ამით მსოფლიოს წინაშე თავი მოიწონოს. ჩვენთან ცხარე კამათი გაიმართა და იმ აზრის გამარჯვებით დაგვირგვინდა, რომელიც ამტკიცებდა, ძვირფასი საეკლესიო (სამუზეუმო) ნივთების გატანა არაფრით არ შეიძლება, რადგან მათ გატანასთან ერთად საქართველოს მადლი ღვთისა მოაკლდებაო(!?).

ამგვარი ლოგიკის საღ აზრთან სიახლოვე თავად განსაჯეთ, მე კი დავამატებ, რომ ამ „გამარჯვებაში“ თვისი წვლილი შეიტანეს პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, პარლამენტის წევრებმა, მეცნიერებმა და მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებმაც მრევლის ერთი ნაწილის მხურვალე მხარდაჭერით.

პოლემიკა მიმდინარეობდა საჯაროდ, პრესის და ტელევიზიის საშუალებით. ჟურნალისტურმა წრეებმა, ამ შემთხვევაში, საკითხის უაღრესი დელიკატურობის (თუ დაბნეულობის) გამო, ნეიტრალური პოზიცია აირჩია.

უარესიც მახსოვს — იგი საქართველოში რომის პაპის, იოანე-პავლე მეორის* ვიზიტს შეეხება.

როგორც კი მისმა უწმინდესობამ ღარიბ და პოლიტიკურად არეულ საქართველოში ჩამოსვლის შესახებ განაცხადა, ჩვენში ამ ვიზიტს მოულოდნელად უამრავი სასტიკი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა: თურმე მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის მეთაური თავისი პერსონის სიახლოვით შებილწავდა ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენას და სიწმინდეებს!

რომის პაპს უმოგზაურია მსოფლიოს უმრავლეს, მათ შორის, ფუნდამენტალისტურ ისლამურ ქვეყნებში, მაგრამ მას არსად წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

ჩვენმა „მორწმუნეებმა“, რომლებიც გუშინ კომუნისტი ათეისტები იყვნენ, უარი განაცხადეს რომის პაპის მიღებაზე!

შესაძლოა, ორიოდე ორთოდოქსი მორწმუნე მართლაც გულწრფელი იყო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ის დემაგოგი პოლიტიკოსები და გაპოლიტიკოსებული მღვდლები (ღმერთო, შემინდე!), გულზე მჯიღს რომ იცემდნენ, საკუთარ თავზე ზრუნავდნენ და საზოგადო არც აინტერესებდათ.

საქმე ის არის, რომ უპროფესიო „პოლიტიკოსები“, როგორც წესი, ყოველ ღონეს ხმარობენ პოლიტიკაში დასარჩენად. არა აქვს მნიშვნელობა, კარგ საქმეზე ილაქლაქებენ თუ ცუდზე, მთავარია, პრესის ყურადღება მიიქციონ. მიზანს აღწევენ კიდეც. აბა,

სცადეთ და ყურადღება არ მიაქციოთ დეპუტატს ან მღვდელმსახურს, რომელიც ასეთ მკრეხელურ გამოთქმას იხმარს — რომის პაპი სატანაა! (კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი ჭეშმარიტად მორწმუნე და საღად მოაზროვნე საზოგადოებასთან).

პოლემიკა ზოგჯერ უბრალოდ, ენის მოსაქავებლად და ყურადღების მისაქცევადაც იმართება. ამის კლასიკური ნიმუშია 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში — პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატმა ამომრჩეველთა 0,02 პროცენტი მიიღო. სამაგიეროდ, ყოველ მათგანს მიეცა სატელევიზიო დისკუსიების გამართვის საშუალება.

ერთი შეხედვით, უაზრო კამათები იმართება, ძირითადად, პირადი ან ჯგუფური გამორჩენის ან რაღაც საკითხის მასმედიით ლობირების გამო და ხშირად საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული.

ჟურნალისტებიც ხშირად ეგებიან ამ ანკესზე. ან მართლაც გულწრფელად აინტერესებთ, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის უგუნურება და უსინდისობა.

როგორც წესი, ამგვარ შოუ-პოლემიკაში ჟურნალისტები საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდებიან. გირჩევთ, თქვენც ასე მოიქცეთ.

ახლა კიდევ ერთი ძალიან მომხიბლავი ჟურნალისტური ხერხი გავიხსენოთ. ეს გახლავთ

რეპორტაჟი

თუ არ ვცდები, ჟურნალისტიკის თეორიაში ეს ხერხი „რეპორტაჟულ ჟანრებში“ მოიხსენიება. როგორც დასახელებიდანაც ხვდებით, ეს „ჟანრები“, თავის მხრივ, „ქვეჟანრებად“ იყოფა. დარწმუნებული ვარ, რომელიმე აუცილებლად გამომრჩება, მაგრამ მაინც გავრისკავ.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული **შენიშვნა** — კონკრეტული ფაქტის აღმნიშვნელი მოკლე ინფორმაცია, რომელიც აინტერესებს საზოგადოებას. ასეთ ინფორმაციებს ყოველდღე მრავლად ისმენთ რადიოთი და ტელევიზიით, კითხულობთ ინტერნეტში და გაზეთებში. ისინი მხოლოდ მაშინ არის აქტუალური და ამართლებს თავის დანიშნულებას, თუ პასუხობს კითხვებს: სად? რა? როდის? ვინ? როგორ? რატომ? და,

ბუნებრივია, შეიცავს რაღაც საინტერესო სიახლეს, მაგალითად, ასეთს:

„გუშინ, საღამოს ექვს საათზე, დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში სიტყვით გამოვიდა „ქართველ ბიზნესმენთა კავშირის“ თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც მდიდარ ინგლისელ ლორდებს შორეული და ღარიბი საქართველოს პრობლემები გააცნო. ეს არის ლორდთა პალატაში საქართველოს მოქალაქის გამოსვლის პირველი შემთხვევა“.

არავითარი დეტალიზება: გუშინ, ექვს საათზე, ლორდთა პალატაში, პატარკაციშვილი, პირველად! და მეტი არაფერი. ეს სრულებით არ აკნინებს ინფორმაციის მნიშვნელობას.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია და ხშირად აუცილებელიცაა ინფორმაციის უფრო დაწვრილებით გადმოცემა. მეტიც, მისი გამდიდრება კომპეტენტური ანალიტიკური მსჯელობით და, წარმოიდგინეთ, ინტერვიუებითაც კი. როგორც წესი, ჟურნალისტები ამ ხერხს ხშირად მიმართავენ ცხელი წერტილებიდან, სპორტული შეჯიბრებებიდან და მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეხვედრებიდან რეპორტაჟების გადაცემის დროს. მართალია, ჟურნალისტის კომენტარები და ანალიზი ზოგჯერ ნაუცბათევი, ზერელე და სასაცილოც კია, მაგრამ ძალიან დიდია ცდუნება — მე (ჟურნალისტი) ხომ მოვლენათა ეპიცენტრში ვარ, მე ხომ საკუთარი თვალით ვნახე, რა პატივით მიიღო ეკზოტიკური საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა, მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში „რკინის ლედის“ სახელით შესულმა მარგარეტ ტეტჩერმა*. ჰოდა, დიდი არაფერი დაშავდება, თუ ბურჯანაძესა და ტეტჩერს შორის არარსებულ მსგავსებას ავღნიშნავ და ამ შეხვედრის მნიშვნელობას შეძლებისდაგვარად გავბუქავ — ამას ლედი ტეტჩერი ნამდვილად არ წაიკითხავს, ქალბატონი ბურჯანაძე მადლობის გარდა არაფერს მეტყვის, ქართველ დიასახლის-პოლიტიკოსებს კი ჭორაობისთვის ახალ მასალებს მივაწვდი — გაიგე, გოგო, ჩვენს ნინოს გაუგიჟებია მთელი ინგლისი!..

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით — უმაღლესი დონის შეხვედრებზე საინტერესო ბევრი რამ ხდება, მით უფრო, საინტერესოს და ჭკუისსასწავლებელს რა გამოლევს ცხელ წერტილებში ან სპორტულ სარბიელებზე. განსჯის და კომენტარების საშუალებას ნებისმიერი მოვლენა იძლევა. ჟურნალისტმა უნდა ისარგებლოს ამით და მეტნაკლები წარმატებით, სარგებლობს კიდეც.

ოღონდ, არ უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენი შენიშვნა, მით უფრო, თუ მას კომენტარები ახლავს და ანალიზის პრეტენზიაც აქვს, კარგად უნდა იყოს გაფორმებული ვიზუალური თვალსაზრისით. რაც მთავარია, უნდა მოიშველიოთ ციფრობრივი არგუმენტაცია და პუბლიცისტური დეტალები.

ცალკე ქვეჟანრად შეიძლება გამოვყოთ **ანგარიში.** სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ანგარიში არის ევროპული ჟურნალისტიკის უძველესი ჟანრი. ძირითადად, იგი გამოიყენება პოლიტიკური (შეკრებები, შეხვედრები, ყრილობები, მიღებები, დებატები...) და სპორტული მოვლენების გასაშუქებლად. ანგარიში შეიძლება იყოს **ქრონიკალური (ანუ მოკლე), დაწვრილებითი, თემატური და ანალიტიკური (როცა ავტორი მშრალი, სტენოგრამული ინფორმაციის ნაცვლად პრობლემის ანალიზს იძლევა, მოკლედ, სტატიის ჟანრს იყენებს).**

ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: მკითხველისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის ინფორმაცია, რომელიც თქვენ, ჟურნალისტს მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად და საინტერესოდ — ყველაფერი თქვენს ოსტატობაზეა დამოკიდებული.

და მაინც, რეპორტაჟი, თავისი კლასიკური გაგებით, არ არის მხოლოდ ის, რაზეც ახლა ვისაუბრეთ. უფრო ზუსტად, რეპორტაჟი გაცილებით მეტს ნიშნავს და შემსრულებლისგანაც გაცილებით მეტს მოითხოვს. მკითხველი უნდა მიხვდეს, მკითხველმა უნდა დაინახოს, რომ ჟურნალისტი არამარტო უამბობს, არამედ განიცდის, ყველაფერი უშუალოდ მის თვალწინ, მისი მონაწილეობით ხდება...

ეს უფრო მწერლური საქმეა, რასაც ხშირად მწერლებზე უკეთესად ჟურნალისტები აკეთებენ.

თუ ნებას დამრთავთ, კიდევ ერთ მაგალითს მოვიშველიებ პროფესორ ჩერედნიჩენკოს წიგნიდან „ჟურნალისტიკის საკითხები“. ეს არის ჟურნალისტ სერგეი კურნაკოვის რეპორტაჟი სანკტ-პეტერბურგის ისააკის მოედნიდან და დაწერილია, არც მეტი, არც ნაკლები, 1914 წლის აგვისტოში, იმ დღეს, როცა გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა.

„მე რომ მივედი, ისააკის მოედანი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. ცხრა საათი იქნებოდა, ჯერ კიდევ იდგა დღის ნათელი — ჩრდილოური ღამეების მშვიდი, წარმტაცი ბინდბუნდი.

გერმანული საელჩოს გრანიტის ურჩხული ისააკის ტაძრის წითელი გრანიტის კედლებს უყურებდა. ჯგუფებად მდგარი

ხალხი რაღაცას ელოდა. რამდენიმე მეტისმეტად მგზნებარე პატრიოტი ფლოტის ახალგაზრდა ოფიცერს ჩხრეკდა. ამ დროს ლითონზე ნაჯახის რიტმული დარტყმების ხმამ მაიძულა მზერა გადამეტანა გერმანიის საელჩოს სახურავზე, რომელიც მორთული იყო გაზულუქებული გერმანელი ჯარისკაცების კოლოსალური ფიგურებით, საზიდრებში შებმულ ნასუქ ცხენებს რომ აკავებდნენ. ფლაგშტოკს ბრინჯაოს ფრთაგაშლილი არწივი ამშვენებდა.

რამდენიმე კაცი ტევტონებს საქმიანად სცემდა ნაჯახს ფეხებში. ბრბო პირველივე დარტყმამ გაამძვინვარა: გმირთა ფიგურები ფუტურო ყოფილა!

„ცარიელია! ღვთიური ნიშანია! ნემჩურამ (გერმანელმა — თ. ქ.) მხოლოდ გაბუქვა იცის! ყველაფერი მოჩეხე! არა, ცხენები დატოვე!“

ნაჯახები უფრო და უფრო სწრაფად სცემდნენ. ბოლოს ერთი მეომარი შეტორტმანდა, გადაიხარა და ასი ფუტის სიმაღლიდან ტროტუარზე ზღართანი მოადინა. საშინელმა გმინვამ ისააკის მოოქროვილ თაღზე მოკალათებული ყვავები წამოშალა.

მერე არწივის ჯერი დადგა — იგი სტვენით დაენარცხა მიწას და უამრავ ნამსხვრევად ქცეული მყისვე მოიკაში გაუჩინარდა.

თუმცა, სიმბოლოების განადგურება აშკარად უკმარი აღმოჩნდა. თვალის დახამხამებაში შეიკრა ჯგუფი და საელჩოს გვერდითი შესასვლელი შეამტვრია. ვხედავდი, როგორ მიფარფატებდა ფანრებისა და ჩირაღდნების მოლიცლიცე შუქი ერთი სართულიდან მეორეზე. დიდი ფანჯარა გაიღო და იქიდან ბრბოსკენ კაიზერის პორტრეტი გადმოფრინდა. პორტრეტს ვარდისფერი როიალი მოჰყვა და ქვაფენილზე ბომბივით გასკდა. დაწყვეტილი სიმების კვნესა ჰაერში ათრთოლდა და წამსვე ყიჟინაში ჩაინთქა — მეტისმეტად ბევრი ადამიანი ცდილობდა ყვირილით ჩაეხშო მომავლისადმი შიში“.

დიახ, ეს არის რუსი ჟურნალისტის მიერ თითქმის საუკუნის წინათ დაწერილი რეპორტაჟი. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ხომ ცხადად მოგესმათ გავეშებული ბრბოს მრისხანე გუგუნი, ლითონზე დაცემული ნაჯახის ჟღრიალი და სასიკვდილოდ გამეტებული ვარდისფერი როიალის კვნესა?!

ჟურნალისტმა ამ პატარა რეპორტაჟით შესძლო მკითხველისთვის დაენახვებინა მომავლისადმი შიშით გაგიჟებული ბრბოს (გთხოვთ, ამ ტერმინს „ხალხში“ ნუ აურევთ და ბრბოს თვისებებს

ხალხს ნუ მიაწერთ) ნამდვილი სახე. და მან ეს გააკეთა ჭეშმარიტი მწერლურიი დიდოსტატობით — არცერთი ზედმეტი სიტყვა, არავითარი მაღალფარდოვნება — მოვლენათა თვითმხილველი ჟურნალისტი იუველირის სიზუსტით პოულობს საჭირო სიტყვებს და გამოთქმებს ისააკის მოედანზე შექმნილი ვითარების გადმოსაცემად. რაც მთავარია, ჩვენ, მკითხველებს გვჯერა მისი, უფრო ზუსტად, ავტორი გვაიძულებს დავუჯეროთ მას. სწორედ ამას ჰქვია ჟურნალისტური ხელოვნება.

ახლა, სანიმუშოდ, კიდევ ერთ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ. კაცმა რომ თქვას, მე ვფიქრობ, რომ რეპორტაჟია, თორემ ავტორს მისთვის ჩანახატი-ნოსტალგია დაურქმევია (ეტყობა, ჟურნალისტური ჟანრები ფეხებზე ჰკიდია და სწორადაც იქცევა — მისი საქმე ჟანრები კი არა, ახლა რომ წაიკითხავთ, ისეთი მწერლურ-ჟურნალისტური შედევრების წერაა). „ჩანახატი-ნოსტალგია“ იმით არის საინტერესო, რომ... ეს არის რეპორტაჟი წარსულიდან. ხოლო კარგი იმიტომაც არის, რომ მისი ავტორია (არ ვიცი, რა ეპითეტი და ტიტული მოვიშველიო) რეზი თვარაძე.

ეს, ჩემი აზრით რეპორტაჟი და ავტორის აზრით — ჩანახატი-ნოსტალგია, როდის დაიწერა არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ 1989 წლის 4 აპრილს.

მაშ ასე, რეზი თვარაძის

უბანი

უბანს თავისი საზღვრები აქვს, კაცმა არ იცის, ვის მიერ დადგენილი, ოღონდ — საყოველთაოდ აღიარებული და პატივცემული. მაგალითად, ჩიტაძის ქუჩის მარცხენა მხარე სოლოლაკს ეკუთვნის, მარჯვენა უკვე მთაწმინდის უბანია. მარჯვენა მხარეს მოხვედრილი სოლოლაკელი თავს უცხო ტერიტორიაზე გრძნობ და, თუ ვინიცობაა კონფლიქტამდე მივიდა საქმე, გული მთლად საგულეს ვერ გექნება. არადა, გადაირბენ ხუთ-ექვს მეტრს და შენს უბანში ხარ ისევ, უბატონოდ კაცი ხმას ვერ გაგცემს. ეს — ხუმრობით, რაღა თქმა უნდა, მაგრამ სიმართლენარევი ხუმრობით.

„სოლოლაკი“ კი არა, „სალალაკი“ არის ნამდვილი სახელიო, — გეტყვის მოგვიანებით ერთი სწავლული და გული დაგწყდება. იმიტომ, რომ მთელმა შენმა ბავშვობამ სოლოლაკში გაიარა და არა სალალაკში, მერე სოლოლაკშივე დაჭაბუკდი, დაკაცდი,

მერე სხვა უბანში გადასახლდი და გული მაინც სოლოლაკისკენ გიწევდა მუდამ, თუნდაც აწ უკვე ერთ დიდ გარაჟად ქცეული სოლოლაკისკენ.

თუმცა, იმ სხვა უბანს უბანი აღარც ეთქმოდა, ეს ახალი დროის თბილისი იყო — სტანდარტული, უსახური შენობები, პირმორღვეული, ინტიმის უქონელი სივრცე, სადაც უბნის შემოსაზღვრა ისევე შეუძლებელია, როგორც ნამდვილი თბილისური ეზოს პოვნა.

ოღონდ ეს ყველაფერი მერე მოხდება და გაიაზრება. ჯერჯერობით ძველ სოლოლაკში ვიმყოფებით, კიროვის ქუჩის კუთხეში. ამ ადგილს შემდგომში „ბირჟა“ დაერქმევა სხვა უბნების თავშესაყარ ადგილთა ანალოგიით. კიროვის ქუჩის მომიჯნავე მოედანსაც ლენინის მოედანი დაერქმევა შემდგომში. ახლა ეს შენ აზრად ვერ მოგივა. ომი ახალი დამთავრებულია და ის ურჩხული, ვის სახელსაც მოედანი ატარებს, მოიხსენიება, ვითარცა „ლენინის მოწაფე, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი“. თუმცა ის ურჩხულიც და მისი უწყებაც შენ, ბოდიში და, ფეხებზე გინდა დაიკიდო ისევე, როგორც შენს თანამოსაუბრეებს — უბნის ცნობილ ბიჭებს.

უკეთ რომ ვთქვათ, შენ იქ ერთი ახალწამოჩიტული მამლაყინწა ხარ, ჯერ ხმა არავისთან ამოგეღება. ხოლო ის უბნის იბჭები!.. ხოლო ის უბნის ბიჭები!..

ეს ის თაობაა, რომელიც ან თავისი ასაკის წყალობით, ან სხვა რაღაც სასწაულის ძალით გადაურჩა სასაკლაოს — პირველი ომისშემდგომი თაობა, შიმშილსა და სიცივეში გაზრდილი, უპოვარი, უსახსრო, დაშინებული ოჯახების კედლებში გაზრდილი. და მაინც — საუკეთესო ოჯახიშვილები, საუკეთესო მამულიშვილები, სიკეთით, პატიოსნებით, რაინდული ზრდილობითა და რაინდული ზნეობით დამშვენებულნი. სალამი რა არის, სალმის მიცემას ვერ დაასწრებ ვერც ერთ მათგანს, რაგინდ შენზე უფროსი იყოს ასაკით! გოგოსთან გავლა რა არის, დედამისის შვილია და ვინმემ რამე აკადროს რუსთაველზე გოგოსთან ერთად მიმავალ ჩვენუბნელს (თუგინდ სხვაუბნელს)! ბიჭური ჩხუბი რა არის, გაბედავს ვინმე და ორნი ან მეტნი მიეტევებიან მოპირისპირეს — მთელ უბანში, მთელ ქალაქში მოეჭრებათ თავი!

შექუჩულ ჯგუფთან გახვითქული ნოდარი მოვარდება:

— რიჩა ჩხუბობს სპარტაკთან!

ეს ამბავი იმის მაუწყებელია, რომ კინოთეატრ „სპარტაკის“

წინ ჩხუბობს რიჩა (დღეს — ჟურნალისტი ოთარ გაგუა). „სპარტაკიდან“ კინო „რუსთაველამდე“, უფრო აქეთაც, გამზირის მთელ მარჯვენა მხარეს, ყოველდღე, ყოველ საღამოს გამოლაშლაშდება გუნდი და გუნდი მოხულიგნო ტიპებისა. უჯიშონი, ბოღმიანნი, თავხედნი, შარის თავნი, ორნი და სამნი ერთზე მიტევებულნი — მამაცნი, შინაგანად — გულდედალნი. ალბათ, იმათთან ჩხუბობს რიჩა. მისი ჩხუბის ყურებაც ერთ რამედ ღირს.

რამდენიმე ბიჭი მოწყდება ადგილს და გავარდება. სხვანი არ იძვრიან, მშვიდად განაგრძობენ საუბარს — არც ზაქარა (მიტო ზაქარეიშვილი) გატოკებულა, სოლოლაკის ყოჩი, არც აპია (ელგუჯა ბუაჩიძე), თბილისის აბსოლუტური ყოჩი.

ასეა: ეზოს თავისი ყოჩი ჰყავს, ქუჩას — თავისი, კლასს — თავისი, სკოლას — თავისი, მერე — უბანს და ქალაქს. ამ ამბებში შენზე უკეთ იაგო ერკვევა (დღეს — ქართული ენციკლოპედიის პასუხისმგებელი მდივანი იაგო ვარდოსანიძე), იმას უნდა მოაყოლო, სად რა ბრძოლა გადახდენია თბილისის ყოჩს აპიას.

— რეზო ფაღავასაც მოერევა? — ვითომ არ გჯერა შენ.

— აბა, რა! — იაგოს ავტორიტეტი შეუვალია.

— რებეცასაც? დოდო აბაშიძესაც? — სიამოვნებას იხანგრძლივებ შეკითხვებით.

„ბირჟაზე“ რამდენიმე კაცი მუდამ დგას, წასულებს ახალმოსულნი ენაცვლებიან განუწყვეტლივ. მთელი უბნის, მთელი ქალაქის ინფორმაცია აქ იყრის თავს, ყველას და ყველაფრის ამბავს აქ შეიტყობ. ვისი ნახვაც გინდა, აქვე ნახავ, რა დროც იქნება. კიროვის ქუჩა „გარესამყაროსთან“ — სოლოლაკის დამაკავშირებელი ძირითადი არტერია. ჩიტაძის ქუჩით იშვიათად ბრუნდებიან სოლოლაკში, არ უყვართ იქით ავლა (ორი კაცი რომ მიბაასობდეს და ორი წუთით შეჩერდეს, მაშინვე მილიციელი მიადგება: „გაიარეთ!“).

ასე რომ, ყველამ აქ უნდა ამოიაროს თუ ჩაიაროს. აქ გამოჩნდება გერონტი ქიქოძე*, ზურგზე ხელებდაწყობილი (ცალ ხელში — კეპი), თვალდაწკურული, მშვიდი. აქვე იხილავთ მის ანტიპოდს, ბატონ კონსტანტინეს — ენერგიულს, შემართულს, გაწკეპილს, ოდნავ არტისტულს (უხდება!). ესენი აქვე სახლობენ, ჯაფარიძის ქუჩაზე. მათ გვერდით ცხოვრობდა კაცი, რომლის ხსენებაც ისევე საშიშია, როგორც გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის*... იმ კაცს მწერალთა სასახლეში მოუკლავს თავი მაშინ. ახლა მისი მზეთუნახავი ქალიშვილის

გამოჩენა ელექტრონივით მუხტავს ქუჩას. ამ მზეთუნახავის და მისნაირების ეშხითაც არის, ეს კუნთებდაბერილი ბიჭები ცოდნის შეძენის, განსწავლის, მაღალ კულტურასთან ზიარების სურვილს რომ იჩენენ თითქოს სრულიად მოულოდნელადაც. ამიტომ აქვს ოქროს ფასი უბნის ინტელექტუალური ლიდერის — ზურაბ კაკაბაძის* ყოველ სიტყვას („ნიცშეს კითხულობს, ტო!“), ჯაზის თავგადაკლული ტრფიალის თენგიზ ნოზაძის (დღეს — დოკუმენტური კინოს რეჟისორი) უხვ ინფორმაციას, პოლიგლოტ ირაკლი ნანეიშვილის მიერ მოწოდებულ ცნობებს, გეოს (განსვენებული ტელეჟურნალისტი, ესთეტი გოგი შავდია) შეუმცდარ შეფასებებს ლიტერატურის და ხელოვნების ნებისმიერ სფეროში.

ვგონებ, სწორედ გეოს შეთხზული უნდა იყოს ლექსი-პაროდია, ყველას პირზე რომ აკერია:

ოკეანის გადაღმელო,
საზიზღარო სემ!
მუშებს რატომ ავიწროვებ,
ზანგებს რატომ სცემ?!

ამ პაროდიით გამოიხატება ის ერთგვარი სნობიზმი, რომელსაც ბიჭები დაუფარავად ავლენენ მაჩაბლის ქუჩაზე უკვე საკმაოდ მომრავლებული გრაფომანების მიმართ. ერთი მათგანის ამბავს მეასედ და მეათასედ ჰყვებიან:

— იანვარია, ბიჭო, ყინვა ხეთქავს ყველაფერს. გამოსულა პარუსინის ტუფლებით, თეთრი შარვლით და ლექსი წაუკითხავს — „ქეციან ჩერჩილს“*. გოგლამ* უყურა, უყურა და უთხრა, თურმე: ეგ კიდე საკითხავია, თქვენ ორში ქეციანი რომელიაო...

— მერე გოგლას არაფერი უქნეს? — უკვირს ვიღაცას. სწორიცაა, რომ უკვირს. მსგავსი უწყინარი ხუმრობისთვის ერთი და ორი არ გაუსტუმრებიათ, სადაც ჯერ არს. კი, გოგლა გოგლაა მაინც, „ბელადის“ ავტორი, მაგრამ ანტიიმპერიალისტური პოლიტიკური აქციის ჩაშლაც ეპატიება?..

აღმართს ამოყოლილნი შინ მისვლამდე ზოგჯერ ნუნუსთან (გულიკოსთან, ციცინოსთან, მანანასთან...) შეივლით. ეს იმას ნიშნავს, რომ — „მე თქვენი ბინა, შემოვაღებ თუ არა კარებს, დამხვდება, თითქოს ვამარცხებდი სადღაცა დევებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენსამე საათს გაატარებთ წარმოუდგენელ სიმყუდროვეში, სადაც ოჯახის მამა (თუკი დაჭერილი არაა) მოგესალმებათ და მერე თავს აღარ შეგაწყენთ თავისი საზოგადოებით, სხვა ოთახში გავა (თუკი არსებობს ის სხვა ოთახი),

დროებით მაინც აბსტრაქციად იქცევა. სადაც ოჯახის დიასახლისი სითბოდ დაიღვრება, ზედ შემოგევლებათ და, მისი ქალიშვილის ბუზღუნის მიუხედავად, სუფრასაც გაგიწყობთ — ჩაის მოგართმევთ (შაქრიან ჩაის, უშაქროს კი არა!), პურს მოგართმევთ (წიგნაკებზე ნაყიდ ტალახის ნაჭერს კი არა, შენგან უკვე გადავიწყებულ, ბუნებაში არარსებულ ნამდვილ თეთრ პურს!) და, წარმოიდგინეთ, კარაქსაც (ასევე არარსებულს ბუნებაში!). შესაძლოა, ისეთი სასწაულიც მოხდეს, ღვინოც გაჩნდეს სუფრაზე და ზედ დასაყოლებლად — შემწვარი ბადრიჯანი ან კარტოფილი (ოჯახის სახვალიოდ განკუთვნილი სადილი!).

„და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“...

ოღონდ ამაზე უფრო ტკბილი სხვა რამ არის მაინც — ბიჭური სუფრა, ბიჭური ქეიფი, რომელსაც უკვე გაუგე გემო და შენს სიცოცხლეში ველარ შეელევი. ღვინო, შავი პური, კიტრის მწნილი და ძმობის ფიცი დაცისკრებამდე...

გამოხდება ხანი და იმ სოლოლაკურ ბიჭურ სუფრებს უმცროსნიც შემოუერთდებიან — ჯანსუღ და ჯიმი ჩარკვიანები, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ვახუშტი კოტეტიშვილი, უფრო მოგვიანებით — გურამ გეგეშიძის და გურამ სხირტლაძის კამპანია, ბიძინა და ელიზბარ ჯაველიძეები...

***

ოღონდ ამასობაში დაიშლება კიდეც სოლოლაკის საძმო. აღარც რეზო თაბუკაშვილი დარჩება უბანში, აღარც ლუკა ხუნდაძე, აღარც გია ფირცხალავა, კარლო მენაღარაშვილი, ბერდია ბუაჩიძე, ნოდარ კაკაბაძე, თენგიზ ვაჩნაძე, აღარც, აღარც... ახალ უბნებში გადასახლდებიან, უფრო ვრცელ, უფრო დახშულ ბინებში, იოლად დათმობენ იმ უთქმელ ინტიმსა და ნეტარებას, იმ მარადსახსოვარ დღეებს, როდესაც შენ, ჩვიმეტი წლის ჭაბუკი, მიუყვებოდი სოლოლაკის რომელსამე წყნარზე წყნარ ქუჩას, სადაც დღე-ღამეში ორიოდე მანქანა თუ ჩაივლიდა სულ, იყავი „მეოცნებე გაუსწორებელი“, იყავი სიყვარულით გალიცლიცებული, ირგვლივ აკაციის ყვავილები იფინებოდა და რომელიღაც სახლის რომელიღაც ღია ფანჯრიდან ნეტარ სატანჯველად მოგდევდა ვინმე ნუკრისთვალება ასულის მიერ დაკრული „მთვარის სონატა“, „აპასიონატა“, მოცარტი* თუ შოპენი* (შენი მწირი მუსიკალური განათლება მეტის წარმოდგენის საშუალებას აღარ

გაძლევს), ანდა სულაც სავარჯიშო გამების ხმა. და შეჩერდებოდი იმ რომელიღაც სახლის რომელიღაც ღია ფანჯარასთან, წამით დალანდავდი იმ ნუკრისთვალება ქალიშვილს და უმალვე გამოერიდებოდი. იმიტომ, რომ ფანჯარა კი არ იყო ღია, მაგრამ სხვის ბინაში შეჭყეტა დიდი უზრდელობაა და დედაშენს რომ დაენახე, შავ დღეს დაგაყრიდა**... („თბილისის“ ინფორმაცია).**

ამის წამკითხველს ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე ხელის აღება თუ არ მოგინდათ, მართლაც უმაღლესი კვალიფიკაციის ჟურნალისტი ბრძანებულხართ. უკიდურეს შემთხვევაში, დარწმუნებული ხართ, რომ ოდესმე აუცილებლად შექმნით პატარ-პატარა საოცრებებს, მის წამკითხველებს ქალაქურ ცხოვრებას, გარდასულ დღეებს თქვენი თვალით რომ დაანახვებს, ცრემლს მოადენს და სოლოლაკელობას (დიდუბელობას, ვერელობას, მთაწმინდელობას, ვაკელობას, ავლაბრელობას...) მოანდომებს.

მაპატიეთ და, ამ სიმაღლეზე ასვლაში უნივერსიტეტების აუდიტორიებში ჟურნალისტური თეორიების დაზუთხვა და „ინსტრუმენტის“ (ენის) სრულყოფილად დაუფლება თითქმის ვერ დაგეხმარებათ. იქნებ, ვერც ჟურნალისტ-თეორეტიკოსთა ბრძნულმა რჩევებმა გარგოთ და ვერც გამოჩენილთა გამოცდილებამ. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ცუდი ჟურნალისტი ხართ. ჟურნალისტიკა ხომ ძალიან, ძალიან „მრავალდარგოვანი“ სამოღვაწეო სფერაა! ადექით და, საკუთარი ძალები სხვა ჟანრში მოსინჯეთ — თუ მოინდომებთ, აუცილებლად გამოგივათ.

თუმცა, სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთი რეპორტაჟი წაიკითხეთ, ამჯერად, სოფლიდან, სოფლელებზე, ჩვენს მარჩენალ, ბრძენ და „ხარივით მომთმენ“ (შოთა ნიშნიანიძის პოეტური შედარებაა!) გლეხკაცზე, სიდუხჭირეზე და ქართველი კაცის გაუტეხლობაზე (რეპორტაჟში გამოყენებულია სტრიქონები დავით მაღრაძის ლექსებიდან).

სანამ ჯამში ღვინო აქაფდებოდეს

„ვატიმ თქვა: წითლად ყვითლდება შუამთის ტყეში ფოთოლი...“

კახეთში რთველი მთავრდება — წყნარად, მოკრძალებით, უხმაუროდ. არსად ჩანან მწიფე მტევნებით დატვირთული ავტომობილების ქარავნები; აღარც ძველებური სტუმრიანობა და დელეგაციების რია-რიაა.

კახეთში უჩვეულო სიჩუმეა — ნახირიც კი ფეხაკრეფით დადის.

ჩემი მასპინძელი ამერიკული ვესტერნიდან გადმოსულ კოვბოის ჰგავს — მაღალი, ხმელი, ძარღვიანი და სიტყვაძუნწი. საკუთარ თავზე და საკუთარ საქმეზე საუბარს გაურბის. მეურნეობას „პერესტროიკის“ ეპოქიდან მოეკიდა. ნელ-ნელა სახნავ-სათესიც გაიჩინა, ვენახებიც, ბაღ-ბოსტანიც, ნახირიც და ტბორებში თევზიც. მისი მარანი და ბეღელი სავსეა, მაგრამ მდიდარი მაინც არ ეთქმის — რაცა აქვს მის ოჯახს და მტერ-მოყვარეს ჰყოფნის. მოკლედ, ბედს არ ემდურის. თვალიც უჭრის, გონებაც და ღონეც ერჩის. ცოტა პოეტური, ცოტა რომანტიკული და ძლიერ საქმიანია. მიაჩნია, რომ საკუთარი მარჯვენის და ღვთის წყალობით დუხჭირ ცხოვრებას უთუოდ აჯობებს.

რადგან საკუთარი ვინაობის გაქვეყნება არ სურს, დავარქვათ მას ვახტანგი, უბრალოდ, ვატი.

ვატისთვის დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ. თბილისიდან დავურეკე, შენთან, ყვარელში ჩამოსვლა მინდა-მეთქი და — კი ბატონო, ჩამობრძანდიო. მანამდე ლაგოდეხის, გურჯაანის, თელავის რაიონების ოდესღაც აყვავებული სოფლები მოვინახულე. კიდევ ერთხელ საკუთარი თვალით ვნახე გადარეცხილი გზები და დაქცეული ზვრები, საბრალოდ მხრებჩამოყრილი, აჯაგული ნაყანევები, ნავენახარები, ნასახლარები და ნასოფლარები.

ვნახე უსაქმოდ, უჭირნახულოდ დარჩენილი, დარდისგან გულგასენილი ჩვენი სიამაყე, ჩვენი მარჩენალი, ბრძენი და მომთმენი გლეხკაცი.

სანამ იქ ჩავიდოდი, აქ, თბილისში, „ელიავას ბაზრობაზე“ ვნახე სხვისი ხელების მორცხვად შემყურე, სოფლისა და ოჯახის სიდუხჭირეს გამოქცეული ნაგლეხარები — ცრემლგამშრალი, არაფრის იმედად დარჩენილი ნაკაცარები, ღამით რომ მშობელი მთები და ჭალები ესიზმრებათ, დღისით კი არარსებულის ლოდინში ბილწი ქალაქური ანეკდოტებით კლავენ დროს.

ეს ამბავი ვატისთვის არ მითქვამს.

არც ის მითქვამს, რომ კახეთში ჩასვლამდე რამდენიმე რესპექტაბელურ ბანკს ვეწვიე. მინდოდა გამეგო, შევძლებდი თუ არა კრედიტის აღებას სოფლის მეურნეობაში დასაბანდებლად. აი, იმ ბანკებში გახლდით, ყოველდღე გულუხვად და უანგაროდ რომ გვთავაზობენ დახმარებას.

ამაოდ დავშვრი და თქვენც გირჩევთ, დროს უქმად ნუ დაკარგავთ: ჩვენი მსოფლიოში სახელგანთქმული ბანკები ფულს სესხად

აძლევენ იმ პატივცემულ პერსონებს, ვისაც აქვთ ფული, ან ისეთი ქონება, რაც ადვილად გაიყიდება (ოქრო-ვერცხლი, ბრილიანტი, ძვირფასი მანქანა, ფაბრიკა, ქარხანა...). თუ გლეხი ხარ (ან ქალაქელი, სულერთია) და სოფლის ბიზნესს იწყებ, ტყუილია, ხელს არავინ გაგიმართავს. საქმე ის არის, რომ წლეულს თქვენს მიერ გაშენებული ზვარი თუ ატმის ბაღი სრულ ნაყოფს 4-5 წლის შემდეგ მოიტანს. ამ ვადით კი უპროცენტო სესხს არავინ გაიმეტებს (აბა, ბანკი ხუთ წელიწადს უშემოსავლოდ ხომ არ დარჩება?!).

ვატიმ უარესიც მითხრა — სადაზღვევო კომპანიები უარს ამბობენ მოსავლის დაზღვევაზე: მერე გვალვამ რომ შეგვაწუხოს? ან წყალდიდობამ? ან კალია შემოგვესიოს?.. არა, ძმაო, დაგიზღვევთ მხოლოდ სეტყვაზე.

თუ სეტყვა არ მოვიდა, მაგრამ ყანა გვალვამ გადაბუგა, დაზღვევას ვერ მიიღებ. ასეთია სოფლის მეურნეობაზე გამეტებული საბანკო და სადაზღვევო დახმარება.

მინდორში ვართ. ყვარელთან ახლოს. შარაგზის ორივე მხარეს ზვრები, სიმინდის ყანები და მოუვლელი, მიტოვებული ნაკვეთები. სიმინდის ყანას შალაფა მორევია.

— ვერ გავთოხნე, ვერ შევძელი, — თავს იმართლებს ვატი.

ულამაზეს მინი ტრაქტორს „მუშები“ მოჰყვებიან და ტაროებს მისაბმელზე ისვრიან. ასე, ოციოდე ქალი იქნება. არც კაცების ხორხოცი ისმის და არც გოგოების ტკარცალი. ქალებისგან ჟრუანტელის მომგვრელი ვნების ნაცვლად უსასოობა და ოფლის მძაფრი სუნი იღვრება. მათთვის სიმინდის ტეხვა აღარც გართობაა და აღარც სიამოვნება — ეს შიმშილისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა. ნამდვილად ვიცი, აქვე, „სადღაც ორღობის ბოლოში გიგლაანთ ბიჭი ყურებჩამოყრილი ზის“. ეს ხალხი „დღიურ-მუშებია“, მეტი არაფერი.

გაფერმკრთალდება ცხოვრება ნასექტემბრალი ვარდივით

კახეთის ოდესღაც ღონიერი და მდიდარი ღვინის ქარხნებიდან (აქაურები ტრადიციულად მარნებს რომ ეძახიან) ზოგი გაჩანაგებულია, ზოგი გაჩერებულია, თითო-ოროლა ძლივსღა ბჟუტავს — 1990 წლამდე არსებული ზვრებიდან ხომ მეხუთედიც აღარ დარჩა. ამის გარდა ქართული ღვინის დასაყენებლად ქართველ მეღვინეს თითქმის არავითარი მოტივაცია აღარ დარჩა.

ძირითად სამომხმარებლო ბაზარზე, რუსეთში ჩვენი პროდუქციის გატანა წარმოუდგენლად ძნელია, ქართულ ბაზარს კი ნამდვილი ქართული ღვინო აღარ სჭირდება. არაფერი შემშლია — ქართულ ბაზარს ნამდვილი ქართული ღვინო არ სჭირდება. ქართული ბაზარი მთლიანად დაიპყრეს ფალსიფიკატორებმა. კაი მსმელი ბიჭების თავმოყვარეობის შელახვაზე არც მიფიქრია, მაგრამ თქვენ რომ თბილისურ ღვინის ჩამომსხმელ „ფირმებში“ (ინგლისური აბრები რომ ამშვენებს) „ღვინოს“ ყიდულობთ, თავადაც რომ მიირთმევთ და ძვირფას სტუმრებსაც აძალებთ, სინამდვილეში, ღვინო კი არა, შხამია — დიდი მუხის „ბოჩკა“, ცოტა ტანინი, ცოტა მჟავა, ფალსიფიცირებული სპირტი, ბევრი წყალი და „ღვინოც“ მზადაა! ასეთი „ცეხები“, სხვათა შორის, ბევრ თბილისურ თავმომწონე რესტორანსაც საკუთარი აქვს. ფალსიფიცირებულია თქვენთვის თვალის ასახვევად სპეციალურად გაძვირებული და ლამაზად შეფუთული ე. წ. ქართული „სამარკო ღვინოების“ სულ მცირე, 99 პროცენტი — წითელიც და თეთრიც, მშრალიც, „შუშუხნაც“ და ნახევრად ტკბილიც. ფალსიფიცირებულია ბაზარში გასაყიდად გამოტანილი იაფი ჩამოსასხმელი ღვინოების აბსოლუტური უმრავლესობა.

ის ღვინოები ისევე ათრობს (უფრო მეტადაც!), როგორც ნამდვილი. ოღონდ ფალსიფიკატორს მისი დამზადება განუზომლად უფრო იაფი უჯდება. იაფადაც ჰყიდის. ჩვენც ვყიდულობთ. ვიცით, საწამლავი რომ არის, მაგრამ მაინც ვყიდულობთ — ჩვენ ხომ ყველას ერთნაირად გვიჭირს.

სახელმწიფო გლეხს ვერც ეხმარება და, დახმარების განსაკუთრებულ სურვილსაც არ ამჟღავნებს: გლეხის მოწეულ ჭირნახულს (ხილს, ყურძენს, ხორბალს, ხორცს, რძეს, მატყლს) ვერ ყიდულობს; ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას ვერ ახერხებს — ამას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ეწინააღმდეგებაო (სხვათა შორის, ამ ორგანიზაციაში ჯერაც არ შესულან რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ბევრი სხვა ქვეყანა). საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენი პროდუქციის გატანა დიდ-დიდ პოლიტიკოსთა შეუთანხმებლობის გამო, პრაქტიკულად, შეუძლებელია; ადგილობრივი ბაზარი ფალსიფიკატორთა და თაღლით იმპორტიორთა ხელშია; მარნები ნედლეულს, ანუ ყურძენს, გლეხისგან ვერც ყიდულობენ და არც ყიდულობენ. ცალკე სათქმელია „ახალი ქართველების“ ერთ-ერთი კასტა — „ახალი მეღვინეები“, რომ-

ლებიც საკუთარი თანამედროვე კომპაქტური ღვინის ქარხნების ყურძნით უზრუნველსაყოფად ზვრებსაც ყიდულობენ და, ბუნებრივია, გლეხისგან, დიდი-დიდი საპურმარილოდ გუდის ყველი, დედას პური და ნივრის მწნილი მოითხოვონ. საბოლოოდ, ყველა ერთად გიგანტურ საარყე ქვაბში ვიხარშებით და დღითიდღე ვღატაკდებით.

გლეხი საკუთარ თავსაც ვეღარ ირჩენს. ათეული, ასეული წლობით რუდუნებით ნაშენებს ჩალის ფასად ჰყიდის, სულაც, უპატრონოდ აგდებს და მშობლიური ადგილებიდან გარბის. უკან თითქმის აღარავინ ბრუნდება.

ნოდარასაც, შილდელ ბიჭსაც, ვატისაც, მეც გვჯერა, რომ ოდესმე მორცხვად შევაბიჯებთ ევროპულ ოჯახში, მაგრამ ალბათ — უქართველგლეხოდ. კი არ დავიხოცებით ან გადავიხვეწებით, უბრალოდ, გლეხები აღარ ვიქნებით. გლეხი რომ აღარ იქნება, ის საფიცარი და სათაყვანო საქართველოც აღარ იქნება. სამაგიეროდ, ვიცხოვრებთ ნანატრ „დერეფანში“ და გვეყოლება უსამშობლო, უფუნქციო, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე განათლებულ პოლიტიკოსთა დასი.

ანუ მოხდება ის, რისიც ასე ეშინოდათ თერგდალეულებს. ერთი მათგანი, დიდი ილია ყვარლის მთის კალთიდან სევდიანად გასცქერის „სახიჩარ მამულს...“

ყვარლის ცენტრალურ მოედანზე, უძეგლო კვარცხლბეკთან შევჩერდით. ვატის „კოლხოზნიკს“ ვიღაც მოადგა — ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელი უნდა იყოს.

— სტუმარი მყავ თბილისიდან. წამო, პური გავტეხოთ, — დაპატიჟა ვატიმ.

— არა, ერთ კაცს ველოდები. შაბათს ჩვენი დეპუტატი იყო ჩამოსული. იმ კაცმა მითხრა, მე მაქ მისი ტელეფონი და დაურეკავო. ჩემ საქმეზე უნდა დაურეკოს.

ვატის აღარაფერი უკითხავს. „ინტელიგენტიც“ ერთხანს გაჩუმდა. მერე, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო, ისე გააგრძელა — საოპერაციო მყავ დაი. საავადმყოფოში მიწევ. ჩემ მეტი პატრონი არავინა ჰყავ, ხო იცი. აბა, მე კიდე მაგდენი საშუალება ვინ მომცა. ხოოდა, ზაურამ მითხრა, მე დავურეკავ ნანა პატარკაციშვილსა, ჩემ ტელეფონს იცნობსო. შენ საქმეზე დაურეკავ, მობილურათაო, უარს არ მეტყვისო. ეხლა უნდა მოვიდეს ზაურა და ველოდები...

— კარგი, წავედით.

ვატიმ მანქანა დაქოქა. დურუჯის კალაპოტს ავუყევით. ნაპირი ოდესღაც ხელოვნურად გაუმაგრებიათ. პატარძალივით კეკლუცი და ჭირვეული დურუჯი მდინარე კი არა, ღელეა. ვისაც მისი თავზე ხელის აღება და ამქუხარება არ უნახავს, ვერასოდეს წარმოიდგენს, რომ ეს მრავალტონიანი ლოდები ამ სიმაღლეზე მისი ამოგდებულია.

გავჩერდით. მარცხნივ დურუჯის შავი და არაჩვეულებრივად განიერი კალაპოტია, მარჯვნივ — ბაღ-ვენახები და კოხტად ჩარიგებული სახლები.

— ვერაგი მდინარეა. არასოდეს არავინ არ იცის, სად გაარღვევს კალაპოტს. ბევრჯერ გაუკეთებია ასე. ამიტომ მეფის რუსეთის დროსაც და კომუნისტების დროსაც მის ნაპირებს ყოველთვის ამაგრებდნენ. ამ ბეტონის ფილების სიმაღლე რვა მეტრია. ახლა მიწის ზემოთ მეტრი-მეტრნახევარია დარჩენილი. თხუთმეტი წელიწადია კალაპოტი არ გაწმენდილა და მიისილა. ძალიან საშიშია. აქ ყველაზე სუსტი ადგილია. ადიდებულმა დურუჯმა ჯებირები თუ გაარღვია, მთელს ყვარელს წალეკავს....

...ახლა ის დროა, როცა შუამთის ტყეებში ფოთლებს ნელ-ნელა წითლად ეპარება სიყვითლე.

კახურ მარანში წლეულსაც უეჭველად დაღვინდება მაჭარი, ბეღელში პური დაბინავდება, საკვამურიდან კვამლი ამოვა, გომურს ძროხა მიაბღავლებს, ნავენახარში ვაზი ისევ აყვავდება, პური გამოცხვება, ჯამში ღვინო აქაფდება, წალმის ნაკვერჩხალზე მწვადი აშიშხინდება, ლოყაწითელა გოგოს ვნებიანი ტკარცალი სოფელს ააფორიაქებს, გიგლაანთ ბიჭის ნამგლის მხიარული წკრიალი ცას მისწვდება და მრავალჟამიერიც დაგუგუნდება **(„კვირის“ ინფორმაცია).**

იმედია, დაინახეთ, რომ სამივე ნიმუშს ბევრი აქვს საერთო და ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდებიან კიდეც. სამივე ავტორი იოლად ახერხებს მკითხველის აყოლიებას, მის ცნობიერებაზე საკმაოდ ძლიერი (დადებითი!) ზეგავლენის მოხდენას. რეპორტაჟის გმირების ან მოვლენების დასახასიათებლად არცერთი მათგანი არ იყენებს ეპითეტებს. წერენ სადად და ლაკონურად. ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ, როგორც ხედავთ, სავსებით შესაძლებელია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, საჭიროა მონდომება, ბევრი შრომა და მოთმინება.

რეპორტაჟზე შეიძლება უსასრულოდ ვისაუბროთ და რაღაც

საყოველთაო კონსესუსამდე მაინც ვერ მივიდეთ. ეს ასეცაა — ჟურნალისტიკის თეორიაში ამ ჟანრს მრავალი გამოკვლევა ეძღვნება. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ წიგნის ამ თავის გაცნობის შემდეგ თქვენს თავებში პასუხგაუცემელი კითხვების რაოდენობა შემცირების ნაცვლად, შესამჩნევად გაიზარდოს.

რეპორტაჟულ ჟანრებზე ჩვენი საუბარი კი, ალბათ, მეტნაკლებად დასრულებულ სახეს ვერ მიიღებს, თუ ორიოდე სიტყვას იმაზეც არ ვიტყვით, როგორი არ უნდა იყოს... რეპორტაჟი.

გულწრფელად რომ გითხრათ, უბრალოდ, ცუდი კი არა, ძალიან ცუდი, ყოვლად უგვანი რეპორტაჟული ჟანრის მასალები წამიკითხავს არაბულ, რუსულ და თვით გერმანულ (დასავლეთ-გერმანულ!) პრესაშიც კი. დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ, იდეალური ვითარება თანამედროვე მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ იქნება. თუნდაც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნიჭიერების და მაღალი პროფესიონალიზმის გვერდით უთუოდ ფუთფუთებს უნიჭობა და არაპროფესიონალიზმი. უნიჭობა კი, მოგეხსენებათ, ძალიან თავხედი, ძალიან გამძლე და ძალიან მებრძოლია. თან, უმრავლეს შემთხვევაში, კარგადაც ინიღბება. ამიტომ, საეჭვო ღირებულების ჟურნალისტური პროდუქცია (სხვათა შორის, ნიჭიერი ადამიანების იძულებითი ხელშეწყობითაც — ნეტავ, ერთი, თავი დამანებოს!) საკმაოდ იოლად ხვდება საგაზეთო ბაზარზე და ანაგვიანებს სატელევიზიო ეთერს.

21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ზოგადად, ჟურნალისტიკის გრანდიოზულ უკანსვლას ბევრი ძალიან სერიოზული მიზეზი ჰქონდა (ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი მდგომარეობა; სრულფასოვანი ჟურნალისტური სკოლის არარსებობა; პროფესიულ ჟურნალისტიკაში დილეტანტების და უვიცების მოძალება. მედიასივრცის ზედმეტი პოლიტიზაცია; თავისუფალი პრესისადმი ხელისუფლების გულგრილი, ზოგჯერ აშკარად მტრული დამოკიდებულება; კომუნისტური თვითცენზურის ინერცია, სიტყვის თავისუფლებისა და აღვირახსნილობის განურჩევლობა და მრავალი სხვა). ამ მიზეზებზე ნაწილობრივ ვისაუბრეთ და მომავალშიც უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ახლა იმის დაპირებული ნიმუში, როგორ არ შეიძლება... მხოლოდ რეპორტაჟის მომზადება კი არა, ასე წერა, საერთოდ, არ შეიძლება, გამოქვეყნება — მით უფრო!

ამ რეპორტაჟის სათაური და ქვესათაური ასეთია:

როცა მხარდაჭერას გრძნობ...

კომკავშირი ზრუნავს ახალგაზრდობის
სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე

— როცა მხარდაჭერას გრძნობ, მაშინ საქმეც იოლდება და მუშაობაც უფრო ხალისიანი ხდება, — გვითხრა აკაკი ნადირაძემ, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილის, უჩა ცარციძის ოთახში დამხვდა. დახმარების სათხოვნელად იყო მისული.

აკაკი ნადირაძე თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისის მკვიდრია, 1988 წლის შემოდგომიდან მეტალურგიული ქარხნის მილსაამდიდო საამქროში მუშაობს ზეინკლად. აკაკი კომკავშირის კომიტეტში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებმა მიიყვანა. რუსთავში ჩამოსული ახალგაზრდა მეუღლითა და ორი მცირეწლოვანი ბავშვით თავშესაფრის გარეშე აღმოჩნდა. შემდეგ მეუღლეც საავადმყოფოში მოხვდა და ამან საფიქრალ-საზრუნავი მოუმატა.

— კომკავშირის კომიტეტმა გაითვალისწინა აკაკი ნადირაძის მძიმე სოციალური პირობები — მითხრა უჩა ცარციძემ — აგრეთვე მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაკისრებული საქმისადმი, კომკავშირულ საქმიანობაში გამოჩენილი აქტიურობა (აკაკი საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრია, სპორტულ სექტორს უდგას სათავეში) და გადაწყვიტა გამონაკლისი სახით დახმარებოდა მას: საოჯახო საერთო საცხოვრებელში 19 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი გამოუყო.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, — მითხრა აკაკიმ, სიმართლე გითხრათ, არც აქამდე ვზარმაცობდი, მაგრამ დღეიდან უფრო გულიანად ვიშრომებ, ჩემი კეთილსინდისიერი მუშაობა კი იქნება პასუხი იმ თანაგრძნობისა და გულისხმიერებისა, რომელიც ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა გამოიჩინა ჩემს მიმართ.

— ქარხანაში მუშაობა 1979 წელს, 18 წლისამ დავიწყე, — მითხრა მარტენის საამქროს მეფოლადემ, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ანატოლი ბაგაურმა, — შვიდი წელი მეფოლადის ხელშემწყობად ვმუშაობდი. მყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. საერთო რიგის მიხედვით ბინას მხოლოდ სამი-ოთხი წლის მერე ველოდები. გაჭირვებამ დახმარების სათხოვნელად მეც კომკავშირის კომიტეტში მიმიყვანა,

სადაც გულისყურით მომისმინეს და დახმარების ხელიც გამომიწოდეს...

ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზაზა ფეტელავამ ანატოლი ბაგაურიც დადებითად დამიხასიათა (მოწინავე მუშაა, კეთილსინდისიერად ეკიდება მასზე დაკისრებულ საქმეს, რისთვისაც მას წილად ხვდა პატივი მონაწილეობა მიეღო ზაპოროჟიეში სტრატეგიული დანიშნულების რაკეტებიდან მშვიდობიანი ფოლადის გამოდნობის საქმეში).

ანატოლი ბაგაური საერთო საქარხნო რიგის შენარჩუნებით, დროებით საოჯახო საერთო საცხოვრებლის ტიპის ბინით დააკმაყოფილეს.

კომკავშირი რომ ახალგაზრდების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავს მისასალმებელია, მაგრამ აკაკისა და ანატოლისნაირი გაჭირვებული კიდევ რამდენია ქარხანაში და რა რეალური დახმარების გაწევა შეუძლია მათთვის კომკავშირს?

ამ კითხვაზე პასუხი უჩა ცარციძემ გამცა... **(„ახალგაზრდა კომუნისტის“ ინფორმაცია).**

ამ ტექსტის წაკითხვა, ალბათ, ძალიან გაგიჭირდათ ან ბოლომდე ვერც წაიკითხეთ. რეპორტაჟის სათაურიდანვე სიყალბის და ფარისველობის სუნი გეცათ — არავითარი გულწრფელობა, არავითარი თანაგრძნობა, თუნდაც, იმ პირებისადმი, ვისაც, თურმე, კომკავშირი ეხმარება. ტექსტი ყალბი პათეტიკის და სიცრუის ნიმუშიცაა — ბუნებაში ასე არავინ არ ლაპარაკობდა და არ ლაპარაკობს: **„...მადლობის მეტი რა მეთქმის... სიმართლე გითხრათ, არც აქამდე ვზარმაცობდი, მაგრამ დღეიდან უფრო გულიანად ვიშრომებ, ჩემი კეთილსინდისიერი მუშაობა კი იქნება პასუხი იმ თანაგრძნობისა და გულისხმიერებისა, რომელიც ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა გამოიჩინა ჩემს მიმართ...**“

ყურადღება მიაქციეთ კიდევ ერთი გარემოებას — ეს რეპორტაჟი („როცა მხარდაჭერას გრძნობ...“) „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულია 1989 წლის რვა აპრილს, „თბილისში“ რეზი თვარაძის რეპორტაჟის („უბანი“) გამოქვეყნებიდან ოთხი დღის შემდეგ და 1989 წლის ცხრა აპრილის სისხლიან ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე! ამით ის მინდა ვთქვა, რომ ეპოქა ყოველთვის არ არის დამნაშავე. **ნიჭიერი კაცი კომუნისტურ ეპოქაშიც ნიჭიერია და უნიჭო მიხეილ სააკაშვილის მსოფლი-**

ოში „ყველაზე განათლებული და ყველაზე დემოკრატიული“ რეჟიმის პირობებშიც უნიჭოა.

21-ე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესიდან და ტელევიზიიდან საკვირველად უვარგისი რეპორტაჟების უსასრულოდ ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება. საქართველოს ისტორიაში დროის ეს მონაკვეთი, ალბათ, „პრესის ტოტალური გაყვითლების“ ეპოქად მოინათლება.

საბედნიეროდ, გვაქვს ბრწყინვალე და გულწრფელი ჟურნალისტიკის მაგალითებიც, რასაც თქვენ სულ ახლახანს გაეცანით კიდეც. ჩემი მოკრძალებული რჩევაა, **ნუ გააიოლებთ საქმეს — „პატარა“ შედევრებიც მხოლოდ დიდი ტანჯვით იბადება.**

იფიქრეთ, სანამ იკითხავდეთ!

კიდევ ერთი „წვრილმანი“: როგორი შეკითხვები არ უნდა დასვას საკუთარი თავის პატივისმცემელმა ჟურნალისტმა. მართალია, ამის თაობაზე ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ, მოდი, კიდევ ერთხელ ყველაფერი ერთად გავიხსენოთ.

მაშ ასე, თქვენ, თუნდაც სახელმოხვეჭილმა ჟურნალისტმა, სანამ ვინმეს რაიმეს შეეკითხებოდეთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ:

1. თქვენი შეკითხვა არ გულისხმობდეს მხოლოდ ერთგვაროვან პასუხს („ჰო“ ან „არა“!);

2. არ გამოიყენოთ მტკიცებითი წინადადება კითხვითის ნაცვლად;

3. არ გააერთიანოთ ორი შეკითხვა ერთ წინადადებაში;

4. ზედმეტი სიტყვებით არ გადატვირთოთ თქვენი შეკითხვა;

5. არ დასვათ „ჩამჭრელი“ შეკითხვები;

6. შეკითხვაში არ გამოიყენოთ არავითარი კომენტარები და შეფასებები;

7. არ გაიმეოროთ საკუთარი ან სხვისი საეჭვო ვარაუდები;

8. შეკითხვის ადრესატს არ მიაკეროთ რაიმე იარლიყი;

9. არ გაბუქოთ თქვენი შეკითხვის მნიშვნელობა;

10. არ დასვათ ძალიან რთული შეკითხვა (იგულისხმება კითხვითი წინადადების კონსტრუქცია).

ასე ფიქრობენ კანადელი ჯონ სავატსკი და შვედი ერიკ ფიხ-

ტელიუსი. ასე ვფიქრობ მეც, ოღონდ, გულახდილად რომ ვთქვა, ამ გამოჩენილი ჟურნალისტების შეგონებებს ხშირად ვერ ვასრულებ-ხოლმე. კარგი იქნება, ჩვენს აზრს თქვენც თუ გაიზიარებთ. თუმცა, ნუ იჩქარებთ და ინტერვიუს ასაღებად ახლავე ნუ გაიქცევით — კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ეს ძალიან უბრალო და ძალიან მნიშვნელოვანი შეგონებები. თორემ, სულაც არ არის გამორიცხული თქვენც გაიმეოროთ ერთი პოპულარული ქართველი ტელეწამყვანის შეცდომა: „— ბატონო პრეზიდენტო (ედუარდ შევარდნაძეს მიმართავდა, თ. ქ.), ამ დილით ერთი წიგნი ჩამივარდა ხელთ, სადაც, თურმე, ნათქვამია, რომ თქვენ მასონი ბრძანებულხართ. ბატონო ედუარდ, თქვენ მასონი ხართ?

— ეს წიგნი არ წამიკითხავს და ჩემი მასონობის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

იუმორის უნიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა შევარდნაძემ აშკარად დაინდო გაბრიყვებული ჟურნალისტი, რომელსაც ეს ათი შეგონება ალბათ, არასოდეს გაეგონა.

თავი VII

ჟურნალისტური პუბლიცისტიკა

ოდესღაც უთქვამთ ფრთიანი სიტყვა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და, ვაგლახ, კაცობრიობას აღარასოდეს დაავიწყდება — გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობს.

სამწუხაროდ, ასეა. გუშინდელი გაზეთი ისტორიის კუთვნილებაა. მაგრამ, ვიდრე ჟურნალისტობაზე გულს აიცრუებდეთ, მოდი, დავფიქრდეთ, რა კვალს ტოვებს ადამიანის ცნობიერებაში გაზეთი თავისი ერთდღიანი არსებობით.

მახსოვს, ამ პრობლემაზე ჯერ კიდევ სამოციან წლებში, საშუალო სკოლაში სწავლისას ვკამათობდით. მაშინ იქნებ ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, გენიალური გამოსავალი იპოვა ჩემმა თანაკლასელმა და მეგობარმა როლანდ ჭკუასელმა: კი, ბატონო, გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობს, მაგრამ აქ გამოქვეყნებულ რომელიმე სტატიას ხომ შეიძლება დიდი ხნის სიცოცხლე, სულაც მარადიულობა დაჰყვესო. ბოლოსდაბოლოს, ერნესტ ჰემინგუეის*, ჯეკ ლონდონის და ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწარმოებები ხომ თავის დროზე გაზეთებში ქვეყნდებოდაო!

სრული სიმართლეა. ამ დასკვნამდე მივა ყველა, ვინც ოდნავ მაინც ჩაუფიქრდება გაზეთის სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემას. გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობს, მაგრამ სწორედ ამ ნომერში შეიძლება გამოქვეყნდეს სტატია, რომელსაც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ღრმა და ხანგრძლივი ზეგავლენის მოხდენა, მეტიც, ადამიანის ცნობიერებაში „რევოლუციის“ მოწყობაც კი შეუძლია.

პუბლიცისტიკა არის ჟურნალისტიკის შემოქმედებითი, მხატვრული ჟანრი. სწორედ აქ შეიძლება მთლიანად გამოვლინდეს ჟურნალისტის, როგორც შემოქმედის, ნიჭი და შესაძლებლობები. ამავე დროს, ეს არის ყველაზე პრესტიჟული ჟანრი. ამიტომაა, რომ ყველა თავმოყვარე ჟურნალისტი ბოლოსდაბოლოს პუბლიცისტიკაში ცდილობს საკუთარი ძალების მოსინჯვას. ეს მცდელობა ზოგჯერ წარმატებით მთავრდება, უფრო ხშირად — კატასტროფით. ასეთია ცხოვრების კანონი — ზოგს უფალი ნიჭს ხვავრიელად დააბერტყავს, ზოგისთვის ძუნწობს. თუ პუბლიცისტიკაში არ გაგიმართლათ, ნუ იდარდებთ და გულს

ნუ გაიტეხთ — თქვენ ხომ შესანიშნავი რეპორტიორი ხართ— შეუცვლელი ფიგურა რედაქციაში! ჟურნალისტიკაში ეს ძალიან დიდი მიღწევაა.

ცუდი ის არის, რომ ზოგჯერ ჟურნალისტი ყოვლად უღიმღამოდ, უემოციოდ წერს და ჯიუტად არ სჯერა, რომ მის ნაშრომებს არავინ კითხულობს. **ჟურნალისტური პუბლიცისტიკის დანიშნულებაა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა აუდიტორიის ემოციურ განწყობაზე ზემოქმედებით.**

დამწყები ჟურნალისტები, როგორც წესი, დარწმუნებული არიან, რომ პუბლიცისტური ნაშრომი აუცილებლად უხვსიტყვიანი, გატყლარჭულ-გადაპრანჭული მანერით დაწერილი უნდა იყოს. ხოლო მისი ავტორი — ვინმე თეთრწვერა ბრძენთაბრძენი. რა თქმა უნდა, სინამდვილე გაცილებით უბრალოა: პუბლიცისტურ ჟანრს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ნებისმიერი ფორმის ჟურნალისტური ნაშრომი — ჩანახატიც, ნარკვევიც, სტატიაც, ინტერვიუც, პოლემიკაც, მონოლოგიც, რეპორტაჟიც, ფელეტონიც...

60-იანი წლების არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო წესდება ამ სიტყვებით იწყებოდა: „ბრძოლის წარმატებით წარმართვისთვის აუცილებელია მოწინააღმდეგის არსებობა!...“

ასევე, პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოებისთვის აუცილებელია ცხადი მიზნის არსებობა: მე, ავტორმა ვიცი, რაც მინდა. დანარჩენი უკვე „ტექნიკის“ საქმეა — თუ აუდიტორიაზე ემოციურ ზემოქმედებას შევძლებ, ჩემი მიზანი მიღწეულია. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა არა აქვს აუდიტორიის საპასუხო რეაქციას. იგი შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. თუ თქვენს პუბლიცისტურ ნაწარმოებს ასიდან თუნდაც სამი ადამიანი დადებითად შეაფასებს, ეს ნიშნავს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი შეგიქმნიათ. ხოლო თუ ათი მოაზროვნე ადამიანის მაღალი შეფასება დაიმსახურეთ, თითქმის გენიოსი ყოფილხართ! თუ თქვენი პუბლიცისტიკის გამო არც ვინმე გაძაგებთ და არც ვინმე გაქებთ, როგორმე უნდა აჯობოთ თავს და საკუთარი ჟურნალისტური შესაძლებლობები კიდევ ერთხელ კრიტიკულად შეაფასოთ.

როგორც მოგახსენეთ, პუბლიცისტური ჟანრის ნაშრომისთვის ნებისმიერი ფორმის მიცემაა შესაძლებელი.

ჩანახატი

1996-1997 წლებში ჟურნალისტი ირაკლი ბერიაშვილი უშვებდა ძალიან სიმპათიურ გაზეთს „ტფილისის უწყებანი“. ეს იყო XIX საუკუნის 30-იან წლებში სოლომონ დოდაშვილისეული* პირველი ქართული გაზეთის აღდგენის მცდელობა. ძლიერ სამწუხაროა, რომ მასაც დიდი წინაპრის ბედი ეწია — გამომცემელთა უსახსრობის გამო დაიხურა. უფრო სამწუხარო ის არის, რომ მაშინდელ საქართველოში არ გამოჩნდა ჭკვიანი ბიზნესმენი, რომელიც ამ ნიჭიერად გაკეთებული გაზეთის გამოცემას დააფინანსებდა.

სხვებთან ერთად, „ტფილისის უწყებანის“ რედაქციასთან თანამშრომლობდა უნიჭიერესი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ნუგზარ შატაიძე. სწორედ მას ვთხოვეთ დაეწერა სტატია საგზაო პოლიციაზე:

„...მეტროს სადგურის წინ სამი ავტოინსპექტორი დგას. ახლა იმათ საგზაო პოლიციელები ჰქვიათ, მაგრამ სინამდვილეში ისევ ის ჩვეულებრივი ავტოინსპექტორები არიან. აცვიათ ტყავის ქურთუკები, ახურავთ თბილი ქუდებიც, მაგრამ მაინც სცივათ — ჯიბეებში ხელებჩაწყობილები ეძუძგებიან ერთმანეთს. იმათგან ერთი — უფრო დაბალი ჩინისა, მგონი ეფრეიტორი — ორმოცი წლისა მაინც იქნება. სახეზე ეტყობა, ძველი, გამოჯეგილი ავტოინსპექტორია. აქვს ფართო ყვრიმალები, ღრმად ჩამსხდარი, მოწკურული თვალები, მკაცრად მოკუმული თხელი ტუჩები და ქორული გამოხედვა. დანარჩენი ორი ძალიან ახალგაზრდები, მაგრამ ჩინით კი ამაზე უფროსები — ლეიტენანტები არიან.

ამ სამეულში ქეჩი ეფრეიტორია, ის არის ახალბედა ლეიტენანტების გზისმკვლევი და მასწავლებელი, მათი მამა და მარჩენალი.

თოვს. ინსპექტორებს თოვლი ადევთ ქუდებზე, ქურთუკის საყელოებზე, თოვლი ეფინებათ სამხრეებზეც და ნელ-ნელა შლის მათ შორის ჩინობრივ განსხვავებას. ისინი კი ჯიუტად დგანან, ერთი შეხედვით უაზროდ აცეცებენ თვალებს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ჩამოივლის სულ მალე თეთრი „ნივა“ და ეფრეიტორიც, იმ წამსვე, მაჯაზე ჩამოკონწიალებულ კვერთხს შემართავს, მანქანის მძღოლს ანიშნებს — გააჩერეო!

მანქანა სვლას შეანელებს, მოშორებით გაჩერდება, მა-

გრამ ინსპექტორები იმისკენ არც იხედებიან — წესია, თვითონ შოფერი უნდა ეახლოთ. შოფერს კი, როგორც ჩანს, ეზარება იმ ყიამეთში თბილი მანქანიდან გადმოსვლა.

ნელ-ნელა ილევა მოთმინების ძაფი.

— მიდი, რა, შენ მიდი, — ეუბნება ეფრეიტორს ერთ-ერთი ლეიტენანტი, — იქნება დაგვალევინო რამე...

— ხო დაგალევინეთ!

— ჰო, მაგრამ, კიდევ გვინდა.

— ვა, კიდე გინდათ რა, ფლავია?!

შოფერი ლოდინით გაბეზრდება, უეცრად, მანქანას დასძრავს და თვალს მიეფარება.

— წავიდა. — ამბობს მეორე ლეიტენანტი.

— წავიდეს. სხვა არ ჩამოივლის? — ეღიმება ეფრეიტორს.

ეღიმება მშვიდად, საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით და ამ დროს იგი ძალიან ჰგავს ხვად მგელს, რომელიც თავის ორ, უკვე კარგად მოჩრიხულ ლეკვს ნადირობას ასწავლის“ **(„ტფილისის უწყებანის“ინფორმაცია).**

ეს არის პუბლიცისტური ჩანახატის კლასიკური ნიმუში. თანაც, თანაგრძნობის გამომხატველი იმ უწყებისადმი, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული — საგზაო პოლიცია.

საგაზეთოდ გამიზნულ ჩანახატში, ბუნებრივია, არ არის ბრძნული დასკვნების, მრავალმნიშვნელოვანი მინიშნებების, შეგონებების ადგილი. ვერც რომელიმე უწყების, ფირმის ან მოვლენის ავკარგიანობაზე მსჯელობით დავკარგავთ დროსა და საგაზეთო ფართს. ის მტკივნეული პრობლემა, რის გამოც წერთ, თქვენს ნარკვევში ძალიან ნათლად უნდა წარმოჩნდეს. მაგალითად, ასეთი — საგზაო პოლიცია არის კაცობრიობის ყველაზე გარყვნილი ნაწილი, თუმცა მისი არსებობა ყოვლად აუცილებელია. თავად პოლიციელები კი ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ნებისმიერი ჩვენგანი.

ნუგზარ შატაიძე ის იშვიათი გამონაკლისია, როცა მწერალი ბრწყინვალედ ართმევს თავს ჟურნალისტურ დავალებას.

თუ თავიდანვე შატაიძისნაირად არ გამოგივათ, გულს ნუ გაიტეხთ — ახლა რომ წაიკითხეთ, ეს ნარკვევი მწერალმა 46 წლის ასაკში დაწერა. ოდესმე თქვენც შეძლებთ. თუ ვერ შეძლებთ, ამაზეც ნუ იდარდებთ, თქვენ ხომ ცნობილი მწერალი არა ხართ!

ნარკვევი

ჩვენს რედაქციაში რომ მოვიდა, გიორგი პატაშური ახალგაზრდა, ჟურნალისტიკაში სავსებით გამოუცდელი ბიჭი იყო. თუმცა, ასაკის მიუხედავად, ცხოვრების მკაცრი, მეტიც — სასტიკი სკოლა ჰქონდა გავლილი. ეს იყო ტალანტი, რომელიც სულ მალე ჟურნალისტიკაში კაშკაშა ვარსკვლავად იქცეოდა. ჟურნალისტური თეორიისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მისი ძლიერი გონება ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავდა, ორი ერთნაირი შეცდომა არასოდეს მოსდიოდა. სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის დახურვისთანავე ჟურნალისტიკიდან წავიდა, ალბათ, სამუდამოდ — იგი ხომ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. ჟურნალისტური ჰონორარით კი ამას, უბრალოდ, ვერ მოახერხებდა.

ასე დაკარგა მეოცე საუკუნის მიწურულის ქართულმა ჟურნალისტიკამ ერთი ტალანტი. თუმცა, დარჩა მისი რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც სანიმუშოდ გამოადგება ჟურნალისტური პუბლიცისტიკით დაინტერესებულ ადამიანებს:

„ორნი დადიან სინათლის ფულის ასაკრეფად. ერთი ინკასატორი ღაჟღაჟაა, სქელკისერა, მეორე — დაბალი ტანისა, გალეული, ჩვენი დროისათვის შესაფერისი ფიზიონომიით.

ოჯახის უფროსი და ვაჟიშვილი ლოჯში გაისუსნენ, ყურთასმენა კი ისე აქვთ მომარჯვებული, საკუთარი ტანსაცმლის შარიშური ესმით.

ინკასატორს ქალები დახვდნენ — ლოგინში მწოლიარე სკლეროზიანი დედაბერი და ოჯახის კაცების უგერგილობით ნერვებმოფუტკნული რძალი.

— უი, ჩვენი ზალიკო ხარ?

გახარებული შესცინის სკლეროზიანი, — როგორა ხარ, დედაჩემისა ხომ არაფერი იცი, როდის აპირებს ჩამოსვლას? (დედა რომ მოუკვდა, აღარ ახსოვს).

— ჩვენ, ქალბატონო, სინათლის ამბავზე ვართ მოსული, — ძალიან სერიოზული ტონით აცხადებს ღაჟღაჟა ინკასატორი.

რძალმა სკამი გამოუწია, ინკასატორი პირქუში სახით დაჯდა და გაპრიალებულ მაგიდაზე დიდი დავთარი დადო. გადაშალა ეს დავთარი, გვარი მოძებნა და გალეულს დაავალა — მიდი, ნახე სოჩიკი!

ღაჟღაჟამ ნაკარნახები ციფრები ჩაიწერა. მიუმატა, გამოაკლო, ოთხ კლასში ნასწავლი არითმეტიკა სრულად გამოიყენა და ბოლოს ქალებს გამოუცხადა:

— 472 ლარი გაქვთ გადასახდელი.

— რაო?! — გაგიჟდა რძალი, — ათასში ერთხელ მოდის სინათლე, მაცივარი გადამწვარია, ტელევიზორი გადამწვარია, ხანდახან კერასინკაზე ვთბებით და მაინც 472 ლარია გადასახდელი?

— ასეა და რა ჩემი ბრალია?

სიმტკიცეს არ კარგავს ინკასატორი, — თუ გადაიხდით, გადაიხდით, არადა, გადაგცემთ კომპიუტერს და მერე აღარაფერი გეშველებათ.

კომპიუტერის ხსენებაზე სიკვდილმისჯილებივით შემოდიან ოთახში მამა-შვილი, პალტოებსა და ყურებიან ქუდებში ჩაცმულ-დახურულები.

— ამ ბინას თუ გავყიდით, თორემ ჩვენ მაგდენი ფულის გადამხდელები არა ვართ, — გაბედა ხმის ამოღება ახალგაზრდა კაცმა.

— ვერ გაყიდით! — მკაცრად ამბობს ღაჟღაჟა. — სახელმწიფოს ვალს თუ არ გაისტუმრებთ, ბინის გაყიდვის უფლებაც არა გაქვთ.

— რა ვქნათ, აბა, მეტი გასაყიდი არაფერი გვაქვს. — აკრუსუნდა ოჯახის უფროსი.

ღაჟღაჟაც ყურადღებით ათვალიერებს ოთახს: ძველი სერვანდი, უბრალო მინის ჭიქებით გამოტენილი, ორი თავმოსაწონებელი ნაჩუქარი ყანწი, რომლებიც დიდი ხანია ღვინის მაგივრად მტვრით ივსება...

— განა ვერ ვატყობ, რა შეძლების ოჯახი გაქვთ. მეც მინდა ანგარიში გაგიწიოთ, მაგრამ რა ვქნა... — ლბება ინკასატორი.

თითქოს მაშველი თოკი გადაუგდესო, ისე უცბად ჩაეჭიდნენ ოჯახის წევრები ამ დარბილებულ ტონს. ყველა ერთად ეხვეწება: „შენი ჭირიმე, ანგარიში გაგვიწიე, იქნებ რამე გვიშველო!“

ღაჟღაჟა გალეულს თავის აქნევით რაღაცას ანიშნებს, ისიც სასწრაფოდ მიდის მრიცხველთან და რაღაცას ჩხირკედელაობს. კეთილი ინკასატორი ბოლო სიტყვას ამბობს:

— სამოცდაათ ლარს ჩვენ გადაგვიხდით ხელზე, შვიდ ლარს სადაც აქამდე იხდიდით, იქ გადაიხდით, აი, ქვითარი! თუ ვინმემ რამე გითხრათ, თქვით, აქ არ ვცხოვრობდით, სოფელში ვიყავითთქო წასული. რისკზე მივდივარ, მაგრამ რა ვქნა, მეცოდებით.

სამოცდაათ ლარზეც ყოყმანობენ კაცები. რძალი ძალის-ძალით მეზობელთან გზავნის მამამთილს სასესხებლად.

მადლობა ღმერთს, ზოგჯერ კროსვორდიც გამოადგება კაცს. ბაზრობის დირექტორის მამა ბოლო ხანებში კროსვორდის სიყვარულით ძალიან დაუახლოვდა საწყალ მეზობელს. ერთად ხსნიან სუპერკროსვორდებს, კაიფვორდებს, გველვორდებს, ღადავვორდებს და ვინ იცის, კიდევ რამდენნაირ ეშმაკვორდებს. დაბრუნების იმედი არა აქვს, მაგრამ პარტნიორის დაკარგვის შიშით, ბაზრობის დირექტორის მამა სესხს იძლევა.“ **(„ტფილისის უწყებანის“ ინფორმაცია).**

რა თქმა უნდა, დაკვირვებული და კრიტიკულად განწყობილი კაცი გიორგი პატაშურის ამ ნაშრომში სტილისტურ ლაფსუსებსაც აღმოაჩენს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ავტორმა უნივერსიტეტში მხოლოდ სამი სემესტრი ისწავლა!

ამ პატარა პუბლიცისტურ ნარკვევში ვხედავთ ერთ ტიპიურ ღარიბულ ოჯახს, არცთუ მებრძოლ ადამიანებს. ისინი, როგორც წესი, ერთგული და მუყაითი თანამშრომლები არიან და თავის საქმეს პატიოსნად, უხმაუროდ აკეთებენ. ახლა უმუშევრად და მხოლოდ ღვთის წყალობის იმედად დარჩენილან. თაღლითი ინკასატორები ხედავენ ამ ხალხის გაჭირვებას, „კაი ბიჭების“ როლსაც თამაშობენ და საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ მაქსიმალურს აღწევენ. საბოლოოდ, ყველა კმაყოფილია მკითხველის გარდა — ბევრმა მათგანმა ხომ აქ საკუთარი ოჯახური ტრაგედია დაინახა და ტკივილი გაუახლდა.

ავტორის მიზანი მიღწეულია. მას სურდა ჩვენთვის, მკითხველთა აუდიტორიისთვის საკუთარი თავი დაენახვებინა და ეს შეძლო კიდეც. ერთი შეხედვით, — ძალიან უბრალოდ. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ გენიალობა სწორედ უბრალოებაშია.

სტატია

ეს არის პუბლიცისტური ჟურნალისტიკის ყველაზე გავრცელებული ფორმა, შესაბამისად — ყველაზე რთულიც.

1990 წლის ზაფხულში გაზეთ „7 დღის“ რედაქტორმა ვახტანგ აბაშიძემ შემომთავაზა, დამეწერა პუბლიცისტური სტატია კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის მუხლის არსებობის მიზანშეწონილობაზე. მოკლედ, სიკვდილით დასჯის აბსურდულობასა და ანტისაზოგადოებრივ ხასიათზე. **შემომთავაზამეთქი,** შემთხვევით არ წამომცდენია — არც ერთ რედაქტორს

არასოდეს მოუვა თავში თანამშრომელს პუბლიცისტური ნაშრომის დაწერა **დაავალოს**. ამგვარი დავალებები, საერთოდ, ბუნებაში არ არსებობს და თქვენც ნუ შეგეშინდებათ, რომ ოდესმე ვინმე ასეთ დავალებას მოგცემთ. იქნებ გთხოვონ, შეგთავაზონ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მანამდე პუბლიცისტური „რაღაც-რაღაცეები“ გიკეთებიათ.

ვატო აბაშიძის წინადადება, მართალია, რთული შესასრულებელი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მივიღე კიდეც. დავიწყე ისტორიით. შევისწავლე რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სტატისტიკა (რაზეც ხელი მიმიწვდა, რა თქმა უნდა), ვესაუბრე უამრავ ადამიანს. ჩემდა გასაოცრად, იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა სიკვდილით დასჯის მომხრე აღმოჩნდა. რაც მთავარია, სხვანაირად ვერც წარმოედგინათ.

უკვე ვიცოდი, რაც უნდა დამეწერა, მაგრამ საჭირო იყო კიდევ რაღაც, რაც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა. ისიც მალე გამოჩნდა: 78 ქალბატონის ხელმოწერილი ოფიციალური განცხადება ერთი კაი თბილისელი ბიჭის მკვლელობაში ეჭვმიტანილის სიკვდილით დასჯის კატეგორიული მოთხოვნით. ეს იყო შემზარავი დოკუმენტი! თუმცა, მაშინდელი პროკურატურისთვის ეს იყო სერიოზული არგუმენტი კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის მუხლის შესანარჩუნებლად. ხუმრობა არ გეგონოთ, — ხალხი ითხოვს განსასჯელის სიკვდილით დასჯას და ეს „ხალხი“ არის 78 ქართველი ქალბატონი — მოსიყვარულე დედა და ბებია, სათნო მეუღლე და ოჯახის დედაბოძი!

მალე „7 დღეში“ ეს სტატია გამოქვეყნდა:

ჯვარს აცუთ ეგე!..

...ნურაფერს ვიტყვით ომებსა და რევოლუციებზე, როცა კაცის კვლისთვის აქეზებენ და აჯილდოებენ ადამიანებს.

იმაზეც ნურაფერს ვიტყვით, აქვს თუ არა ადამიანს ისეთი კანონის შემოღების უფლება, რომელიც მას სხვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლებას ანიჭებს.

მოდი, იმაზე ვიმსჯელოთ, რას აძლევს საზოგადოებას ამგვარი კანონის არსებობა. რატომ, რისთვის უნდა არსებობდეს იგი. დავუშვათ, რომ სიკვდილით დასჯა არსებობს სხვათა

დასაშინებლად, რომ სხვამ აღარ გაიმეოროს ერთის მიერ ჩადენილი ცოდვა.

თუ მართლაც სხვათა შესაშინებლად არსებობს, რატომ ვამბობთ ასე მოკრძალებით: „1984 წლის სამ ოქტომბერს, საღამოს 16 საათზე განაჩენი მოყვანილია სისრულეში“. და რატომ არ ვყვირით ქვეყნიერების გასაგონად: „ჰეი, თქვენ, მკვლელებო, ყაჩაღებო, მძარცველებო, მფლანგველებო და სამშობლოს მოღალატენო! გუშინ, დილის სამ საათზე სიკვდილით დასაჯეს ერთი თქვენისთანა ავაზაკი. განაჩენის შემდეგ იგი 28 თვის განმავლობაში იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში, ყოველ გაფაჩუნებაზე ტანში ზარავდა, ყველგან ჯალათი ელანდებოდა. ზეზეურად ჩამოხმა და დაილია. გონება დაუჩლუნგდა — მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობდა. ბოლოს „ცენტრიდან“ ჩამოვიდა კაცი, რომელიც ზუსტად ურტყამს მიზანში (ეს სამიზნე ცოცხალი ადამიანის გულია). წაიკითხა სიკვდილმისჯილის საქმე, მერე კი მსხვერპლის ნახვა მოისურვა.

კარგად მისმინეთ, რა მოხდა შემდეგ: თქვენნაირ ავაზაკს საკანში ეახლა ახალგაზრდა, ცისფერთვალება და ფუნჩულახელებიანი კაცი. გაუღიმა, გაესაუბრა. უთხრა, რომ „ცენტრიდან“ სპეციალურად გამოგზავნეს. მასთან საუბარი სურს და ამიტომ უფრო შესაფერის ადგილას წაყოლას სთხოვს. დაიმედებული ავაზაკი ენდო, შეჰყვა ოთახში, შემობრუნდა და სწორედ ამ დროს „სტუმარმა“ შიგ გულში დაახალა ტყვია...“

არა, ასე არ ვამბობთ, რადგან ცივილიზებულ სამყაროში ასე არ არის მიღებული. ვამბობთ: „მიესაჯა სასჯელის განსაკუთრებული ზომა...“ „განაჩენი აღსრულებულია“.

თუ სხვათა შესაშინებლად ვსჯით, მაშინ რატომ დავივიწყეთ საჯაროდ ჩამოხრჩობის, დახვრეტის, თავის მოკვეთის, თუ ძელზე გასმის პრაქტიკა?!

რევოლუციის დიდმა ბელადმა ლენინმა შექმნა ტოტალური დაშინების ინსტრუმენტი, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა ასი ათასობით, მილიონობით ადამიანი. იდეურ მოწინააღმდეგეთა გარდა ხვრეტდნენ ქურდებს, სპეკულანტებს, მეძავებს.

და მაინც, საბჭოთა კავშირში ბოლო სამოცდაათი წლის განმავლობაში არნახული ტემპით განვითარდა ქურდობაც, სპეკულაციაც, პროსტიტუციაც.

საზარელი სტატისტიკა

რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში, რომელიც არასოდეს ყოფილა ჰუმანიზმისა და დემოკრატიის აკვანი, ბუნებრივია, მოქმედებდა სიკვდილით დასჯის კანონი. მას იყენებდნენ კიდეც. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ბევრი რამ გაგვიგონია მეფის რუსეთის კანონების სისასტიკეზე. ალბათ, ასეც იყო.

იმ ციფრების სიზუსტეზე, რომლებსაც ახლა გაგაცნობთ, პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ. ისინი აღებულია 1989 წელს მოსკოვში გამომცემლობა „იურიდიჩესკაია ლიტერატურას“ მიერ გამოცემული წიგნიდან „სიკვდილით დასჯა: მომხრენი და მოწინააღმდეგენი“.

1826 წლიდან 1906 წლამდე, მთელი ოთხმოცი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის სასამართლოებმა სიკვდილი სულ 616 ადამიანს მიუსაჯეს. ვიმეორებ, ოთხმოცი წლის განმავლობაში სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა ექვსას თექვსმეტ ადამიანს. მათ შორის იყო 39 დეკაბრისტი და 252 პოლონეთის აჯანყების მონაწილე.

საბოლოოდ, სიკვდილით დასაჯეს ოთხი დეკაბრისტი, ხოლო თავისი სისასტიკით განთქმულმა რუსეთის ჟანდარმერიამ პოლონეთის აჯანყების ვერცერთი მონაწილის მოძებნა ვერ მოახერხა! იმ ოთხმოცი წლის განმავლობაში კიდევ 156 სიკვდილმისჯილს შეუცვალეს სასჯელი, ვერ მოძებნეს კიდევ 28 კაცი. საბოლოოდ, სიკვდილით დაისაჯა სულ 180 კაცი. 180 კაცი 80 წელიწადში!

ვერ გეტყვით, დიდია თუ მცირე ეს ციფრი. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ შეძლო დაედგინა, რამდენი მილიონი ადამიანი დაიხვრიტა საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში.

სხვათა შორის, რუსეთის იმპერიაში იმ წლებში სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის, საერთოდ, სამეურნეო დანაშაულისთვის სიკვდილი არც ერთი ადამიანისთვის არ მიუსჯიათ.

სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც ახლა მოგაწვდით, სავსებით საიმედოა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ გავთქვამ მის წყაროს **(ახლა, რა თქმა უნდა, ინფორმაციის წყაროს დასახელება შეიძლება: ეს გახლდათ საქართველოს გენ-**

ერალური პროკურორის მაშინდელი მოადგილე, შემდეგში პარლამენტის წევრი და იუსტიციის მინისტრი, სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმ-დეგე როლანდ გილიგაშვილი. თ. ქ.).

მაშ ასე, 1971 წლის პირველი იანვრიდან, 1990 წლის პირველ იანვრამდე, მხოლოდ ოცი წლის განმავლობაში, მხოლოდ საქა-რთველოში სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილი — გადაუწყვიტეს 250 კაცს. აქედან ხუთი გარდაიცვალა, ან თავი მოიკლა; 50 შეიწყალეს, 195 დახვრიტეს.

რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში (სადაც საქართველოც შე-დიოდა) ოთხმოცი წლის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს ას ოთხმოცი კაცი, პატარა საქართველოში ოცი წლის განმავლობა-ში — 195!

რუსეთის იმპერიაში სამეურნეო დანაშაულისთვის ოთხმოცი წლის მანძილზე არც ერთი კაცისთვის არ მიუსჯიათ „განსა-კუთრებული ზომა“, საქართველოში — ოც წელიწადში ამ და-ნაშაულისთვის დახვრეტა მიუსაჯეს თორმეტ კაცს! აქედან მხ-ოლოდ ერთი შეიწყალეს, ერთი გარდაიცვალა, ათი კაცი დახვრ-იტეს!

ერთ რამესაც მიაქციეთ ყურადღება: სამეურნეო დანაშაუ-ლისთვის პირველი სასიკვდილო განაჩენი გამოტანილია 1971 წელს (მსჯავრდებული შეიწყალეს); მეორე — ზუსტად ათი წლის შემდეგ: სამაგალითოდ დაისაჯნენ იუზა კობახიძე და ალექსან-დრე ზირაქაძე (მისი დახვრეტა ვერ მოახერხეს, რადგან, ოფი-ციალური ცნობით, გარდაიცვალა ციხეში, ფილტვების კიბოთი, 1981 წლის 15 ნოემბერს). მომდევნო წელს სამეურნეო დანა-შაულისთვის სიკვდილით დასაჯეს უკვე ოთხი კაცი: ამბრო-სი გერგედავა, მიტროფანე კელენჯერიძე, რეზო მსხვილაძე, მიხეილ ჩუმოურიძე. ხუთი კაცი დაისაჯა 1983 წელს — ვახტანგ ბახტურიძე, ვალერი კრუტინი, თენგიზ მავზარაშვილი, უშანგი კერესელიძე, გიორგი სააკაძე. ამის შემდეგ სამეურნეო დანა-შაულისთვის სიკვდილით აღარავინ დაუსჯიათ, თუმცა, ბევრის სიცოცხლე ეკიდა ბეწვზე.

და კიდევ ერთი ინფორმაცია: 1988 წლის ზაფხულში საქართ-ველოს ციხეებში სიკვდილით დასჯას ელოდა 19 კაცი.

...როცა არსებობს კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, მუ-დამ არსებობს საფრთხე, რომ ამას შეგნებულად თუ უნებლიედ

გამოიყენებენ უდანაშაულო ადამიანის მიმართაც. მერე მას შეიძლება დაარქვან „სასამართლო შეცდომა“, „სამწუხარო გაუგებრობა“, უსამართლოდ დასჯილიც გაამართლონ, მაგრამ ეს ბევრი ვერაფერი ნუგეშია.

საქართველოში რომ მოეწყოს რეფერენდუმი სიკვდილით დასჯის შესახებ, საეჭვოა, უმრავლესობამ მის გაუქმებას დაუჭიროს მხარი, რადგან დღეს ვერ ვხედავთ ბოროტებასთან ბრძოლის სხვა რეალურ გზას, დაკანონებული ძალადობის გარდა. და, მაინც, თუ ოდესმე ასეთი დღე დადგა, სანამ საკუთარი ხელით საკუთარ თავს განაჩენს გამოვუტანდეთ, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, გავიხსენოთ, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა „კანონიერმა მკვლელობებმა“, ღმერთიც გავიხსენოთ, რომელიც ღაღადებს — „არა კაც ჰკლა!“ **(„7 დღის“ ინფორმაცია).**

ამ პუბლიცისტური სტატიის გამოქვეყნება საქართველოსთვის ძალიან მძიმე, საყოველთაო ეიფორიის პერიოდს დაემთხვა. ეს ის დროა, როცა ქართული საზოგადოება მთვრალია „მოპოვებული“ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით, მზადაა, მის შესანარჩუნებლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს, ბალახი ჭამოს, მოკვდეს კიდეც, მაგრამ მტერს არაფერი დაუთმოს. ეს არის პერიოდი, როცა სიკვდილზე იოლად ლაპარაკობენ.

საზოგადოების რეაქციაც შესაბამისი იყო — ასიდან 95 მლანძღავდა, ან არ იზიარებდა ჩემს (ანუ — რედაქციის) მოსაზრებებს, 5 აღფრთოვანებული იყო. თანდათან ეს პროპორცია სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეთა სასარგებლოდ იცვლებოდა.

თუ შეიძლება ცოტას მეც წავიტრაბახებ: ეს იყო ერთ-ერთი პირველი პუბლიცისტური სტატია სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით. შემდეგში მეც, ბევრმა სხვამაც ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ვიშრომეთ და მეამაყება, რომ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა — საქართველოს პარლამენტმა სიკვდილით დასჯა გააუქმა და ამაში ჩვენი, ჟურნალისტების მოკრძალებული წვლილიცაა.

პარლამენტსაც, პრეზიდენტსაც, პრესასაც, ყველას, ვინც მონდომებული იყო ამ ანტისაზოგადოებრივი კანონის გაუქმებით, დიდი, ძალიან დიდი ბრძოლა დასჭირდა, ძირითადად, ადამიანის, მოქალაქის მსოფლმხედველობის შესაცვლელად. და მაინც, მგონია, რომ ეს იყო რთული და მძიმე გადასაწყვეტი

პარლამენტის მხრიდან — მაშინ, 90-იანი წლების შუაში ამ თემაზე რეფერენდუმი რომ ჩაეტარებინათ, სიკვდილით დასჯას მომხრეები მოწინააღმდეგეებზე ხუთჯერ მეტი მაინც ეყოლებოდა. მით უფრო დასაფასებელია ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება და გამბედაობაც — იგი ხომ ამომრჩეველთა უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ წავიდა. საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა — ჰკითხეთ თანამედროვეებს, სურთ თუ არა სიკვდილით დასჯის ხელახლა შემოღება!

ინტერვიუ

როცა პუბლიცისტურ ინტერვიუზე ვფიქრობ, მუდამ მახსენდება შესანიშნავი ჟურნალისტი და მოქალაქე ნანა ჯოხარიძე. მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, მას ჰქონდა სწორედ ინტერვიუთი მკითხველზე ემოციური ზემოქმედების არაჩვეულებრივი ნიჭი. ძალიან ძნელია ვინმეს ასწავლო, ისე დააწყოს თუნდაც რომელიმე გენიალური აზრი, რომ მან მსმენელზე ან მკითხველზე ემოციურად იმოქმედოს. პუბლიცისტური ინტერვიუ, შესრულების თვალსაზრისით, უაღრესად რთულია. თუმცა, ამის ერთი შესანიშნავი ნიმუში უკვე ვნახეთ (იამზე ასანიშვილის „გურამ დოჩანაშვილის ცხოვრების პროზა“). ახლა ნანა ჯოხარიძის ინტერვიუც ვნახოთ:

ვერისუბანი. ყოფილი ჯავახიშვილის ქუჩა. პატარა, ძალიან მყუდრო, ზღაპრიდან გადმოხატული წითელკრამიტიანი სახლი.

მონაწილენი: მეუღლე — ნელი მელიქიძე
შვილები — ლიზიკო, გიგილო, აჩიკო
შვილიშვილები — სალომე, ელენე, გიორგი
რძალი — ირინა კალანდაძე
სიძე — გიორგი ბახტაძე

მთხრობელი

ვესტიბიულში ავთო ვარაზის ნახატი კიდია — ახალგაზრდა კაცის პორტრეტი. ეს ჩვენი გმირია. მათთვის, ვინც შორიახლო ან მხოლოდ კაბინეტებიდან იცნობს, ნახატზე უცხო კაცია: ვარაზს ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რაც ყველას დასანახად ზედაპირზე დევს...

ლიზიკო

ორ წელიწადში მომიკვდა დედა, მამა, ბებია, ბაბუა. მეგონა, სულ მარტო დავრჩი. ხომ იცით, ასეთ დროს ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ნათესავები, ვინც დაობლებული ბავშვის აღზრდას იკისრებენ. მაშინაც ასე იყო. მაგრამ აჩიკოს არც დაუშვია, რომ შეიძლებოდა, ვინმე სხვას წავეყვანე.

რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნებოდი, მშობლები რომ მყოლოდა, მაგრამ მე ახლაც ძალიან ბედნიერი ვარ... ის, რაც ნელი მამიდამ და აჩიკომ გამიკეთეს... არ ვიცი, ალბათ, სხვას არავის შეეძლო გაეკეთებინა... აჩიკო ისე მეფერებოდა, ისე მანებივრებდა... ეს ყველაფერი თითქოს იმიტომ იყო ასე, რომ მე ერთადერთი გოგო ვიყავი ოჯახში...

მახსოვს, როცა აჩიკო ტელევიზიის თავმჯდომარედ დანიშნეს, ჩვენ წყნეთში ვიყავით და ტელევიზორით მოვისმინეთ ეს ამბავი. როცა ოჯახურ მდგომარეობაზე თქვეს, გამოაცხადეს, ორი შვილი ჰყავსო. იმავე წუთში დარეკა ტელეფონმა. აჩიკო საშინლად აღელვებული იყო. გვითხრა, ტელევიზორი არ გამორთოთ, უსმინეთო. ზუსტად ხუთ წუთში შეცდომა გაასწორეს — ორი კი არა, სამი შვილი ჰყავსო.

მთხრობელი

ნელიმ კარამდე გამომაცილა. ავთო ვარაზის ნახატისკენ გამექცა თვალი.

— თითქოს არ ჰგავს, არა? — მკითხა თუ ისე, თავისთვის თქვა და იქვე დაამატა: — ბევრი მართლა ვერ ცნობს. ავთომ ნაჭუჭი შემოაცალა, კუნთები, უხეში, ხანდახან მრისხანე გამოხედვა... დატოვა მხოლოდ ის, რაც ჩემთვის ასე ნაცნობია — ბავშვის გულუბრყვილობა და დაუჯერებლობამდე სათუთი, ხელით შეხების რომ შეგეშინდება, ზუსტად ისეთი სული.

ფარდა **(„დრონის“ ინფორმაცია).**

რა თქმა უნდა, შეამჩნიეთ, რომ ნანა ჯოხარიძის ეს ნაშრომი, ცოტა არ იყოს, უცნაური ფორმისაა. გეთანხმებით, იგი მართლაც არ არის ის, რასაც უყოყმანოდ დავარქმევდით ნარკვევს, ჩანახატს, დიალოგს, მონოლოგს ან სხვა რამეს. და მაინც, ეს არის ინტერვიუ, კიდევ უფრო ზუსტად, პუბლიცისტური ინტერვიუ, რომლის მიზანია, მკითხველს მისთვის უცნობი კუთხიდან

დაანახოს საინტერესო პიროვნების შინაგანი სამყარო. ის, რისი დანახვაც, ჩვეულებრივ, ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია. ჟურნალისტის ხელოვნებაც ის არის, რომ მან მკითხველთა თვალწინ წარმოადგინა კაცი თავისი ღირსებებით და ადამიანური სისუსტეებითაც. ამ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ გიჩნდებათ სურვილი, როგორმე სწორედ მის გმირს დაუკავშიროთ თქვენი ბედი, მაგალითად, ხმა მისცეთ საპარლამენტო არჩევნებისას.

ჟურნალისტის ჩანაფიქრიც ეს იყო.

პოლემიკური პუბლიცისტიკა

როგორც ადრე ბევრჯერ ვთქვი, ნებისმიერი ჟანრის პუბლიცისტურ ნაშრომს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, თუ იგი შეეხება კონკრეტულ საქმეს (ამბავს, ფაქტს, მოვლენას...) და აქვს კონკრეტული მისამართი. თანაც, ეს „კონკრეტული საქმე“ და „კონკრეტული მისამართი“ საინტერესო და მტკივნეული უნდა იყოს საზოგადოების ერთი რომელიმე ფენისთვის მაინც. მაგალითად, ლიტერატურული წრეებისთვის საინტერესოა რომელიმე მწერლის შემოქმედებაზე ან ცალკეულ ნაწარმოებზე გამართული პოლემიკა. ხოლო თუ ეს შეეხება, ვთქვათ, გადასახადებს, მაშინ დაინტერესებულთა წრე განუზომლად იზრდება. რა თქმა უნდა, გააჩნია შესრულების დონეს. უფრო ზუსტად, **ჟანრის პოპულარობას სწორედ შესრულების დონე განსაზღვრავს.** როგორც ჟურნალისტური მოღვაწეობის ბევრ სხვა სფეროში, აქაც დიდია „გადამლაშების“ საფრთხე — თქვენ ფიქრობთ, რომ მოცემული თემა ძალიანაც საინტერესოა, მაგრამ ამ დროს მკითხველი, ანუ თქვენი პროდუქციის უშუალო „მომხმარებელი“, შესაძლოა, ასე სულაც არ ფიქრობდეს.

ამოცანა კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ პოლემიკაში, შესაძლოა, მრავალმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა, მათგან კი პუბლიცისტის ნიჭი და შესაძლებლობა ბევრს არ ჰქონდეს, ან უარესი — პოლემიკა, საერთოდ, უსაგნო და უმიზნო აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითებიც მრავლად გვაქვს.

გთავაზობთ გაზეთ „ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყნებულ ორ ნაშრომს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ნიმუშები საუკეთესოა ამ ჟანრში, მაგრამ, ვფიქრობ, მათ გააჩნია ყველა ის ნიშანი, რაც უნდა გააჩნდეს ამ ჟანრის ნაწარმოებს.

გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 1997 წლის 15 იანვრის 2 (13-ში) გამოქვეყნებული წერილების დასტაზე („ვიდეოპატრული 02, ანუ „Приглашение на Казнь“, „სერჟანტმა თქვა“ და „შარო საიდან მოდიხარ“) ლაპიდარული პასუხის გაცემა უბრალოდ შეუძლებელია, რადგან მითითებულ წერილებში ბრალდებათა იმგვარი კორიანტელი დგას, რომ გაზეთს აშკარად „ჯვაროსნული ლაშქრობა“ აქვს გამოცხადებული თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის წინააღმდეგ. „მამხილებელი“ ფაქტების მხატვრული აბსტრაგირების უსუსური მცდელობა, არაპროფესიული ჟურნალისტური გამოკვლევა და ანალიზი ამ „ნაცოდვილართა“ გადაკითხვისთანავე გიქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მათი ავტორები (შეიძლება „ავტორიც“) წესრიგს დანატრებული პიროვნება კი არ გახლავთ, არამედ ბოღმით გულგასიებული ის მძღოლები არიან, რომელთაც საგზაო პოლიციელებმა მოძრაობის წესების დარღვევა არ აპატიეს და მართვის უფლება ჩამოართვეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ, რომ თბილისის საგზაო პოლიციის მრავალასკაციან კოლექტივში მართლაც ერიოს უღირსი, გამომძალველი მუშაკი, მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას ლაფში ამოთხვაროს მთელი სამსახური, რომელიც ძალას არ იშურებს ქალაქში სათანადო წესრიგის დასამყარებლად, არც თუ იშვიათად ებმება უთანასწორო ბრძოლაში შეიარაღებული ბანდიტების წინააღმდეგ და ასევე იშვიათად გამოდის ამ ბრძოლიდან უდანაკარგოდ.

რაც შეეხება ბატონ თეიმურაზ ქორიძის წერილს „სერჟანტმა თქვა“, მისი შინაარსიდან ადამიანი ვერ დაადგენს, რომელ ჟანრს ეკუთვნის იგი — მოთხრობაა თუ ფელეტონი. მიუხედავად ამისა, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ბატონმა თეიმურაზ ქორიძემ დააკონკრეტოს ანონიმი სერჟანტის ვინაობა. ეს აუცილებელია სერჟანტ „გრაკლელის“ მიერ წამოყენებულ ბრალდებათა გამოსაკვლევად, რათა პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, ვინც მას სამუშაოში მიღებისათვის გამოსძალეს 1.000 დოლარი, და ახლაც აგრძელებენ ფულის გამოძალვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულიც კი ვართ მივმართოთ სასამართლოს და მოვითხოვოთ მორალური სატისფაქცია იმ დაუმსახურებელი შეურაცხყოფისათვის, რაც თქვენმა გაზეთმა მითითებული პასკვილებით მოგვაყენა. აქვე აღვნიშნავ, რომ მე,

როგორც თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევ „სერჟანტ გრაკლელს“, თუ მის მიერ წამოყენებული ბრალდებების თუნდაც ერთი ფაქტი დადასტურდება.

პატივისცემით,

ქ. თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი...

მაშ ასე — დუელი!
რა იარაღს მთავაზობთ, ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო?

...რადგან ასეთი რისხვა დავიმსახურე, ეტყობა, სათქმელი კარგად ვერ ვთქვი. ახლა უფრო გასაგებად ვიტყვი: საგზაო პოლიციის იმ თანამშრომლებით თუ ვიმსჯელებთ, ვინც უშუალოდ ქუჩაში დგას, ამ სამსახურში კატასტროფული ვითარებაა შექმნილი — უკლებლივ ყველა საგზაო პოლიციელი არის გამომძალველი. საგზაო მოძრაობის წესის დაცვა არავის არ აინტერესებს. პირიქით, თითქმის ყველა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი დარღვევისა და დამრღვევის არსებობით. იმასაც მოგახსენებთ, რომ ამაში ყველაზე ნაკლებ დამნაშავე სწორედ პოლიციის თანამშრომელია. ვიდრე იგი საკუთარი ხელფასით ოჯახის შენახვას ვერ შეძლებს, არაფერი გამოსწორდება. სხვა სიტყვებით, პოლიციელი იძულებულია აკეთოს ის, რასაც აკეთებს.

მოდი, ერთობლივად, პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩავატაროთ მოქალაქეების გამოკითხვა: — არის თუ არა საგზაო პოლიციელი გამომძალველი? თუ გამოკითხულთა ხუთი პროცენტი უარყოფით პასუხს გაგვცემს, სასამართლომ რომც არ მომისაჯოს, საკუთარი სურვილით მოვიხდი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს საჯარო ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის.

ძლიერ მეეჭვება, ბატონმა ვიცე-პოლკოვნიკმა და საგზაო პოლიციის სამსახურის სხვა ხელმძღვანელებმა ჩემზე უკეთ არ იცოდნენ, როგორ იქცევიან მათი თანამშრომლები.

სხვათა შორის, ბანდიტებთან უთანასწორო ბრძოლა არ გახლავთ საგზაო პოლიციის პრეროგატივა, ამისთვის სხვა სამსახურები არსებობს.

რაც შეეხება ჟურნალისტური ჟანრების დადგენას, არც ეს შედის საგზაო პოლიციის უშუალო მოვალეობაში. საერთოდ, რომელიმე ნაწარმოების რომელიმე ჟანრისთვის მიკუთვნება უმადური და სარისკო საქმეა.

სამწუხაროდ, ვერ შევასრულებ ბატონი ვიცე-პოლკოვნიკის კატეგორიულ მოთხოვნას სერჟანტ გრაკლელის ვინაობის დაკონკრეტების თაობაზე.

თუ ჩემი ამგვარი პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, მიმართეთ სასამართლოს, რომელსაც აგრეთვე არ გავუმხელ სერჟანტის ვინაობას. მე ამის იურიდიული უფლება მაქვს.

ახლა ორიოდე უწყინარი შენიშვნა, რომლებიც პოლიციის სამსახურების ზოგიერთ ხელმძღვანელს უთუოდ გამოადგება მომავალი პასუხის დაწერის დროს. სამეცნიერო ტერმინი „ლაპიდარული“ ნიშნავს უკიდურესად ლაკონიურს, მოკლეს და იხმარება ძველ (რომაულ) ძეგლებზე გაკეთებული წარწერების დასახასიათებლად. „ლაპიდარული პასუხი“ — უხერხული გამოთქმაა.

ტერმინი „სატისფაქცია“ ნიშნავს შეურაცხყოფილის მიერ შეურაცხმყოფელის ორთაბრძოლაში, დუელში გამოწვევის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. დუელი, ჩვენთან, მართალია, კანონით აკრძალულია, მაგრამ თუ ბატონი ვიცე-პოლკოვნიკი ამას კატეგორიულად მოითხოვს, დავეთანხმები. იარაღის შერჩევაც მისთვის მიმინდვია.

ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, ჩემი მოკრძალებული თხოვნაა, შეძლებისდაგვარად ერიდოთ რთული (მით უფრო, უცნობი) მეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებას. სალიტერატურო ქართულ ენაზე, მადლობა ღმერთს, ყველანაირი აზრის გამოთქმა შეიძლება **(„ტფილისის უწყებანის“ ინფორმაცია).**

წაიკითხეთ? — მაშინ უთუოდ დაგრჩებოდათ უკმაყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ საგზაო პოლიციის წარმომადგენლისთვის გაცილებით უფრო მკვახე პასუხის გაცემა შეიძლებოდა. მაგრამ აქ არის ერთი უხერხულობა, რამაც ჟურნალისტი აიძულა უფრო თავშეკავებული ყოფილიყო.

ყველა პროფესიონალი ჟურნალისტი ადვილად დაინახავდა, რომ წერილი, რომელსაც ვიცე-პოლკოვნიკი აწერს ხელს, არ არის უშუალოდ მისი დაწერილი და, ბუნებრივია, ავტორის არგუმენტაცია ვერ სცდება ფუჭი მაღალფარდოვნების საზღვრებს. მოკლედ, რედაქციისადმი გაგზავნილი წერილი, ფაქტობრივად, ანონიმური და ამიტომ გულგრილად შესრულებულია — რო-

გორც წესი, პოლიციის ჩინები ასე არ იქცევიან. მათ შეიძლება ბლომად სტილისტური, ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები მოუვიდეთ, მაგრამ გულწრფელად წერენ. მართალია, თემა მართლაც საჭირბოროტოა, მაგრამ ანონიმ ავტორთან კამათი უღირსი საქციელია. ჟურნალისტი გრძნობს თავის დიდ უპირატესობას და სავსებით სამართლიანად არ ამწვავებს ვითარებას.

ამას, სხვათა შორის, მიხვდა ადრესატიც. მას არც დუელი მოუთხოვია და აღარც კამათი გაუგრძელებია. მივაგოთ კეისარს კეისრისა — იგი ღირსეული ოპონენტი აღმოჩნდა. აქვე იმასაც დავამატებ, რომ **პუბლიცისტური პოლემიკის მიზანი არ არის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა და გამარჯვებულის უეჭველი გამოვლენა. პოლემიკა მაშინ უნდა შეწყდეს, როცა თქვენ (ჟურნალისტს) შესამჩნევი უპირატესობა გაქვთ, ხოლო თუ გრძნობთ, რომ ცდებით, სასწრაფოდ მოიხადეთ ბოდიში და ამით დაამთავრეთ. ბოდიშის მოხდაც ღირსეული საქციელია.**

პუბლიცისტური ინფორმაცია. ესარისრაიმემნიშვნელოვანი ინფორმაცია მოკლე კომენტარით. ოღონდ, თუ ამ ინფორმაციის პუბლიცისტურ ჟანრზე მიკუთვნება გსურთ, იგი მართლაც რეზონანსული უნდა იყოს. ავტორმა უნდა შეძლოს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდება, რომ მკითხველი დააინტერესოს.

პუბლიცისტური ინფორმაციისთვის დამახასიათებელია უკიდურესი ლაკონიურობა. შედარებით მეტი ადგილი უნდა დაეთმოს კომენტარს, თვით ფაქტისთვის ე.წ. „საზოგადოებრივი ყლერადობის“ მინიჭების მიზნით.

ინფორმაცია, რომელიც უკვე მსოფლიომ იცის

20 მაისს, დაახლოებით დღის თორმეტის ნახევარზე, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ცხინვალი-ჯავის გზაზე, სოფელ კეხვთან ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანებს, რომლებშიც ოსი ეროვნების მოქალაქეები, ძირითადად, ქალები და ბაშვები ისხდნენ.

შედეგი შემზარავია — ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 32 ადამიანი. არიან მძიმედ დაჭრილები (რუსეთის ტელევიზიის ცნობით, დაიღუპა 50 ადამიანი).

უნდა ვაღიაროთ: ის, რაც 20 მაისს მოხდა, მოულოდნელი არ

ყოფილა. იგი არის შედეგი ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე ყოვლად უგუნური ნაციონალისტური პოლიტიკისა. გავიხსენოთ, რა ჯიუტად, ხელაღებით იქმნებოდა მტრის, მოღალატის, აგენტის ხატი; რა გულგრილობით ლანძღავდნენ, ლაფს ესროდნენ, ავიწროვებდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს; რა მონდომებით უპირისპირებდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანებს, პარტიებს, ქალაქს და სოფელს, მამაკაცს და ქალს, დედას და შვილს..

უკვე რამდენი მაგალითი დაგვიგროვდა ადამიანებით ვაჭრობისა! XX საუკუნის მიწურულს ქართველი კაცი ადამიანს იტაცებს და ფულზე ჰყიდის.

ამას ჩვენ ვაკეთებთ, ქართველები, უდიდესი და უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრე ერი.

სხვას ნურაფერს დავაბრალებთ — ჩვენ, ქართველები ჩვენი ხელით ჯიუტი თავდაჯერებით ვითხრით სამარეს.

დღესაც გაისმის მოწოდებები „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის“ შესახებ. არა, მომხვდური მტრის წინააღმდეგ კი არა, — ჩვენივე ჯიშის, ჩვენივე გვარის, ჩვენივე სისხლის წინააღმდეგ! თურმე, შეგვიძლია, ვიღაცის ფრიად საეჭვო პოლიტიკურ ამბიციებს გადავაყოლოთ ნორმალური ადამიანისთვის ყველაზე სანუკვარი და საფიცარი რამ — სამშობლო.

როცა ამდენი უაზრო შურისძიების, სისხლის ღვრის, ადამიანთა ცოცხლად დაწვის, თუ მსხვერპლად შეწირვის ამბავი გესმის, უნებლიედ გიპყრობს ფიქრი: ჩვენი, ქართველთა ადგილი აღარ არის თანამედროვე მსოფლიოში — ჩვენი ადგილი ისტორიაშია“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა მაშინ, როცა საქართველოში ყოვლად გაუგონარი და ქართული სინამდვილისთვის სრულიად უცხო ქსენოფობია მძვინვარებდა. ბუნებრივია, მას უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა, როგორც ხელისუფლების, ისე ოფიციოზის მხრიდან: ამ ინფორმაციის ავტორი არის ქართველი ერის მოსისხლე მტერი, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი, ერის მოღალატე, სისხლის სამართლის დამნაშავე და ა.შ. პოლემიკაში მონაწილეობდა მასობრივი ინფორმაციის უკლებლივ ყველა საშუალება და საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი — ე. წ. ელიტური ინტელიგენტიდან დაწყებული, ცხინვალელი ლტოლვილითა და რომელიღაც კოლეჯის მოსწავლით დამთავრებული. ჩემდა გასაოცრად, მათ შორის აღმოჩნდნენ

ჩემი კოლეგებიც, ის ადამიანები, რომლებიც ძალიან კარგად მიცნობდნენ და მეგობრობდნენ კიდეც ჩემთან.

ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ხუთი წლის შემდეგაც კი, ერთ-ერთმა ქართულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, სადაც ამ პუბლიცისტური ინფორმაციის ავტორი მოხსენიებული იყო ქვეყნის დამაქცევრად და პრეზიდენტ გამსახურდიას ერთ-ერთ მკვლელად.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქვეყანა დაწყნარდა და ახლა იმ ბრალდებების გამეორება თავში აღარავის მოუვა. ჩემი განმაქიქებლებლიც მიხვდნენ საკუთარ შეცდომას და ბევრმა ბოდიშიც მოიხადა. ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ავტორის ადგილზე.

ასეთია ცხოვრება — ზოგჯერ იქნებ დაუმსახურებლად გაქონ, ზოგჯერ, ასევე დაუმსახურებლად გლანძღონ. ჟურნალისტი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

პუბლიცისტური ჩანახატი. ეს არის ჩანახატის ფორმის პუბლიცისტური ჟანრის ნაშრომი. ამგვარი ნაშრომები, ძირითადად, სოციალურ თემებზე იქმნება და, როგორც წესი, მკითხველს ცრემლს მოჰგვრის ხოლმე. თუ ასე არ მოხდა, პუბლიცისტური ჩანახატი უმიზნო ან ცუდად შესრულებული ყოფილა. თუმცა, წაიკითხეთ ეს ნაშრომი და თავად განსაჯეთ, მიაღწია თუ არა ავტორმა მიზანს:

...ის იყო გასასვლელისაკენ გავემართე, რომ ვიგრძენი, როგორ აფათურებდა ხელს ვიღაცა ჩემს უკვე დაცარიელებულ ჯიბეში. ხელი ხელში ვტაცე და მივბრუნდი: საკმაოდ სიმპათიურად ჩაცმული, წვერგაპარსული შუახნის მამაკაცი საცოდავი გამომეტყველებით მიყურებდა.

— არა გრცხვენია, ჯიბეში მიძვრები ამხელა კაცი?

სეირის მაყურებლები სწრაფად შეჯგუფდნენ ჩვენს ირგვლივ.

— რა ვქნა... სახლში მელოდებიან... ორი ბავშვი.. — მძიმედ, სვენებ-სვენებით ამოღერღა.

ვიგრძენი, სიმართლეს მეუბნებოდა.

— წამოდი ერთი, მაჩვენე, რა დამშეული ბავშვები გელოდებიან. ტყუილი რომ გამოდგეს, შენ თავს დააბრალე!

გუნებაწამხდარი დამმორჩილდა და გამომყვა. მანქანამდე ხმა არ ამოუღია. როგორც კი ჩავსხედით, მისამართი მითხრა და არც მერე გაუცია ხმა...

რვასართულიანი სახლის ბოლო სართულზე ავედით.

გასაღები გადაატრიალა და კარი შეაღო. შესასვლელში ორი უსუსური არსება იდგა. არაჩვეულებრივად ნათელი და მართალი ორი წყვილი თვალი მომშტერებოდა.

— მამიკო, ეს კაცი შენი ამხანაგია? — ჰკითხა გოგონამ, რომელიც ერთი წლით თუ იქნებოდა უფროსი თავის დაზე.

— ჰო, შვილო.

ბავშვები ოთახში შეცვივდნენ. მეც შევყევი. სტანდარტულად მოწყობილი ოთახი: მაგიდა, სკამები, ტახტი, ორი სავარძელი. ოთახის კუთხეში, კედელზე, თაბაშირის ჩარჩოში ჩასმული სარკე...

ერთადერთი, რისი ნაკლებობაც ვიგრძენი ირგვლივ გამეფებულ სისუფთავესა და სიღარიბეში, ქალის ხელი იყო.

— ჩემი ცოლი (ამ სიტყვის გამოთქმა ძალიან გაუჭირდა) თურქეთშია, მუშაობს, მაგრამ ჯერჯერობით ფულს ვერ გვიგზავნის, — თითქოს მიმიხვდა აზრებს, — მე... მე... რა თქმა უნდა, არ ვიქცევი სწორად, მაგრამ, დამიჯერეთ, ამდენ მათხოვრობას და ვალებს ვეღარ ავუდივარ. როგორც გინდათ, ისე გამიგეთ, თქვენი ნებაა...

სუნთქვაშეკრულმა ჩავირბინე კიბეები, ავტომანქანიდან ჩემი ჩანთა გამოვათრიე და ქოშინით ავიტანე მერვე სართულზე... შესასვლელში როგორც დავტოვე, ისევე იდგნენ.

— თოვლის ბაბუა მოვიდა! — როგორც შემეძლო მხიარულად ვთქვი, ჩანთა დავდე და გამოვბრუნდი.

კარი ნუციკომ გამიღო, ჩემმა ხუთი წლის გოგონამ.

— მამა, არაფერი მოგიტანია? — გაოცებულმა მკითხა.

— არა, შვილო, დღეს თოვლის ბაბუა სხვასთან მივიდა!“ **(„ტფილისის უწყებანის“ ინფორმაცია).**

ავტორს სურდა მკითხველისთვის დაენახვებინა ქვეყნის სოციალური კატასტროფა. დაუკვირდით „ქურდის“ ნათქვამს: **„ჩემი ცოლი (ამ სიტყვის გამოთქმა ძალიან გაუჭირდა) თურქეთშია, მუშაობს, მაგრამ, ჯერჯერობით, ფულს ვერ გვიგზავნის“.**

თავად ამ სიტყვების მთქმელისა არ იყოს, მეც ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც თქმა სჯობს: იმ პერიოდში, უკიდურესი გაჭირვების გამო ქართველი ქალები მართლაც ხშირად მიდიოდნენ სამუშაოდ მეზობელ თურქეთში. ეს „სამუშაო“, ძირითადად, იყო ძველმანებით ვაჭრობა და... მეძავობა. იმ ხანდაზმული, სიმპათიური კაცის ცოლი და იმ „ორი უსუსური არსების“ დედა ცხოვრებამ

აიძულა თურქეთში ეძებნა ბედი. სამწუხაროდ, უშედეგოდო, გვამცნობს ავტორი („ჯერჯერობით ფულს ვერ გვიგზავნის“).

თუმცა, ბოლო მაინც ბედნიერია — მშიერ ბავშვებთან თოვლის ბაბუა მიდის — სოციალურმა სიდუხჭირემ ვერ მოკლა ადამიანობა.

ჩემი აზრით, ეს არის ამ პატარა ჩანახატის დედააზრი.

ასეთი რამ რომ დაწეროთ, ყველაფერი ეს უნდა ნახოთ და უნდა განიცადოთ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ დიდი ოსტატობაცაა საჭირო.

ირონიული პუბლიცისტიკა

ჟურნალისტიკაში ხშირად იქმნება ვითარება, როცა მკითხველ ზეემოციური ზემოქმედებისსაშუალებადავტორებისწორედ ირონიას ირჩევენ. ოღონდ, ძალიან ფაქიზი და წინდახედული მოქმედება, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ კეთილგანწყობილი ირონია ცინიზმში არ გადაიზარდოს, მსუბუქი იუმორი — დაცინვაში, ნაკლის აღნიშვნა — შეურაცხყოფაში, გაუგებრობა — საჯარო ცილისწამებაში. კაცმა რომ თქვას, თქვენს ნაშრომში შეგიძლიათ მართლაც მწარედ დასცინოთ პირობით ოპონენტს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ არსებობს სახელმწიფო, სადაც ჟურნალისტური ეთიკის ნორმების გარდა მოქმედებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც იცავს ადამიანის კანონიერ უფლებებს. ამიტომ თქვენი ოდნავი გადაჭარბება, ანუ, როგორც კახელები იტყვიან, „დაუკრეფავში გადასვლა“, შესაძლოა, სავალალოდ დამთავრდეს.

მართალია, ზემოთ ვთქვი, გაზეთი ერთი დღე ცოცხლობს-მეთქი, მაგრამ თქვენი განზრახ ნამოქმედარი თუ უნებლიე შეცდომა იმ ერთდღიან გაზეთში იქნებ სასამართლოებში მრავალთვიანი მსჯელობითაც ვერ გამოსწორდეს.

თქვენი მომავალი პუბლიცისტური ნაშრომისთვის ფორმის შერჩევა მხოლოდ თქვენი პრეროგატივაა — ასეთ დავალებას დედამიწაზე არც ერთი რედაქტორი არ იძლევა! ამიტომ, თუ ბეწვის ხიდზე გავლა გეეჭვებათ, ნუ გაირთულებთ ცხოვრებას, ნუ დადებთ სასწორზე თქვენს ჟურნალისტურ რეპუტაციას — აკეთეთ ისე, როგორც იცით, როგორც შეგიძლიათ.

ამქვეყნად უამრავი ცოდვა-ბრალი ტრიალებს და უამრავი

ისეთი რამეც ხდება, ყურადღების ღირსი რომ არ არის. ირონიის საგნად ზოგჯერ ძალზე უმნიშვნელო მოვლენას ან უმნიშვნელო პიროვნებას ირჩევენ. ეს არის შეცდომა. ირონია არის გამანადგურებელი იარაღი ჭკვიანი და ნიჭიერი კაცის ხელში. როცა საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელ ფაქტზე, ან ყოვლად უმნიშვნელო ადამიანზე, თუნდაც უდახვეწილესი იუმორით, რაიმეს დაწერთ, ეს ბელურებზე ზარბაზნებით ნადირობას ჰგავს და სერიოზულ ჟურნალისტს არ ეკადრება. სხვა საქმეა, ვინ შეაფასებს მნიშვნელობის ხარისხს, ანუ ზუსტად ვინ განსაზღვრავს, რა (ვინ) არის მნიშვნელოვანი და რა (ვინ) — არა. რთული პრობლემაა, მაგრამ გამოსავალი არის. მაგალითად, ასეთი: **სანამ ამ ურთულეს ჟანრს შეეჭიდებოდეთ, კარგად დაფიქრდით, შეძლებთ თუ არა ასე მძიმე ტვირთის აწევას.**

ახლა იმაზეც დავფიქრდეთ, რა შეიძლება მოხდეს თქვენი უმშვენიერესი ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ. უფრო ზუსტად — გამოქვეყნებისთანავე.

არ არის გამორიცხული, რომ შეგაქონ კიდეც — წარმოიდგინეთ, ჟურნალისტიკაში ასეთი რამეებიც ხდება! მაგრამ უფრო ხშირად ხდება სხვა რამ — თქვენი შესანიშნავი პუბლიცისტური ნაშრომისა და ყოვლად კეთილშობილური განზრახვის გამო ლანძღვა-გინების ისეთ კორიანტელს მიიღებთ, „სიზმრადაც რომ არ მოგლანდებიათ.“ რას იზამთ, ადამიანების უმრავლესობას იუმორის გრძნობა ან არა აქვს, ან ძალიან დაჩლუნგებული აქვს. თუ ირონიაზე ლანძღვით გპასუხობენ, უნდა მოითმინოთ, ან შეურაცხმყოფელს სასამართლოში უჩივლოთ. ასეთ ოპონენტთან პრესაში კამათს არავითარი აზრი არა აქვს — უეჭველად დამარცხდებით.

ირონია, მისი სიმწარის მიუხედავად, შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც კეთილგანწყობილი — ოპონენტის მოქმედებაში (ნაშრომში) თქვენ მწარედ დასცინით მთავარს და გულთბილად და ყოვლად სერიოზულად მოიხსენიებთ მეორეხარისხოვანს. იმის გარდა, რომ ამით მოწინააღმდეგის ერთგვარ სიმპათიას იმსახურებთ და მკითხველში ობიექტური კაცის სახელს იხვეჭთ, უკან დასახევ გზასაც იტოვებთ.

არსებობს მეორე გზაც — ოპონენტის მოქმედებაში რაციონალურს ვერაფერს ხედავთ, ან არ გინდათ დაინახოთ. ამიტომ „ქვას ქვაზე არ ტოვებთ“, ყველა ხიდს წვავთ და უკან დასახევ ყველა გზას იჭრით. დავარქვათ ამას პირობითად „ბოროტი ირო-

ნია“. ნუ გაგიკვირდებათ — ზოგიერთი მოვლენა და ზოგიერთი ავტორი ალალად იმსახურებს „ბოროტ“, გამანადგურებელ პუბლიცისტური ჟანრის კომენტარს.

ახლა მაგალითებსაც შემოგთავაზებთ. ჯერ „კეთილგანწყობილი“ ირონიული პუბლიცისტიკისა, შემდეგ — „ბოროტისა“.

გრუპპენლექსი და თანამედროვე ქართული ავანგარდული ლიტერატურა

სოფლის ბოლოში კი ტურები ყმუიან ნაზად... (ლექსიდან „სიკვდილის ჰიმნი“)

ლიტერატურის მოყვარულებს საქმე მისალოცად აქვთ: ჯერ კიდევ 1994 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის* სახელობის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტის, სერგი ლომაძის ინიციატივით ჩამოყალიბებულა ლექს-ჯგუფი „დემონი“, რომელიც ლიტერატურაში უზარმაზარი რეფორმის გატარებას გვპირდება. თუმცა, რეფორმა რას მიქვია, „ჩვენ შოთა რუსთაველი უნდა შევცვალოთ, საიდუმლო ლიტერატურა გვაქვს, იმას მალე გამოვაქვეყნებთ და მერე ნახეთო“, — ბრძანა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ლექს-ჯგუფის ხელმძღვანელმა.

საიდუმლო ლიტერატურის გამოქვეყნებამდე კი ლექს-ჯგუფმა გამოსცა წიგნი „დემონის მოვლინება“. აქ არის ლექსებიც, მოთხრობებიც, რომანებიც. მოკლედ, წიგნი ლიტერატურის მოყვარულებს თუ სრულს არა, ნაწილობრივ წარმოდგენას მაინც შეუქმნის დემონელების ჯგუფურ შემოქმედებაზე.

მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედავ ლექს-ჯგუფის წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა შემოქმედების დახასიათებას. შემოგთავაზებთ ორიოდე ციტატას წიგნის წინასიტყვაობიდან:

„იგი (კახა ბაციკაძე) თავისი ლექსების გარანდვაზე არ ზრუნავს, — ეს არის ფორმით დაუმუშავებელი, არადამაკმაყოფილებლად გარითმული პოეტური ნიმუშები, მაგრამ მათში უნიკალურადაა გამოყენებული საოცარი ხილვები, რომელნიც მიილტვიან სიყვარულის აპოთეოზისაკენ და ცაში გადაზრდილნი მარადისობას ერთვიან“.

აქ რომ კახა ბაციკაძე არ იყოს ნახსენები, ვიფიქრებდი, ეს სიტყვები, ალბათ, ზურიკელა ვაშალომიძემ მისწერა თავის მერისმეთქი.

გრუპპენლექსის (ლექს-ჯგუფის) მამას განსაკუთრებით მოსწონს კახას ლექსები „სიკვდილის ჰიმნი“ და „დაე იმეფოს ქვეყნად დემონმა“...

გთავაზობთ ერთ პასაჟს სერგი ლომაძის აღმაფრთოვანებელი ლექსიდან „სიკვდილის ჰიმნი“: **„საფლავები იხსნება, ამოდიან ახდილი კუბოები გვამებით და დაფრინავენ ჰაერში. ვირთხები მისევიან სხეულის მიმოფანტულ ნაწილებს, რათა გამოწოვონ რაც შეიძლება ბევრი სისხლი და გაიბერონ გაუმაძღარი მუცელი...“**

ლექსისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კახა, ჩემი აზრით, ვერ ერკვევა მედიცინაში — ვირთხები გვამებს სისხლს წოვენო, რომ ამბობს, ამას, აბა, დემონელების გარდა რომელი პოეტი დაიჯერებს!

სერგი ლომაძე: „პოეტი არ დაკმაყოფილდა მარტო ლექსებით. იგი პროზის საზღვრებშიც შეიჭრა. აქ კახამ შექმნა ორი შედევრი: პირველი — „სილურჯე“ — განდიდება სწორუპოვარი სიყვარულისა, და მეორე — „ალფრედი — ადამიანი, რომლის ცხოვრებაც ლეგენდად იქცა“.

მე ყურადღებით წავიკითხე ორივე შედევრი (ამას დაახლოებით 10-12 წუთი სჭირდება) და შემიძლია თამამად მოგახსენოთ, რომ კახას ამ ნაწარმოებებში არის ყველაფერი: სიყვარული პირველი დანახვისთანავე, შავი ვარდების კონა, ალერსი, სატრფოს მოულოდნელი სიკვდილი, საფეთქელზე მიბჯენილი დამბაჩა, ატირებული ქვა და მისთანანი: „შორს მოვისროლე იარაღი და ტირილით დავემხე მიწას. გამახსენდა მისი სიტყვები: „ნეტავი თოლიები ვიყოთ!.. გავფრინდებოდით სადმე შორს, ყველაზე კარგ ადგილას, სადაც შესაძლებელია სიმშვიდისა და მყუდროების პოვნა. ვიცხოვრებდით ჩვენთვის ბედნიერად და დროს მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულში გავატარებდით...“

ოჰ, რა მშვენიერი და გულისამაჩუყებელი სიტყვებია, მაგრამ ისინი ხომ უკვე დიდი ხანია უთხრა თამუნიამ ქრისტეფორეს (ელდარ შენგელაიას ფილმში „შერეკილები“).

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ჯგუფური შემოქმედების არც ისე ბევრ მაგალითს იცნობს: ძმები გრიმები, ილფი და პეტროვი, მარქსი და ენგელსი... შოთა რუსთაველიც, დავით გურამიშვილიც*, ვაჟაც და გალაკტიონიც* ინდივიდუალისტები იყვნენ. ერთობლივად შეიძლება დაიწეროს კოლექტიური საჩივარი სახლმმართველობაში, ღია წერილი პრეზიდენტისადმი, სა-

სამართლოს განაჩენიც კი, მაგრამ არა ლიტერატურული ნაწარმოები. „დემონელების“ ჯგუფური პოეზია გაუკულმართებული ლექსუალური ურთიერთობების შთაბეჭდილებას ტოვებს და არა ავანგარდიზმისა, როგორც ეს გრუპპენლექსის მოყვარულებს წარმოუდგენიათ.

წიგნს ახლავს პოეტ ზაურ კალანდიას ბოლოსიტყვა. ბატონი ზაური, ეტყობა, დიდხანს ეკამათა „ავანგარდისტებს“, მაგრამ ვერაფერში დაარწმუნა. „წიგნში, ქვიშა-შლამთან ერთად ოქროს ნამცეცებია უხვად გაბნეული, ანუ ნამდვილი პოეზიაც და ეს მაწერინებს ამ ბოლოსიტყვასო“, ბრძანებს ზაურ კალანდია და მართალსაც ბრძანებს. ეს სიტყვებიც ამ წიგნიდანაა: „ტყეში საღამო მოდის, ფრთებით დაბურავს ბილიკს, დაღონებული ჭოტი იწყებს ხეებთან ქილიკს“.

სამწუხაროდ, არ ვიცი, რომელ „დემონს“ ვუთხრა მადლობა ამ მშვენიერი ლექსისთვის („ტყეში“).

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთაველის „დამმარხველ“ პოეტებს წაკითხული უნდა ჰქონდეთ ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის* ლექსები და გი დე მოპასანის* რომელიმე რომანიც კი **(„ტფილისის უწყებანის“ ინფორმაცია).**

ირონიული პუბლიცისტიკის ნიმუში, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ეკუთვნის ჩემს მეგობარს, გურამ შამანიდს. იგი შესანიშნავი ექიმია, ქირურგი. ჟურნალისტიკაში არასოდეს უმუშავია. „დაწვი სვეტიცხოველი...“ მისი პირველი ჟურნალისტური ნაშრომი და... ირონიული („ბოროტი“) პუბლიცისტიკის ნიმუშია.

გურამმა შემდეგ კიდევ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მისი პირველი პუბლიკაცია ციდან არ ჩამოვარდნილა, რომ მას მართლაც მოსდევს ძალა ქადილისა. თუმცა, მისი მაგალითი მაინცდამაინც მისაბაძი არ უნდა იყოს — იმ ასაკში, როცა გურამ შამანიდმა პუბლიცისტიკაში ძალების მოსინჯვა დაიწყო, ჟურნალისტები, როგორც წესი, აქტიურ საქმიანობას თავს ანებებენ და რომანების ან მემუარების წერას იწყებენ. ეს ისე ვთქვი, ჩემი ძველი მეგობრის გასაღიზიანებლად. ახლა კი დაპირებული მაგალითი, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველოს ერთ-ერთ უმწვავეს საკითხს, ეროვნულობას ეხება. უფრო ზუსტად, ავტორი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ცრუ-პატრიოტიზმს.

დაწვი სვეტიცხოველი — ერი დაგიმახსოვრებს

ღია წერილი შაროს შამოსგან

ჩემი გურული ბებია ამბობდა: — ვიტყვი — ცუდი ვარ, არადა, გავსკდი გულზეო. ჰოდა, გულზე რომ არ გავსკდე, რამდენიმე სიტყვა უნდა ვუთხრა ჩემს განსწავლულ სეხნიას, გურამ შარაძეს.

აღარ მოგბეზრდა, კაცო, ამდენი დავა და ჩხუბი? სხვა საქმე არა გაქვს დეპუტატ კაცს? თუ მაინცდამაინც უნდა გაგლახოს ვიღაცამ?

ან რა პრობლემები გაწუხებს? ჯერ იყო და, ალიაქოთი ატეხე: არიქა, სომეხს პასპორტში სომეხი ჩავუწეროთო. მერე — ჩვენი რელიკვიები არავის ვანახოთო. ახლა იეღოველებს დაერიე და გაწყვეტას უპირებ.

გეყო რა, კაცო! ნუ გადაჭამე ამ ქართველობით და ქრისტიანობით ქვეყანას თავი!

ვითომ ერის შენარჩუნებაზე რომ ფიქრობ, პროფესორმა კაცმა ხომ უნდა იცოდე, რომ ყველამ, ვისაც თავისი ჯიში და ჯილაგი არ უყვარს, უკვე დიდი ხანია გამოიცვალა გვარი და ბაგრატიონი თუ არა, დადიანი მაინც გახდა?

ჩაწერე შარო! რაც შენ გსურს, ის ჩაწერე პასპორტებში! გინდ ჩინელი ჩამიწერე. მე ვისაც ვუყვარვარ, მაინც ვეყვარები და კვლავაც სოლოლაკელი შამო ვიქნები.

რა გააჭირე საქმე ამ „არაქართველებით“? გამაგებინე ერთი, ვინ არიან ეს არაქართველები? ნუთუ ვერ უნდა გაიგო, შე სწავლულო, შენა, რომ სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი და ბერძენი — სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი და ბერძენია და არავითარ შემთხვევაში — „არაქართველი“. ვეღარ უნდა გაიგო, რომ ამ სიტყვამ დააქცია საქართველო?

სანამ შენნაირები არ დაივიწყებენ სიტყვა „არაქართველს“, მანამ იქნება საქართველოში სეპარატიზმიც, ცენტრიდანული მოძრაობაც და სხვა ათასი უბედურებაც.

შენ თუ მოგწონს „Лицо кавказской национальности“-ს რომ გეძახიან? ასე ღიზიანდება სხვაც, როდესაც დადგები და ბერძენს, რუსს, სომეხს „არაქართველს“ უწოდებ, შე დემოკრატო, შენა!

როგორ ფიქრობ, რა უნდა მეწეროს პასპორტში მე, თბილისში დაბადებულს, იმერელი დედის, გურული ბებიის, კახელი ცო-

ლის, მეგრელი რძლის, იმერელი სიძის, ორი ბერძენი და ერთი ქართველი შვილიშვილის პატრონს, ღომზე და სულგუნზე გაზრდილს, ქართულად განათლება მიღებულ სოლოლაკელ ბერძენს, ვისი მშობლიური ენაც ქართულია?

ათასნაირად განმარტეთ ეროვნების ცნება ჩვენმა მეცნიერებმა, მაგრამ არც ერთს არ გაგხსენებიათ დიდი რუსი მეცნიერი ვლადიმერ დალი (რომელსაც არც მამა ჰყავდა რუსი და არც დედა): „ადამიანი იმ ეროვნებას ეკუთვნის, რა ენაზეც ფიქრობს და რა ენაზეც სიზმარს ხედავს“. იქნებ ვაცალოთ ხალხს სიზმარი იმ ენაზე ნახოს, რომელზეც ესიზმრება? თუ, შენი სეხნია პეტრიაშვილივით, გსურს მოელანდო ხალხს სიზმარში და სომეხს სიზმრის ქართულად ნახვა აუკრძალო? იქნებ მივცეთ საშუალება ადამიანს თვითონ განსაზღვროს თავისი ეროვნება პასპორტის მიღებისას, რომ შენი და შენნაირების შიშით აღარ იცვალოს ხალხმა გვარი?

სულ არ მინდა, ბატონო, პასპორტი!

არსადაც არ მივდივარ!

აქ, ჩემს სამშობლოში უნდა მოვკვდე და სანამ მოვკვდები, გულზე გაგხეთქავ იმიტომ, რომ ჩემია ეს საქართველო!

ახლა იეღოველების შესახებ.

შენნაირ ნასწავლ კაცთან (თანაც დოკუმენტები გაყრია ჯონჯოლივით) ეს მეორე ხარისხის ადამიანი (შენი აზრით, შე აზრიანო, შენა) პოლემიკას როგორ დავიწყებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: პილატეს ქრისტე რომ არ ეწამებინა, შესაძლოა, ქრისტიანობა დღეს არავის გახსენებოდა. რომ არა ჯვაროსნული ლაშქრობები, შესაძლოა, ისლამი არ ყოფილიყო დღეს ასე ძლიერი...

ამგვარი ლოზუნგებით გინდა ერის გაერთიანება, შე პატრიოტო, შენა? არ გამოგივა, გენა, არა. იმიტომ, რომ არ გივარგა იდეოლოგია. თვითონ არ იცი, რა გინდა (დეპუტატობის გარდა). იქნებ კვალი გინდა დატოვო საქართველოს ისტორიაში? შენნაირი გაქანების კაცი რომ ერმა დაიმახსოვროს, სულ ცოტა, სვეტიცხოველი უნდა დაწვა*... შე ჰეროსტრატე, შენა.

ეროვნებით თბილისელი,

შენი სეხნია გურამ შამანიდი (შამო) **(„დრონის“ ინფორმაცია).**

იმ დროს „დრონის“ რედაქციაში ვმუშაობდი და დანამდვილებით ვიცი, რომ გურამ შამანიდის წერილის ადრესატმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს — არავითარი პა-

სუხის გაცემის მცდელობა! პროფესორმა შარაძემ მშვენივრად იცოდა, რომ მისი არგუმენტები მხოლოდ ბრბოს უვიცობაზე იყო გაანგარიშებული და სერიოზულ კრიტიკას ვერ გაუძლებდა. მისი „პატრიოტული“ აქციების ერთადერთი მიზანი იაფი პოპულარობის მოხვეჭა იყო. ამიტომაც ბატონ პროფესორს მისი მოღვაწეობის წინააღმდეგ მიმართულ თითქმის არც ერთ სერიოზულ კრიტიკაზე პასუხი არ გაუცია.

სანაქებო საქციელია, თანაც, ამით იგი ოპონენტების განიარაღებას ახერხებდა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჟურნალისტური პუბლიცისტიკის ფორმებზე (ჩანახატი, ნარკვევი, ინტერვიუ, სტატია, ინფორმაცია, პოლემიკა...) საუბარი პირობითია. ანუ არ არსებობს რაიმე მკაცრად დადგენილი საზღვრები, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდეს.

ახლა ორიოდე სიტყვა ჟურნალისტური პუბლიცისტიკის შინაარსობრივ მხარეზეც.

ამ ჟანრის ნაშრომები, შინაარსის მიხედვით, შეიძლება ასე დავალაგოთ:

პოლიტიკური პუბლიცისტიკა;
მეცნიერული პუბლიცისტიკა;
სოციალური პუბლიცისტიკა;
უმიზნო, ანუ ცრუ პუბლიცისტიკა.

პოლიტიკური პუბლიცისტიკა

მისი განსაზღვრებიდანაც ჩანს, რომ ამგვარ პუბლიცისტურ ნაშრომს პოლიტიკური სარჩული უდევს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1985 წლიდან, ანუ ე.წ. „პერესტროიკის“ ეპოქიდან მოყოლებული, მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, აყვავდა პოლიტიკური პუბლიცისტიკა. „აყვავებულთა“ შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი „მოწინავე“ საქართველოც იყო.

თავისთავად, პოლიტიკური პუბლიცისტიკა ძალიან ფართო ცნებაა. აქ იგულისხმება სახელისუფლო, ოპოზიციური, საშინაო, საგარეო, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. პოლიტიკა. ჩამოთვლილი სფეროები შეგვიძლია კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ, მიღებული — კიდევ დავაკონკრეტოთ და ასე შემდეგ.

მაგრამ, ვფიქრობ, ასე დაწვრილმანება აუცილებელი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანისთვის, ვინც თუნდაც ეს წიგნი ამ გვერდამდე წაიკითხა.

პოლიტიკური პუბლიცისტიკის უსაზღვრო პოპულარობა მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანმა რეორგანიზაციამ გამოიწვია. ოთხმოციანი წლების შუაში დეკლარირებულ სიტყვის თავისუფლებას უზარმაზარი მსოფლიო სოციალისტური სისტემის რღვევა მოჰყვა. შეიცვალა აზროვნების კრიტერიუმები. ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ (მაგალითად, ლენინიზმი, ან წარმოების სოციალისტური წესი), დღეს ყოვლად ჩვეულებრივი სიცრუე და დემაგოგია აღმოჩნდა. ბუნებრივია, გამოჩნდნენ პუბლიცისტები, რომლებიც სიახლის გააზრებას, უხეშად რომ ვთქვათ, „მასებამდე დაყვანას“ ცდილობდნენ და ისინიც, ვინც ამ სიახლეს თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ.

პოლიტიკური პუბლიცისტიკის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება საზოგადოების სწორი პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებაა. ჯერ კიდევ გუშინ ერთპარტიულ საქართველოში, თავისუფლების პირველივე წელიწადს 150-მდე პოლიტიკური პარტია და, შესაბამისად, „ქვეყნის გადარჩენის“ ამდენივე კონცეფცია გაჩნდა. ამან, ბუნებრივია, უკიდურესად დააბნია 70 წლის განმავლობაში პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული საზოგადოება. ეს აისახა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედებაზეც. ძალიან ხშირად ეს მოქმედება არსებული სინამდვილისადმი არაადეკვატურ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. საზოგადოებაში, მის ელიტარულ ნაწილშიც კი გაიღვიძა ქვენა, ცრუ-პატრიოტულმა გრძნობებმა — შოვინიზმმა, ქსენოფობიამ, ნაციონალიზმმა (ამ ტერმინის ყველაზე უხამსი გაგებით), სისასტიკემ, თავაშვებულობამ...

რა თქმა უნდა, მაშინვე დადგა ამ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან ბრძოლის აუცილებლობაც. უფრო ზუსტად, ბრძოლის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნის აუცილებლობა.

სწორედ მწვავე პოლიტიკურმა პრობლემატიკამ შვა მწვავე, მაგრამ ზოგჯერ ბრწყინვალე პოლიტიკური პუბლიცისტიკის ნიმუშები. და ასე იქნება მუდამ, ვიდრე საზოგადოებაში იქნება პოლიტიკური პრობლემები. ანუ ასე იქნება მუდამ, ვიდრე სახელმწიფო იარსებებს.

ჩვენ ვაკანონებდით უზნეობას

მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის,
მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?

გალაკტიონი

ზნეობა დავკარგეთ.

იგი მრავალი წლის განმავლობაში ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გვეცლებოდა ხელიდან და ყურადღებას არ ვაქცევდით. გვეგონა, დანაკარგი არც ისე მნიშვნელოვანი იყო და ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებისთანავე ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა.

გავბედავ შეგახსენოთ, რა აღვირახსნილი ანტიოსური და ანტიაფხაზური კამპანიები მიმდინარეობდა ქართულ პრესაში. სამწუხაროდ, ჩვენს შორის არ აღმოჩნდა კაცი, ვინც წინ აღუდგებოდა ამ უგუნურებას. შედეგი ცნობილია — ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ჩვენ, უძველესი კულტურის მატარებელი ქართველი ხალხი წარვდექით მჩაგვრელებად, მკვლელებად, ბარბაროსებად. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ვის მხარეს იყო სიმართლე. მთავარია, რომ ჩვენ (ანუ ჩვენმა ხელისუფლებამ) ვერ მოვახერხეთ და არც მოვინდომეთ პრობლემის ცივილიზებული, ადამიანური მეთოდებით გადაჭრა. ჩვენ წავუყრუეთ არაქართველთა (განსაკუთრებით, ოსთა) დევნას საქართველოში. მათ ბინებიდან ასახლებდნენ, სამსახურიდან ითხოვდნენ, საქართველოს ტერიტორიიდან აძევებდნენ. ჩვენ კი ვდუმდით. გვეგონა, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა და უზნეობის მსახვრალი ხელი ჩვენ არ შეგვეხებოდა. თავს ვიმართლებდით, რომ „ქართველთა ისტორიულმა მტერმა“ დაიმსახურა ასეთი მოპყრობა.

მაინცდამაინც არც მაშინ აღვშფოთებულვართ, როცა ქართველთა რაღაც მსოფლიო ისტორიულ მისიაზე დაიწყო ლაპარაკი; როცა კაცი, პრეზიდენტი, რომელსაც ჯერაც არაფერი შეექმნა სასიკეთო, მესიად, ღმერთად გამოვაცხადეთ; როცა დავაფუძნეთ ყავისფერი ორგანიზაცია — „ეროვნული იდეოლოგიის ასოციაცია“; როცა პირველად საჯაროდ დავიწყეთ პრეზიდენტისადმი სიყვარულის ახსნა (მერე შეჯიბრებაში რომ გადაიზარდა); როცა ქუჩებს და მოედნებს, მთელ საქართველოს მოედო ერთსულოვანი ოვაციები: „ზვი-ა-დი!“ „ზვი-ა-დი!“ როცა მინისტრებად უვიც და საეჭვო რეპუტაციის ადამიანებს ვნიშნავდით...

ჩვენ ვაკანონებდით უზნეობას.

ვხედავდით, რა კატეგორიის ხალხი ეტმასნებოდა ხელისუფლებას და მაინც მშვიდად ვიყავით. ახლა ვგრძნობთ, რომ მაშინ ვცდებოდით, მაგრამ კვლავ მშვიდად ვუყურებთ, როგორ ეტმასნება იგივე ხალხი ახალ ხელისუფლებას. ვხედავთ, რა პრეტენზიები აქვთ უღირს ადამიანებს, მაგრამ პირში წყალს ვიგუბებთ — ვაითუ, რამე მოხდეს!

ის ადამიანები, გუშინ რომ დითირამბებს უმღეროდნენ კომპარტიას, სასწრაფოდ „გადაეწყვნენ“ პრეზიდენტ გამსახურდიას ჰანგზე, ახლა კი აშკარად, სინდისის ქენჯნის გარეშე თვალებში შესციცინებენ დროებით მთავრობას და სამხედრო საბჭოს. ვიცი, ისინი გაიტანენ თავისას და ჩვენ კვლავ გავჩუმდებით, ვიდრე სასიკვდილო საფრთხეს არ დავინახავთ.

ნურავის ნურაფერს ნუ დავაბრალებთ: უზნეობას ჩვენ თვითონ ვუწყობდით ხელს.

უკვე გაისმის დამარცხებული პრეზიდენტის კრიტიკა და ძაგება, საკუთარ „დამსახურებათა“ წარმოჩენა იმისგან, ვინც, ზნეობა რომ ჰქონდეს, ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდეს.

გამარჯვებული ოპოზიცია უკვე ხელისუფლებად იქცა და იგი იწყებს იმ პირთა ვინაობის გარკვევას, ვისაც დაეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარის გამო. პასუხისმგებლობის დაკისრება დიახაც საჭიროა, მაგრამ სად არის გარანტია, რომ ჭეშმარიტების დადგენისა და აღდგენის საბაბით ანგარიშსწორება არ დაიწყება? ღმერთმა ნუ ქნას და, თუ მართლა ასეთი რამ მოხდა, (სხვათა შორის, ამას, ალბათ თავისდა უნებურად, ხელს უწყობენ ყოფილი პრეზიდენტის თავგადაკლული მომხრეები), მერე ძნელი იქნება მტყუან-მართლის გარჩევა. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მე არც მორჩილებას შეჩვეული ქართული პრესის იმედი მაქვს და არც ყველა მთავრობის საეჭვოდ ერთგული ქართული მართლმსაჯულებისა.

უახლოეს მომავალში უეჭველად დაიწყება მომხდარის იურიდიული და პოლიტიკური შეფასების მცდელობაც, ანუ იმის გარკვევა, რა იყო ეს: პუტჩი, სამხედრო გადატრიალება, სახალხო ამბოხი, რევოლუცია თუ სხვა რამ. ჩემი აზრით, ფორმალურად ყველა ამ განსაზღვრების დამტკიცება შესაძლებელია.

რა თქმა უნდა, გამარჯვებულთა იდეოლოგები შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ ეს იყო სახალხო ამბოხი, რომელმაც დაამხო ტოტალიტარული რეჟიმი. ამგვარი დასკვნის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი მაქვს იმის გარდა, რომ, ჩემი აზრით, ამის

გარკვევისთვის თავის შეწუხება არ ღირს: არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, რა იყო ეს — ყოფილი პრეზიდენტისთვის ასე საყვარელი „პუტჩი“, გადატრიალება, ამბოხი თუ რევოლუცია. მომხდარის საზოგადოებრივი სარგებლიანობა მომავალმა უნდა გაარკვიოს. თუ ჩვენ შევძლებთ სამართლებრივი, ჰუმანური, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს აშენებას, მაშინ მართლაც არა აქვს მნიშვნელობა დღეს მომხდარის იურიდიული საფუძვლის გარკვევას. დრო (და არა „დრონი“, როგორც ბრძანებდა ტელეკომენტატორი სოკოლოვი) გამოგვიტანს მსჯავრს. ხოლო თუ ხელისუფლებაში კვლავ მოვა ბატონი გამსახურდია (რაც ძლიერ საეჭვოა), მაშინ ძალზე ბევრს არ ასცდება როზგი და სახრჩობელა; ანუ მომხდარი უთუოდ „პუტჩად“ შეფასდება.

საქართველო ჯერ კიდევ ღელავს და ბობოქრობს. კვლავ გაისმის სროლის ხმა. კვლავ თარეშობენ სხვათა უბედურებაზე ხელის მოთბობის მოტრფიალე კრიმინალური ბანდები. „დემოკრატიისთვის თავდადებული“ მოქალაქეები კვლავ იჭყიტებიან დამწვარ-დანახშირებულ შენობებში, ვინძლო რამე საკბილო იშოვონ..

უვნებლად გადარჩენილი დიდი ილია და აკაკი ნაღვლიანად გაჰყურებენ გაპარტახებულ რუსთაველის პროსპექტს, ტყვიადახლილ ქაშუეთის გუმბათს. ვინ იცის, როგორ ტანჯავს მათ წმინდა სულებს თანამედროვეთა უგუნურება **(„დრონის“ ინფორმაცია).**

პოლიტიკური პუბლიცისტიკის კიდევ ერთ ნიმუშს შემოგთავაზებთ. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ იგი დაწერილია 2004 წლის თებერვალში. ეს ის დროა, როცა საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ზეიმობს „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფულ გამარჯვებას. მან ჯერ კიდევ არ იცის, რა ბოროტებად შემოუბრუნდება იგი ხვალ. მოდი, ნუ დავძრახავთ ამისთვის ხალხს — იგი ხომ ცვლილებებისკენ მუდამ უმოკლესი გზით სიარულის მომხრეა და თანაც მუდამ „კარგ“ ბელადზე ოცნებობს! ალბათ, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ მაშინ ამ წერილის გამოქვეყნება წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. ბოლოს მაინც „საქართველოს რესპუბლიკამ“ გაბედა. გაბედა და მერე როგორ — რუბრიკით „ახალი პოლიტიკური ლექსიკონი“ წერილების მთელი სერია გამოაქვეყნა: profanus, conformis, praesumpcio, agonia, kontrabando, bluff, demagogia, lingua, concordia, manipulatio, plebs, populus და ასე შემდეგ, სულ ოცამდე წერილი!

ამ ჟანრის დაპირებული წერილის სათაურია:

რევოლუცია ფრანგული სიტყვაა და ძირფესვიან გარდატეხას, ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში ნახტომისებურ გადასვლას

ნიშნავს. ამ ტერმინის ხსენება, უპირველეს ყოვლისა,

საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციების, სამოქალაქო ომების, ტერორისა და რეპრესიების, გმირებისა და ბელადების ასოციაციებს იწვევს.

სოციალურ რევოლუციებს თავისი მკვლევარ თეორეტიკოსები ჰყავს. საკმარისია გავიხსენოთ მარატის* „უსასრულო რევოლუციის“ თეორია, მარქსის მსოფლიო რევოლუცია,“ ლენინის „ლოკალური რევოლუცია,“ (სოციალური რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა), ერნესტო ჩე რევარას* „რევოლუციის ექსპორტი“ და ა. შ. ბოლო პერიოდში ამას დაემატა ე.წ. უსისხლო ანუ ხავერდოვანი რევოლუციების თეორია, რომელმაც საქართველოს სინამდვილეში „ვარდების რევოლუციის“ სახელი მიიღო.

ეგრეთ წოდებული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მმართველებს მოსწონდათ და მოსწონთ რევოლუციის დარქმევა იმ მოვლენებისთვის, რომელთა წყალობით ისინი ხელისუფლების სათავეში მივიდნენ. ჩვენთანაც ასეა — რევოლუცია დაერქვა 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებს, რის შედეგადაც ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია და მისი „მრგვალი მაგიდა“ მივიდა; რევოლუცია დაერქვა 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენებს, როცა ორკვირიანი სამხედრო დაპირისპირების შემდეგ მრგვალების ხელისუფლება დაემხო და ხელისუფლების სათავეში სიგუა-კიტოვანი-იოსელიანის სამეული აღმოჩნდა; რევოლუციად მოინათლა შევარდნაძის გადადგომა და ხელისუფლებაში სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას* ახალი სამეულის აღზევება 2003 წლის 23 ნოემბერს.

საქართველოს რევოლუციური ხელისუფლების ძალიან ბევრმა წარმომადგენელმა ასაკის გამო, ბუნებრივია, არც რევოლუციების ისტორია იცის და არც მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან საქართველოში განვითარებული მოვლენები ახსოვს. ამიტომ მათ გასაგონად და სხვებისთვის შესახსენებლად ისტორიაში მცირე მოგზაურობა ურიგო არ იქნება.

მოდი, ვენდოთ „რევოლუციის“ ენციკლოპედიურ განმარტე-

ბას და ვაღიაროთ, რომ ეს არის საზოგადოების ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან მეორეში ნახტომისებური გადასვლა. ნებისმიერ დაპირისპირებას ხალხის მონაწილეობით (ან უმისოდ) მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ რევოლუცია, თუ შედეგად მივიღეთ ძველისგან რადიკალურად განსხვავებული საკანონმდებლო, მმართველობითი სისტემური ცვლილებები. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, სისხლიანს თუ ხავერდოვანს, სახელი უნდა დაარქვას ისტორიამ.

ისტორია, საერთოდ, კარგი მასწავლებელია ნიჭიერი და დაინტერესებული მოწაფისათვის. მაგალითად, ისტორია გვამცნობს, რომ მაქსიმილიან რობესპიერი, არასელი ადვოკატი, 34 წლისა იაკობინური მოძრაობის დიდი ლიდერი გახდა, 35 წლისა — საფრანგეთის დიდი რევოლუციის სულისჩამდგმელი და იაკობინური ხელისუფლების მეთაური. გამარჯვებული ხალხის კერპი და ამავე ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით გულმოცემული რობესპიერი, ფრანგი ხალხის სახელით, ფრანგი ხალხის საკეთთილდღეოდ და ფრანგი ხალხის მოთხოვნით (დაუკვირდით!) ყოველდღე ათეულობით ადამიანს გზავნიდა გილიოტინაზე. სხვათა შორის, იაკობინელთა რევოლუციური ტრიბუნალის მსხვერპლად იქცნენ არა მარტო მათი იდეური მოწინააღმდეგე ჟირონდისტები, არამედ მათივე გუშინდელი მოკავშირე „ცოფიანებიც“ — უკიდურესი მემარცხენეები, ფრანგი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავგადაკლული მებრძოლები. აღარაფერს ვამბობ სამეფო ოჯახისა და, საერთოდ, არისტოკრატიისადმი გამოჩენილ საღი გონებისათვის მიუწვდომელ სისასტიკეზე და ანგარიშსწორების მეთოდებზე.

აი, რას წერს ალექსანდრე დიუმა-მამა* თავის ერთ-ერთ რომანტიკულ მოთხრობაში („ათასი და ერთი ღამე“):

„საბრალო უგუნურებს (რევოლუციონერებს! თ. ქ.) არ ესმოდათ, რომ ადამიანებს ზოგჯერ შეუძლიათ შეცვალონ მომავალი, მაგრამ არასოდეს არ შეუძლიათ შეცვალონ წარსული...

დიდ კირიან ორმოში ერთად უნდა ჩაეყარათ ძვლები იმ ადამიანებისა, ვინც საფრანგეთისგან შექმნა მსოფლიოს უპირველესი ნაცია, ძვლები საფრანგეთის მონარქებისა დაგობერიდან ლიუდოვიკ მეთხუთმეტემდე.

ამ საშუალებით მოიგეს ბრბოს გული. განსაკუთრებული კმაყოფილება კი მიანიჭეს კანონმდებლებს, ადვოკატებს და ღვარძლიან ჟურნალისტებს — რევოლუციის მტაცებელ ფრინველებს...

ის ადამიანები, ვისაც არ შეუძლიათ იამაყონ შენებით, ამაყობენ ნგრევით“.

დღეს, ქართული „ვარდების რევოლუციიდან“ ორიოდე თვის შემდეგ, რაც ამ წერილში უკვე ვთქვი და რის თქმასაც მის დამთავრებამდე მოვასწრებ, იქნებ ცოტა გაუგებარი იყოს, მაგრამ გასაგები იქნება ხვალ, როცა ვარდებს სურნელოვანი ფოთლები დასცვივა და მის ღეროზე გილიოტინასავით დაუნდობელი ეკლები დარჩება.

თუ არ მიწყენთ, ერთ პატარა კომენტარს გაგაცნობთ 1952 წელს გამოცემული „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან:“ **„დიუმას რომანები არ გამოირჩევა ღრმა შინაარსით და ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს.“**

კომენტარს, ალბათ, თავს უჩემოდაც გაართმევთ. მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოცემის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო იოსებ სტალინი, უდიდესი დიქტატორი მსოფლიო ისტორიაში, იაკობინელთა სულიერი მემკვიდრე.

დავუბრუნდეთ ისტორიას.

იაკობინელთა ლტოლვა ცვლილებებისადმი ისე დიდი იყო, რომ წელთაღრიცხვაც კი თავიდან დაიწყეს. ასეთია რევოლუციის ბუნება — მანამდე არსებულს ყველაფერს შლის და ანადგურებს.

თუმცა, მოვლენები ისტორიის უსასტიკესი ლოგიკის შესაბამისად განვითარდა: რევოლუციის მეორე წლის ცხრა თერმიდორს (1794 წლის 27 ივლისს) ფრანგმა ხალხმა იაკობინელთა დიქტატურა დაამხო.

მაქსიმილიან და ოგიუსტ რობესპიერებმა, კუტონმა, დემულენმა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბევრმა სხვა ბელადმა (ორი კვირით ადრე ლოგინს მიჯაჭვული „უსასრულო რევოლუციის“ მამა მარატი შარლოტა კორდემ ხანჯლით აჩეხა, ხოლო რობესპიერის უახლოესი მეგობარი, დანტონი, რობესპიერისვე კონვენტის გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს) სიცოცხლე გილიოტინაზე დაამთავრეს.

იურისტ მაქსიმილიან რობესპიერს იმ წლის მაისში 36 წელი შეუსრულდა.

საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში ტრიუმფით მივიდა ახალგაზრდა ამბიციური კორსიკელი არტილერიის გენერალი, უნიჭიერესი ნაპოლეონ ბონაპარტე*.

ფრანგმა ხალხმა, ვინც მანამდე უყოყმანოდ უჭერდა მხარს ჟირონდისტებს, იაკობინელებს თუ „ცოფიანებს“, ახალ ბელადად ნაპოლეონი აირჩია და რევოლუციიდან ათი წლის თავზე ჯერ კიდევ გუშინ სათაყვანო საფრანგეთის რესპუბლიკა საფრანგეთის იმპერიაში გაცვალა. ხოლო კიდევ ათიოდე წლის შემდეგ ერთ დროს ღმერთად შერაცხული იმპერატორი ნაპოლეონი სამშობლოდან განდევნა და საფრანგეთი კვლავ ბურბონთა დინასტიას* ჩააბარა.

რუსმა ბოლშევიკებმაც ხალხის სახელით, ხალხის მოთხოვნით და ხალხისვე საკეთილდღეოდ შექმნეს უზარმაზარი რეპრესიული აპარატი, დაამყარეს არნახული მასშტაბების რევოლუციური (წითელი) ტერორი, საკუთარ ქვეყანაში სისხლის მდინარეები ადინეს და დიდ-პატარა ბელადების მთელი გალერეა შექმნეს. მათაც საფუძვლიანად დაანგრიეს ყველაფერი, რაც წარსულს უკავშირდებოდა, მათაც დედაბუდიანად ამოჟლიტეს რუსული არისტოკრატია სამეფო ოჯახის ჩათვლით... უფრო შორსაც წავიდნენ — შექმნეს სავალდებულო რელიგია ლენინიზმის სახით და შეეცადნენ, ადამიანის არსებიდან სამუდამოდ განედევნათ ღმერთის ხატება.

მათ ეს ნაწილობრივ შეძლეს კიდეც.

კომუნისტურმა დიქტატურამ სამოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს იბოგინა და დედამიწის თითქმის ნახევარზე ისტორიის კანონზომიერი განვითარება მრავალი ათეული წლით შეაფერხა.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იოსებ სტალინი, ერთ-ერთი უსასტიკესი დიქტატორი მსოფლიო ისტორიაში, ხალხის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა, მას, უბრალოდ, აღმერთებდნენ; მასზე ლექსებს და რომანებს წერდნენ; ფილმებს იღებდნენ; მასზე ლოცულოდნენ; ძეგლებს და მუზეუმებს, მოკლედ, საკულტო ნაგებობებს უგებდნენ...

სხვათა შორის, საბჭოთა ისტორიოგრაფია მთლად რევოლუციურად თუ არა, რევოლუციის წინაპრად მაინც მიიჩნევდა მონების აჯანყებას სპარტაკის* მეთაურობით და გლეხთა აჯანყებას ემელიან პუგაჩოვის* მეთაურობით. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას რევოლუციის რანგში აჰყავდა გლეხთა აჯანყება სამეგრელოში უტუ მიქავას* მეთაურობით.

თუმცა, თავი დავანებოთ შორეულ წარსულს და იმ პერიოდს დავუბრუნდეთ, როცა ხალხი ხელებს უკოვნიდა „ღვთისგან მოვლენილ“ ზვიად გამსახურდიას — მესიას, მხსნელს, ბელადს, დიდ

წინამძღოლს. ხელისუფლების სათავეში მისვლიდან სულ რაღაც ცამეტი თვის შემდეგ კი იგივე ხალხი ტყვიას ესროდა გუშინდელ სათაყვანო გმირს. მუხლებზე დაჩოქილმა ხალხმა თავის დროზე შენდობა თხოვა ედუარდ შევარდნაძეს და საპრეზიდენტო არჩევნებში მას თავისი ხმების 97 პროცენტი უბოძა.

ხუთიოდე წლის შემდეგ, ვარდებით შეიარაღებულმა იმავე ხალხმა დაამხო შევარდნაძის ხელისუფლება და თავისი ხმების 97 პროცენტი ახალ გმირს, მიხეილ სააკაშვილს გადაულოცა...

„მიხეილი, მიშა სააკაშვილი შეიყვარა ქართველმა ხალხმა ისე ძლიერად, როგორც დიდი ხანია მას არავინ ყვარებია. ეროვნული გმირი ენატრებოდა საქართველოს, გამარჯვების მომტანი გმირი ენატრებოდა საქართველოს და მან მიიღო იგი...“

„მასში თავმოყრილია ქართველისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები — პატრიოტიზმი, თავგანწირვა, ვაჟკაცობა, სიყვარული და გმირობა. ამ თვისებების აფიშირება მოხდა ხავერდოვანი რევოლუციის დროს. ამიტომ შეიყვარა იგი მთელმა საქართველომ. არ მეგულება საქართველოში მეორე პოლიტიკოსი, რომელიც ხალხს ასე ეყვარება...“

„მიხეილ სააკაშვილი ვაჟკაცური ბუნების და მებრძოლი სულის ადამიანია. განათლებული, ერუდირებული, სწორუპოვარი პოლიტიკოსია...“

„მიხეილ სააკაშვილი ჯერ საქართველოს, მერე კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდება... მასში შერწყმულია სტალინის, შევარდნაძის და გამსახურდიას ფენომენები...“

ეს გამონათქვამები თანამედროვე (2004 წლის დასაწყისი. რედ.) ქართული გაზეთებიდანაა ამოღებული.

მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეებს აგვირჩევია არა პრეზიდენტი — ხალხის მსახური, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, არამედგმირი, სწორუპოვარი პოლიტიკოსი, მოკლედ — ბელადი. ამიტომ გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, თუ ეს „კარგი ბიჭი“, მიშა სააკაშვილი თავის პოლიტიკას წარმართავს არა როგორც დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ როგორც ტომის ბელადი — განათლებული, ენერგიული, ევროპულ ენებზე მოლაპარაკე, მაგრამ მაინც ტომის ბელადი. მეტიც, ისტორიის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, შემიძლია ასპროცენტიანი ალბათობით ვივარაუდო, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი უახ-

ლოეს მომავალში, ხვალვე, ძალაუფლების სრულ უზურპაციას შეეცდება და მოახერხებს კიდეც.

დავუბრუნდეთ ციტატებს, რომლებიც აქ მხოლოდ გმირზე და ბელადზე სალაპარაკოდ არ მომიტანია. საქმე ის გახლავთ, რომ ზუსტად ეს სიტყვები, ზუსტად ამ პატივცემული გვამების პირიდან უკვე ითქვა სხვა „სწორუპოვარი პოლიტიკოსის, ევროპული ენების უბადლო მცოდნის, უფლის მიერ მირონცხებული გმირის, ბელადის“ მისამართით. მისი სახელი იყო ზვიად გამსახურდია, ვინც დევნილობაში, სამეგრელოს შორეულ სოფელში დალია ტანჯული სული.

ცოტა უფრო შორსაც თუ გავიხედავთ, მშობელი ხალხისგან ასეთი და კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი ეპითეტები მიუღიათ ლავრენტი ბერიას, ადოლფ ჰიტლერს, მაო ძე დუნს*, მუამარ კადაფის*, სადამ ჰუსეინს*, ფიდელ კასტროს*, ხო ში მინს და მრავალ სხვას. სამწუხაროდ, ამ და სხვა „ხალხის რჩეული ბელადებისგან“ დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულება და პატივისცემა არ გამიგია.

ალბათ, დადგა დრო ისიც ვიკითხოთ, იყო თუ არა 2003 წლის ნოემბრის მოვლენები რევოლუცია. ამის გასარკვევად, გთხოვთ, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ რევოლუციის ენციკლოპედიურ განმარტებას. წაიკითხეთ? — ესე იგი, ნახტომისებური გადასვლა და თვისობრივად ახალი საკანონმდებლო, მმართველობითი სისტემური ცვლილებები.

ჩვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, საზოგადოების მართვის სისტემაში, არავითარი სიახლე (მით უფრო — პროგრესული!) არ შეინიშნება. ის ფაქტი, რომ ძველი „პროშევარდნაძისტული“ კადრები სააკაშვილის ერთგულმა კადრებმა შეცვალა, ახალს და პროგრესულს არაფერს ნიშნავს. მართალია, სიახლეების მოლოდინშია კანონმდებლობა, მაგრამ ამ „სიახლეებს“ კარგად დავიწყებული ძველიც კი არ შეიძლება დაერქვას. ეს არის ნაბიჯი პრეზიდენტის ძალაუფლების განმტკიცებისაკენ. თუ ბატონი პრეზიდენტის, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორის ზოგიერთ ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებას გავითვალისწინებთ, სულ მალე იქნებ დიდი საბჭოთა სამართალმცოდნე, პროკურორი და მოსამართლე, აკადემიკოსი ანდრეი იანუარიევიჩ ვიშინს*კი სანატრელი გაგვიხდეს.

არავითარი მინიშნებაც კი პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების სამართლებრივ რეფორმებზე.

ჯერჯერობით, საუბარია მხოლოდ კანონების გასასტიკებაზე. თანაც ყოვლად ვულგარული ფორმით და უდაბლეს პროფესიულ დონეზე.

ჯერჯერობით, არის მხოლოდ პრეზიდენტისთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭების თავგამოდებული მცდელობები თვით კონსტიტუციის მსხვერპლად შეწირვის ხარჯზე.

ჯერჯერობით, მხოლოდ საკადრო ცვლილებები: ძველებურად, კომუნისტურად, პირადი მეგობრობის, ერთგულებისა და პარტიული კუთვნილების ნიშნით. თანაც, ამ მეგობრობისა და ერთგულების ხარისხს განსაზღვრავს ერთადერთი ადამიანი — პრეზიდენტი სააკაშვილი.

ჯერჯერობით, მხოლოდ ხმაურიანი დაპატიმრებები, რაც ძალიან ჰგავს შევარდნაძის ანტიკორუფციული კამპანიის პირველი ეტაპის დასაწყისს შორეულ 1992 წელს.

აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში არავითარი რევოლუცია არ ყოფილა. უბრალოდ, გაცილებით უფრო ნიჭიერმა რეჟისორმა (ვთქვათ, ჯორჯ სოროსმა) 1991 წლის სცენარის მიხედვით დადგა ახალი სპექტაკლი მთავარი როლების ახალი შემსრულებლების მონაწილეობით: შევარდნაძისეული „მოქალაქეთა კავშირის“ ერთმა (ახალგაზრდულმა) ფრთამ დაამხო მეორე. ანუ ეს იყო სასახლის გადატრიალება ხალხის მასების მონაწილეობით და სეირის მაყურებელთა თანხლებით.

ბატონ სოროსზე გამახსენდა: სწორედ მან სავსებით გულწრფელად და მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ მისმა ფონდმა საქართველოში დააფინანსა აქცია, რომელიც შარშან, 23 ნოემბერს ძლევამოსილად დაგვირგვინდა. იგივე გაიმეორა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმაც. ვფიქრობ, ამ პატივცემული ჯენტლმენებისადმი უნდობლობის საბაბი არ უნდა გვქონდეს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — მაშ, რატომ ირქმევენ რევოლუციონერის არცთუ სახარბიელო სახელს სააკაშვილი და მისი გუნდი?

ისევ ხალხი უნდა გავიხსენოთ.

ნებსით თუ უნებლიედ, სააკაშვილი და მისი გუნდი მოქმედებდა და მოქმედებს ხალხის სახელით. მან ამომრჩეველი უნდა დაარწმუნოს, რომ ხალხის ნების აღმსრულებელია. ამის თქმის უფლება რომ მოეპოვებინა, რევოლუციურად განწყობილი, მეტ-

იც, თავგანწირვისთვის მზად მყოფი ხალხის წინამძღოლი უნდა გამხდარიყო. ჯორჯ სოროსის ფულით, რიჩარდ მაილსის (იმ პერიოდში აშშ ელჩი საქართველოში. რედ.) გეგმით, ამერიკის კონგრესის მხარდაჭერითა და სააკაშვილის გუნდის ხელით ეს ოპერაცია წარმატებით განხორციელდა კიდეც. ამ სცენარში, როგორც ყოველთვის ისტორიაში, ხალხი იყო „მასოვკა“, საზარბაზნე ხორცი. იყო, რა თქმა უნდა, ვარდებიც. არ ყოფილა სროლა და მსხვერპლი — ბედნიერი შემთხვევის გამო და იმის გამოც, რომ ასეთი რამ სცენარში გათვალისწინებული არ ყოფილა.

რაც მთავარია, რევოლუცია სააკაშვილს და მის გუნდს იმიტომ ხიბლავს, რომ ამ ტერმინით ამ ცოდვილ მიწაზე ცნობილი ყველა სიავის და სისაძაგლის გამართლება შეიძლება _ ტერორის, რეპრესიების, სიდუხჭირის, უსამართლობის, უზნეობის და, რა თქმა უნდა, დიქტატურისაც — რევოლუციის მონაპოვარს ხომ დაცვა უნდა (ლენინი)!

ხალხისვე საკეთილდღეოდ, რასაკვირველია.

რევოლუცია ძალიან, ძალიან საშიში მოვლენაა. თვით ხავერდოვანი, უსისხლო რევოლუციაც კი, რადგან იგი დიქტატურის მშობელი დედაა **(“საქართველოს რესპუბლიკის` ინფორმაცია).**

ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე „საქართველოს რესპუბლიკაში“ რევოლუციური ხელისუფლების უკიდურესად მწვავე კრიტიკის შემცველი სტატიები ქვეყნდებოდა, არც რედაქციას, არც ავტორს სახელისუფლო წრეებიდან არავინ შეხმიანებია — არავითარი პროტესტი! პირადად პრეზიდენტი და რევოლუციური ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები ტრაბახობდნენ კიდეც, რომ ისინი პრესისგან ამგვარ შემოტევებს უძლებდნენ. მეტიც, ამ ვითარებას საქართველოში პრესის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ქვეყანაში დემოკრატიზმის დამკვიდრების გამოხატულებად ასაღებდნენ.

სინამდვილეში, როგორც, ალბათ, თავადაც მიხვდით, ეს იყო დამოუკიდებელი მედიის სრული უგულებელყოფისა და ეგრეთ წოდებული „სახელისუფლო მედიის“ შექმნისკენ გადადგმული კარგად გათვლილი ნაბიჯი. სულ მალე ხელისუფლებამ მთელი ქართული მედიასივრცის მონოპოლიზება მოახერხა. ჟურნალისტების ერთი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, ტელეჟურნალისტები — გადაიბირა, დანარჩენზე ხელი ჩაიქნია. ესეც რევოლუციის ბუნებიდან მომდინარეობს. სამწუხაროდ, ღატაკმა ქარ-

თულმა ჟურნალისტიკამ ხელისუფლების ამგვარ თვითნებობას წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

თუმცა, ამ საჭირბოროტო თემაზე უფრო დაწვრილებით მაშინ ვილაპარაკოთ, როცა პოლიტიკის და ჟურნალისტიკის ურთიერთობას შევეხებით.

მანამდე კი, მოდი, ერთი პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ: მე შემოგთავაზებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, თქვენ კი იგი რომელიმე ჟანრის ჩარჩოებში მოაქციეთ, როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით. რაც მთავარია, სცადეთ და, თქვენი თვალსაზრისი წერილობით დაასაბუთეთ:

შენ რომ სხვა მაჰკლა

თავად ის ფაქტი, რომ ვინმე არ ეთანხმება ვაჟა-ფშაველას, არაფრის მთქმელია. არც ის არის ყურადღების ღირსი, თუ ვინმე ვაჟას შემოქმედებას, საერთოდ, არ იცნობს. მრავლისმთქმელია საკუთარი უვიცობით კეკლუცობა და საზოგადოების სიბნელეში ჩათრევის მცდელობა. ხოლო თუ ამას ხალხის რჩეული, საქართველოს პარლამენტის წევრი ცდილობს — უბედურებაა.

ვინმე განათლებულმა პარლამენტარმა ჟურნალისტური ეთიკის დაუცველობა რომ არ დამაბრალოს, მოვიყვან ორ ამონარიდს ჯონდი ბაღათურიას ერთ-ერთი ინტერვიუდან:

„არ ვეთანხმები ალუდა ქეთელაურს. თავიდან ალუდა სწორად მოიქცა. მტერს ყოველთვის ღირსეულად უნდა მოექცე. ხელის მოჭრა კი რა ვაჟკაცის საქმეა. ეს არასწორი ტრადიცია იყო, რადგან ბევრი ისეთი ტრადიცია მკვიდრდება, რომელიც არ დგას სარწმუნოებაზე და ფესვებიდან არ მოდის. სწორად მოიქცა, რომ ხელი არ მოაჭრა; სწორია, რომ მტერს პატივი უნდა სცე, მე ამის მომხრე ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მართლაც ნამდვილი ტრადიციისა და ნამდვილი სჯულის წინააღმდეგ უნდა წახვიდე, იარო სასაფლაოზე და სარწმუნოების უარყოფა დაიწყო - ამაში არ ვეთანხმები“.

„ვაჟას არ ვეთანხმები „ალუდა ქეთელაურში“, მგონია, რომ, როდესაც წერდა, მაშინ ვაჟა ალუდას საქციელს იწონებდა, იმიტომ, რომ ამ ნაწილში არ ჰყავს გაკრიტიკებული, შესაძლოა, მერე გადახედა თავის პოზიციას. ყველაზე დიდი პრინციპი სარ-

წმუნოებაა და პრინციპი, რომელიც გაიძულებს, მის წინააღმდეგ იარო, არის მაცდური და მასზე უარი უნდა თქვა.“

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, უმორჩილესად ვთხოვ ჯონდის მასწავლებელს, ამის წამკითხველი გულში ტყვიას ნუ დაიხლის* - მისი ნამოწაფარი მაინც ვერაფერს შეიგნებს.

რასაც ახლა ვიტყვი, ბატონი ჯონდი იმას ვერ მიხვდება, მაგრამ მის საყურადღებოდ არც რამეს ვამბობ. იმ ადამიანების საყურადღებოდ ვამბობ, „ჯონდებს“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამოღვაწეოდ ხმას რომ აძლევენ და საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებენ (სხვათა შორის, იმ ადამიანების ბედისაც, რომლებიც ჯონდებს არ ენდნენ, მაგრამ ბედის ირონიის გამო, უმცირესობაში აღმოჩნდნენ).

ალუდა ქეთელაურის პირით თვითონ ვაჟა-ფშაველა ლაპარაკობს. ეს ვაჟა ქადაგებს მიტევებას, კაცთმოყვარეობას და სათნოებას. ეს ვაჟა გვასწავლის ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, რომ ყველა ადამიანი ღვთის შვილია და სხვა ადამიანს მისი სიცოცხლის მოსპობის უფლება არა აქვს; რომ ბოროტება ბოროტებით არ აღმოიფხვრება, სისხლი სისხლით არ მოიბანება:

„ვისაც მტერობა მასწყურდის,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში
თვითონაც შიგავ მდგარია,
ღვინოდაც იმას დაჰლევდის,
პურადაც მოსახმარია...
შენ რომ სხვა მაჰკლა,
შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.“

ალუდასა და ველური ტრადიციების მიმდევარი თემის დაპირისპირება ნათელისა და ბნელის, ცოდნისა და უვიცობის, ზნეობისა და უზნეობის, კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტი რწმენისა და ფუნდამენტალისტური დოგმებით შენიღბული ურწმუნოების დაპირისპირებაა. ისეთი ურწმუნოებისა, ჩვენ, საბრალო ამომრჩევლები წელიწადში ორმოცდაათჯერ მაინც რომ საკუთარი თვალით ვუყურებთ: გულში სანთელ ჩახუტებულ, მამა აბრამის ბატკნებად ქცეულ ვიგინდარებს, ეკლესიიდან გასვლისთანავე მკვლელობებისა და დარბევების ბრძანებებს რომ

გასცემენ, ხაზინას რომ ძარცვავენ, ორპირობენ, ცრუობენ და ფარისევლობენ...

ამის წინააღმდეგია ვაჟა და ამიტომ ათქმევინებს ალუდასთვის სიზმარში გამოცხადებულ მუცალს:

„— მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, — მითხრა ხვეწნითა, —
თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა;
დაძეხით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.

ვაჟა იმიტომ არის დიდი, რომ ას ოცზე მეტი წლის წინათ ნათქვამი („ალუდა ქეთელაური“ 1888 წელს დაიწერა), დღესაც ზუსტად მიესადაგება იმ ბნელ და უზნეო თემს, რომელსაც ოდესღაც ალუდა ქეთელაური დაუპირისპირდა და რომლის რიგით 121-ე წარმომადგენელი ბრძანდება ბატონი ჯონდი დღევანდელ პარლამენტში.

ვაჟას რომ დღევანდელი საქართველო ენახა, ისევ ამას ამოიგმინებდა: — აჰა, თქვენ გქონდეთ ეს ცოდვა-ბრალიანი წუთისოფელი, ანთხიეთ მოძმეთა სისხლი, გესლი და ბალღამი, აიშენეთ სრასასახლეები, ამოიყორეთ მუცლები, იმრუშეთ, იპარეთ, იცრუეთ და ცილი დასწამეთ, დაძეხით უსამართლობით. მე კი ერთადერთ ნუგეშად სიკვდილი დამრჩენია და დამდეთ პატივი, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასასახლებლად ხელს ნუ შემიშლითო.

ალუდა ქეთელაურმა (ვაჟამ), თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იცის, რა არის სინდისი — პასუხისმგებლობა საკუთარი საქციელის გამო. ღირსეული მეტოქის, მამაცი მუცალის სიკვდილით მის არსებაში იქამდე მთვლემარე სინდისმა გაიღვიძა და ალუდას ცოდვების გამოსყიდვა დაავალა. ახალი ცოდვების ჩადენისკენ კი არ მოუწოდა, საუკუნეობით დაგროვილი ცოდვების გამოსყიდვა დაავალა! მხოლოდ საკუთარი ცოდვებისა კი არა, ხევსურთა მთელი თემის ცოდვებისა. სწორედ ასე მოიქცა ცხრამეტი საუკუნით ადრე იესო, რომელიც ჯვარს ეცვა და ამით კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა სცადა.

„ალუდა ქეთელაური“ კი არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს, როგორც ეს დეპუტატს ჰგონია, პირიქით — ამ მორალის დაცვისკენ მოგვიწოდებს. ეს იცის ყველამ, ვისაც პოემა წაუკითხავს, ვისაც „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“ ან ვაჟას რომელიმე სხვა ნაწარმოები წაუკითხავს. ჯონდიმ ვა-

ჟას შემოქმედების თაობაზე ყურმოკვრითაც არ იცის, თორემ დღეს ამ ყოვლად სახელგატეხილ პარლამენტში არ დაჯდებოდა, რადგან „ალუდა ქეთელაურში“ ნათქვამმა ამ სიტყვებმა, შეუძლებელია, თვით ჯონდის გონებრივი მონაცემების მქონე ადამიანიც კი არ ჩააფიქროს:

„ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა,
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისად“.

ძაღლის საქციელის ახსნა არ არის რთული. მერე რა, რომ ქოფაკია — იგი ზნეობრივი არსებაა. საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ან ველური ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად ყველა მეთოდი მისი ძაღლური ბუნებისთვისაც კი მიუღებელია. ამიტომ ამბობს უარს შეთავაზებულ ნუგბარზე — ვაჟკაცის ვერაგულად მოკვეთილ მარჯვენაზე.

ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იმ ქოფაკისგან განსხვავებით, 21-ე საუკუნის ქართველ ჯონდებს ზნეობა არც გახსენებიათ, ისე დაეძგერნენ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მიგდებულ ლეშს — პარლამენტის წევრობის მანდატს!

და ამით უარი თქვეს ზნეობაზე, ზოგადად — ადამიანობაზე.

ზნეობაზე იმათაც უყოყმანოდ თქვეს უარი, რომლებმაც საჯაროდ კი არ გადასანსლეს მიგდებული, არამედ შინ წააცუნცულეს და მალულად, ნება-ნება შეექცევიან — თან, თანამოქალაქეებს საკუთარ ვაჟკაცობაზე გვეტრაბახებიან და ლეშის გადმომგდებს თვალთმაქცურად დედას აგინებენ.

ახლა საჭიროა ამ ნაბიჯის ნებისმიერი საშუალებით გამართლება. 2008 წლის ფორმაციის პარლამენტში მოკალათებული კოლექტიური ჯონდი თვითონ არის ის ბნელი, ვერაგი და დაუნდობელი თემი, რომელმაც ალუდა და მისი ოჯახი მოიკვეთა. თემს უნდა ახლა მთელი ქვეყნიერება დააბნელოს, მთელი საზოგადოება ჯონდებად აქციოს, ადამიანს წაართვას ის, რაც ღმერთმა მის არსებაში ჩადო და ამით სხვა ცოცხალი არსებებისგან გამოარჩია — ზნეობა!

მაშინ ყველა გავსწორდებით, ყველა ერთნაირად დავბნელდებით, სინდისზე ყველა უარს ვიტყვით, სამაგალითო აღარავინ გვეყოლება, ზადზე და ბიწზე ვერავინ ვერავის მიუთითებს, ყველა ერთ დიდ ქვაბში მოვიხარშებით.

ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ბევრ სხვასთან ერთად, დაუძ-ლეველ წინაღობად ვაჟას ძლევამოსილი ფიგურაც აღმართულა.

ერთ-ერთი ფუტურო ჯონდი ამბობს, ვაჟა-ფშაველას არ ვეთანხმებიო და ამით სურს მოგვაჩვენოს, თითქოს მთელი ქარ-თული საზოგადოება საბოლოოდ გადაგვარებულა, თვით დიდი ვაჟაც დაცემულა და ვიღაც ყარტა-ყურტას სათრეველად ქცეუ-ლა. ხვალ შოთას, ილიას, გურამიშვილის, აკაკის, ჯავახიშვილის, ასათიანის, გალაკტიონის... რიგი დადგება. თანამედროვეები ხომ უკვე „ჩარეცხილები არიან!..“

ასე მხოლოდ დასაღუპავად განწირულ ავადმყოფ გონებას ეჩვენება. ქვეყნიერების გაჩენის დღიდან აქამომდე, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში მუდამ კეთილი იმარჯვებდა.

ასე იქნება მომავალშიც.

მეცნიერული პუბლიცისტიკა

ეს არის პუბლიცისტური ნაშრომი მეცნიერების რომე-ლიმე დარგზე (ფილოსოფია, იურისპრუდენცია, ლიტერატურა, ფიზიკა, ბიოლოგია, სამხედრო ხელოვნება, გენური ინჟინერია...). ეს არ გახლავთ რომელიმე დიდად პატივცემული პროფესორის უწყინარი საუბარი მეცნიერების ამა თუ იმ სფეროს ავკარგიანო-ბაზე. ეს არის ფაქტებითა და ლოგიკით განმტკიცებული ემოცი-ური მსჯელობა მეცნიერებაზე საზოგადოების ყურადღების მი-პყრობის მიზნით. ანუ, მთავარია არა თვით წმინდა მეცნიერული თვალსაზრისის წინა პლანზე წამოწევა, არამედ მეცნიერებისა და საზოგადოების დამოკიდებულება, მეცნიერული მიღწევების საზოგადოების სამსახურში ჩაყენება.

ამგვარი ნაშრომების შექმნა უმაღლეს ჟურნალისტურ ოსტა-ტობასთან ერთად მოითხოვს მეცნიერების იმ დარგის საკმაოდ საფუძვლიან ცოდნას, რომელზეც წერა გიხდება. ამიტომ, ბუნე-ბრივია, ქართულ სინამდვილეში მეცნიერული პუბლიცისტიკის ნიმუშებით მაინცდამაინც განებივრებული არა ვართ. ვგულისხ-მობ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულ ნაშრომებს, თორემ არაფრის მთქმელი და არაფრის მომტანი ფსევდო პუბ-ლიცისტიკით სავსეა ჩვენი სიყვითლეშეპარული პრესა.

ნიმუში, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, იურისპრუდენ-ციას ეხება. უფრო ზუსტად, იმ ადამიანებს, რომლებიც სწორედ

იურისპრუდენციის გვერდის ავლით ცდილობენ უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტების შედგენას:

შექსპირის მოტივები ქართულ კანონშემოქმედებაში

ჩემთვის უცნობ დაწესებულებაში შეუმუშავებიათ და პარლამენტში განსახილველად შეუტანიათ შეთანხმების პროექტი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.

პროექტს წინ უძღვის მოკლე „განმარტებითი ბარათი", სადაც ამგვარი დოკუმენტის მიღების აუცილებლობასა და შეთანხმების შინაარსზეა საუბარი. ჩვენც აქედან დავიწყოთ.

ამ პაწაწინა „განმარტებით ბარათში" პატივცემულ ავტორებს იმდენი სიბრიყვე ჩაუტევიათ, თვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასაც კი შეშურდება! თუნდაც ეს რად ღირს: **„...სახელმწიფო აღიარებს 1921-90 წლებში საქართველოს ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზარალის მიყენების ფაქტს და როგორც ეკლესიისათვის ჩამორთმეული მატერიალური ქონების დიდი ნაწილის მფლობელი, კისრულობს ამ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას".**

1921-1990 წლებში კომუნისტურმა რეჟიმმა რომ საქართველოს ეკლესიას ზარალი მიაყენა, იმის ანაზღაურება ყოვლად წარმოუდგენელია: ასობით დანგრეული და გაპარტახებული ეკლესია-მონასტერი, ათასობით დახოცილი მრევლი და ღვთისმსახური, დატაცებული და განადგურებული საეკლესიო ქონება, დაცემული ზნეობა...

რაკი ჩვენი ქველმოქმედი ხელისუფლება (და არა სახელმწიფო, როგორც ეს შეთანხმების პროექტშია მითითებული!) ამ ზარალის ანაზღაურებას კისრულობს, გამოდის, რომ იგი იმ წლების კოშმარული დანაშაულობების თანამონაწილე და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ყოფილა. თუ ეს ასეა, მაშინ მან (ხელისუფლებამ) კეთილი უნდა ინებოს და ზარალი ყველა დაზარალებულს აუნაზღაუროს: მართლმადიდებელ ეკლესიასაც, მეჩეთსაც, სინაგოგასაც, ამქრებსაც, ფირმებსაც და კერძო პირებსაც.

სახელმწიფო, ანუ ხაზინა იმ წლებში მიყენებული ზარალის ანაზღაურებას კისრულობსო, წერია ამ დოკუმენტში, მაგრამ ის კი აღარსად დაუწერიათ, კერძოდ, ვის ხარჯზე ან რა შემოსავ-

ლებით აპირებენ იმ მართლაც ენით უთქმელი ზარალის ანაზღაურებას. ალბათ, ისევ იმ დაზარალებული, განადგურებული, შეურაცხყოფილი მრევლის ზურგიდან!

ეს უკვე გრამატიკული და სტილისტური კი არა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეცდომაა და, ვეჭვობ, მისი გამოსწორება შეძლოს კონკორდიუმმთხზველების ჭკუის ხალხმა.

„განმარტებით ბარათში“ ასეთი „ბრძნული“ განმარტებაც გვხვდება: „პროექტის მიხედვით, საეკლესიო სამსახური გათანაბრებულია საჯარო სამსახურთან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობა საჯარო სამსახურის შესახებ საეკლესიო და საჯარო სამსახურს ერთმანეთთან ათანაბრებს. მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სამსახურისგან განსხვავებული ამოცანების გამო, საჯარო სამსახურის შესახებ ნორმები საეკლესიო სამსახურში უშუალო გამოყენებას არ ჰპოვებს“.

ეს არის ფარისევლობის, სიცრუის და თავხედური დემაგოგიის ნათელი მაგალითი: მართალია, პროექტით საეკლესიო და საჯარო სამსახური გათანაბრებულია, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ისინი გათანაბრებული სულაც არ გახლავთო, ყოვლად უსირცხვილოდ გვატყუებენ პროექტის ავტორები და მართლმადიდებელ ეკლესიას უფლებრივად სოფლის საკრებულოსთან ათანაბრებენ. მერე, ალბათ, ეკლესიის მნათეების მოხსნა-დანიშვნების რევიზიას და კონტროლსაც დაიწყებენ. მღვდლებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს — გუბერნატორის ჩაურევლად ეს საქმე ვერასდიდებით ვერ გაკეთდება.

ახლა მთავარზე, ანუ უშუალოდ კონკორდიუმის პროექტზე.

პრეამბულა, როგორც ველოდი, ფრიად პოეტურია: — ცხრა აბზაცი, ცხრა სიტყვა „ვინაიდან“, ცხრა წერტილ-მძიმით დამთავრებული წინადადება და არც ერთი ჭკვიანური აზრი:

„— ვინაიდან ქართველი ერის მსოფლმხედველობა, მთლიანობა, ტრადიციები, ფსიქოლოგია, ცხოვრების წესი და მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა განპირობებულია და გამსჭვალულია მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრებით;

— ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

— ვინაიდან მართლმადიდებლობა საქართველოში ისტო-

რიულად სახელმწიფო რელიგია იყო, ისტორიული უწყვეტობა კი ნიშნავს წარსულის, აწმყოს და მომავლის სინთეზს;

— ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში;

— ვინაიდან საქართველოს სახელმწიფომ აღიდგინა ისტორიული როლი მსოფლიო ცივილიზაციაში, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

— ვინაიდან მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ისტორიულ ეკლესიებს მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი;

— ვინაიდან კონსტიტუციურად ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან...“

ამის წამკითხველს უნებლიედ შექსპირი მახსენდება:

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა...
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა...“.

დიდი პოეზიის და პოლიტიკანობის შერწყმის მცდელობა მუდამ კრახით და უნიჭო დოკუმენტის შექმნით რომ მთავრდება, კონკორდიუმის პროექტიც ამის დასტურია. ავტორებს გონებისთვის მეტი ძალა რომ დაეტანებინათ და რაც არ იცოდნენ, სხვისთვის ეკითხათ, არ დაწერდნენ, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრებით არის განპირობებული და გამსჭვალულიო. ხოლო ცოტა მშობლიური ქვეყნის ისტორია რომ სცოდნოდათ, არც ამგვარი აბსურდული აზრი მოუვიდოდათ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანიაო. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ათეისტობა რომ დაებრალებინათ, გასაკვირი არ იქნებოდა. ეტყობა, ავტორებმა არ იციან, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანების გარდა ცხოვრობენ კათოლიკეები, იუდეველები, გრიგორიანელები, მუსულმანები, ბაპტისტები, ევანგელისტები, სხვები და სხვები. ვშიშობ, მათი რაოდენობა მართლმადიდებლებისას დიდად არ ჩამოუვარდება.

საკუთარი უვიცობით კოპწიაობას ჰგავს განცხადება, რომ, თურმე, „მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ისტორიულ

ეკლესიებს მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი“. რას გვიბრძანებთ, მართლმადიდებლური მიმდინარეობის თეოკრატიული სახელმწიფო შევქმნათ, თუ შარიათის სამართლით ვიხელმძღვანელოთ? იქნებ აიათოლა ჰომეინის მოდელის ირანული მმართველობითი სისტემა ავირჩიოთ? ან, იქნებ, ინკვიზიციის ბობოქრობის დროინდელმა ესპანურმა მმართველობამ აჯობოს?!

თუმცა, ვიდრე ამას გადავწყვეტდეთ, ის გავარკვიოთ, არიან თუ არა ჭეშმარიტი მართლმადიდებლები გულში სანთელჩახუტებული ყოფილი და ახლანდელი პარტიული ფუნქციონერები, გავეშებულ-გაალმასებული ხელჯვარიანი ხულიგნები, იეღოველთა შეკრებების ცეცხლითა და მახვილით დამრბევი ადამიანები, აგრერიგად მომრავლებული ნაცისტური პარტიების წევრები, მექრთამე და ღორმუცელა „ღვთისმსახურები“, ქურდი და მოძალადე ჩინოვნიკები...

სახელმწიფოს და ამ სახელმწიფოში მოქმედ რელიგიურ მიმდინარეობებს შორის შეთანხმების (კონკორდიუმის) დადებას ცივილიზებულ სამყაროში დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც წესი, ეს არის შეთანხმება ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობის თაობაზე, იმის აღიარება, რომ ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. იქნებ ამ შეთანხმების პროექტის ავტორებსაც ეს მიზანი ჰქონდათ, მაგრამ გამოუცდელობისა და უცოდინრობის გამო, პარლამენტს განსახილველად წარედგინა ბუნდოვანი, აბსურდული, ენობრივად ყოვლად უმსგავსო და, რაც მთავარია, პროვოკაციული პროექტი. იგი მიზნად ისახავს არა ურთიერთობების გარკვევა-მოწესრიგებას სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, არამედ ამ ურთიერთობათა დაძაბვას. ეს ძალიან საშიშია. ამ საშიშროებას ზოგიერთი ურა-პატრიოტი ხელოვნურად ქმნის ქვეყანაში ახალი ომის გასაჩაღებლად, ამჯერად — რელიგიურ საფუძველზე“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

სოციალური პუბლიცისტიკა

ამ შინაარსის პუბლიცისტური ნაწარმოები საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას ეხება. ეს გახლავთ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ყველაზე ახლო მდგომი ჟურნალისტური ჟანრი. თუ ასეთი ნაშრომის შექმნას აპირებთ, გახსოვდეთ, რომ არ არის

საკმარისი ფაქტების, მოვლენების ვირტუოზულად აღწერის ნიჭიც კი. მთავარია, ისე თქვათ, მკითხველმა პირველივე სიტყვებიდან დაგიჯეროთ, რომ ეს სწორედ ასეა და თქვენ მისი გულის მოსაგებად (ან გულის ასაჩუყებლად) არაფერს იგონებთ.

ამ ჟანრის ნიმუშებად უთუოდ გამოდგება სულ ახლახანს თქვენს მიერ წაკითხული ნუგზარ შატაიძის, გიორგი პატაშურის, ნანა ჯოხარიძის პუბლიცისტური ნაშრომები.

თუ იმასაც წაიკითხავთ, რასაც ახლა შემოგთავაზებთ, ძალიან კარგი, იქნება. წერილი „7 დღეში“ 1991 წლის აპრილში გამოქვეყნდა და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან, შეიძლება ითქვას, გრანდიოზული რეაქცია მოჰყვა. იმის გარდა, რომ ეს კოლექტიური ნაშრომი სოციალური პუბლიცისტიკის ნიმუშია, ნაწილობრივ, საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაზეც შეგიქმნით წარმოდგენას.

მოკლედ, თქვენს წინაშეა

ბარონი წვერიკმაზაშვილი და სხვები

პრეფექტი არ არის. გვითხრეს, რომ მალე მოვა და ჩვენც, „საქართველოს რესპუბლიკის“, „თბილისის“, „7 დღის“, „საქმის“ კორესპონდენტები ველოდებით. გვაინტერესებს, როგორ აპირებს პრეფექტურა რაიონში მიწის კუთვნილების საკითხის მოგვარებას მიწის შესახებ კანონის არარსებობის პირობებში. პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კანონი თვით პრეფექტისა და პრეფექტურის შესახებ.

სამწუხაროდ, ბუნების კანონები არ სცნობს ადმინისტრაციულ კანონებს — გაზაფხული ისევ ისე ძველებურად მოდის და თან უამრავი საზრუნავი მოაქვს. უმცირეს უყურადღებობას და დაგვიანებას არავის პატიობს.

საგარეჯოს რაიონის პრეფექტი, ბატონი გურამ ისაკაძე მართლაც ძალიან მალე მოვიდა (მანამდე მის მოადგილეს, ბატონ უჩა ქორიძეს ვესაუბრეთ). იგი ფრიად განსწავლული კაცია, პედაგოგების ოჯახიდან. პრეფექტად დანიშვნამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობდა. საგარეჯოელია და აქაურობას კარგად იცნობს.

ჩვენს კითხვაზე, რაიონში რა პრინციპით ნაწილდება მიწა და შემდეგ მისგან მიღებული შემოსავალი, ბატონმა პრეფექტმა ბრძანა:

— ეს არის ძალზე რთული საკითხი. ვინაიდან არ არსებობს კანონი მიწის შესახებ, მეტიც — კანონი საკუთრების შესახებ; გვიჭირს მიწის საკითხის გადაჭრა. რაიონში გვაქვს ვენახებიც, სახნავ-სათესი ფართობებიც, სათიბებიც, ტყეებიც. ვენახებს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იჯარით გასცემენ...

აქ ოდნავ გავუსწრებთ მოვლენებს და მოგახსენებთ, რომ ამავე კითხვით მივმართეთ საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარეს შოთა კერატიშვილს; გურჯაანის, თელავის, ყვარლის რაიონების პრეფექტებს შალვა წინწალაშვილს, ავთანდილ რცხილაძეს, ლევან იაშვილს; ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავჯდომარეს ნოდარ ქურდაძეს. პასუხი თითქმის ყველგან ერთნაირია: ჯერჯერობით, ბევრი რამეა გასარკვევი და დასაზუსტებელი. მაგალითად, ფასები: დღეისათვის ერთი კილოგრამი ყურძნის მოყვანა გლეხს დაახლოებით ერთი მანეთი და ექვსი კაპიკი უჯდება. თუ შესასყიდი ფასი იგივე დარჩა, გლეხი მის მიერ წარმოებული ყურძნის ყოველ კილოგრამზე ექვს კაპიკს... ვალს დაიდებს!

აქვე დავუმატებთ, რომ იჯარის ახლანდელი ზეპირი ფორმა გლეხსა და ადმინისტრაციას შორის თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ისტორიიდან ასე კარგად ნაცნობ ლენინურ „სასურსათო გაწერას“. ცნობილია სოფლის მეურნეობის ამგვარი გაძღოლის ერთობ სავალალო შედეგებიც: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობების უკიდურესი გამწვავება.

ისევ ბატონ გურამ ისაკაძესთან საუბარს დავუბრუნდეთ:

— ძალიან გვიჭირს. მოშლილია სტრუქტურები, აქეთ — მაფია, იქით — „მხედრიონი“... ამ უკანასკნელს ძლიერ ჰქონდა გამდგარი ფესვები ჩვენს რაიონში. უნდა შევცვალოთ სტრუქტურები. ჩვენ შევძელით თანამდებობიდან გადაგვეყენებინა და პასუხისგებაში მიგვეცა საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი...

სოფლის მეურნეობაში მძიმე სიტუაციაა. ახლა გაგიმხელთ ერთ საიდუმლოს. ალბათ, გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ასე ვფიქრობ. ეს ფანტასტიკურია... იცით, მიმაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის... ბატონყმობის აღდგენა!..

ბატონი პრეფექტის ეს განცხადება მართლაც მოულოდნელი და ფანტასტიკურია. მით უფრო, რომ ცივილიზებულმა მსოფლი-

ომ კარგა ხანია განვლო ფეოდალიზმის ეპოქა. ბატონყმობის ინსტიტუტი თვით რუსეთის იმპერიაშიც კი ზუსტად 130 წლის წინათ, 1861 წელს გააუქმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ.

მართალი გითხრათ, ისე დავიბენით, ისიც კი ვერ ვკითხეთ ბატონ პრეფექტს, მხოლოდ საგარეჯოში აპირებს ბატონყმობის შემოღებას, თუ მთელ საქართველოში. თუ ასე მოხდა, ვფიქრობთ, ბატონების საკითხი შედარებით იოლად მოგვარდეს, აი, ყმობა კი, ვეჭვობთ, ვინმემ სიამოვნებით იკისროს. არადა, ნახეთ, რა დიდებულად ჟღერს: ლორდი ისაკაძე! ჰერცოგი ქორიძე! გრაფი ერბოწონაშვილი! ბარონი წვერიკმაზაშვილი! ვიკონტი შამოევი!...

იმავე დღეს, საღამოს, იმავე შეკითხვით მივმართეთ გურჯაანის რაიონის პრეფექტს, ბატონ შალვა წინწალაშვილს. შეგახსენებთ, რომ ბატონ პრეფექტს ასეთი რამ ვკითხეთ:

— რა პრინციპით ნაწილდება რაიონში მიწა და, ბუნებრივია, მისგან მიღებული მოსავალი?

— გურჯაანის რაიონი, — ბრძანა ბატონმა პრეფექტმა, — ეთნიკურად წმინდა რაიონია. აქ აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები არიან. ერთი პატარა სოფელია, ჩუმლაყის კოლმეურნეობაში შედის, ყიტაანი და იმათაც სურვილი გამოთქვეს წავიდნენ რაიონიდან. ასე რომ, მალე სულ სუფთა რაიონი ვიქნებით...

— ბატონო შალვა, ეს ძალიან კარგი, მაგრამ მიწის საკითხი როგორღა წყდება?

— მძიმე მდგომარეობაა, რესურსები გაძვირდა, ყურძნის ფასი კი იგივე დარჩა. სათადარიგო ნაწილებიც გვიჭირს. არსებობს იჯარის ორი ფორმა — ინდივიდუალური და ბრიგადული. შარშანაც იჯარაზე ვიყავით. კარგი შედეგი გამოიღო. წლეულს, ჯერჯერობით, ახალი ხელშეკრულებები გლეხებთან არ დაგვიდია, ძველი დებულებით ვსარგებლობთ.

— ეს ნიშნავს, რომ გლეხმა მიწა იჯარით კი აიღო, მაგრამ ჯერ ცნობილი არ არის, ვისი იქნება მოსავალი?

— რას ბრძანებთ! ჩვენ, ჯერჯერობით, ხელშეკრულების ფორმა ვერ შევიმუშავეთ, თორემ, ისე შეთანხმებული ვართ, რომ გლეხი მოსავლის 30 პროცენტს სახელმწიფოს ჩააბარებს, დანარჩენი 70 პროცენტი კი მას დარჩება იმ პირობით, რომ იმ სამოცდაათ პროცენტში შევა ყურძნის წარმოებაზე დახარჯული სახსრები.

— ესე იგი, რა დარჩება გლეხს საბოლოოდ?

— **სავარაუდოდ, მოგების 20-25 პროცენტი.**

— თქვენ ბრძანეთ, რომ სოფელ ყიტაანის მცხოვრებლებმა გადასახლება გადაწყვიტეს. მათ თქვენ ამის თაობაზე ოფიციალურად მოგმართეს?

— **არა, არა, ჩვენ თვითონ შევთავაზეთ გადასახლება.**

— ვთქვათ, სოფლელები აიყარნენ და წავიდნენ, რას მოიგებს ამით რაიონი?

— **რას დავკარგავთ, რო?..**

ცნობისათვის: ყიტაანი არის ისტორიული ადგილი გურჯაანის რაიონში. აქ ოდესღაც ყოფილა სოფელი, რომელიც ისტორიულ ბედუკუღმართობას და მალარიას გაუნადგურებია. დაახლოებით ასი წლის წინათ, ნასოფლარის მიდამოებში ახალგორის რაიონიდან ოსური ოჯახები ჩამოსახლებულან. მათ რამდენიმე ადგილი გამოუცვლიათ და საბოლოოდ იქ დაფუძნებულან, სადაც ახლა ცხოვრობენ. მათი მშობლიური ენა ქართულია. ყველა მათგანს დამთავრებული აქვთ ქართული სკოლა. მისდევენ, ძირითადად, მევენახეობას. რაიმე ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში რომელიმე მათგანი შემჩნეული არ ყოფილა.

29 მარტს ყიტაანელებს გამოურთეს ელექტროენერგია, მოუხსნეს სამარშრუტო ავტობუსი (სოფელი ტრასიდან ექვსი კილომეტრით არის დაშორებული), შეუწყვიტეს პურის მიწოდება, დაუხურეს სკოლა და ბაგა-ბაღი, ყველა გლეხს ჩამოართვეს ჯერ კიდევ შარშან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთები. რაიონში გავრცელდა ყოვლად დაუჯერებელი ჭორები. ჩვენ გახლდით ამ სოფელში და ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილეთ.

— ბატონო ნოდარ, აქვს თუ არა, რაიმე სამართლებრივი საფუძველი ყიტაანელი გლეხებისთვის იჯარით აღებული მიწების ჩამორთმევას? იქნებ, კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილება მაინც არსებობს? — ვკითხეთ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ახლადდანიშნულ თავჯდომარეს, ბატონ ნოდარ ქურდაძეს.

—**არა, დადგენილება არ არის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყიტაანელებმა თვითონ, დიახ, თვითონ განაცხადეს უარი მიწის დამუშავებაზე...**

— ჩვენ გახლდით ამ სოფელში — არცერთ გლეხს საკუთარი ინიციატივით უარი არ უთქვამს მიწაზე, მით უფრო, სკოლაზე, განათებაზე, პურზე, ტრანსპორტზე, ბაგა-ბაღზე...

— **არა, ეს იყო ჩვენი ხალხის მოთხოვნა. მას შემდეგ, რაც ოსმა ექსტრემისტებმა მოკლეს ოთხი ქართველი, სოფელი**

(იგულისხმება სოფელი ჩუმლაყი. რედ.) **აღშფოთდა და მათთვის მიწების ჩამორთმევა მოითხოვა.**

— გამოდის, რომ თქვენ ომში დაღუპული ქართველი ბიჭების გამო შურს იძიებთ უდანაშაულო ხალხზე?

— ჩვენ არ ვიძიებთ არავითარ შურს! და, საერთოდ, თქვენ ვინა ხართ? მივლინება გაქვთ? ჩვენს ხელმძღვანელობასთან იყავით? მე რა შუაში ვარ? მე აქაური ვარ და ყველაფერი ვიცი... წავიდეთ, პრეფექტთან ვილაპარაკოთ...

პრეფექტთან კიდევ ერთხელ საუბარი ჩვენ ზედმეტად მივიჩნიეთ.

(„7 დღის“ ინფორმაცია).

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ამ სტატიას გამსახურდიას ხელისუფლებისა და მის მიერ კონტროლირებული მედიის მხრიდან მოსალოდნელზე მძაფრი რეაქცია მოჰყვა. სამთავრობო პრესა კარგა ხანს გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ ჩვენს წერილში ნახსენები თანამდებობის პირები არ იყვნენ... გიჟები.

ჩვენ არცერთ ამგვარ შემოტევაზე არავითარი პასუხი არ გაგვიცია.

მსოფლიო პრესაში ერთსა და იმავე სოციალურ თემაზე ყოველდღიურად ათასობით პუბლიცისტური ნაშრომი იწერება. ეს სრულებითაც არ ამცირებს თქვენს შანსს, სწორედ ამ ჟანრში გამოიჩინოთ თავი. მაგალითად, ქურდობაზე ან მეძავობაზე უამრავი ბრწყინვალე პუბლიცისტური ნაშრომია შექმნილი, მაგრამ ამის გამო არც ერთზე და არც მეორეზე კაცობრიობას ჯერ ხელი არ აუღია. სცადეთ, ვინ იცის, იქნებ თქვენ დაგიჯერონ. ოღონდ, ნუ იჩქარებთ, ჯერ იმის გარკვევა სცადეთ, რატომაა ამქვეყნად ამდენი უსამართლობა, ქონებრივი უთანასწორობა, ქურდული კანონები, პროსტიტუცია, ნარკომანია და ათასი სხვა სოციალური უბედურება.

უმიზნო, ანუ ცრუ პუბლიცისტიკა

სამწუხაროდ, ან, იქნებ, საბედნიეროდაც, ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ბუნებრივი სურვილი, იყვნენ პოპულარულები, აქვთ ე.წ. „წერის ტექნიკა“; იციან რაღაც ისტორიული ფაქტები; აქვთ ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე და, რაც მთავარია, საზოგადოების „გადარჩენა“ საკუთარ წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ. მიზანი

შესანიშნავია, მაგრამ, როგორც წესი, მის მისაღწევად ამ ადამიანებს ხელს უშლით გულგრილობა და ანალიტიკური უუნარობა.

1992 წლის გაზაფხულზე ჩემთან „დრონში“ მოვიდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი ათეიზმის კათედრის ასისტენტი, იმჟამად ერთ-ერთი აშკარად ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარე, რომელმაც თავის დროზე ჩემი ლანძღვა-გინებითაც გაითქვა სახელი. მომიტანა დაახლოებით 50 ნაბეჭდ თაბახზე გადაჭიმული „პუბლიცისტური ნაშრომი“ და მისი გამოქვეყნება მთხოვა. თანაც, გულახდილად მითხრა, მართალია, თქვენ სრული მორალური უფლება გაქვთ უარით გამისტუმროთ, მაგრამ მე გიცნობთ, როგორც პრინციპულ კაცს, პროფესიონალს და იმედი მაქვს, გამიგებთო.

წარმოიდგინეთ მდგომარეობა 16-გვერდიანი ყოველკვირეული გაზეთის რედაქტორისა, რომელსაც გამოსაქვეყნებლად 50-გვერდიანი სტატია მიუტანეს, თანაც, „ნამუსზე შეაგდეს“, მართალია, პიროვნულად არ მოგწონვართ, მაგრამ, მოდი, საქვეყნო საქმე გავაკეთოთო!

მოვიკრიბე მოთმინება და ბოლომდე წავიკითხე შემოთავაზებული აბდაუბდა. მართალი გითხრათ, ვერ დავადგინე, რისი თქმა სურდა ავტორს. მერე რომის პაპზედაც მეტად მორწმუნე ქრისტიანად ქცეულ ათეისტთან კიდევ ერთხელ დავჯექი და შევეცადე, რომ მისი შრომის უნაყოფობაში დამერწმუნებინა. გულწრფელად მაინტერესებდა ერთი რამ, რაც ასევე გულწრფელად ვკითხე მოფილოსოფოსო ავტორს:

— რა გრჯით, ამ ვეებერთელა გაუგებრობებს რა გაწერინებთ-მეთქი?

— რა ვქნა, თავს ვერაფერი მოვუხერხე, მეწერება და, აბა, არ დავწეროო?

მართლაც და, რა ქნას კაცმა, როცა „ეწერება“, დაწეროს, თუ არ დაწეროს?!

თუ „ეწერება“, ალბათ, უნდა დაწეროს კიდეც, მაგრამ ჩვენ აქ ვსაუბრობთ პროფესიონალიზმზე, ჟურნალისტიკის დანიშნულებაზე, ჟანრებზეც კი. არაფრისმთქმელი „ნაშრომების“ გამოქვეყნებას საზოგადოებისთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ეს არის დროის და ფულის უაზრო ფანტვა და საზოგადოების შეურაცხყოფა. მართალია, ვიღაცას „ეწერება“, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქნებ მკითხვ-

ელს ჩვენი ამბიციებისთვის არ სცხელა და არც ჩვენი ნაცოდვილარები „ეკითხება“.

ჩვენ, საბჭოეთის შვილებს, ცრუ პუბლიცისტიკასთან დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს — სიცრუე იყო ყველა ის პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც სოციალიზმის დანარჩენ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციებთან, წარმოების სოციალისტური წესის კაპიტალისტურთან შედარებით უპირატესობას ამტკიცებდა. გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ თავისუფალ კონკურენციასთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას; რომ სწორედ იგია ეკონომიკის პროგრესის საფუძველი და სოცშეჯიბრში გამარჯვებულის ჟეტონი მირჩევნია 100 000 დოლარს!

ამგვარ „მსჯელობათა“ ავტორებს საზოგადოებისა არ რცხვენოდათ. რცხვენოდათ კი არა, ვინც ამ სისულელის გამო მცირეოდენ პროტესტს გამოხატავდა, ციმბირს უკან ატოვინებდნენ.

ეს იყო სავალდებულო სიცრუე.

ახლა ეს ვალდებულება აღარ არსებობს, მაგრამ არსებობენ ადამიანები, ვისაც „ეწერებათ“ და ჰგონიათ, რომ ყალბი მაღალფარდოვნებით ნამდვილ პოპულარობას მოიპოვებენ. ასეთი ავტორები, აზრის ნათლად გადმოცემა ხომ არ შეუძლიათ და არ შეუძლიათ, წინადადებებსაც შეგნებულად აბუნდოვანებენ, იმ იმედით, რომ ვინმე უმეცარი ამ ბუნდოვანებაში სიბრძნეს დაინახავს. მოკლედ, **ცრუ პუბლიცისტიკის მიმდევრები ლამაზი სიტყვების უაზრო დახვავებით საკუთარი გონებრივი უმწეობის შენიღბვას ცდილობენ.** რატომ ცდილობენ, ეს უკვე გითხარით — პოპულარობა ხომ ერთობ მიმზიდველი რამეა, ზოგჯერ, მომგებიანიც.

მთავარი ის არის, რომ, საბოლოოდ, სიცრუით არავინ ბრიყვდება თვითონ ავტორისა და მისი „ნაშრომის“ გამომქვეყნებელი რედაქტორის გარდა.

თუ უბრალოდ, მარტივი წინადადებებით აზრის ნათლად და სხარტად გადმოცემა გეძნელებათ, პუბლიცისტობაზე ფიქრს სასწრაფოდ უნდა მოეშვათ და გადახვიდეთ, ვთქვათ, კულინარიაში — გემრიელი კერძის მომზადების ხელოვნება არაფრით ჩამოუვარდება ჟურნალისტიკას. მე, მაგალითად, ყოველთვის სიამოვნებით ვტრიალებ სამზარეულოში და ბედნიერი ვარ, თუ ჩემს ნახელავს ოჯახის წევრები და მეგობრები სიამოვნებით მირთმევენ. ხოლო თუ შემაქეს!..

ახლა შესანიშნავი საკმაზებით უხვად და უგემოვნოდ შეზავებულ ერთ ძალიან უგემურ კერძს შემოგთავაზებთ, თან ბოდიშს მოგიხდით და უმორჩილესად გთხოვთ, იქნებ როგორმე ბოლომდე ჩაიკითხოთ:

„საქართველოს „ცისარტყელას“ ფერები...
„წითელი“, „მიხაკის-ფერი“, „ცისფერების“, —
„იკებანა თაიგული...“

— ერი — ჰა�ა!...
— ერი, — ფაںںა-ფუ...
— პირ-და-პირი და...
— არა პირ-და-პირი გაგებით...
...

პატარა ქვეყანას, — ჩიბუხში ჩასადებ საქართველოს, ისედაც დაქუცმაცებულ, დაბეჩავებულ, განწირულ, — ერთ დროს „მამლუქების“ მხარეს, — დღეისათვის, ჯერაც შემორჩენილ 3-5-სამ თუ ხუთ მილიონიან ერს, — კაცების „გაბერწების“ — გადაჯიშების ხანა-პერიოდი ხომ არ დაუდგა?!

— ისედაც განწირულებს, — ესღა გვაკლდა?!

— კაცების „გაბერწება“-გადაჯიშება!!!(???)

ქართველი „მამლუქების“ „გაბერწების“, „მამათ-მავლებად“ გადაჯიშების პერიოდი ხომ არ დაიწყო?!

— ესღა გვაკლდა?!

ნუთუ ესეც გარედან, — ვიღაცისაგან-ვიღაცეებისაგან „შემოგდებული“, — „ევროპიზაციის“ — სამყაროს ცივილიზაციის, ერთიანი ევოლუციის შედეგია?!

— არა მგონია!...

ეს პროცესი, — ევოლუციური განვითარების, — ცივილიზაციის „საწარმოო ხარჯის“ — შინაური შინაბერების, — „მამათ-მავლების“ აღებ-მიცემობის შემოტევის შედეგი ხომ არ არის?!

დაფიქრება გვმართებს!

კონტრ-მოქმედება გვმართებს, სანამდე მთლად „აღებ-მიცემობაში“ არ გადავჯიშებულვართ, — ამ სიტყვების პირ-და-პირი თუ... არა პირ-და-პირი გაგებით...(!!!).

ფაქტი, ქრონიკა, კომენტარი, — ექსტრემალური გამოძახილი...

...

საქართველოში შექმნილ დღევანდელ უმძიმეს, აუტანელ პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ, სოციალურ ვითარებას, — ყველა მხარე, სუბიექტი „ჰომო საპიენსი“ — თავისებურად განჭვრეტს, აღიქვამს, — თავის საკუთარ „რეცეპტებს“ სთავაზობს ხალხს, საზოგადოებას, — მათ შორის პრესას. — საინფორმაციო საშუალებებს, — იდეოლოგიას, მორალის, ეთიკის სხვა ზნეობრივი ნორმების დაცვით კლიმატის გაჯანსაღების სფეროში...

— „გაუცხოების“, „გადაჯიშების“ პროცესმა დაგვრია მსახვრალი ხელი...

...

— „აღარ გათენდება, ღამე საზიზღარი?..

რომელი საათია?, რომელი საათია?“

— გალაკტიონი...

...

გეო-პოლიტიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ დარტყმებს, შემოტევებს, — იდეოლოგიური, რელიგიური სექტების დარტყმები, შემოტევები ემატება, ენაცვლება...

ქართულ გენეტიკურ კოდს, — თავისუფალი სექსი-პათოლოგიური, ფიზიოლოგიური გადახრები ემუქრება, — ჩიბუხში ჩასადები ქვეყანა, — მცირე ერი — ერთ დროს „მამლუქების“ მხარე, — შემორჩენილი კაცების, მამა-კაცების, დედა-კაცებად გადაქცევას ვერ აიტანს, — გენეტიკურად გადავშენდებით...

...

ყოფილი „წითელი“ იდეოლოგები დღევანდელი „მიხაკისფერის“ „პონტი-პილატები“, — ღიად თუ ფარულად, — დღევანდელი და მომავალი „დემოკრატიული“, „თავისუფალი“, „დამოუკიდებელი“ საქართველოს, — გაუკუღმართებული ფროიდისეული მოძღვრების, — „ცისფერი“ გარდაქმნის ავტორები, — საუნივერსიტეტო კათედრიდან ირჯებიან, — იხარჯებიან... **(„მართალი გაზეთის“ ინფორმაცია).**

ცრუ პუბლიცისტიკისა და გრაფომანიის ეს კლასიკური ნიმუში იმაზე გაცილებით უფრო საშიში მოვლენაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს: მისი ავტორი „ცნობილი“ პუბლიცისტი, „მამაცი კაცი“, კალმის „დიდოსტატი“, „თითით საჩვენებელი მოქალაქე“, მოკლედ, ახალგაზრდობისთვის მისაბაძი პიროვნებაა. ხოლო თუ თქვენ მის ნაშრომში რაიმე

ბუნდოვნად ან გაუგებრად გეჩვენათ, საკუთარ უვიცობას დააბრალეთ!

საზოგადოების ერთი ნაწილისთვის სამაგალითოდ ისახება ფუტურო, უშინაარსო, უაზრო, უმიზნო ნაწარმოები და მისი უნიჭო და ავანტურისტი ავტორი.

ვულგარული, ცრუ პუბლიცისტური ჟანრი ერთობ დამახასიათებელია მეოცე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთეს დასაწყისის საქართველოსთვის. ამ პათოსით გაიჟღინთა ჯერ ყვითელი პრესა, შემდეგ — ოფიციოზი, შემდეგ — სერიოზული, დამოუკიდებელი და თვით ყოვლად უწყინარი სტუდენტური პრესაც კი. ბოლოს ამ პათოსმა მთავრობასა და პარლამენტშიც შეაღწია (ან იქნებ, სულაც იქიდან დაიწყო!).

მეგონა, სიტყვის თავისუფლებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებით გამეფებული საყოველთაო ეიფორიის ჩავლის შემდეგ ცრუ და დემაგოგიური პუბლიცისტიკაც ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ეტყობა, სიცრუით ნასაზრდოები ჟურნალისტური დემაგოგია ისეთივე უკვდავია, როგორც თავად ჟურნალისტიკა და ადამიანის უძველესი ხელობა.

როგორც წესი, „პუბლიცისტური დემაგოგია“ (გნებავთ, „დემაგოგიური პუბლიცისტიკა“ დავარქვათ), მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ტრიბუნაზე მაშინ გადმოდგება, როცა ქვეყანაში ხელოვნურად იქმნება რევოლუციური აღტყინება. შესაძლოა, იგი ისტორიული კანონზომიერებითაც იყოს გამოწვეული, მაგრამ ეს ვითარებას ვერ ცვლის.

საერთოდ, ჟურნალისტურ ჟანრებზე უსასრულოდ ბევრი მსჯელობა შეიძლება. ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები ასე იქცევიან კიდეც: მომავალ ჟურნალისტებს ნაშრომის მომზადების მკაცრად დადგენილ წესებს სთავაზობენ — ჯერ კიდევ ნედლი მასალის (სტუდენტის) მტკიცე ყალიბებში ჩასხმას ცდილობენ.

ფამილარობაში თუ არ ჩამომართმევთ, ჟურნალისტური ჟანრების თეორიას კულინარიული რეცეპტების კრებულს შევადარებდი.

დიდი ხნის წინათ ჩემმა მეგობარმა, ნიჭიერმა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა, თამაზ ჩიქვანაიამ ერთობ რომანტიკული დასახელების კერძის რეცეპტი მასწავლა — მადამ ბოვარი: კარგად უნდა მოხარშოთ და მერე ტაფაზე შებრა-

წოთ ცხიმგაცლილი ძროხის ან ღორის ხორცი. ცალკე უნდა შეწვათ წვრილად დაჭრილი კარტოფილი. უნდა დაუმატოთ ერთად მოდაღული ხახვი და ბულგარული წიწაკა, რამდენიმე ნაჭერი შვეიცარული ყველი, ზემოდან მოაწყოთ კანგაცლილი პამიდვრის ნაჭრები, მოასხათ არაჟანი, დააყაროთ შავი წიწაკა და მარილი. ყველაფერი ეს დიდი ტაფით ათიოდე წუთით უნდა ამყოფოთ ცხელ ჰაერღუმელში და მადამ ბოვარივით ნაზი, მაცდური და გემრიელი კერძიც მზადაა!

თუმცა, თავად თამაზ ჩიქვანაიას შესრულებით, ამ რეცეპტით მომზადებული კერძი მადამ ბოვარის კი არა, თავად გუსტავ ფლობერს* ჰგავს, ჩემი მომზადებული კი — თამაზ ჩიქვანაიას. ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენი ნახელავი გენერალ დე გოლს* ან ფიდელ კასტროს დაემსგავსოს. ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა მზარეულის მიერ მომზადებული ზუსტად ერთნაირი გემოს ნამცხვარი „ნაპოლეონი“ არასოდეს შემხვედრია.

ასეა ჟურნალისტური ჟანრებიც. კი ბატონო, ისწავლეთ თეორია, დაიზუთხეთ რეცეპტები, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ რეცეპტების (თეორიის) კარგად ცოდნა არ არის კარგი კერძის (ნაშრომის) შექმნის გარანტია. ბუნებაში რამდენი მზარეულიცაა, იმდენი კერძია, ანუ რამდენი ჟურნალისტიცაა, იმდენივე ჟანრია.

თავი VIII

ყოვლისშემძლე პრესა

80-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირში უცნაური ამბები დაიწყო. ჯერ იყო და, „ძლევამოსილ, მარადიულ ერთა ურღვევ კავშირს“ ბზარები გაუჩნდა, რაც ე.წ. „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ — დისიდენტთა უკიდურეს გააქტიურებასა და მათ წინააღმდეგ სახელმწიფოს დამოკიდებულების ლიბერალიზაციაში გამოიხატა. მრისხანე КГБ თითქოს შედრკა, ან იქნებ სისხლის სმა მოსწყინდა. პოლიტიკური არენიდან ზედიზედ გაქრნენ ყოვლისშემძლე „სუპერ-ბებრები“: პელშე, პოლიანსკი, პოდგორნი, სუსლოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო, კოსიგინი... 1985 წელს კი კრემლს პატრონად ახალგაზრდა, ამბიციური, „პერესტროიკის“ იდეებით შთაგონებული მიხეილ გორბაჩოვი მოევლინა.

მართალია, მისი პირველი ნაბიჯები დიად და „ცეცხლოვანი წყლის“ დიდად მოყვარულ საბჭოეთში ანტიალკოჰოლური მიმართულებით გადაიდგა, მაგრამ ამ მკვდრად შობილ იდეას სულ მალე კომუნისტური რეჟიმისაგან ყოვლად მოულოდნელი გადაწყვეტილებებიც მოჰყვა: — სიტყვის თავისუფლება საზოგადოების დემოკრატიზაციის მიზნით!

— Я коммунист, при том, я убежденный коммунист, — საჯაროდ განაცხადა ახალგაზრდა გენსეკმა და ახალი შემადგენლობის პოლიტბიუროსთან ერთად მმართველობის კომუნისტური რეჟიმის მოდერნიზაცია განიზრახა. არცთუ უჭკუო გორბაჩოვს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ასეთი რამ, საერთოდ, შესაძლებელი იყო. იგი ხედავდა კომუნიზმის დასასრულს და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას სერიოზული კოსმეტიკური საშუალებებით ცდილობდა. ამ გზაზე პირველი იყო სიტყვის თავისუფლება.

ახლანდელმა თაობამ იცის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა და ძალა, მაგრამ მისთვის ძნელი წარმოსადგენია ისეთი ვითარება, როცა სიტყვას შეუძლია პირწმინდად დაანგრიოს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ვერაგი იმპერია.

დიახ, საბჭოთა იმპერიის აღსასრული ისტორიული კანონზომიერებით იყო გამოწვეული — ადრე თუ გვიან მძიმედ დასნეულე-

ბული გოლიათი უეჭველად დაეცემოდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი იყო რაღაც, რაც გოლიათის დაღუპვის უშუალო მიზეზი გახდებოდა: ომი, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება...

ეს „რაღაც“ აღმოჩნდა სიტყვა. იოანეს სახარებაშიც ხომ ასეა ნათქვამი: „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა“.

კომუნისტებმა თქვეს, ილაპარაკეთო და, ოდესღაც უმტკიცესი დუღაბით შეკრული მსოფლიო სოციალისტური სისტემა კოცონზე შემოდგმულ უზარმაზარ ზღაპრულ ქვაბს დაემსგავსა. არენაზე გამოვიდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერები და ფსევდო-ლიდერები, პარტიები და მოძრაობები, ორატორები და დემაგოგები, პატრიოტები და რენეგატები, დემოკრატები და „დერჟავნიკები“, ნაციონალისტები, ფარისევლები და პროვოკატორები.

სიტყვას მოჰყვა საქმე: უამრავი ახალი ჟურნალ-გაზეთი, რადიო და ტელევიზია. მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები თითქოს ციებ-ცხელებამ შეიპყრო. დაგროვილმა უკმაყოფილებამ ვულკანივით ამოხეთქა და დაუოკებელ ძალად იქცა.

ახალმა, დემოკრატიულმა მასმედიამ ელვის სისწრაფით გააშიშვლა 70 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ ჩაცხრაკლიტულებული სოციალისტური სინამდვილე; ფართოდ გაუღო კარი კომუნისტური ჯურღმულებიდან გათავისუფლებულ ყოფილ დისიდენტებს...

რახან საქმე სიტყვაზე, სიტყვიერ გარჩევაზე მიდგა, ყველამ თავისი თქვა და ყველამ თავისი მოითხოვა. საბჭოთა კავშირი და მთელი აღმოსავლეთი ევროპა მრისხანე საპროტესტო მოძრაობებმა შეაზანზარა. პოლონეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა, გდრ-მ, იუგოსლავიამ და სხვებმა ხმა ამოიღეს. თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკამ ჯერ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობა მოითხოვა. განზე არც საქართველო დარჩენილა. აი, რას წერს 1989 წლის ორი იანვრის გაზეთი „თბილისი“. უფრო ზუსტად, კომუნისტური გაზეთი ბედავს საბჭოთა რეჟიმის საფუძველთა საფუძვლის, სასამართლო სისტემის კრიტიკას: „სამართლებრივი რეფორმის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ მთელი სისრულით უნდა განახორციელოს უდანაშაულობის პრეზუმფცია.

უდანაშაულო ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს. სასამართლო მისთვის უნდა იყოს თავშესაფარი ყოველგვარი დევნისაგან. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მოსამართლე მიიღებს სრულ იურიდიულ, ეკონომიკურ და პიროვნულ (მორალურ) დამოუკიდებლობას. თუ დავეთანხმებით გამოთქმას, რომ „იაფი მართლმსაჯულება სახელმწიფოს ძვირი უჯდება“, ამ მხრივ ჩვენ ფრიად არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს...

თვეში ორას მანეთად შეფასებულმა მოსამართლის ჯოჯოხეთურმა და უაღრესად საპასუხისმგებლო შრომამ სასურველი ნაყოფი რომ ვერ გამოიღოს, არ არის გასაკვირი...

მოსამართლის პიროვნული (მორალური) დამოუკიდებლობის მოპოვება უაღრესად ძნელია და იმიტომ კი არა, რომ ამ თავისუფლებას კანონმდებლობა ვერ მიანიჭებს. თვით მოსამართლე, გნებავთ, სასამართლო არ არის მზად სრული თავისუფლებისთვის. იურისტთა ახლანდელი კადრები, ბუნებრივია, იმ ძველ ტრადიციებზე, სამართლის იმ კონცეფციაზეა აღზრდილი, რომელსაც დღეს ასე დაუნდობლად ვაკრიტიკებთ. მომავალში, ალბათ, უნდა მოვიდეს მოსამართლის სრულიად ახალი ტიპი. თავისი პირდაპირი მოვალეობის იდეალური მსახურის გარდა, იგი უნდა იყოს მოღვაწე ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით და არა მოსამსახურე-ობივატელი. ამას მარტო ნორმატიული აქტების შეცვლა ვერ უშველის. საჭიროა დრო, მოთმინება და ასეთ მოღვაწეთა აღზრდა. იმაზეც მიფიქრია, რომ მაშინ მეც, ისევე, როგორც ჩემი თაობის ყველა იურისტს, მოსამართლის უმძიმესი ტვირთის ტარება ერთობ გამიჭირდება. ჩვენი იურიდიული აზროვნება ხომ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბდა“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: 1989 წლის იანვრის დამდეგს საბჭოთა სოციალისტური სისტემის კრახზე საუბარი მეტისმეტად ნაადრევია. ამავე დროს, პარტიულ გაზეთში, პარტიის წევრი მოსამართლე (უპარტიო მოსამართლე საბჭოთა სინამდვილეში, საერთოდ, არ არსებობდა!) საბჭოთა სამართლებრივი სისტემის მანკიერებასა და საბჭოთა ავტორიტარულ რეჟიმზე ლაპარაკობს. რაც მთავარია, დაუსჯელად ლაპარაკობს! და არა მარტო ვაჟა აბაკელია. იგივე „თბილისი“ აქვეყნებს პროფესორ ოთარ გამყრელიძის სტატიების სერიას სამართლებრივი რეფორმების აუცილებლობაზე. ამავე თემაზე ქვეყნდება უამრავი სხვა სტატიაც და პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი-მოწოდებაც:

„პატარა ბიჭი „მართვედან“
ყელს იღერებს და თვალს მიკრავს,
მღერის სიმღერას ქართველთა —
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“.
იმღერე, ორბის მართვეო,
მღერით გადახვალ ჯებირსა,
ქართველი კვლავაც ქართველობს,
„დღე დადგა გამარჯვებისა“.

ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვას, ისიც პრესაში გამოქვეყნებულს, სხვა ფასი აქვს: ჩარკვიანი კომპარტიის ძველი წევრია, უმაღლესი საბჭოს უამრავი მოწვევის დეპუტატი, ყველა მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საკავშირო „ფორუმის“ მონაწილე. სწორედ ეს კაცი ყველას საქვეყნოდ მოუწოდებს, ქართველო ხელი ხმალს იკარ, დღე დადგა გამარჯვებისაო!

ასეთი რამეების წერა, უფრო ზუსტად, წერა კი არა, კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნება, არც ისე იოლია. ამიტომ რედაქტორი იძულებულია ცოტა იეშმაკოს და საკუთარი გაზეთი ამგვარი გამოთქმებითაც შეალამაზოს: „პარტია ყველაფერს იღონებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მართვაში თითოეული ადამიანის აქტიური მონაწილეობისთვის, ნამდვილი სრული სახალხო ხელისუფლების გამარჯვებისთვის“ (გორბაჩოვის მიმართვიდან პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი). ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს ციტატა ამოღებულია ერთი იმდროინდელი ჩემი სტატიიდან „მივდივართ დემოკრატიისკენ“. „ამხანაგი“ გორბაჩოვი რომ არ დამემოწმებინა, საჯაროდ ვერ ვიტყოდი მთავარს: „დღევანდელ პირობებში მოსამართლე ვერ იქნება ობიექტური. იმიტომ კი არა, რომ მას ეს არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია იყოს ობიექტური.

სახალხო მოსამართლე არჩევითი თანამდებობაა. სინამდვილეში არავინ არავის არ ირჩევს — მოსამართლე ინიშნება ზემდგომი სასამართლო ორგანოს მიერ პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით, ან პირიქით — პარტიული ორგანოს მიერ ზემდგომ სასამართლო ორგანოებთან შეთანხმებით. ამდენად, სახალხო მოსამართლე ანგარიშვალდებულია არა ხალხის, ამომრჩევლების წინაშე, არამედ მისი დამნიშნავის ან დამნიშ-

ნავების წინაშე. ვითარებაში, როცა არსებობენ თანამდებობის პირები და ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ნება უკარნახონ სახალხო მოსამართლეს, ამ უკანასკნელის მხრიდან რაიმე ობიექტურობაზე ფიქრი არარეალურია. იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა „არჩევითი“ თანამდებობის პირების მიმართ“ **„თბილისის ინფორმაცია“.**

ამგვარი „ეშმაკობანი“ არც ჩემი გამოგონილია და არც ჩემი თაობის სხვა ჟურნალისტებისა. ეს იყო საბჭოთა პრესაში გავრცელებული სისტემა, რასაც, პირობითად, „სტრიქონებს შორის წერა“ ერქვა.

ეს 1989-ის დასაწყისია. აპრილში კრიტიკისა და მოწოდებების მოჩვენებითი რეალიზაციის დრო დგება. თბილისში, რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ ათი ათასობით ადამიანი თავდავიწყებით ეწაფება ერთ დროს სასტიკად აკრძალულ მოწოდებებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. უწყინარი მიტინგი თანდათან კატეგორიულ პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადადის და საბჭოთა რეჟიმი მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ უჩვენებს, რომ „ხმები მისი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია“: დარბეული მიტინგი, თექვსმეტი მოკლული, ასობით დასახიჩრებული, მილიონობით სულიერად ტრავმირებული ადამიანი.

ამ დღეს, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოში საბჭოთა ისტორია დამთავრდა.

უოტერგეიტის საქმე ხომ გახსოვთ? — როგორც კი პრესაში გამოქვეყნდა დასაბუთებული ინფორმაცია პრეზიდენტის საარჩევნო გუნდის უსაქციელობაზე, პრეზიდენტი გადადგა!

არც უფიქრია, არც უყოყმანია, არც თავის მართლება დაუწყია — ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე პოსტიდან გადადგა მსოფლიოს №1 პოლიტიკური ფიგურა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი!

ასეთი მასშტაბებისა არა, მაგრამ თვისობრივად მსგავსი შემთხვევები მსოფლიო ისტორიაში იშვიათი სულაც არ არის. მასმედიას საკმაოდ იოლად შეუძლია ბეჭებზე დასცეს ნებისმიერი რანგის პოლიტიკური მოღვაწე. ერთი ენამწარე ჟურნალისტის თქმით, პოლიტიკოსი და კოღო იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ გაზეთით ორივეს გასრესა შეიძლება. წარმოიდგინეთ, XX საუკუნის ბოლოს მსგავსი რამ საქართველოშიც მოხდა: გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ უშიშროების

სამინისტრო უსმენდა ამ გაზეთის რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს. მართალია, როგორც ცივილიზებულ სამყაროში ხდება, ამის გამო უშიშროების მინისტრი შოთა კვირაია თანამდებობიდან საკუთარი ნებით არ წასულა, მაგრამ მის ნაცვლად ეს გააკეთა პრეზიდენტმა შევარდნაძემ — უშიშროების მინისტრი პოსტიდან გადააყენა.

რამდენიმე წლის შემდეგ გენერალ კვირაიას ბედი გაიზიარა მისმა მემკვიდრე ვახტანგ ქუთათელაძემაც. 2001 წლის ოქტომბრის ბოლოს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისში უშიშროების სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი გამოცხადდა და კომპანიის ფინანსების შემოწმების მიზნით, დოკუმენტები მოითხოვა. კომპანიის ხელმძღვანელობამ უშიშროების თანამშრომელთა მოთხოვნა უკანონოდ მიიჩნია და შემმოწმებლებს უარი განუცხადა. უშიშროებამ ტელეკომპანიაში დამატებითი ძალები გამოიძახა. კომპანიის ოფისი ტყავის ქურთუკიანი, შეიარაღებული კუნთმაგარი ბიჭებით გაივსო. ჟურნალისტებმა ტელევიზიის ოფისში მიმდინარე კოლიზიების ღია ეთერში გადაცემა მოახერხეს. პოპულარული ტელეკომპანიის მიმართ ძალადობა თბილისელებმა საკუთარ შეურაცხყოფად და სიტყვის თავისუფლების ხელყოფად მიიჩნიეს — ტელეკომპანიის ოფისთან ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ისიც სათქმელია, რომ პროცესებს, ფაქტობრივად, თვით „დაზარალებული“ ტელეკომპანია მართავდა.

უშიშროების სამსახურის რამდენიმე თანამშრომლის „ინიციატივა“, საბოლოოდ, კატასტროფული აღმოჩნდა: თანამდებობები დაკარგეს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრებმა და ბევრმა სხვამ.

შესაძლოა, პრეზიდენტს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოტივებიც ჰქონდა ოდესღაც საკუთარი ფავორიტების მოსაშორებლად, მაგრამ ეს მაინც პრესის დიდი გამარჯვება იყო.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებულ პროცესებს ვირტუოზულად წარმართავდა პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების ოპოზიციური ფრთა მომავალი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას მეთაურობით. თუმცა, ვიმეორებ, ეს მედიის როლს სულაც არ აკნინებს — საბოლოოდ ხომ ყველაფერი მისი ხელით გაკეთდა!

დრონი მეფობენ

პრესას ბევრი რამ შეუძლია. ჩემი ნათქვამის საილუსტრაციოდ მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე მაგალითი 1991 წლის მოდელის გაზეთ „დრონის“ სინამდვილიდან.

„დრონი“ 1991 წლის 1 ივნისს გამოვიდა და მკითხველთა უზარმაზარი სიმპათია თავისი ობიექტურობით დაიმსახურა. საქართველოში ძალიან დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო. ხელისუფლება უხვად არიგებდა მტრებისა და მოღალატეების იარლიყებს. პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებულმა „მრგვალმა მაგიდამ“ აშკარად თავი ვერ გაართვა სახელმწიფოს მართვას. უკვე ზაფხულში შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ საქმე აუცილებლად მივიდოდა შეიარაღებულ დაპირისპირებამდე და, საბოლოოდ, — სამოქალაქო ომამდე. პრეზიდენტ გამსახურდიას ზედიზედ მოსდიოდა საბედისწერო შეცდომები. საქართველოს თითქმის მთელი საინფორმაციო სივრცე მონოპოლიზებული იყო ხელისუფლების მიერ. მოკლედ, ეს ის დროა, როცა საქართველოს „ღვთის მიერ მოვლენილი ადამიანი“, „წამებული“, „დიდი ლიდერი“ და, საერთოდ, ალაჰის ასივე ეპითეტის მფლობელი ზვიად გამსახურდია და მისი ყოვლად გამოუცდელი გუნდი მართავენ.

ამ უაღრესად რთულ და საშიშ დროს „დრონში“ ქვეყნდება პროფესორ თამაზ კვაჭანტირაძის სტატია „ვაგლახ, უკვდავი“.

მე ვერ გავბედავ ამ სტატიის რომელიმე ჟურნალისტურ ჩარჩოში ჩასმას (რომელიმე ჟანრისთვის მიკუთვნებას). იგი ერთდროულად პუბლიცისტური სტატიაც გახლავთ, მეცნიერული გამოკვლევაც, ესსეც და, თუ გნებავთ, უბრალოდ, წარსულის გახსენებაც.

სტატიის შესავალში ნათქვამია:

„პიროვნება ხასიათია. ეს ხასიათი იკვეთება, ერთი მხრივ, მისი ქმედების, მეორეს მხრივ, — აზროვნება-მეტყველების საფუძველზე.

კაცი რასა იქმ და რას ამბობ — ეს საკითხის ერთი მხარეა; სხვანი როგორ აღიქვამენ შენს ქცევა-მეტყველებას — ეს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი.

წინააღმდეგობრივი შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო შენი ნათქვამი შენსავე ნაქნართან, არამედ მოვლენათა სხვისეული აღქმა-შეფასება — შენეულთან. ამგვარი წინააღმდეგობა

ზოგჯერ ტრაგიკულია, ზოგჯერ — კომიკური, ხშირად კი — ტრაგიკომიკური: პიროვნებას გააჩნია“ **(„დრონის“ ინფორმაცია).**

შემდეგ მთელ საქართველოში კარგად ცნობილი ოქროპირი, ლიტერატორი თამაზ კვაჭანტირაძე მოგვითხრობს ასევე მთელ საქართველოში ძალიან დიდი ხანია ძალიან კარგად ცნობილი ლიტერატურული გმირის ნათქვამ-ნაქნარზე და მისი ამ ნაქნარ-ნათქვამის შედეგებსა და საზოგადოებრივ შეფასებაზე.

მოკლედ, საუბარი ეხება პოლიკარპე კაკაბაძის* მართლაც უკვდავ გმირს — ყვარყვარეს*.

არც ერთი სიტყვა არსებულ ხელისუფლებაზე, არც ერთი სიტყვა პრეზიდენტზე ან ხელისუფლების რომელიმე სხვა წარმომადგენელზე! არავითარი მინიშნება, არავითარი გადაკრული სიტყვა!

ამის მიუხედავად, „დრონის“ რედაქცია და თვით თამაზ კვაჭანტირაძე კინაღამ წალეკა ხელისუფლების თავგამოდებულ მომხრეთა რისხვის ნიაღვარმა — როგორ, თქვენ ჩვენი პრეზიდენტი ყვარყვარე თუთაბერს შეადარეთო?!

ასეც იყო — თამაზ კვაჭანტირაძემ, ყვარყვარიზმის არსის ჩვენებით, მართლაც დახატა ზვიად გამსახურდიას და მისი ფანატიკური მიმდევრების პორტრეტი.

ვწუხვარ, ბატონი თამაზის იმ სტატიას აქ ვერ მოვიყვან, მაგრამ იგი „დრონში“ 1991 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნდა და ძალიან გთხოვთ, წაიკითხოთ, ვინძლო ყვარყვარეში ზოგიერთი თქვენი თანამედროვე ხელისუფალი ამოიცნოთ — ყვარყვარიზმი ხომ უკვდავია!

„დრონს“ გულწრფელად სურდა მაშინდელი ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა. ამ მიზნით, მან თითქმის შეუძლებელი შეძლო — საზოგადოებას, ამომრჩევლებს დაანახა ხელისუფლების ნამდვილი სახე; დაანახა, რომ ფანატიზმამდე მისული პატრიოტული ლოზუნგების უკან იდგა უკიდურესი გულუბრყვილობა, უვიცობა, დემაგოგია და ფარისევლობა. „დრონმა“ ეს გააკეთა უბრალოდ და გენიალურად — ხელისუფლების ყველაზე აქტიური მხარდამჭერების წერილებისა და უმაღლესი რანგის ჩინოვნიკების აზრების უკომენტარო გამოქვეყნებით!

არ გჯერათ? — მაშინ თვალი გადაავლეთ ამ პატარ-პატარა წერილებს, რომლებიც იმდროინდელი „დრონიდანაა“ ამოღებული:

პრეზიდენტში ხალხი ხედავს ღმერთს

ხალხს ბრბოს რომ უწოდებს, იმ მილიონობით ხალხს, რომლებმაც ხმა მივეცით ბატონ ზვიად გამსახურდიას, გადადგესო რომ ბრძანეს, მაგათმა აირჩია თუ რა. ჩვენ არ გვეკითხებიან, თუ გადავაყენებთ. თუ ჩვენ ბრბო ვართ, როგორც ბრძანეს და არაფერი არ გაგვეგება.

რამდენი ძვირფასი ინტელიგენტია თბილისში, რომლებმაც ხმა მისცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, რამდენი ინტელიგენტია რაიონებში რომლებმაც ხმა მისცა და მოიპოვა 87 პროცენტი.

თუ ამ ერთ მუჭა ინტელიგენტის ძალით გადავაყენებდით. რატომ გწყინთ, რომ ამბობს თქვენზე მოღალატეებიო. რატომ გიკვირთ, რატომ გწყინთ, არა ხართ? აბა დაუკვირდით თქვენს მოქმედებას, ჯერ იყო და პრეზიდენტობის კანდიდატები, როგორი უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ბატონ ზვიად გამსახურდიას. ამით რაც გააკეთეს, ის იყო რა პროცენტებიც მიიღეს, კარგად იციან. შემდეგ შურით და ბოღმით სხვა ხერხებს მიმართეს. ახლა პრეზიდენტი არ გვინდაო. თუ არ უნდოდათ, რატომ იკლავდნენ ცოცხალ თავს პრეზიდენტობაზე.

ჩემო ძვირფასო ინტელიგენტებო, იცოდეთ, გონს თუ არ მოხვედით, თქვენი იარაღის ქართველ ერს არ ეშინია. პრეზიდენტის გადადგომით, ეს დღე ღმერთმა ნუ მოგვასწროს, რამდენიც გინდათ იმდენი ამბობს შემდეგ სიცოცხლე აღარ ღირსო. პრეზიდენტში ხალხი ხედავს ღმერთს, ხალხის მხსნელს და ამით თქვენ ნუ გაბოროტდებით და ქვით, ბოთლებით, იარაღით და დანით თავს ნუ ესხმით მთავრობის სახლს. ამას ისტორია არ გაპატიებთ.

პელო შაფაქიძე

ვეღარ მოვითმინე ამდენი დაუმსახურებელი სიტყვები...

ჩვენ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს გვწამს ჩვენს მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის, ვეღარ მოვითმინე ამდენი დაუმსახურებელი სიტყვები: „პრეზიდენტი გადადგეს“, „არაფერი გაუკეთებია“, „დიქტატორია“ და სხვა.

ბატონო რედაქტორო: თუ გინდ ავიღოთ რამოდენიმე წერილი, რომლებიც გამოქვეყნებულია თქვენს გაზეთში. თუ გინდ

წერილი „ციხეს რად უნდა რკინის კარები?“ ბატონი ჭანტურია მისი წერილით ციხიდან მოითხოვს ხალხის მიერ არჩეულ და ღმერთიდან მოვლენილ პრეზიდენტის გადადგომას. ვინ არის ჭანტურია? ვითომ ქართველი ხალხის ერთგულია? ჭანტურიამ აირჩია ჩვენი პრეზიდენტი? როდესაც მის პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, და ქართველი ხალხისათვის მტრობის მეტი არაფერი გაუკეთებია და აკეთებს. ასევე მის გვერდით მდგომი იარაღით შეიარაღებული ბატონი ი. წერეთელი მოითხოვს პრეზიდენტის ზ. გამსახურდია გადადგეს და ქართველი ხალხის მტრის ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანას საქართველოში, რისთვის ვითომდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ? ქართველმა ხალხმა კარგად იცის შევარდნაძე ის ქართველია, რომელსაც არ უყვარს არც საქართველო და არც ქართველი ხალხი, ის დიდი პოლიტიკოსია მხოლოდ თავისი თავისათვის, კარგად გაიხსენონ მისი მოღვაწეობა საქართველოში, რამდენი ქართველი ადამიანი დაღუპა.

ასევე მინდა მოგახსენოთ ჟურნალისტ ბატონ კვარაცხელიაზე და მის დაწერილ წერილში, „დარჩა ორი გზა თქვენ რომელს ირჩევთ“? აქ ბატონი კვარაცხელია თხოვს ჩვენს პრეზიდენტს „შეიბრალოს თავისი ხალხი“ და ის ხალხიც, რომელიც თითქოს მას სძულს“ და რომ სისხლის ღვრა არ მოხდეს გადადგეს. ბატონი ვ. კვარაცხელია ცდება ამ თხოვნაში, მან კარგად უნდა იცოდეს ჩვენი პრეზიდენტი დიდი დამთმობი ბრძანდება რომ მას არცერთი ქართველი არ სძულს, თუ გინდ იცოდეს, რომ ის მისი მტერია. და ასევე ყველაფერ დათმობაზე წავა, რომ საქართველოში არ მოხდეს ძმათა სისხლის ღვრა. ბატონო ვ. კვარაცხელია თქვენ რა გააკეთეთ ქართველი ხალხისათვის? და ბოლოს ბატონი ჯ. ჩარკვიანის წერილი „პოეტის ტყვიით მოკლული კაცი?“ თავის წერილში ბატონი ჯ. ჩარკვიანი საყვედურობს ბატონ მ. მაჭავარიანს, თითქოს მან დაკეტა მწერალთა კავშირი და მილიციელები დააყენა და კოპერატივად გადააქციაო. ბატონო ჯანსუყ საჭირო ყოფილა თუ არა ასე მოქცეულიყო ბატონი მ. მაჭავარიანი? ეხლა რას ბრძანებს ბატონი ჯანსუყი? ვინ დაუშინა მწერალთა კავშირს ტყვიები? ამას თვით უნდა გვიპასუხოს ბატონმა ჯანსუყმა. ბატონო რედაქტორო: თქვენ კარგად იცით თუ რა ჩაიდინეს ეგრეწოდებულ ოპოზიციონერმა და პუჩისტებმა, მაგრამ ამათ შესახებ ერთი სიტყვაც არ სწერია, ისე გამოდის თითქოს ყველაფერი ეს დანაშაული

პრეზიდენტის მომხრეების მიერ არი ჩადენილი. სირცხვილი თქვენ და იმათ, ვინც ასე უსამართლო წერილებს აქვეყნებენ. გთხოვთ, შეწყვიტოთ.

ბატონო რედაქტორო: ვნახოთ, თუ როგორ გააკრიტიკებთ და ისე „შელამაზებული“ გამოაქვეყნებთ ჩემს წერილს.

პენსიონერი
მარიამ ძოძუაშვილი,
სოფ. ოფშკვითი **(„დრონის“ ინფორმაციები).**

გულზე ხელი დაიდეთ და, არა როგორც დამწყებმა ან თუნდაც პროფესიონალმა ჟურნალისტმა, არამედ, როგორც ქვეყნის მოჭირნახულე მოქალაქემ, თქვით, დადგებოდით თუ არა იმ ხელისუფლების გვერდით, რომელსაც ასეთი ჭკუის ადამიანები უჭერენ მხარს?

რა თქმა უნდა, გაზეთში იბეჭდებოდა ოპოზიციის წარმომადგენელთა ანალიტიკური სტატიები და რედაქციის თანამშრომელთა ირონიული, ოღონდ ობიექტური რეპორტაჟები. ეს იყო სისტემატური, გამიზნული მძიმე შრომა.

ხელისუფლებამ „დრონისთვის“ რაიმე სერიოზული არგუმენტების დაპირისპირება ვერ შეძლო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რედაქციის თანამშრომელთა ლანძღვა-გინებას, გაქილიკებას, მოღალატედ და აგენტად შერაცხვას და სხვა.

მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა და არც იკადრა „დრონის“ დახურვა — ეს ძალიან ცუდად იმოქმედებდა ხელისუფლების ისედაც შელანძღულ საერთაშორისო ავტორიტეტზე და უამრავ მტერს შესძენდა შინ, საქართველოში. „დრონის“ გადარჩენაში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელი უზენაესი საბჭოს კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს, „მრგვალი მაგიდის“ მთავარ იდეოლოგს, თემურ ქორიძეს.

მაშინდელი „დრონის“ რედაქციაში, იქნებ სტიქიურად, მაგრამ მაინც, შეიქმნა ნამდვილი „გონებრივი ცენტრი“, საიდანაც განხორციელდა უძლიერესი და ეფექტური შეტევა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. შემდეგში მსგავსი რამ ვერც „დრონმა“ და ვერც რომელიმე სხვა გაზეთმა ვერ გაიმეორა. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და ოდესმე მის შესახებაც გიამბობთ.

არა, „დრონს“ არ მოუმზადებია სახელმწიფო გადატრიალება, არ წამოუწყია სამოქალაქო ომი, ათიათასობით ადამიანის ცოდვა

საკუთარ კისერზე არ აუღია — რაც მოხდა, ისტორიული კანონ-ზომიერებით იყო გამოწვეული. „დრონმა“ გააკეთა მხოლოდ ის, რაც ახლახანს მოგახსენეთ — საზოგადოებას ხელისუფლების ნამდვილი, შეულამაზებელი სახე დაანახა და ამით მოვლენათა განვითარება დააჩქარა.

პრესა, რა თქმა უნდა, არ არის ყოვლისშემძლე, მაგრამ იგი არის უძლიერესი და ძალიან სახიფათო იარაღი ჭკვიანი ადამიანების ხელში.

ამ ჭკვიანი ადამიანების გამოჩენას საქართველო ჯერ კიდევ ელის.

ეს მაშინ მოხდება, როცა საქართველოში მოულოდნელი თავისუფლებით დასადგურებული ეიფორია გაივლის, როცა პოლიტიკაში გრძნობების ადგილს ცივი გონება და ცივი ანგარიშიანობა დაიჭერს.

პრესა მართლაც დიდი და საშიში ძალაა. დიდია ამ ძალის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ცდუნებაც. **პრესა — თავისუფალიც, ოფიციოზიც, ყვითელიც და მწვანეც უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ინტერესებს. ვიმეორებ, — უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ინტერესებს.**

ახლა ჩვენ მივადექით კიდევ ერთ უაღრესად საჭირბოროტო პრობლემას, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს

ხელისუფლება და პრესა

თავისუფალი პრესა არის თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების პირმშო, მისი ყოვლად აუცილებელი ატრიბუტი. დემოკრატიული სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია დამოუკიდებელი პრესის არსებობა და პირიქით, — დამოუკიდებელი თავისუფალი პრესის გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა.

მოკლედ, არ არსებობს ერთი მეორისგან დამოუკიდებლად.

სწორედ ამიტომ და, ალბათ, იმის გამოც, რომ საკუთარი დემოკრატიზმი მსოფლიოსთვის დაენახვებინა, ერთ-ერთი პირველი კანონი, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლებამ მიიღო, იყო კანონი პრესის შესახებ.

ეს იყო უაღრესად რთული და არეული დრო. ფაქტობრივად, არ მოქმედებდა ძველი და არ გვქონდა ახალი საკანონმდებლო ბაზა.

ასეთ ვითარებაში პრესის კანონის მიღება, პრესისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო.

ვერ ვიტყვი, რომ კანონი უზადო იყო. პირიქით, მას ძალიან ბევრი ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ იგი უნდა მიეღოთ და მიიღეს კიდეც. ეს იყო 1991 წლის დასაწყისში. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მრავალი მიზეზის გამო, ის კანონი არასოდეს ამუშავებულა — თუ შეიძლება ასე ითქვას, საკანონმდებლო სისტემიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა. ეს ყველამ ძალიან სწრაფად შენიშნა.

საერთოდ, თითქმის მთელ მსოფლიოში დროდადრო იფეთქებს ხოლმე კამათი პრესის შესახებ კანონის „ყოფნა-არყოფნის“ თაობაზე. ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ასეთი კანონმდებლობის მიღება აუცილებელია. მეორე ნაწილი რადიკალურად განსხვავებული აზრისაა. აზრთა სხვადასხვაობაა თვით ჟურნალისტთა შორისაც.

ვიდრე მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტებზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ მას, ვისაც პრესის გაკონტროლება შეუძლია, დიდი უპირატესობა ეძლევა პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ **სახელმწიფო არის ადამიანის თავისუფლებათა შეზღუდვის დახვეწილი სისტემა,** კონტროლიდან გასული, ანუ თავისუფალი პრესა ხელისუფლებას დიდ, ზოგჯერ დაუძლეველ პრობლემებს უქმნის.

პრესაში, როგორც წესი, აისახება სახელმწიფოს მეტნაკლებად რეალური სურათი. ბუნებრივია, აისახება ზოგადად ხელისუფლებისა და კონკრეტულად ხელისუფლების წარმომადგენელთა მანკიერებანიც: უსამართლობა, უნიათობა, მექრთამეობა.

ხშირად, ხელისუფლებას თავისუფალი პრესა სჭირდება მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად — შემოგვხედეთ, რა დემოკრატები ვართ, პრესის რა თვითნებობას ვითმენთო. ასეა, ვიდრე ხელისუფლება სუსტია და საზოგადოების დათრგუნვის ნაკლები შანსი აქვს. როგორც წესი, ნახევრად დემოკრატიულ ქვეყანაში რეპრესიული აპარატის გაძლიერებასთან ერთად, ჩნდება პრესის რაღაც „კანონიერ ჩარჩოებში“ მოქცევის საჭიროებაც. ამიტომაც ხელახლა აგორდება ხოლმე კამპანია პრესის ახალი კანონის მიღების მოთხოვნით. ამ მოთხოვნათა მოტივაცია დაახლოებით ასეთია:

1. პრესაში მეტისმეტად გახშირდა დაუსაბუთებელი, უარ-

გუმენტო, პიროვნების ღირსებისა და პატივის შემლახველი მასალების გამოქვეყნება;

2. ქვეყნდება ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი მასალები;

3. ქვეყნდება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მასალები;

4. პრესაში დაიწყო ტოტალური შეტევა ხელისუფლებაზე;

5. პრესა ხელს უშლის სახელისუფლო ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას.

რა თქმა უნდა, ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ამშვიდებს კიდეც, — პრესის კანონიერ ჩარჩოში ჩასმა ცენზურის შემოღებას სულაც არ ნიშნავს, ყველაფერი ეს ჩვენი მეგობარი პრესის საკეთილდღეოდ კეთდებაო.

ეს ძალიან ძველი, ნაცნობი, გაცვეთილი და მოსაწყენი ჰანგებია და, აი, რატომ:

საქართველოს მაგალითი რომ მოვიშველიოთ, პრესაში პიროვნების ღირსებისა და პატივის შემლახველი, შეურაცხმყოფელი ან ცილისმწამებლური მასალების გამოქვეყნება ისჯება კანონმდებლობით. თუ ვინმეს კანონით გათვალისწინებული სასჯელი მეტისმეტად ლოიალური ეჩვენება, მაშინ უნდა დადგეს შესაბამის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. თუკი მისი უფლება, ღირსება ან პატივი შეილახა, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. თუ ვინმე შეგნებულად მოიპოვებს სახელმწიფო საიდუმლოებას მისი მეორე ქვეყნისთვის მიყიდვის მიზნით, ასეთი ქმედებაც მკაცრად ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

რაც შეეხება ხელისუფლებაზე ტოტალურ შეტევას, არ მეგულება რომელიმე დემოკრატიული ქვეყნის პრესა, რომელიც საკუთარ ხელისუფლებას „ტოტალურად“ არ უტევდეს. ასე რომ არ იყოს, პრესის არსებობა, საერთოდ, აზრს დაკარგავდა. აქედან გამომდინარე, მასობრივი ინფორმაციის შესახებ კანონის მიღებას, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — პრესაზე სახელისუფლო კონტროლის დაწესება.

დემოკრატიული საზოგადოებისთვის სრული ანაქრონიზმი და ფულის ყოვლად უაზრო ფანტვაა ოფიციოზის, ანუ ხელისუ-

ფლების აზრის გამომხატველი პრესის არსებობა. მსოფლიო გამოცდილებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ვიწრო უწყებრივი ან ხელისუფლების აზრის გამომხატველი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შენახვა ბიუჯეტს, ანუ ქვეყნის მოქალაქეებს ძალიან ძვირი უჯდება. ხოლო არაპირდაპირი შემოსავალი აქედან, უბრალოდ, არ არსებობს. როცა ხელისუფლება პრესის თავისუფლებაზე თავის გამოდებას იწყებს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ავტორიტარიზმისკენ სწრაფვას ნიშნავს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2000 წლის მიწურულს პრესის მიმართ გაცხადებული პოლიტიკის (პრესისთვის „თავისი ადგილის“ მიჩენის მცდელობის) განჭვრეტა ძნელი სულაც არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1994 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ვიწინასწარმეტყველე, რომ ეს უთუოდ ასე მოხდებოდა. უბრალოდ, ზუსტი თარიღი შემეშალა — პრესის წინააღმდეგ მიმართული კამპანია ნავარაუდევზე ოდნავ გვიან დაიწყო. დაუკვირდით, დღიდან საქართველოში ჩამოსვლისა (1992 წლის მარტი) საქართველოს პრეზიდენტს (რომელსაც ხან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერქვა, ხან — პარლამენტის თავმჯდომარე და ხანაც — სახელმწიფოს მეთაური) ზოგიერთ გაზეთში ყოვლად უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და ფანტასტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ. და არა მარტო მას. ღრმად ჩასანგრებული პრეზიდენტი და მისი ამალა პრინციპულად დუმდა. აქაოდა, გაგვდისო, პრესა სულ გადაირია — კვლავ მკვდრული მდუმარება. იგრძნობოდა, რომ ხელისუფლება ძალებს იკრებდა და „მამხილებელ დოკუმენტებსაც“ აგროვებდა.

დარწმუნებული ვარ, ამასობაში სპეცსამსახურები პრესის წინააღმდეგ იმდენ დოკუმენტს დააგროვებდნენ, საქართველოს ყველა დამოუკიდებელი გამოცემის ასაკრძალავად სავსებით საკმარისი რომ იქნებოდა.

მაგალითები ძალზე შორს წაგვიყვანს. მხოლოდ 2000 წლის „ლიტერატურული საქართველო“ რომ გადაათვალიეროთ, დარწმუნდებით, რომ ქართული პრესა ნამდვილად ასცდა თავის ორბიტას: იქ იმდენი ადამიანია გალანძღული და ცილდაწამებული, სალაპარაკოდ ნახევარი ევროპის გაზეთებს რომ ეყოფა. ახლა საქმე ტექნიკაზეა — თუ მრავალ ცოდვაში გარეული თავისუფალი პრესა სასწრაფოდ დადუმდა, ძალიან კარგი. თუ არ დადუმდა, ისე დაადუმებენ (და სავსებით კანონიერადაც!), თქვენგან მოწონებული.

როცა ხელისუფლება იძულებულია პრესა გააჩუმოს, ან მოქმედების არეალი შემოუსაზღვროს, ეს არც პრესის ძლიერებაზე მიუთითებს და არც ხელისუფლებისა. პირიქით, ასეთი დამოკიდებულება, ზოგადად, პრესისა და ხელისუფლების უმწეობაზე მეტყველებს. პრესა უმწეოა იმის გამო, რომ ხელისუფლება თავისი განზრახვის თუნდაც გამჟღავნებას ბედავს. ხელისუფლება კი უმწეოა იმის გამო, რომ მას პრესის თუნდაც ოდნავ შეზღუდვის სურვილი უჩნდება.

ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ტყავის გადარჩენას პრესის შეზღუდვაში ხედავს, განწირულია დასაღუპავად. თანაც, პრესის შესაზღუდად გადადგმული პირველი ნაბიჯისთანავე.

პრესის წინააღმდეგ ნათქვამი გადაკრული სიტყვაც კი ჟურნალისტურ წრეებში და მთლიანად საზოგადოებაში ტრადიციულად ძალიან მწვავე რეაქციას იწვევს. ამ დროს თითქოს ყველას ავიწყდება, რომ ეს არის ხელისუფლების უკიდურესი კრიზისის, შეიძლება ითქვას — აგონიაში მყოფი ხელისუფლების უკანასკნელი გაბრძოლება. ვიმეორებ, ამას გვკარხანობს მსოფლიო გამოცდილება. თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდა, პრესის შეზღუდვა, მრავალი მიზეზის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოკლედ, ქართველ ჟურნალისტებს შეუძლიათ მშვიდად იხმაურონ — მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს პრეცენდენტი, ხელისუფლებისა და პრესის ბრძოლაში საბოლოოდ ხელისუფლებას გაემარჯვოს.

იცვლებიან მთავრობები, მმართველობის სისტემები, სახელმწიფოების საზღვრები; ზოგი სახელმწიფო სულაც ქრება მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან და მის ნაცვლად ახალი აღმოცენდება. ასეა ქვეყნის გაჩენიდან დღემდე. უცვლელია მხოლოდ ხელისუფლებისა და პრესის კრიტიკული ურთიერთდამოკიდებულება. სწორედ **ეს არის საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. პრესა აიძულებს ხელისუფლებას, იყოს ფხიზლად და... მეტნაკლებად პატიოსნად. თავისუფალი პრესა იცავს საზოგადოებას ხელისუფლების თვითნებობისგან.** ნებისმიერ ნორმალურ ხელისუფლებას ჰაერივით სჭირდება თავისუფალი პრესა.

რა თქმა უნდა, საუბარია სერიოზულ პრესაზე და არა ყვითელზე, პორნოგრაფიულზე, უწყებრივზე და ა.შ.

თავი VIII

ჟურნალისტური გამოძიება

პირველი საქმე

ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობა სწორედ გამოძიებით დაიწყო. დამწყები ჟურნალისტი აღმაშფოთა თბილისის მეტროს სადგურში მომხდარმა ფაქტმა — მილიციელმა დააკავა ჩვენი დედაქალაქის სტუმარი, სამი შვილის დედა რუსი ეროვნების ქალბატონი (იმ პერიოდში მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეები არსებობდნენ და, ბუნებრივია, ციმბირელი ქალბატონი თბილისშიც „შინ“ იყო). დაკავების მიზეზი მეტისმეტად ტრივიალური გახლდათ — ქალბატონი შეეკამათა მეტროს მოლარეს. სინამდვილეში, მილიციელის მოქმედება იმ ქალის მშვენიერმა გარეგნობამ და ჩაცმულობამ, უფრო სწორად, ჩაუცმელობამ გამოიწვია — თბილისის ზღვიდან მომავალი ტურისტი, რბილად რომ ვთქვა, მეტისმეტად შილიფად ჩაცმული გახლდათ.

„წესრიგის დამცველის“ საუბედუროდ, ნახევრად შიშველი ქალბატონი ერთობ პრინციპული და მებრძოლი ხასიათისა აღმოჩნდა. მისი დაკავების მომენტში ვითარება ისე გამწვავდა, რომ მილიციელმა მეტროს მატარებლების მოძრაობა ოცი წუთით გააჩერა. ბოლოს და ბოლოს, თავისას მაინც მიაღწია და, იმდროინდელი მილიციური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიო, „ეჭვმიტანილი სამორიგეოში წარმოადგინა“.

მილიციელმა მორიგეს მოახსენა, რომ ამ ქალბატონმა უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, არ დაემორჩილა მის მოთხოვნას, აბუჩად აიგდო საზოგადოება და ასე შემდეგ. სამორიგეოში დაიწყეს „საქმის შეკერვა“. არ გაჭრა ჩემი და სხვა მოქალაქეების კეთილმა რჩევებმა, თხოვნამ, მუქარამ, რომ ეს უმსგავსობა გაზეთის ფურცლებზე მოხვდებოდა... მოკლედ, ის ქალი და მისი სამი მცირეწლოვანი ბავშვი „კუტუსკაში“ ჩასვეს, ჩვენ კი დაგვპირდნენ, რომ თუ ბევრს „ვიხტუნავებდით“, მეზობელ კამერაში გვიკრავდნენ თავს.

დავუკავშირდი მეტროს პოლიციის ხელმძღვანელობას (უფროსის გარდა) — არაფერი გამოვიდა. მოკლედ, რიგითმა მილიციელმა პირველ რაუნდში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

მეორე რაუნდში საქმეში ჩაერთო „მძიმე არტილერია“ „თბილისის“ რედაქტორის, არჩილ გოგელიას მეთაურობით. მესამე რაუნდში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „და იქმნა სიმართლე“, მეოთხე რაუნდში რინგზე თეთრი პირსახოცი გადმოაგდო, ანუ რედაქციაში გვესტუმრა მეტროს მილიციის უფროსი და მოგვახსენა, რომ დამნაშავე მილიციელს სადისციპლინო კომისიამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა — სამსახურიდან დაითხოვა.

ეს იყო გამოძიება ცხელ კვალზე. ჟურნალისტი უშუალოდ მონაწილეობდა საგამოძიებო ღონისძიებებში და, კაცმა რომ თქვას, დიდი გავლენა იქონია გამოძიების საბოლოო შედეგზეც.

ამ ისტორიის ყველაზე საინტერესო თავი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ორიოდე კვირაში რედაქციაში მომაკითხა უკვე სამოქალაქო პირად ქცეულმა, უმუშევრად დარჩენილმა მილიციელმა.

— სასაყვედურო არავისთან არაფერი მაქვს. ჩემმა სიბრიყვემ დამღუპა. უნდა დამეჯერებინა რომ მეუბნებოდით, სამსახურს დაკარგავო. შევცდი. თქვენ რა, არასოდეს შემცდარხართ?

— ჩემთან ამის სათქმელად მოხვედით-მეთქი? — დავუბრუნე კითხვა.

— არა, ბატონო. საქმე ის არის, რომ მე ოთხი შვილის მამა ვარ, რაიონიდან ჩამოვედი და აქ ერთოთახიან ნაქირავებში ვცხოვრობ. ჩემს სოფელში სამ ძმას ერთი პატარა სახლი გვაქვს. ჩემი სამსახურიდან გაგდება ნიშნავს, რომ ცოლ-შვილი მშიერი და ღია ცის ქვეშ მრჩება, ბინის მიღების აღრიცხვიდანაც მომხსნიან (გაგიკვირდებათ და, კომუნისტურ ეპოქაში ბინებს სახელმწიფო დარკვეული პირობებით უფასოდ იძლეოდა!). წასასვლელიც აღარსად მაქვს. მილიციაში კომკავშირული საგზურით მივედი (მმართველობის კომუნისტური რეჟიმი ასეთ რამეებსაც გულისხმობდა). რაიმე სპეციალური განათლებაც არა მაქვს, ქარხანაში რომ ვიმუშავო. თანაც, ამ ქალაქში არც მეგობრები მყავს და არც ნათესავები. თქვენს გარდა არავისთან მიმესვლება. თქვენ დამპირდით, რომ მილიციიდან დამითხოვდნენ და დამითხოვეს. ახლა ისევ თქვენ უნდა მიშველოთ...

მონოლოგი საკმაოდ გრძელი იყო. თვალცრემლიანი მილიციელი არ ცრუობდა.

„კარუსელის“ უკან დატრიალება გაცილებით რთული აღმოჩნდა. საბჭოთა მილიციის ჩინებს ძალიან გაუჭირდათ დაჯერება, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურდა დავხმარებოდით სწორედ იმ კაცს, ორიოდე დღის წინ სამსახურიდან რომ გავაძევებინეთ. საბოლოოდ, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ზღაპრებში ხდება-ხოლმე — რუს ქალბატონს მილიციის პოლკოვნიკმა პირადად მოუხადა ბოდიში და ისიც მშვიდობიანად გაემგზავრა მშობლიურ ციმბირში; მე პრინციპული და მებრძოლი ჟურნალისტის სახელი მოვიპოვე, ჩვენმა გაზეთმა — რამდენიმე ათასი ახალი ხელმომწერი. ჩვენი რედაქტორის მონდომებით, დასჯილი მილიციელი სამსახურშიც აღადგინეს და თავის რაიონში საკარმიდამო ნაკვეთიც მისცეს.

შეგახსენებთ, ეს იყო კომუნისტების მმართველობის დროს, როცა პრესის პრინციპულობა ერთობ პირობითი ცნება გახლდათ, ანუ პრესა იმდენად იყო პრინციპული, რამდენადაც ამის უფლებას იძლეოდა პარტიული ცენზურა.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ეგიდით ჩატარდა რამდენიმე სოლიდური შეხვედრა ფრიად პატივცემული გვამების მონაწილეობით. ეს პატიოსანი საზოგადოება სერიოზულად განიხილავდა საკითხს ჟურნალისტებისთვის რაღაც პრივილეგიების, საგანგებო უფლებამოსილებისა და თვით ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების მინიჭების თაობაზე. რაც მთავარია, ჟურნალისტთა უფლებების ამგვარ გაფართოებაზე, ჟურნალისტური გამოძიების ავან-ჩავანზე ყველაზე თავგამოდებით ის ადამიანები მსჯელობდნენ, ვისაც ჟურნალისტად არასოდეს ემუშავა. ანუ მე მიცავდნენ ის ადამიანები, რომლებმაც არც იცოდნენ და არც სურდათ გაეგოთ, მჭირდებოდა თუ არა მათი დაცვა.

ასეთი ადამიანები ყველა ქვეყანაში და ყველა სფეროში არსებობენ. ისინი გამუდმებით ფუსფუსებენ ცნობილი მწერლების, მხატვრების, რეჟისორების, მსახიობების, ჟურნალისტების თუ კრიმინალური ავტორიტეტების გვერდით.

თუ თქვენ ოდესმე გამოჩენილი ადამიანი გახდით, ეცადეთ, არ გაგაღიზიანოთ უნიჭოთა და ხელმოცარულთა მომაბეზრებელმა მეურვეობამ. ისინიც ადამიანები არიან და სხვისი დიდებიდან პაწია ნატეხის მითვისებას ცდილობენ.

როგორ დავიწყოთ?

პასუხი ძალიან უბრალოა — ჟურნალისტური გამოძიება უნდა დავიწყოთ ინფორმაციის შეგროვებით. ეს არის რთული, შრომატევადი, ხანგრძლივი და უმადური საქმე. უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, სად და როგორ ეძებოთ საჭირო ინფორმაცია.

ერთ მხიარულ თავგადასავალს გიამბობთ.

ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა იურისტმა დამირეკა და მთხოვა, მიმელო მისი კოლეგა, პროკურატურის მაღალი რანგის ჩინოვნიკი. ეს იყო ცენტნერნახევრიანი, ღაჟღაჟა, საკმაოდ გულახდილი კაცი.

— მე არ დაგიწყებთ მტკიცებას, მამა აბრამის ბატკანი ვარ, ცხოვრებაში უკანონო არაფერი ჩამიდენია-მეთქი. დასამალი რა მაქვს — ჩემზე უკეთ იცით, რაც არის პროკურატურა. ხდება ხოლმე, აშკარა უკანონობას ჩავდივართ, მაგრამ ფული სწორედ საქმის კანონიერად გადაწყვეტაში კეთდება. კი ბატონო, საქმე საქმეზე თუ მიდგა, მეც და პროკურატურის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც ციმბირს ვერ უნდა გადავურჩეთ, მაგრამ იმ საქმეში, რისთვისაც ბატონმა (და აქ პროკურორმა ერთი ცნობილი მწერლის გვარი დაასახელა)... ერთ-ერთ ჟურნალში გამაკრიტიკა, სრულიად უბრალო ვარ. ეს იყო ურთულესი საქმე. შემიძლია ვიამაყო, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა იგი ყველა წესისა და კანონის დაცვით გამოვიძიეთ. მწერალმა კი ყველაფერი თავდაყირა დახატა.

მე კი, უბრალოდ, არ ვიცი, როგორ ვუპასუხო მწერალს. აი, რა დავწერე...

და პროკურორმა წამიკითხა პასუხის ვარიანტი, — რაღაც საშუალო მეცხრეკლასელი გოგონას სასიყვარულო ბარათსა და საბრალდებო დასკვნას შორის.

მოკლედ, პროკურორთან ასე შევთანხმდით: იგი გამაცნობდა საქმესთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს, პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებებს, მწერლის პუბლიკაციასაც. მე შევეცდებოდი მის ნაცვლად დამეწერა საპასუხო წერილი. რა თქმა უნდა, თუ მართლაც დავრწმუნდებოდი პროკურორის სიმართლეში.

ორიოდე დღის შემდეგ ჩვენს „იტალიურ“ ეზოში საბარგო მანქანა შემოვიდა და ჩემს ისედაც ვიწრო ბინაში დაპირებული დო-

კუმენტების შემოზიდვა დაიწყეს. ეს იყო უზარმაზარი „საქმე“, ასზე მეტი სქელტანიანი ტომი!

წარმოიდგინეთ, რამდენი დრო და ენერგია დასჭირდებოდა ამ დოკუმენტაციის გაცნობას, დაკონსპექტებას, გაანალიზებას, ზოგიერთი საეჭვო გადაწყვეტილების კვალიფიციურ იურისტებთან შემოწმებას. და ყველაფერი ეს იმისთვის, რომ მერე ორიოდ საათში პროკურორის სახელით დამეწერა ასოცსტრიქონიანი პასუხი პატივცემული მწერლის ვრცელ ბრალდებებზე.

გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ ერთ ფაქტს: მე, ჟურნალისტს მთხოვეს „უბრალო“ სამსახურის გაწევა — დავხმარებოდი ვიღაც პროკურორს ვიღაც მწერლისთვის პასუხის გაცემაში, ანუ ჩემთვის საქმის მასალების გაცნობა და საკუთარი აზრის გამოთქმა არავის დაუვალებია...

პროკურორის პასუხი ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნდა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა მწერლის რეაქციაც — მან პროკურორის წინაშე საჯაროდ ბოდიში მოიხადა თავის პუბლიკაციაში დაშვებული უნებლიე, მაგრამ მძიმე შეცდომების გამო. პროკურორმა, ნამდვილად ვიცი, დიდი სიამოვნებით მიიღო მწერლისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა და, ჩემდა გასაკვირად, თანამდებობიდან გადადგა.

ჩემი გვარი, რა თქმა უნდა, არსად არ გამოჩენილა. ბუნებრივია, ოდესმე ვერც პროკურორის ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატიით ვიამაყებ (სიმართლე რომ გითხრათ, სათაურიც აღარ მახსოვს), მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ — საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია. იმ ასტომიანი „საქმის“ შეუსწავლელად კვალიფიციური საგაზეთო მასალა ვერ მომზადდებოდა. დიდი-დიდი, მომზადდებოდა პროკურორის მიერ დაწერილი აბდაუბდის გრამატიკული თვალსაზრისით კვალიფიციურად გასწორებული ვარიანტი, რომელიც საკმარისზე მეტად ამბიციურ მწერალს ბოდიშს ვერ მოახდევინებდა.

ამით მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მეთქვა — **თუ ჟურნალისტური გამოძიების დაუძლეველი სურვილი გაგიჩნდათ, მზად უნდა იყოთ ნებისმიერი ოდენობის, ნებისმიერი ეპოქისა და ნებისმიერი შინაარსის დოკუმენტების მოსაპოვებლად, შესასწავლად და გასაანალიზებლად.**

თუმცა, ასეთი თავგამოდებაც საკმარისი არ არის. საჭიროა

კიდევ უშუალოდ თქვენი, პირადი დაკვირვება მოვლენათა განვითარებაზე. არ უნდა დაივიწყოთ, რომ **ძალიან ხშირად საქმე გაქვთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ მხარეებთან და მათგან ერთ-ერთი აუცილებლად ტყუის (კანონის წინაშე, რა თქმა უნდა). ისიც შეიძლება, ორივე ტყუოდეს, მაგრამ წარმოუდგენელია, ორივე მხარე მართალი რომ იყოს.**

ხშირად, ადამიანები, სამართლებრივი გაუნათლებლობის, თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, გულწრფელად არიან დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში. ასეთი ადამიანების გადარწმუნება, უბრალოდ, წყლის ნაყვაა. უამრავი ცალმხრივი დოკუმენტით და ზეპირი ინფორმაციით კარგად შეიარაღებული ასეთი ადამიანები განსაკუთრებული მიზანდასახულობით გამოირჩევიან, დადიან რედაქციებში და ხშირად აღწევენ კიდეც მიზანს, — საკუთარ მოსაზრებებს თავს ახვევენ რედაქციებს ან რომელიმე ჟურნალისტს. ისინი ხშირად უბედური, საბრალო ადამიანები არიან. ჯიუტად ეძებენ საკუთარი შვილის სიკვდილში დამნაშავე პირებს. ასახელებენ მათ, მკვლელების მფარველებზეც მიუთითებენ, არგუმენტებიც მოაქვთ... და, სამწუხაროდ, ხშირად ცდებიან კიდეც.

ასეა მთელ მსოფლიოში და ასეა ჩვენთანაც, საქართველოში.

ისტორია, რომელსაც ახლა ძალიან მოკლედ გიამბობთ, 1979 წელს დაიწყო. იგი ნებისმიერი ჟურნალისტისთვის მრავალმხრივ საინტერესო, უცნაური და საზარელიც კია.

ტიპიური საბჭოთა ინდუსტრიული ქალაქი შეძრწუნებული იყო — დილის 7 საათსა და 40 წუთზე ქარხანაში მიმავალმა მუშებმა გარეუბანში ლიანდაგზე დაგდებული ახალგაზრდა ქალი იპოვეს. სასტიკად ნაწამები, ტანსაცმელ შემოხეული გოგონა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იგი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათის შემდეგ გონს მოუსვლელად გარდაიცვალა. დადგინდა დაღუპულის ვინაობა — საშუალო სკოლის 17 წლის მოსწავლე ნუნუ გვაზავა.

გამოძიებამ დამნაშავე ათი წლის განმავლობაში ვერ აღმოაჩინა. საქმე სამუდამოდ შეჩერდა.

ოთხმოციანი წლების მიწურულს საბჭოთა სისტემით უკმაყოფილო მრავალ ჯგუფთან ერთად თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ სხვადასხვა დროს საეჭვო ვითარებაში დაღუპული ახლობლების საქმეების ხელახლა გამოძიებას, დამნაშავეთა დად-

გენას და მათ დასჯას. როგორც გითხარით, მრავალ მათგანს ჰქონდა მკვლელობის საკუთარი ვერსია, ასახელებდნენ მკვლელებს და მათ მფარველებსაც. ეს იყო რადიკალურად განწყობილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, პირობითი სახელწოდებით „შაოსნები“.

რაც მთავარია, ამ ცხოვრება გამწარებული ადამიანების განწყობას და მოთხოვნებს ჰქონდა რეალური საფუძველი. ბევრი მათგანი იქნებ მცდარ დასკვნამდეც მიდიოდა, მაგრამ ამის საფუძველს იძლეოდა სწორედ გამოძიების მიერ ხელოვნურად „გაფუჭებული“ საქმეები.

„შაოსანთა“ შორის იყვნენ „ინდუსტრიულ ქალაქში“ მოკლული გოგონას მშობლებიც.

კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა „შაოსანთა“ საქმეების შემსწავლელი სპეციალური დამოუკიდებელი ჯგუფი. სამართლის პროფესორ ოთარ გამყრელიძესთან ერთად, ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით.

ბატონმა პროფესორმა გვაზავას თორმეტტომიანი საგამოძიებო საქმის შესწავლა მე მომანდო.

საქმის მასალების მიხედვით, გოგონა სახლიდან 25 მაისს, დილის 6 საათსა და 50 წუთზე გავიდა — ქალაქის მეორე ბოლოში მეგობარ გოგონასთან ერთად მეცადინეობას აპირებდა. მეგობარი ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობდა, თავის თანამშრომელ გოგონასთან ერთად ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა და ისიც, ნუნუს მსგავსად, მისაღები გამოცდებისთვის ემზადებოდა.

გამოძიების ოფიციალური მასალების შესწავლის შემდეგ პირველი დიდი შეუსაბამობა, რაც თვალში მომხვდა, ასეთი იყო: ნუნუ შინიდან დილის ექვს საათსა და ორმოცდაათ წუთზე გავიდა. დაახლოებით 50 წუთის შემდეგ კი სულთმობრძავი იპოვეს სახლიდან ათიოდე წუთის სავალზე. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, იგი რამდენიმე პირის მიერ გაუპატიურებული და სასტიკად ნაცემი იყო. ანუ გოგონა დილაადრიან პირდაპირ ქუჩიდან მოიტაცეს, სადღაც წაიყვანეს, წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ბარბაროსულად სცემეს, რამდენჯერმე გააუპატიურეს, შემდეგ კი წაიღეს და რკინიგზის ლიანდაგებზე დააგდეს. და ყველაფერი ეს სულ რაღაც 50 წუთში!

გასაოცარი ის იყო, რომ გამოძიების ამ ვერსიას ნუნუს მშო-

ბლებიც ეთანხმებოდნენ. ისინი კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ გოგონა შინიდან სწორედ იმ ტრაგიკული შემთხვევის დილას, ექვს საათსა და 50 წუთზე გავიდა. მშობლებმა იგივე გაიმეორეს ჩემთან საუბარშიც.

ძნელია, არ ენდო ერთადერთი შვილის დამკარგავ მშობლებს, მაგრამ ფაქტები ჯიუტად არ ემთხვეოდა ოფიციალურ ვერსიას.

ძალიან სწრაფად გავარკვიე, რომ გოგონა მშობლების ბიოლოგიური შვილი არ ყოფილა. მისი ნამდვილი მშობლები საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის სოფელში ცხოვრობდნენ და გარდაცვლილის გარდა კიდევ შვიდი შვილი ჰყავდათ.

ქალაქელი მშობლები, ალბათ, პროვინციული სიმორცხვის გამო, მალავდნენ, რომ გოგონა შინიდან იმ საბედისწერო დილით კი არა, წინა საღამოს გავიდა. ღამე შინ არ გაუთევია. დავადგინე, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა — ნუნუ თავის მეგობრებთან ღამისთევით სხვა დროსაც დარჩენილა.

მალე ისიც გავარკვიე, რომ ინდუსტრიულ ქალაქში მოქმედებდა საბჭოთა „ოქროს ბიჭუნების“ ხუთკაციანი ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, ქალწულების გაუპატიურებით ერთობოდა. ჯგუფის „ბელადი“ თვით ქალაქის მთავარი პარტიული ბოსის დედისერთა ვაჟი იყო.

გამოძიების მასალებიდანაც კი შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რომ ნუნუს მეგობარი გოგონები „თანამშრომლობდნენ“ გარეწრების ბანდასთან. ამ დაუნდობელი ბიჭებისა ეშინოდათ კიდეც და პატარ-პატარა საჩუქრებსაც იღებდნენ — რესტორნები, პიკნიკები, ბიჟუტერია...

როცა სხვა გამოსავალი არ დარჩა, ერთ-ერთმა გოგონამ მითხრა, რომ ბიჭები ნუნუს უთვალთვალებდნენ.

დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდა გამოძიებამაც, მაგრამ მას ქალაქის თავის ავტორიტეტი თრგუნავდა. ამიტომ სიამოვნებით ჩაეჭიდა მშობლების ოფიციალურ ჩვენებას, გოგონა შინიდან დილით გავიდაო და დამნაშავეთა კვალის წაშლაც მოახერხა: საქმიდან გაქრა ექსპერტიზის დასკვნები, მოწმეთა „საეჭვო“ (მამხილებელი) ჩვენებები და ა. შ. სამაგიეროდ, დააპატიმრეს სხვა ჯგუფის წევრები, რომლებიც მალე ისე გაათავისუფლეს, არცერთი სერიოზული შეკითხვა არ დაუსვამთ. გამოძიებისვე მონდომებით, ქალაქიდან გაქრა ერთი

ბინძური მეძავი, რომელსაც, სავარაუდოდ, ბევრი რამ უნდა სცოდნოდა.

ბედმა გამიღიმა და, ჯერ ის მეძავი აღმოვაჩინე, ხოლო მისი მეშვეობით, მკვლელობის ერთ-ერთი მოწმეც. საბოლოოდ, ასეთი სურათი დაიხატა:

17 წლის ნუნუ გვაზავა შინიდან გავიდა დაახლოებით საღამოს რვა საათისთვის. მას უკვე ელოდა ავტომანქანა ვოლგა „ოქროს ბიჭუნების“ ხალხით. გოგონა ძალით ჩასვეს მანქანაში და დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ქალაქგარეთ, ვაგონებში მცხოვრებ მუშებთან მიიყვანეს. იქვე იყო ის მეძავიც, რომელიც ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა მოტაცებულ გოგონას და მოძალადეებს შორის. უფრო ზუსტად, ცდილობდა გოგონა წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაში დაერწმუნებინა; ურჩევდა, აეღო შეთავაზებული კომპენსაცია — 2500 მანეთი. არც ქრთამმა, არც შეგონებებმა, არც მუქარამ რომ არ გაჭრა, გაგულისებულმა ბიჭებმა (ისინი ოთხნი იყვნენ) გოგონას ცემით „ჭკუაზე მოყვანა“ გადაწყვიტეს. გოგონამ ბიჭებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ მას თავში მძიმე საფერფლე ჩაარტყეს და უკვე გონებადაკარგული ოთხმა კაცმა რიგრიგობით გააუპატიურა. ამასობაში ღამე გაილია კიდეც.

დანარჩენი უკვე იცით, — გოგონას უგონო სხეული მანქანის საბარგულით წაიღეს და ლიანდაგებზე დააგდეს.

საბოლოოდ, პროკურატურამ საქმე სამუდამოდ შეაჩერა. მკვლელები სასჯელს გადაურჩნენ.

ყველაფერ ამას კი, როგორც გითხარით, საკუთარი პროვინციული მორცხვობისა თუ ამპარტავნობის გამო, გოგონას მშობლებმაც შეუწყეს ხელი.

მათ, ალბათ, არც შეეძლოთ შედეგის წინასწარ გამოცნობა. საკუთარი ვერსიით, ისინი, ქვეშეცნეულად გოგონას ნამდვილი მშობლების წინაშე თავის მართლებას ცდილობდნენ — მათ ხომ შვილივით ნაზარდი, უსაყვარლესი გოგონა შინიდან დილით კი არა, ღამით გაუშვეს და ამით უნებლიედ მკვლელებს შეუწყეს ხელი.

სიმართლე მეც არ მითხრეს. თუმცა, თითქმის ზუსტად ასახელებდნენ მკვლელებისა და მათი მფარველების ვინაობას. მაგრამ უკვე გვიანი იყო — დილით, როცა გოგონა სიკვდილს ებრძოდა, ყველა მკვლელს საკუთარ საწოლში მშვიდად ეძინა — მათ ასპროცენტიანი ალიბი ჰქონდათ.

მოდი, გამოვიძიოთ...

ჟურნალისტური გამოძიების, როგორც ჟანრის უსაზღვრო პოპულარობა ჟურნალისტურ ბაზარზე ამ სახის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებით აიხსნება. ეს ბუნებრივია — საზოგადოებას აინტერესებს კრიმინალური ისტორიები. ოღონდ ის, რაც პრესაში ქვეყნდება და მკითხველს ჟურნალისტური გამოძიების ნიმუშებად მიეწოდება, ძალიან ხშირად სულაც არ არის დამოუკიდებელი გამოძიების შედეგი.

გამოძიება არის მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ხშირად სიცოცხლისთვის სახიფათო სფერო. ოფიციალური ორგანოების პროფესიონალ გამომძიებელს ცივილიზებულ სამყაროში უზარმაზარ მატერიალურ ანაზღაურებასთან ერთად აქვს კანონით მინიჭებული საგანგებო უფლებამოსილება (დაკითხვის, დაკავების, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, საპატიმროებში, სახელმწიფო დაწესებულებებში საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების უფლება; ტექნიკური აღჭურვილობითა და საიდუმლო ოპერატიული მონაცემებით სარგებლობის, ოპერატიული და საიდუმლო სამსახურების დახმარების შესაძლებლობა და ა.შ.).

და მაინც, უამრავი დანაშაულის საიდუმლოება სამუდამოდ საიდუმლოებად რჩება — ოფიციალური გამოძიება ვერ ახერხებს დანაშაულის გახსნას, ანუ ნამდვილი დამნაშავისთვის ბრალის დამტკიცებას.

ჟურნალისტი-გამომძიებელი ამ კომფორტს მოკლებულია. მას აქვს ფრიად შეზღუდული მატერიალური რესურსები და უფლებრივი მდგომარეობა: არ შეუძლია მოწმის ან ეჭვმიტანილის ოფიციალური დაკითხვა, ეჭვმიტანილის დროებითი იზოლაცია; მას არ ეხმარება არავითარი სახელმწიფო სტრუქტურა (პირიქით, სიამოვნებით უშლის ხელს!); არა აქვს ფიზიკური პირისგან დოკუმენტების მოთხოვნის უფლება; არავინ აწვდის ოპერატიულ მონაცემებს და მრავალი სხვა.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სრულფასოვანი გამოძიება გამომძიებლისგან ღრმა პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს.

ყველაფერი ამის საპირისპიროდ, ჟურნალისტ-გამომძიებლებს აქვთ ორი რამ — პროფესიული (ჟურნალისტური) მოტივაცია და ჟინი. ერთიც და მეორეც ფრიად დასაფასებელი და

ანგარიშგასაწევია, მაგრამ, სამწუხაროდ, საშუალო სირთულის საქმის გამოსაძიებლად საკმარისი არ არის.

შეგნებულად, თუ ქვეცნობიერად ეს ყველა ჟურნალისტმა და რედაქციამ იცის, მაგრამ პოპულარულ ჟანრს ამის გამო ვერავინ შელევია. მოკლედ, იკვრება ჯადოსნური წრე:

ჟურნალისტური გამოძიების, როგორც ჟანრის, დათმობა შეუძლებელია; ასევე შეუძლებელია რედაქციის რესურსებით მეტნაკლებად რთული საქმის ობიექტური გამოძიება!

ვინაიდან გამოსავალი არსებობს ყველა გამოუვალი მდგომარეობიდან, იგი ამ შემთხვევაშიც მოიძებნა.

დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებად წარმატებით საღდება:

1. რომელიმე სახელმწიფო საგამოძიებო უწყების მიერ რედაქციისთვის (ან დამოუკიდებელი ჟურნალისტისათვის) მიწოდებული მასალების ზერელე ანალიზი.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში წინასწარი გამოძიების პრეროგატივა ჰქონდა პოლიციას, პროკურატურას და უშიშროების სამსახურს. ამას დავუმატოთ საგადასახადო ინსპექცია, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პროკურატურა, დაზვერვის დეპარტამენტი და, რაც მთავარია, კონტროლის პალატა. როგორც წესი, ყველა ეს სახელმწიფო ორგანიზაცია ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებულად გულთბილი დამოკიდებულებით არ გამოირჩევა. ანუ თითოეული მათგანი რედაქციას სიამოვნებით მიაწვდის პარალელური საგამოძიებო ორგანოს სახელის გამტეხ და საკუთარი „კაიკაცობის“ დამამტკიცებელ მასალებს. ეს მასალები, რა თქმა უნდა, ცალმხრივია, მაგრამ ამის გარკვევა რედაქციის ძალებს აღემატება. ასეც რომ არ იყოს, პრესა მუდამ ჩქარობს სენსაციური მასალების გამოქვეყნებას და... საბედისწერო შეცდომებიც გარანტირებულია — საგამოძიებო ორგანოები მუდამ ცდილობდნენ, ცდილობენ და მომავალშიც ეცდებიან გამოძიების საკუთარი ვერსიის და არა ობიექტური სინამდვილის გახმაურებას.

2. ერთ-ერთი მხარის ადვოკატის ხელთ არსებული მასალები და ამ ადვოკატის მოსაზრებები.

მოდი, შევთანხმდეთ: რაიმე საინტერესო მოვლენის აბსოლუტური სიზუსტით აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუნდაც ეს საინტერესო რამ დღისით-მზისით, უამრავი მოწმის თვალწინ იყოს მომხდარი. ნებისმიერი დონის გამოძიების მიზანი

არ უნდა იყოს და არც არის აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა. გამოძიება იურიდიული თვალსაზრისით მტყუან-მართლის გარჩევას ცდილობს, სასამართლო კი ჩადენილ დანაშაულს არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას ანიჭებს და სასჯელის ზომასაც განსაზღვრავს.

ამ უბრალო ჭეშმარიტებას მხოლოდ იმის გამო ვიხსენებ, რომ თქვენი ბევრი წინამორბედის შეცდომა არ გაიმეოროთ — არარსებული სიმართლის ძიებას საკუთარი ჟურნალისტური კარიერა არ შესწიროთ.

აქვე კიდევ ერთი ძალიან სერიოზული საფრთხის თაობაზეც მოგახსენებთ. ნებსით თუ უნებლიედ „გამომძიებელი ჟურნალისტები“ ძალიან ხშირად საკუთარ თავზე იღებენ ადვოკატის ფუნქციას — იცავენ რომელიმე ერთი მხარის ინტერესებს.

ჟურნალისტი არ შეიძლება იყოს ადვოკატი, ვინც კანონით გათვალისწინებული ყველა ხერხით იცავს კლიენტის ინტერესებს. მისთვის მნიშვნელოვანია არა, ზოგადად, სიმართლე, არამედ ის სიმართლე, რაც ხელს აძლევს მის კლიენტს. ანუ, ბუნებაში თითქმის არ არსებობს აბსოლუტურად ობიექტური ადვოკატი, ვინაიდან იგი ვალდებულია დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები, — სწორედ ამაში იღებს გასამრჯელოს.

ჟურნალისტის (რედაქციის) ამოცანა რადიკალურად განსხვავებულია — იგი ცდილობს, ზოგადად, სიმართლის დადგენას. ვიმეორებ, გამომძიებელი ჟურნალისტი რომელიმე მხარის ინტერესებს კი არა, სიმართლის ინტერესებს ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, უნდა ემსახურებოდეს. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებს ჟურნალისტის მდგომარეობას: თუ, მაგალითად, ადვოკატს ერთი მოწინააღმდეგე, ერთი მაგინებელი ჰყავს, ნიჭიერ და ობიექტურ (სიმართლის მაძიებელ) ჟურნალისტს ერთბაშად სამჯერ მეტი „მტერი“ უჩნდება — ორივე დაპირისპირებული მხარე და განმსჯელი ორგანო — სასამართლო.

ჭირისუფალთა ჭირვეულობა. ბუნებრივია, ჭირისუფალი ორივე დაპირისპირებულ მხარეს ჰყავს — დაზარალებულსაც და განსასჯელსაც. ბევრი მტკიცება არც იმას სჭირდება, რომ ერთსაც და მეორესაც საკუთარი თავი უსამართლოდ დასჯილად, ხოლო მოწინააღმდეგე — უსამართლოდ დაუსჯელად მიაჩნია. ამიტომ ორივე მხარის არგუმენტებს, — დოკუმენტებსაც და თეორიულსაც — (პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს) უდიდესი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. ისიც უნდა გაითვალისწინოთ,

რომ ჭირისუფლები წლების განმავლობაში ნალოლიავები არგუმენტების მსხვრევას ძალიან მტკივნეულად განიცდიან.

ჯერ კიდევ 1988 წლის სექტემბერში გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა საგამოძიებო და სასამართლო მასალებზე დაყრდნობით შექმნილი პუბლიცისტური ნაშრომი „უცხო ნათესავი“. იგი ეხებოდა მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენის მიერ ჩადენილ შემაძრწუნებელ დანაშაულს. ავტორმა სცადა მკითხველისთვის დაენახვებინა, როგორ მივიდა 30 წლის სახელგანთქმული სპორტსმენი შემზარავ დანაშაულამდე და ამაში არსებულ სამართლებრივ სისტემასაც ადანაშაულებდა. საქმე ის არის, რომ ვიდრე მცირეწლოვან ბიძაშვილ გოგონას გააუპატიურებდა და მოკლავდა, სპორტსმენმა ბევრი სხვა დანაშაული ჩაიდინა, მათ შორის, ბოროტი ხულიგნობა, ხანდაზმული ქალბატონის გაუპატიურება, მცირეწლოვანი ბიჭის გაუპატიურების მცდელობა და სხვა. სამართალდამცველებისთვის ყველაფერი ეს თავის დროზე ცნობილი იყო, მაგრამ ავტორიტეტმა თავისი გაიტანა და დამნაშავე არ დაისაჯა. საბოლოოდ კი მოხდა ისეთი რამ, რისი დაფარვაც ავტორიტეტის ყოვლისშემძლე მფარველებმაც ვერ შეძლეს.

მაშინდელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

სასამართლოდან ათი წლის შემდეგ ავტორთან მთელი ჩანთა დოკუმენტებით ხელში გამოცხადდა დამნაშავის დედა. მისი პრეტენზია ჟურნალისტისადმი, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი იყო: შენ მოკალი ჩემი შვილი!

თურმე, ეს ამბავი პრესით რომ არ გახმაურებულიყო, ის ცნობილი სპორტსმენი სასტიკ სასჯელს გადაურჩებოდა.

სცადეთ და, სიკვდილით დასჯილის დედას აუხსენით, რომ მისი შვილი ჟურნალისტმა კი არა, საკუთარმა საქციელმა და მმართველობის მაშინდელმა სისტემამ იმსხვერპლა.

დიდი ხნის წინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ გამაცნო შავებში ჩაცმული დარდიანი კაცი, სახელად შოთა და მთხოვა, დავხმარებოდი. როგორც გაირკვა, რამდენიმე წლის წინათ შოთა ოჯახით ავტოავარიაში მოხვედრილა და იმ ტრაგიკული შემთხვევისას მისი 22 წლის ფეხმძიმე ქალიშვილი დაღუპულა.

შევისწავლე ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მასალები. შევხვდი მოწმეებს, დავათვალიერე შემთხვევის ადგილი და ორივე ნაავარიევი ავტომანქანა, გავეცანი ექსპერტების

დასკვნებს, ადვოკატების, თვით მოსამართლის მოსაზრებებს და ასე შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ავტოავარიაში დამნაშავე მძღოლი შს სამინისტროს თანამშრომელი, მფარველთა წყალობით, რამდენიმე წლის განმავლობაში დაუსჯელი რჩებოდა. საქმე კი შეჩერებული იყო ბრალის დაუდასტურებლობის გამო.

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე ხელახლა აღიძრა, დამნაშავე მძღოლი საკმაოდ ოპერატიულად გაასამართლეს და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციაში იმ რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე გვეწვია. მას სურდა ჩვენივე გაზეთით განეცხადებინა, რომ თავის დროზე დამნაშავე მძღოლის საქმის გამოძიებასა და გასამართლებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და პრესაში გამოთქმული პრეტენზიები მას არ ეხებოდა (მისი გვარი ჩემს სტატიაში ნახსენები არც ყოფილა). თხოვნა შევუსრულეთ.

მოსამართლის ამ უმტკივნეულო განმარტებას ჩემთვის ყოვლად მოულოდნელი, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი შედეგი მოჰყვა: რედაქციაში გამოცხადდა სწორედ ის შავებიანი, დარდიანი ბატონი შოთა და სასტიკად გამლანძღა, რადგან იმ რაიონის მოსამართლეს, თუნდაც სავსებით ლოგიკურად, გაზეთში თავის მართლების საშუალება მივეცით!

ბატონმა შოთამ მრავალი წლის შემდეგ სწორედ ჩემი და რედაქციის საშუალებით იპოვა სამართალი. და მაინც, ყოვლად დაუმსახურებლად გაგვლანძღა და კარი გაიჯახუნა.

მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი კეთილშობილური თავგამოდებისთვის მადლობის ნაცვლად, შესაძლოა, ალიყური მიიღოთ. ადამიანების უმრავლესობას არ უყვარს მადლობის გადახდა მის მიმართ გაწეული უანგარო სამსახურის გამო. ჰგონიათ, რომ მადლობა მათ სამუდამოდ ავალდებულებს სიკეთის გამკეთებლისადმი. უჭირთ ამ ტვირთის ტარება და სულს ამგვარი მეთოდით იმსუბუქებენ.

საზოგადოებრივი აზრი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რაც უკვე ვთქვი და რის თქმასაც ამ წიგნის დამთავრებამდე მოვასწრებ, სულაც არ გახლავთ აბსოლუტური ჭეშმარიტება. ეს არის ერთი კაცის მოსაზრებები და გნებავთ გაიზიარეთ, გნებავთ — არა. ყოველ შემთხვევაში, უკრიტიკოდ ნურაფერს ირწმუნებთ, მათ შორის, ასეთ საკამათო თეზისსაც — **საზოგადოებრივი**

აზრი ძალიან ხშირად ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისგან.

ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრი საერთოდ არ არსებობს, ან საზოგადოებრივ აზრს, თუნდაც აშკარად მცდარს, ანგარიში არ უნდა გავუწიოთ. საქმეც ის არის, რომ იგი არსებობს და, გვინდა თუ არა, ანგარიშიც უნდა გავუწიოთ.

ერთ მკაფიო მაგალითს გავიხსენებ. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ურა-პატრიოტული მოძრაობის პროპაგანდისტებისა და აშკარა პროვოკატორების ძალისხმევით საქართველოში ჩამოყალიბდა მტკიცე საზოგადოებრივი აზრი, რომ საქართველოს ჰქონდა საკმარისზე მეტი რესურსი საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლად არსებობისთვის: ციტრუსები, ვენახები, ჩაის პლანტაციები, მინერალური წყლები, ქვანახშირი, კურორტები, ნავსადგურები, მძიმე და მსუბუქი სამრეწველო პოტენციალი და ა.შ. მთავარი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად დავრწმუნდით საწინააღმდეგოში — პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ ერთბაშად თავს დაგვატეხა ეკონომიკის არნახული ნგრევა, უმწვავესი პოლიტიკური დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, სიბნელე, სიცივე, შიმშილი და უსამართლობა.

ანუ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი დაფუძნებული იყო დემაგოგიაზე, სიცრუეზე და ელემენტალურ უვიცობაზე. მაგრამ ეს იყო საზოგადოებრივი აზრი და მაშინ მის წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ ერთეულებმა თუ გაბედეს. ეს ერთეულები კი გახლდნენ ის ადამიანები, რომლებიც მაშინდელი პოლიტიკური ელიტისგან საკმარისზე მეტად შორს იდგნენ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მსოფლიო სახელის მქონე ფილოსოფოსი, აკადემიკოსი მერაბ მამარდაშვილი* საკუთარ იდეებს შეეწირა კიდეც.

საზოგადოებრივი აზრი ხშირად დამთრგუნველად მოქმედებს პრესაზე.

„გამომძიებელი“ ჟურნალისტი ზოგჯერ ერთგვარი აღფრთოვანებითაც კი იჯერებს ერთ-ერთი მხარის არგუმენტებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე პიროვნებასა და რომელიმე უწყებას (ვთქვათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს) შორის დაპირისპირებას, ან, უბრალოდ, რომელიმე სახელმწიფო უწყებისა და მისი ხელმძღვანელობის საეჭვო მოქმედებას ეხება. ჟურნალისტის სიმპათიები ათიდან ცხრა შემთხვევაში მაინც, ძლევამოსილი სახელმწიფო უწყების წინააღმდეგ ამხედრებული უშიშარი მეომრის მხარესაა. და, აი, პრესაში ჩნდება სტატიები, სადაც

საუბარია, თუ როგორ აიღო მინისტრმა ქრთამად ასი ათასობით დოლარი, როგორ გაათავისუფლეს თანამდებობიდან სიმართლისთვის მებრძოლი თანამშრომელი, როგორც დაიჩაგრა „სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ერთადერთი მარჩენალი ბებია“ და სხვა უამრავი მომხიბლავი ზღაპარი.

სოციალური დაკვეთა. ჩვენ ხშირად და სამართლიანად ვამაყობთ, რომ ვემსახურებით თავისუფალ პრესას. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებებიც ამაყობენ, რომ თავისუფალი პრესა დემოკრატიის უპირველესი მონაპოვარია. თვით კომუნისტი იდეოლოგებიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ ყველაზე თავისუფალი, ყველაზე დემოკრატიული პრესა მხოლოდ სოციალისტურ სამყაროში არსებობდა. მოკლედ, ყველა — ხართუმიდან, თბილისის გავლით ვაშინგტონამდე მხოლოდ თავისუფალ პრესაზე ზრუნავს.

ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ნუ დაიზარებთ და ამ წიგნის ის ადგილები გაიხსენეთ, სადაც პრესის მნიშვნელობაზე, პრესისა და ხელისუფლების დამოკიდებულებაზე, ზოგადად, პრესის რაობაზეა საუბარი. გაიხსენეთ? — მაშინ სულაც არ გაგიჭირდებათ დაასკვნათ: **პრესა კაცობრიობის ისეთი ძვირფასი, ისეთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, ისეთი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, რომ მის თავისუფლებაზე საუბარი მეტისმეტად გადაჭარბებულია.**

მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალება, ვაღიარებთ თუ არა ამას, ემსახურება მისი მფლობელის ინტერესებს. არ არის სავალდებულო, რომ ეს მფლობელი მაინცდამაინც სახელმწიფო იყოს. იგი შეიძლება იყოს რომელიმე პარტია, პროფკავშირი, ბანკი, კომპანია, სამრეწველო კლანი და ა.შ. ასე რომ, ცნება „თავისუფალი პრესა“ პირობითია. იგი, შესაძლოა, გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ცენზურისგან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მისი მფლობელი-დამფინანსებლისგან. პრესა მართლაც ძალიან სერიოზული ძალაა იმისათვის, რომ სრულიად თავისუფალი იყოს. გთხოვთ, კიდევ ერთხელ ყურადღება მიაქციოთ, რომ საუბარია პრესის, ზოგადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაზე და არა სიტყვის თავისუფლებაზე.

ვიმეორებ: როგორც წესი, „თავისუფალს“ ვუწოდებთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების იმ ნაწილს, რომელზეც არ ვრცელდება ხელისუფლების დიქტატი.

აქედან გამოდინარე, მსოფლიო პრესაში და, წარმოიდგინეთ, საქართველოს პრესაშიც ხშირად გვხვდება ხელისუფლების რომელიმე შტოს, ან რომელიმე ფინანსური კლანის დაკვეთით შესრულებული სტატიები, მათ შორის, ჟურნალისტური გამოძიების ჟანრისა.

1995 წლის ბოლოს და 1996 წლის პირველ ნახევარში პროფესორ ჯაბა იოსელიანისა და მის მიერ შექმნილ პატრიოტულ ორგანიზაცია „მხედრიონის“ დანაშაულებრივ ქმედებათა გამოაშკარავებას ზედიზედ რამდენიმე ათეული ნომერი მიუძღვნა ყოველკვირეულმა „სახალხო გაზეთმა“. განზრახვა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ აქ უხეშად იყო დარღვეული უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადამიანის უფლებები და ჟურნალისტური ეთიკაც: ხელისუფლების მიერ აშკარად პოლიტიკური მოსაზრებებით დაკავებული მრავალი ეჭვმიტანილი, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც მალე სასამართლომ სხვადასხვა მოტივით გაათავისუფლა პასუხისმგებლობიდან, დამნაშავეებად იყვნენ გამოცხადებული.

კომუნისტურ პრესაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თავი დავანებოთ ოციან, ოცდაათიან თუ სამოციან წლებს. ასე იყო მაშინაც, როცა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი „დემოკრატი“ ედუარდ შევარდნაძე გახდა. იმ შორეულ 1972 წელს, ჯერ კიდევ ამხანაგად წოდებულმა ქვეყნის პირველმა პირმა მექრთამეობისა და „უკანონო შემოსავლების“ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის რაუნდები წამოიწყო. გადახედეთ მაშინდელ პრესას — იგი აჭრელებულია ამ აქციების მხარდამჭერი ყველა ჟანრის „ჟურნალისტური შედევრებით“. თუმცა, მაშინაც ყველა მეტნაკლებად მოაზროვნე ადამიანმა შესანიშნავად იცოდა, რომ ყველაფერი ეს ფარისევლობა, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო და მეტი არაფერი. ამ „რაუნდებს“, კანონების გასასტიკებას, გაუთავებელ ტაშისცემას შედეგი არ მოჰყვებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „დიადი საბჭოეთის“ ერთ პროვინციაში მმართველობის რეჟიმის შეუცვლელად ცხოვრების წესის შეცვლა ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ.

როგორ მოვიქცეთ?

ჟურნალისტურ გამოძიებასთან დაკავშირებით ისეთი სურათი დაიხატა, ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება. გამოვიძიოთ, თუ არ გამოვიძიოთ?! როგორც ზემოთაც ვთქვი, ჟურნალისტურ გამოძიებაზე უარის თქმა შეუძლებელია და სრულფასოვანი ჟუ-

რნალისტური გამოძიების ჩატარებაც თითქმის გადაუჭრელი პრობლემების წინაშე გვაყენებს!

ხოლო ნამდვილი გამოძიების ნაცვლად, მკითხველისთვის ნახევარფაბრიკატის შეჩეჩება უღირსი საქციელია. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, აჯობებს, ჩვენს ნაშრომ-ნაჯაფს არ დავარქვათ „ჟურნალისტური გამოძიება“. გამოვიძიოთ მხოლოდ ისეთი საქმეები, რისი ძალაც შეგვწევს და, რაც განსაკუთრებულ ოპერატიულობას არ მოითხოვს.

მაშ, ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები რომ იძიებენო? — იკითხავთ და მართალიც იქნებით, მაგრამ გავითვალისწინოთ ორი რამ: ჯერ ერთი, იმ ბედნიერი ქვეყნების ჟურნალისტებსაც ბევრი და მძიმე შეცდომა მოსდით; მეორეც — იქაური და ჩვენებური ჟურნალისტების (რედაქციების) ფინანსური შესაძლებლობების შედარება, უბრალოდ, შეუძლებელია.

მოკლედ, ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია და დაველოდოთ უკეთეს დროებას.

როგორ მოვამზადოთ საგაზეთო მასალა ჟურნალისტური გამოძიების შედეგებზე

თქვენი მძიმე და ხანგრძლივი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა — ხელთა გაქვთ კარგად გაანალიზებული დოკუმენტური მასალა. ახლა საჭიროა მისი პრესისთვის მომზადება — სტატიის დაწერა. ვიმეორებ, უნდა დაიწეროს საგაზეთო სტატია და არა საბრალდებო დასკვნა. როცა საქმე გამოძიების შედეგების გამოქვეყნებაზე მიდგება, ამ ორ ცნებას („საგაზეთო სტატია“ და „საბრალდებო დასკვნა“) ჟურნალისტებიც და იურისტებიც ძალიან ხშირად ერთმანეთში ურევენ. უფრო ზუსტად, ჟურნალისტები ცდილობენ სტატია საბრალდებო დასკვნას დაამსგავსონ, იურისტები — პირიქით, როგორმე საბრალდებო დასკვნა გადააკეთონ სტატიად.

საგაზეთო სტატიაში სულაც არ არის სავალდებულო თქვენი უკლებლივ ყველა დასკვნის ფაქტებით და არგუმეტებით დამტკიცება, კოდექსებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოშველიება, ე.წ. „საქმის ფურცლების“ მითითება და ა.შ. ეს მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, თუ ვინმე გეკამათებათ და საპირისპიროს

დამტკიცებას ცდილობს. სტატიაში უნდა ჩანდეს, რომ ავტორი მოცემულ საქმეს სრულყოფილად იცნობს; ხელთა აქვს უფრო მეტი დოკუმენტი, ვიდრე ოფიციალურ გამოძიებას. თუ ყველა თქვენი დოკუმენტის გამომზეურებას და ყველა არგუმენტის შესაბამისი ფაქტებით დამტკიცებას განიზრახავთ, მიიღებთ უზარმაზარ, მკითხველისთვის ფრიად მოსაწყენ მტკიცებულებათა ნუსხას. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ფაქტების, არგუმენტების და მტკიცებულებების მოტანა, საერთოდ, საჭირო არ არის, — საჭიროა, მაგრამ ისინი ძალიან ფაქიზად უნდა შეირჩეს. მაგალითად, თქვენ გაქვთ ყველა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეჭვმიტანილმა დაზარალებულთან, ვიდრე მას მოკლავდა, გაუკულმართებული სქესობრივი კავშირი დაამყარა: ნივთმტკიცებანი, ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ ამბობთ, რომ ეჭვმიტანილი ასე მოიქცა და მკითხველს არ აცნობთ ექსპერტიზის ვრცელ დასკვნას. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამას ამტკიცებს ექსპერტიზის დასკვნა, ან იგი სულაც არ ახსენოთ. მკითხველი ამაში ნამდვილად არ შეგეკამათებათ. შეგიძლიათ პირიქითაც მოიქცეთ — მოიტანოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ციტატა ექსპერტიზის დასკვნიდან უკომენტაროდ.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჟურნალისტური გამოძიებაც, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია მკითხველისთვის. ამიტომ მას უნდა ახლდეს ყველა ის ატრიბუტი, რაც, ზოგადად, უნდა ახლდეს ყველა მნიშვნელოვან საგაზეთო პუბლიკაციას: თვალში მოსახვედრი სათაური, შინაარსის შესაბამისი ქვესათაური, დამაინტრიგებელი შესავალი, ლოგიკური დასკვნა, ფოტომასალა და ა.შ.

ძალიან ხშირად, ამ ჟანრის ნაშრომები პუბლიცისტური ხასიათისაა, თუმცა, ფორმის მიხედვით, იგი სავსებით შესაძლებელია იყოს:

1. **მშრალი ინფორმაცია მტკიცებულებათა მოშველიებით;**
2. **პუბლიცისტური „ნოველა“;**
3. **დოკუმენტური დეტექტიური „მოთხრობა“;**
4. **რომელიმე კერძო ან სახელმწიფო უწყების (კომპანიის, ფიზიკური პირის) წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების ნუსხა, ან ბრალდებათა გამაქარწყლებელი არგუმენტების ჩამონათვალი;**
5. **სენსაციური განცხადება;**
6. **ინტერვიუ;**
7. **მონოლოგი** და ა.შ.

ყველაფერი თქვენს ოსტატობაზე და თემის პოპულარობაზეა დამოკიდებული. თუმცა, მკითხველის თვალში უპირატესობა მაინც ოსტატობას ენიჭება.

აქ შეიძლებოდა ძალიან ბევრი გვესაუბრა ფორმებზე, მაგრამ, ვფიქრობ, ამის აუცილებლობა აღარ არის, ვინაიდან როცა, ზოგადად, ჟურნალისტურ პროდუქციაზე ვსაუბრობდით, ამ თემას საკმაოდ დაწვრილებით შევეხეთ. ამის გარდა, ჟურნალისტური გამოძიება ისეთი რთული ფენომენია, მას, ალბათ, სათანადო მაგალითების მოშველიებით ცალკე სერიოზული გამოკვლევა უნდა მიეძღვნას. იმედი მაქვს, ამის დროც მალე დადგება.

ახლა, თუ ამ საკმაოდ გრძელი საუბრით ძალიან არ დაიღალეთ, შემოგთავაზებთ ჩემს მოსაზრებას თავის დროზე გახმაურებული ერთი ჟურნალისტური გამოძიების თაობაზე. უფრო ზუსტად, მოსაზრებას იმ საგაზეთო პროდუქციაზე, რასაც მისი ავტორები უწოდებენ „ჟურნალისტურ გამოძიებას“.

მანამდე კი აუცილებლად მეჩვენება მცირე განმარტება: მე, როგორც მოქალაქე და როგორც ჟურნალისტი, არ ვეკუთნოდი და არ ვეკუთვნი მმართველი ან რომელიმე ოპოზიციური ძალისადმი ლოიალურად განწყობილთა რიცხვს — თუ „საუბრებს“ ბოლომდე წაიკითხავთ, ვფიქრობ, ამაში უთუოდ დარწმუნდებით. ჟურნალისტთა წინამდებარე კოლექტიური „გამოძიების“ ანალიზს კი გთავაზობთ ერთადერთი მიზნით — გაითვალისწინოთ, რა სიძნელეები შეიძლება შეგხვდეთ თქვენი ყოვლად კეთილშობილური გადაწყვეტილების აღსრულებისას:

აქლემების მარულა

2001 წლის შემოდგომაზე საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი გამწვავდა. დაპირისპირება სახელმწიფო კანცელარიასა და ხელისუფლების ეგრეთ წოდებულ „რეფორმატორულ“ ფრთას შორის უკიდურესად დაიძაბა. დაიწყო აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

„რეფორმატორებმა“ (ე. წ. ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი) შევარდნაძისა და მისი მთავრობის გადასაყენებლად ნაცადი მეთოდის, ქუჩის აქციების გამოყენება გადაწყვიტეს. საბაბიც მალე გამოჩნდა — ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ინციდენტი 2001 წლის 30 ოქტომბერს. სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლა

ძალიან სწრაფად გადაიზარდა პრეზიდენტის გადასაყენებლად მიმართულ ბრძოლაში.

საბოლოოდ, პრეზიდენტი პრეზიდენტად დარჩა. ხოლო „რეფორმატორთა“ ჯგუფი ხელისუფლებიდან ერთბაშად რადიკალურ ოპოზიციაში გადაბარგდა.

კაცმა რომ თქვას, უცნაური, მით უფრო, საშინელი არაფერი მომხდარა. მსოფლიოში არ მეგულება ქვეყანა, სადაც თუნდაც გენიალური პრეზიდენტის გადადგომას არ ითხოვდნენ. ხან საფუძვლიანად, ხან უსაფუძვლოდ. პრეზიდენტი ან დაეთანხმება, ან — არა. ჩვენს შემთხვევაში, არ დაეთანხმა.

ასეთია 2001 წლის ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში განვითარებული მწვავე პოლიტიკური ბატალიების ძალიან მოკლე ისტორია.

ბუნებრივია, მაშინდელი მოვლენები ცხარე კამათისა და სერიოზული განსჯის საგნად იქცა. განზე არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დარჩენილა — არც აქაური და არც უცხოური. შეფასებებიც ნაირგვარი იყო.

როგორც ოცდამეერთე საუკუნის უცნობი ქართველი მემატიანე გვამცნობს, ამ ამბებიდან სულ მალე შექმნილა ჟურნალისტ-გამომძიებელთა ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაუსახავს, შეესწავლა და ხალხის სამსჯავროზე გამოეტანა მაშინდელი პოლიტიკური ბრძოლების საიდუმლოებანი, სახელი დაერქვა ყველა მაშინდელი ქმედებისა და მოვლენისთვის. საბოლოოდ, „ჯგუფმა“ პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება: მაშინდელ მოვლენებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დაარქვა, მის მონაწილეებს — გეკაჩეპისტები (რუს. ГКЧП — 1991 წლის აგვისტოში შეთქმულთა ჯგუფი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში, რომელმაც პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენება მოითხოვა), სგპ-ისტები („სგპ — საქართველოს გამბახებელთა პარტია“), მოღალატეები, აგენტები, ცრუპენტელები, მახინჯები და ა. შ.

ორ გაზეთში პარალელურად გამოქვეყნდა წერილების სერია, ხოლო 2002 წლის შემოდგომაზე ამ სტატიების კრებული გამოიცა წიგნად — „ოთხი დღე, რომელმაც შეძრა საქართველო“. წერილების და წიგნის ავტორთა ვინაობა უცნობია (რა თავმდაბალი ხალხი ვართ ეს ქართველები!) — ჩვენ, იმ წერილების სერიისა და წიგნის მადლიერმა მკითხველებმა, მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს პროდუქცია არის „ლიტერატურული საქართველოს“ და „მართა-

ლი გაზეთის“ ერთობლივი ჟურნალისტური გამოძიების ნაყოფი.

რა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არა მაქვს ნაშრომის შინაარსზე, იქ მოცემულ დასკვნებზე. არ ვამტკიცებ, რომ ეს მოვლენები არ იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა; რომ ჟვანია და სააკაშვილი არ არიან „გეკაჩეპისტები“, „გამბახებლები“, უცხოეთის რომელიღაც ქვეყნის „აგენტები“ და ა. შ. ჩემი პრეტენზიები ეხება ჟურნალისტ-გამომძიებელთა გამოძიების სტილს, მტკიცებულებათა შექმნის მეთოდს და, ზოგადად, წერის მანერას. „საუბრებში“ „ოთხი დღის“ განხილვის აუცილებლობაც სწორედ ამით არის გამოწვეული.

„ჯგუფის“ ბრალდებები 2001 წლის შემოდგომის მოვლენების ორგანიზატორებისადმი მართლაც მომაკვდინებელი იყო — სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სამშობლოს ღალატი, დეზინფორმაციის გავრცელება, უცხო ქვეყნების აგენტობა, შეთქმულებაში მონაწილეობა, მექრთამეობა და მრავალი სხვა რამ.

ფაქტობრივად, ეს იყო საბრალდებო დასკვნა, რითაც მრავალ ადამიანს საჯაროდ ბრალი ედებოდა უმძიმეს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ეს „მრავალი ადამიანი“ იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკური ფიგურები.

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ამ თემაზე წერა გავბედე. ეს გახლავთ თავისუფლებანაჩუქარი ქართული ჟურნალისტიკის, კერძოდ, მოდად ქცეული ჟურნალისტური გამოძიების მდგომარეობა XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

მოგეხსენებათ, გამომძიებელი საქმის სასამართლოში წარმართვამდე წერს საბრალდებო დასკვნას. წარმოიდგინეთ, რას იზამს ჟურნალისტი (ან რედაქცია), რომელსაც ხელში ჩაუვარდა საბრალდებო დასკვნა, რომლის ძალითაც ეჭვმიტანილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ითვალისწინებს სასჯელს ათი წლიდან სამუდამო პატიმრობამდე, ბრალდებები კი ასეა დასაბუთებული:

„როგორც სანდო წყაროდან ცნობილი გახდა, პეტრე კიევში გამგზავრებულა და, როგორც ამბობს იქაური ჟურნალისტი ვასია (რომლის გვარს ვერ დავასახელებთ), შეხვედრია ცენტრალ-

ური სადაზვერვო სამსახურის აგენტ ჯონს, რომლის ვინაობა დაუდგენელია.

ამბობენ, რომ ჯონმა, თურმე, ზურიკოს ხელით პეტროვიჩს გამოუგზავნა დიდი ფული სამშობლოს ღალატის სანაცვლოდ. აიღო თუ არა ზურიკომ ფული, უცნობია, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, მას სამშობლო ამ ფულზე გაუყიდია. აქედან გამომდინარე, პეტროვიჩს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის... მუხლით".

იმედია, არ მოგეწონებოდათ, ალბათ, კახურადაც შემიკურთხეთ, რას კროცამს ეს კაციო.

„ჯგუფელების" ერთობლივი საბრალდებო დასკვნა მხოლოდ ვარაუდებზე და ჭორებზეა აგებული:

„მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, უშიშროების თანამშრომლების იქ ყოფნის მომენტშიც „რუსთავი-2"-ის თანამშრომლებს ჩუმად გამოჰქონდათ თავიანთი ოთახებიდან ეს კონტრაბანდული საქონელი და სხვადასხვა სართულებზე მალავდნენ" (გვ. 21, სტილი და პუნქტუაცია აქ და ყველგან დაცულია, თ.ქ.).

ყურადღება მიაქციეთ: ტელეკომპანიას ბრალი ედება კონტრაბანდული საქონლის შემოტანასა და შენახვაში, გამომძიებლები (რომლებიც ჟურნალისტებიც არიან) კი ამბობენ, „მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთო".

„საგადასახადო სამსახურმა „რუსთავი-2"-ში ვერანაირი დარღვევები ვერ ნახა კი არა, როგორც ამბობენ, ისეთი რაღაცეები ნახა, ნანახისა თვითონვე შეეშინდა და „რუსთავი-2"-ის ხელმძღვანელობის წინადადებაზე, მშვიდობიანად „მოეყომარებინათ" საქმე, კატეგორიული უარი განაცხადა, თურმე, თუ მას რაღაც იურიდიული საფუძველი არ ექნებოდა ნანახზე თვალის დასახუჭად", (გვ. 21-22).

„— შეინარჩუნე სიტუაცია", მე ახლავე დეპუტატებს მოგაშველებ!

— ასეთი მითითება მიიღო, თურმე, კიწმარიშვილმა (ტელეკომპანიის მაშინდელი მფლობელი — თ. ქ.) ჟვანიასგან" (გვ. 25).

„მოვლენათა ანალიზის და შექმნილი სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ: ზურაბ ჟვანიამ ეს ფრაზა ნამდვილად თქვა და ამ ფრაზიდან დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პროცესი" (გვ. 25).

ამას ჟურნალისტები წერენ, თანაც — ჯგუფურად.

შეგახსენებთ, საუბარი ეხება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას და მასში ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის მონაწილეობას. ესენი კი — არ ვიცით, თქვა თუ არა, მაგრამ მოვლენები რომ გავაანალიზეთ, ჟვანია ამას უეჭველად იტყოდა და გადატრიალების მცდელობაც აქედან დაიწყოო!

„მორბენალი სტრიქონის საშუალებით („რუსთავი-2“-დან — თ.ქ.) **უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის გადაიცემოდა კონფიდენციალური ინფორმაციები“ (გვ. 33).**

ძვირფას გამომძიებლებს, მგონი, რაღაც ეშლებათ. XXI საუკუნის ტექნიკური არსენალის პირობებში, ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული. ძნელია თვითონ ინფორმაციის მოპოვება. თანაც, „რუსთავი 2-ის“ ამბავი რომ ვიცი, ინფორმაციის დაშიფრვით და მორბენალ სტრიქონად გადაკეთებით თავს ნამდვილად არ შეიწუხებდა — პირდაპირ, ღია ეთერში გადასცემდა და თან უშიშროების სამინისტროს ინფორმაციის გაჟონვაში დაადანაშაულებდა!

მორბენალი სტრიქონის ეპიზოდს ჭორსაც კი ვერ დაარქმევ. ეს უფრო უვიცობისა და მწირი ფანტაზიის ნაზავია.

„ამბობენ, რომ ამ გეგმამ (იგულისხმება „ჯგუფის“ მიერ ნავარაუდევი ჟვანიას გეგმა შევარდნაძის გადასაყენებლად. თ.ქ.) **რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის, ყურამდეც მიაღწია, რაზეც პუტინს უთქვამს: მე რუსეთის ჯარს მხოლოდ შევარდნაძეს მივცემ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, იგი მე ასეთი თხოვნით არასოდეს მომმართავსო“ (გვ. 60).**

„როგორც ამბობენ, ის (იგულისხმება მიშა სააკაშვილი, თ. ქ.) **მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით არ სარგებლობს რუსეთის სპეცსამსახურებსა და სხვა სერიოზულ ინსტიტუტებში“** (გვ. 60).

„იმასაც ამბობენ, რომ დროთა განმავლობაში სწორედ „ინვალიდთა ლიგა“ გახდა ე. წ. „რეფორმატორთა“ ჯგუფის დაფინანსების მთავარი წყარო“ (გვ. 68).

ხედავთ, რა ბიჭი ყოფილა ეს ვალოდია პუტინი (დედა ჰყოლია ოზურგეთელი მეხუზლას ქალი!): რუსეთის ჯარს, თუ დასჭირდა, შევარდნაძეს მივცემო, ჟვანიას და სააკაშვილს კი — არ მივცემო. იმიტომ არ მივცემ, რომ ბემურაზები არიან და ჩვენს „სპე-

ციალურ სამსახურებსა და სხვა სერიოზულ ინსტიტუტებში“ არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათო. აი, ბატონი ედუარდი კი „რუსეთის სპეცსამსახურებსა და სხვა ინსტიტუტებში“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო. საიდუმლოდ იმასაც გაგიმხელთ, რომ თურმე, ედო და ვოვა ბავშვობის მეგობრები ყოფილან. ასე ამბობენ და, რა ვიცი...

გავაგრძელო? — კი, ბატონო, მაგრამ, ძალიან გთხოვთ, რასაც ახლა წაიკითხავთ, ჩემი გამონაგონი არ გეგონოთ, „ჯგუფის“ წევრი კრიმინალისტ-ჟურნალისტების კუთვნილებაა:

„ამბობენ, რომ ტყვეობიდან გამოხსნილმა პეტრე ცისკარიშვილმა ტელეეკრანზე ის ტუალეტი იცნო, სადაც ის ტყვეობაში ყოფნისას თვალებახვეული დაჰყავდათ, ესე იგი, ახმეტის რაიონის სოფელ ბირკიანში (პანკისის ხეობა). ეს ის ტუალეტი იყო, სადაც ვეფხია მარგოშვილი (იმ პერიოდის გახმაურებული კრიმინალური ავტორიტეტი, თ. ქ.) **ააფეთქეს, აქედან ერთი ნაბიჯია იმ დასკვნამდე, რომ პეტრე ცისკარიშვილი ვეფხია მარგოშვილის სახლში ჰყავდათ ტყვედ“** (გვ. 80).

თავიდან მეც თქვენსავით ვფიქრობდი, აქ რაღაც გაუგებრობაა-მეთქი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ავტორები ამას სავსებით სერიოზულად ამბობენ:

„აკი თქვა ბატონმა პეტრემ: ეს ის ტუალეტია, სადაც ტყვეობისას თვალებახვეული დავყავდითო“ (გვ. 81).

„თხრობის მდინარებამ გაგვიტაცა და თვალებახვეული პეტრე მარგოშვილის ტუალეტის კართან დაგვავიწყდა“ (გვ. 88).

ახლა, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, თვალები ახვეული თუ ჰქონდა და ვერაფერს ვერ ხედავდა, ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ როგორღა „იცნო“ მარგოშვილის ტუალეტი იმ ჩემი ცოდვით სავსე ცისკარიშვილმა. თანაც, ტელევიზიით ტუალეტი კი არა, აფეთქების შემდეგ დარჩენილი ნატუალეტარი ადგილი აჩვენეს. პეტრემ იქნებ მართლაც თქვა, ვიცანიო, მაგრამ გამომძიებლები ხომ უნდა დაეჭვებულიყვნენ, თვალებახვეული კაცი ვერაფერს დაინახავდაო.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ავტორებს სურთ კავშირის ძაფი გააბან მათგანვე საეჭვო წარსულის მქონედ შერაცხულ მარგოშვილსა და ქართველ „პუტჩისტ-გეკაჩეპისტებს“ შორის, რომელთა ერთ-ერთ თანამზრახველად ცისკარიშვილიც მიაჩნიათ.

„როგორც ამბობენ (ცისკარიშვილმა — თ.ქ.) **ისეთი პიკანტური ამბები ჩამოარაკრაკა ვიდეოკამერის წინ პარლამენტართა პოლიტიკური ვნებით და შემართებით დამუხტული ცხოვრებიდან, თვით მრავლისმნახველი და მრავლისგამგონე მასპინძლებიც** (პანკისელები — თ.ქ.) **გაოცდნენ და განცვიფრდნენ თურმე“** (გვ. 88).

სამწუხაროდ, პატივცემული ავტორები არ გვეუბნებიან, კერძოდ, ისეთი რა „ჩამოარაკრაკა“ პეტრე ცისკარიშვილმა, „მრავალისმნახველი და მრავლისგამგონე“ პანკისელი ქისტები რომ გააოცა და განაცვიფრა კიდეც.

რაც ახლა წაიკითხეთ, მხოლოდ ნაწილია ამ „თურმეობითი“ გამოძიებისა. რა თქმა უნდა, ალბათ უარესიც გვინახავს, მაგრამ მას არ ექნებოდა ჟურნალისტური გამოძიების ამბიცია. ეს არის არა მარტო ერთი ჟურნალისტური ჟანრის, არამედ მთლიანად თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის პროფანაცია.

თუმცა, მთავარი ჯერ წინაა, ეს წიგნი ხომ ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდასაჭერადაა დაწერილი. ისიც ვნახოთ, როგორია ამ მხარდაჭერის ტექნოლოგია.

„ის, რასაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ დღემდე აკეთებდა, არის სწორედ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. დაწყებული სხვადასხვა სექტების დაცვით და მათი ინტერესების ლობირებით, დამთავრებული მათ მიერ ბოლოს შემუშავებული პრესის კანონპროექტით, ნათლად მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს ორგანიზაციასთან, რომელიც, ფაქტობრივად, ღიად ეწევა სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას“ (გვ. 99).

„რუსეთის რეაქციულ ძალებს ზუსტად ის სურთ, რის გაკეთებასაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბიჭები, ჟვანიასააკაშვილის ჯგუფის წევრები, „რუსთავი-2“ და სხვა მათი მოკავშირე საინფორმაციო საშუალებები თავგადაკლული ცდილობენ“ (გვ. 99).

სამწუხაროდ, „ჯგუფელები“ არ აკონკრეტებენ, რა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები შეიძლება იყოს „სექტების დაცვასა“ და „კანონპროექტის მომზადებას“ შორის. ვინაიდან ნებისმიერი კანონპროექტის შეთხზვა „სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ“ საქმიანობად ვერ ჩაითვლება, რჩება ერთი — „თავისუფლების ინსტიტუტი“ „იცავს სხვადასხვა სექტებს“.

თუ „თავისუფლების ინსტიტუტი“ გამოდის რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ, იგი სექტანტებს და სექტებს კი არ იცავს, არამედ იცავს სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს და საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტს. იცავს მოქალაქის ფუძემდებლურ, კონსტიტუციურ უფლებას!

„ჯგუფის“ ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ჟვანია-სააკაშვილისადმი ის გახლავთ, რომ ორივე ეს პიროვნება და მათთან „შეკრული“ საზოგადოება, თურმე, დასავლეთის რომელიღაც ქვეყნის რომელიღაც სპეცსამსახურის აგენტები ბრძანებულან. ეს უმძიმესი ბრალდება, ძირითადად, ეყრდნობა მოსკოვის პროკრიზისული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის, ვახტანგ ჭკუასელის, ჟურნალისტ დიტო ტიკარაძისა და ერთი ანონიმი ავტორის ჩვენებებს. ანონიმის ჩვენების ჭეშმარიტებაში ეჭვი რომ არ შეგვეპაროს, ჯგუფი გვამცნობს:

„პიროვნება, რომლის მონათხრობსაც ვეყრდნობოდით ამ წერილის მომზადებისას და რომელმაც არ ისურვა თავისი პიროვნების გამჟღავნება, საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსებში კარგად ჩახედული და ფართოდ ინფორმირებული პირია. ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო ამ პიროვნების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა, მისი მიწოდება საზოგადოებისათვის მაინც აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია — საკითხი ხომ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს ეხება“ (გვ. 104).

დამწყები ჟურნალისტ-გამომძიებლების საყურადღებოდ:

არასოდეს არ დაწეროთ (მით უფრო — არ ამტკიცოთ) ის, რისი დოკუმენტურად დასაბუთებაც თქვენს ძალებს აღემატება. პრესა არ არის (არ უნდა იყოს!) პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი. რაც მთავარია, თვით უნებლიე შეცდომაც კი (არაფერს ვამბობ შეგნებულ სიცრუეზე) ვნებს თქვენს ავტორიტეტს — როგორც ჟურნალისტისა და როგორც მოქალაქისა. ნურასოდეს ნუ ენდობით სიტყვაზე ანონიმ ავტორებს — ისინი, როგორც წესი, შარლატანები არიან და რომელიმე სპეცსამსახურის ან პოლიტიკური ძალის დაკვეთას ასრულებენ, თქვენ კი ბინძურ თამაშში გითრევენ. თუ არ გინდათ, უვიცობა დაგწამონ, ნურასდროს ნუ გაიმეორებთ ასეთ ფრაზას: „პიროვნება... ფართოდ ინფორმირებული პირია“.

ეს სიტყვები, ვიმეორებ, დამწყები ჟურნალისტების საყურ-

ადღებოდ ვთქვი, ვინძლო, მომავალი მოღვაწეობისას გამოუსწორებელი შეცდომები არ მოუვიდეთ. რაც შეეხება „ოთხი დღის“ ავტორებს, ქართულ ენაზე წერა-კითხვას ისინი ვეღარასოდეს ვერ ისწავლიან. გადაფურცლეთ მათი ნახელავი და ამ მწარე სიმართლეში თავად დარწმუნდებით.

დავუბრუნდეთ „აგენტებს“.

პატივცემული ანონიმის ჩვენებით, **„სააკაშვილი, რომლის საიდუმლო ფსევდონომია „ვერბლიუდი“, რუსეთის სპეცსამსახურების ოფიცერია და დაკავშირებულია სპეცსამსახურების იმ ძალებთან, რომლებიც დასავლეთიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებენ შევარდნაძე-პუტინის წინააღმდეგ“** (გვ. 104, 106).

„დასავლეთიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად მოქმედი ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი ახალ, მორიგ „ანტირუსულ“ და „ანტიშევარდნაძისტულ“ კამპანიას გეგმავს“ (გვ. 105).

„რკინისებური“ ლოგიკის წყალობით, ჯგუფი ასკვნის, რომ ჟვანია-სააკაშვილი და მთელი მათი აქლემების ჯოგი, კოზაკებიანად, არც მეტი, არც ნაკლები, ბუში-პუტინი-შევარდნაძის მოსისხლე მტრები არიან.

ამის გარდა, ჟვანია-სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ჩაუნერგავს იურიდიულ ფირმა „პეტერსონ ბელქნაფს“, რომელსაც, თურმე, სომხური დიასპორა აფინანსებს და განაგებს.

მოკლედო, ასკვნიან „ჯგუფელები“, ჟვანია-სააკაშვილის ტანდემი ეროვნული კი არა, ერევნული წარმოშობისაა და მათი ყველა გზა რომისკენ კი არა, არმენიისკენ მიდისო.

ახლა ყველაფერი ნათელია — თურმე არსებობს საერთაშორისო სომხური ორგანიზაცია, რომელიც ერთდროულად ებრძვის ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს და საქართველოს. ჟვანია-სააკაშვილი და მისი მიმდევრები ამ ორგანიზაციის წევრები არიან და არმენიის ძლევამოსილი მსოფლიო იმპერიის შექმნაზე ოცნებობენ. ამაში მათ რუსეთისა და ამერიკის სპეცსამსახურებიც (სპეცსამსახურებიცო, ხალხო!) უწყობენ ხელს!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ სტატიების ეს კრებული („ოთხი დღე...“) ჟვანია-სააკაშვილის და დანარჩენი „აქლემების“ მხილებასთან ერთად, ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდაჭერასაც ემსახურება.

ის, რაც ამ წიგნის თაობაზე აქამდე მოგახსენეთ, დიდად სა-

განგაშო არ უნდა იყოს. რა მოხდა, ცუდი წიგნები რომელ ქვეყანაში არ გამოდის. **თანაც, ხელისუფლების მხარდასაჭერი სტატიების შეთხზვა ისეთივე ძნელი საქმეა, როგორიც ულამაზესი ქალის დახატვა.** კრიტიკა გაცილებით ადვილია — ხელისუფლებისაც და ოპოზიციისაც. „ოთხი დღის“ ავტორებიც ხელისუფლების მხარდაჭერას ოპოზიციის დისკრედიტაციით ცდილობენ. აქაც გასაკვირი არაფერია. ოპოზიციის მხარდამჭერი პრესაც ზუსტად ასე იქცევა — ლანძღავს ხელისუფლებას და დუმს ოპოზიციაზე. როცა ოპოზიცია გახელისუფლდება, როლებიც შეიცვლება.

ეს არის ძველი და მეცნიერულად კარგად დამუშავებული ტექნოლოგია. იგი, ძირითადად, ამომრჩეველთა ცნობიერებაზე ზემოქმედებას გულისხმობს. სამწუხაროდ, არა მხოლოდ ინტელიგენტური მეთოდებით. „ჯგუფმა“ იცის ამ ტექნოლოგიების არსებობა. იცის მისი მნიშვნელობაც, მაგრამ არ იცის მისი არსი და შუასაუკუნეობრივი ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს იმის მოპოვებას, რაც თანამედროვე პირობებში ცოდნით და ღიმილით მოიპოვება.

„ჯგუფი“ ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, ამხილოს, თავს ლაფი დაასხას, გააშავოს... და უმძიმესი შეცდომებიც მოსდის.

ვთქვათ, საშუალო გონებრივი მონაცემების ამომრჩეველს სურს ირწმუნოს რომელიმე ოპოზიციური დაჯგუფების ანტისახელმწიფოებრიობა, მისი ლიდერების აგენტობა, ფარისევლობა, მექრთამეობა, უმადურობა, ჯანდაბა და დოზანა. ვერ ირწმუნებს, ვიდრე ხელთ არ ექნება ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. „ამბობენ“, „თურმე“, „კულუარული ინფორმაცია“ და ანონიმი ავტორების უნიჭო მიეთმოეთი საქმეს ვერ უშველის. ამისთვის ვერც მოჟურნალისტო მწერლების თუ მომწერლო ჟურნალისტების ტყავში გაძრომა და მაღალფარდოვანი სისულელე გამოდგება.

ადამიანს უნდა მოთხოვო მხოლოდ იმის გამო, რაშიც მას ბრალი მიუძღვის. არ შეიძლება ოპონენტის პირად ცხოვრებაზე, ოჯახზე, გვარზე, ეთნიკურ წარმომავლობაზე, რასაზე, ფიზიკურ ნაკლზე საუბარი. ეს უმძიმესი შეურაცხყოფაც ხომ არის და არის, გამრყვნელად მოქმედებს მთლიანად საზოგადოებაზე. თუ სააკაშვილის რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტობაზეა საუბარი, ამის დამამტკიცებელი პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულებანი უნდა მოვიპოვოთ და არაფერ შუაშია „ლირიკული გადახვევები“ იმის თაობაზე, როგორ ეშხეფებოდა საა-

კაშვილის ნერწყვი თარგამაძის პიჯაკს. თუ ელენე თევდორაძის „მხილება“ გვსურს, მისი ქალიშვილობის გვარის გაუთავებელი ტრიალი და კაი ხნის წინათ გარდაცვლილი მშობლების წარმომავლობაზე ლაყბობა არაფერს მოგვცემს.

არ ვიცი, მეტისმეტი მონდომებით მოუვიდათ თუ მართლა ასე სჯერათ, მაგრამ ფაქტია, რომ „მართალი გაზეთის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა სათქმელის არგუმენტაცია ვერ შეძლეს და იმის მტკიცება დაიწყეს, რაზეც ცივილიზებულ სამყაროში გადაკვრით ლაპარაკიც კი კაცობრიობის წინაშე დანაშაულად ითვლება.

არ მინდა ბოროტად ვისარგებლო თქვენი მოთმინებით, მაგრამ „ჯგუფის“ წიგნიდან კიდევ რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ და მერე, როგორც თავად ავტორები ირჯებიან, წაკითხულის შეფასება ვცადოთ:

„საქართველომ დღემდე არ იცის ვინ არის ზურაბ ჟვანია, საქართველომ ისიც კი არ იცის ზუსტად, ეს კაცი ჟვანიაა თუ ანტონიანი. არ იცის რა ერქვა მის ნამდვილ მამას, ბუსა თუ სურენი, არ იცის რა ერქვა თავიდან ზურაბს — ზურაბი თუ ზანაზანი, არ იცის ვინ არის მისი დედა — სომეხი თუ ებრაელი, თუ ორივე ერთად“ (გვ. 113-114).

„ვიღაც-ვიღაცებმა ქართული პარლამენტის ახლადმოვლენილ თავკაცში ის ავადმყოფი ბიჭი შეიცნეს, რომელიც პატარა ბიჭების ჩხუბში რატომღაც ყოველთვის არაქართველების მხარეს დგებოდა და მაღლა აღმართული ყავარჯნების მრისხანე ქნევით „თავისიანებს“ ამხნევებდა: „ბეი გრუზინოვ! ბეი გრუზინოვ! ბეი გრუზინოვ!

„ახალი დროის ხვაშაგი, ქართველ ქალთა ბრწყინვალე კოჰორტის მთავარი ქალბატონი, ქართულის არმცოდნე, დედით აშკენაზი, მამით ტანდოევა, თევდორაძის ფსევდონომით, ქალბატონი ელენე მასავით „ქართველი“ ახალი მეფის გვერდით აუცილებლად დაიკავებდა საპატიო ადგილს“ (გვ. 139).

ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი ახლახან წაკითხულს. ისეთი გრძნობა ხომ არ გაგიჩნდათ, რომ ეს უკვე სადღაც წაგიკითხავთ, გინახავთ, მოგისმენიათ? ოცდაათიანი წლების გერმანია ხომ არ გაგახსენდათ და სისხლის გამყინავი „ჰაილ!“ ხომ არ შემოგესმათ?

თავი დავანებოთ „ჯგუფელების“ ცინიკურ ტონს — როგორც შეუძლიათ, სათქმელს ისე ამბობენ. აქ მთავარი შინაარსია.

და ეს შინაარსი არის ნაცისტური.

ზურაბ ჟვანია, თურმე, იმიტომ გადაბარგდა ოპოზიციაში, იმიტომ იქცა აგენტად, იმიტომ ებრძვის საკუთარ მამაზეც მეტად მოამაგე გამზრდელს, იმიტომ აქვს მეტყველების დეფექტი, რომ დედით გოლდბაუმი ყოფილა და მამით — ანტონიანი.

ეს ელენე თევდორაძეც, თურმე, იმიტომ მიეტმასნა პუტჩისტ-გეკაჩეპისტ-გამბახებლებს, იმიტომ აბამს საეჭვო ხლართებს პანკისელ კრიმინალებთან, იმიტომ არ იცის ქართული, რომ დედით აშკენაზი ყოფილა და მამით — ტანდოევა.

ასეთ რამეს ცივილიზებული მსოფლიო არავის არ პატიობს. ჩვენ, საქართველოს მოსახლეობამ, საკუთარ თავზე ერთხელ უკვე გამოვცადეთ, რა მოაქვს ნაცისტურ განწყობას. ერთხელ უკვე ვიგემეთ სამოქალაქო ომის სიმწარე. ერთხელ უკვე დავაყენეთ სისხლის და ცრემლების ზღვა... ეს ახლახანს იყო, მეოცე საუკუნის მიწურულს.

იძულებული ვარ, მრავალჯერ ნათქვამი ერთხელ კიდევ გავიმეორო: ქართველობა არ განისაზღვრება მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობით. ქართველია ყველა, ვისაც სურს, იყოს ქართველი და ემსახურება საქართველოს ინტერესებს. არაქართველია ყველა, ვინც არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს. ჩვენი დიდი კულტურა, — ქართული კულტურა, — შექმნილია ქართველი ხალხის, ანუ იმ ადამიანების მიერ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად), რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი დიდი კულტურა ეკუთვნის საქართველოს ხალხს და ეკუთვნის მთელ ცივილიზებულ სამყაროს.

ოცდამეერთე საუკუნეში მოქალაქეების (პარტიული ლიდერებიც მოქალაქეები არიან!) ეთნიკურ ქართველებად და ეთნიკურ არაქართველებად დაყოფა სამარცხვინოა, ანტიკონსტიტუციურია და, რაც მთავარია, საშიშია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

ნაციზმი კი, როგორც ისტორიიდან გვახსოვს, შობს ფაშიზმს, როგორც სახელმწიფო წყობილებას (როგორც კომუნისტურმა თეორიამ შვა სოციალისტური სახელმწიფო წყობილება).

ჩვენი შეგნებული, თუ შეუგნებელი ლტოლვა ნაციზმისკენ ჩვენივე კომუნისტური წარსულიდან მომდინარეობს. იმ ნაცისტურ-კომუნისტური იდეოლოგიის ასე ხელაღებით უარყოფა, მართლაც ძნელი საქმეა, მაგრამ ამ თემაზე სტატიების სერიის

პოპულარულ გაზეთში გამოქვეყნება და მერე წიგნად გამოცემა, მეტისმეტია.

ავტორები თავიანთ წიგნში, მართალია, ამბობენ, **„საზოგადოების დიდ ნაწილს ქათმის სიბრმავე ჭირსო“** (გვ. 51), მაგრამ ეს ავტორებს ჰგონიათ ასე. პირიქით, საზოგადოება ყველაფერს ხედავს და, ღვთის მადლით, ავის და კარგის გარჩევაც შეუძლია. ეროვნულ და რელიგიურ თავმოყვარეობაზე ზემოქმედებით ხალხის, საზოგადოების დროებით აყოლიება, არ არის ძნელი საქმე. მაგრამ, ეს ხომ უკვე გააკეთეს ამ ათიოდე წლის წინათ (იგულისხმება 1988-1992 წ.წ. რედ.).

ჩვენ საკმაოდ მცირერიცხოვანი ქვეყანა ვართ იმისთვის, რომ თავს ნაცისტური იდეების პროპაგანდის ფუფუნება მივანიჭოთ.

ნაციზმი ძალიან საშიში ინფექციური დაავადებაა. ადამიანი არც დოღის ცხენია და არც მონადირე ძაღლი, საკუთარი წმინდასისხლიანობით რომ იამაყოს. იმასაც შეგახსენებთ, რომ „წმინდასისხლიანობით“ მსოფლიოში ვერცერთი არისტოკრატი ვერ დაიკვეხნის, ბაგრატიონების ჩათვლით...

სხვათა შორის, როცა ვამბობ, ეს წიგნი ხელისუფლების მხარდასაჭერად დაუწერიათ-მეთქი, სავსებით შესაძლებელია, ვცდებოდე. იქნებ, სულაც, პირიქითაა — ავტორებმა განზრახვა შენიღბეს და ეს წიგნი, სინამდვილეში, ხელისუფლების სახელის გასატეხად დაწერეს. ნიჭიერმა ჯგუფმა შეგნებულად იძახა „თურმე“ და „ამბობენ“, შეგნებულად მიიწერა იაფფასიანი ნაცისტური იდეები, სპეციალურად შეთხზა სასაცილოდ უნიჭო მაღალფარდოვანი პასაჟები და ამგვარი გამოთქმები: „თავისი კუთვნილი ადგილის მაძიებელი“, „გაოცდნენ და განცვიფრდნენ, თურმე“, „გასათხოვარი ქალიშვილი“, „გამოირჩეოდა სიტყვაუხვობით და ენაწყლიანობით“, „აძლევდა გეზს და მიმართულებას“ და მრავალი, მრავალი სხვა.

***

გულწრფელად რომ ვთქვა, არ ვიცი, საჭიროა თუ არა რაიმე კომენტარი. ყოველ შემთხვევაში, რაც ახლა წაიკითხეთ („აქლემების მარულა“), თვითონ არის გამიზნული საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის. ოღონდ, არა პარენტისეული ე. წ. სუგესტიის მეთოდით, არამედ მტკიცებულებათა მოშველიებით და ოპონენტთა მოსაზრებების ირონიული და მკაცრი კრიტიკით.

ავტორებმა მაშინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავ-

ლენით, თავს ზერელობის უფლება მისცეს. შედეგიც სასურველის სრულიად საწინააღმდეგო მიიღეს. ნებსით თუ უნებლიედ, ხელი შეუწყეს ოპოზიციის ავტორიტეტის ზრდას და ისედაც სახელგატეხილი ხელისუფლების კიდევ უფრო დისკრედიტაციას.

ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ კოლექტიური „გამოძიება“ ჩატარებულია უაღრესად დაბალ პროფესიულ დონეზე და სამაგალითოდ ამიტომ მოვიყვანე — იგივე შეცდომები თქვენც რომ არ გაიმეოროთ!

ასეთი მოუფიქრებელი, ცრუ-პატრიოტული დემაგოგიით შეზავებული ყველა ჟანრის სტატიები მაშინდელ (2001-2003 წ.წ.) ქართულ პრესაში უზომოდ ბევრი ქვეყნდებოდა. საპირისპირო ვითარება იყო ოპოზიციურ მასმედიაში — უახლეს PR-ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარეობდა გეგმაზომიერი, კარგად მოფიქრებული კამპანია — პოლიტიკური მულტიპლიკაციური ფილმებით დაწყებული, საგაზეთო პუბლიკაციებით, სატელევიზიო პოლიტიკური შოუებით, პლაკატებითა და პროკლამაციებით დამთავრებული.

შედეგმაც არ დააყოვნა — 2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ედუარდ-გიორგი შევარდნაძის ხელისუფლება პოლიტიკური არენიდან უსისხლოდ და უსახელოდ წავიდა.

ვიმეორებ, ამაში უდიდესი წვლილი პრესასაც მიუძღვის. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ისტორია შთამომავლობას არ შეუნახავს ამ „რევოლუციის“ ათი ათასობით მონაწილის, „რევოლუციის“ შედეგად აღზევებული პოლიტიკოსების, რედაქტორების და... ჟურნალისტების სახელებს. ისიც არავინ იცის, დაუნდობელი ისტორია როგორ შეაფასებს მომხდარს. მხოლოდ ერთი რამ არის გარანტირებული — ისტორია სამუდამოდ დაიმახსოვრებს არა შორეული, ღატაკი და ამბიციური საქართველოს ერთ-ერთი პრეზიდენტის, არამედ დიდი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი დამამხობლის, ბერლინის კედლისა და ვარშავის პაქტის — XX საუკუნის მსოფლიოს უდიდესი და უძლიერესი სამხედრო-ეკონომიკური ბლოკის — დამანგრევლის სახელს. ეს სახელია ედუარდ შევარდნაძე.

ჟურნალისტების გაუთავებელი ქილიკი შევარდნაძეზე ხელს უწყობს სწორედ შევარდნაძის და არა, თუნდაც, ძალზე ცნობილი ჟურნალისტის ისტორიაში დამკვიდრებას.

ჟურნალისტმა ესეც უნდა გაითვალისწინოს.

თავი IX

ეთიკა და ჟურნალისტიკა

პაპის ჩემის — ვერუსის წყალობით ვეზიარე ზნეთა სიწმინდეს, სიმშვიდეს და აუმღვრევლობას.

მარკუს ავრელიუსი

ღორეგის რევოლუცია

როცა ვსაუბრობთ ზნეობაზე, ანუ, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, ადამიანურ ქცევათა ნორმებზე, მაშინვე ჩნდება კითხვები ამ ქცევის მოტივაციაზე და ისტორიასთან, ადათ-წესებთან, სამართალთან, კანონთან, პოლიტიკასთან, რელიგიასთან, მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან მის დამოკიდებულებაზე.

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხში ზნეობისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო და არის. ინგლისელ ფილოსოფოსს და სოციოლოგს, პოზიტივიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს ჰერბერტ სპენსერს* თავის ნაშრომში, „ზნეობის მეცნიერული საფუძვლები“, მოჰყავს ფიჯის კუნძულებზე მცხოვრები ტომის მაგალითი: ოჯახის მოხუცებულ წევრებს შვილები ცოცხლად კოცონზე წვავენ. იმათი წარმოდგენით, სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცხოვრებას აგრძელებს იმ ფიზიკური კონდიციებით, რითაც ამქვეყნიური ცხოვრება დატოვა. ამიტომ, სასურველია, ამქვეყნიდან გადასახლების მომენტში იგი მყარად იდგეს ფეხზე, რომ იმქვეყნად მარადიული ტანჯვა ასცდეს. ანუ კოცონზე ცოცხლად დაწვით შვილები მშობლებს ფრიად კეთილშობილურ სამსახურს უწევენ. ეს იმათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

მშობლებისადმი ჩვენი ტრადიციული დამოკიდებულების გადასახედიდან, რა თქმა უნდა, კოცონზე დაწვა კი არა, მშობლის კომფორტულ მოხუცებულთა თავშესაფარში მიბარებაც უზნეობად ითვლება, მაგრამ იმ ტომისთვის, რელიგიური მრწამსისა და იქ დაკანონებულ ქცევათა ნორმების გამო, ამაში უცნაური და უზნეო არაფერია. ვიმეორებ, ამგვარი ქცევა ზნეობრივია იმ ტომისთვის და იმ ეპოქისთვის, საიდანაც ეს მაგალითი მოჰყავს ჰერბერტ სპენსერს, მაგრამ უზნეოა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსთვის. როგორც არტურ შოპენჰაუერი* ბრძანებ-

და („ზნეობა და ნების თავისუფლება“), თეოლოგია მორალს ღვთის ნებაზე დაფუძნებულად მიიჩნევს, ფილოსოფოსები კი, მცირე გამონაკლისის გარდა (ამ გამონაკლისად შოპენჰაუერი სოკრატეს მიიჩნევს), ჯიუტად ცდილობენ, საერთოდ, ამგვარი საფუძვლის არსებობის უარყოფას. დიდი გერმანელი მიდის დასკვნამდე, რომ „ეთიკის ძველი საფუძვლები საბოლოოდ მოირყა“.

რახან სიტყვა არტურ შოპენჰაუერზე, იმ კაცზე ჩამოვარდა, ვინც გონებაზე ნებელობის, რაციონალურზე ირაციონალურის უპირატესობას ამტკიცებდა, ბარემ მის ორიოდე ფრიად ყურადსაღებ მოსაზრებასაც შემოგთავაზებთ. დანარჩენით თუ დაინტერესდებით, ურიგო ნამდვილად არ იქნება, რადგან ეთიკის (შესაბამისად — შოპენჰაუერისა და სხვათა მოსაზრებების) ზოგადი საფუძვლების უცოდინრად ჟურნალისტიკის ვარსკვლავობა შეუძლებელია. თუმცა, ამის გარანტიას არც ეთიკის საფუძვლიანი ცოდნა იძლევა.

მაშ, ასე — არტურ შოპენჰაუერის, დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უპოპულარესი ფილოსოფოსის აზრით, ადამიანთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ **ზნეობა არსებობს სხვა ადამიანებისთვის. საკუთარი თავის მიმართ კი ეს წმინდა წყლის ეგოიზმია. იმისავე მტკიცებით, ეთიკური წესები ადამიანის მხეცური ბუნების შენიღბვის მცდელობაა და სხვა არაფერი. სახელმწიფო და სამართალი არის ალიკაპი, რომელიც აოკებს ადამიანის ყველაზე დამანგრეველი ბუნების გამოვლინებას. თუ სახელმწიფო დაკარგავს ძალას და ადამიანი ალიკაპს მოიშორებს, შედეგი ყველა გონიერს შეაძრწუნებს**.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია, არ დავეთანხმოთ ბრძენ გერმანელს, შეგვიძლია, უარვყოთ ადამიანში მტაცებლური (მხეცური) ბუნების არსებობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მწარე სინამდვილე და საღი გონება, ნაწილობრივ მაინც, შოპენჰაუერის სიტყვების მართებულობაზე მიგვითითებს.

მისი აზრით, ადამიანში, ერთის მხრივ, არსებობს ზნეობა, მეორეს მხრივ, არსებობს ეგოიზმი და მხეცური ბუნება, რასაც უეჭველად სჭირდება ალიკაპი სამართლისა და სახელმწიფოს სახით. თანაც, კიდევ ერთი დიდი გერმანელის, ემანუელ კანტის აზრით, ადამიანის თითქმის ყველა ზნეობრივი ნაბიჯის ახსნა მისივე ეგოისტური ბუნებითაც შეიძლება.

მოკლედ, ჯერ კიდევ არ ვიცით, სად ვეძებოთ ზნეობის საწყისები (ან თვითონ ზნეობა) — საგანთა ბუნებაში, თუ ადამიანთა ბუნებაში, ცნობიერში თუ ქვეცნობიერში?! სწორედ ეს გახლავთ ის მანკიერი წრე, რომლის გარღვევა თვით „ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე“ მარქსისტულმა ფილოსოფიამაც კი ვერ შესძლო.

მე, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცი, ნამდვილად ზნეობრივია თუ არა დასჯის მუქარით, ან ჯილდოს დაპირებით გამოწვეული მორალური ქმედება. უფრო პროზაულად რომ ვთქვა, ზნეობრივია თუ არა ხელისუფლების ქმედება, როცა იგი არჩევნების წინა დღეს პენსიონერების ხმების მოსაპოვებლად ხუთი (ან ხუთასი) ერთეულით ზრდის პენსიებს?! ამ ქცევის შეფასებისას, რა კრიტერიუმი უნდა გამოვიყენოთ, შედეგი — პენსიონერი შიმშილით სიკვდილს გადაურჩა, თუ მოტივი — ხელისუფლებამ პენსიონერთა უმწეობით ისარგებლა!

1945 წლის აგვისტოში ინგლისში გამოვიდა ჯორჯ ორუელის* წიგნი „ცხოველების ფერმა“, რომელიც სალიტერატურო კრიტიკამ იაპონიაში ატომური ბომბის ჩამოგდების დარ მოვლენად შეაფასა. ორუელი (ერიკ არტურ ბლერი) გვიამბობს, როგორ მოახდინეს რევოლუცია ცხოველებმა ერთ-ერთ ინგლისურ ფერმაში, გაყარეს ექსპლოატატორი ადამიანები და სრული დემოკრატია დაამყარეს. რევოლუციის სულისჩამდგმელები ბრძანდებოდნენ ცხოველთა შორის ყველაზე მოაზროვნეები, ღორები ტახი ნაპოლეონის მეთაურობით. შემდეგ ნაჩვენებია, როგორ იქცა ნაპოლეონი დიქტატორად, ქოფაკებისგან შექმნა სპეციალური დანიშნულების რაზმი, მტკიცე ალიკაპი ამოსდო თანამოაზრეებს, გააძევა დისიდენტები, რკინის ეშვით ჩაკლა თავისუფალი აზრი, ფერმაში უსასტიკესი დიქტატურა დაამყარა და, საბოლოოდ, „საზიზღარ“ ადამიანებსაც კი გაურიგდა!

საბრალო რევოლუციონერმა ცხოველებმა (იხვებმა, ბატებმა, ქათმებმა, ცხვრებმა, ცხენებმა) კი უკვე აღარ იცოდნენ, რა ექნათ, ვერ გაერკვიათ, რომელი იყო ღორი და რომელი — ადამიანი.

მე რომ მეთქვა, ღორი და ადამიანი ერთმანეთისგან ზოგჯერ ძნელი გასარჩევია-მეთქი, იქნებ არც დაგეჯერებინათ. არადა, ორუელმა დაგვანახა, რომ თურმე, ღორი ადამიანზეც კი უარესია, როცა თავის „ღორულ ზნეობას“ კარგავს. თავის მხრივ, ადამიანი ყველა ღორზე უარესია, თუ ადამიანურ ზნეობაზე მწყ-

რალად ბრძანდება. ჟურნალისტის ვალიც სწორედ ის არის, კარგად დაანახვოს საზოგადოებას ადამიანის სახე — ზნეობრივიც და უზნეოც. დაანახვოს ზღვარი ადამიანობასა და ღორობას შორის. აუხსნას, რომ ადამიანი ჰქვია მხოლოდ ზნეობრივ მოაზროვნე არსებას. მხოლოდ იმას, ვისაც აქვს სინდისი — პასუხისმგებლობა საკუთარი ქცევის გამო.

ეს რომ შეძლოს, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს ეთიკის რაობა და, რაც მთავარია, თვითონ უნდა იყოს ზნეობრივი ადამიანი.

სამართლის სოციოლოგიაზე მსჯელობისას, მაქს ვებერი ამბობს: **სოციოლოგია „ეთიკურად“ მიიჩნევს კრიტერიუმს, რომლისთვისაც ხალხის რაციონალური რწმენა ითვლება ადამიანური ქცევის იმ ნორმად, რასაც, ზნეობრივი თვალსაზრისით, ჰქვია „კარგი“.**

ზნეობის არსებობა, უმრავლეს შემთხვევაში, გარანტირებულია იმით, რომ მისი ხელყოფა იწვევს ადამიანთა გარკვეული წრის აღშფოთებას. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფელ ყიტაანის მკვიდრთა უკიდურეს აღშფოთებას უთუოდ გამოიწვევს ტრადიციული წარმართული კერპის — ელიას დემონსტრაციული შეურაცხყოფა, იმის მიუხედავად, რომ სოფლელები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. სამეცნიერო ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ასეთ შემთხვევაში, ეთიკა კონვენციურად გარანტირებულია. თუმცა, კონვენციურად ან იურიდიულად გარანტირებულ ყველა სისტემას არცა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ეთიკური ნორმატიულობის პრეტენზია.

მოდი, დროებით გვერდზე გადავდოთ ძველი და ახალი ფილოსოფიები და ისევ XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს დავუბრუნდეთ. თუმცა, ჯერ ვლადიმერ ლენინის ერთი ძალიან ცნობილი ფორმულირება გავიხსენოთ (მით უფრო, რომ იგი შეტანილი იყო ყველა დონის საბჭოთა ეთიკის სახელმძღვანელოში): **„ეთიკურია ყველაფერი, რაც ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის საქმეს“.**

ზნეობის ლენინისეული განსაზღვრება, რა თქმა უნდა, ვერავითარ მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. კაცმა რომ თქვას, აქ საკრიტიკო და სამსჯელოც არაფერია, რადგან რევოლუციის ბელადის აზრით, მთავარია საქმე (ანუ კომუნიზმის მშენებლობა) და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით გავაკეთებთ მას: სიცრუით, ორპირობით, დაშინებით, მასობრივი მკვლელობებით.

ზნეობის ამგვარმა ინტერპრეტაციამ დედამიწის თითქმის

ნახევარზე სამოცდაათი წლის განმავლობაში იბოგინა, მრავალი მილიონი ადამიანი ფიზიკურად მოსპო და მრავალი მილიონი სულიერად დაასახიჩრა.

იმის მიუხედავად, რომ 2003 წლის ნოემბრიდან საქართველოს ხელისუფლების სათავეში ძალიან ახალგაზრდა, უცხოეთში (ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებში) ნასწავლი, არცთუ უნიჭო ახალგაზრდობა მივიდა, მისი ზნეობა და, აქედან გამომდინარე, მთლიანად მენტალური მდგომარეობა, იყო ლენინური, კომუნისტური.

ამის დამადასტურებელი უამრავი თვალსაჩინოებიდან ერთს, ყველაზე „უმნიშვნელოს“ მოვიყვან:

საქართველოს ენერგომომარაგების სისტემა, როგორც საბაზრო კანონი მოითხოვს, სასწრაფოდ უცხოელი კერძო მფლობელის ხელში გადავიდა და მასზე რაიმე სახელმწიფო ან არასახელმწიფო კონტროლის დაწესება შეუძლებელი აღმოჩნდა. ზეპირი გარიგება ენერგომფლობელებსა და ენერგომომხმარებლებს შორის დაახლოებით ასეთი იყო: (ელექტრო)ენერგია არის ჩვენი. ჩვენ მას მოგაწვდით, აი, ამ ფასად (ანუ ყველაზე ძვირად მსოფლიოში!), ენერგიის ხარისხზე პასუხს არ ვაგებთ; ფორსმაჟორულ ვითარებაში დაზარალდებით მხოლოდ თქვენ, მომხმარებლები; როცა საჭიროდ მივიჩნევთ, ენერგიას შეგიწყვეტთ გაუფრთხილებლად და განუსაზღვრელი ვადით; უხარისხო ენერგიის მოწოდებით გამოწვეულ ზარალზე პასუხს არ ვაგებთ; ტარიფებს გავზრდით საკუთარი შეხედულებისამებრ; დავალიანების შემთხვევაში, სანქციები განხორციელება ე. წ. კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპით, ანუ მტყუან-მართლის განურჩევლად; ნებისმიერი პრეტენზია მომხმარებლის მხრიდან არ მიიღება!

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ხელისუფლების, ენერგომფლობელებისა და თვითონ ენერგომომხმარებლების უზნეობასთან: საკუთარი ანგარებითი მოტივების გამო, ამგვარი ვითარება შექმნა თვითონ ხელისუფლებამ; ზემოგებების მიღებისა და ხელისუფლების მხრიდან უეჭველი წაყრუების იმედით, ბოროტად სარგებლობს ენერგომფლობელი; ხოლო საკუთარ ინტელექტუალურ ძალებში დაეჭვებული და მატერიალურ უმწეობაში დარწმუნებული ენერგომომხმარებელი საკუთარი უფლებების აღდგენისთვის ბრძოლის სურვილს არ ამჟღავნებს, რითაც ხელს უწყობს საყოველთაო უზნეობის დამკვიდრებას.

ახლა, რაც შეეხება ამ პერიოდის ჟურნალისტიკას, კერძოდ, პრესას.

ალბათ, სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ იგი მთავარი და ყველაზე საშიში უზნეობის, ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ, არ იბრძოდა. იბრძოდა, მაგრამ ეს ბრძოლა, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, იყო ძალიან მდარე ხარისხისა. ანუ, XXI საუკუნის დასაწყისის ქართულმა პრესამ ვერ მოახერხა ზნეობის გადარჩენისთვის ბრძოლის ორგანიზება. მეტიც, არაკომპეტენტური, მშიერი და სხვისი ხელის შემყურე პრესა მეტნაკლებად თვითონ აღმოჩნდა უზნეობის ჭაობში. ვგულისხმობ, ძირითადად, მასმედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ „ვარდების რევოლუციის“ ბარიკადებზე, შემდეგ კი „რევოლუციის მონაპოვრების“ დასაცავად.

მაქს ვებერის აზრით, ადამიანური ქცევის ასეთ ნორმებს ზნეობრივი თვალსაზრისით არ შეიძლება დაერქვას „კარგი“.

თუმცა, იქნებ ვცდები კიდეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზნეობა არის საზოგადოების განვითარების რომელიმე ეტაპზე ჩამოყალიბებული ადამიანის ქცევათა ნორმები, მაშინ ხომ შესაძლებელია, რაც ერთს უზნეობა და არაეთიკური ჰგონია, მკვლევარ-ფილოსოფოსთა გულზე გასახეთქად, სხვისთვის სწორედაც ეთიკური, ზნეობრივი იყოს!

ავტორიტარული და ჰუმანისტური ეთიკა

XX საუკუნის გერმანო-ამერიკელი ფილოსოფოსისა და ფსიქოანალიტიკოსის, ერიხ ფრომის* აზრით, ავტორიტარული ეთიკის პირობებში „კარგსა“ და „ცუდს“ სახელებს ხელისუფლება არქმევს, თვითონვე ადგენს ქცევის კანონებსა და ნორმებს — დაწერილსაც და დაუწერელსაც.

ჰუმანისტური ეთიკის პირობებში ადამიანი თავად გვევლინება ეთიკური ნორმების კანონმდებლადაც და აღმსრულებლადაც.

ვფიქრობ, აქ აუცილებელია დაზუსტება ტერმინისა „ავტორიტეტი“. მით უფრო, რომ საბჭოთა სინამდვილეში ეს ტერმინი იწვევდა ბელადომანიის, უსამართლობის, კრიმინალური სამყაროს ასოციაციებს, ხოლო პოსტსაბჭოთა ეპოქაში იგივდებოდა ახალგამოჩეკილ პარტიულ ლიდერებთან, ჩინოვნიკებთან,

უწყებებთან, საეჭვოდ გამდიდრებულ „ბიზნესმენებთან“, ქურდული სამყაროს ბოსებთან და ა. შ.

ეს ნიშნავს, რომ ნამდვილი (რაციონალური) ავტორიტეტის არარსებობის (ან უგულებელყოფის) პირობებში ასპარეზზე უეჭველად გამოდის მოჩვენებითი (ირაციონალური) ავტორიტეტი.

საგულისხმოა, რომ ავტორიტეტებზე საუბრისას, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში, ორატორი შეგნებულად არ აზუსტებს, რომელ ავტორიტეტზე საუბრობს, — ნამდვილზე თუ მოჩვენებითზე. იმავე ერიხ ფრომის აზრით, რაციონალური ავტორიტეტის წყარო არის კომპეტენტურობა. ამგვარ ავტორიტეტს არ სჭირდება ადამიანის დაშინება, მათი ნდობის მოპოვება არაორდინალური ან ექსტრავაგანტური საქციელით, რადგან მისი ავტორიტეტი ცოდნასა და გამოცდილებაზე მყარად დგას. მას არ სჭირდება არც ექსპლუატაცია და არც ირაციონალური მოწიწება. რაციონალური ავტორიტეტი არა მარტო შესაძლებლობას უშვებს, არამედ საზოგადოებისგან ითხოვს კიდეც საკუთარი ქმედების შეფასებას და კრიტიკას.

მოჩვენებითი (ირაციონალური) ავტორიტეტის წყარო ადამიანებზე საკუთარი ძალაუფლების გავრცელებაა. ეს ძალაუფლება, შესაძლებელია, იყოს ფიზიკური ან სულიერი, აბსოლუტური ან შეფარდებითი. ირაციონალური ავტორიტეტი ორ საყრდენზე დგას — შიშსა და ძალაზე. ასეთ შემთხვევაში, ავტორიტეტის კრიტიკა არა მარტო დაუშვებელია, არამედ, უბრალოდ, აკრძალულია. ნამდვილი ავტორიტეტი დაფუძნებულია ძალაუფლებით აღჭურვილ პირთა და მათზე დაქვემდებარებულ ადამიანთა თანასწორობაზე. ისინი ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდნენ მხოლოდ ცოდნის ხარისხითა და ოსტატობის დონით. ირაციონალური ავტორიტეტი თავისი ბუნებით ეფუძნება უთანასწორობას, რაც საკუთარ თავში შეიცავს ღირებულებათა უთანასწორობასაც.

ტერმინი „ირაციონალური ეთიკა“ გამოიყენება ირაციონალური ავტორიტეტის არსებობის შემთხვევაში, როცა „ავტორიტეტი“ გვევლინება ტოტალიტარული, ანტიდემოკრატიული სისტემის (რეჟიმის) სინონიმად.

ავტორიტარული ეთიკა ჰუმანისტურისგან ორი კრიტერიუმით განსხვავდება: ფორმალურით და შინაარსობრივით.

ფორმალური თვალსაზრისით, ავტორიტარული ეთიკა არ სცნობს ადამიანის უნარს, შეიმეცნოს კეთილი და ბოროტი. ასეთი ავტორიტეტის მიერ დაწესებული ქცევის ნორმები ყოველთვის მაღლა დგას ინდივიდუალურზე. უფრო ზუსტად, ასე ნებავს ავტორიტეტს და ამ ნების ადამიანებზე გავრცელებას ახერხებს კიდეც. ასეთი სისტემა ეფუძნება არა ცოდნასა და გონიერებას, არამედ სუბიექტის (ინდივიდის) მიერ ავტორიტეტის წინაშე საკუთარი უძლურების, კრძალვის, არასრულფასოვნების აღიარებას. ასეთ შემთხვევაში, ავტორიტეტი სწრაფად იძენს შეუზღუდავ ძალაუფლებას, არავის არა აქვს მის გადაწყვეტილებებში დაეჭვების უფლება და შესაძლებლობა.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ავტორიტარული ეთიკა სიკეთესა და ბოროტებას განიხილავს ხელისუფლების (და არა ინდივიდების) ინტერესებიდან გამომდინარე. თავისი არსით, ამგვარი ხელისუფლება ექსპლუატატორულია. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ცალკეულ ადამიანებს ასეთ შემთხვევაშიც ეძლევათ ფსიქიური, თუ მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების შესაძლებლობა. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ საუბარია სწორედ ფსიქიურ და არა მორალურ უპირატესობაზე.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, ერიხ ფრომს ერთი ასეთი მაგალითიც მოჰყავს: როცა პატრონი საკუთარ ძაღლზე ამბობს, „კარგიაო“, იგი ძაღლის იმ თვისებებს გულისხმობს, რაც პატრონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს — მოდარაჯეა, მეძებარია ან, სულაც, ალერსიანია და თან, უკანა თათებზე ხტომაც შეუძლია. საგანი „კარგია“ მაშინ, როცა იგი კარგად ემსახურება მის მფლობელს. ამავე კრიტერიუმით შეიძლება მივუდგეთ ადამიანებსაც. უფროსი „კარგად“ მიიჩნევს იმ თანამშრომელს, ვისაც პირადად უფროსისთვის მოაქვს სარგებლობა.

ვფიქრობ, ამით გასაგები უნდა გახდეს, ვთქვათ, პრეზიდენტის ზნეობრივი მოტივაცია, როცა იგი „კარგს“ უწოდებს საკუთარ შინაგან საქმეთა მინისტრს. ზოგადად, მინისტრი არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი — იგი ასრულებს ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. პრეზიდენტი კი მხოლოდ იმიტომ არქმევს სახელს მინისტრის საქციელს, რომ იგი „კარგია“ არა სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის, არამედ მმართველი რეჟიმისთვის და პირადად პრეზიდენტისთვის.

ხელისუფლებას რომ ხელქვეითების ექსპლუატირება არ უნდოდეს, ცხადია, არც შიშითა და ემოციური დათრგუნვით მართვის აუცილებლობა დადგებოდა; ხელისუფლება რაციონალურ განსჯასა და კრიტიციზმსაც წაახალისებდა. მაგრამ ამით თვითონვე შექმნიდა საკუთარი არაკომპეტენტურობის გამჟღავნების საშიშროებას.

საკუთარი აბსოლუტისტური ინტერესების სასწორზე დადება რომ არ სურს, სწორედ ამიტომ ხელისუფლება მორჩილებას ასაღებს უდიადეს სიკეთედ, ხოლო დაუმორჩილებლობას — მომაკვდინებელ ცოდვად. ავტორიტარული ეთიკის თვალსაზრისით, მიუტევებელი დანაშაულია ამბოხი, რადგან იგი საეჭვოს ხდის ავტორიტეტის მიერ დაწესებულ ნორმებსა და მის მთავარ დოგმას, რომლის თანახმადაც, ეს ნორმები შექმნილია ხალხის საკეთილდღეოდ.

ბუნებრივია, ზოგადად, თავის ნაშრომებში, და, კერძოდ, ჩემს მიერ დამოწმებულშიც („ფსიქოანალიზი და ეთიკა. ადამიანი საკუთარი თავისთვის“) ერიხ ფრომი ეყრდნობოდა წარსულის დიდ მოაზროვნეებს ეპიკურედან*, პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, ნეოპლატონისტების, მაკიაველის, ჰობსის*, დეკარტის, კანტის*, სპინოზას*, კიერკეგორის*, შოპენჰაუერის, ჰეგელის* და თანამედროვე ფილოსოფოს-ინტერპრეტატორთა ჩათვლით. ასე რომ, მისი ნაშრომები XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს სინამდვილესაც ეხმაურება.

მოდი, ჩვენი დიდი წინაპარი, ვაჟა-ფშაველა გავიხსენოთ. უფრო ზუსტად, გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება სწორედ ჰუმანისტური და ავტორიტარული ეთიკისადმი. ნუ შეგვაშინებს ის ფაქტი, რომ ეს ტერმინოლოგია ვაჟა-ფშაველასთან, საერთოდ, არ გვხვდება — ეს დიდი პოეტი და მორალისტი ხომ, ძირითადად, პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდა და არა ფილოსოფიურ ტრაქტატებს!

ბევრი ქისტისთვის მარჯვენის მომჭრელი ალუდა ქეთელაური „ურჯულო“ მუცალთან პირისპირ შებრძოლებამ და მისმა მოკვლამ შეაცბუნა და ისეთ რამეებზე ჩააფიქრა, რაზეც მანამდე არ ეფიქრა — ადამიანის დანიშნულებაზე, ადათ-წესებზე, ზნეობაზე და უზნეობაზე. აქამდე ხევსურთა თემის ადათის მორჩილი რაინდი მიხვდა, რომ, თურმე, ქისტიც ადამიანია, ისიც რაინდია, მასაც დედა ზრდის:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელით ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან;
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!“

ალუდა ქეთელაური პირველად ჩაფიქრდა ხევსურული სამართლის ცოდვა-ბრალიანობაზე, მისი უზნეობა თვალწინ გადაეშალა და მწარე სიმართლე ამოათქმევინა:

„ვაი, ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა ბრალითა“.

ალუდა ქეთელაურისა და თემის სხვა წევრთა შორის გაჩენილი კონფლიქტი არის სწორედ მარადიული ბრძოლა ბოროტსა და კეთილს, ზნეობასა და უზნეობას შორის. ამ კონკრეტულ ბრძოლაში, ერთი შეხედვით, ალუდა მარცხდება — იგი ოჯახთან ერთად თემიდან გააძევეს, მაგრამ ეს არ არის კაპიტულაცია; ალუდა არ იცვლის პრინციპებს, არ მიდის სინდისთან გარიგებაზე. „ერთხელ მაისმა შორითა მწარე ქვითინი ქალისაო“, გვამცნობს ვაჟა და ამით გვაგრძნობინებს, რომ ალუდას, მის ოჯახს თემში გულშემატკივარი და თანამოაზრე ჰყავს. ეს შორით მწარე ამოქვითინება, ჩემი აზრით, იქნებ ხევსურთა თემში გაღვიძებული სინდისის ხმიანობაც იყოს. ალუდას ბრძოლა სამართლიანია, ზნეობრივია. მან მაშინ გაიმარჯვა, როცა მასავით რაინდულად მებრძოლ სხვატომელს, ხევსურთა ტომის წესისამებრ, ხელი არ მოსჭრა, რაინდის შესაფერი პატივი მიაგო. აი, აქ იღვიძებს სწორედ ადამიანში ჩაბუდებული კანტისეული „ღვთიური მორალური კანონი“. ალუდას საქციელი არც აკვიატებაა, არც შიში, არც თემისადმი კრიჭაში ჩადგომა — ეს არის კეთილ საწყისზე, ანუ „ღვთიურ მორალურ კანონზე“ დაფუძნებული ქმედება.

დიდმა ჰუმანისტმა და მორალისტმა, ვაჟა-ფშაველამ ალუდას, ჯოყოლას („სტუმარ-მასპინძელი“) და სხვათა სახით დაგვანახა, რომ სიკეთისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ეს ჭიდილი,

ეს თავგანწირვა რომ არა, დიდი ხანია, ბოროტი იმძლავრებდა და ქვეყნიერება გაუდაბურდებოდა.

კლასიკურად მიჩნეული ქართული ლიტერატურიდან კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ეს გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიას მშვენიერი ლექსი:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგევხარ ზღვას,
თუ არ შეგიყვარდები და მისთხოვდები სხვას,
გაზაფხულზე მივატოვებ თესვასა და ხვნას,
გადავლახავ მოდიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს — ქარს
და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...“.

არ ვიცი, რას ფიქრობს და რას ამბობს ამ ლექსზე ქართული ლიტერატურული კრიტიკა. სამაგიეროდ, ვიცი, რომ იგი ძალიან პოპულარულია გარდატეხის ასაკის ქართველ ბიჭებში — მეც იმ ასაკში ვისწავლე და ახლაც მახსოვს. დაუკვირდით, ლექსის გმირი როგორ ემუქრება სატრფოს — თუ არ შეგიყვარდები და სხვას მისთხოვდები, შენს სიყვარულს შეველევი, შენს სახლკარს ცეცხლს მივცემ, ყველაფერს დავთმობ, ყველგან მოგძებნი და მაგ ნაფერებ-ნალოლიავებ ქმარს მოგიკლავო! ანუ გამსახურდიას ლიტერატურულ გმირს, სინამდვილეში, ის ზღვისფერთვალება ქალი კი არა, უბრალოდ, სხვა ადამიანი კი არა, მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს და იმ გათხოვილი ქალის (რომელმაც, სავარაუდოდ, მისი არსებობაც კი არ იცის!) ხელში ჩასაგდებად მზადაა, უდანაშაულო ადამიანს ყელი გამოღადროს. აქ სიყვარულზე საუბარი, საერთოდ, უხერხულია. მით უფრო, უხერხულია საუბარი ზნეობაზე. ალბათ, ქართული ლიტერატურის კლასიკოსს ჩვენთვის „პატიოსნად უზნეო“ ადამიანის დახატვა სურდა და ეს ამ ლექსით მოახერხა კიდეც. ისევე, როგორც ეს მოახერხა ფრანგული (და მსოფლიო!) ლიტერატურის სიამაყემ, პროსპერ მერიმემ თავის თავზარდამცემ მოთხრობაში „მატეო ფალკონე“.

თუმცა, ამ თემაზე საუბარს თავზეხელაღებული ფსევდო შეყვარებულისა და დაუნდობელი მამის უზნეო მაგალითებით ნუ დავასრულებთ — გულისშემძვრელი ქართული ხალხური „ვეფხვისა და მოყმის ლექსი“ გავიხსენოთ, მისი ის ნაწილი, სადაც შვილმკვდარი დედა ვეფხვის დედასთან მისასამძიმრებლად წასვლას ეპირება:

„ხან იფიქრებდა: უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემებრ დღედაღამ სტირისა.
წავიდ, მეც აიქ მივიდა,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც უთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალიდ ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!“

ამ სიტყვების სრულად გასიგრძეგანება ძალიან ძნელია: დედა საკუთარი შვილის მკვლელი ვეფხვის დედასთან მისვლაზე, მისამძიმრებაზე და ჭირის შემსუბუქებაზე ფიქრობს: ისიც დედაა, ისიც, ალბათ, ჩემსავით მწარედ დასტირის ხმლით დაჩეხილი შვილის სხეულსო, მის უბედურებაში ხომ ბრალი ჩემს შვილსაც მიუძღვისო...

ქართველი დედა თანაგრძნობას უცხადებს დაღუპული ვეფხვის დედას, იმ ვეფხვისა, ვინც მისი ერთადერთი ვაჟიშვილი შეიწირა!

ალბათ, ეს უნდა იყოს ადამიანის ბუნებაში ჩასახლებული ღვთიური ზნეობის გამოხატულება. იმ ზნეობისა, რომელიც, სოკრატეს აზრით, მხოლოდ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, სიბრძნეზეა დაფუძნებული და საერთო არაფერი აქვს ანგარებასა და ეგოიზმთან.

ჩვენ, ვეფხვის ალალი ცრემლით დამტირებელი დედის შვილებს, ზნეობა, წესით, სხვისგან არ უნდა გვესწავლებოდეს. მაგრამ ზოგჯერ ამ ცოდვილ ქვეყანაზე ისეთი რამეები ხდება, შეიძლება, ზნეობის არსებობაში ეჭვი შეგეპაროს და თავი ორუელის „ცხოველების ფერმაში“ გეგონოს.

მეოცე საუკუნის მიწურულს, ქართულ რევოლუციურ ტელეარხზე „რუსთავი 2“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოველკვირეული იაფფასიანი დეტექტიური ჟანრის გადაცემა „60 წუთი“. მისი წამყვანი, დეტექტივ-ჟურნალისტი აკაკი გოგიჩაიშვილი იძიებდა და ყოველი კვირის ბოლოს „დაუნდობლად ამხელდა“ შევარდნაძის ხელისუფლებაში გამეფებულ ათასგვარ უზნეობას.

„60 წუთის“ ერთი ტიპიური სიუჟეტის შინაარსი ასეთია: ჟუ-

რნალისტები ესაუბრებიან საქართველოს ერთ-ერთი მთიანი რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსს. პოლიციელი, ვუწოდოთ მას შერიფი, მზადაა გულწრფელად უპასუხოს სამართლიანობისთვის თავდადებულ ჟურნალისტებს, ოღონდ, ერთი პირობით — ტელეკამერების გარეშე: მეც შვილმკვდარი მამა ვარ და თუ ჩემს ოპონენტს უსმენთ, იქნებ ჩემი არგუმენტებიც მოისმინოთო.

ჟურნალისტები თანხმდებიან შერიფის წინადადებას. აპარატურას მისაღებში ტოვებენ, კაბინეტში შედიან და... უკვე ფარული კამერით აგრძელებენ გადაღებას. მართალია, საკმაოდ გულწრფელად ილაპარაკა, მაგრამ შერიფს რაიმე სახელმწიფო საიდუმლოება ან, თუნდაც, ჟურნალისტური თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაცია არ გაუცია.

მთავარი და შემაძრწუნებელი აქ ჟურნალისტების საქციელია — ისინი უთანხმდებიან შერიფს და მაშინვე ვერაგულად ატყუებენ მას. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, — მე, ზოგადად, ფარული კამერით გადაღების წინააღმდეგი კი არა ვარ (თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა არსებობს), წინააღმდეგი ვარ ჟურნალისტების მიერ გამოყენებული უზნეო მეთოდისა. საქმე ისაა, რომ გაპოლიტიკოსებულმა ჟურნალისტებმა ერთ საკმაოდ ბანალურ ისტორიას გადააყოლეს ყოვლად უდანაშაულო ადამიანიც და ჟურნალისტის ღირსებაც.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ ამბიდან ცოტა მოგვიანებით, „რევოლუციონერთა“ ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ, გაცილებით შთამბეჭდავი უზნეობა ჩაიდინა სხვა ჟურნალისტმა ქალბატონმა, რომელმაც აგრეთვე ფარული კამერის გამოყენებით ერთ-ერთ სინდისგარეცხილ დეპუტატთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლიციის სამინისტროს დაკვეთით დადგმულ სპექტაკლში, რომელიც სოლიდური თანხის გამოძალვის ბრალდებით იმ ქალბატონი ჟურნალისტის კოლეგისა და მეგობრის, ჟურნალისტ შალვა რამიშვილის დაპატიმრებით დამთავრდა.

სამაგიეროდ, რევოლუციაში წილდადებულმა „რუსთავი 2-მა“ საკუთარი თავისთვის „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ საპატიო ტიტული გამოიგონა და სასწრაფოდ სახელისუფლო ნავში გადაჯდა. იმავე წუთიდან ოდესღაც მისი მოკავშირე და თავგამოდებული დამცველი „გამარჯვებული ხალხიც“ პირწმინდად დაივიწყა. ბუნებრივია, მრისხანე „60 წუთი“ და მისი

წამყვანი „აყვავებული“ ქართული ბიზნესის აპოლოგეტებად იქცნენ.

ეს ის შემთხვევებია, როცა ადამიანის არსებაში ღვთიურ ზნეობაზე საუბარი უადგილოა. როცა ორუელის „ცხოველების ფერმიდან“ ის ამბავი გახსენდება, გარევოლუციონერებული ღორები და გაღორებული ადამიანები შეხმატკბილებულად კარტს რომ თამაშობენ.

არაფერია მზის ქვეშ ახალი

ეკლესიასტე

ეთიკა, ანუ, როგორც შევთანხმდით, მეცნიერება ზნეობის შესახებ, მარადიული და საყოველთაოა, იმის მიუხედავად, როგორ განიხილავენ მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ზნეობაც, ადამიანის მიერ უანგაროდ სიკეთის ქმნისკენ მიმართული ქცევათა კომპლექსი, ამ მეცნიერების შესწავლის საგანი, მარადიული და საყოველთაოა.

ამიტომ ყველაფერი ის, რაზედაც ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ, ფიქრობენ და მსჯელობენ ძველი და თანამედროვე მოაზროვნეები, თანაბრად ეხება საქართველოსაც. უფრო ზუსტად, თანაბრად ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს რასის, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების, პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ სრულიად უაზროდ მეჩვენება ჩვენში გავრცელებული გამოთქმა „მაღალი ზნეობა“, „მაღალი ზნეობის ადამიანი“ და ა. შ. ზნეობა, — ადამიანის თვისება უანგაროდ სიკეთის ქმნისა, არ შეიძლება იყოს ელიტარული (მაღალი) ან პლებეური (მდაბალი). არ შეიძლება, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ზნეობა არ გახლავთ უზნეობის უბრალო ანტონიმი. უზნეობა თავის თავში მოიცავს ისეთ ქმედებასაც, რაც არა მარტო საზოგადოებრივად (ადამიანურად) მიუღებელია, არამედ სამართლებრივად დასჯადია. ხოლო არაზნეობრივი საქციელის სამართლებრივ სიბრტყეში გადატანა, ხშირად, შეუძლებელია.

თუმცა, როგორც ვატყობ, რაც უფრო მეტს ვისაუბრებთ ეთიკაზე, მით უფრო დავშორდებით მთავარ სათქმელს — ეთიკისა და ჟურნალისტიკის დამოკიდებულებას. ეს, ალბათ, კანონზომიერიცაა, რადგან ეთიკა რთული, საინტერესო და ლამაზი ქალი-

ვით მაცდური მეცნიერებაა — რაც უფრო ახლოს ეცნობი, მით უფრო მეტი საიდუმლოს ამოხსნა გიწევს.

თუ ეს ასეა, მოდი, ცოტა კიდევ თავს ძალა დავატანოთ და ამოვხსნათ ერთი არცთუ მარტივი ზნეობრივი ამოცანა: 2006 წლის სექტემბერში ზარზეიმით გვამცნეს, რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ ხანგრძლივი და მძიმე შრომის შემდეგ შეუმუშავებია ეთიკური კოდექსი ჟურნალისტებისთვის კოდური სახელწოდებით „ჟურნალისტური ეთიკა“.

რა მიზნით შეიძლება შექმნილიყო ეს უძვირფასესი დოკუმენტი?

სანამ უშუალოდ ამოცანის ამოხსნას შევუდგებოდეთ, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“ 2003 წლის 23 ნოემბრის ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციისთანავე“ ქვეყნის უმაღლესი მმართველობის პარალელურ ორგანოდ გადაიქცა. ეს შიშისმომგვრელი „არასამთავრობო“, წლების განმავლობაში თავისი გონებრივად მჭლე წიაღიდან ახალგაზრდა და უვიცი კადრებით აკომპლექტებდა არა მარტო უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, თვით სახელისუფლო დაქვემდებარებაში მყოფ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც.

თუ ზნეობა არ ცნობს არავითარ საზღვრებს და სოციალურ ბარიერებს, თუ ეთიკა, როგორც მეცნიერება, საყოველთაოა, რატომ არის აუცილებელი პროფესიული ნიშნით ეთიკური კოდექსების შემუშავება?!

რთული შეკითხვაა. ამიტომ, ცოტა ხნით მშობლიური კომუნისტური ისტორია გავიხსენოთ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ (1917 წ.) დაუყოვნებლივ გამოცხადდა, რომ დიადი კომუნიზმის მშენებლობა იწყებოდა ცარიელი ადგილიდან. არავითარი ბურჟუაზიული ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, არავითარი ბურჟუაზიული აზროვნება, არავითარი ბურჟუაზიული ზნეობა! ჩვენ გვინდა ყველაფერი ახალი: მეცნიერებაც, კულტურაც, ეკონომიკაც, სახელმწიფო მოწყობაც, რელსებიც, აზროვნებაც და ზნეობაც — პროლეტარული, წითელი ზნეობა!

თქვეს და გააკეთეს კიდეც. რაც იმას მოჰყვა, უთუოდ იცით ისტორიიდან — ყველა სიკეთესთან ერთად (მაგალითად, პროლეტარული მწერლობა, საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ექიმის ფიცი,

წითელი რკინიგზა...) სასწრაფოდ შეითხზა „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“. იგი იქცა სავალდებულო წესად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხებისთვის — თითქმის ნახევარი კაცობრიობისთვის!

ახლა ადვილია პასუხის გაცემა, რადგან ამაზე ისტორიამ უკვე უპასუხა: მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს სულაც არ სჭირდებოდათ ზნეობრივი მოაზროვნეები. მათ სჭირდებოდათ ეფემერული „კომუნიზმის“ მშენებლები, პროლეტარული ზნეობის, ანუ ზნეობაწართმეული შემსრულებლები.

პროფესიული „ეთიკური კოდექსი“, ჩვენს შემთხვევაში, „ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი“, სულაც არ გახლავთ ვიღაც უსაქმური ვიგინდარების ნაცუღლუტარი. მისი ავტორები არც ისეთი გულუბრყვილოები უნდა იყვნენ, გულწრფელად დაიჯერონ, რომ ფარისევლური „ჟურნალისტური ეთიკის“ შეთხზვა მართლაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ზნეობრივი ფასეულობების დამკვიდრებას. ასე რომ იყოს, მაშინ ავტორები, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას მიუთითებდნენ, რომ უზნეობაა, თუ მკვლელებისთვის სასჯელის შესამსუბუქებლად, პარლამენტი სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებებს შეიტანდა (2006 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ასეთი გადაწყვეტილება მკვლელობაში ბრალდებული ჩინოსნებისთვის სასჯელისა და პატიმრობის პირობების შესამსუბუქებლად მართლაც მიიღო).

ხელისუფლებას (რომელსაც წარმოადგენს „არასამთავრობო“ ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“) რომელიმე პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფისთვის სპეციალური ეთიკური კოდექსის შემუშავება შეიძლება სჭირდებოდეს ამ ჯგუფის მოქმედებაზე მკაცრი სახელისუფლო კონტროლის დასამყარებლად.

ცივილიზებულ სამყაროში ჟურნალისტური ამქარი არის საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოაზროვნე, შეურიგებელი, მეამბოხე და, რაც მთავარია, გავლენიანი ნაწილი. რევოლუციას არ უყვარს ურჩები და მოაზროვნეები. დიქტატურაზე მეოცნებე და დემოკრატობანას მოთამაშე რევოლუციური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მოაზროვნეთა და მეამბოხეთა გასანეიტრალებლად, მათთვის „ადგილის მისაჩენად“. ისტორიიდან ისიც გვახსოვს, XX საუკუნის 30-იან წლებში რა დღე დააყარა საბჭოთა რევოლუციურმა ხელისუფლებამ ურჩებს და მოაზროვნეებს.

სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ხელისუფლებაც იყო რევოლუციური.

„ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის“ გამოჩენა არის ხელისუფლების აშკარა მცდელობა ჟურნალისტების სამოქმედო არეალის მკაცრ ჩარჩოებში ჩასასმელად. ეს არის ხელისუფლების ქცევა, რომელსაც საფუძვლად უდევს შიში და ძალადობა. ზემოთ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, ეს არის ხელისუფლების უზნეობის მჭევრმეტყველური მაგალითი.

ეტყობა, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში არ აღმოჩნდა დამრიგებელი, ვინც, ვერუსის მსგავსად, შვილიშვილს ზნეთა სიწმინდეს აზიარებდა; არც ისეთი შვილიშვილი აღმოჩნდა, ვინც, მარკუს ავრელიუსის მსგავსად, ბრძენი პაპისგან რაიმეს ისწავლიდა.

რაც შეეხება ჟურნალისტს, ამ რთული, ძნელი და უაღრესად საპასუხისმგებლო პროფესიის წარმომადგენელს, მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ იმ ზნეობრივი ფასეულობებით, რაც უზენაესმა ადამიანის ბუნებაში ჩადო და ამით იგი ადამიანად აქცია.

თავი X

სამართალი და ჟურნალისტიკა

დავიწყოთ სამართლის იმ განმარტებით, რომელსაც 85 წელიწადს გულმოდგინედ ასწავლიდნენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში:

„სამართალი არის ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ნორმების სისტემა, რომელიც დადგენილია ან სანქცირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ, ან — რეფერენდუმის გზით. მისი შესრულება სავალდებულოა ყველასთვის, ხოლო რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ“.

ადამიანები, ალბათ, თავს ბედნიერად ვიგრძნობდით, ამ განმარტების წაკითხვისა და გააზრებით შემდეგ რომ შეგვძლებოდა ალალად გვეთქვა — „მე ვიცი, რა არის სამართალი.“ იქნებ ასეთი ადამიანი დედამიწაზე მართლაც მოიძებნება და იგი სწორედ საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი არ იქნება ქართველ ჟურნალისტთა ამქარში.

ვინაიდან ფილოსოფიურ მოძღვრებებს დღემდე არ გაუცია საბოლოო და ამომწურავი პასუხები ზნეობის, თავისუფლების, დემოკრატიის, სამართლის, კანონის, სიკეთის, ბოროტების, ცოდნის... რაობაზე, „მე ვიცი სამართალის“ მთქმელი ადამიანი, შესაძლოა, ფილოსოფოსთა ან ჟურნალისტთა შორის კი არა, ფსიქიატრიული დაწესებულების მუდმივ კლიენტთა შორის უფრო იოლად აღმოვაჩინოთ.

ალბათ, საინტერესოა, რას ფიქრობენ საკუთარი ცოდნის შესახებ ის ადამიანები (პოლიტიკოსები, სახელმწიფო ჩინოვნიკები, მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები...), ვისაც განგებამ სამართლიანობის სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლება-მოვალეობა მიანიჭა (ან, იქნებ, მიუსაჯა!). თუ ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მოღვაწეობითა და საჯარო გამოსვლებით ვიმსჯელებთ, დასკვნა ძნელი გასაკეთებელი არ უნდა იყოს — მათი უმრავლესობა საკუთარი კარიერის გარდა არაფერზეც არ ფიქრობს, მათ შორის არც საკუთარ ცოდნაზე და არც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგებზე.

სამართლის სფერო დიდად პატივდებულია ჟურნალისტიკაშიც. დეტექტიურ სიუჟეტებს და ქრონიკებს რომ თავი დავანე-

ბოთ, მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. ჟურნალისტური გამოძიება. ამ გამოძიების ავ-კარგზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას — ბევრ სხვა რამესთან ერთად, სამართლებრივი თემებით დაინტერესებული ჟურნალისტისთვის ყოვლად აუცილებელია, ზოგადად, სამართლის თეორიის ცოდნა. უფრო მეტადაც კი, ვიდრე ეს სჭირდება პროფესიონალ გამომძიებელს, რადგან ჟურნალისტი ვალდებულია საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოს საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა, გამომძიებლის ინტერესები კი, ძირითადად, პროკურორის და მოსამართლის იქით არ მიდის.

ჩინოვნიკთა და თემიდას მსახურთა თემას მალე ისევ დავუბრუნდები და შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ ჩემი ეს ირონია სულაც არ არის უსაფუძვლო.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სამართლის ფილოსოფოსის, გუსტავ რადბრუხის აზრით, სამართალი ადამიანის გონების ქმნილებაა და როგორც ადამიანის ყოველი ქმნილება, ისიც მხოლოდ საკუთარი იდეიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას. ანუ რაიმე საგნის ან მოვლენის არსი მე — ადამიანმა, შემიძლია ავხსნა, როგორც მისი დანიშნულებიდან გამომდინარე (რასაკვირველია, ისე, როგორც მე ვხედავ და განვიხილავ ამ საგანს ან მოვლენას). პროფესორი რადბრუხი ერთი შეხედვით ძალიან უბრალო მაგალითს გვთავაზობს: მისი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, მოდი, ავხსნათ, რა არის... მაგიდა — ეს არის ოთხ ფეხზე მდგარი სპეციალურად დამუშავებული ზედაპირის მქონე განიერი ფიცარი. ამგვარ ახსნას, ბუნებრივია, მაშინვე მოჰყვება თქვენი პროტესტი — ხომ არსებობს სამფეხა, ცალფეხა ან, სულაც უფეხო (ე. წ. გადმოსაშლელი) მაგიდებიც. ე. ი. ფეხი მაგიდისთვის განმსაზღვრელად ვერ გამოდგება. დარჩა ფიცარი, მაგრამ მაგიდის განმსაზღვრელად არც ის გამოდგება, რადგან იგი სხვა არაფერია, გარდა სუფთა ზედაპირის მქონე დაფისა, რომელსაც, შესაძლოა, უამრავი სხვა დანიშნულებაც ჰქონდეს. საბოლოოდ, მაგიდა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ზედ რაიმეს დასადებად გამიზნული მოწყობილობა (რა თქმა უნდა, ეს განსაზღვრებაც არ არის სრული). ესე იგი, შემფასებლური განსჯის გარეშე რაიმე საგნის ან მოვლენის ახსნა, უბრალოდ, შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ინსტინქტური, არაშემფასებლური (შეფასებას მოკლებული) მსჯელობა სამართალზე ან

რაიმე სამართლებრივ მოვლენაზე. უფრო ზუსტად, შესაძლებელია ნებისმიერი მსჯელობა, თუ იგი საგნის ან მოვლენის არსში მეტნაკლები სიღრმით ჩასაწვდომად გამოდგება.

მოკლედ, თუ ჟურნალისტი შეძლებს და ცნობისმოყვარე პუბლიკას შემფასებლური განსჯის საფუძველზე აუხსნის მაგიდის, სკამის, ქვევრის, დოქის, ყანწის, ჭინჭილის და ადამიანისთვის აუცილებელი ნებისმიერი სხვა კონკრეტული საგნის არსსა და მნიშვნელობას, იგი, მონდომების შემთხვევაში, სამართლისა და სამართლიანობის არსში ჩაწვდომას და საკუთარი ნააზრევის მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანასაც მოახერხებს. მხოლოდ მაშინ მოახერხებს, თუ მოთმინებით აღიჭურვება და სამართლის ფილოსოფიის ზოგიერთ პრობლემას გაეცნობა. მაგალითად, ასეთს:

რა არის სამართალი?

მოდი, სამართლის ცნებაში ვიგულისხმოთ ის, რითაც ეს საუბარი დავიწყეთ: **„სამართალი არის ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ნორმების სისტემა...“** და ა. შ. მაშინ სამართალი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მოცემულობა, რომლის დედააზრი არის სამართლებრივი იდეის რეალიზაცია. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს სამართლებრივი იდეა სამი ელემენტისგან შედგება: **სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, სამართლებრივი სტაბილურობა.** ძირითადად, ეს სამი ელემენტი ქმნის „მართალ სამართალს“. სამწუხაროდ, ეს სამეული სულაც არ ჰგავს ეჟვნებშებმულ ცხენებს, ერთსულოვნად წინ რომ მიაქანებენ რუსულ „ტროიკას“, არც ლენინურ „სამერთიან ამოცანასთან“ აქვს რაიმე კავშირი და, ღმერთო მაპატიე — არც ღვთიურ სამებასთან.

ქვეყნებისა და ეპოქების მიხედვით უპირატესობა სამართლის რომელიმე ელემენტს ენიჭებოდა. მაგალითად, რევოლუციების ეპოქაში, როგორც წესი, ძალიან პოპულარულია ხოლმე სამართლიანობის თემა, შუა საუკუნეებში — სტაბილურობისა, ლიბერალური დემოკრატიის ხანაში — პოლიტიკური მიზანშეწონილობისა. ეს ნიშნავს, რომ, თუმცა ეს „სამეული“ ერთად ქმნის და „მართავს“ სამართალს, მაგრამ ზოგჯერ (ქვეყანას და ეპოქას გააჩნია!) მათ შორის უმწვავესი დაპირისპირება გარდაუვალია. ვინაიდან ამგვარ დაპირისპირებას საგარეო ან შინა ომების გარდა

არაფერი მოაქვს, მას ყველა გონიერი ხელისუფლება უნდა უფრთხოდეს და უფრთხის კიდეც (თუმცა, საფრთხეს რომ მოერიდო, მისი არსებობის შესახებ უნდა იცოდე!). ნებისმიერმა გონიერმა ხელისუფლებამ იცის, რომ, ზოგადად, სამართლიანობა (რაც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას), ყველა ურთიერთსანინააღმდეგო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ თვალსაზრისზე და პოლიტიკურ დაპირისპირებებზე მაღლა დგას. ამიტომ რაიმე მკვეთრად დაპირისპირებულ საკითხებზე კამათის დამთავრების ფაქტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ამ საკითხის სამართლიანად და მიზანშეწონილად გადაწყვეტა. სხვა სიტყვებით, ქვეყანაში თავად მართლწესრიგის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ მართლწესრიგის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა.

მართლწესრიგის არსებობა არის სამართლის მეორე უდიდესი ამოცანა. პირველი კი ისაა, რაზეც არავინ არ კამათობს — სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი უშიშროება.

სხვათა შორის, ჩვენთვის, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასე „მშობლიური“ პოლიტიკური ბრძოლები თავისი არსით არაფერია, სამართლიანობაზე გაუთავებელი და უკომპრომისო დავა-კამათის გარდა.

ჯერ, ძალიან მოკლედ, სამართლიანობაზე ვილაპარაკოთ, მერე ამ გაუთავებელი დავა-კამათების საფუძველსაც მივადგეთ.

ვინაიდან დრო (ამქვეყნად ჩემი ცხოვრების ვადას ვგულისხმობ) ძალიან ცოტა მაქვს, ვიტყვი პირდაპირ — **სამართლიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანების უფლებების უზრუნველყოფა.**

სამართლიანობა ორმაგი ბუნებისაა — კანონმორჩილება და საკუთრივ კანონი. პირველს შეიძლება ვუწოდოთ მსაჯულის (მოსამართლის) სამართლიანობა, ანუ პატიოსნება; მეორეს — კანონმდებლის (ხელისუფლების) სამართლიანობა.

სამართალი — ეს არის სინამდვილე (ფაქტი), რომლის ღირებულება არის ის, რომ ემსახურება სამართლიანობას. თუ სამართალი არ ემსახურება სამართლიანობას (სამწუხაროდ, ასეც ხშირად ხდება, განსაკუთრებით, ჩვენს „მზიურ და ღვთისმშობლის წილხვედრ“ საქართველოში), იგი არ არის სინამდვილე (მოჩვენებითია) და არც ღირებულება გააჩნია (აქვე დიდი მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ ღირებულებათა თეორიის შესახებ მშვენიერი

ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავ ქართველ ფილოსოფოსს და საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ჭავჭავაძეს).

სამართლის (ერთ-ერთი) თეორიის თანახმად, სახელმწიფოს და დემოკრატიის ბურჯად აღიარებული სამართლის ერთადერთი და უზენაესი მიზანი სამართლიანობისადმი სამსახურია. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო და სამართალი არის მხოლოდ დაწესებულება, რომელიც იცავს და სტიმულს აძლევს მოქალაქეს.

თუმცა, აქვე ჩნდება საბედისწერო კითხვაც (თუ არ ვცდები, იგი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის შუა ხანებში დასვა დიდმა გერმანელმა მწერალმა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგმა): **სახელმწიფო არსებობს ადამიანებისთვის, თუ ადამიანები — სახელმწიფოსთვის?!**

სამწუხაროდ, ეს არ არის რიტორიკული კითხვა. ბოლოს-დაბოლოს, მე, მოქალაქე, უზარმაზარი სახელმწიფო მანქანის მართლაც ერთი ჭანჭიკი ვარ, რომელმაც ამ დაუზეთავი მანქანის ხათრით ყველაფერი უნდა ვითმინო (რისკენაც მოგვიწოდებდა საქართველოს ყველა მმართველი იმპერატორ პავლე პირველიდან, პრეზიდენტ მიშა სააკაშვილამდე), თუ ვარ ღირსეული, პატიოსანი პიროვნება, ვისაც იცავს და ეხმარება სახელმწიფო.

ჯერ სამი სრულიად განსხვავებული ადამიანის ასევე რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისები ვნახოთ:

„მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების
გაუთავებელი როცა კამათია,
არ ღირს იმ ერთ ცრემლად, თვალს რომ მოედების
და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია“.

გალაკტიონი

„იტალიელი ერი არის მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ერთობა, რომელმაც სრულად შეისხა ხორცი (იტალიის) ფაშისტურ სახელმწიფოში“.

მუსოლინი*

„ჩვენ დიდად ვაფასებთ ხელოვნების ქმნილებებს, მაგრამ გვძულს მისი შემქმნელები“.

პლუტარქე*

ამ ციტატებიდან გამომდინარე, პირობითად, გალაკტიონისთვის სამართლის უზენაესი მიზანი არის ადამიანი; ბენიტო

მუსოლინისთვის — სახელმწიფო, ხოლო პლუტარქესთვის — კულტურა. ანუ გამოიკვეთა სამართლის სამი უზენაესი მიზანი — ადამიანი, სახელმწიფო, კულტურა.

თითქოს ამ თვალსაზრისებს შორის წინააღმდეგობა არ უნდა იყოს, მაგრამ ერთის ხარჯზე მეორისთვის უპირატესობის მინიჭებას ან დიქტატურამდე მივყავართ, ან სახელმწიფო მმართველობის სისტემის რღვევამდე. ეს წინააღმდეგობა წითელ ხაზად გასდევს კაცობრიობის ისტორიას. და, აი, დიდმა ქართველმა, ილია ჭავჭავაძემ სულ რაღაც სამიოდ სიტყვით გამოხატა ადამიანთა საუკუნეობით ნაფიქრი და ნაოცნებარი: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

დიდმა ილიამ გააერთიანა სამივე თვალსაზრისი — მამული (სახელმწიფო), ენა (ადამიანი), სარწმუნოება (კულტურა) და აგვიხსნა, რომ საჭიროა არა თვალსაზრისთა და მსოფლმხედველობათა დაპირისპირება, არამედ მათი ჰარმონიული თანაარსებობა. მისი ღრმა რწმენით, სამართლის უზენაესი მიზანი უნდა იყოს ადამიანიც, სახელმწიფოც და კულტურაც.

ახლა, მოდი, თანამედროვეობას გადავხედოთ და კითხვა ასე დავსვათ, რა იყო XXI საუკუნის დასაწყისის ქართული სამართლის უზენაესი მიზანი — ადამიანი, სახელმწიფო, კულტურა, თუ სამივე ერთად? ან, იქნებ — არც ერთი?

დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი წლის შემდეგაც, ეს კითხვა საქართველოში და მსოფლიოს კიდევ ბევრ ქვეყანაში ისევ აქტუალური იქნება.

ცოდვას ვერ დავიდებ — საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპის და, საერთოდ, პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში დიდხანს მიმდინარეობდა სერიოზული საუბრები დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაზე, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე, კანონის თუ სამართლის უზენაესობაზე, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობაზე, თავისუფლებაზე, გამარჯვებებზე და, რა თქმა უნდა, ნათელ მომავალზე, რომელსაც ჩვენ, ქართველებს, თურმე, რატომღაც მოგვიტანდა ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება (NATO), ყაზახებს კი — რუსეთი.

თუმცა, ეს იქით იყოს და, ბრიტანულ-ამერიკულ იურიდიულ პრაქტიკაში დამკვიდრებული **სამართლის უზენაესობა** და ევროპულში დამკვიდრებული **სამართლებრივი სახელმწიფო** იდენტური ცნებებია და სამართლის შემაკავშირებელ ძალას,

დესპოტიზმისა და ტირანიის შემზღუდველ სამართლის სისტემას გულისხმობს.

ეს ნიშნავს, რომ სამართალი, შესაძლოა, ატარებდეს დესპოტიზმის ნიშნებს და იყოს არა სამართლიანობის, არამედ ტირანიის (დიქტატურის, აბსოლუტიზმის...) მსახური. მეტიც, თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში სამართალი არის არა სამართლიანობის, არამედ ხელისუფლების, პარტია-ჰეგემონის, სახელისუფლო კლანის მსახური.

თვით სამართლის უზენაესობა, ანუ სამართლებრივი სახელმწიფო არ არის აბსოლუტური ღირებულება. მართალია, სამართლის უზენაესობა, ანუ ხელისუფალთა (ძალის გამომყენებელთა და შეღავათების მიმნიჭებელთა) ნების შეზღუდვა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ამავე დროს, სამართლის უზენაესობის ხელმიწევნით დაცვაც კი სამართლიანობისა და წმინდა ადამიანური ფაქტორის გამოყენების საშუალებას არ იძლევა, რადგან სამართალს არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ისეთი რამ, რისი გაზომვაც შეუძლებელია (მაგალითად, ტკივილი, ტანჯვა, აღტაცება, აღშფოთება, შიში, სიძულვილი). ასეთ შემთხვევაში, მთავარი ხდება არა თანამშრომლობა, არამედ დაპირისპირება და გამარჯვების წყურვილი.

სამართალი არ არის პანაცეა, ნაკლიც ბევრი აქვს, მაგრამ მაინც იგი დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველია. რუსო ბრძანებდა, ამქვეყნად უძლიერესიც კი უძლურია, თუ საკუთარ ძლიერებას სამართლად, ხოლო მორჩილებას აუცილებლობად არ გადააქცევსო. ამ მხრივ, მართლაც საინტერესოა ის კითხვა, ახლახან რომ დავსვით — რა უნდა იყოს ქართული სამართლის უზენაესი მიზანი. გავითვალისწინოთ, რომ სამართლის უზენაესობის უშუალო განმახორციელებელი ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში არის სასამართლო.

მაშ, ასე: რა იყო ამ პერიოდის ქართული სამართლის უზენაესი მიზანი — ადამიანი,სახელმწიფო, თუ კულტურა, ან იქნებ, არც ერთი?!

— მოდი, ამ სიიდან თავიდანვე ამოვრიცხოთ კულტურა. თუნდაც იმ მოტივით, რომ ღატაკ სახელმწიფოში ღატაკი ბიუჯეტი კულტურულ ღირებულებებზე მაღლა კუჭის პრობლემებს უნდა აყენებდეს. ის ფაქტი, რომ თბილისში ყოველ შაბათ-კვირას ფეიერვერკები იმართებოდა, ახალ-ახალი შადრევნები და კაფეშანტანები იხსნებოდა, მთავრობის წევრები საწნახელში ჭყუმ-

პალაობდნენ, ფუნიკულიორის სატელევიზიო ანძაზე ნათურები ციმციმებდა, სამართლის უზენაეს მიზნად კულტურის აღიარებას არ ნიშნავს.

ხოლო გრანდიოზული მართლმადიდებლური ტაძრის და წმინდა გიორგის არანაკლებ გრანდიოზული ძეგლის აშენება (თუმცა, ამაში სახელმწიფოს ფინანსური მონაწილეობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია!), გახლავთ არა კულტურაზე ზრუნვა, ანუ სამართლის უზენაეს მიზნად კულტურის გამოცხადება, არამედ ხელისუფლების დიქტატურისკენ სწრაფვის უცხადესი მატერიალური გამოხატულება.

რაც შეეხება ადამიანს:

2003 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, ორი წლის განმავლობაში მხოლოდ პოლიციამ, მხოლოდ ქუჩაში, მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე მოკლა 19 ადამიანი;

თბილისის ე. წ. „ციხის ბუნტის“ დროს პოლიციამ მოკლა კიდევ 7 ადამიანი;

2006 წლის ბოლოსთვის საქართველოს ციხეებში ყოვლად არაადამიანურ პირობებში იჯდა 20000-მდე ადამიანი; **(2010 წლისთვის ამ ციფრმა 35 ათასს მიაღწია! რედ.)**

მათგან გასამართლებას ელოდა 12 000-მდე ადამიანი;

2006 წლის მხოლოდ 10 თვის განმავლობაში ციხის საკნებში გარდაიცვალა 79 ადამიანი;

პარლამენტმა მიიღო კანონები, კონსტიტუციაში შეიტანა სპეციალური შესწორებები პრეზიდენტის უფლებათა გაზრდის თაობაზე;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რითაც კანონს მიანიჭა უკუქცევითი ძალა სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით;

საქართველოს მოქალაქის საშუალო თვიური შემოსავალი 1,5-ჯერ ჩამოუვარდებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის, 2-ჯერ — რუსეთის, 2,5-ჯერ — ბელორუსის და უკრაინის, 5-ჯერ — ესტონეთის მოქალაქის საშუალო თვიურ შემოსავალს;

2004-2006 წლებში ფასებმა პროდუქტებზე, ენერგომატარებლებზე და ძირითად სამომხმარებლო საქონელზე საშუალოდ 250-300 პროცენტით მოიმატა;

სამეურნეო დანაშაულისთვის გამართული ათასობით სასამართლო პროცესიდან დაცვის მხარის გამარჯვებით არ დამთავრებულა არც ერთი საქმე;

არასრული სტატისტიკით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამი წლის განმავლობაში საქართველო დატოვა 100 000-მდე საქართველოს მოქალაქემ;

საქართველოს პრეზიდენტმა საჯაროდ გამოაცხადა ე. წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ და პირადად შს მინისტრს, სპეცსამსახურებს მათი დაუყოვნებელი ლიკვიდაციისკენ მოუწოდა;

საქართველოს ხელისუფლების ქედმაღლური და სინამდვილისადმი არაადეკვატური რუსული პოლიტიკის გამო, საქართველო მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა რუსეთისგან;

პარლამენტმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოამზადა კანონპროექტები 12 წლის მოზარდებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების და კერძო ბიზნესის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების გასასტიკების შესახებ;

მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მითითებით, სასამართლოს გვერდის ავლით, დაანგრიეს, დაარბიეს ან დალუქეს ათეულობით წარმატებული კომპანია;

სხვადასხვა მოტივით, საქართველოს პარლამენტიდან გააძევეს ხუთი დეპუტატი;

სამი წლის განმავლობაში ხუთჯერ (!) შეიცვალა ქვეყნის სამხედრო მინისტრი;

სამი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის პარტია-ჰეგემონის (ნაციონალური მოძრაობა) მხარდამჭერი ორასზე მეტი (235-დან) დეპუტატიდან, რომელიმე საკამათო გადაწყვეტილების გამო საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს არც ერთს — ორასზე მეტი დეპუტატის აზრი სამი წლის განმავლობაში ჯიუტად ემთხვეოდა პრეზიდენტისას!...

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმისა, რაც 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ დემოკრატიულად მოსულმა ხელისუფლებამ გააკეთა მოქალაქეთა უფლებების შესაზღუდავად, მაგრამ, ვფიქრობ, ამ დასკვნის გასაკეთებლად საკმარისი უნდა იყოს — **ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ქართული სამართლის უზენაესი მიზანი არ ყოფილა ადამიანი!**

დარჩა სახელმწიფო, თუმცა, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ მის განმარტებას თუ გავითვალისწინებთ, ქართული სამართლის უზენაეს მიზნად სახელმწიფოს გამოცხადება თვით ფორმალური ლოგიკის მოშველიებითაც კი, ძალიან გაჭირდება.

არც სახელმწიფო, არც ადამიანი, არც კულტურა! ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას სამართალი სჭირდება მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად, უფრო ზუსტად — რეჟიმის შესანარჩუნებლად.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამართლებრივი სისტემა ლესინგის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ვერ გამოდგება, რადგან ქართული სამართლის უზენაესი მიზანი იყო „ადამიანიც და სახელმწიფოც ხელისუფლებისთვის!“

ვერ ვიტყვი, რომ ეს არ არის სამართალი. რა თქმა უნდა, არის, მაგრამ, როგორც დიდი ვაჟა ბრძანებდა, ეს არის „ცოდვა-ბრალით მონათლული“ სამართალი, რომელიც მწვავედ უპირისპირდება რეალობას, ისტორიის განვითარების კანონზომიერებას და ემსახურება ქვეყანაში რევოლუციური ვითარების ჩამოყალიბებას.

ზემოთ ავღნიშნე, რომ ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ბრძოლები არაფერია სამართალზე და სამართლიანობაზე გაუთავებელი დავა-კამათის გარდა.

წესიერ ქვეყანაში, სადაც სამართლის უზენაესი მიზანი ილიასეული მამული-ენა-სარწმუნოების, ანუ ადამიანი-სახელმწიფო-კულტურის ერთობაა, პოლიტიკური დებატები, ძირითადად, თეორიული ხასიათისაა და კამათისთვის ოფიციალურად გამოყოფილ სივრცეს არ სცდება, მრისხანე დემონსტრაციებში და ქვების სროლაში არ გადაიზრდება. კამათს, როგორც წესი, დიდი ხელოვნებით წარმართავს ჟურნალისტიკა. მისი შინაარსიც, დაახლოებით ამ ჩარჩოებში ეტევა: **ერთს არ სურს მიეცეს ისი, რასაც ითხოვს; მეორეს სურს, დაუთმონ ის, რაც უკვე მიიღო; ყველა ერთად ცდილობს, არ მოითხოვოს არაფერი ისეთი, რის მოთხოვნა სხვასაც შეუძლია...** ანუ წესიერი ქვეყნების პოლიტიკოსები იცავენ პოლიტიკური თამაშის წესებს. იცავენ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არსებობს თავად ეს მტკიცედ დადგენილი წესები და ამ წესების დაცვის მდიდარი ტრადიციაც.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც იყო XX საუკუნის მიწურულის და XXI-ის დასაწყისის საქართველო, უმწვავესი პოლიტიკური დებატები, ძირითადად, აბსურდულ თემებზე იმართებოდა, მაგალითად, ასეთებზე:

უნდა გადადგეს თუ არა თანამდებობიდან პოლიციის მინისტრი, რომლის უახლოესი გარემოცვა, მათ შორის, მეუღლეც,

ეჭვმიტანილია მკვლელობაში;

კანონიერია თუ არა პრემიერ-მინისტრის დანიშვნა ნავთობის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, თუ ასეთი რამ აკრძალულია კანონით;

მიიღებს თუ არა ობიექტურ გადაწყვეტილებას მოსამართლე, რომელსაც აკონტროლებს და მითითებებს აძლევს პროკურორი;

არის თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, როცა ეჭვმიტანილს საჯაროდ დამნაშავედ აცხადებს ქვეყნის პრეზიდენტი;

შეიძლება თუ არა კერძო საკუთრების განადგურება იმის გამო, რომ იგი არ მოსწონს ქალაქის მერს;

არის თუ არა ხალხის მიერ არჩეული გამგებელი, რომელიც თავისი ბრძანებით დანიშნა პრეზიდენტმა;

გააუმჯობესებს თუ არა საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე აგებული შადრევანი;

სჭირდება თუ არა განათლება და გამოცდილება სამინისტროდ გამზადებულ ახალგაზრდა რევოლუციონერს...

კამათი, თავისთავად, არგუმენტების მოშველიებას, შეჯიბრებითობას გულისხმობს — იმარჯვებს ის, ვისაც მეტი არგუმენტი, მეტი ცოდნა და უკეთესი ლოგიკა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჟურნალისტიკაში, ასეა მეცნიერებაში და ბოლო დრომდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე იყო პოლიტიკაშიც. მაგრამ, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობდა — ნურას უკაცრავად! ოცდამეერთე საუკუნის ქართული პოლიტიკური კულტურა, კერძოდ, პოლიტიკური კამათი, უპრეცედენტო აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში — ერთ მხარეს არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა და რას აკეთებდა მეორე მხარე. ეს იყო არა კამათი, არამედ პოლიტიკოსთა დაუსწრებელი შეჯიბრი უსაგნო ქილიკსა და ენაკვიმატობაში. პარტია-სახელმწიფოს (ნაციონალური მოძრაობის) წევრებს ძალიან მოსწონდათ ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც მოსწონდა პრეზიდენტს. არ არსებობდა არავითარი გამონაკლისი!

მეორე მხრივ, პარტია-სახელმწიფოს ოპონენტებს არ მოსწონდათ არავინ და არაფერი, რაც მოსწონდა პრეზიდენტს. არავითარი გამონაკლისი აქაც არ არსებობდა!

მეტიც, მოხდა მსოფლიო პოლიტიკაში გაუგონარი ამბავი — ოპოზიცია გაებუტა ხელისუფლებას, ხოლო ხელისუფლება —

დამოუკიდებელ მედიას! ქართველი „ჯიუტი თხების“ ლოგიკა ასეთი იყო: თუ დავამტკიცებ, რომ ჩემი ოპონენტი „ცუდია“ (სულელია, უვიცია, მახინჯია...) ამით იმასაც დავამტკიცებ, რომ მე „კარგი“ (ჭკვიანი, განათლებული, ლამაზი...) ვარ!

საქართველოში შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იციან და არც სურთ იცოდნენ სამართლის უზენაესობის აუცილებლობა, ხოლო მისი ოპონენტები ერთობიან და ტკბებიან მათი ამ უვიცობით. მართალია, ოპოზიცია მწარედ აკრიტიკებს ხელისუფლებას, მაგრამ, ადრე თუ გვიან ისიც ხელისუფლებაში მისვლას გეგმავს და ურჩევნია, რომ ქვეყანა იმართებოდეს „კარგი ბიჭების“ „მაგარი ხელით“ და არა მტკიცე სამართლებრივი სისტემით.

XXI საუკუნის ქართულ სამართლებრივ სივრცეში მართლაც პიკანტური ვითარება შეიქმნა — „რეფორმების“ სახელით აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არარაობად აქცია სასამართლო ხელისუფლება. ამას ისიც დაერთო, რომ საქართველოში, ისტორიულად, არ მზადდებოდა კანონშემოქმედი და მოსამართლე იურისტები; ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდა სამართლის ფილოსოფიის მცოდნე კადრების მომზადებასაც.

დღევანდელი „ცუდი“ მმართველები ხვალ რომ „კარგებმა“ შეცვალონ, ისინიც „ცუდები“ იქნებიან, რადგან მართვის თეორია და სამართლის ფილოსოფია არც მათ ეცოდინებათ, კვალიფიციური კანონშემოქმედები და მოსამართლეები არც მათ ეყოლებათ, კანონის არსში ჩაწვდომა მათაც გაუჭირდებათ, ისინიც ვერ უპასუხებენ საბედისწერო კითხვას: სახელმწიფო არსებობს ადამიანისთვის, თუ ადამიანი — სახელმწიფოსთვის? ქართულ პოლიტიკურ ძალებსა და პოლიტიკოსებს შორის არ მოიშლება პოლიტიკური დავა-კამათით შენიღბული ქიშპობა და მოცილეობა, სამართლის უზენაესობა ვერ დამკვიდრდება, კანონი ვერ იკანონებს, ქვეყანაში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს და კარს ახალი რევოლუცია შემოგვიმტვრევს.

ახლა, ალბათ, ის დრო დადგა, როცა ორიოდე სიტყვა კანონზეც უნდა ითქვას:

კლასიკური და აღიარებული განმარტებით, კანონი არის სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული ქცევის ნორმები, რომლებიც დარწმუნების ან იძულების წესით სავალდებულოა შესასრულებლად ამ სახელმ-

წიფოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის. ეს „დარწმუნება და იძულება“, ბუნებრივია, სამართალდამცავი და რეპრესიული სისტემების არსებობასაც გულისხმობს. ადამიანის ქმედებათა შეზღუდვებისა და აკრძალვების მთელი ეს არცთუ უნაკლო, რთული და ბუმბერაზი სისტემა კაცობრიობამ შექმნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. მე, ადამიანს, სახელმწიფო მზღუდავს, მაიძულებს, მიკრძალავს, რათა მე ვიყო თავისუფალი! პარადოქსია, მაგრამ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საგარანტიოდ უფრო ეფექტიანი საშუალება ძნელი წარმოსადგენია.

სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საზოგადოების ნებისმიერ წევრს არა აქვს ბევრი ქმედების შესრულების თავისუფლება (რასაც კანონი კრძალავს), მაგრამ უფლება აქვს, შეასრულოს უამრავი ის ქმედება, რომელთა შესრულების გარანტიას იძლევა იგივე კანონი. ანუ, მართალია, კანონი მე მზღუდავს, მაგრამ, ამავე დროს, სხვასაც უკრძალავს ჩემთვის რაღაც (უამრავი) ქმედების შესრულებაში ხელის შეშლას (ვეწვიო ეკლესიას, გამოვაქვეყნო ჩემი აზრი, გავაკრიტიკო ხელისუფლება, ვიმოგზაურო, განვქორწინდე...).

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „მამა“ ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების ამბავი. ამ სასულიერო პირად გადაცმულ ხულიგანს და აშკარად ანტიქრისტიან „მოღვაწეს“, დაპატიმრების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ბევრი დამცველი გამოუჩნდა. სასამართლო გადაწყვეტილება მის მიმართ იქნებ, მართლაც ზედმეტად მკაცრი იყო და ხელისუფლების დაკვეთის სუნიც დაჰკრავდა, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მის ქმედებაში კანონის დარღვევა ვერ დაინახა. ანუ საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ კანონი არსებობს თავისთავად, განყენებულად და იგი განურჩევლად ყველას მიმართ არ უნდა განხორციელდეს. ცოტა უფრო შორს თუ წავალთ, ადამიანების ერთ ნაწილს თავისუფლება საკუთარ პრივილეგიად წარმოუდგენია.

ასეთი რამ, ძირითადად, იქ ხდება, სადაც კანონი სხვისთვის და თავისუფლება საკუთარი თავისთვის წარმოუდგენიათ თვით ხელისუფლების წარმომადგენლებს და, სადაც კანონი არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

სამართალმა უნდა დააკმაყოფილოს რაღაც პირობები, რათა შეასრულოს თავისი უმთავრესი ფუნქცია — ადამიანის ქცევათა

წარმართვა. ამ პირობებთან დაკავშირებით, არსებობს საყოველთაო კონსენსუსი. ფულერის ცნობილი „ჩამონათვალის“ გათვალისწინებით, ეს პირობები დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. კანონი უნდა იყოს ზოგადი;

2. უნდა გამოცხადდეს საჯაროდ;

3. არ უნდა ჰქონდეს უკუქცევითი ძალა;

4. უნდა იყოს ცხადი;

5. არ უნდა შეიცავდეს ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმებს;

6. არ უნდა ადგენდეს შესასრულებლად შეუძლებელ ნორმებს;

7. უნდა იყოს სტაბილური;

8. უნდა გამოიყენებოდეს თანმიმდევრულად.

რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ ბევრი რამის თქმა, როგორი უნდა იყოს ან როგორი არ უნდა იყოს კანონი. აქ ამის განხილვის დრო და საშუალება არ არის, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანად სამართლებრივი სივრცე, ფაქტობრივად, ვერცერთ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რაც კანონების თვითნებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და, საბოლოოდ, საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმისა და კანონდაუმორჩილებლობის სინდრომს აყალიბებს.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ ხვანჯებში გახლართულმა, მშიერმა, საკუთარი უთავისუფლებობით თუ უსაზღვრო თავისუფლებით გაწამებულმა ქართულმა ჟურნალისტიკამ ამისთვის ვერ მოიცალა.

სამწუხაროდ, არც ცოდნა და გამოცდილება ეყო.

თავი XI

თავისუფლება და ჟურნალისტიკა

საკმაოდ ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობისას შევხვედრივარ ბევრ ადამიანს, ვინც თავგამოდებით იბრძოდა ჟურნალისტიკის თავისუფლებისთვის. სანაქებო და კეთილშობილური საქციელია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ადამიანთა უმრავლესობას მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არც თავისუფლებაზე და არც ჟურნალისტიკაზე. თავისუფლება გულწრფელად ეგონა თანდაყოლილი ან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების პაკეტი, ხოლო ჟურნალისტიკა — ყველაფრის დაუბრკოლებლად თქმის და წერის შესაძლებლობა.

ხეიბარი თავისუფლება

თუ გულწრფელად გაინტერესებთ თავისუფლების რაობა, მით უფრო, თუ ჟურნალისტი ხართ და ამის ცოდნა თქვენთვის მნიშვნელოვანია, გირჩევთ, ჩაატაროთ უბრალო ექსპერიმენტი: ავტორიტეტულ მეცნიერებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, გნებავთ, ასე მომრავლებულ ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნეთ თხოვნა, ძალიან მოკლედ გიპასუხონ კითხვაზე: რა არის თავისუფლება?

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ორასიდან ორასივე შემთხვევაში მიიღებთ განსხვავებულ პასუხს და... ყველა პასუხი იქნება პრინციპულად სწორი!

გულს ნუ გაიტეხთ — როგორც რაიმონდ არონი ამბობს, „თავისუფლების უნივერსალური და ერთადერთი ფორმულა არ არსებობს“. თვითონ თავისუფლების არსებობაში, მგონი, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ თავისუფლების ზუსტი განსაზღვრება თითქმის ისევე შეუძლებელია, როგორც, მაგალითად, შიშის, სიძულვილის ან სიყვარულისა.

როცა თავისუფლებაზე ლაპარაკობენ, როგორც წესი, მოქალაქის პოლიტიკურ თავისუფლებას გულისხმობენ, რაც მოქალაქისა და სახელმწიფოს, მოქალაქისა და კანონის საკმაოდ რთულ ურთიერთობებს ეხება.

აბსოლუტურ, სრულ, უსაზღვრო თავისუფლებაზე საუბა-

რი არასერიოზულია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ **თავისუფლება არის ნებადართული ქმედებებისთვის რაიმე წინააღმდეგობის არარსებობა.** სიტყვა „ნებადართული“ იმიტომ მოვიშველიე, რომ სახელმწიფოს არსებობა, როგორც ვთქვი, თავისთავად გულისხმობს შეზღუდვათა და აკრძალვათა მთელ სისტემას. იმედია, **სახელმწიფოს წარმოშობის პრინციპიც გახსოვთ: თვითეულის ყველასთან და ყველასი თვითეულთან დადებული ხელშეკრულება.** საკუთარი უფლებების და შესაძლებლობების ნებაყოფლობითი დელეგირება არჩეული პირის ან რჩეულთა კრებულის ხელში ქმნის დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც არის (უნდა იყოს!) თვითეულის თავისუფლების გარანტი. ასეთ ვითარებაში, შეზღუდვების და აკრძალვების გათვალისწინებითაც კი, ყოველ მოქალაქეს აქვს, უპირველეს ყოვლისა, არჩევანის თავისუფლება. სახელმწიფო ქმნის პირობას, რომ მოქალაქემ შეძლოს თავისუფალი არჩევანის გაკეთება, ხოლო კანონით დაშვებული ქმედებისთვის მას არ ხვდება რაიმე გარეგანი დაბრკოლება. ანუ თავისუფალია ის ადამიანი, ვისაც საქმის კეთებაში ხელს არაფერი არ უშლის და რის კეთებაც მას საკუთარი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეუძლია.

მაგალითად, თუ ადამიანს ხელფეხი შეკრული აქვს და არ შეუძლია სიარული, იგი არ არის თავისუფალი, რადგან წინააღმდეგობა მასში კი არა, ბორკილებშია. სიარული არ შეუძლია ხეიბარსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა თვითონ ამ ადამიანშია. ამიტომ იგი თავისუფალია, თუმცა, სიარული მასაც არ შეუძლია. თუ მაქვს არჩევანის თავისუფლება, ესე იგი, ვარ თავისუფალი. მე არავინ არ მაიძულებს, შევიდე მაინცდამაინც იეღოველთა სექტაში ან ლეიბორისტულ პარტიაში. არც ვინმე მიშლის, საკუთარი სურვილით ავირჩიო რელიგიური კონფესია ან პოლიტიკური პარტია, ვისწავლო ჰარვარდის უნივერსიტეტში ან ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, ცოლად შევირთო მოზამბიკელი ზანგი ან დანიის პრინცესა, ვიყიდო „ზაპოროჟეცი“ ან მილიონნახევარ ევროდ ღირებული „ბუგატ-ვეირონი“. სხვა საქმეა, რეალურად შემიძლია თუ არა იმის გაკეთება, რისი არჩევანის სრული თავისუფლებაც მაქვს. მაგალითად, საკმარისია თუ არა ჩემი არჩევანი დანიის პრინცესაზე დასაქორწინებლად ან „ბუგატ-ვეირონის“ საყიდლად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეალური თავისუფლება არის ის, რასაც ვუწოდებთ

შესაძლებლობას: თავისუფალია ჩემი შვილი, ვინც სწავლის გაგრძელება ჰარვარდის უნივერსიტეტში არჩია, მაგრამ თავისუფალი არა ვარ მე, მისი მშობელი, რადგან მატერიალური მდგომარეობა შვილის ჰარვარდში გაგზავნის საშუალებას არ მაძლევს.

რაღაცის აკრძალვა ან შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება თავისუფლების ცნებას. მე, გაზეთ „დრონის“ (ან საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის) კორესპონდენტს უფლება მაქვს არ შევასრულო რედაქტორის ნებისმიერი დავალება. ასეთ შემთხვევაში, რედაქტორსაც შეუძლია ჩემს მიმართ გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები — დამაჯარიმოს, მისაყვედუროს, სამსახურიდან გამათავისუფლოს. მაგრამ უფლება არა აქვს, მცემოს, გამლანძღოს, ან კუთხეში დამაყენოს.

საბოლოოდ, თავისუფლება და შესაძლებლობა ერთმანეთს უპირისპირდება. ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანაში სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს ამ დაპირისპირების შერბილებას და, როგორც წესი, ამას ახერხებს კიდეც. მაგალითად, ფერმერებს აძლევს შეღავათიან კრედიტებს, ამარაგებს მეცნიერული რეკომენდაციებით, ტექნიკითა და სასუქებით, რათა მათი არჩევანის თავისუფლება მიუახლოვდეს მათსავე შესაძლებლობას — მოიყვანოს მაღალი მოსავალი, მიიღოს მოგება და იყოს კონკურენტუნარიანი; არეგულირებს საგადასახადო სისტემას; იძლევა მიტინგების და მანიფესტაციების ჩატარების საშუალებას; ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს უქმნის მოღვაწეობის სრულფასოვან პირობებს; გაჰყავს ჯარი ვიეტნამიდან (ავღანეთიდან, ერაყიდან, კამბოჯიდან, ანგოლიდან...).

მოკლედ, სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს ბუნებრივად დაპირისპირებული ღირებულებები „თავისუფლება“ და „შესაძლებლობა“ გადააქციოს ერთაზროვან „თავისუფლება-შესაძლებლობად“. ხაზს ვუსვამ — ამას ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო აკეთებს რეალურად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ზედმეტი ფაციფუცის გარეშე, დაუმადლებლად და უტყუარად.

ყველაფერი ეს საზოგადოებას მიეწოდება, როგორც მასზე ზრუნვა (და, რასაკვირველია, ასეც არის). ყველა სახელმწიფომ იცის, რომ თუ ასე არ მოხდა, საზოგადოებაში რევოლუციური დაპირისპირება, პრაქტიკულად, გარდაუვალია.

ზოგჯერ უმრავლესობა მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას (მაგალითად, კონსტიტუციურ ცვლილებებს), რაც უმ-

ცირესობას უსამართლოდ ან დამთრგუნველად ეჩვენება. ასეთ შემთხვევაში, კანონმორჩილ უმცირესობას ისღა დარჩენია, ელოდოს, როდის შეიგნებს უმრავლესობა საკუთარ სიბრიყვეს და შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. თუ ვაღიარებთ, რომ დემოკრატიული ნორმები არის თავისუფლების არსი და ფუნდამენტი, მაშინ ყველაზე დიდი დემოკრატიც კი იძულებული გახდება დაეთანხმოს პარადოქსს — უნდა შევეგუოთ ჩაგვრას თავისუფლების სახელით! ასეთია ლიბერალური დემოკრატიის დოგმატიზმი. მაგრამ ცხოვრებაში ასეთი რამ თითქმის არ ხდება. ცხოვრებაში მწარე სინამდვილესთან გვაქვს საქმე — ერთმანეთის პირისპირ დგება მარადიული ანტინომია: ფორმალური თავისუფლება და რეალური თავისუფლება, ანუ ზუსტად ის, რაზეც უკვე ვისაუბრეთ — თავისუფლება და შესაძლებლობა.

ჩვენ გვაქვს არჩევანის თავისუფლება და შეგვიძლია დაუბრკოლებლად ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი რელიგიური კონფესია (სხვათა შორის, მეოცე საუკუნის ბოლოს ამ მტკივნეული არჩევანის წინაშე საქართველოს მოსახლეობის ათეისტური ნაწილი მართლაც დადგა). ამასთანავე, კონსტიტუციურად და, ჩავთვალოთ, რეალურადაც, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან. მოკლედ, მორწმუნის თავისუფლება სახელმწიფოსთან მიმართებაში თითქმის უკიდეგანოა. ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სინამდვილეში მთლად ასე არ არის: ნებისმიერი რელიგიური კონფესიის (კათოლიკე, მართლმადიდებელი, ებრაელი, ბუდისტი, ბაპტისტი, ლუთერანი, კალვინისტი, შიიტი, სუნიტი, ისმაილიტი, ვაჰაბიტი, კრიშნაიდი და ა.შ. და ა.შ.) წევრი ვალდებულია დაემორჩილოს ამ კონფესიისთვის აღიარებულ დოგმებს. ამ დოგმების განსჯა-განხილვა ხშირად კატეგორიულად აკრძალულია, რადგან ისინი „ღვთის მიერაა ნაკარნახევი“ და „ჭეშმარიტია“. ასე რომ არ იყოს, ამ რელიგიური კონფესიის არსებობას აზრი არ ექნებოდა. ბევრი კონფესიის დოგმების მიხედვით, დაუშვებელია ქმედება, რომელიც შეურაცხყოფს მისი წევრის რელიგიურ რწმენას. ასეთი გამოვლინებანი სასჯელს იმსახურებს. ზოგი კონფესია, თავის მხრივ, პირდაპირ მოითხოვს აქტიურ მოქმედებას ურწმუნოთა სულების გადასარჩენად — ვინც თავის უფლებებს სხვათა მოსაქცევად არ გამოიყენებს, იგი საკუთარ სულსაც ვერ იხსნის.

ანუ ერთს დაუშვებლად და უდიდეს ცოდვად მიაჩნია საკუთარ საქმეებში სხვისი ჩარევა, მეორე კატეგორიულად მოითხოვს სხვათა მოქცევას და სწორედ სხვის საქმეში ჩაურევლობა მიაჩნია

უდიდეს ცოდვად. ნუ დაივიწყებთ, რომ უკლებლივ ყველა კონ-ფესია არის „ჭეშმარიტი“, ხოლო ყველა დოგმა — “ურყევი“!

ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მწვავე დაპირისპირება გარდაუვალია. სხვას რომ თავი დავანებოთ, მრისხანე და დაუნ-დობელი ჯვაროსნული ომების იდეოლოგიური საფუძველიც სწორედ რელიგიურ კონფესიებს შორის დაპირისპირება იყო. თანამედროვე ეპოქაში რელიგიურ საფუძველზე ომები იშვია-თია, მაგრამ საკმაოდ ხშირია კონფლიქტების მოსაგვარებლად სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ამოქმედება.

ვითარება ზოგჯერ მართლაც პიკანტურია. მაგალითად, იე-ღოველებს, საკუთარი პაციფისტური რწმენებიდან გამომდინა-რე, ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნიათ... სისხლის გადასხმა. არადა, ასეთი აუცილებლობა იეღოველის წინაშეც ხშირად ჩნ-დება — უბედური შემთხვევა ან სენი ადამიანებს რელიგიური ნიშნით ერთმანეთისგან არ ანსხვავებს! იწყება ხელჩართული დავა მედიცინასა და იეღოვას მოწმეებს შორის, რაც პაციენ-ტის დაღუპვით (თუ მორწმუნეებმა გაიმარჯვეს), ან მორწმუნე-თა უმძიმესი შეურაცხყოფით (თუ მედპერსონალმა გაიმარჯვა) მთავრდება. უფრო სწორად, დაპირისპირება ამით არ მთავრდე-ბა, რადგან დისკუსიაში დაუყოვნებლივ ერთვებიან პოლიტიკუ-რი ძალები, არასამთავრობოები, სხვა რელიგიური კონფესიები, სამართალდამცავები, შარლატანები, დემაგოგები, სტუდენტე-ბი, უსაქმურები და ა. შ.

ჩემი მშვენიერი თავისუფლება

დედამიწაზე არც ერთი დესპოტი არ უარყოფს თავისუფლების მშვენიერებას, ოღონდ იგი სხვისთვის არ ემეტება. დარწმუნებუ-ლია, რომ „სხვა“ არ არის ამ მშვენიერების ღირსი. უთანხმოება „დესპოტსა“ და „სხვას“ შორის სუფევს არა თვითონ თავისუფლე-ბის გაგებაში (იგი ორივესთვის მშვენიერია!), არამედ ადამიანების შეფასებაში (მე ვარ თავისუფლების ღირსი, ის — არა!).

თავისუფლება თანასწორობასაც გულისხმობს. ბუნებრივია, არ ვლაპარაკობ ისეთ (საქართველოსნაირ) ქვეყანაზე, სადაც, მაგალითად, საპატიმრო ადგილების დეპარტამენტის ნორჩ თავმჯდომარეს ქვეყნის პარლამენტის ხანდაზმული წევრი თა-ვის ტოლ-სწორად არ მიაჩნია; პარლამენტის უმრავლესობა არ

სცნობს უმცირესობას და რომელიმე მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარეს ამრეზით უყურებს. მე კლასიკური (ლიბერალური) დემოკრატიის ქვეყანაზე ვლაპარაკობ.

ასეთ ქვეყანაშიც კი სოციალური და პოლიტიკური თანასწორობა არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ეკონომიკური თანასწორობის საფუძველს, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვს ისეთი ინსტრუმენტის შექმნას, რომელიც ადამიანებს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელ რესურსებს გადაუნაწილებს.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოში ასეთი „გადამანაწილებელი“ ინსტრუმენტი არ არსებობდა და, ალბათ, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ პარლამენტის წევრის საშუალო ხელფასი დაახლოებით 80-ჯერ აღემატებოდა პენსიონერის საშუალო შემოსავალს. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუნდაც ამ პარამეტრით, საქართველოს რიგითი მოქალაქე (პენსიონერი) და საშუალო ჩინოვნიკი (მინისტრის მოადგილე) არ შეიძლება ყოფილიყვნენ და არც იყვნენ თანასწორი — ჩინოვნიკს თავისუფლება საკუთარი მშვენიერი ნივთი ეგონა, „რიგითს“ — ცაში მოკიაფე ვარსკვლავი.

თავისუფლება, როგორც წესი, თავისებურად ესმით ლიბერალებს, სოციალისტებს, დიქტატორებს, ნაცისტებს, კომუნისტებს და, თუნდაც, ე. წ. პლანიფიკატორებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ თავისუფლება არის „გაცნობიერებული აუცილებლობა“. ვფიქრობ, პლანიფიკატორთა „გაცნობიერებული აუცილებლობიდან“ უმცირესობის მძლავრობამდე და ლიბერალური თავისუფლების სრულ უარყოფამდე მისვლას დიდი ფილოსოფოსობა არ უნდა სჭირდებოდეს. თუ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელი (ვთქვათ, პრემიერ-მინისტრი) პარლამენტის დეპუტატის შეკითხვაზე პასუხობს, „ასეა საჭირო, მეტს არაფერს გეტყვი“, ეს ნიშნავს, რომ ბატონი პრემიერი არის პლანიფიკატორი და ქვეყანაში უკვე დასრულებულია „უმცირესობის მძლავრობისა“ და „ლიბერალური თავისუფლების სრული უარყოფის“ ჩამოყალიბების პროცესები.

სხვათა შორის, პლანიფიკატორებს ისიც მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა მხოლოდ იძულებით მიიღწევა. ორაზროვნება რომ გამოირიცხოს, განვმარტავ, რომ პლანიფიკატორები მე, მოქალაქეს გამდიდრებას კი არ მაიძულებენ, არამედ მაიძულებენ ვიშრომო პრაქტიკულად უფასოდ, სხვათა

გასამდიდრებლად, ან ნებისმიერი საბაბით ჩამომართვან ქონება, თუ იგი გამაჩნია.

ვინაიდან თავისუფლება თავისებურად ესმით საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს, ამიტომ, როგორც ვთქვი, ადამიანებს ხშირად აბნევს თავისუფლების მაცდური ხიბლი და ნებსით თუ უნებლიედ, ერთმანეთში ურევენ თანდაყოლილ და მემკვიდრეობით მიღებულ უფლებებს იმაში, რაც კანონით სახელმწიფოს ეკუთვნის. ხოლო თუ ამ შეცდომას ზურგს უმაგრებს მაღალი ავტორიტეტის მქონე პიროვნების თეორიული დასაბუთებაც, უეჭველად მივალთ აჯანყებამდე და სახელმწიფო გადატრიალებამდე.

ამგვარი პერსპექტივის კლასიკურ ნიმუშად „ვარდების რევოლუციაც“ გამოდგება.

მართალი გითხრათ, არ მჯერა, რომ იგი საქართველოში და ქართველების ხელით დაიგეგმა — საქართველოში არ არსებობდა ინსტიტუტი, რომლის ინტელექტუალური შესაძლებლობები ასეთი გრანდიოზული მასშტაბის აქციის ასე უზადოდ დაგეგმვასა და განხორციელებას გაწვდებოდა. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია შედეგი — ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა უწოდეს რევოლუცია. იგი განხორციელდა და განვითარდა თეორიული თვალსაზრისით ბრწყინვალედ დამუშავებული სქემის მიხედვით და ულტრათანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიების ვირტუოზული გამოყენებით: თავიდან მოქალაქეთა კავშირს, მმართველ პარტიას (პარტია-სახელმწიფოს) რადიკალურად დაუპირისპირდა მისივე ერთ-ერთი ფრთა, რომელმაც საკუთარი თავი ძალიან სწრაფად წარმოადგინა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნების გამომხატველად; შემდეგ მანვე შექმნა ხალხის დაუძინებელი მტრის ხატი პრეზიდენტ შევარდნაძის სახით (ნუ დაივიწყებთ, რომ იმ პერიოდში შევარდნაძე სამართლიანად სარგებლობდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი დამანგრევლის სახელით, ანუ მისგან მტრის ხატის შექმნა ურთულესი ამოცანა იყო!); შემდეგ, ძალიან მოკლე დროში, თითქმის არარაობიდან შექმნა ურყევი ავტორიტეტი, ბელადი მიხეილ სააკაშვილის სახით; შემდეგ იპოვნა ძალიან ფაქიზი საბაბი „მასების“ ასამოძრავებლად — 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა უახლოესი წინამორბედი არჩევნებისგან; შემდეგ ძალიან იოლად „ააბუნტა“ საზოგადოება და

გადაიბირა შევარდნაძის განკარგულებაში არსებული მთელი რეპრესიული აპარატი არმიის, შს სამინისტროს, სპეციალური და საიდუმლო სამსახურების ჩათვლით; ბოლოს, ხელვარდიანი ბელადი პირადად შეიჭრა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში, რასაც თითქმის დაუყოვნებლივ მოჰყვა პრეზიდენტ შევარდნაძის ისტორიული გადაწყვეტილება — ნავედი სახლში! ყველაფერი ეს, ჩემი დაკვირვებით, სულ მცირე, რვა წლის განმავლობაში (1995 წლიდან) მზადდებოდა და, რაც ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის ყველაზე საგულისხმოა, მზადდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უაქტიურესი მონაწილეობით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ **„ვარდების რევოლუციის“ ყველაზე მრისხანე იარაღი იყო მასმედია.**

რა თქმა უნდა, ამის გამო მაშინდელ ქართულ მასმედიას არც ვაქებ და არც ვაძაგებ. უბრალოდ, იგი ძალიან ეფექტურად გამოიყენეს პოლიტტექნოლოგიების ბრწყინვალედ მცოდნე უჩინარმა რეჟისორებმა. მერე კი, ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა კლანმა გუშინდელი თავგამოდებული მოკავშირეები გულგრილად და უბოდიშოდ ნაგავში მოისროლა. თან ისე, რომ პროტესტის გამოთქმის მორალური უფლებაც არ დაუტოვა.

ეს მწარე გაკვეთილი, წესით, დიდხანს არ უნდა დაავიწყდეს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ჟურნალისტიკას. იმათაც კი, ვისაც თავი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი თავისუფალი ჰგონია.

ქართული ჟურნალისტიკის ამ „რევოლუციურმა“ ნაწილმა, დემოკრატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ისარგებლა არჩევანის თავისუფლებით და მხარში დაუდგა რევოლუციას. თუ გულწრფელ შეცდომას გამოვრიცხავთ, შესაძლოა, იგი ასე არც მოქცეულიყო შესაძლებლობის, ანუ ეკონომიკური თავისუფლება რომ ჰქონოდა.

იგივეობათა ჯაჭვი

ქართული რევოლუციის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვით **ლიბერალური დემოკრატია და თავისუფლება არ არის საყოველთაო თანხმობისა და კეთილდღეობის გარანტია.** მაგრამ მაინც, იძულებული ვართ დავეთანხმოთ არისტოტელეს (ყველა გზა ხომ არისტოტელესთან მიდის!): „დემოკრატია გულისხმობს თავისუფლებას, ვინაიდან

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი სხვა მმართველობის პირობებში არავინ არ არის თავისუფალი“. თავისუფლების შემოქმედი დემოკრატიული სახელმწიფო, შესაძლოა, იყოს მილიტარისტულიც და პაციფისტურიც, პროგრესულიც და რეაქციულიც, აბსოლუტისტურიც და ლიბერალურიც, ცენტრალიზებულიც და დეცენტალიზებულიც — სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი, მაგრამ მაინც დემოკრატიული. ცხადია, რომ დემოკრატიის ეკონომიკურ სფეროში გადატანით მისთვის რაიმე ახალი შინაარსის მინიჭება შეუძლებელია. მაშ, რაღა გვრჩება დემოკრატიისგან? ეს რომ დავადგინოთ, იგივეობათა მთელი რიგი უნდა განვიხილოთ.

დემოკრატიისთვის არსებითია ის საკითხი, რომ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებთათვის. ის, რომ ამით უნდა უგულებელვყოთ უმცირესობა (ვინც უმრავლესობას ხმები დაუთმო), სიძნელეებს ქმნის მხოლოდ თეორიულად და მხოლოდ ერთი შეხედვით. აქ საფუძველს ქმნის დემოკრატიზმის ლოგიკიდან გამომდინარე იგივეობები — არსებითად დემოკრატიული არგუმენტაცია, რომ ნება უმცირესობისა, სინამდვილეში, ემთხვევა უმრავლესობის ნებას. ვინაიდან კანონი გამოხატავს საყოველთაო ნებას, დემოკრატიის პირობებში, მოქალაქე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მიღებულ კანონსაც ეთანხმება; ანუ მოქალაქე, თუნდაც არ აღიარებდეს კონკრეტულ შინაარსს, აბსტრაქტულად მაინც აღიარებს საყოველთაო ნების გამომხატველ არჩევნების შედეგებს. ხოლო არჩევნებში მონაწილეობს იმის გამო, რომ შესაძლებელი გახდეს ხმების დათვლა, რის მეოხებითაც ეს საყოველთაო ნება გაცხადდება. თუ შედეგები არ ემთხვევა ცალკეული ადამიანის არჩევანს, მაშინ მისთვის ნათელია, რომ საყოველთაო ნების შეფასებისას შემცდარა — რაც მე მეგონა, თურმე, ის სულაც არ ყოფილა საყოველთაო ნება. ვინაიდან საყოველთაო ნება შეესაბამება ჭეშმარიტ თავისუფლებას, გამოდის, რომ ვინც უმრავლესობასთან წააგო, იგი არ ყოფილა თავისუფალი. ამ იაკობინური ლოგიკის თანახმად, შეგვიძლია გავამართლოთ უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობა, თანაც, დემოკრატიის მოშველიებით. ამავე დროს, შეგვიძლია შევინარჩუნოთ დემოკრატიული პრინციპის მთავარი ძარღვი, კერძოდ, კანონისა და ხალხის ნების იგივეობის დამკვიდრება. თუ სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ნება არ არის აბსოლუტურად ერთსულოვანი, მაშინ აბსტრაქტული ლოგიკისთვის არავი-

თარი მნიშვნელობა არა აქვს, რასთან გააიგივებენ ხალხის ნებას — უმრავლესობისა თუ უმცირესობის ნებასთან.

მართალია, ქართული დემოკრატიზმის ისტორია მხოლოდ 1990 წლიდან დაიწყო, მაგრამ ქართველი „სულერთია“ ამომრჩევლების ყური სწრაფად მიეჩვია გამოთქმას „ჩვენ ხელისუფლებაში ვართ“. ეს სიტყვათშეთანხმება ორთოგრაფიული და ვოკალური თვალსაზრისით ისედაც ტყუპისცალივით ჰგავდა გამოთქმას „ჩვენ ხელისუფლება ვართ“, ხოლო 2004 წლის ბოლოსთვის მას შინაარსობრივადაც შეერწყა. მეტიც, ულტრათანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიების წყალობით, საბედისწერო „ჩვენ ხელისუფლება“, „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, ამომრჩეველთა ცნობიერებაში გაიგივდა „სახელმწიფოსთან“. ანუ, როცა ვინმე უბირი „ნაცი“ წარმოთქვამდა სიტყვას „ჩვენ“, იგი გულისხმობდა არა მარტო სახელისუფლო გუნდს, ან მთლიანად, ხელისუფლებას, არამედ საქართველოს სახელმწიფოს.

ეს მაგიური „ჩვენ“, ანუ პარტია-სახელმწიფო, ნაციონალური მოძრაობა, იგივე ხელისუფლება, იგივე უმრავლესობა, იგივე ჩვენი გუნდი, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ავირჩიეთ ჩვენ — უპიროვნო მასამ. ამიტომ ყველაფერი, რასაც „ჩვენ“ ჩაიდენს, სავსებით სამართლიანია, ჩვენი ნების გამოხატულებაა და კეთდება სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. ასეთ შემთხვევაში, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ციხეებში გაუსამართლებლად გამოკეტა ათი ათასობით ადამიანი. ეს ათი ათასობით ადამიანი, რომელიც არის „ერთი გუნდის“, „ჩვენის“ ნაწილი, საერთო კეთილდღეობისთვის ციხეში ჩამჯდარა ნებაყოფლობით!

ასეთი ლოგიკით შესაძლებელია ხელისუფლების ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების, მათ შორის, დემოკრატიული პრინციპების უარყოფის, ეთნიკურ უმცირესობათა ან განსხვავებული აზრის მატარებელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის, დიქტატურის დამყარებისკენ სწრაფვის გამართლება.

ისტორიაში ცნობილი უკლებლივ ყველა რევოლუციური ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული, მოაზროვნე „ჩვენის“, ანუ ხალხისა და „ჩვენ ხელისუფლების“ გაიგივებას ცდილობს. საზოგადოება, როგორც წესი, თავიდან ამ მცდელობას ყურადღებას არ აქცევს; მერე შეგნებულად უგულებელყოფს (პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის მიზნით); მერე კი მოქმედებს ყოვლად ჩვეულებრივი შიშის სინდრომი და ადამიანური ვნებები — ვინძლო უზარმაზარი მუქთი ხაჭაპურიდან ცოტა მეც

მერგოს! საბოლოოდ, როგორც გარდაუვალ შედეგს, ვიღებთ დემოკრატიის მანტიით უხეშად შენიღბული მმართველობის უსასტიკეს ტოტალიტარულ რეჟიმს. ამიტომ ჟურნალისტიკის უპირველესი ვალია, ადამიანებს გააგებინოს, რომ ჩვენ, ამომრჩეველი და „ჩვენ“ ხელისუფლება სულაც არ არის იდენტური ცნებები. პირიქით, მათი გაიგივება, ამის მცდელობაც კი, საზოგადოებას, სახელმწიფოს უდიდეს განსაცდელს უმზადებს.

როცა ფართო საარჩევნო უფლებებს იღებს უამრავი ადამიანი, ეს სახელმწიფოსა და ხალხის იგივეობის დამკვიდრებისკენ სწრაფვის ნიშანია. მას საფუძვლად უდევს გარკვეული წინაპირობები, რომელთა გამო იგივეობები რეალობად აღიქმება. ეს სულაც არ ვნებს იმ ძირითად იდეას, რომ ლოგიკურად ყველა დემოკრატიული არგუმენტი იგივეობათა წყებას ეფუძნება. აქ შედის მმართველთა და მართულთა, ბატონთა და ქვეშევრდომთა იგივეობა; სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის სუბიექტისა და ობიექტის იგივეობა; ხალხისა და პარლამენტში მისი წარმომადგენლობის იგივეობა; სახელმწიფოსა და კანონის იგივეობა; საბოლოოდ, რაოდენობრივისა (რიცხობრივი უმრავლესობის ან ერთსულოვნების) და ხარისხობრივის (კანონის სისწორის) იგივეობა. საუბარი ეხება არა იურიდიულად, პოლიტიკურად ან სოციოლოგიურად სინამდვილეში არსებულ რაღაც ერთიანობას, არამედ — გაიგივებას. საარჩევნო უფლებების გაფართოება, საარჩევნო პერიოდების შემცირება, რეფერენდუმების ჩატარება, მოკლედ, ყველაფერი, რაც დემოკრატიაზე მიგვანიშნებს, გამსჭვალულია იგივეობებით, თუმცა, არ არსებობს აბსოლუტური, უშუალო, რეალურად არსებული იგივეობა. რეალურ ერთგვაროვნებასა (ერთნაირობასა) და გაიგივების შედეგს შორის მუდამ რჩება რაღაც მანძილი. **ანუ, სულაც არ არის სავალდებულო, რომ მილიონობით ადამიანის მიერ გამოხატული ნება ემთხვეოდეს ცალკეული ინდივიდისას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იქმნება თვითონ ეს ნება.** ხალხის ნების თაობაზე უძველესი მოძღვრების დიალექტიკა დღემდე საკამათოა. ხალხის ჭეშმარიტ ნებას, შესაძლოა, უმცირესობის ნება გამოხატავდეს, ხალხი შეიძლება მოტყუვდეს. საზოგადოებრივ ცნობიერებაზე პროპაგანდითა და პოლიტიკური მანიპულაციებით ზემოქმედების ტექნიკაც დიდი ხანია, ცნობილია. თავისუფლებისა და დემოკრატიზმის ურთიერთმიმართებებზე თანამედროვე სამართლის ფილოსოფიაში მოსაზრებები უამრა-

ვია. სულაც არ არის სავალდებულო, რომელიმე ერთს დავეთანხმოთ და დანარჩენი უარვყოთ, ან ავდგეთ და ყველა მოსაზრებას უკრიტიკოდ დავეთანხმოთ. ჩემი აზრით, მთავარია, ვიცოდეთ ასეთი თეორიების არსებობა და საჭიროების შემთხვევაში, ამოვირჩიოთ ისინი, რომლებიც ჩვენს სინამდვილეს ყველაზე მეტად მიესადაგება. შეცდომისაც ნუ შეგვეშინდება, ვინაიდან თქვენს (ჩვენს!) შეცდომას აუცილებლად გამოუჩნდება „პატრონი", რომელიც მწარედ გაგვაკრიტიკებს და თვითონაც აუცილებლად შეცდება, რაც თავის მხრივ, ახალ ოპონენტს გააჩენს. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას. ვიმეორებ — მხოლოდ მივუახლოვდებით!

ყოველ შემთხვევაში, ვინც თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, ხალხის ნებაზე ლაპარაკობს (დიასახლისები, უმუშევრები, პოლიტიკოსები) და ვინც წერს (პოლიტოლოგები, „წერას ატანილი" უსაქმურები, ჟურნალისტები), ამ ცნებებზე ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს. ამას ჩემი თანამემამულე კოლეგა-ჟურნალისტების საგულისხმოდ ვამბობ.

ჩემი ნება ხალხის ნებაა!

დავუბრუნდეთ ხალხის ნებას და მის გამომხატველებს. თუ არ ვცდები, უმცირესობაზე ვსაუბრობდით. მაშ ასე, სავსებით შესაძლებელია, ჩემი, ერთი ადამიანის აზრი უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყოს, ზოგადად, ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, უფრო ობიექტურად გამოხატავდეს მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას, ვიდრე, ვთქვათ, თბილისის ლილოს, ელიავას და გლდანის ბაზრობების უკლებლივ ყველა მყიდველ-გამყიდველისა ერთად.

ეს არ გახლავთ უბრალო სიტყვებით თამაში ან სოფისტური მსჯელობა — „ნამდვილი დემოკრატები" ძალიან ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე უმცირესობაში — პარლამენტშიც და, რაც კიდევ უფრო ტრაგიკულია, პარლამენტს გარეთაც. ნათქვამი რომ უფრო ცხადი გახდეს, მოდი, ისევ საქართველოს უახლეს ისტორიას დავუბრუნდეთ.

როგორც ვთქვი, მეოცე საუკუნის მიწურულიდან მმართველი პარტიის, მოქალაქეთა კავშირის უმცირესობამ დაიწყო საზოგადოებრივი აზრის „დამუშავება", რომ სწორედ იგი (უმცირესობა, ანუ „ახალგაზრდა რეფორმატორები") გამოხატავდა ხალხის აბ-

სოლუტური უმრავლესობის ნებას. მან საკუთარი ნება გააიგივა ხალხის ნებასთან. მეტიც, შეძლო, ფაქტობრივად, გაეკონტროლებინა ხალხის სურვილებიც, უფრო ზუსტად, მოხერხებულად ემართა ისინი. მოხდა ზუსტად ის, რაც მოხდა კუბაში გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, როცა არცთუ მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ფიდელ კასტროს მეთაურობით დაამხო პრეზიდენტ ბატისტას ხელისუფლება და ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური მხარდაჭერით ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა ძალაუფლება. „დემოკრატმა“ კასტრომ მაშინ დაუყოვნებლივ გამოაცხადა საკუთარი შეიარაღებული რაზმი კუბელი ხალხის ნების ერთადერთ გამომხატველად. მოვლენათა ასეთ განვითარებას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე სწრაფვა დიქტატურისკენ ჭეშმარიტი დემოკრატიის სახელით. ეს სწრაფვა ძალიან მალე გადაიქცევა რეალობად — გუშინდელი უმცირესობა მოიპოვებს თითქმის საყოველთაო მხარდაჭერას და უკვე უმრავლესობის სახელით დიქტატურას ამყარებს. კიდევ უფრო მოკლედ და ცხადად რომ ვთქვა, **დემოკრატია არ გამორიცხავს დიქტატურას.** აქაც საქმე გვაქვს გაიგივებასთან, უფრო ზუსტად, იმ საკითხის გარკვევასთან, ვის ხელში უნდა იყოს ხალხის ნების ჩამომყალიბებელი საშუალებები: სამხედრო და პოლიტიკური ძალები; პროპაგანდა; მასმედიის საშუალებებით საზოგადოებრივ აზრზე, პარტიულ ორგანიზაციებზე, განათლების სისტემაზე, პროფკავშირებზე კონტროლი...

კიდევ ერთხელ, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რა მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასმედიას ხელისუფლების დიქტატურისკენ მიმავალ გზაზე.

ᲐᲦᲛᲡᲐᲠᲔᲒᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

სახელმწიფოს და რელიგიის „სამოქმედო ზონების“ გამიჯვნა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ხან ეკლესია მძლავრობდა სახელმწიფოზე, ხან სახელმწიფო — ეკლესიაზე. მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ ბონაპარტემ რომის პაპს იმპერატორის გვირგვინი გამოსტაცა და თავზე საკუთარი ხელით მოირგო, ინიციატივა საბოლოოდ გადავიდა სახელმწიფოს მხარეს (ალბათ, ღირს გავიხსენოთ, რომ ნაპოლეონის ამ გახმაუ-

რებულ ჟესტამდე შვიდი საუკუნით ადრე, საერო ხელისუფლების განსამტკიცებლად გატარებული შთამბეჭდავი ღონისძიებები მეფე დავით აღმაშენებელმა* რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით დააგვირგვინა). თუმცა, რელიგიის როლი და მნიშვნელობა ამით სულაც არ დაკნინებულა. თვით საბჭოთა ეპოქაშიც კი, 1918 წლის კონსტიტუციის თანახმად, ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, გამოცხადდა რწმენის თავისუფლება, ყოველ მოქალაქეს მიეცა რელიგიური და ათეისტური პროპაგანდის უფლება. თუმცა, კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ მორწმუნეებს ჰქონდათ რწმენის სრული თავისუფლება... „ღვთისმსახურების გარკვეული რელიგიური წესებით აღსრულებისა და კულტის პირობების შექმნის გარეშე“(!). არ შეიძლებოდა საკულტო ნაგებობების მშენებლობა, რელიგიის ისტორიისა და რელიგიის ფლოსოფიის სწავლება ყველა დონის სკოლებში. სახელმწიფო უარს აცხადებდა ღვთის მსახურთა სოციალურ უზრუნველყოფაზე და სხვა მრავალი. ანუ პირველი (და ყველა მომდევნო) საბჭოთა კონსტიტუციით აღიარებული აღმსარებლობის თავისუფლება იყო ფარსი.

კომუნისტური რეჟიმისა და იდეოლოგიისგან გათავისუფლებული საქართველოს ხელისუფლებები თხუთმეტ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოქმედებდნენ ლოზუნგით: „მეტი თავისუფლება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას!“ ამავე დროს, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადეს ხელშეკრულება (კონკორდიუმი), რომლის ძირითადი მიზანი იყო ამ რელიგიური კონფესიის საჯარო სამართლის სუბიექტად გადაქცევა და მასზე სახელისუფლო კონტროლის დამყარება. ამასთანავე, მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება სხვა რელიგიურ კონფესიებთან შედარებით. მოხდა ერთი რელიგიური კონფესიის თავისუფლების საზღვრების ხელოვნური გაფართოება სხვა კონფესიების თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე, რაც რელიგიურ ნიადაგზე მოქალაქეთა დაპირისპირების წინაპირობაა.

საქართველოს ხელისუფლებამ კუთვნილი კი არ მიუზღო საქართველოს ისტორიის წინაშე მართლაც უზარმაზარი დამსახურების მქონე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ მისი მოსყიდვა და ძალაუფლებისთვის პოლიტიკური ბრძოლების ორომტრიალში ჩათრევა სცადა. მეტიც, მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის სისტემა ქვეყნის პოლიტიკური მმართველო-

ბის სისტემის თარგზე გადაიყვანა, რამაც, როგორც გარდაუ-ვალი შედეგი, თვითონ ეკლესიის წიაღში გააჩინა მრავალი და-პირისპირება, როგორც პიროვნულ, ისე მსოფლმხედველობრივ და იერარქიულ დონეებზე: გაჩნდა ახალი ე.წ. „ჩემი ეკლესიები“, „ჩემი ეპარქიები“, შეურიგებელი თეოლოგიური თვალსაზრისე-ბი, რევიზიონისტული მიმდინარეობები და ა. შ.

ვიდრე მართლმადიდებელი ეკლესია თავისუფლებას ზეი-მობდა, მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი მცირე, დიდი თუ გრანდიოზული მასშტაბის ტაძრებისა და რეზიდენციების მშენებლობებით, ახალ-ახალი წმინდანებისა და საოცრებების აღმოჩენებით გვატკბობდა, ქვეყანაში უამრავი ძველი და ახალი, შინაური და უცხოური სექტა გააქტიურდა... ამას ზედ დაერთო სახელგატეხილ და სინდისგარეცხილ ჩინოვნიკ-ფუნქციონერ-თა ხატების წინ საჯარო სერიული კეკლუცობანი; სასულიერო კადრების გაახალგაზრდავების ყოვლად უცნაური და გაუგება-რი პროცესები; ორთოდოქს მართლმადიდებელთა რელიგიურ-პოლიტიკური ჯგუფების შექმნა; სასწავლებლებში მართლმა-დიდებლობის, როგორც საგნის სწავლებისა და სასულიერო პი-რების შეყვანის მცდელობები; უვიცთა და ვიგინდარათა ხელით და ჭკუით შექმნილი „რელიგიური“ ჟურნალ-გაზეთების გამო-ცემა...

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მართლმა-დიდებელმა ეკლესიამ რეალური თავისუფლების ნაცვლად ხე-ლისუფლებისგან მიიღო პრივილეგიები, ხოლო ხელისუფლებამ მადლიერი ეკლესიისგან — პოლიტიკური მხარდაჭერის ჩუმი დასტური.

რელიგიური შეფერილობის სკანდალურ ისტორიებს თუ არ გავითვალისწინებთ, ქართული ჟურნალისტიკა, განსაკუთრე-ბით, ტელეარხები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თა-ვისუფლებით, საერთოდ, რელიგიური პრობლემებით სერიოზუ-ლად არც მაშინ და არც მერე არ დაინტერესებულან. გულშემატ-კივრულ, საქმის ცოდნით გაკეთებულ გადაცემებს და სტატიებს ვგულისხმობ.

თუმცა, ალბათ, ქართული ჟურნალისტიკისგან მეტისმეტს მოვითხოვ — მას ხომ „გონებრივი შეტევა“ მაშინაც კი არ წა-მოუწყია, როცა პრეზიდენტის მითითებით თბილისის „რესპუბ-ლიკის მოედნიდან“ დავით აღმაშენებლის ძეგლი გარეუბანში გადაიტანეს, მის ადგილას 2003 წლის „რევოლუციის“ სიმბოლოს

დადგმა გადაწყვიტეს, ხოლო თვითონ მოედანს სახელი გადაარქვეს და „ვარდების რევოლუციის მოედანი“ უწოდეს. ეს პრობლემა ხომ რელიგიურთან შედარებით განუზომლად მარტივი იყო. ქართულმა ჟურნალისტიკამ სუვერენის ნების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა, ან საჭიროდ არ ჩათვალა, ან კომპეტენცია არ ეყო, ან — ყველაფერი ერთად. თავს არ ვიმართლებ — მეც იმ მხდალებში, მიუხვედრელებსა და არაკომპეტენტურებში ვწერივარ, რადგან, ალბათ, ცდა დავაკელი და თანამოქალაქეებს კარგად ვერ ვუთხარი, რას უქადდა ხელისუფლების ზღვარდაუდებელი თავხედობა.

საერთოდ, პოსტკომუნისტურ სივრცეში რელიგიის თავისუფლებაზე საუბარი საჭირო და სასარგებლო მგონია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით ჟურნალისტების გარდა ფილოსოფოსები, თეოლოგები, სასულიერო მოღვაწეები და მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც დაინტერესდებიან.

ჟურნალისტიკა ჭაობში

პასუხგაუცემელი კითხვა XXI საუკუნის დამდეგს გაცილებით მეტი დაგროვდა, ვიდრე პლატონის, არისტოტელეს ან აღორძინების ეპოქაში. ამის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდება: სახელმწიფოები ქრებიან და იქმნებიან; არ წყდება ომები და რევოლუციები — არც იარაღით, ნარკოტიკებით და ადამიანებით ვაჭრობა; ადამიანები ისევ ჩაგრავენ ერთმანეთს, ისევ ღალატობენ, ისევ ცრუობენ, ისევ ოცნებობენ ძალაუფლებაზე და იდეალურ სახელმწიფო წყობილებაზე; ისევ უყვართ და ისევ სძულთ; ისევ წერენ ფილოსოფიურ ტრაქტატებს, ელეგიებს და სასიყვარულო ბარათებს. ასე იქნება კაცობრიობის ისტორიის დასასრულამდე. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალშიც, უსასრულოდ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება კამათი ადამიანების ჭეშმარიტ უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამ მიმართებით სახელმწიფოს, სამართლის, კანონის როლსა და დანიშნულებაზე.

დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის ნათელი მაგალითი იყო რუსული ბოლშევიზმი, თუმცა, მისი თეორიული არგუმენტაცია არ სცდებოდა დემოკრატიის ჩარჩოებს და პოლიტიკური დემოკრატიიის ბოროტად გამოყენების მიზნით, წარმატებით იყენებდა თანამედროვე კრიტიკას და გამოცდილებას: ის,

რაც დღეს დასავლეთევროპული სახელმწიფოების კულტურაზე დემოკრატიის სახელით ბატონობს, კაპიტალის ეკონომიკური ბატონობის ფასადია და სხვა არაფერი. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია მოიტანოს ჭეშმარიტი დემოკრატია.

თუ დავუკვირდებით, დემოკრატიის ბოლშევიკებისეული არგუმენტაცია დიდად არ განსხვავდება იაკობინურისგან და ორივე ერთად — XXI საუკუნის დამდეგის ქართულ-ნაციონალურისგან. თუმცა, ვმსჯელობ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების მხოლოდ მოქმედებიდან გამომდინარე, რადგან მას საკუთარი ქმედებების გასამართლებლად რაიმე თეორიული წერილობითი დოკუმენტი არ შეუქმნია. თავის მხრივ, საინტერესოა დემოკრატიისადმი როიალისტების („კონტრრევოლუციონერების“) ზიზღიანი დამოკიდებულებაც: „დღეს გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი ისე სულელურია, რომ თუ სწორად დაამუშავებ, უარს საკუთარ ძალაუფლებაზეც კი ათქმევინებ. მართალია, ეს ნიშნავს, რომ სულელისგან ჭკვიანური საქციელი მოითხოვო, მაგრამ ისიც ხომ არ შეიძლება, მუდამ პოულობდე სულელურ მოტივებს იმ ქმედებებისთვის, რაც სრულებით არ არის სულელური..“

გვინდა თუ არა, ეს სიმპათიური მსჯელობა თავისუფლება-დემოკრატიაზე უთუოდ მიგვიყვანს ხელისუფლების ლეგიმიტაციის, პარლამენტარიზმის, მმართველობის სხვა სისტემების ძალიან აქტუალურ, საინტერესო და უსასრულოდ ბევრ პრობლემამდე, რაც, ბუნებრივია, ვერ ეტევა ჩვენი „საუბრების“ ინტერესებში.

ჩვენს უგანათლებულეს საუკუნეშიც არ წყდება გონებათა ჭიდილი „უბრალო“ საკითხის გასარკვევად — სად ვეძებოთ თავისუფლების არსი, ჩემში (ადამიანის არსებაში), თუ ჩემს გარეთ (სახელმწიფო მოწყობაში). ისიც პრობლემატურია, უზრუნველყოფდა თუ არა ადამიანის პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს თუნდაც იდეალური სამართალი, თუ კი მისი შექმნა საერთოდ, შესაძლებელია.

თუ მოგეჩვენებათ, რომ მსჯელობისას მეტისმეტად ხშირად ვიშველიებ მაგალითებს საქართველოს ისტორიიდან, გთხოვთ, დიდსულოვნად მომიტევოთ — უნგრელი ან კოლუმბიელი რომ ვიყო, უნგრულ ან კოლუმბიურ მაგალითებს მოვიშველიებდი (იცოცხლეთ, პრობლემები იქაც თავზე საყრელია). საქართველო

სულაც არ არის ერთადერთი და განუმეორებელი. გზა, რომელსაც იგი დაადგა, ოდესღაც უკვე ბევრმა ჩვენთვის სანიმუშო ქვეყანამ განვლო. ამ გზაზე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა დღესაც მიჯახირობს — ზოგი წინ მიგვიძღვის, ზოგიც უკან მოგვჩანჩალებს.

ალბათ, მკრეხელობა იქნება იმის მტკიცება, რომ XXI საუკუნის დამდეგის საქართველოს მმართველობის რეჟიმი ყველაზე შავბნელი, ხოლო ქართული ჟურნალისტიკა ყველაზე უუნარო და უუფლებოა დედამიწის ზურგზე. ასე, რა თქმა უნდა, არ არის და ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ თქვენ ჩემს ამ მოსაზრებებს ეცნობით. თუმცა, არც პიროვნული, არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური თავისუფლება უბრძოლველად არ მოიპოვება. ამ ბრძოლაში კი ძალიან სერიოზული, ძალიან საპატიო და ძალიან საპასუხისმგებლო მისია სწორედ ჟურნალისტიკას აკისრია. იმჟამინდელი ქართული ჟურნალისტიკა ამ მისიას, რბილად რომ ვთქვა, ცუდად ასრულებდა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, რის თაობაზე უკვე მოგახსენეთ და, თუ ნებას მომცემთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა; საზოგადოების მეტისმეტი პოლიტიზაცია; ძლიერი კომუნისტური ინერცია; ხელისუფლების სწრაფვა აბსოლუტური ძალაუფლებისკენ და თავისუფალი მასმედიის არსებობით მისი დაუინტერესებლობა; გამოუცდელობა; სრულფასოვანი პროფესიული ჟურნალისტური კადრების უკიდურესი სიმწირე; ჟურნალისტური სკოლის ფაქტობრივი არარსებობა; ბიზნეს წრეების მხრიდან მასმედიის უგულებელყოფა; აკადემიური წრეების აშკარად მოგონილი ნეიტრალიტეტი (სინამდვილეში — ხელისუფლებისადმი შიში), გარე ძალების ჩარევები...

ამ და კიდევ სხვა მრავალი დიდი და მცირე ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, ოცდამეერთე საუკუნის დამდეგის საქართველოში მივიღეთ ჟურნალისტიკის სუროგატი, რომელიც, ფაქტობრივად, ვერავითარ (საგრძნობ) ზეგავლენას ვერ ახდენდა ვერც ხელისუფლებაზე, ვერც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ვერც მოვლენათა განვითარებაზე. მან დაკარგა უმთავრესი ფუნქცია საზოგადოებრივი აზრის წარმმართველისა და ბრბოს იაფფასიანი მოთხოვნების დონემდე დაეშვა. ქართული ჟურნალ-გაზეთების უდიდესი უმრავლესობა, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, ღრმა პროვინციალიზმის ჭაობში ყელამდე ჩაეფლო. საღი ანალიზის, ე. წ. კონსტრუქციული კრიტიკის ადგილი უაზრო ქილიკმა, ახლადგამოჩეკილი ქართული

ბომონდის პიკანტურმა ისტორიებმა და ხელისუფლების თავზეხელაღებულმა ლანძღვა-გინებამ დაიკავა. საბოლოოდ, ამ პერიოდის ქართულ ჟურნალისტიკაში შეიქმნა ის ვითარება, რაც მხოლოდ შეიძლებოდა ენატრა დემოკრატიით შენიღბულ, აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მიმავალ ხელისუფლებას.

ის, რომ ამაში ახალი არაფერია და, თუნდაც, მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიას უარესიც ახსოვს, დიდი ვერაფერი ნუგეშია. ავადმყოფმა ქართულმა ჟურნალისტიკამ, იმის გარდა, რომ საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებდა და ქვეყნის დემოკრატიზაციის, ზოგადად, ქვეყნის წინსვლა-აღმშენებლობის პროცესში ვერ მონაწილეობდა, თავისი იძულებითი უმოქმედობით უაღრესად ნეგატიური გავლენა იქონია მთლიანად საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, დაამკვიდრა საშიში სტერეოტიპი — „ალბათ ასეა საჭირო“, „მაინც არაფერი შეიცვლება“.

ისტორიის განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, ამგვარი ვითარების ხანგრძლივი დროით შენარჩუნება (თუნდაც, 15-20 წლით) შეუძლებელია. შეუძლებელია რევოლუციური ცვლილებებით პრობლემების გადაწყვეტაც — კიდევ ერთხელ რამდენიმე ათეული წლით უკან დაბრუნების პერსპექტივა. რჩებოდა ორი იმედი — ქართულ ინტელექტუალურ საზოგადოებაში შიშის ძლევა (სინდისის კარნახით გმირული ქმედებებისკენ მისწრაფება); და ე. წ. მეგობარი ქვეყნების (პირველ რიგში, აშშ, გერმანია, რუსეთი..) დახმარება, თუ ამ ქვეყნებში მიაჩნდათ, რომ საქართველო იყო მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი და ქართველ ხალხს იმაზე მეტი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჰქონდა, ვიდრე ეს პროვინციული სასტუმროების მოსამსახურე პერსონალს სჭირდება.

სხვათა შორის, ქართველი ხალხისადმი „მეგობრების“ დახმარება იყო მათი მორალური ვალდებულებაც, რადგან ქართველ ხალხს სწორედ მათ მოახვიეს თავს „ვარდების რევოლუცია“ და აუხდინეს ბიბლიური წინასწარმეტყველება: **„სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე. დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი მოყვასს, ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი — პატივდებულს“ (ესაია, თ. 2. 4-5).**

თავი XII

პოლიტიკა და ჟურნალისტიკა

„მე პოლიტიკოსი ვარ!“ — ჩემდა სამარცხვინოდ, არ მახსოვს, მსგავსი რამ საჯაროდ განეცხადებინოს მსოფლიო პოლიტიკაში აღიარებულ ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც იყვნენ შარლ-მორისი ტალეირანი, უინსტონ ჩერჩილი, შარლ დე გოლი, ფრანკლინ რუზველტი*, ჯონ ადამსი, ოტო ფონ ბისმარკი*, ჯორჯ ვაშინგტონი, იოსებ სტალინი, ჰენრი კისინჯერი*, ჯეიმს ბეიკერი*, ჰელმუტ კოლი*, ჰანს-დიტრიხ გენშერი* და მრავალი სხვა. აღარაფერს ვამბობ დღესაც თბილისის კრწანისის რეზიდენციაში მცხოვრებ ედუარდ შევარდნაძეზე — მეორე ქართველზე (სტალინის შემდეგ), ვინც მეოცე საუკუნეში უშუალოდ მონაწილეობდა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებაში.

მსოფლიო პოლიტიკაში მოღვაწე აქ ჩამოთვლილმა და კიდევ უამრავმა უნიჭიერესმა ადამიანმა, სავარაუდოდ, შესანიშნავად იცოდა და იცის საკუთარი თავის ფასი. არც საკუთარი ნაღვაწის შეფასება-წარმოჩენაზე ამბობს უარს (ამაზე მეტყველებს, თუნდაც, უმდიდრესი მემუარული ლიტერატურა), მაგრამ მაინც ყველა ერთსულოვნად ერიდება განცხადებას — „მე პოლიტიკოსი ვარ!“

ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ პოლიტიკა ადამიანთა მოღვაწეობის ურთულესი სფერო და ხშირად, უმადური საქმეა — შენს მიერ პატიოსნად და რუდუნებით ნაკეთები კეთილი საქმე იქნებ მრავალი ათეული წლის შემდეგ დაფასდეს, ან არ დაფასდეს არასოდეს. პოლიტიკოსობა რთულიც არის, საპატიოც, თავის გამოჩენის და ისტორიაში შესვლის საშუალებასაც იძლევა, მაგრამ საკუთარი ავტორიტეტისთვის დიდ საფრთხეს შეიცავს და თავგანწირვასაც მოითხოვს. ის, ვინც ამ ამბიციურ განცხადებას გააკეთებს, ფაქტობრივად, კარგავს შეცდომის უფლებას. პოლიტიკა კი, სხვა მრავალთან ერთად, შეცდომების აღიარების და გამოსწორების ხელოვნებაცაა.

ახლა ჩამოგითვლით გვარებს, რომლებიც ჩვენს შთამომავლობას არც რამეზე დააფიქრებს და არც რამეს გაახსენებს: არველაძე, ბოკერია, ბექაური, ბეგაშვილი, ბაქრაძე, ბაღათურია, კალანდაძე, კირკიტაძე, გვარამია, სამყურაშვილი, ნადირაძე, გოგორიშვილი, გუგავა, შატბერაშვილი, თარგამაძე... ამ ადამი-

ანებს მაღალი ტრიბუნებიდან ხშირად უთქვამთ ფრაზა — „მე პოლიტიკოსი ვარ“. მსოფლიო პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ისინი ვერასოდეს ვერ დაიმკვიდრებენ ადგილს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაშიც კი, რადგან მათ, საეჭვოა, იცოდნენ, რა არის პოლიტიკა. კაცმა რომ თქვას, არც შეიძლება იცოდნენ, რადგან აქ ჩამოთვლილი და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში „მოღვაწე“ სხვა ადამიანთა უმრავლესობას საკუთარი მოღვაწეობის ასპარეზად არჩეული სფეროს შესასწავლად და გასაცნობიერებლად არც დრო ჰქონია და არც გონებრივი შესაძლებლობები. მთავარი უბედურება კი ის არის, რომ ამ ადამიანებს „პოლიტიკოსებად“ აღიარებს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, ბევრი ჟურნალისტიც.

მაინც, რას ნიშნავს ეს ავბედითი პოლიტიკა?

პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მაქს ვებერის აზრით, ამ ცნებას ძალიან ფართო გაგება აქვს და გულისხმობს დამოუკიდებელი მართვის თითქმის ყველა სახეობას — ბანკების სავალუტო პოლიტიკიდან დაწყებული, ჭკვიანი ცოლის მიერ ნიჭიერი ქმრის მართვის პოლიტიკით დამთავრებული.

ტრადიციული და ფართო გაგებით, პოლიტიკა ნიშნავს პოლიტიკური კავშირის (სახელმწიფოს) მართვაზე ზეგავლენას ან უშუალოდ მართვას.

პოლიტიკა ნიშნავს აგრეთვე ხელისუფლებაში მონაწილეობისკენ ან ძალაუფლების განაწილებისკენ სწრაფვას სახელმწიფოს შიგნით ან სახელმწიფოთა შორის.

სამწუხაროდ, საქმე ისე უბრალოდ არ არის, რომ პოლიტიკაზე საუბარი ამით დაგვემთავრებინა.

ვინაიდან პოლიტიკა სახელმწიფოს შიდა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მართვას, ან მასზე ზეგავლენას გულისხმობს, ჯერ თვითონ სახელმწიფოს განმარტება ვცადოთ.

მაქს ვებერის განმარტებით, **სახელმწიფო არის ადამიანთა ერთობა, რომელსაც აქვს ნებადართულ (ლეგიტიმურ) ფიზიკურ იძულებაზე მონოპოლიის საფუძვლიანი პრეტენზია. სახელმწიფოში არსებულ ყველა კავშირს ან ცალკეულ პირს (ინდივიდს) ეძლევა იმ ზომის ფიზიკური იძულების უფლება, რა ზომითაც ამის ნებას მისცემს სახელმწიფო. ნათქვამი გულისხმობს, რომ იძულების ერთადერთი წყარო არის სახელმწიფო.**

საკმაოდ მძიმე სურათია, მაგრამ, როგორც „არაპოლიტიკო-

სი“ უინსტონ ჩერჩილი იტყოდა, სამწუხაროდ, უკეთესი რამ კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია.

პოლიტიკაში, როგორც წესი, სხვადასხვა მიზნით მონაწილეობენ. უფრო ზუსტად, სხვადასხვა ადამიანი ძალაუფლებას სხვადასხვა მიზნით ელტვის. ერთისთვის ძალაუფლების მოპოვების მიზანი არის სხვებზე ბატონობის შესაძლებლობა, სხვებისთვის — „ძალაუფლება ძალაუფლებისთვის“, ანუ ძალაუფლებით მინიჭებული უპირატესობის გრძნობით ტკბობა. არც ერთი და არც მეორე, ბუნებრივია, არ გამორიცხავს საქმის მაღალ დონეზე კეთების შესაძლებლობას, ისევე, როგორც არ გამორიცხავს საქმისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

პოლიტიკაში მოღვაწეობა, შესაძლებელია, იყოს შემთხვევითი, როგორც „დამხმარე“ საქმიანობა და ძირითადი, ანუ პროფესიული საქმიანობა.

„შემთხვევითი“ პოლიტიკოსია ყველა, ვინც მონაწილეობს არჩევნებში, პოლიტიკურ აქციებში, ტაშს უკრავს მიტინგზე, საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებს გამოთქვამს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, ან, თუნდაც, ციხის საკანში. მოკლედ, „შემთხვევითი“ პოლიტიკოსია კაცობრიობის ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობა.

„პროფესიონალებს“ შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა, ვინც პოლიტიკური საქმიანობისთვის ოფიციალურად ხელფასს იღებს.

ამ კამპანიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჟურნალისტებს. ისინი არ არიან პროფესიონალები, მაგრამ საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში. რაც მთავარია, სერიოზული ჟურნალისტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ პროცესებზე. ამიტომაც უწოდებენ მას მეოთხე ხელისუფლებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ „სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის“ გამო მთელ მსოფლიოში ჟურნალისტებს ხოცავენ კიდეც, ჟურნალისტიკის და ჟურნალისტების ზეგავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ძალიან სერიოზული უნდა იყოს.

ყველა ჭკუათმყოფელმა პოლიტიკოსმა შესანიშნავად იცის, რომ ჟურნალისტიკა არის უმთავრესი და ეფექტური საშუალება ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის. ამიტომ ისინი ძალიან უფრთხილდებიან ჟურნალისტებთან საკუთარ დამოკიდებულებას და სწორადაც იქცევიან. თუმცა, ჟურნალისტიკის ყბადაღებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიუხედა-

ვად, პოლიტიკურ წრეებს, პარტიებს, ცალკეულ პოლიტიკოსებს ხშირად მეტი გავლენა აქვთ მასმედიაზე, ვიდრე მასმედიას — პოლიტიკაზე. განსაკუთრებით, ეს თვალში საცემია ე. წ. „მესამე სამყაროში", რომელსაც, სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოც მიეკუთვნება. რა გაეწყობა, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ჟურნალისტებმა კი შეგვიძლია თავი მოვიტყუოთ, რომ ეს ზეგავლენა არ არის ცალმხრივი.

პოლიტიკა რომ პროფესიად გაიხადო, ამისთვის, ძირითადად, ორი მოტივაცია არსებობს:

1. იცხოვრო პოლიტიკით, ანუ პოლიტიკური მოღვაწეობა ცხოვრების წესად, სულიერ მოწოდებად აღიარო;

2. იცხოვრო პოლიტიკის ხარჯზე.

მსოფლიო ისტორიაში „პოლიტიკით ცხოვრების" მაგალითები ურიცხვია-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ საკმაოდ ბევრია. სანიმუშოდ, ალბათ, აბრაამ ლინკოლნის*, ბენჟამინ დიზრაელის*, ჯორჯ ვაშინგტონის, შარლ დე გოლის, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის*, გრიგოლ ლორთქიფანიძის*, უინსტონ ჩერჩილის, მარგარეტ ტეტჩერის, მაჰათმა განდის* და სხვათა სახელებიც საკმარისია. იგივეს ვერ ვიტყვი ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ერთ-ერთ უგამოჩინებულეს პოლიტიკოსზე, პერიგორ ტალეირანზე ან ისტორიაში უდიდესი და უძლიერესი იმპერიის შემქმნელ იოსებ სტალინზე. სულიერ მოწოდებასთან ერთად, ერთისთვის პოლიტიკა უზარმაზარი ქონების დაგროვების საშუალება იყო, მეორისთვის — განუსაზღვრელი ძალაუფლებით თრობის წყარო. მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე წარმატებების მოსაპოვებლად ერთი საკუთარ განსაკუთრებულ ალღოს, გონებამახვილობას, ადამიანის ფსიქოლოგიის და პოლიტიკური ინტრიგების ფილიგრანულ ცოდნას ეყრდნობოდა, მეორე კი ყველაფერ ამასთან ერთად — საკუთარ პოლიტიკურ უსინდისობას, სხვათა ადამიანურ სისუსტესა და უხეშ ძალას.

დიახ, შეგვიძლია დავეთანხმოთ თომას ჰობსს, მაქს ვებერს, სხვა დიდ მოაზროვნეებს და ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო არის ადამიანთა ნებაყოფლობითი ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე აგებული შენობა, რომელსაც განაგებს არჩეული პირი და რჩეულთა კრებული (უხეშად რომ ვთქვათ, პრეზიდენტი და პარლამენტი თავისი სამმართველო, სასამართლო, აღმასრულებელი და რეპრესიული აპარატების მეშვეობით). მაგრამ დღემდე არსებული მსოფლიო გამოცდილება იმასაც გვკარნახობს, რომ

იდეალურთან კი არა, სასურველთან მიახლოებული სახელმწიფო მართვის სისტემა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ არსებულა — რჩეულები (ბელადები, მონარქები, დიქტატორები, პრეზიდენტები, ოჯახები, კლანები, პარტიები, სინდიკატები) მუდამ პოულობდნენ აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მიმავალ გზებს. იმასაც ახერხებდნენ, რომ საკუთარი მოსახლეობა მართვის სწორედ ამგვარი (მაგალითად, ტოტალიტარული) წესის სხვაგვართან (დემოკრატიული) უპირატესობაში დაერწმუნებინათ. ან, უბრალოდ, დაერწმუნებინათ, რომ მართვის მოცემული წესი არის სწორედ ყველაზე დემოკრატიული.

სიტყვა „ტოტალიტარული“, ეტყობა, გონებაში შემთხვევით არ ამოტივტივებულა. თუ არ ვცდები, XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ცნობილმა ფილოსოფოსმა რაიმონდ არონმა ბერკლის (კალიფორნია) უნივერსიტეტში გამოსვლისას, ასეთი რამ ბრძანა: **„ჩვენი საუკუნის მთავარი საფრთხე, რა თქმა უნდა, არის ტოტალიტარიზმი — რეჟიმი, სადაც მონოპოლისტური პარტიული ორგანიზაცია ლამობს საკუთარ ძალაუფლებას დაუმორჩილოს მთელი ყოფა და, ამავდროულად, არსებობის უფლება წაართვას ყველა სხვა ორგანიზაციას“.**

შეგახსენებთ, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი ის პერიოდია, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის* „ბრძნული ხელმძღვანელობით“ დედამიწის თითქმის ნახევარზე „სრულად და საბოლოოდ“ გამარჯვებულად გამოცხადებულია სოციალიზმი და იწყება გამალებული ბრძოლა ოც წელიწადში ნანატრი კომუნიზმის დასამკვიდრებლად!

ხალხი? ის ადამიანები, ვინც თავის დროზე „ნათელი მომავლისთვის“ ბრძოლაში ზღვა სისხლი დაღვარა? — ის ხალხი — შეშინებული, მშიერი, მოტყუებული, უფლება და საკუთრებაწართმეული ხალხი მქუხარე ტაშით ხვდებოდა ბელადების და პარტია-ჰეგემონის უკლებლივ ყველა უაზრო და კაცთმოძულე გადაწყვეტილებას, მოითხოვდა ახალ-ახალი „მტრების“ მხილებას და სიკვდილით დასჯას; პარტიას, სოციალისტურ სამშობლოს, მშობლიურ ბელადებს ლექსებს და სიმღერებს უძღვნიდა; ღამით მშიერი კუჭით და დამთრგუნველი შიშით იძინებდა, რათა დილით, მაღაროში თუ მინდორში სამუშაოდ, კვლავ დროშების ფრიალით, მარშების გრიალით და ხელში ბელადების პორტრეტებით წასულიყო...

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენი კარგი ნაცნობი, ინგლისე-

ლი მწერალი ჯორჯ ორუელი. 1948 წელს გამოვიდა მისი რომანი „1984“. რომანში გასაოცარი სიზუსტითაა აღწერილი საბჭოთა სინამდვილე, სიცრუისა და დაშინების მანქანის კბილანებში მოყოლილი ადამიანების ხვედრი, თვით ამ დაუნდობელი მანქანის მოქმედების პრინციპი. ეს შემაძრწუნებელი სიმართლე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი ამ რომანში მაინც სხვა რამეა — თანდათანობით როგორ ეუფლება ადამიანის სხეულს და გონებას ყოვლისმომცველი პარტია-ჰეგემონი და, საბოლოოდ, ორივეს სპობს. რომანის ორივე მთავარი გმირი, უინსტონ სმიტი და ო'ბრაიანი — მსხვერპლი და ჯალათი, ორივე ერთნაირად უბედურია. ვისაც საბჭოთა რეჟიმის თარეშისას უცხოვრია, მისთვის ეს იოლი გასაგებია.

გთხოვთ, დაიმახსოვროთ — ორუელმა დაგვანახა, როგორ ეუფლება ტოტალიტარული სახელმწიფო ადამიანის სხეულს და გონებას და რა ტრაგედია მოსდევს ამას.

ეს რომანი, ისევე, როგორც მრავალი სხვა მხატვრული ნაწარმოები თუ მეცნიერული გამოკვლევა, იყო მოწოდება კაცობრიობისთვის — ადამიანებო, უფრთხილდით ტოტალიტარიზმს!

ბუნებრივია, ეს გაფრთხილება ახლანდელი თაობის (XXI საუკუნის დასაწყისს ვგულისხმობ) გასაგონადაც იყო ნათქვამი, გამგონმა გაიგო კიდეც (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ხალხებმა), მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ხმას საქართველოში ყური მოვუყრუეთ.

მე, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში ნაცხოვრები ადამიანი, XX საუკუნის მიწურულს დარწმუნებული ვიყავი, რომ რაიმონდ არონის სიფრთხილე ყოვლად უსაფუძვლო თუ არა, მეტისმეტად გადაჭარბებული მაინც იყო. ვფიქრობდი, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა საქართველოში ხელისუფლების უზურპაციას ვეღარ შესძლებდა. ჩვენ, ქართველები ხომ პირველები ვიყავით, ვინც სოციალიზმის ნანგრევებზე „ნამდვილი დემოკრატიის'' მშენებლობა დავიწყეთ! ოღონდ ჯერ სოციალიზმის ეპოქაში ჩვენივე ხელით და გონებით შექმნილი ყველა ფასეულობა ნაცარტუტად ვაქციეთ, ყველა ჭაში ჩავაფურთხეთ, ყველა საფრთხე დავივიწყეთ და შენება ისე დავიწყეთ.

და დავისაჯეთ კიდეც. იმ უბრალო მიზეზის გამო დავისაჯეთ, რომ არ ვიცოდით, ან არ გვინდოდა გვცოდნოდა, როგორი სახელმწიფო უნდა აგვეშენებინა და როგორ უნდა აგვეშენებინა.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ იმ ეპოქაში გონიერი საქართველო

აღარ არსებობდა, ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანები აღარ არსებობდნენ, ქართული ჟურნალისტიკა კი საკუთარი ქვეყნის მომავალს პრეზიდენტ შევარდნაძის ადმინისტრაციის ტუალეტიდან უყურებდა — არა, ყველა და ყველაფერი იყო, უბრალოდ, ხელისუფლებაში არ იყვნენ გულმხურვალე და გამჭრიახი ადამიანები. პრესაშიც ხშირად ქვეყნდებოდა ისეთი შინაარსის სტატიები, ახლა რომ შემოგთავაზებთ. იგი გაზეთ „დრონში„ გამოქვეყნდა 2001 წლის 27 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციამდე„ ზუსტად ორი წლით ადრე!

სტატიაში შეფასებულია იმდროინდელ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური ვითარება და ერთადერთი მოკლე წინადადებით მოცემულია დასკვნაც — „საქართველოს მრისხანე და დაუნდობელი პროლეტარული რევოლუცია უახლოვდება!„

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ სტატიაში მოცემული ყველა განსჯა საბოლოოდ მოცემული დასკვნის დასაბუთებას ემსახურება. ეს დასკვნა, შესაძლოა, ყოფილიყო სტატიის დასაწყისში, შუაში ან, სულაც, შესავალში — ეს, უბრალოდ, გემოვნების საქმეა. მთავარია, მტკიცებულებათა დამაჯერებლობა და სტატიის მკითხველზე ზემოქმედების ხარისხი, ერთი სიტყვით — ჟურნალისტის ოსტატობა. თუ შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, პრესაში გამოქვეყნებულმა ამ და ბევრმა სხვა პოლიტიკური პუბლიცისტიკის ჟანრის ნაშრომებმა მიზანს ვერ მიაღწია: მოხდა ის, რისიც ეშინოდა განათლებულ და პატიოსან საქართველოს — სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც ფარისევლურად დაერქვა რევოლუცია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან მედიის სრული უგულებელყოფაც იყო. საინტერესოა, რომ ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ ზუსტად ამ გზას დაადგა საკაშვილის „ჩემი გუნდიც“. ამიტომ სავსებით კანონზომიერი იქნება, რომ იგი ადრე თუ გვიან წინამორბედის ხვედრს გაიზიარებს.

რევოლუცია მოდის

ძალიან მიყვარს პირველობა. ვამაყობ, რომ პირველმა მე გამოვაცალე აგური უმტკიცესი კომუნისტური დუღაბით ნაგებ საბჭოთა იმპერიას — სამტრედიაში გადავუკეტე რკინიგზა და ეკონომიკურ ბლოკადაში მოვაქციე; პირველმა გამოვაცხადე

დამოუკიდებლობა და ავირჩიე პირველი პრეზიდენტი; პირველმა შევყავი თავი გრდემლსა და ურის შორის; პირველმა დავიწყე სამოქალაქო ომი და პირველი ვარ, ვინც იგი ვერ დავამთავრე; პირველი ვარ კაცობრიობის ისტორიაში, ვისაც თავის სარჩენად თვეში ექვსი დოლარი ჰყოფნის; მე ვარ პირველი კავკასიელი, ვინც გახდა ევროპელი...

კაცობრიობის წინაშე საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად კიდეც ბევრი არგუმენტის მოყვანა შემიძლია. მაგალითად, ასეთის: მე ყველაზე დამაჯერებლად ვცრუობ; ყველას გამორჩეულად ვუყვარვარ; ვარ ყველაზე მიმტევებელი ქრისტიანი; ყველაზე დიდი მებრძოლი (იეღოველთა და სხვა ანტიქრისტეთა წინააღმდეგ); ყველაზე დიდი პატრიოტი...

მაგრამ მაინც მთავარი ჩემი ღირსება გახლავთ ის, რომ ყველაზე დიდი კორუფციონერი ვარ!

იქნებ ზოგი რამ ბაქიაობად ჩამითვალონ, მაგრამ ამაში არავინ შემედავება: მართლაც ყველაზე დიდი კორუფციონერი ვარ. ამას მთელი მსოფლოო აღიარებს, თვით საქართველოს ხელისუფლებაც კი.

ამბობენ, რომ კორუფცია ცუდია; რომ სადაც კორუფციაა, იქ სახელმწიფო ვერ აშენდება, ოღონდ არ ამბობენ, რა არის კორუფცია და სად არის კორუფცია.

რადგან მე მსოფლიოში უმამაცესიც ვარ, გეტყვით ხმამაღლა: კორუფცია არის სახელმწიფო მოხელეთა ორგანიზებული, სისტემატიზებული მექრთამეობა. შესაბამისად, იგი სუფევს ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობითი სისტემების სხვადასხვა ეშელონში.

ანუ ამ გრანდიოზულ და უჩინარ ურჩხულს სულ ტყუილად ეძებთ ერგნეთის ან ელიავას ბაზრობებზე, „დეზერტირებზე“ და „ყაზბეგის“ ლუდხანებში. იგი უნდა ეძებოთ პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, მინისტრებისა და გენერლების გაკრიალებულ კაბინეტებში. თქვენ, ძვირფასო ხარაზებო, დურგლებო, ხუროებო, ზეინკლებო, გლეხებო, პოლიციელებო, ჟურნალისტებო, მწერლებო, მეცნიერებო და პარიკმახერებო, სულ ამაოდ ოცნებობთ, რომ ოდესმე კორუფციონერის საპატიო წოდებას მოიპოვებთ.

კორუფცია არ არის სამუშაოზე გამოუცხადებლობა, დავალების შეუსრულებლობა, შემოსავლების მალვა, კერძო პირისგან ზედმეტი გასამრჯელოს გამოძალვა, გაბერილი ჰონორარე-

ბის მოთხოვნა და მიღება, მზეთუნახავ ქალზე ოცნება და მისი ლოგინში ჩაწვენაც კი. კორუფცია არის ის, რაც უკვე მოგახსენეთ — ძალაუფლების გამოყენებით სახელმწიფო ან კერძო ქონების ორგანიზებული დატაცება. ძალაუფლების გამოყენებით! ვინაიდან კორუფცია მხოლოდ ჩინოსანი სახელმწიფო მოხელეებისა და მმართველობის სახელმწიფო სისტემებისათვის დამახასიათებელი ინფექციური დაავადებაა, მის წინააღმდეგ ბრძოლა არსებული კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობაზე მორგებული სახელმწიფო მაკონტროლებელი სტრუქტურების მეშვეობით შეუძლებელია. საქართველოს პრეზიდენტი მექრთამეობა-კორუფციას და სხვა „მავნე„ ტრადიციებს უხსოვარი დროიდან, გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ებრძვის. იცვლებოდნენ მთავრობები, კანონები, სახელმწიფო წყობილებები — რაიკომის მდივან შევარდნაძის, შინაგან საქმეთა მინისტრ შევარდნაძის, ცეკას მდივან შევარდნაძის, პრეზიდენტ შევარდნაძის თავდადებულმა ანტიკორუფციულმა ბრძოლამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ კორუფციის მასშტაბები უსაზღვროდ გაიზარდა და სახელმწიფო მმართველობის სისტემის უკლებლივ ყველა რგოლი მოიცვა.

აღმოჩნდა, რომ კანონების გასასტიკება (ავადსახსენებელი 96-ე პრიმა მუხლის ამოქმედება და მექრთამე-დამტაცებელთა სიკვდილით დასჯა), ნაირნაირი რეიდების და რაუნდების ჩატარება, ლოზუნგები და მოწოდებები, თანამდებობის პირთა ცვლა, სპეციალური ანტიკორუფციული კომისიების შექმნა, თვით საბჭოთა კავშირიდან გასვლა და დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი მხოლოდ სასურველის საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა — კორუფციის მასშტაბები იზრდება. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ შევარდნაძის ეპოქის საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი იყო შეცდომა. უფრო ზუსტად, ყველა ეს ნაბიჯი მიმართული იყო კორუფციის, როგორც შედეგის წინააღმდეგ. მისი მიზეზების ძიებაზე კი თავს დიდად არც იმ „უხსოვარ დროს„ იწუხებდა ვინმე და, სამწუხაროდ, არც ახლა იწუხებს. ძიებას არც ჰქონდა აზრი — კორუფციაზე აგებული მმართველობის საბჭოთა სისტემის პირობებში კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. ამას მეტ-ნაკლებად ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი ბელადი, იოსებ სტალინი ახერხებდა. როგორ ახერხებდა, მოდი, ამას ნუღარ გავიხსენებთ — სადარდო და სადავიდარაბო ისედაც ბევრი გვაქვს.

თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: რომ არ არსებობდეს გრანდიოზული კორუფცია, საქართველოს არ ეყოლებოდა ხელისუფლება — არც აღმასრულებელი, არც საკანონმდებლო, არც სასამართლო; არ ეყოლებოდა პოლიცია და პროკურატურა, არ ეყოლებოდა გამგებლები და რწმუნებულები...

მართალია, გულწრფელად არ გვინდა კორუფცია, მაგრამ უმისოდ არსებობაც რომ არ შეგვიძლია? პოსტკომუნისტური ეპოქის ერთადერთი ქართველი ჩინოვნიკი, ვინც გულახდილად ლაპარაკობდა „თავის„ უწყებაში კორუფციის მძვინვარებაზე, იყო შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე.

თითქმის არავინ (ჟურნალისტების გარდა) არ ლაპარაკობდა და არ ლაპარაკობს უშიშროების სამინისტროს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, პროკურატურის, სასამართლოს, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების, კონტროლის პალატის, მინისტრების, პარლამენტის წევრების, „აპარატჩიკების„ მექრთამეობაზე....

საქართველოში შექმნილი ვითარება არც ახალია და არც ისე ტრაგიკული, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს — მსგავსი გზა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გაიარა ან ახლა გადის. კორუფცია მეტ-ნაკლები დოზით მსოფლიოს თვით ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არსებობს. ამავე დროს, ამ ქვეყნებში არსებობს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები და ამიტომ ამ მომაკვდინებელი სენის ლოკალიზება, მისი რაღაც დონეზე შეჩერება შესაძლებელია. ანუ დასაშვებია მისი არსებობა გამონაკლისის და არა ცხოვრების წესის სახით.

ისტორიაც გვიდასტურებს, რომ საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზა, როგორც წესი, კორუფციაზე გადის. კორუფცია არის რევოლუციური გარდაქმნების აუცილებელი ატრიბუტი. ვერ გავბედავ თქმას და ამის არც საბუთი მაქვს, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე არის კორუნპირებული. სავსებით შესაძლებელია, იგი, პიროვნულად, უბრალო იყოს, მაგრამ იგი ნამდვილად არის კორუმპირებული მთავრობის მეთაური. ამას, ფაქტობრივად, თვითონაც აღიარებს, როცა ანტიკორუფციულ კომისია-კომიტეტებს ქმნის.

ბუნებრივი და კანონზომიერია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უკიდურესი გაჭირვებაც, ფინანსური ოლიგარქიის ჩამოყალიბებაც, ხალხის დრტვინვაც და ხელისუფლების დამხობის სურვილიც. ბუნებრივია ხელისუფლების ე. წ.

„რეფორმატორული“ ფრთის აქტიურობაც. თუმცა, მათი აქტიურობიდან ძალაუფლებისაკენ ლტოლვა უფრო გამოსჭვივის, ვიდრე ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვის სურვილი ვიყოთ რეალისტები: სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლი ახალგაზრდობის ენერგია და ვნება სწორედ „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ძალისხმევით გადაიზარდა ჯერ მთავრობის, მერე პრეზიდენტის გადადგომის, მერე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნებში. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციურად განწყობილი „ახალგაზრდა რეფორმატორების“ უსისხლო ბრძოლა პრეზიდენტთან „რევოლუციონერთა“ მარცხითა და შევარდნაძის მორიგი გამარჯვებით დამთავრდა. ესეც კანონზომიერია, რადგან „რეფორმატორების“ განზრახვა არ იყო გულწრფელი: ხალხი, ამ შემთხვევაში, სტუდენტობა მათ ჭირდებოდათ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის და არა მაღალი იდეალებისთვის. მათ მმართველობის სისტემის შეცვლა კი არა, არსებულ სისტემაში სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება სურდათ. რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად აირჩიეს კულუარული ბრძოლის მეთოდი, ანუ ის, რის ხელოვნებასაც ვირტუოზულად ფლობს მათი უშუალო ოპონენტი, ედუარდ შევარდნაძე.

ახალი პრეზიდენტი, ახალი პარლამენტი, ახალი მთავრობა საქართველოში არსებულ ვითარებას ვერ შეცვლის. უცვლელობა, სამწუხაროდ, არ ნიშნავს ადგილზე დგომას, არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას. ეს ნიშნავს ვითარების უკიდურესად დაძაბვას, ქვეყანაში რევოლუციური (პროლეტარული) განწყობის შექმნას და, საბოლოოდ, მრისხანე სოციალურ აფეთქებას.

ეტყობა, ხელისუფლებაში მყოფ „ძველებს“ პროლეტარული რევოლუციების მწარე ისტორიული გამოცდილება დაავიწყდათ, „ახლებმა“ კი ისტორია, საერთოდ, არ იციან, თორემ საკუთარ ხალხს და ქვეყანას თუ არა, საკუთარ თავებს მაინც გაუფრთხილდებოდნენ.

ლიბერალური დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე საქართველო არც პირველია და არც უკანასკნელი — ეს გზა თვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კი წამებით გაიარა. გამოსავალი საკმაოდ უბრალოა — ძირეული სამართლებრივი რეფორმები... და რაც შეიძლება სწრაფად: საქართველოს მრისხანე და დაუნდობელი პროლეტარული რევოლუცია უახლოვდება **(„დრონის“ ინფორმაცია).**

მარად ცოცხალი ლევიათანი

თავის უკვდავ ნაშრომში **(„ლევიათანი, ანუ მატერია, ფორმა და საეკლესიო თუ სამოქალაქო სახელმწიფოს ძალმოსილება“)** თომას ჰობსი სახელმწიფოს ასე განმარტავს (სხვათა შორის, მოგვიანებით ამ განმარტებას „მოკვდავი ღმერთის“ თეორია უწოდეს): ერთადერთი გზა, რომელიც ადამიანებს შიდა და გარე საშიშროებებისგან დაიცავს, მის გამოკვებას, მშვიდობას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს, არის ხალხის მიერ მთელი ძალაუფლების ერთი პირის ან პირთა ჯგუფისთვის გადაცემა. ეს ადამიანი, ან რჩეულთა კრებული არის ხალხის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი. ეს უფრო მეტია, ვიდრე თანხმობა ან ერთსულოვნება. ეს არის რეალური ერთობა, რომელიც განსახიერებულია თვითეულის შეთანხმებით ყველასთან ისე, რომ თვითეულს შეუძლია უთხრას სხვას: ამ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს გადავცემ მართვის საკუთარ უფლებას იმ პირობით, რომ შენც ასევე გადასცემ მას შენს წილ უფლებას და დაადასტურებ ყველა მის ქმედებას. თუ ასე მოხდა, ერთ პირად გაერთიანებულ უამრავ ადამიანს დაერქმევა სახელმწიფო (civitas). ასე იბადება მოკვდავი ღმერთი — ლევიათანი.

არჩეული ადამიანის ან საკრებულოს ხელში თავს იყრის უსაზღვრო ძალაუფლება. მისგან მოგვრილი შიში არჩეულ ადამიანს ან რჩეულთა კრებულს აიძულებს მთელი ხალხის ნება შინაგანი მშვიდობის დაცვისა და საგარეო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მიმართოს. ამ ადამიანში ან რჩეულთა კრებულში ძევს სწორედ არსი სახელმწიფოსი, რაც ასე უნდა განიმარტოს: **სახელმწიფო არის ერთიანი სახე, რომელსაც ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ყველა თავის ქმედებაზე პასუხისმგებლობა დააკისრა ადამიანთა უზარმაზარმა რაოდენობამ იმ ანგარიშით, რომ ამ პირმა (ან რჩეულთა კრებულმა) საჭიროების შემთხვევაში შეძლოს ყველა მათგანის ძალისა და საშუალებების გამოყენება.** შეგახსენებთ, რომ ეს გახლავთ თომას ჰობსის აზრი, ხოლო მისი ნაშრომი „ლევიათანი...“ დაწერილია 1851 წელს.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ამგვარ განმარტებას არ ეთანხმება ძალიან ბევრი მეცნიერი და მათ შორის მარი ნ. როტბარდი. მისი აზრით, **„სახელმწიფო არასდროს არ შექმნილა საზოგადოებრივი კონტრაქტის სა-**

ფუძველზე; იგი ყოველთვის დაპყრობისა და ექსპლუატაციის შედეგად ჩნდებოდა“.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ გენიალური ჰობსის დასკვნას — „ასე იბადება მოკვდავი ღმერთი — ლევიათანი (ანუ სახელმწიფო)“. ლევიათანი ბიბლიაში რამდენჯერმეა ნახსენები (ფსალმუნები, იობის წიგნი, ისაია). იგი წარმოდგენილია, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი გრანდიოზული ძალისა და ბოროტების განსახიერება. ხმელეთზე — ბეჰემოთის, ხოლო ზღვაში — ნიანგის მსგავსი უზარმაზარი ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული, რომელსაც, საბოლოოდ, ღმერთმა „თავი გაუჭეჭყა“.

ჩემი აზრით, ჰობსი სახელმწიფოს (შესაბამისად, სუვერენს) არ აიგივებს ლევიათანთან, როგორც ბოროტების, დაუნდობლობისა და ძალმომრეობის სიმბოლოსთან. სახელმწიფო-ლევიათანი, ამ შემთხვევაში, არის ყველა ადამიანის გაერთიანებული, ერთი მიზნისკენ მიმართული ძალ-ღონე, ინტელექტუალური და მატერიალური შესაძლებლობები, უზარმაზარი ძალა, რომლის დამარცხება მხოლოდ მისსავე შემოქმედს, ღმერთს, ხელეწიფება. სახელმწიფო ეფუძნება ადამიანთა საყოველთაო შეთანხმებას და მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული კანონიერების ფარგლებში. ჰობსის სახელმწიფო, მოკვდავი ღმერთი, არ არის ბოროტების საწყისი. როცა არჩეული პირის ან რჩეულთა კრებულის სუვერენიტეტი გადაიქცევა აბსოლუტურ და განუყოფელ საკუთრებად, რომელიც არ ცნობს ხელისუფლების განაწილების შესაძლებლობას, შედეგად ვიღებთ აბსოლუტისტურ სახელმწიფოებს, მაგალითად, საბჭოთა კავშირს, კუბას, ლიბიას, ერაყს და ა. შ. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ სახელმწიფოს ისეთ ტიპზე, რასაც XX საუკუნის განათლებულმა სამყარომ „ბოროტების იმპერია“ უწოდა.

სახელმწიფო ბოროტების წყაროდ მაშინ გადაიქცევა, როცა გაიგივდება, ან ერთმანეთში აირევა სამი უმნიშვნელოვანესი ცნება: ნაცია, პოლიტიკური საზოგადოება (კავშირი, პარტია) და სახელმწიფო.

ფრანგი ფილოსოფოსისა და პოლიტოლოგის, ჟაკ მარიტენის აზრით, ამ სამი ცნების აღრევა ან გაიგივება იყო თანამედროვე (იგულისხმება, XX საუკუნე) ისტორიის წყევლა.

ამ ცნებების გამიჯვნა რაიმე გადაულახავ სირთულეებთან დაკავშირებული სულაც არ გახლავთ — მეცნიერებამ მათ დიდი ხანია მიუჩინა ადგილი. მთავარი ის არის, რომ ცნებების აღრევა

ან გაერთიანება სურს აბსოლუტურ ძალაუფლებაზე მეოცნებე ხელისუფლებას და ამას, როგორც წესი, აკეთებს კიდეც.

მართალია, მარქსისტები თავის დროზე დაუნდობლად აკრიტიკებდნენ „მეფის ღვთაებრივ უფლებათა“ თეორიას (გაიხსენეთ ლუდოვიკო XIV უკვდავი გამოთქმა — „სახელმწიფო, ეს მე ვარ!“) თუმცა, სინამდვილეში, თვითონ ესწრაფოდნენ და შექმნეს კიდეც აბსოლუტისტური სახელმწიფო, რომელმაც, ვაჟას „მაოხრებელი მკვდარივით“, გარდაცვალების შემდეგაც კაცობრიობას ბევრი თავსატეხი გაუჩინა.

მე წარმოვადგენ იმ თაობას, რომელსაც უნივერსიტეტში სავალდებულო საგნებად ასწავლიდნენ სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია) ისტორიას, ისტორიულ მატერიალიზმს, მეცნიერული ათეიზმის თეორიას, მარქსიზმის „კლასიკოსების“ ნაშრომებს. ამიტომ, თუ ნებას დამრთავთ, მთავარი სათქმელის საილუსტრაციოდ, ვისარგებლებ ამ ცოდნით და გაგაცნობთ ზოგიერთ ყველაზე ცნობილ გამონათქვამს და მოწოდებას:

„ჩვენ ყოველი მხრიდან მტრებით ვართ გარშემორტყმული და თითქმის ყოველთვის მათ ცეცხლქვეშ მუშაობა გვიხდება.“

„ყოველი რევოლუციის მთავარი საკითხი არის ძალაუფლების საკითხი“.

„ჩვენ უნდა აგვეღო ძალაუფლება, რადგან არავის არ უნდოდა მისი დაცვა“.

„იმისთვის, ვინც პროლეტარიატის ინტერესების დაცვა იკისრა, ყველაფერი ნებადართულია“.

„სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მდიდრებს, მუქთახორებს და ბურჟუაზიულ მუქთამჭამელებს, ომი გაიძვერებს, წურბელებს და ხულიგნებს... ეს არის კაპიტალიზმით ნაკვები პარაზიტების ორი მთავარი წყება...

ამ მიმართებით გამოჩენილი ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი ყოყმანი, ყოველგვარი სენტიმენტალობა იქნებოდა უდიდესი დანაშაული სოციალიზმის წინააღმდეგ“.

ციტატები ამოღებულია ლენინის ნაშრომებიდან: „რა ვაკეთოთ“, „ორხელისუფლებიანობის შესახებ“, „როგორ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება“.

ლენინის ბოლო ამოსუნთქვიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 1977 წელს, „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ პრეამბულაში ასეთი რამ ჩაიწერა: „ეს არის (სა-

ბჭოთა) საზოგადოება, სადაც პატრიოტებმა და ინტერნაციონალისტებმა ორგანიზაციის, იდეოლოგიისა და შეგნების მაღალ დონეს მიაღწიეს; სადაც დაკანონებულია ყველას ზრუნვა თვითეულის კეთილდღეობაზე და თვითეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობაზე. ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატიის საზოგადოება, სადაც პოლიტიკური სისტემა ყველა სოციალური ძალის ეფექტური მართვის, სახელმწიფოს ცხოვრებაში მშრომელთა უფროდაუფრო აქტიური მონაწილეობის გარანტიას იძლევა; სადაც მოქალაქეთა თავისუფლებები და უფლებები განუყოფელია საზოგადოების წინაშე მათივე ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან".

საბჭოთა ლოზუნგები და მოწოდებებიც გავიხსენოთ:

„პარტია ჩვენი ეპოქის ჭკუა, ღირსება და სინდისია!"

„პარტია ჩვენი მესაჭეა!"

„კომკავშირი პარტიის ღირსეული ცვლაა!"

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — ახალი ერის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში!"

„სკკპ მიგვიძღვის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!"

„ჩვენი შრომითი ნობათი სკკპ ცკ-ის პლენუმს!"

საბჭოეთში კომუნისტური პარტია აღიარებულია თვით ღმერთზეც მაღლა მდგომ სუბსტანციად. პარტია ბრძენი, უმწიკვლო და ყოვლისშემძლეა, ძალისა და ენერგიის უშრეტი წყაროა, ჩვენი გონებისა და ქმედებების მესაჭეა (рулевой), სამართლიანობის და უსაფრთხოების გარანტია...

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დედამიწის ერთ მეექვსედზე ძალიან სწრაფად შეიქმნა და ადამიანების გონებაში ცეცხლით და მახვილით ჩაიჭედა სოციალურ-პოლიტიკური მითი ძლევამოსილ, გამარჯვებულ, მშრომელი ხალხის ინტერესების ერთადერთ დამცველ პარტიაზე, პარტია-ჰეგემონზე, საბოლოოდ — პარტია-სახელმწიფოზე. ანუ ერთ-ერთი პოლიტიკური კავშირი, კერძოდ, სკკპ თვითონ იქცა ჯერ ხელისუფლებად, შემდეგ — სახელმწიფოდ. სკკპ იქცა საბჭოთა ხალხის სინონიმადაც.

ეს არის სწორედ ცნებათა ის აღრევა, რისიც ასე ეშინოდა განათლებულ ევროპას.

ყურადღება მიაქციეთ იმ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს, რომ სკკპ არ ყოფილა ერთადერთი პარტია-სახელმწიფო იმდროინდელ ევროპაში — გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ცენტრა-

ლურ ევროპაში, გერმანიაში პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა კომპარტიაზე არანაკლებ ამბიციური ნაციონალ-სოციალისტური პარტია ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით.

თუ საბჭოთა კომპარტიის იდეოლოგია, ძირითადად, ინტერნაციონალიზმს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობაზე აგრესიულ ლაყბობას ეფუძნებოდა, ნაციზმი გერმანული რასის განსაკუთრებულობაზე, უპირატესობაზე და კაცობრიობის წინაშე მის ღვთიურ მისიაზე ქადაგებდა. რასაკვირველია, ისიც უკიდურესად აგრესიული ფორმით. რუსულ და გერმანულ პარტია-სახელმწიფოებს შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ მოტივაციაშია — ერთგან ინტერნაციონალიზმი, მეორეგან — რასიზმი, თუმცა, ერთიც და მეორეც, საბოლოოდ, არის PR-ტექნოლოგია საკუთარი ნამდვილი (მონოპოლისტური, ტოტალიტარული) ზრახვების შესანიღბად და უსასტიკესი პარტია-სახელმწიფოს შესაქმნელად.

კომუნისტურ და ნაცისტურ მმართველობით რეჟიმებს შორის მსგავსება, უბრალოდ, გასაოცარია — დროშების ფრიალი, აღლუმები, პომპეზური თავყრილობები, ბელადების გამოსვლები, ახალგაზრდული ორგანიზაციები (კომკავშირი — ჰიტლერიუგენდი) და ბანაკები, გრანდიოზული მშენებლობები, ფეიერვერკები, მარშები, მილიტარისტული ლოზუნგები, თავბრუდამხვევი „გამარჯვებები“, მოწოდებები და, რა თქმა უნდა, მტრები, მტრები, მტრები!...

არაფერი მითქვამს რეკვიზიციებზე (ერთგან — ბურჟუები და კულაკები, მეორეგან — კომუნისტები, ებრაელები, პოლონელები, სლავები) და ინტელიგენციის დევნაზე...

ამ გასაოცარ მსგავსებაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ვთქვა: **ნაციზმი და კომუნიზმი, ნაცისტური და კომუნისტური პარტია-სახელმწიფოები არ ყოფილა კერძო შემთხვევა, ეს იყო ისტორიული კანონზომიერებებით განპირობებული მოვლენები. რაც მთავარია, მინდოდა მეთქვა, რომ კომუნიზმი არ მომკვდარა სტალინის გარდაცვალების ან მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლისთანავე. არც ნაციზმი მომკვდარა ნიურბერგის პროცესის დამთავრებისთანავე.**

პარტია-სახელმწიფოები XX საუკუნის მსოფლიოში საშიშრად ბევრი იყო. მათი რიგები შესამჩნევად გაიზარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხარჯზე. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ XXI საუკუნის დასაწყისში საკუთარი თვა-

ლით ვუყურე „დამოუკიდებელი და სუვერენული“ საქართველოს ტოტალიტარული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს.

როგორც ადრე ბევრჯერ გავიმეორე, ყველაფერი დაიწყო ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციით“. პრეზიდენტ შევარდნაძის მშიშარა და, სავარაუდოდ, კორუმპირებულმა ხელისუფლებამ ძალაუფლება, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ სასარგებლოდ. ხელისუფლების რევოლუციურ ცვლას დაუყოვნებლივ მოჰყვა ისტორიიდან კარგად ცნობილი ფაშისტურ-კომუნისტური სერიული „წმენდები“, მძლავრი რეპრესიული აპარატის ჩამოყალიბება, დასმენის უცხო და ამაზრზენი სისტემისა და თაობებს შორის ხელოვნური დაპირისპირების შექმნა, სახელმწიფოებრივ დონეზე მეცნიერების და, საერთოდ, ინტელიგენციის სრული უგულებელყოფა, გაუთავებელი კონსტიტუციური ცვლილებები ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, პოლიციისთვის უსაზღვრო უფლებების მინიჭება, პარლამენტის სრული სტაგნაცია, ნაციონალური (მმართველი) პარტიის გაფეტიშება, ოპოზიციური აზრის უგულებელყოფა-გატრიზავება, მილიტარისტული დემარშები, საჩვენებელი მკვლელობები, არარსებული გამარჯვებებით ტრაბახი, ყველა წინა ხელისუფლების უმსგავსი და გაუთავებელი ლანძღვა-გინება, საზოგადოებისთვის ცრუ-ინტელიგენციის შეჩეჩების მცდელობები, რეფორმების საფარქვეშ განათლების სისტემის და სასამართლო ხელისუფლების სრული პოლიტიზაცია, ყოვლად უსაფუძვლო ამბიციები საგარეო პოლიტიკაში, „კარგი ხელისუფლების“ სინდრომი, ბოლოს — ბელადომანია და ნაცისტურ-კომუნისტური ლოზუნგ-მოწოდებები...

შორს მიმავალი დასკვნების გამოსატანად არა, მაგრამ ისე, განსჯისთვის ერთ ისტორიულ ანალოგიას შეგახსენებთ: 1933 წლის 30 იანვარს ცხოვრებისგან დაღლილმა პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა ხელისუფლება გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას და მის ბელადს, ადოლფ ჰიტლერს ჩააბარა. ამაზე ისტორიკოსები დღემდე კამათობენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს გადაბარება არ მომხდარა მრავლისმნახველი გრაფის წრფელი სურვილით. მან დაახლოებით მაინც იცოდა, რა განსაცდელი ელოდა გერმანიას ნაციონალ-სოციალისტების სახით, მაგრამ სისხლისღვრას მოერიდა და ხელი ჩაიქნია. გერმანელთა უმრავლესობის აზრიც გაითვალისწინა. იმ უმრავლესობისა,

რომელიც გერმანიის „გაბრწყინებაზე“ ოცნებობდა და თავდავიწყებით გაჰკიოდა — ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!

2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ხელისუფლება მშვიდობიანად გადააბარა საქართველოს ნაციონალურ პარტიას და მის ბელადს, მიხეილ სააკაშვილს — ისიც სისხლის ღვრას მოერიდა და ხელი ჩაიქნია. ქართველთა უმრავლესობის აზრიც გაითვალისწინა. იმ უმრავლესობისა, რომელიც საქართველოს „გაბრწყინებაზე“ ოცნებობდა და თავდავიწყებით გაჰკიოდა — მიშა! მიშა! მიშა!..

ორივე შემთხვევაში, საღ აზრზე ეგზალტირებულმა ბრბომ იმძლავრა, მაგრამ ამჯერად კაცობრიობას გაუმართლა, რადგან 1933 წლის შემდეგ 70 წელიწადს ჩაევლო, თანაც, საქართველო არ იყო ცენტრალური ევროპის 60-მილიონიანი ქვეყანა.

გრაფი ჰინდენბურგი 1934 წელს, 87 წლისა გარდაიცვალა. მან ვერ ნახა, რა უბედურება მოუტანა კაცობრიობას მისმა მშვიდობისმოყვარულმა ჟესტმა — ხელისუფლების ნებაყოფლობით დათმობამ.

2006 წელს პრეზიდენტ შევარდნაძეს 76 წელი შეუსრულდა. მან საკუთარი თვალით ნახა, რა განსაცდელი მოუვლინა სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა პარტიამ საქართველოს. ვწუხვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ მთავარი განსაცდელი მაინც წინ გველის. შევარდნაძე, ღვთის ნებით, იმასაც ნახავს და ეს არის მისი ტრაგედია. ამას იმ ჟურნალისტების და ისტორიკოსების, ყველა იმ ადამიანის საყურადღებოდ ვამბობ, ვინც ოდესმე XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში გარკვევას მოინდომებს...

1945 წლის ადრიან გაზაფხულზე მესამე რაიხში ბოლო ტოტალური მობილიზაცია გამოცხადდა. თოფქვეშ დადგა 14-დან 70 წლამდე ასაკის ყველა გერმანელი მამაკაცი.

სულიერად და ფიზიკურად გატეხილი ფიურერი 14-15 წლის ბიჭებისგან შემდგარ „შერენგას“ მიუყვება და ლოყაზე ხელს უთათუნებს მისგანვე სასიკვდილოდ განწირულ მცირეწლოვან „ჰიტლერიუგენდელ“ ჯარისკაცს. ჯარისკაცები სმენაზე დგებიან, მარჯვენა ხელს გაშლილი მტევნით თავს ზემოთ სწევენ და სათაყვანო ფიურერს ესალმებიან — ჰაილ ჰიტლერ!...

2006 წლის ოქტომბერში მშიერი საქართველოს ახალგაზრდა, მხნე, ენერგიული პრეზიდენტი პირზე ბედნიერების ღიმილდაფრქვეული თბილისის ერთ-ერთ რუსულენოვან სკოლას სტუ-

მრობს. პრეზიდენტის შესახვედრად სკოლის კიბეებზე, ორივე მხარეს, ახალთახალ სასკოლო ფორმებში გამოწყობილი 6-7 წლის გოგო-ბიჭები ჩამწკრივებულან. პრეზიდენტი ერთ-ერთს უახლოვდება და ლოყაზე ხელს ალერსიანად უთათუნებს.

ბავშვები ერთხმად ესალმებიან სათაყვანო პრეზიდენტს:

— მიშა, მიშა!..

2006 წლის შემოდგომაზე ნაციონალური პარტიის (დაუკვირდით!) ინიციატივით, თბილისში გაიმართა გრანდიოზული ფოლკლორული ფესტივალი კოდური სახელწოდებით... „ნაციონალური ხმა“.

ძალაუფლების სრული უზურპაციის პროცესი, სიმბოლურად, ამით დასრულდა.

ჩვენ გადავთხარეთ!...

2003 წლის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები ძალიან ჰგავს 1917 წლის შემდეგ რუსეთში და 1933 წლის შემდეგ გერმანიაში განვითარებულ მოვლენებს. მსგავსია ძალაუფლების უზურპაციისთვის ბრძოლის ტექნოლოგიები და, რაც მთავარია, მსგავსია შედეგები — სახელმწიფოთა ტიპი.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს და XX საუკუნის 30-იანი წლების გერმანიის რეჟიმების ქმედებები თვით უმცირეს დეტალებშიც კი ემთხვევა ერთმანეთს: ხალხმრავალ მიტინგებზე ფიურერების სიტყვაუხვი და არაფრისმთქმელი გამოსვლები; ახალგაზრდების გადაბირება და გარყვნა ძალაუფლებით; დემონსტრაციული „ხალხში გასვლები“; პომპეზური დღესასწაულები, მათ შორის — ღამღამობითაც; ინფორმაციებით მანიპულაციები; ქუჩებისა და მოედნებისთვის „ვარდების რევოლუციის“ ჩინიანი და უჩინო „მოღვაწეების“ სახელების დარქმევა; გრანდიოზული ძეგლების მშენებლობა; მოაზროვნეთა უგულებელყოფა და დევნა; ბრძოლა რეალობის წინააღმდეგ...

ორიოდე სიტყვით სწორედ ამ უკანასკნელზე შევჩერდები. ყველა ტოტალიტარული რეჟიმი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, იძულებულია, უპირველეს ყოვლისა, შექმნას მძლავრი რეპრესიული აპარატი — არმია, სპეციალური და საიდუმლო სამსახურები, პოლიცია, აგენტურული ქსელი, „საკუთარი“ სასამართლო სისტემა და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი „თავისუფალი“ მასმედია. ყველაფერი ეს მოითხოვს ძალიან დიდ თანხებს.

დაუმატეთ ამას სანახაობები, რიტუალური მშენებლობები, დაგეგმილი „გამარჯვებები“, არჩევნები და მრავალი სხვა ბიუჯეტში ოფიციალურად ვერგასათვალისწინებელი ხარჯი.

ძალიან სწრაფად ფულის შოვნის ერთადერთი გზა არის საკუთარი მოსახლეობის ძარცვა. ასე იქცეოდა ჰიტლერის ხელისუფლებაც და სტალინისაც. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა თავისუფლებანაჩუქარი საქართველოს ხელისუფლებასაც — 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში ტოტალური რეკვიზიციების ეპოქამ დაისადგურა. რუსეთის, გერმანიის, ბელორუსის, ყაზახეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს საკმაოდ მწირი მატერიალური რესურსები მალე გამოილია. „მეგობარი ქვეყნების“ დახმარება სიმბოლური აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ვერავითარი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მატერიალურ მდგომარეობაზე. ამიტომ საჭირო გახდა ახალ-ახალი შინაური და გარე მტრების აღმოჩენა, ყველა უბედურების მათზე გადაბრალება და პროპაგანდისტული მანქანის მთელი ძალით ამუშავება. შინაური მტრები, რა თქმა უნდა, მალე და მრავლად გამოინახა — ოპოზიციურ პარტიებში, წინა ხელისუფლების მომხრეებში, ბიზნესმენებში, ინტელიგენციაში, სახელმწიფო სტრუქტურებში, თვით მმართველ პარტიაში და საპარლამენტო უმრავლესობაშიც კი.

ქვეყნის უდიდეს და პირსისხლიან მტრად, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი დაისახა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კენიგსბერგიდან (კალინინგრადიდან) ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულ რუსეთთან ჩვენი მარადიული მეზობლობა ღმერთმა ინება, მასთან ურთიერთობების გაფუჭებით, თითქოს, დაინტერესებული არავინ არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, რეალობის წინააღმდეგ ბრძოლა ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

აღარაფერს ვამბობ პრეზიდენტ სააკაშვილის საჯარო გამონათქვამებზე, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება, ზოგჯერ აშკარად აჭარბებს კიდეც ლენინის ზემოთ მოყვანილ გამონათქვამებს. განსაკუთრებით, ეს ეხება კატეგორიულ მოთხოვნებს „დამნაშავეთა“ ლიკვიდაციაზე, პარლამენტის მიერ მისთვის სასურველი კანონების მიღებაზე („ვინც ამ გადაწყვეტილებას ხმას არ მისცემს, პირადად ჩემთან ექნება საქმე“) და ა. შ.

ლენინი თავის მოწინააღმდეგეებს ასე მოიხსენიებს: „ხულიგნები, სისხლისმსმელები, მუქთახორები, მორიელები, საზიზღარი მწერები...“

სააკაშვილს, სავარაუდოდ, ლენინის ნაშრომები არ უსწავლია, მაგრამ თავის ოპონენტებს მაინც ლენინისეული ეპითეტებით ამკობს: „მჩმახავები, ცრუპენტელები, მექრთამეები, დამნაშავეები, უსაქმურები, წურბელები, სინდისგარეცხილები, ცრუ მეცნიერები...“

საინტერესოა ისიც, რომ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ (შეგახსენებთ: ადოლფ ჰიტლერის პარტიას „ნაციონალ-სოციალისტური“ ერქვა!) ხელისუფლების სათავეში ისე მივიდა, ქვეყნის განვითარების არავითარი ეკონომიკური გეგმა არ ჰქონია. მეტიც, მსგავსი დოკუმენტი არც ხელისუფლების სრული უზურპაციის შემდეგ არ წარმოუდგენია. მთელი გეგმა ორიოდე მაგიური სიტყვით ითქმის — ჩვენ გავაკეთებთ!

ბუნებრივია, რეალობა წინააღმდეგობას უწევს ძალადობას. ცხოვრება თავისას მოითხოვს — ეკონომიკის განვითარების კანონზომიერება ვერ ჰგუობს კარჩაკეტილობას. ტოტალიტარულ პარტია-სახელმწიფოს ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყოველდღე მეტი და მეტი რესურსი სჭირდება. ამიტომ იგი სასწრაფოდ და დაუფიქრებლად ჰყიდის ქვეყანაში არსებულ ყველა მატერიალურ ფასეულობას, ამკაცრებს რეკვიზიციების პროცესს („სოციალისტური ამოღების“ პოლიტიკა!), ეძებს და პოულობს ახალ-ახალ მტრებს.

ახალგაზრდა „პატრიოტების“ თანხლებით, პრეზიდენტი ხშირად ჩნდება უკვე საბოლოოდ გატეხილ-დამორჩილებული ქართული ტელეარხების ეკრანებზე და მუქარანარევი ტონით დიდაქტიკურ ტირადებს წარმოთქვამს, რომლებსაც მუდამ ერთნაირად იწყებს: „მე უნდა გითხრათ თქვენ, რომ... თქვენ უნდა იცოდეთ, რომ...“ და მუდამ ერთნაირად ამთავრებს: „რაც არ უნდა იყიყინოს ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ, დაწყებულ საქმეს მივიყვანთ ბოლომდე... არსად — ევროპაში, ბალტიისპირეთში, პეტერბურგში, პარიზშიც კი არ არის ამ დონის სკვერები, სათამაშო მოედნები, შადრევნები... მტრების ჯინაზე, ჩვენ კიდევ უფრო გავანათებთ ქუჩებს, დავაგებთ ასფალტს... ჩვენ გვყავს შესანიშნავი საპატრულო პოლიცია და ბრწყინვალედ მუშაობს ჩვენი გენერალური პროკურორი... რუსებს ეგონათ გაგვტეხა-

ვდა, ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრებდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერ მივართვით... ვინ გვიცნობდა ჩვენ? — არავინ. ჩვენ გაგვიცნო მსოფლიომ ჩვენი რევოლუციით... ჩვენ გავხსენით ასი უფასო სასადილო, გადავთხარეთ ასი ქუჩა, ავაშენეთ ასი ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონი...“

არავითარი მინიშნებაც კი მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობის უმძიმეს სოციალურ პირობებზე, ქვეყნიდან მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური ნაწილის მიგრაციაზე, ეკონომიკის კრახზე, მიტოვებულ სოფლებზე, გრანდიოზულ უმუშევრობაზე... არცერთი სიტყვა ქვეყანაში რეალურად არსებულ ვითარებაზე.

ძალიან საგულისხმოა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ „რთველის მინისტრად“ დანიშნული სამხედრო მინისტრის, „ფელდმაჭარ“ ოქრუაშვილის მრავალთაგან ერთი საჯარო განცხადება კახელი გლეხების მისამართით და საქართველოს ყველა მოქალაქის გასაგონად: „ყველა მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის. თუ ვინმე მიტინგებს მოაწყობს, ჩვენ ადექვატურ ზომებს მივიღებთ. ფრთხილად იყავით, მთელი თქვენი ნაშრომის ციხეებში მიტანა არ დაგჭირდეთ“.

საზოგადოების ნაწილი, დაახლოებით 12-15 პროცენტი, მაინც მხარს უჭერდა არსებულ ხელისუფლებას. ეს გამოჩნდა 2006 წლის ოქტომბერში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებზე, სადაც ამომრჩეველთა დაახლოებით 32 პროცენტი გამოცხადდა და უმრავლესობამ მხარი პარტია-ჰეგემონის კანდიდატებს დაუჭირა. აქ მოქმედებს ორი ძველი და ნაცნობი სინდრომი — „ეს თუ არა, მაშ ვინ?“ და „შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველ ლხინს“. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ხელისუფლების მიერ არჩევნებისთვის საკუთარი ადმინისტრაციული რესურსებისა და საბიუჯეტო სახსრების, უმძლავრესი პროპაგანდისტული მანქანის შესაძლებლობების განუკითხავი გამოყენება და შიშის სინდრომიც.

საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მიღებული სურათი დაახლოებით ასეთი იყო: ძალაუფლების სრული კონცენტრაცია პარტია-სახელმწიფოს ხელში, ლიდერის (პრეზიდენტი) კულტი, ძალადობისა და დაშინების სამეფო, ადამიანური ურთიერთობების გახრწნა, „შეთქმულთა“ წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისკენ გაუთავებელი მოწოდებები, საკუთარი გამარჯვებებით და უძლეველობით ტრაბახი, მასმედიის (ძირი-

თადად, ტელეარხების) თითქმის სრული მონოპოლიზაცია, „ჩაშვების“ ინსტიტუტების ამოქმედება, სასამართლო სისტემის შს სამინისტროსთვის დაქვემდებარება, შიშისმომგვრელი სპეციალური რაზმების განუკითხავი თარეში, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წმინდა წყლის ფორმალობად გადაქცევა...

პარტია-სახელმწიფო (ნაციონალური მოძრაობა) საკუთარ მოქალაქეებს არაორაზროვნად ეუბნება: „მე ვარ ძალა, მე ყველაფერი შემიძლია. შენ, ინდივიდი, პარტია-სახელმწიფოს წინაშე ხარ არარაობა!“

როგორც ოდესღაც გერმანიაში, რუსეთში და სხვაგან, რევოლუციურმა რეჟიმმა XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში ადამიანი გადააქცია რეჟიმის მონად. როგორც ჯორჯ ორუელმა დაგვანახა, ეს ეხება მსხვერპლსაც და ჯალათსაც — რეჟიმის მონად იქცა ყველა ქართველი მინისტრი, პარლამენტის წევრი, ბიზნესმენი, მდიდარიც და უქონელიც.

სამწუხაროდ, „სარდლებად დადგენილმა ბიჭ-ბუჭებმა და ქარაფშუტებმა“ ახალგაზრდობის, გამოუცდელობისა და, უბრალოდ, უვიცობის გამო, საკუთარი სავალალო მდგომარეობა ვერ დაინახეს. გამოცდილებმა და გონიერებმა კი შიშის გამო ხმა თავად ჩაიგდეს, ან ხმა ძალით გააკმენდინეს, ან ხმა აღარსად მიუწვდებოდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ყველა ხელისუფლებამ, თავისთვისაც მოულოდნელად, მოქმედების უსაზღვრო თავისუფლება მიიღო. უსაზღვრო თავისუფლებას, როგორც ცნობილია, უსაზღვრო ტირანიამდე, აბსოლუტურ ძალაუფლებამდე მივყავართ. აბსოლუტური ძალაუფლება კი, მოგეხსენებათ, აბსოლუტურად რყვნის.

რასაც საქართველოს მაგალითზე ვამბობ, სავსებით შეესაბამება ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას. იქაც არიან ადამიანები, ვისაც მსგავსი პრობლემები აწუხებთ და ამის შესახებ წერენ კიდეც. მე, საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს მომავალი მაშფოთებს და მინდა, რომ ამაზე ჩემმა თანამოქალაქეებმაც იფიქრონ. იფიქრონ ახლაც და მომავალშიც, რადგან აბსოლუტური ძალაუფლების სიყვარული მხოლოდ ჩემი თანამემამულეების ან მხოლოდ ჩემი ეპოქის სენი არ გახლავთ. იგი მარადიულია და კაცობრიობას თავს კიდევ ბევრგან და კიდევ ბევრჯერ შეახსენებს.

საქართველოს რუსული პოლიტიკა და ქართული ჟურნალისტიკა

იმის გამო, რასაც ახლა ვიტყვი, ჩემი თანამედროვე პარტია-სახელმწიფოს წარმომადგენლები, ოპოზიციონერები და გაალმასებული ურა-პატრიოტები უთუოდ შემაჩვენებენ. ამიტომ მოვასწრებ და ქვეყნის გასაგონად დავიყვირებ: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ძირს რუსეთის ბოროტი იმპერია!

1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა. თვრამეტი წლით ადრე რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით მოვლენათა ამგვარი განვითარება გათვალისწინებული არ ყოფილა. ახალგაზრდა, დიდმპყრობელური ჟინით შეპყრობილმა რუსულმა იმპერიამ ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე პატარა საქართველო ისე გადაყლაპა, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულება არც გახსენებია. ერთ დროს ძლიერი და აყვავებული, ახლა კი დაშლილ-დაუძლურებული ქვეყანა რუსეთის უკიდეგანო იმპერიის შორეულ პროვინციად იქცა.

ამიერ და იმიერ (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოში სასწრაფოდ გაუქმდა მეფობა და ავტოკეფალური ეკლესია. დაიწყო ქართული სამეფო-სამთავროების შემომტკიცება. სამიოდე წელიწადში ყველაფერი დამთავრდა: აღარც მეფე, აღარც მთავარი, აღარც სამეფო კარი, აღარც სახელმწიფო, აღარც საზრუნავი... იმ ნარჩენებს, რასაც ოდესღაც საქართველო ერქვა, ამიერიდან რუსი დაეპატრონა!

ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) დედაქალაქად გამოცხადებულ ტიფლისში რუსი გენერალ-გუბერნატორი მორჭმით დაჯდა. რუსი სალდათი ყველაზე საშიშ და ყველაზე საპატივცემო პერსონად იქცა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის წიგნი ორასი წლით დაიხურა.

აი, წავიკითხე ეს სიტყვები და ტანში მეც თქვენსავით გამცრა.

ბარემ ისიც ვთქვათ, რა მიიღო რუსეთის ყოვლისშემძლე იმპერატორმა, ალექსანდრ პავლოვიჩმა, საქართველოს სახით: დაახლოებით 700 000-იანი მოსახლეობა; ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ქართული სამეფო-სამთავროები; გაუთავებელი ლეკიანობა; ადამიანებით ვაჭრობის ტრადიცია; საქართველოსადმი აშკარად მტრულად განწყობილი მეზობლების კამპანია; არცერთი საერო სკოლა, საშუალო-

ტექნიკური, ან უმაღლესი სასწავლებელი; არცერთი ფაბრიკა ან ქარხანა, არცერთი ბიბლიოთეკა, არცერთი მანუფაქტურა და ადმინისტრაციული შენობა; საზღვრები — მორღვეული, ჯარი — დაფანტული, გზები — დანგრეული, სოფელი — დაქცეული, ხაზინა — ცარიელი, იმედი — გადაწურული.

ამის გარდა, არ არსებობდა ცენტრალიზებული ან ადგილობრივი სამმართველო სტრუქტურები, სასამართლო სისტემა, საკანონმდებლო ბაზა; რაც მთავარია, არ არსებობდა მყარი საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აუცილებლობაზე.

ასეთი იყო ჩვენი ისტორიის ეს უნუგეშო მონაკვეთი.

ბებერი საქართველო ბედნიერი და აყვავებული ქვეყანა რომ ყოფილიყო, ახალგაზრდა და ამბიციური რუსული იმპერია, სურვილის შემთხვევაში, მის დამორჩილებას მაინც შეძლებდა. ისევე, როგორც ოდესღაც ეს მოახერხეს სპარსელებმა, არაბებმა, მონღოლებმა თუ ჯალალედინმა. მაგრამ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე, საქართველოს უკანასკნელი ძლიერი ხელისუფლის, ერეკლე მეორის კატასტროფული მარცხისა და ქვეყნის სულიერი და ფიზიკური გაპარტახების შემდეგ, მართლმადიდებელი რუსული იმპერია საქართველოსთვის ერთადერთი ნუგეში იყო.

დიდმა იმპერიამ საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დიდ ნაწილს საზღვარი შემოავლო და მას საქართველო უწოდა; შექმნა ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები, მართვისა და რეპრესიული სისტემები; სასამართლო სისტემა, საკანონმდებლო ბაზა. დაიწყო სკოლებისა და სხვა საგანმანათლებო სტრუქტურების მშენებლობა, სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურების აღორძინება, ქალაქმშენებლობა, ახალგაზრდა ქართველ თავადაზნაურთა გაგზავნა სასწავლებლად იმპერიის ინტელექტუალურ და ადმინისტრაციულ ცენტრებში; გამოიცა პირველი გაზეთი, რასაც 1828 წელს სოლომონ დოდაშვილის მეცადინეობით, ჯერ პირველი რუსულენოვანი ქართული გაზეთი („ტიფლისსკიე ვედემოსტი“), მალევე კი ქართულენოვანი „ტფილისის უწყებანი“ მოჰყვა...

იმპერია ატარებდა აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას — კანონმდებლობაც რუსული იყო, მმართველობის სისტემაც, საკანონმდებლო ბაზაც, სწავლებისა და სამოხელეო ენაც, სახელმძღვანელოებიც, ჯარიც, ჩაცმულობაც და მიხვრა-მოხვრაც.

ყველაფერი ეს კარგს არაფერს უქადდა ქართულ კულტურას და, საერთოდ, საქართველოს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმპერიის მხრიდან მისი ერთ-ერთი სამხრეთული პროვინციის სასწრაფო რუსიფიკაცია იყო ერთადერთი სწორი პოლიტიკა... იმპერიისთვის. რუსეთი საქართველოში (და უკლებლივ ყველა სხვა დაპყრობილ თუ „შემოერთებულ“ ტერიტორიაზე) ატარებდა იმ პოლიტიკას, რაც მისაღები და სასარგებლო იყო რუსული იმპერიისთვის. თუ გნებავთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რუსეთი აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე — პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ციმბირში, შუა აზიაში, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში; იყენებდა ამ პოლიტიკის შესატყვის ტექნოლოგიებს ძალადობის ჩათვლით. მწარედ ცდება, თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსებს საქართველოში ქართული სკოლები უნდა ეშენებინათ, კანონმდებლობა ისტორიულ ქართულ სამართლებრივ ძეგლებზე და ადათებზე უნდა დაეფუძნებინათ, ქართული არმია და პოლიცია უნდა შეექმნათ, სიღნაღში, კავთისხევში და საჯავახოში ქართული უნივერსიტეტები უნდა გაეხსნათ, ქართული ინტელიგენციისა და ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ჩამოყალიბებაზე უნდა ეზრუნათ...

ასეთი რამ ისტორიაში არასდროს არ მომხდარა და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მომავალშიც არასდროს არ მოხდება. ხოლო, რაც საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ მოხდა, მსოფლიო ისტორიაში კიდევ ბევრჯერ განმეორდება. რაღა შორს მივდივართ: ამერიკელებთან დამეგობრებიდან რაღაც ხუთიოდ წელიწადში მთელი ქართული მთავრობა ინგლისურად „აჟღურტულდა“, ინგლისურენოვანი საბავშვო ბაღები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნა; ქართველები სასწავლებლად ოკეანის გაღმა დაიძრნენ; ჯარი და პოლიცია ამერიკულ ყაიდაზე გაეწყო; კანონმდებლობა ევრო-ამერიკული დაფუძნდა; ქართულ-რუსული აბრები ინგლისურით შეიცვალა; რუსულენოვანის ნაცვლად, ინგლისურენოვანი ჟურნალ-გაზეთები გამოვიდა; მელაანის ქუჩას თბილისში უმცროსი ჯორჯ ბუშის სახელი დაერქვა; ძველი მიწათმოქმედები მეტრდოტელებად, „სტილისტებად“, პორტიეებად და ხელზე მოვაჭრეებად, ქართველი ბიჭები — მამლუქებად, გოგოები — „ოპერმედხენებად“ და მეძავებად იქცნენ...

ოდესღაც რუსი ჯარისკაცის ხიშტით გაერთიანებულ და XXI საუკუნემდე მოტანილ საქართველოს (სადაც 1990 წლისთვის

ხუთი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა!) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველწლიურად ასი ათასობით მოქალაქე ტოვებდა და ვინც რჩებოდა, თვალი მასაც გაქცევაზე ეჭირა. ნუ გაგიკვირდებათ და, წამსვლელთა ნახევარზე მეტი ყოფილ „იმპერიაში“, რუსეთში დამკვიდრდა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. ფუნქცია დაკარგულ საქართველოში ევროპული კულტურა და განათლება რუსეთიდან შემოვიდა. ქართველი განმანათლებლები („თერგდალეულები“) საქართველოს რუსეთიდან მოევლინენ. ქართული მეცნიერება, ქართული საზოგადოებრივი აზრი რუსულ მეცნიერებაზე, რუსულ საზოგადოებრივ აზრზე აღმოცენდა. ბოლო ორასი წლის განმავლობაში რუსისგან დამოუკიდებლად და რუსული ფულის გარეშე საქართველოში არ აშენებულა არაფერი, თვით საზოგადოებრივი ტუალეტიც კი ჯაპანის რკინიგზის სადგურზე.

გეთანხმებით, საქართველო არ ყოფილა არც რუსეთის და მსოფლიოს არც ერთი სხვა ქვეყნის ღირსეული პარტნიორი, რადგან იგი იყო ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი პროვინცია. რომ არა რუსეთი, საქართველო XXI საუკუნემდე ვერასდიდებით ვერ მიაღწევდა. ანუ ჩვენ, ქართველები, რუსებისგან საკუთარი სიცოცხლით ვართ დავალებული.

რუსეთის მმართველმა წრეებმა, შესაძლოა, არ იცოდნენ, რა ხდებოდა საქართველოში XIX საუკუნემდე, მაგრამ შესანიშნავად იციან, რა მოხდა და რა ხდება 1801 წლიდან მოყოლებული. XXI საუკუნის დასაწყისის რუსულ პოლიტიკურ ელიტას (და რუსულ პლებსსაც) საქართველოც, სომხეთიც, აზერბაიჯანიც, ჩრდილო კავკასიაც, უკრაინაც და ბელორუსიც, მოლდოვაც და შუა აზიაც თავის საკუთრებად მიაჩნია. დარწმუნებულია, რომ ამგვარი განწყობისთვის არსებობს საკმარისი ისტორიული და სამართლებრივი საფუძველი. სხვა თუ არაფერი, მათ ხომ ამ ტერიტორიების დასაპყრობად და შესანარჩუნებლად ზღვა სისხლი დაღვარეს!

ნუ გავკიცხავთ რუსებს ამ განწყობისთვის — ვინ იცის, როგორ მოვიქცეოდით მათ ადგილზე ჩვენ, ქართველები! იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ უმადურობას არასოდეს არავისთვის სიკეთე არ მოუტანია.

არც მეცხრამეტე საუკუნეში, არც მანამდე და არც მას შემდეგ რუსეთი არ ყოფილა დემოკრატიის აკვანი. ჩვენ, ვინც თითქმის ორასი წელიწადი გავატარეთ რუსეთის შემადგენლობაში, ეს

უნდა გვცოდნოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ღვთის შეწევნით და განათლებული მსოფლიოს უზარმაზარი ძალისხმევით დამოუკიდებლობანაჩუქარ საქართველოს ხელისუფლებებს, რუსეთთან ურთიერთობისას გაცილებით ფრთხილი, მოქნილი და მოზომილი პოლიტიკის გატარება მართებდათ. ალბათ — მეტი მოთმინებაც.

ისტორიულ ურთიერთობებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთი ობიექტურად არის მსოფლიოს ერთი ყველაზე დიდი, პრაქტიკულად, ამოუწურავი ბუნებრივი რესურსების და უდიდესი საომარი გამოცდილების მქონე საკმაოდ აგრესიული საგარეო პოლიტიკის მატარებელი ქვეყანა. დამოუკიდებელი საქართველო ამ თვალუწვდენელი, მსოფლიო ჰეგემონობაზე მეოცნებე და ეკონომიკურად მზარდი ქვეყნის კარის მეზობელია. საქართველოს კეთილდღეობა, მისი არსებობაც კი, რუსეთის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. არ ვამბობ, რომ ამავე პერიოდის რუსეთის ქართული პოლიტიკა, თავის მხრივ, სანიმუშო იყო, მაგრამ ჩვენმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ რომ თავი მამლაყინწურად, უკაცრავად პასუხია და, ცოტა ხულიგნურად დაიჭირა, ამასაც ვერსად გავექცევით.

სააკაშვილის (და ყველა წინა) ხელისუფლება ხშირად ხაზს უსვამს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას მსოფლიო რუკაზე. დარწმუნებულია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საკმარისი კოზირია რუსეთ-ამერიკისთანა პარტნიორებთან თამაშისას. უცნაურია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ამ რუკაზე არ უნდათ დაინახონ საქართველოს უახლოესი გარემოცვა და რუსეთ-ამერიკის „სასიცოცხლო ინტერესები“ მახლობელ აღმოსავლეთთან დაკავშირებით. ძალიან უბრალო ამბავია: თუ რუსეთი და ამერიკა ირანის თაობაზე ერთმანეთში გარიგდნენ, „მეგობარ“ ციცქნა საქართველოს მიმართ ზუსტად იმდენი ინტერესი დარჩება, რამდენიც აქვს მას სხვა ნებისმიერი მეტნაკლებად „მზიური“ და ცოტა ველური ქვეყნისადმი, სადაც კარგი ცეკვა-თამაში იციან, კარგად სვამენ და ეკზოტიკურ ხინკალსაც კარგად აკეთებენ. ხოლო, ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ვერ გარიგდნენ, ანუ ამერიკამ მუქარა შეასრულა და ირანში ამერიკული დემოკრატიის საექსპორტოდ „მეგობარი“ საქართველოს ტერიტორია გამოიყენა, საქართველოს არსებობა ამერიკული ბომბდამშენების ირანული ოპერაციიდან დაბრუნებისთანავე დამთავრდება.

კავკასიაში საქართველოს ორიოდე პოტენციური მოკავში-

რე ჰყავს — სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ ოსეთი. 2006 წლის გადასახედიდან, ოსებთან სრულფასოვან თანამშრომლობაზე საუბარი საკმაოდ შორეული პერსპექტივის ამბავია. სომხეთი ჩვენი „მოსისხლე მტრის“, რუსეთის ძმა, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია. აზერბაიჯანის პოლიტიკა საქართველოსადმი, კარის მეზობლის პირობაზე, საკმაოდ ცივი და ოფიციალურია (თუმცა, ამას სააკაშვილის ხელისუფლება პრინციპულად არ იმჩნევს).

ფაქტია, რომ რუსეთის ავტორიტეტი მსოფლიოში კოლოსალურია. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ იგი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. რუსეთი სჭირდება მსოფლიოს, რუსეთს უფრთხიან და პატივს სცემენ — ევროპაშიც და ამერიკაშიც! რუსეთზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკის აღმავლობა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

აი, ამ რუსეთს ჩვენი ბიბლიური „ბიჭ-ბუჭებით“ დაკომპლექტებული ხელისუფლება კრიჭაში უდგას, გამუდმებით უტევს და ზედიზედ „ზეიმობს“ მასზე რიტუალურ გამარჯვებებს (ნახეთ, სააკაშვილმა რა თქვა?! ბოკერიამ რუსები მიწასთან გაასწორა!.. საინფორმაციო ომი მოვიგეთ! რუსეთის ნამდვილი სახე მსოფლიოს დავანახეთ!).

იმ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთზე მორიგ „გამარჯვებას“ ზეიმობს, ჩვენი ხელისუფლების უსაქციელობის გამო, რუსეთი საზღვრებს გვიკეტავს, თავისი ტერიტორიებიდან ქართულ საქონელს და ეთნიკურ ქართველებს უბოდიშოდ აძევებს, გაზის ფასს გვიძვირებს, საერთაშორისო მასშტაბით დაუძლეველ სირთულეებს გვიქმნის, „მსოფლიოში უნიჭიერეს“ საქართველოს სახელისუფლო გუნდს ახალ-ახალი უმძიმესი შეცდომებისკენ უბიძგებს...

რუსეთის სახით, საქართველომ დაკარგა არა მხოლოდ უდიდესი და უძლიერესი სამხედრო და ბიზნეს პარტნიორი, არა მხოლოდ უსაზღვრო გასაღების ბაზარი, არამედ დაკარგა მართლმადიდებელი კულტურის მატარებელი უზარმაზარი ქვეყანა, ბუნებრივი მოკავშირე, ერთადერთი დასაყრდენი საკუთარი მართლმადიდებლური კულტურის და, შესაბამისად, ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ეს მოხდა XXI საუკუნის დამდეგს!

ორასი წლის წინათ უზარმაზარმა რუსულმა პითონმა მარ-

თლაც გადაყლაპა პატარა საქართველო, საკუთარ სხეულში გაათბო, მოაღონიერა, გამოზარდა და უკანვე გადმოაგდო. თან რკინიგზები, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები, უნივერსიტეტები, მეცნიერები, ლაბორატორიები, აეროპორტები, იარაღის საწყობები, გენერლები, პარტიები და იდეები ამოაყოლა.

თხუთმეტწლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში საქართველომ საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის განადგურებაც მოასწრო და რუსული ამაგის პირწმინდად დავიწყებაც. რუსულის ნაცვლად ახლა საკუთარი ნებით ყბაში თურქულ პითონს ჩაუვარდა. ისიც ნება-ნება შეექცევა ნუგბარ ლუკმას და ისე მოინელებს, ნასახსაც არ დატოვებს. მერე კი რუსი, არაბი და ამერიკელი მეცნიერები ერთობლივად დაიწყებენ ქართველთა ნაკვალევის ძებნა-შესწავლას ნაქართველარ სამხრეთ კავკასიაში.

საინტერესოა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ხელისუფლებამ და მისმა რადიკალურმა ოპოზიციამ საკვირველი ერთსულოვნება გამოაჩინა. მეტიც, ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლების თითქმის ყველა ნაბიჯს იწუნებდა, რუსეთთან კიდევ უფრო მკაცრი და კატეგორიული პოლიტიკის მომხრე აღმოჩნდა. ხელისუფლება-ოპოზიციის გაერთიანებულმა უგუნურებამ ერთადერთი გამოსავალი დაინახა: საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაიჭირვოს, გაუძლოს შიმშილს, სიცივეს, უსამართლობას. სამაგიეროდ, ოდესმე უთუოდ შევალთ პრესტიჟულ სამხედრო ბლოკ NATO-ში და მთელი საქართველო ფოჩიანი კანფეტებით, ხალვით, რაჰათ-ლუხუმით, ჰამერებით და ლამაზი მულატი ბოზებით აივსება!

საკუთარ კარიერაზე თავდავიწყებით შეყვარებული პოლიტიკოსების გარდა, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რუსეთთან კეთილმეზობლური, ურთიერთდამთმობი, რბილი პოლიტიკის და ოდინდელი ბიზნეს-კავშირების აღდგენის მომხრე იყო და არის. ბრძენმა ქართველმა კაცმა იცის, რომ კარის მეზობელთან დაუბრება, ჩხუბი, აყალ-მაყალი და ძველი ცოდვების წამოძახება არ შეიძლება. მაშინაც კი არ შეიძლება, თუ იმ მეზობელს არაფრით არ ჩამოუვარდები და უმისოდაც იოლად გახვალ. ხოლო თუ შენი სული, მომავალი, სითბო და სინათლე იმ ძლიერი მეზობლის ხელშია და მასთან საჩხუბრად შორეული და უცხო ახალგამოჩეკილი ძმაკაცის იმედად მიდიხარ, შენი საქმე წასულია — ისე გაისრისები, როგორც კოზაკი აქლემების ჩხუბში.

XXI საუკუნის რუსულ-ქართული პოლიტიკისადმი ქართული

ჟურნალისტიკის დამოკიდებულება ქალწულებრივად კდემამოსილი აღმოჩნდა. ეს კდემამოსილება გამჟღავნდა ქართული და არა რუსული პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაში. ამის ასახსნელად, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, ზოგადად, თავისუფლების და, კერძოდ, პრესის თავისუფლების პრობლემა.

ქართულ მედიაზე, როგორც ჩანს, დამთრგუნველად იმოქმედა საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსმა. წარმოიდგინა, რომ თუ ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე სიმართლეს იტყოდა, ეს ლაჩრობად ან ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად ჩაეთვლებოდა. საბჭოთა ისტორიას რომ თავი დავანებოთ, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია რუსეთთან, რუსულ არმიასთან, რუს ჯარისკაცთან გაიგივდა. ე. წ. „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერთა უდიდესმა უმრავლესობამ პოპულარობა სწორედ აბსტრაქტული „რუსის“ მხილებით და დაუნდობელი ლანძღვა-გინებით მოიპოვა. ქართული რევოლუციური და, ნაწილობრივ, მისი წინამორბედი მთავრობებიც ყველა ჩვენი უბედურების სათავედ „რუსს“ სახავდნენ. ეს სტერეოტიპი ქართულ ჟურნალისტიკას, ეტყობა, მძიმე ტვირთად დააწვა და იგი საკუთარი წარმოდგენების ტყვეობაში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, თავისი გააკეთა რევოლუციური ხელისუფლების უმძლავრესმა პროპაგანდისტულმა მანქანამაც — ქართული ჟურნალისტიკა რუს რეაქციონერ პოლიტიკოსებთან და მათ მხარდამჭერ ჟურნალისტებთან უსაგნო, არაფრისმომცემი კინკლაობის ჭაობში ჩაეფლო. ქართველი ჟურნალისტები ცეცხლივით უფრთხოდნენ ამ თემაზე (პოლიტიკური) ოპოზიციის წარმომადგენლებთან პოლემიკასაც — ვაითუ ვინმეს მათ სიმამაცეში ეჭვი შეეტანა და ხელისუფლებასთან „გარიგება“ დაეწამებინა! ყველაფერი ეს შესანიშნავად გამოჩნდა იმ პერიოდის სატელევიზიო პოლიტიკურ შოუებში (რომელთა პროფესიული დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს) და საგაზეთო სტატიებში. სამწუხაროდ, ორიოდე ჟურნალისტის თავგამოდება საერთო სურათის შესაცვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ქართული ჟურნალისტიკა, პირდაპირი გაგებით, „გაბავშვდა“. სერიოზული ანალიზის ადგილი უმაქნისმა ენაკვიმატობამ და ფაქტების მექანიკურმა გადამღერებამ დაიკავა.

ქართული ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის წარმმართველის და „პოლიტიკური მოდის“ კანონმდებელის ნაცვლად,

ფაქტების უბრალო აღმნუსხველად და მოვლენათა პასიურ დამკვირვებლად იქცა. ბუნებრივია, ვგულისხმობ, ობიექტურობის პრეტენზიის მქონე პრესისა და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს, რომელთა რაოდენობა ხელისუფლების მხარდამჭერ ე. წ. „მდუმარე ჟურნალისტებთან“ შედარებით მუდამ გაცილებით მცირეა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტები, ტრადიციულად, გალიაში (თუნდაც, ოქროსი) ყოფნას დიდი ხნით ვერ ეგუებიან და ადრე თუ გვიან მათი „საშინელი გამოღვიძება“ (გალაკტიონი) გარდაუვალია. უპირველეს ყოვლისა, ეს ლეთარგიული ძილით შეპყრობილ ქართულ სახელისუფლო სატელევიზიო არხებს (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი-2, მზე, აჭარა, ალანია...) ეხება.

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ XXI საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის აგრესიული „მდუმარება“, დეზორგანიზაცია, არსებული საფრთხეების წინაშე პანიკური შიშიც, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი უსახელმწიფოებრიობის ბრალი უნდა იყოს — თუ გულში ღრმად ჩავიხედავთ, უთუოდ დავინახავთ, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას, არ გვაქვს სამშობლოს განცდა. უფრო ზუსტად, სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოებში გვიყვარს. რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი სამშობლოს ჩვენზე მეტად აფასებენ, რადგან იგი საკუთარი პოლიტიკური და ბიზნეს ამბიციების დაკმაყოფილების საშუალებად მიაჩნიათ.

მაკიაველის* მორალით

1469 წლის სამ მაისს ფლორენციაში, გაღარიბებული არისტოკრატის ოჯახში დაიბადა ადამიანი, ვისაც ბედად ეწერა სამუდამო და განსაკუთრებული ადგილი დაეკავებინა მსოფლიო პოლიტიკის, ფილოსოფიის და დიპლომატიის ისტორიაში.

მეთექვსმეტე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც პირველად გამოქვეყნდა მისი ნაშრომები, არ წყდება მძაფრი კამათი ამ კაცის მორალზე, ღვთისმგმობელობაზე, პატრიოტიზმზე, ცინიზმზე და გენიალობაზე. მას აღმერთებენ, აკრიტიკებენ და ლაფს ესვრიან; იგი უყვართ და სძულთ; მის სახელს დღესაც კრძალვით იხსენიებენ ის ადამიანებიც კი, ვისაც მისი ნაშრომების შესახებ ყურმოკვრით თუ გაუგია.

ამ კაცის სახელია ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი.

ლეგენდად ქცეულ მაკიაველის ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში მაქებარზე, თანამგრძნობზე და ნეიტრალურ ინტერპრეტატორზე მეტი მქირდავი და მაგინებელი ჰყავდა. ეს არც მის ღირსებას აკნინებს და არც მისი კაიკაცობის ნიშნად გამოდგება. თუმცა, ერთი რამის გათვალისწინება ნამდვილად არ გვაწყენდა: ნიკოლო მაკიაველი ჩაგრულთა მეოხად და პროლეტარიატის ინტერესებისთვის თავდადებულ მებრძოლად მიაჩნდათ მარქსიზმის „კლასიკოსებს“ და, ბუნებრივია, საბჭოთა ისტორიოგრაფიასაც. მართალია, ამ გენიალურად უბრალო მოაზროვნის შემოქმედებაზე დაწვრილებით საუბრის საშუალება აქ არ გვექნება, მაგრამ, ალბათ, ამ უცნაური სიყვარულის ნამდვილ მიზეზს ნათქვამიდანაც იოლად დაასკვნით.

მაკიაველისთვის ადამიანთა სამყარო ორ ნაწილად იყოფა; რჩეულები (ზეადამიანები), რომლებმაც უნდა მართონ; და აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც უნდა იმართოს.

„ზეადამიანმა“ იცის, რომ ადამიანთა უმრავლესობა უმადური, მატყუარა, თვალთმაქცი, გულშავი, ხარბი, ქედმაღალი, გაიძვერა და უვიცია. მათ გვერდით არსებობენ აგრეთვე ქრისტიანული მორალის უსაზღვროდ პატივისმცემელი, რელიგიური ფანატიზმით ან რელიგიური ექსტრემიზმით შეპყრობილნიც. ადამიანებს არ ადარდებთ თავისუფლება, რადგან მათთვის პიროვნების სახელი რეალობაზე ძვირად, ხოლო თავისუფლება საკუთრებაზე და შურისძიების წყურვილზე იაფად ფასობს. ისიც შესანიშნავად იცის, რომ ადამიანი უნდა გარყვნა, რომ მერე მისი მართვა გაგიიოლდეს. თანაც, ადამიანის გარყვნა ხომ ასე ადვილია! მართალია, არსებობის უფლება ყველას აქვს, მაგრამ საზოგადოების მართვა, ძლიერი, მდიდარი, ბედნიერი „სამთავროსკენ“ ხალხის გაძღოლა და აღთქმულ მიზნამდე მიყვანა მხოლოდ რჩეულის, „ზეადამიანის“ ხვედრია.

„ბედნიერი სამთავროსკენ“ მიმავალი მმართველისთვის, მაკიაველის აზრით, ცოდნა აუცილებელია — კარგი ქვეყანა რომ ააშენო, უნდა იცოდე, როგორ უნდა ააშენო. სხვათა შორის, ზუსტად ამ აზრს სიტყვასიტყვით იმეორებს მეოცე საუკუნის უდიდესი „ზეადამიანი“, იოსებ სტალინი: რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო! თუ სტალინის მოღვაწეობას, მისი მართვის მეთოდებს, მის მიერ შექმნილ სამმართველო რეჟიმს გადავხედავთ და ახლახან რომ ვთქვი, ისეთ გამონათქვამებ-

საც გავიხსენებთ, დავასკვნით, რომ იგი ბრწყინვალედ იცნობდა მაკიაველის (და არამარტო მის) მოძღვრებას. რაც მთავარია, ეს მოძღვრება იყო უმძლავრესი იარაღი ცივი გონების და ცივსისხლიანი დიქტატორის ხელში — მან შექმნა მსოფლიო „სამთავრო“, რომლის ბოლომდე დანგრევა დიქტატორის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგაც კი ვერ მოხერხდა. მაკიაველის სათაყვანო ჩეზარე ბორჯია* სტალინთან შედარებით მამა აბრამის ბატკანია. საბჭოთა იმპერია რომ ენახა, დარწმუნებული ვარ, მაკიაველი ძალიან იამაყებდა თავისი მოძღვრებით.

მორალი მაკიაველის მიაჩნია არა თავისთავად არსებულ, არამედ რაღაც დამხმარე ღირებულებად ძლიერი სახელმწიფოსკენ მიმავალ გზაზე. კარგად სტრუქტურირებული, ძლიერი სახელმწიფო, მისი აზრით, თავად არის მორალი. უფრო მარტივად — მორალი არის სახელმწიფოს სამსახური, სიმტკიცე, სიმამაცე, წესრიგი, სტაბილურობა. ხოლო თანაგრძნობა, გულმოწყალება, მსხვერპლის გაღება, მიტევება, ხორციელ სიამოვნებაზე უარის თქმა, სულიერებაზე ზრუნვა, საიქიო ცხოვრების რწმენა — არაფრის მაქნისი ქრისტიანული იდეალებია.

მისი აზრით, ტრადიციული ქრისტიანული იდეალების მიმდევარი ადამიანები მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ ძლიერი სახელმწიფოს აშენებას და მართვას, ქვეყანაში ყველა ადამიანი ასეთი (ქრისტიანული მორალის მატარებელი) რომ ყოფილიყო. ვინაიდან ადამიანები არ არიან და, სამწუხაროდ, არც ოდესმე გახდებიან ასეთები, მათ ლაგამი უნდა ამოსდო!

ადამიანები უნდა განვიხილოთ ისეთებად, როგორებიც ისინი არიან, ხოლო მათი განვითარების გზები უნდა ვეძებოთ შესაძლებლის და არა შეუძლებლის საზღვრებში.

ასეთია მაკიაველის მორალი, რომელსაც წუნს ვერ დასდებ. ჩვენი დედამიწა მხოლოდ მართლმორწმუნე ქრისტიანებით რომ ყოფილიყო დასახლებული, დაპირისპირებები და ომები მაინც არ აგვცდებოდა, რადგან ყველა ქრისტიანი მართლაც არ არის ქრისტიანულად ზნეკეთილი. ამპარტავნობა, შური, მუცელღმერთობა, ავხორცობა, სიხარბე და სხვა მანკიერებანი ადამიანის ისეთივე განუყოფელი თვისებებია, როგორიც მიტევება, უანგარობა, გულუხვობა, სასოება და ჭირთათმენა.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ თავისი ამ „სწორი“ მოძღვრებით, მაკიაველი ქადაგებს „ძლიერი“, ჩვეულებრივ ადამიანურ შესაძლებლობებზე მაღლა მდგომი პიროვნებების უპირატესობას.

მისი აზრით, სახელმწიფოს მართვაში უპირატესობა ენიჭება არა სისტემას (მაგალითად, მართვის ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემას), სამართალს, არამედ პიროვნებას, „ზეადამიანს“. რიგითი მოკვდავი, ასეთ შემთხვევაში, არის არა სახელმწიფოს მართვაში მონაწილე საზოგადოების ღირსეული წევრი, არამედ უპიროვნო მასის შემადგენელი ნაწილი.

მაკიაველის აინტერესებს სახელმწიფო საქმეები: ქვეყნის უსაფრთხოება, წარმატება, დიდება, ძლიერება; მიწიერი და არა ზეციერი ბედნიერება; წარსულზე მყარად მდგარი აწმყო და მომავალი; რეალური და არა წარმოსახვითი სამყარო. იგი დარწმუნებულია, რომ ვინაიდან ადამიანი არ არის ის, რასაც ქრისტიანული მორალი მოითხოვს, ხშირად აუცილებელია მის მიმართ სასტიკი მოპყრობა.

თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, იმ მეცნიერებს ვემხრობი, ვისაც მიაჩნიათ, რომ, თუმცა მაკიაველი სისასტიკის აუცილებლობას და ეკლესიის უსუსურობას (ძალიან რბილად რომ ვთქვათ) ქადაგებს, იგი არ არის ამორალური — უბრალოდ, გონებამახვილი დამკვირვებელია და აღწერს იმას, რაც რეალურ ცხოვრებაში ნამდვილად არსებობს.

სწორედ თავისი შემზარავი უბრალოების გამო არის მაკიაველის მოძღვრება ასე მომხიბლავი „რევოლუციით ნაწრთობი“ მეტისმეტად ენერგიული, „ისტორიაში ჯერ არნახული“ სახელმწიფოს მშენებლობის იდეით შეპყრობილი „მესამე სამყაროს“ მმართველებისთვის. მით უფრო, რომ ძალადობის, უსინდისობის, ორპირობის, ფარისევლობის გამართლება, თუნდაც საკუთარი მშიერი თანამოქალაქეების თვალში, ყოველთვის შეიძლება სამშობლოზე და ხალხზე ზრუნვის მოტივით.

სამაგიეროდ, ხალხისთვისაც და თავად კონკრეტული მმართველისთვისაც, საკმაოდ რთული ასახსნელია ის ფაქტი, რომ სისასტიკე, რამაც ცხრაასზე მეტი წლის შემდეგ წმინდანის სახელი მოუტანა დავით აღმაშენებელს, სრულიად გამოუსადეგარია XXI საუკუნის დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე ხელისუფლისთვის. დღევანდელობაში გადმოტანილი მაკიაველისტური მართვის პრინციპები განუხორციელებელი და ამაზრზენია.

მაკიაველი მორალის ორ სტანდარტს გვთავაზობს: შეგიძლია აირჩიო ცხოვრების ზნეობრივი გზა, იცხოვრო, როგორც ერთმა ზნეკეთილმა კერძო პირმა, განერიდო საზოგადოებას და იპოვნო კიდეც შენი პატარა კუთხე. ასეთ შემთხვევაში, ვერასდროს

ვერ იკისრებ პასუხისმგებლობას სხვა ადამიანების ცხოვრებაზე და არ გექნება რაიმე სერიოზული წარმატების შანსი. მატერიალური თვალსაზრისით, მზად უნდა იყო უგულებელყოფისა, ან, სულაც, განადგურებისთვის.

ხოლო თუ გინდა, მოიპოვო დიდი წარმატებები, გავლენა და ძალაუფლება, უნდა დაივიწყო „დამპალი ქრისტიანული მორალი“ და მიაღწიო მიზანს, თუნდაც, ზღვა სისხლის ფასად.

აქედან გამომდინარე, არსებობს ორი კატეგორიული მორალური კოდექსი — პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის (სახელმწიფოს) ცხოვრებისა. ამ ორ ურთიერთ დაპირისპირებულ ღირებულებათა სისტემას შორის ადამიანმა ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

იმისთვის, ვინც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცხოვრების მორალის სასარგებლოდ უკვე გააკეთა არჩევანი, მაკიაველის თავისი უტყუარი რეცეპტები აქვს. კერძოდ, იგი ერთ-ერთი პროვინციის დამპყრობელს ურჩევს, დაპყრობილ ტერიტორიაზე გადააკეთოს ყველაფერი: დააწესოს ახალი მმართველობა ახალი სამართლითა და ახალი ადამიანებით; ბიბლიური დავითის მსგავსად, გააღატაკოს მდიდრები და გაამდიდროს ღატაკები; დაანგრიოს ძველი ქალაქები და ააგოს ახლები; ხალხს შეუცვალოს საცხოვრებელი ადგილები; ქვეყანაში ძველ ადგილას არ დატოვოს არც სახელი, არც წოდება, არც დაწესებულება, არც თანამდებობა — არაფერი, რაც დაკავშირებული არ იქნება ახალ მმართველთან (ანუ დაკავშირებული იქნება წინამორბედებთან).

ამგვარი ქმედების სისწორის დასადასტურებლად მაკიაველი ფილიპე მაკედონელის მოღვაწეობას იშველიებს და, რასაკვირველია, სავსებით სამართლიანადაც.

ვფიქრობ, არც მე შევცდები, თუ ამგვარი ქმედებების საილუსტრაციოდ მაკიაველის გარდაცვალებიდან (1527 წ.) ოთხასი წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და პიროვნებებს მოვიშველიებ.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ“ დედამიწის ერთ მეექვსედზე მართლაც ქვა ქვაზე არ დატოვა — ცეცხლით და მახვილით გადაუარა გიგანტურ სივრცეებს; პირწმინდად დაანგრია მმართველობის არსებული სისტემები, ქალაქები და სოფლები; ძველი დასახლებები ახლებით შეცვალა; ახალი ქალაქები ააშენა, ახალი „რელიგია“ (ლენინიზმი) გამოიგონა;

ახალი საკულტო ნაგებობები ააგო; მმართველობის მანამდე არნახული სისტემა დანერგა; წაშალა ყველაფერი, რაც ძველს, ტრადიციულს უკავშირდებოდა; გაანადგურა მილიონობით ადამიანი; ფაქტობრივად, მოსპო საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი — ინტელიგენცია; რევოლუციის, ანუ ხალხის სახელით აგრეთვე ფიზიკურად მოსპო საზოგადოების შეძლებული ფენა...

ამის სულისჩამდგმელი იყო „მშობლიური“ კომუნისტური პარტია-ჰეგემონი იოსებ სტალინის მეთაურობით.

ამავე პერიოდში ზუსტად იგივე გააკეთა გერმანულმა ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ „ჩემი ფიურერის“ (mein Führer), ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით.

არც ჩინეთის, ვიეტნამის, კორეის, კუბის, ლიბიის, თურქმენეთის, კიდევ ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითების და პიროვნებების დავიწყება ღირს: მაო ძე დუნი, ხო ში მინი, კიმ ირ სენი, ფიდელ კასტრო და მრავალი სხვა. არჩევანი ცალსახად და უყოყმანოდ გააკეთა პრეზიდენტმა სააკაშვილმაც: XXI საუკუნის საქართველოს მოსახლეობის შემეცნებაში ხელისუფლება ჯიუტად ნერგავდა სოციალურ-პოლიტიკურ მითს, რომ საქართველოს ისტორია იწყება 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციიდან“; ქუჩებს და მოედნებს დაერქვა „სწორუპოვარ“ რევოლუციონერ-პოლიტიკოსთა სახელები; აიგო გრანდიოზული ძეგლები; დაიდგა გრანდიოზული სპექტაკლები; გამოცხვა გრანდიოზული ხაჭაპური; შეიქმნა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა; წაიშალა მმართველობის „რევოლუციამდელი“ სისტემის ნაკვალევი; შეიცვალა კონსტიტუცია; დაიწყო დაუსრულებელ საკადრო გადაადგილებათა ციებ-ცხელება ყველა სახელმწიფო დაწესებულების ყველა დონეზე; დადგა წმენდების, დაპატიმრებების, შეკვეთილი და პოლიტიკური მკვლელობების ეპოქა...

ბრძენი მაკიაველი მმართველს ურჩევს, ყველა „დიდი“ საქმე ხალხის სახელით აკეთოს. ამის იურიდიული უფლება რომ გქონდეს, ხალხმა ბელადად თვითონ უნდა აგირჩიოს, თანაც, ხმის უფლების მქონეთა რაც შეიძლება დიდმა რაოდენობამ.

კომუნისტურ საბჭოეთშიც და ნაცისტურ გერმანიაშიც დიდ-პატარა „ბელადებს“ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევდნენ. ყოველ შემთხვევაში, ხმებს ასეთი პროპორციით ითვლიდნენ. ეს ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის სახელით სამოქმედოდ და საკუთარი დანაშაულის ხალხზე გადაკისრების მიზნით სჭირდება. მხოლოდ ასეა შესაძლებელი

სახელმწიფოს, ხალხის, პარტიის, ბელადის ცნებების გაიგივება (საბჭოეთი—სკკპ—საბჭოთა ხალხი—სტალინი) და უსაზღვრო თვითნებობისკენ ხელისუფალს გზა ხსნილი აქვს. სააკაშვილის „ჩვენი გუნდიც“ სხვა არაფერია — საქართველო—ხალხი—ნაცმოძრაობა—მიშა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მიერ ჩადენილი ნებისმიერი ფანტასტიური დანაშაულის უშუალო ჩამდენის აღმოჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომაც ელტვიან მმართველები მაკიაველის.

სააკაშვილი თავისი ალღოს, უზღვავი ენერგიის, ყოვლისშემძლე მეგობრებისა და მისი უდიდებულესობა ბედისწერის წყალობით, ზუსტად საჭირო დროს აღმოჩნდა საჭირო ადგილას და ერთადერთი შანსი ხელიდან არ გაუშვა — ვლადიმერ ულიანოვის მსგავსად, უმალვე დაეპატრონა ხელისუფლებას, რომელიც, თურმე, „აღარავის აღარ უნდოდა“ (ლენინი). დიდი და მსუქანი თევზის დასაჭერად მას არ შეეშინდა ფეხების დასველებისა; სანამ სხვები ყოყმანობდნენ, გადაწყვეტილება მიიღო და შეასრულა კიდეც — პრეზიდენტის სავარძელი დაისაკუთრა. დანარჩენი უკვე „წვრილმანი“ იყო. მაკიაველის მოძღვრების თანახმად, როცა საზოგადოების გარდაქმნას დაიწყებ, იგი უნდა გააგრძელო ნებისმიერი საშუალებით: ყოველგვარი ყოყმანი, შეფერხება, უკან დახევა, სინდისის ქენჯნა დასახული მიზნის ღალატს და, შესაბამისად, დამარცხებას ნიშნავს. სააკაშვილს ხელის გულზე ედო ინტელიგენტ მიხაილ გორბაჩოვის მწარე გამოცდილება და მან ის არ გაიმეორა. როცა ექიმობა გინდა, პროფესიონალი უნდა იყო — თუ საჭიროა, უნდა ამოშანთო და უნდა ამოკვეთო კიდეც, პაციენტის ვაებამ და კონვულსიებმა გული არ უნდა აგიჩუყოს. დანდობა, გულკეთილობა, მიტევება, სასოება და ქრისტიანული მორალის მიერ აღიარებული სხვა ღირებულებანი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ისინი აბსოლუტურად გამოუსადეგარია მაკიაველის „მთავრისთვის“, ანუ სააკაშვილისა და მისი „ჩვენი გუნდისთვის“. სააკაშვილმა არჩევანი გააკეთა და ამის შემდეგ უკან მიხედვა მის უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა. თუმცა, ისე ნუ გავიგებთ, თითქოს მისი „ჩვენი გუნდი“ ქრისტიანული მორალის არსებობას არ აღიარებდა. აღიარებდა კიდეც და ყოველნაირად ცდილობდა, ქვეყნის მოქალაქეებს სწორედ ამ მორალის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვით ეცხოვრათ. უბრალოდ, თვითონ არ შეეძლო ამ მორალით ცხოვრება.

თითქმის ხუთი საუკუნეა, რაც კაცობრიობას სძულს ნიკო-

ლო მაკიაველი (ფრიდრიხ დიდი* მას „ადამიანთა მოდგმის უბოროტეს მტერს“ უწოდებდა). თანამედროვე დემოკრატიული მმართველობებისთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია მისი მოძღვრება. მის შეგონებებს ირონიულად უყურებენ თვით ბუში უმცროსის ტიპის დემოკრატები. მაგრამ თუ საქმე ძალაუფლებას ეხება, მაკიაველის მაქსიმები ერთბაშად მომხიბლავ და აუცილებელ შეგონებებად გადაიქცევა. თვით ასეთებიც კი:

— ვითარების შესაბამისად, უნდა გამოიყენოთ ტერორიც და გამოიჩინოთ გულმოწყალებაც;

— როგორც წესი, სისასტიკე უფრო ეფექტურია, მაგრამ კეთილი ნაყოფი ზოგჯერ ჰუმანურობასაც მოაქვს;

— უნდა დათესოთ შიში, მაგრამ არასოდეს — სიძულვილი, რადგან, საბოლოოდ, სიძულვილს თქვენი განადგურება შეუძლია;

— უმჯობესია, ადამიანები მუდმივ გაჭირვებაში და განუწყვეტელი ომების შიშში ამყოფო: ეს მოგაშორებს ნამდვილი მორჩილების ორ უმთავრეს მტერს — პატივმოყვარეობას და მოწყენილობას. — თანაც, თქვენს ქვეშევრდომებს მუდმივად ექნებათ დიდი წინამძღოლის მოთხოვნილება;

— თუ გინდა, რომ მოწყალება გასცე, უმჯობესია, ეს თვითონ გააკეთო, ბინძური საქმის კეთება კი სხვებს დაავალო: ხალხი დაადანაშაულებს მათ და არა ხელისუფალს. ხელისუფალი მოწონებას დაიმსახურებს, თუ (ბინძური საქმის მკეთებლებს) დროულად დააყრევინებს თავებს, რადგან ადამიანები შურისძიებას და უსაფრთხოებას თავისუფლებაზე მაღლა აყენებენ;

— აკეთე ის, რასაც გინდა რომ აკეთებდე, მაგრამ თავი ისე მოაჩვენე, თითქოს ამას ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებ;

— თუ დანაშაულის ჩადენას აპირებ, ამის შესახებ წინასწარ ნუ გამოაცხადებ, რადგან მტრები მანამდე გაგანადგურებენ, ვიდრე შენ მოასწრებდე მათ განადგურებას;

— ნუ შემოიკრებ მეტისმეტად გავლენიან მსახურებს — სჯობს თავიდან მოიშორო ძლევამოსილი გენერლები, თორემ ისინი მოგიშორებენ შენ;

— ადამიანები ან უნდა მოთაფლო, ან უნდა გაანადგურო; მშვიდობისმოყვარე და ნეიტრალური პოლიტიკა ყოველთვის დამღუპველია;

— ადამიანები მანამ ეცდებიან შენს მოტყუებას, სანამ მათ

სიმართლის თქმას არ აიძულებ, ანუ სანამ არ შექმნი ისეთ ვითარებას, როცა ტყუილი წამგებიანია...

ასეთი მაგალითები ტიპიურია „ეშმაკთან წილნაყარი“ (ისაია ბერლინი*) ნიკოლო მაკიაველისთვის. ისინი იქნებ მცდარია, საშიშია, საზიზღარიც კია, მაგრამ აბსოლუტურად გულწრფელია. მთელი მისი მოძღვრების არსი ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: დიადი მიზნის მისაღწევად — იდეალური სახელმწიფოს და საზოგადოების ასაშენებლად — ყველა გზა გამართლებულია, მათ შორის, გვამების მთებზე გადავლაც.

ასე იქცეოდა ყველა დიდი მმართველი სოლომონ ბრძენიდან* სადამ ჰუსეინამდე. გადაშალეთ ძველ ისტორიკოსთა წიგნები და, თუნდაც, ბიბლია — ისინი არ კიცხავენ ამგვარ ქმედებას, პირიქით, მას მისაბაძ მაგალითად სახავენ. ჰკითხეთ მაკედონელის*, იულიუს კეისრის*, ნაპოლეონის, სტალინის, თუნდაც, დავით აღმაშენებლის თაყვანისმცემლებს და ისინი, თქვენი უვიცობით და ინტრიგანობით აღშფოთებულები, ორიოდ წუთში „დაგისაბუთებენ“ მაკიაველის მოძღვრების ჭეშმარიტებას. თანაც, ამ ადამიანებს საკუთარი თავი ღრმად მორწმუნე ქრისტიანებად და ქრისტიანული მორალის თაყვანისმცემლებად მიაჩნიათ.

ბოლო ხუთასი წლის განმავლობაში მაკიაველის მორალზე ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა. ეს არის თავისი უბრალოებით შემაძრწუნებელი და ძალზე ეფექტური კაცთმოძულე თეორია. მაკიაველის „მთავარი“, „მსჯელობანი“, იქ მოცემული მაქსიმები დღესაც ბევრ მმართველს უმღვრევს გონებას და „კაცობრიობის გაკეთილშობილებისთვის“ ბრძოლის საბაბით, ხელისუფლების უზურპაციის, დიქტატორული რეჟიმის დამყარებისა და საზარელი დანაშაულობების ჩადენისკენ უბიძგებს.

კიდევ ერთხელ ვისარგებლებ თქვენი მოთმინებით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი „ჩვენი გუნდის“ წევრები ზედმიწევნით იცნობდნენ ნიკოლო მაკიაველის, თომას ჰობსის, თომა აკვინელის* ან სხვათა თეორიებს და ყველაფერს ზუსტად მათი მოძღვრების მიხედვით აკეთებდნენ.

ფუნდამენტური განსხვავებაც მაკიაველისეულ მართვის თეორიასა (ალბათ, სჯობს, პრინციპები ვუწოდოთ) და XXI საუკუნის საქართველოს მმართველობით რეჟიმს შორს სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. მართალია, სააკაშვილი ცდილობდა თითქმის ზუსტად გადმოეღო ხუთი საუკუნის წინათ შექმნილი თეორია,

მაგრამ ეს ვერ მოახერხა ერთი უბრალო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზის გამო — სააკაშვილს და მის „ჩვენს გუნდს“ არ ამოძრავებდათ ძლიერი, აყვავებული, მდიდარი „სამთავროს“ შექმნის დიადი მიზანი. მათ აინტერესებდათ „ძალაუფლება ძალაუფლებისთვის“ და ცხოვრება პოლიტიკის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, მაკიაველიც აინტერესებდათ მხოლოდ იმდღევანდელი გადასახედიდან. ნუ დავივიწყებთ, ზოგადად, სააკაშვილის ხელისუფლების უკიდურეს გამოუცდელობას, დემოკრატობანას თამაშის სურვილს და, მაპატიეთ, უვიცობასაც. ამიტომაა, რომ მათ ხელში მაკიაველიზმი ვერ იქცა ისეთ მრისხანე იარაღად, როგორც იგი, შესაძლოა, ყოფილიყო მიზანდასახული, ჭკვიანი, გამოცდილი „ჩვენი გუნდის“ ხელში და, რა თქმა უნდა, სხვა ეპოქაში და სხვა ქვეყანაში.

კაცმა რომ თქვას, ნიკოლო მაკიაველის არაფერი არ აღმოუჩენია — მან, უბრალოდ, თქვა ის, რაც იყო მანამდე, იყო მის ეპოქაში, არის დღეს და, სამწუხაროდ, იქნება მომავალშიც. მან კაცობრიობას მთელი სიგრძე-სიგანით დაანახა ის, რის გამომზეურებას მანამდეც და მის შემდეგაც ყველა ტირანი ერიდებოდა.

მაკიაველის მოსწონდა რესპუბლიკური წყობა და ათენური რესპუბლიკის მსგავსი „სამთავროს“ შესაქმნელად ადამიანთა მსხვერპლად შეწირვაზეც უარს არ ამბობდა. იგი აღმერთებდა ჩეზარე ბორჯიას, ესპანური წარმოშობის არისტოკრატს (რომის პაპის, ალექსანდრე VI ვაჟიშვილი), იტალიის გაერთიანების იდეით შეპყრობილ და „ფლორენციის რესპუბლიკის“ შემქმნელ ადამიანს. ახალგაზრდა მაკიაველიმ მის კარზე თოთხმეტი წლის განმავლობაში იღვაწა („ათეულის“ საბჭოს წევრად) და, სავარაუდოდ, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ტირანისთვის რჩევა-დარიგებანიც არ დაუშურებია.

***

ზემოთ მაკიაველის უამრავი შეგონებიდან ათიოდე მოვიშველიე. თუ მოთმინება არ შემოგელიათ, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მათგან რამდენიმე და ქართულ სინამდვილეს მივუსადაგოთ — იქნებ დავადგინოთ, მართლა მაკიაველის გზით იარა თუ არა XXI საუკუნის დამდეგის საქართველოს ხელისუფლებამ.

— **ვითარების შესაბამისად, უნდა გამოიყენოთ ტერორიც და გამოიჩინოთ გულმოწყალებაც.**

ქართულმა ხელისუფლებამ, ისევე, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ცნობილმა ყველა სხვა რევოლუციურმა ხელისუფლებამ, მოღვაწეობა დაიწყო სწორედ ტერორით. ერთბაშად ციხეებში აღმოჩნდა წინა ხელისუფლების ასობით წარმომადგენელი და თანამგრძნობი; მრავალმა ათასმა თავს გაქცევით უშველა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეგრეთ წოდებული „აბაშიძის კლანის“ განადგურება. სინამდვილეში, ეს იყო სასტიკი შურისძიება არა აჭარის მმართველ „პატარა დიქტატორ“ ასლან აბაშიძეზე და მის „ოჯახზე“ (სიცილიური მაფიის გაგებით), არამედ მთლიანად ავტონომიურ რესპუბლიკაზე და მის მოსახლეობაზე. რევოლუციურმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი თვალსაზრისით ერთბაშად არარაობად აქცია ავტონომიის სტატუსი, ყველა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თანამდებობაზე უცნობი ქარაფშუტები დანიშნა, ყველა მნიშვნელოვანი კომერციული ობიექტი ადგილობრივი მოსახლეობის დაუკითხავად გაასხვისა; ვინც ხმის ამოღება გაბედა, ან დააპატიმრა, ან დააშინა.

ასეთი ქმედებით სააკაშვილის ხელისუფლებამ არამარტო თავის იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკებში“ მცხოვრები მოქალაქეებიც დაატერორა და დედა-საქართველოს წიაღში დაბრუნების სურვილი დაუკარგა. ვფიქრობ, ეს იყო მაკიაველის ამ შეგონების გაუკუღმართებული გაგებით გამოწვეული საბედისწერო შეცდომა. კერძოდ, მაკიაველი მმართველს ტერორის გამოყენებას ურჩევს **„ვითარების შესაბამისად“ და არა „ნებისმიერ ვითარებაში“**. აღმოჩნდა, რომ სააკაშვილმა იცოდა ტერორის გამოყენების აუცილებლობა (ანუ მაკიაველის მოძღვრება), მაგრამ არ იცოდა, რა ვითარებაში და როდის უნდა გამოეყენებინა იგი. რაც შეეხება გულმოწყალებას, როგორც ჩანს, თვითონ სააკაშვილს და მისი „ჩემი გუნდის“ წევრებს მაკიაველის ეს შეგონება ბოლომდე არ წაეკითხათ, ან გულმოწყალება უფასო სასადილოების გახსნა ეგონათ.

ამასთან დაკავშირებით, ერთი მრავლისმეტყველი ფაქტის აღნიშვნაც ღირს. საახალწლოდ, თბილისში, მერიის ინიციატივით, გინესის წიგნის საკადრისი ზომა-წონის ხაჭაპური გამოაცხვეს. მშიერი მოქალაქეები რიგში დილაადრიან ჩადგნენ, მაგრამ ხაჭაპური მხოლოდ 11 საათისთვის გაიჭრა. მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყმაწვილმა უფროსმა ტელეკამერების წინ

საკუთარი ხელით ჩამოჭრა ერთი ზორბა ნაჭერი და... პირდაპირ ხალხში მოისროლა(!), ზუსტად ისე, როგორც მაწანწალა ძაღლს გადაუგდებენ ხოლმე ლუკმას. ამ სიმბოლური ჟესტით ხელისუფლებამ საკუთარ ძლევამოსილებას ხაზი გაუსვა და საკუთარ ხალხს კიდევ ერთხელ მჭევრმეტყველურად მიანიშნა, რომ იგი არის არარაობა, უპიროვნო მასა, რომელიც მხოლოდ ამგვარ „გულმოწყალებას“ იმსახურებს.

— **უნდა დათესოთ შიში, მაგრამ არასოდეს — სიძულვილი, რადგან, საბოლოოდ, სიძულვილს თქვენი განადგურება შეუძლია.**

ბევრჯერ ვთქვი, რომ რევოლუციურმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, შექმნა პატარა საქართველოსთვის შეუფერებლად ბუმბერაზი რეპრესიული აპარატი. კუნთმაგარი ნიღბიანი ბიჭების მოულოდნელმა თავდასხმებმა კომერციულ ოფისებზე, რესტორნებზე და კაფეებზე; მიტინგების და მანიფესტაციების, ბაზრობებისა და ლტოლვილთა თავშესაფრების, თვით საკულტო დაწესებულებების უმოწყალო დარბევებმა საქართველოს მთელი მოსახლეობა შეაძრწუნა. ამას ზედ დაერთო პრეზიდენტ სააკაშვილის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებები „ნულოვანი ტოლერანტობის“, ანუ სისასტიკისა და დაუნდობლობის ლეგალიზაციაზე, ცვლილებები სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსებში სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით; რეპრესიული აპარატის ხელმძღვანელთა ქება მსხვერპლით დამთავრებული ყოველი პოლიციური ოპერაციის შემდეგ. პოლიციური, საგამოძიებო, ოპერატიული, დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამსახურების გაერთიანებით მიღებულმა მონსტრმა მთლიანად გაანადგურა სამართლებრივი სისტემა, ყოველგვარი ფუნქცია დაუკარგა სასამართლოს, პროკურატურას და იუსტიციის სამინისტროს.

ხალხი ჩურჩულით, მაგრამ მაინც, უმაღლესი ხელისუფლის ჯერ გამოუცდელობაზე, მერე — რეალობისადმი არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე, მერე — სიძულვილზე ალაპარაკდა. საინტერესო და ძალზე სახიფათო ის იყო, რომ ეს „ჩურჩული“ (რომელიც ხშირად ხმამაღალ ლანძღვა-გინებაში გადადიოდა და ტელეეკრანებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდანაც სულ უფრო ჯიუტად გაისმოდა), ფორმალურად, პრეზიდენტამდე ვერ აღწევდა. უფრო ზუსტად, უმაღლეს ხელისუფალს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც რამეს ხედავდა და არც რამე ესმოდა.

ქართულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, საზოგადოებაში არსებული ხელისუფლებისადმი შიში ხელისუფლებისადმი სიძულვილში არ გადაეზარდა.

— უმჯობესია, ადამიანები მუდმივ გაჭირვებაში და განუწყვეტელი ომების მდგომარეობაში ამყოფო: ეს მოგაშორებს ნამდვილი მორჩილების ორ უმთავრეს მტერს — პატივმოყვარეობას და მოწყენილობას. თანაც, თქვენს ქვეშევრდომებს მუდმივად ექნებათ „დიდი წინამძღოლის“ მოთხოვნილება.

ამ მხრივ, საქართველოში იდეალური ვითარება შეიქმნა — მოქალაქეთა ოთხმოცი პროცენტზე მეტი სტაბილურად გაჭირვებულ მდგომარეობაში, პატივაყრილი და ღირსებაწართმეული აღმოჩნდა. მეტიც, ქვეყნის უკიდურესი გაჭირვება დიდი წარმატებით დაბრალდა „ერთ უცხო სახელმწიფოს“ (პრეზიდენტ სააკაშვილის ტერმინია).

საზოგადოებაში დიდი მონდომებით ინერგებოდა აზრი, რომ „რუსეთთან მოლაპარაკება შეუძლებელია, რადგან... რუსეთთან მოლაპარაკება, საერთოდ, შეუძლებელია“. იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის სახელმწიფოს დედამიწის სხვა რეგიონში (მაგალითად, ანტრაქტიდაში) თვით საქართველოს ძლევამოსილი „მეგობრებიც“ კი ვერ გადაიტანენ, გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის გაჭირვებაც და სააკაშვილის ხელისუფლებაც მარადიული ყოფილა! ასევე მარადიული ყოფილა სააკაშვილის ქვეშევრდომთა მოთხოვნილება „დიდ წინამძღოლზე“.

ამავე დროს, ტერიტორიული პრობლემების ავად თუ კარგად გადაწყვეტამდე საქართველო, ფორმალურად მაინც, ომის პირობებში რჩებოდა, რაც იდეალურ პირობებს უქმნიდა ხელისუფლებას. ამიტომ იგი არ ცდილობდა სამშვიდობო მოლაპარაკებების გააქტიურებას. პირიქით, საომარი რიტორიკის გამძაფრებით არსებულ უაღრესად დაძაბულ ვითარებას ინარჩუნებდა — მან ქვეშეცნეულად იცოდა, რომ ომის დამთავრება და მტრის ხატის გაქრობა ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პროტესტს გააასმაგებდა.

სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია თითქმის ასპროცენტიანი ალბათობით ვივარაუდო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, იძულებული გახდება, ახალ-ახალი მტრები გამოიგონოს. თუ 2006 წლამდე ესენი იყვნენ შევარდნაძე და „მისი კლანი“, ბიზნესმენები, ოპოზიციონერები, ჟურნალისტები, „ჩარეცხილი ინტელიგენცია,“

სეპარატისტები, აგენტები და მოღალატეები, ხვალ მთელი ეს გალერეა უეჭველად დაკარგავს აქტუალობას — ასეთია ისტორიული კანონზომიერება. საზოგადოების დასაშინებლად, მისი „პატივმოყვრეობისა და მოწყენილობის დასათრგუნავად," დიდ წინამძღოლზე მოთხოვნილების შესანარჩუნებლად აუცილებელი იქნება ახალი ძლევამოსილი მტრის ხატის შექმნა. თანაც, ეს „მტერი" ჩვენზე ბევრად აღმატებული უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს სააკაშვილის ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას. წინასწარმეტყველის ნიჭი სულაც არ სჭირდება იმის გამოცნობას, ვის აირჩევს „ჩვენი გუნდი" საოცნებო მტრად — ეს იქნება პუტინის რუსეთი.

ქართული რევოლუციური ხელისუფლება მოვლენათა მხოლოდ ამგვარი განვითარების შემთხვევაში შეძლებს საკუთარ ქვეყანაში საზოგადოების მორჩილებისადმი პროტესტის ჩახშობას. თუმცა, არსებობს ორი დიდი საფრთხეც: გამოგონილი მტრის რეალურ მტრად გადაქცევა და ყოვლისწამლეკავი სოციალური აფეთქება. ერთიცა და მეორეც, უკეთეს შემთხვევაში, გაურკვეველი ხნით გადასწევს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, უარეს შემთხვევაში — მიწის პირისგან სამუდამოდ აღგვის იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველო ჰქვია.

— **თუ გინდა, რომ მოწყალება გასცე, უმჯობესია, ეს თვითონ გააკეთო; ბინძური საქმის კეთება კი სხვებს დაავალო: ხალხი დაადანაშაულებს მათ და არა ხელისუფალს. ხელისუფალი მოწონებას დაიმსახურებს, თუ (ბინძური საქმის მკეთებლებს) დროულად დააყრევინებს თავებს, რადგან ადამიანები თავისუფლებაზე მაღლა შურისძიებას და უსაფრთხოებას აყენებენ.**

XXI საუკუნის დამდეგის საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი ზუსტად ასე იქცეოდა — საკუთარი ხელით დიდი სიამოვნებით გასცემდა მოწყალებას, რომელიც ისედაც ამ ხალხს ეკუთვნოდა — უზარმაზარი რეპრესიული აპარატის მეშვეობით ატარებდა რეკვიზიციებს, დებდა საიდუმლო გარიგებებს საეჭვოდ გამდიდრებულ ადამიანებთან; გენერალურ პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში ქმნიდა ფონდებს, სადაც თავს იყრიდა დიდი ოდენობით საიდუმლო ან გაურკვეველი წარმომავლობის ფულადი სახსრები. პარალელურად, შეიქმნა ე. წ. „პრეზიდენტის ფონდი", სადაც აგრეთვე დიდ-

ძალი ფული იყო თავმოყრილი. სწორედ ამ ფონდების კუთვნილი ფულით პრეზიდენტი აშენებდა ატრაქციონებს და შადრევნებს, აფინანსებდა „პატრიოტთა ბანაკებს“ და რეზერვისტების „სნავლებებს“. ხსნიდა უფასო სასადილოებს.

საქმე ხშირად კურიოზებამდე მიდიოდა: ხელისუფლების წარმომადგენლები უსირცხვილოდ ითვისებდნენ კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საქველმოქმედო ნაღვაწს — მაგალითად, „პსპ ჯგუფის“ მიერ შეძენილი მედიკამენტები და საახალწლო საჩუქრები უამრავი ტელეკამერის თანხლებით დაარიგა... ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილემ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით ნაყიდი საწვავი — პირადად პრეზიდენტმა!

ამავე დროს, პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები დემონსტრაციულად, ასევე ტელეკამერების წინ უარს ამბობდნენენ „ჩვენი გუნდის“ დაბალჩინოსნებისგან მირთმეულ უბრალო საჩუქრებზე.

რევოლუციურ საქართველოში ბინძური საქმეების აბსოლუტური უმრავლესობის შემსრულებლებად გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, ყველა დონის მოსამართლეები და თვითონ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოგვევლინნენ. ამ მხრივ, მაკიაველის მოძღვრებასთან სრული ჰარმონია სუფევდა, თუმცა, ბინძური საქმეების მთავარი შემოქმედი „თავების დასაყრევინებლად“, ანუ თანამდებობიდან გადასაყენებლად ვერ იმეტებდა უშუალო შემსრულებლებს. განსაკუთრებით, ეს ეხება შს მინისტრ მერაბიშვილს, რომელმაც თავისი უმძიმესი შეცდომებით და აშკარა დანაშაულებრივი ქმედებებით საზოგადოებას თავი სასტიკად შეაძულა. საკმარისია, დავასახელოთ ე. წ. „გირგვლიანის საქმე“, სადაც ახალგაზრდა კაცის განზრახ ბარბაროსულ მკვლელობაში ცხადად ჩანს შს სამინისტროს მაღალჩინოსნების, ამავე სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარის და თვით შს მინისტრის მეუღლის თანამონაწილეობა.

როგორც ისტორია გვასწავლის და მაკიაველიც ამასვე ადასტურებს, პირადად პრეზიდენტს ამგვარი „ჰუმანიზმი“ ძალიან ძვირად დაუჯდება — „ჩვენი გუნდი“ ხომ ხელისუფლისგან მსხვერპლშეწირვას, ანუ საძულველ ადამიანებზე შურისძიებას ითხოვს. გაიხსენეთ ლენინი, ჰიტლერი, სტალინი, სხვები რა გასაოცარი სიიოლით იშორებდნენ ერთგულ თანამებრძოლებსა და თანამზრახველებს. ლენინური ეთიკაც ხომ მისსავე კაცთმო-

ძულე თეორიას ეფუძნებოდა — „ეთიკურია ყველაფერი, რაც კომუნიზმის მშენებლობას ემსახურება“.

— თუ დანაშაულის ჩადენას აპირებ, ამის შესახებ წინასწარ ნუ გამოაცხადებ, რადგან მტრები მანამდე გაგანადგურებენ, სანამ შენ მათ განადგურებას მოასწრებდე.

როგორც ჩანს, პრეზიდენტი სააკაშვილი ამ საკითხში მაკიაველის კატეგორიულად არ ეთანხმებოდა. ვერ ვიტყვი, საკუთარი დანაშაულებრივი განზრახვის გამო-მეთქი, მაგრამ, საერთოდ, რის გაკეთებასაც აპირებდა, ამაზე წინასწარ საჯაროდ აცხადებდა კიდეც (თუმცა, ზოგჯერ ყოვლად მოულოდნელ ნაბიჯებსაც დგამდა) და თავისი ამ განზრახვის თეორიულ დასაბუთებასაც ცდილობდა. ეს „დასაბუთებანი“, უმრავლეს შემთხვევაში, ყოვლად აბსურდული იყო (მაგალითად, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარების აუცილებლობა), მაგრამ იგი მაინც ჯიუტად აგრძელებდა თავისას. ამით სააკაშვილი ძალიან წააგავდა ადოლფ ჰიტლერს, რომლის დევიზი სწორედ ასეთი იყო — „ჯერ სიტყვა, მერე საქმე“ (იოსებ სტალინი პირიქით მოქმედებდა — „ჯერ საქმე, მერე სიტყვა“).

სააკაშვილის მეტისმეტი გულახდილობა მისსავე მეტისმეტი თავდაჯერებულობიდან მომდინარეობდა — იგი ხომ მმართველად ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს! თუმცა, ის, რაც ამომრჩევლებს ავანსად არ ენანებათ კანდიდატისთვის — მხარდაჭერას ვგულისხმობ — ძალიან ენანებათ უკვე არჩეული მმართველისთვის. ამიტომ ამომრჩეველთა იმედის გამცრუებელ პრეზიდენტს, როგორც წესი, მხარდამჭერთა დაკარგვა ემუქრება, რაც, საბოლოოდ, „ჩვენი გუნდის“ დაშლას და გუშინდელი ბელადის ჩამორიგითებას (რუსული სამხედრო ტერმინოლოგიით — разжалование до рядового), ანუ სწორედ იმას ნიშნავს, რასაც მაკიაველი წინასწარმეტყველებს — მტრები მანამ გაგანადგურებენ, სანამ შენ მოასწრებდე მათ განადგურებას. მოსისხლე მტრები კი, მენდეთ, თვით აბრაამ ლინკოლნის და ჯონ კენედის მსგავს უსაყვარლეს მმართველებსაც ჰყოლიათ.

პრეზიდენტი სააკაშვილი კი, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, გულწრფელი მხარდამჭერებისა და აპოლიტიკური მოქალაქეების მოსისხლე მტრებად მოკიდების ნიჭითაც იყო შემკული.

— ნუ შემოიკრებ მეტისმეტად გავლენიან მსახურებს — სჯობს თავიდან მოიშორო ძლევამოსილი გენერლები, თორემ ისინი მოგიშორებენ შენ.

სააკაშვილმა მმართველობის პირველივე დღიდან დაიწყო და ძალიან მალე შექმნა ფავორიტ „გენერალთა“ ჯგუფი (გენერალური პროკურორი ადეიშვილი, შს მინისტრი მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, პარლამენტის წევრი ბოკერია, ელჩი ჩუბინიშვილი, თბილისის მერი უგულავა, ეკონომიკის მინისტრი არველაძე). ეს უბიოგრაფიო ადამიანები „გენერლებად“ მხოლოდ სააკაშვილის წყალობით იქცნენ. ბუნებრივია, ეს იცოდნენ „გენერლებმა“, იცოდა თავად მათმა შემქმნელმა და „ჩვენი გუნდის“ დანარჩენმა უფუნქციო და ამბიციურმა წევრებმაც.

მართალია, სააკაშვილმა მოახერხა ერთი ხელის დაკვრით მოეკვეთა მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და „მეამბოხე“ ოქრუაშვილი, მის ადგილზე პაიკი კეზერაშვილი დაესვა, მაგრამ „გენერალთა“ ამბოხის საშიშროება ამით არ შემცირებულა. პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში დარჩა ადეიშვილი-მერაბიშვილის ყოვლისშემძლე ტანდემი. ამ წყვილის ხელში, ისევ პრეზიდენტის წყალობით, ცივილიზებული სამყაროსთვის უპრეცედენტო ძალაუფლება აღმოჩნდა. იგი დადგა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და თვით სასამართლო ხელისუფლებაზე მაღლა. ის, რომ სააკაშვილს ბევრი რამ „არ ესმოდა“, ამ წყვილის უდიდესი დამსახურებაა — სწორედ იგი ამყოფებდა სააკაშვილს ინფორმაციულ წყვდიადში და მოქმედების გეგმასაც ის კარნახობდა. მის ხელში პრეზიდენტი ძვირფასი ტიკინად გადაიქცა. ამავე დროს, შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, თითქმის არ არსებობდა საშიშროება, რომ ეს წყვილი უახლოეს მომავალში პრეზიდენტის დამხობას შეეცდებოდა — თუ ცივი გონებით განვსჯით, ეს მისთვის რეალურად არაფერს მოიტანდა. პირიქით, ეს წყვილი, პრეზიდენტს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილებოდა.

ხოლო თუ თავად პრეზიდენტი ოდესმე მიხვდებოდა, რა საბედისწერო შეცდომა მოუვიდა ადეიშვილ-მერაბიშვილის უზომო გაძლიერებით, მაშინ ამ „გენერლებისთვის“ „თავების დაყრევინება“ სასახლის კარის გადატრიალების ტოლფასი მოვლენა მაინც იქნებოდა. იმასაც ვერავინ ივარაუდებდა, რომ იმ მომავალ ბრძოლაში მაინცდამაინც სააკაშვილი გაიმარჯვებდა — ოპერატიული ინფორმაცია და უზარმაზარი რეპრესიული აპარატი ხომ, ფაქტობრივად, იყო „ტანდემის“ ხელში და არა პრეზიდენტისა.

— **ადამიანები ან უნდა მოთაფლო, ან უნდა გაანადგურო;**

მშვიდობისმოყვარე და ნეიტრალური პოლიტიკა ყოველთვის დამღუპველია.

პრეზიდენტი და მისი „ჩვენი გუნდი“ სწორედ ასე იქცეოდა — სასუქების და საწვავის დარიგება, საჩვენებელი „ხალხში გასვლები“, ატრაქციონები, შადრევნები, „პატრიოტთა“ ბანაკები, ძალიან ხშირი სატელევიზიო გამოსვლები, სხვათა წარმატებებით გაუთავებელი ტრაბახი, რუსეთთან ძალის პოზიციებიდან ლაპარაკი, ნატოში შესვლის მუქარა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკებისთვის“ თითის ქნევა, ურჩთა და მოაზროვნეთა ხელისუფლებიდან განდევნა... ყველაფერი ეს მაკიაველის ამ შეგონების მიხედვით მოქმედებას ჰგავს. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ის სულწაწყმედილი და განდიდების მანიით შეპყრობილი ჩეზარე ბორჯიაც, მაკიაველის კუმირი.

თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მაკიაველის მთავარ შეგონებებს და სააკაშვილის მთავარ ნათქვამ-ნამოქმედარებსაც, დიდი განჩხრეკა-გაანალიზების გარეშე დავასკვნით, რომ ქართველი მმართველი ზერელედ, უგულისყუროდ, მაგრამ მაინც იცნობდა მაკიაველის მოძღვრებას; სულითა და გულით მოწადინებული იყო, როგორმე მნიშვნელოვან სახელმწიფო ფიგურად ქცეულიყო. ხელისუფლების სათავეში მოსვლით მან ეს ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. ახლა მას შინაური და გარეული მტერ-მოყვრისთვის უნდა დაემტკიცებინა (უფრო ზუსტად, შინაური და გარეული მტერ-მოყვარე უნდა დაერწმუნებინა), რომ მისი გაპრეზიდენტება არ ყოფილა ბრმა შემთხვევა, არც ღვთის წყალობა და არც შევარდნაძის მადლიერი ამერიკელი ან გერმანელი ხალხების საჩუქარი საქართველოსადმი.

სააკაშვილ-მმართველს მართლაც მძიმე სოციალ-პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ განუზომლად უკეთესი, ვიდრე მის წინამორბედ ედუარდ შევარდნაძეს 1992 წელს. თანაც, ამ მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარების შექმნაში დიდი იყო ე. წ. რეფორმატორთა ჯგუფის „დამსახურება“ პირადად სააკაშვილის მეთაურობით.

მრავლისმნახველი, დინჯი და ცხოვრებისგან დაბრძენებული „თეთრი მელასგან“ განსხვავებით, უზარმაზარი ენერგიით აღსავსე, ყველას და ყველაფრის სასწრაფოდ გადაკეთების მწველი სურვილით ანთებული აჯილღა ყველას და ყველაფერს ერთდროულად დაეძგერა.

იგი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მას, მიშა სააკაშ-

ვილს, მხოლოდ მთელი საქართველო კი არა, მთელი ცივილიზებული სამყარო მხარში ამოუდგებოდა და აღთქმულ მიზანს უთუოდ მიაღწევინებდა — იგი ხომ ახალგაზრდა, ახოვანი, ამერიკულ ყაიდაზე აღზრდილი, ქალების გულთა მპყრობელი პოლიგლოტი იყო და არა ვინმე „მამათელი ნაფერშლალ-ნაცეკასმდივნარი უემოციო მოხუცი“.

სააკაშვილს, მურაბების საწყობში მოხვედრილ თავნება ბავშვს, გამორჩა მთავარი — ჩეზარე ბორჯიას მატარებელს დიდი ხნის წინათ ჩაევლო და დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის საფლავზე დაფიცება მას უკან ვერ დააბრუნებდა.

მან ირეალურ სამყაროში ცხოვრება აირჩია — „ჩვენ ერთი გუნდი“ ვართ, მაშასადამე, მე ვარ კოლექტიური გონი და ყოვლისშემძლე ღონე, მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მეპატიება და არაფერი არ მევალება!

ყველაფერზე პასუხს „ჩვენი გუნდი“ აგებს, ანუ პასუხს არაფერზე არასდროს არავინ არ აგებს!

სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ მას, „ამერიკულ ტრადიციებზე აღზრდილ“ ბიჭუნას, შინაგანად სძულდა დემოკრატია, რადგან იგი არეული ქვეყნის მმართველისგან უდიდეს და მრავალმხრივ ცოდნას, მოთმინებას, გამოცდილებას მოითხოვდა, ხელისუფლის უცილობელ ცვლას და უმადურების მთელი არმიის არსებობასაც გულისხმობდა.

არეული ქვეყნის ბელადობისთვის იგი აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა. სააკაშვილმა იწამა მაკიაველისა, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის პიროვნების სახელი (ავტორიტეტი) თვით რეალობაზე და თავისუფლებაზე ძვირად ფასობს. მისი სულიერი წინამორბედის, ზვიად გამსახურდიას მსგავსად, თავი საკუთარ გენიალობაში და უახლოესი გარემოცვის უანგარობაში დაირწმუნა. „სამთავროს“ მართვა ერთობ საეჭვო გონებრივი შესაძლებლობების „გუნდელებს“ მიანდო. მურაბების საწყობში მოხვედრილი საკუთარ თავზე შეყვარებული და საკუთარ უცდომელობაში დარწმუნებული ჭირვეული „ზეადამიანი“ ბიჭუნა კი ამასობაში ზედიზედ ასუფთავებდა მურაბით სავსე ქილებს ტკბილეულის საწყობში. ამით სააკაშვილმა, გამსახურდიას მსგავსად, საკუთარ თავს საკუთარი ხელით განუმზადა ტრაგიკული დასასრული. განსაკუთრებული სიცხადით ეს მისი მმართველობის მესამე წლისთავზე გამოჩნდა...

იმ ეპოქის ქართულ ბეჭდურ პრესას, მოვლენათა ტრაგიკულ

განვითარებაზე მეტად, ვინმე მესამეხარისხოვანი ქართველი მოდელის მეორე ქმართან განშორების საიდუმლო აღელვებს. საგაზეთო ბაზარი გადაჭედილია ფსევდო-ელიტური „ყვითელი“ ჟურნალ-გაზეთებით. ოპოზიციური პოლიტიკური ძალები კი, ძირითადად, ქილიკით ერთობიან.

საბედისწერო შეძახილამდე, — „ძირს დიქტატორი!“ — ძალიან მცირე დრო რჩება...

ყველაფერი იმ დაწყევლილი ნიკოლო მაკიაველის ბრალია, ვის სიკვდილსაც, ხუთასი წელიწადია, საშველი არ დაადგა.

უწესო თამაშები
ანუ
პრესა, როგორც პოლიტიკური მანიპულაციების ინსტრუმენტი

როგორც წესი, საქართველოში ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს ელიტური პოლიტიკის წარმომადგენლებიც გაურბიან და სერიოზული პრესისაც. მართალია, პრესის მნიშვნელობას არავინ უარყოფს, მაგრამ იგი შეგნებულად დაჰყავთ ლენინისეული „კოლექტიური აგიტატორის“ დონემდე. არადა, უკვე ძალიან დიდი ხანია, პრესა (აქ და ყველგან იგულისხმება მთლიანად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული, ინტერნეტისა და ზეპირი გამოსვლების ჩათვლით) პოლიტიკური მანიპულაციების, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების უძლიერეს და შეუცვლელ იარაღად იქცა. ევროპასა და ამერიკაში, თვით რუსეთშიც მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული „მანიპულაციების თემა“ და იგი უდიდესი წარმატებით გამოიყენება პოლიტიკური დაპირისპირებების დროს.

მანიპულირება, როგორც სოციალური მართვის მეთოდი, უდიდეს მოქნილობას მოითხოვს. მას ძალიან დიდი უპირატესობა აქვს ძალისმიერ და ეკონომიკურ მეთოდებთან შედარებით — ხორციელდება მართვის ობიექტებისთვის შეუმჩნევლად; პოლიტიკური ოპონენტების მოსასყიდად და დასამშვიდებლად არ მოითხოვს დიდ მატერიალურ დანახარჯებს, არავითარ სისხლსა და მსხვერპლს. პრესას მასობრივ (საზოგადოებრივ) ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის, ფაქტობრივად, უსაზღვრო შესაძლებლობები გააჩნია.

შევეცდები, ძალიან მოკლედ ჩამოვაყალიბო პრესით პოლიტიკური მანიპულირების ძირითადი მიმართულებები. აქვე აღვნიშნავ, რომ მანიპულირების მიზანია, მასობრივ შემეცნებაში ჩანერგოს ის სოციალურ-ეკონომიკური მითები, ილუზორული იდეები, რომლებიც განმტკიცებული იქნება, ძირითადად, რწმენით და არა რაციონალური, კრიტიკული გააზრებით; იმის ცოდნით და გათვალისწინებით, რომ ადამიანის შემეცნებაზე ზემოქმედება სავსებით შესაძლებელია იმ არხებით, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აკონტროლებს გონება. ეს მეთოდი მით უფრო ეფექტური იქნება საქართველოში, სადაც მოვლენათა რაციონალურ გააზრებას თითქმის არავინ არ ცდილობს (ცოდნის დაბალი დონის გამო).

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში მმართველი ელიტის ბატონობის განსამტკიცებლად რამდენიმე სოციალურ-პოლიტიკური მითი მოგვევლინა:

1. ხელისუფლება ქვეყანას მართავს დემოკრატიზმის პრინციპებით;

2. მიმდინარეობს სამართლებრივი რეფორმები და სულ მალე კანონის უზენაესობის პირობებში ვიცხოვრებთ;

3. სოციალური სიდუხჭირე გამოწვეულია არა ხელისუფლების უუნარობით და მომხვეჭელობით, არამედ გარე ბნელი (რუსული, ამერიკული) ძალების მოქმედებით ან „მშრომელი ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ვიგინდარების“ გამო;

4. კორუფცია არის საზოგადოების ერთადერთი დაუძინებელი მტერი და ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს მასთან დაუნდობელი ბრძოლა;

5. საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრწამსისა, თანაბარი უფლებებით სარგებლობს;

6. ქართველი ერი ყველაზე ტოლერანტულია მსოფლიოში;

7. პრესა თავისუფალია და ამის ნათელი დადასტურებაა თვით „ვარდების რევოლუციის“ ბელადის არცთუ მოკრძალებული კრიტიკა.

მითი სხვაც ბევრი გავრცელდა (მრეწველობა გადაგვარჩენს, „ტრუბა“ გადაგვარჩენს, რუსეთი ან აშშ გვიშველის, მდიდრებს წავართმევთ და ღარიბებს დავურიგებთ, მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა, განათლების სისტემის რეფორმა, სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა...), მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთ-

ვლილი არის მთავარი. ყველა ეს მითი ადამიანების აზროვნებაში ინერგებოდა და ინერგება პრესის საშუალებით.

ამერიკელი სოციოლოგის, პარენტის თქმით, სწორედ პრესა (აქ და ყველგან „პრესაში“ იგულისხმება მთლიანად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თ. ქ.) არჩევს იმ ინფორმაციას და დეზინფორმაციას, რასაც ჩვენ სოციალ-პოლიტიკური სინამდვილის შესაფასებლად ვიყენებთ. პრობლემების და მოვლენებისადმი ჩვენი დამოკიდებულება, თვით იმის აღქმაც კი, რა მივიჩნიოთ პრობლემად და მოვლენად, დამოკიდებულია იმ ხალხზე, ვის ხელშიც არის პრესა. დედამიწაზე ყოველწუთიერად მილიონობით მოვლენა ხდება, ჩვენ კი ვსარგებლობთ მათი იმ ნაწილით, რასაც პრესიდან გვაწვდიან.

ჩვენ ვცხოვრობთ პრესის მიერ შექმნილ წარმოსახვით (ვირტუალურ) სამყაროში. ეს სამყარო ან კოშმარულია, ან იდილიური, გააჩნია, ვინ გველაპარაკება — ოპოზიციური, თუ სახელისუფლო პრესა.

თავის მანიპულაციურ შესაძლებლობებს პრესა ყველაზე მეტად საარჩევნო (საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ადგილობრივი) კამპანიის დროს ავლენს. **განსაკუთრებით ეფექტურია სოციოლოგიური გამოკითხვებით მანიპულირება — ერთიდაიგივე ციფრი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება აუდიტორიას მიაწოდო, როგორც წარმატება, ან, როგორც კატასტროფა.**

მანიპულირება, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების მეთოდი, ერთობ მიმზიდველი რამ გახლავთ იმ ხალხისთვის, ვინც დაუოკებლად ელტვის ხელისუფლებას.

მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ მის (მანიპულირების) საფუძვლად გვევლინება სიტყვა, როგორც კომუნიკაციის საშუალება — შეუძლებელია ვინმეს პასუხისმგებლობა დააკისრო სიტყვის თავისუფლების გამოყენების გამო! მსოფლიოს მასშტაბით ჯერაც ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა ნაირნაირი ეთიკური კოდექსების წერამაც.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ პრესის მიერ გამოყენებული პოლიტიკური მანიპულირების ხერხები. როგორც ვთქვით, პრესა მანიპულირებს ინფორმაციით, უფრო ზუსტად, ინფორმაციის მართვით.

შესაძლებელია ინფორმაციის:

— გაყალბება და საზოგადოებისთვის შეჩეჩება, როგორც ნამდვილის;

— დამახინჯება რომელიმე მხარის სასარგებლოდ;

— რედაქტირება საკუთარი გამონაგონისა და კომენტარების დამატებით;

— ინტერპრეტაცია მანიპულატორისთვის სასარგებლო მიმართულებით;

— რომელიღაც მნიშვნელოვანი დეტალის მიჩქმალვა.

ამის გარდა, პრესას შეუძლია:

— ამომრჩეველთა ყურადღება გაამახვილოს საკუთარი (მანიპულატორის) პოზიციების განმამტკიცებელ ფაქტებზე;

— ობიექტურად გადმოცემულ მასალას შეურჩიოს შინაარსის აბსოლუტურად შეუსაბამო, ან საწინააღმდეგო სათაური;

— რომელიმე გამომსვლელს მიაწეროს განცხადება, რომელიც მას არ გაუკეთებია;

— ობიექტური ინფორმაცია გამოაქვეყნოს მას შემდეგ, რაც მან უკვე დაკარგა აქტუალობა;

— გამოაქვეყნოს დამახინჯებული ციტატა, გამოსვლის ნაწილი ან ფრაზები, რომლებიც კონტექსტის გარეშე სხვა, ზოგჯერ ნათქვამის საწინააღმდეგო აზრს იძენს.

ზემოთ აღნიშნული ილეთები შეიძლება გამოყენებული იყოს კომპლექსურად, ან მოთხოვნილების შესაბამისად. ოღონდ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ვირტუოზულად, მაღალ პროფესიულ დონეზე.

პრესის ხელთ არსებული სამანიპულაციო არსენალი ძალიან მდიდარია — ზოგიერთი ფაქტის მიჩქმალვითა და სხვა ფაქტების წარმოჩენით რეალური ვითარების წინასწარ განზრახული დამახინჯება, ცრუ ინფორმაციების გამოქვეყნება, ვიზუალური ან სიტყვიერი საშუალებებით აუდიტორიაში ნეგატიური ემოციების გამოწვევა და მრავალი სხვა.

მართალია, ისინი განსხვავდებიან ზემოქმედების ძალითა და შინაარსით, მაგრამ აერთიანებთ ერთი რამ: ყველაფერი მიმართულია აუდიტორიაში სასურველი ემოციური და ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად.

მანიპულირების ფუნდამენტური მექანიზმი გახლავთ ე. წ. **სუგესტია, ანუ კონკრეტული მსჯელობით ადამიანის დარწმუნება რაიმე ლოგიკური მტკიცებულებების გამოუყენე-**

ბლად. თვალსაჩინოებისთვის მოგახსენებთ, რომ ამ მეთოდს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ერთობ წარუმატებლად იყენებდა (ცდილობდა გამოეყენებინა) ყოფილი პრეზიდენტი გამსახურდია და მისი გარემოცვა (პეტრიაშვილი, ქობულაშვილი, გუგუშვილი, ქორიძე...). ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ იცოდნენ პოლიტიკური მანიპულირების ხერხების არსებობის შესახებ, მაგრამ არ იცოდნენ მისი გამოყენება. სამწუხაროდ, მას შემდეგ თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა.

სხვათა შორის, ნათქვამი ეხება სახელისუფლებო (რომელიც საქართველოში, ტრადიციულად, შუასაუკუნეობრივი მეთოდებით ებრძოდა და ებრძვის პოლიტიკურ ოპოზიციას) ძალებსაც და ოპოზიციურსაც. თუ ოდნავ კრიტიკულად განვიხილავთ, მაგალითად, ნათელაშვილის ლეიბორისტული (შრომის) პარტიის მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ ეს პოლიტიკური ძალა მოქმედებდა აბსოლუტურად გაუაზრებლად. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად მისი ერთადერთი იარაღი იყო ზოგადი, დაუსაბუთებელი, ხშირად, ცილისმწამებლური განცხადებები: მთავრობა კორუმპირებულია, თბილისის მერი მექრთამეა, ბიუჯეტი კორუფციის წყაროა, პრეზიდენტი ქვეყნის და ხალხის მტერია და ა. შ. ანუ ნათელაშვილის ჯგუფი საზოგადოებაში ავტორიტეტის მოხვეჭას მხოლოდ სხვისი სახელის უხეში დისკრედიტაციის გზით ცდილობდა. მისი ლოგიკა, დაახლოებით ასეთი იყო: სააკაშვილი „ცუდი ბიჭია“, ესე იგი, ნათელაშვილი „კარგი ბიჭია“. ანუ ამ პარტიისთვის უცნობი იყო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების მეცნიერული მეთოდები.

დავუბრუნდეთ განსახილველ საკითხს და განვიხილოთ სუგესტიის რამდენიმე ხერხი:

ა) სტერეოტიპების გამოყენება. სტერეოტიპში იგულისხმება ადამიანთა მიერ რომელიმე სოციალური ობიექტის გაუბრალოებულად, სქემატურად აღქმა. ადამიანის რომელიმე „სოციალურ ტიპზე“ მიკუთვნება სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ზოგიერთი „სოციალური ტიპი“ ადამიანის შემეცნებაში მყარად არის დაფიქსირებული და საკუთარი გამოცდილებით შემოწმებას არ ექვემდებარება. მაგალითად, ქართველი ადამიანების შემეცნებაში ჯერ კიდევ მყარად „ზის“ ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა, „ნაცისტი“ (ნაციონალ-სოციალისტი), „ფაშისტი“, „შადიმანი“, „კაპიტალისტი“, „ებრაელი“, „სომეხი“ და სხვა. აქედან

გამომდინარე, პრესა ძალიან ადვილად ახერხებს არასასურველი პიროვნების გაიგივებას სტერეოტიპთან: გერმანელმა ნაციონალისტებმა ქვეყანა დააქციეს, უამრავი ადამიანი დახოცეს. სააკაშვილი — კემულარია — გრიგალაშვილი (ნაციონალური მოძრაობის წევრები) ნაციონალისტები არიან. ანუ ეს ჯენტლმენები ნაცისტები, კაციჭამიები ბრძანდებიან. ან უფრო მარტივი მაგალითი: „სომეხი“ საქართველოს დაუძინებელი მტერია. ბეჟუაშვილი — „სომეხია“.

საგულისხმოა, რომ 2000 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, ამ ხერხს ქართველი პოლიტიკური ოპონენტები სულ უფრო დაჟინებით და სულ უფრო უხეშად იყენებდნენ პირადად ჟვანიას, სააკაშვილის, მერაბიშვილის, თევდორაძის და სხვების წინააღმდეგ. ამ უგუნური კამპანიის გვირგვინი გახლდათ ერთდროულად ორ ყოველკვირეულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილების სერია საერთო სათაურით „ოთხი დღე, რომელმაც შესძრა საქართველო“, რომელიც მალე წიგნადაც გამოიცა (შეგახსენებთ, რომ ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ ჟურნალისტურ გამოძიებაზე საუბრისას).

ოპოზიციური ძალების ხელისუფლებაში ტრიუმფით მისვლას, ნებსით თუ უნებლიედ, დიდად დაეხმარა დაბალ პროფესიულ დონეზე შესრულებული, მოუზომავი და გაუაზრებელი კრიტიკის, უფრო ზუსტად, უარგუმენტო დედაკაცური ლანძღვა-გინებისა და წყევლა-კრულვის ნიაღვარი.

ზუსტად საპირისპიროს თქმა შეიძლება 2001-2003 წლების ქართულ ოპოზიციურ პრესაზე — ეს იყო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მაღალ ინტელექტუალურ და მეცნიერულ დონეზე შესრულებული PR კამპანია.

ვიმეორებ, რომ არა სახელისუფლო პრესის სრულ უვიცობაზე დამყარებული წინააღმდეგობა, ოპოზიცია ამგვარ ყოვლისმომცველ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა. თუმცა, ნუ გამოგვრჩება მთავარი — იმჟამინდელი ქართული საზოგადოების გაუსაძლისი სოციალური სიდუხჭირე, რამაც, ძირითადად, განაპირობა კიდეც მასობრივი გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბ) იარლიყების მიკერება. ეს არის კარგად ცნობილი მეთოდი საბჭოთა სინამდვილიდან. მის გამოყენებას (კომუნისტებისგან განსხვავებით) წარუმატებლად ცდილობდა პრეზიდენტ გამსახურდიას გარემოცვა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (სიგუა ნარკომანია, ნათაძე ქურდია, შევარდნაძე

რუსეთის აგენტია...). დაახლოებით იგივე სურათი მივიღეთ თითქმის 15 წლის შემდეგაც. მართალია, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი იარაღი, მაგრამ იგი ძლიერ სახიფათოცაა, ვინაიდან იარლიყების მიკერება საზოგადოებას ჩვევად ექცევა ხოლმე. „მოღალატე“, „მტერი“, „აგენტი“, „მექრთამე“ და სხვა, საბოლოოდ, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სიტყვებად აღიქმება და ნამდვილ მნიშვნელობას კარგავს. თანაც, ლექსიკონიდან აძევებს მონათესავე, არანაკლებ აგრესიულ ცნებებს.

ვერ ვიტყვი, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად არჩევამდე არ იცნობდა „უწესო თამაშების“ წესებს. რომ არ სცოდნოდა, „ვარდების რევოლუციის“ მოსამზადებელ პერიოდში მისი გუნდი პრესას ასე ეფექტურად ვერ გამოიყენებდა. ალბათ, „იარლიყების მიკერების“ ტექნოლოგიასაც იცნობდა. ამის დასტურად ის გარემოება გამოდგება, რომ რევოლუციამდე და უმაღლეს ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ, სააკაშვილი პოლიტიკურ ოპონენტებს უხვად ურიგებდა მექრთამის, ქურდის, ბანდიტის, მოღალატის იარლიყებს. შემდეგ ამას დაემატა „ყიყინი“, „ჩმახვა“, „წკმუტუნი“ და მისთანანი. ასე გაგრძელდა მრავალი თვის განმავლობაში. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ თუ თავიდან სააკაშვილის ამ გამოთქმებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მართლაც შეეძლო ზემოქმედება, შემდეგ მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ ღიმილისმომგვრელ ასო-ბგერათა უაზრო გროვად იქცა.

გ) ინფორმაციის გამეორება. ცნობილია, რომ 30 წუთის შემდეგ აუდიტორიას მიღებული ინფორმაციის შინაარსის მხოლოდ 60 პროცენტი ახსოვს. დღის ბოლოსთვის იგი 40, ხოლო კვირის ბოლოსთვის — 10 პროცენტამდე მცირდება. აქედან გამომდინარე, პრობლემა თავისთავად ქრება ათიოდე დღის განმავლობაში. ამიტომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ახალი ფაქტებით გამდიდრება და გარკვეული პერიოდულობით გამეორება, რათა იგი დროულად მიიღოს აუდიტორიამ და „ჩაჯდეს“ მასების შემეცნებაში.

დ) მტკიცება. არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს მანიპულირების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ პრესაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ვგულისხმობ ისეთ ვითარებას, როცა პრესა უგულებელყოფს ოპონენტს და საკუთარი თეზისის დასაცავად შიშველ მტკიცებულებებს სჯერდება.

ე) ხმების გავრცელება. ხერხი უბრალო და გენიალურია: პრესის საშუალებით ისმის რაციონალური კითხვა მრავალმნიშვნელოვანი მინიშნებებით („გვარს არ დავასახელებ, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე"...). აუდიტორია იძულებულია, თვითონ განავითაროს აზრი და დასკვნაც თვითონ გამოიტანოს. პრესამ შესანიშნავად იცის საზოგადოების მოთხოვნილება ამა თუ იმ ინფორმციაზე. იცის ამ თემის მნიშვნელობა აუდიტორიის ამა თუ იმ ნაწილისათვის. ამიტომაც პრესა შეგნებულად „აგდებს" საზოგადოებას, იძლევა რიტორიკულ შეკითხვას. ერთი შეხედვით, უცნაური არაფერი ხდება — პრესა მხოლოდ კითხვას სვამს და პასუხი არც აინტერესებს. შედეგად, საზოგადოებაში ვრცელდება უამრავი ჭორი, რაც, ბუნებრივია, ვნებს პოლიტიკური ოპონენტის რეპუტაციას (ნუთუ, პრეზიდენტი სააკაშვილი მართლა მექრთამე, გრანტიჭამია და მექალთანეა?!).

ვ) ნახევარსიმართლე. ამ მეთოდს პრესა აუდიტორიის ნდობის უზრუნველსაყოფად იყენებს. იგი შეგნებულად სავსებით ობიექტურად და დაწვრილებით განიხილავს კონკრეტულ უმნიშვნელო დეტალებს იმ მიზნით, რომ ასევე შეგნებულად წაუყრუოს მნიშვნელოვან მოვლენებს, ან მოგვცეს მათი ცრუ (თვითნებური) ინტერპრეტაცია.

ზ) გამასხარავება. ეს არის მასების შემეცნებაზე ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული და საინტერესო მეთოდი. შეიძლება გავამასხარავოთ, როგორც პიროვნებები, ისე შეხედულებები, იდეები, პარტიები, მოძრაობები, უწყებები, ინსტიტუტები, პროგრამები და ა. შ. ამ მეთოდის საიდუმლო ის გახლავთ, რომ გამასხარავების საგანი შეიძლება იყოს ადამიანის რაიმე გამონათქვამი ან მისი საქციელის რაიმე დეტალი, რაც შემდეგ ვრცელდება მთლიანად ამ ადამიანის მოღვაწეობაზე და საქციელზე. შედეგად, ამ ადამიანს (პარტიას, ორგანიზაციას, მოძრაობას) უვარდება არასერიოზულის, არაკომპეტენტურის სახელი. სახელი ისეთი სუბიექტისა, ვისი წინადადებები და იდეები არ შეიძლება იყოს სერიოზული განსჯის საგანი.

თვალსაჩინოებისთვის ერთ საგულისხმო მაგალითს შემოგთავაზებთ. ე. წ. „სამთავრობო საათზე" პარლამენტში არ გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრი. დეპუტატებისთვის მისი გამოუცხადებლობის მიზეზი იყო არა მოუცლელობა, არამედ პარლამენტისთვის საკუთარი ძლევამოსილების დემონსტრირება. ამის პასუხად, ერთ-ერთმა დეპუტატმა საჯაროდ ჩამოაყალ-

იბა მინისტრის გამოუცხადებლობის საკუთარი ვერსია: „ბატონი მინისტრი იმიტომ არ ცხადდება პარლამენტში, რომ იგი შეჩვეულია წუთნახევრიან ბრიფინგებს, რადგან მისი გონება მეტ დატვირთვას ვერ უძლებს“.

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ბუნება მიისწრაფვის მიღებული ინფორმაციის უკიდურესი გაუბრალოებისა და მის შემეცნებაში უკვე არსებულ კატეგორიებთან შერწყმისკენ (კატეგორიზაცია). პრესა, რომელმაც მშვენივრად იცის ადამიანის ამ თვისების შესახებ, ცდილობს, მაქსიმალურად გაამარტივოს ინფორმაცია, დაიყვანოს იგი „ცუდ“ ან „კარგ“ კატეგორიამდე და ამით სასურველი (ძლიერი) ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე. სხვათა შორის, ამ მეთოდის გამოყენებით, XX საუკუნის დასაწყისში უზარმაზარი წარმატებები მოიპოვა სხვადასხვა რელიგიურმა სექტამ.

ამჯერად არ შევუდგები პრესის მიერ ისეთი მძლავრი იარაღის გამოყენებაზე საუბარს, როგორიც გახლავთ ნეიროლინგვისტური პროგრამირება, პოლიტიკური რეკლამით მანიპულირება და ზოგიერთი სხვა. თუმცა, ამ თემებზე დაწვრილებით საუბარი ნამდვილად ღირს.

მანიპულირება ჟურნალისტური კომენტარებით. თუ არ ვცდები, 2002 წლის თებერვალში ტელეკომპანია „სი-ენ-ენმა“ გაავრცელა ასეთი ვიდეოინფორმაცია: ტელეეკრანზე ჩანს 30-იანი წლების ბერლინის შავ-თეთრი გამოსახულება. ფაშისტები კოცონზე წვავენ გერმანელი და მსოფლიო კლასიკოსების, მათ შორის, თომას მანისა* და ბერტოლდ ბრეხტის* წიგნებს. ეკრანზე ჩნდება წარწერა: **„ბერლინი, გერმანია, 1933 წელი“.** შავ-თეთრს დაახლოებით იმავე სიუჟეტის ფერადი გამოსახულება ენაცვლება — შავებში ჩაცმული გავეშებული ბრბო კოცონზე წვავს რელიგიურ ლიტერატურას, მათ შორის, ბიბლიას. ეკრანზე იცვლება წარწერა: **„თბილისი, საქართველო, 2002 წელი“.** არავითარი სიტყვიერი კომენტარი!

მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა და ავტორიტეტულმა ტელეკომპანიამ მთელ ცივილიზებულ სამყაროს აცნობა, რომ XXI საუკუნეში არსებობს ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ მძვინვარებს ინკვიზიციის „წმინდა კოცონი“. არავის უთქვამს, რომ ეს არის უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა; რომ ქართველ ერს ეკუთვნის ერთ-ერთი დღემდე შემონახული დამწერლობათაგანი; რომ ამ ქვეყანაში ქრისტიანობა ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში აღი-

არეს სახელმწიფო რელიგიად; რომ ეს არის უაღრესად სტუმართ-მოყვარე, ნიჭიერი ხალხით დასახლებული სუვერენული სახელმ-წიფო და ა. შ. „სი-ენ-ენმა“ ორიოდე სამსიტყვიანი წინადადებით მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს ამცნო: **ერიდეთ „მეგობარ“ საქართველოს, იქ კაციჭამიები ცხოვრობენ!**

როგორც წესი, ასეთი მჭევრმეტყველური, „უსიტყვო კომენ-ტარები“ ჟურნალისტიკაში იშვიათობაა, ვინაიდან იგი უზარმა-ზარ ოსტატობას მოითხოვს. გაცილებით უფრო გავრცელებუ-ლია სიტყვიერი კომენტარებით მანიპულირება.

ჟურნალისტური ეთიკა ღაღადებს, რომ **პროფესიონალმა ჟურნალისტმა ინფორმაცია ობიექტურად უნდა გააშუქოს; ინფორმაციის განგებ დამახინჯება, ან ზედაპირული შეფასე-ბა დაუშვებელია.** ამის მიუხედავად, ჟურნალისტიკაში არსებუ-ლი ვითარება ძალიან შორსაა ეთიკისგან. ჟურნალისტი-კომენ-ტატორები სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად მრავალ ხერხს იყენებენ:

1. აზრების კითხვა. ჟურნალისტს თავი ისე უჭირავს, თითქოს სხვადასხვა ადამიანის აზრებს გვთავაზობდეს. სინამდვილეში, გვთავაზობს ერთ რომელიმე მოსაზრებას, როგორც საზოგა-დოებრივ აზრს.

2. ინფორმაციის გაფილტრვა. ჟურნალისტი ცდილობს, ეთერში (გაზეთის ფურცლებზე) არ მოხვდეს ის ინფორმაცია, რო-მელიც მას არ მოსწონს ან ხელს არ აძლევს. ჟურნალ-გაზეთებში ამის გაკეთება ძალიან ადვილია. თუმცა, არც ელექტრონულ მე-დიაშია ძნელი: „ახლა რეკლამის დროა“; „სიტყვას მოგვიანებით მოგცემთ“; „ახლა განსხვავებული აზრი მოვისმინოთ“; „ამაზე ხომ უკვე ვისაუბრეთ“ და ა. შ.

2004 წლის მაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა თავის მრჩევლად მი-იწვია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდ-ნაძე. ბუნებრივია, ეს იყო ერთგვარი პატივის მიგება 76 წლის შევარდნაძისთვისაც და მისი სამშობლო საქართველოსთვისაც. ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ მაშინვე გადასცა სიუჟეტი ყოვ-ლად ოდიოზური ფიგურის, მანანა არჩვაძის საპროტესტო მიტ-ინგის თაობაზე, სადაც პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივი შე-ვარდნაძის გასამართლებას და დასჯას მოითხოვდა! წამყვანმა გაკვრით ისიც თქვა, ეს საპროტესტო აქცია კოფი ანანის კეთილ-შობილურ ჟესტს მოჰყვაო.

3. შეუფარავი ქება. ჟურნალისტი დაუფარავად გამოხატავს თავის სიმპათიებს რომელიმე მოვლენის მიმართ, აიდეალებს რომელიღაც პიროვნებას, ჯგუფს ან პროცესს.

4. დამცირება (დაკნინება). ამ შემთხვევაში ჟურნალისტი ცდილობს გაკიცხოს ინდივიდის, ჯგუფის (პარტიის) ან პროცესის მორალური მხარე.

ჟურნალისტურ არსენალში არსებობს დამცირების რამდენიმე უტყუარი ხერხი:

ა) პირდაპირი შეტევა. იშვიათად, მაგრამ ჟურნალისტურ პრაქტიკაში ასეთი რამეც გვხვდება. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი აშკარად გამოხატავს არა საკუთარ, არამედ შემკვეთის აზრს. თუმცა, ვიმეორებ, საკუთარი თავის პატივისმცემელი ჟურნალისტები ამ ხერხს თითქმის არ იყენებენ.

ბ) ირიბი შეტევა. ჟურნალისტი უტევს არა უშუალოდ რომელიმე მისთვის საინტერესო პერსონას, არამედ მის გარემოცვას („პრეზიდენტი იდეალურია, აი, მისი მინისტრები კი მექრთამეები და მატრაბაზები არიან“). ხოლო თუ შეტევის ობიექტი დეპუტატობის (პრეზიდენტობის) კანდიდატია, უტევს მის მომხრეებს. მაგალითად: „თოფაძე შესანიშნავი მრეწველი და პოლიტიკოსია, მაგრამ მის მომხრეთაგან ერთი — არაკომპეტენტურია, მეორე — სასაცილოა, მესამე — დემაგოგია...“

თუ რომელიმე პარტიის დისკრედიტაცია გვსურს, ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი მისი ლიდერის სახელის გამტეხი ფაქტების გამოგონება — საკმარისია დავახასიათოთ მისი უახლოესი გარემოცვა. ამ ხერხს გაპრეზიდენტებამდე საკმაოდ წარმატებით იყენებდა საქართველოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. მაგალითად, ოპონენტ ნათელაშვილთან ერთ-ერთი სატელევიზიო დებატების დროს, მას სიტყვაც არ დაუძრავს პირადად ნათელაშვილის ან მისი პარტიის არასწორ ქმედებაზე. სამაგიეროდ, საჯაროდ გამოფინა ნათელაშვილის პარტიაში მეორე კაცის საეჭვო მოქმედება, რითაც ოპონენტი მწყობრიდან გამოიყვანა და აიძულა თავი ემართლებინა.

გ) დარტყმა წელს ქვემოთ. ჟურნალისტები ობიექტს უტევენ იმ იარაღით, რასაც არ იყენებენ სხვა ობიექტების წინააღმდეგ. უფრო ზუსტად, სამზეოზე გამოაქვთ ობიექტის ის ნაკლი (ნამდვილი ან გამოგონილი), რომელიც საერთოა სხვა ობიექტებისთვისაც. მაგალითად, პროფესორ ჯაბა იოსელიანს გამუდმებით აკრიტიკებდნენ მისი კრიმინალური წარსულის გამო, თუმცა,

იგივე ნაკლი არ გაუხსენებიათ დეპუტატობის სხვა კანდიდატისთვის. სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს, ბაკურ გულუას, აკრიტიკებდნენ ამერიკული გრანტების „შეჭმისთვის“, თუმცა, ბიუჯეტის ძარცვისთვის არავის გაუკრიტიკებია ფინანსთა ყოფილი მინისტრი ჭკუასელი.

მოქალაქეთა კავშირს აკრიტიკებდნენ, რომ არ გააჩნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების (გნებავთ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის) მკაფიო გეგმა, თუმცა, ასეთი გეგმა არ გააჩნდა არც ერთ სხვა პოლიტიკურ ძალას.

დ) იუმორი, სარკაზმი, სატირა, ირონია. ჟურნალისტური არსენალის ამ გამანადგურებელი იარაღით შესაძლებელია არარაობად იქცეს ნებისმიერი პოლიტიკური ოპონენტის შეხედულებები, იდეები, დოქტრინები, მთელი მოღვაწეობა. ოღონდ, საჭიროა ზომიერება და უდიდესი ტაქტი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ იარაღის წარმატებით გამოყენება შეუძლია მხოლოდ იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს.

როცა იუმორი (სარკაზმი, ირონია) შეურაცხყოფაში გადაიზრდება, იგი ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას კარგავს. თანაც, ამ იარაღის გამოყენება არ შეიძლება პიროვნების ფიზიკური ნაკლის ხაზგასასმელად. როცა იუმორი შეურაცხყოფაში გადადის, იგი, როგორც წესი, მომაკვდინებელ იარაღად ავტორსვე უბრუნდება. ნიჭიერ ადამიანს სასაცილოს დანახვა თვით ტრაგიკულ სიტუაციაშიც კი შეუძლია. ვინაიდან ბუნებაში არ არსებობს უნაკლო ადამიანი, იუმორის ასპარეზიც უსაზღვროა. თუმცა, ვიმეორებ, საჭიროა ზომიერება.

ე) ასოციაციური ბრალდებები. ესეც საკმაოდ პოპულარული ჟურნალისტური ტექნიკაა — საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან მისი ლიდერის ნამდვილი ან გამოგონილი ამორალური მიდრეკილებები. ფაქტობრივად, პრესაში გამოქვეყნებულმა ამგვარმა ბრალდებებმა იმსხვერპლა საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ნუგზარ საჯაია (თავი მოიკლა). გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ პრესის მხრიდან იყო საჯაიას მიმართ გამოთქმული ბრალდებების სხვა პირებზე გავრცელების მცდელობებიც. თავის დროზე, დაახლოებით ასეთივე ასოციაციური ბრალდებები გამოითქვა ზურაბ ჟვანიას, მიშა სააკაშვილისა და სხვათა მიმართაც.

5. ყალბი ნეიტრალიტეტი. ამის მაგალითებს ყოველდღიურად

ვხედავთ მსოფლიოს ტელეარხებზე. საინფორმაციო გადაცემების რედაქტორები (წამყვანების უაქტიურესი მონაწილეობით) ცდილობენ, პროგრამის წამყვანი ნეიტრალურ პიროვნებად წარმოაჩინონ. ამ დროს აშკარაა, რომ მთლიანად გადაცემა და, ბუნებრივია, წამყვანიც მონდომებით ემსახურებიან რომელიღაც პოლიტიკური ძალის ინტერესებს. ბუნებრივია, ეს კეთდება შეფარვით, არაპროფესიონალისთვის დაფარულად. თავს უფლებას მივცემ, განზრახვის შენიღბვის უამრავი ვარიანტიდან რამდენიმე შემოგთავაზოთ:

ა) ყალბი კომპლიმენტი. ჟურნალისტი თავმდაბლად აღნიშნავს პოლიტიკური მოღვაწის ინტელექტუალური შესაძლებლობებს, შემდეგ კი მთლიანად უარყოფს ნათქვამს და ამით მიწასთან ასწორებს ოპონენტს. მაგალითად, ჟურნალისტი ამბობს, რომ დეპუტატი ზურაბ ქაფიანიძე არის კარგი მსახიობი, თამადა, მოლექსე, პოლიტიკური მოღვაწე და ლინგვისტი. შემდგომ საუბარში კი არკვევს, რომ პარლამენტში მოღვაწეობის განმავლობაში ქაფიანიძეს მონაწილეობა არ მიუღია არც ერთი კანონის შემუშავებაში, პარლამენტს არ გაუთვალისწინებია მისი არც ერთი წინადადება, მის თეორიულ ნაშრომებს არ აღიარებს არც ერთი მეცნიერი, ხოლო არ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ღირსეულ პარტნიორად არ მიაჩნიათ. აქედან გამომდინარე, ხელთ შეგვრჩება პოლიტიკური მოღვაწის ასეთი პორტრეტი — ყოფილი მსახიობი, თამადა, მოლექსე, ანუ შემთხვევითი კაცი პოლიტიკურ ელიტაში. ამავე დროს, ობივატელის თვალში ჟურნალისტი „ობიექტურია“. მან წარმოაჩინა პიროვნების ნაკლიცა და ღირსებაც. სინამდვილეში, მან ყალბი კომპლიმენტების გამოყენებით „გააშიშვლა“ ერთი პოლიტიკოსი და ამით საქმე გაუკეთა მეორეს.

ბ) ყალბი კრიტიკა. ეს გახლავთ ყალბი კომპლიმენტის შებრუნებული ვარიანტი. ჟურნალისტი მამაცურად აკრიტიკებს, ვთქვათ, დეპუტატ მიშველაძის მოსაზრებას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ეროვნების მიმანიშნებელი რეკვიზიტის ამოღებასთან დაკავშირებით. თავისი პოზიციის განსამტკიცებლად კი მოჰყავს ისეთი (უსუსური) არგუმენტები, რომლებიც იოლად იმსხვრევა დეპუტატის „რკინისებური“ ლოგიკით. საბოლოოდ, მაყურებელთა (მსმენელთა, მკითხველთა) ცნობიერებაში რჩება მამულისთვის თავდადებული პოლიტიკოსის ხატი. ჟურნალისტის (სიუჟეტის დამკვეთის) მიზანიც ეს იყო.

გ) სერიული სიყალბე. მე, ჟურნალისტი, ვიწყებ საქართ-

ველოს პრეზიდენტის პოსტზე ხუთივე კანდიდატის კრიტიკას. განვიხილავ პირველი ოთხის შეცდომებს, ხოლო მეხუთეზე... ვცვლი საუბრის თემას. ამით აუდიტორიას ვაიძულებ იფიქროს პირველი ოთხის შეცდომებზე. იმის გარდა, რომ, მე, ჟურნალისტი, ობიექტური ანალიტიკოსის სახელს ვიხვეჭ, საზოგადოებას მეხუთის (ანუ ჩემი ფავორიტის) სასარგებლოდ განვაწყობ. თანაც, უკან დასახევ გზასაც ვიტოვებ — მე ხომ „მეხუთე" არ შემიქია, მეტიც, მასზე კრინტიც არ დამიძრავს!

***

ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, არ არის გამონაგონი, მით უფრო, არ არის საუნივერსიტეტო თეორიული ჟურნალისტიკის შემადგენელი ნაწილი. დარწმუნებული ვარ და თქვენც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მსოფლიოს არც ერთ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მანიპულატორებად და ფალსიფიკატორებად არ წვრთნიან. სამწუხაროდ, კაცობრიობას თვითონ ცხოვრებამ უკარნახა პრესის „ახალი" დანიშნულება. ვიმეორებ, ეს არის უძლიერესი და უტყუარი იარაღი ნიჭიერი ადამიანების ხელში. აქ განგებ არ ვხმარობ განსაზღვრებას „წესიერი", ვინაიდან პრესით პოლიტიკურ მანიპულირებას საერთო ბევრი არაფერი აქვს წესიერებასთან, ანუ მორალთან. მაგრამ ვიდრე არსებობს პოლიტიკური დაპირისპირებები, ე. წ. „პოლიტიკური თამაშები" და არსებობს პრესა, იარსებებს უზარმაზარი მოთხოვნა კანონიერების ჩარჩოში მოქცეულ „უწესო თამაშებზე". ეს არაეთიკურია, ამორალურია, მაგრამ ეს არის მეცნიერება, რომლის უცოდინრად და გამოუყენებლად ხელისუფლებამდე ვერასოდეს ვერ მიაღწევს ვერც ერთი წესიერი ადამიანი (Homo moralis).

ძველი ახალი სამყარო

ზემოთ შევეცადე, ძალიან მოკლედ და ძალიან ზოგადად შემეხსენებინა თქვენთვის პოლიტიკის რაობა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. რა თქმა უნდა, ახალი არაფერი მითქვამს, ვინაიდან, ამ თემაზე ახლის თქმა თითქმის შეუძლებელია. სამწუხაროდ, არც ისე მამაცი ვარ, რომ კაცობრიობის ისტორიაში პლატონის, არისტოტელეს,

თომა აკვინელის, მაკიაველის, ჰობსის, კანტის, ჰეგელის, სხვათა არსებობის შესახებ ვიცოდე და პოლიტოლოგიაში ახალი სიტყვის თქმა გავბედო. თანაც, საქართველოში თავზეხელაღებულები უჩემოდაც საკმარისზე მეტია.

როგორც დიდი ფრანგი განმანათლებელი, ჟან დე ლაბრიუიერი ბრძანებდა, **„ზეიმებით, სანახაობებით, სიამოვნებებით, სიმდიდრით, ფუფუნებით ხალხის მიძინება, ზიზილ-პიპილოებით მოთაფვლა და მისი პატივმოყვარე, უსასოო და უმაქნის ბრბოდ გადაქცევა არის ის უტყუარი პოლიტიკა, რასაც უხსოვარი დროიდან მრავალ სახელმწიფოში მიმართავენ.“**

ჟან დე ლაბრიუიერის გარდაცვალებიდან (1696 წ.) სამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ტოტალიტარული სახელმწიფოები ისევ არსებობენ, ძალაუფლებას ისევ ელტვიან, დროშებს ისევ აფრიალებენ, ისევ ცრუობენ და ისევ ძალადობენ. საქართველოშიც ახალი არაფერია, მაგრამ ეს ვითარება ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაზე უარის არგუმენტად არ გამოდგება. ხოლო რომ იბრძოლო, უნდა კარგად იცოდე, რატომ და რის წინააღმდეგ იბრძვი. იარაღით ხელში ბრძოლას არ ვგულისხმობ — სიტყვით გამოხატული გონი ხმალზე გაცილებით ბასრი და ეფექტურია.

ჩვენ, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ხალხებთან ერთად, ჯერ კიდევ ვცხოვრობთ სიცრუის სამეფოში, სადაც მოქმედებს რეალური სოციალიზმის (გნებავთ, რეალური ფაშიზმის) სამი ძირითადი პრინციპი:

ბოროტი და კეთილი ძალები მუდამ იყოფდნენ ქვეყნიერებას და ასე იქნება სიკეთის საბოლოო გამარჯვებამდე (ანუ ასე იქნება უსასრულოდ);

პარტია მუდამ და ყველას წინაშე მართალია;

საბჭოთა კავშირი სიკეთის და სამართლიანობის განსახიერებაა (ბენეტონი).

ის ყველა ხმალზეც უფრო ბასრი და ეფექტური იარაღი, წეღან რომ ვახსენე, ხელში ჟურნალისტიკას უჭირავს (უნდა ეჭიროს!) და გორდიას კვანძის გახსნას, ანუ ანალიზს და საღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, სწორედ ის უნდა ემსახურებოდეს. სწორედ მან უნდა დაანახოს თანამოქალაქეებს ის საბედისწერო ისტორიული პარალელები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და, მგონი, გუნებაც წაგიხდინეთ.

სწორედ ჟურნალისტიკამ უნდა დაასაბუთოს სრული უნი-

ადაგობა ყველა ტოტალიტარული ხელისუფლების მტკიცებისა, თითქოს ხელისუფლებაში მისი მოსვლით „ძველი სამყარო ახლით შეიცვალა“; რომ სიტყვა, ახალია, საქმე — ძველებური; რომ ჯერ არ წასულა რეჟიმების დრო; რომ „ჯერარნახულ, არგაგონილ“ დემოკრატიასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე ლაყბობა ნაადრევია.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ჟურნალისტიკაზე საუბარი ძალიან ძნელია, ვინაიდან, პრესა, მთლიანად მასმედია, უსასტიკეს მარწუხებში ექცევა. თუ მას დავუმატებთ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მატერიალურ სიდუხჭირეს, ჟურნალისტიკის მდგომარეობა ტრაგიკულად შეიძლება შეფასდეს — იგი ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგას. საქართველოსნაირ, შედარებით პატარა ქვეყნებში ეს ტრაგიზმი კიდევ უფრო მწვავე, მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი ხდება. პრობლემები თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალისტიკის წინაშეც დგას, მაგრამ ისინი, ძირითადად, შემოქმედებითი და კონცეპტუალური ხასიათისაა. თანაც, პრობლემების გადაჭრაში ჟურნალისტურ წრეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სხვა შემოქმედებითი კავშირები, სახელისუფლო და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესჯგუფები, სახელმწიფო სტრუქტურები, მეცენატები, სამეცნიერო წრეები, სტუდენტური ორგანიზაციები და ა. შ. ანუ სრულფასოვანი, ძლიერი, თავისუფალი ჟურნალისტიკის არსებობით გულწრფელად დაინტერესებულია ყველა, მათ შორის, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ეს იმ უბრალო მიზეზით ხდება, რომ ყველამ იცის ურყევი ჭეშმარიტება: თავისუფალი პრესა ხელს უწყობს საზოგადოების, ქვეყნის წინსვლას; პრესის თავისუფლებით შეიძლება შეფასდეს მთლიანად ქვეყანაში არსებული დემოკრატიის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხარისხი.

მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები კი ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში ძალზე ძვირად ფასობს.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ცოტა უფრო ადრეც, ქართულ ჟურნალისტიკაში იმედისმომცემი მოძრაობა შეინიშნებოდა — გაჩნდა მოვლენათა სერიოზული ანალიზის ტენდენციები. რა თქმა უნდა, იყო გულუბრყვილობაც, ტენდენციურობაც, ურა-პატრიოტიზმიც, წმინდა ტექნიკური წუნიც, მაგრამ მაინც, ჟურნალისტიკა მიდიოდა იმ ადგილისაკენ, რაც მას დემოკრა-

ტიული საზოგადოების ცხოვრების კანონებით ეკუთვნოდა. იგი თანდათან ყალიბდებოდა რაციონალურ ავტორიტეტად, ანგარიშგასაწევ ძალად მთელი საზოგადოებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სახელმწიფო ტელევიზიის I და II არხებს, გაზეთებს „ლიტერატურულ საქართველოს“, „თბილისს“, „რეზონანსს“ „დრონს“, „7 დღეს“, ზოგიერთ რეგიონულ ტელევიზიას და ბეჭდურ გამოცემას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთ „დრონის“ ფენომენი. სწორედ მან პირველმა შესძლო რედაქციის ირგვლივ შემოეკრიბა მოაზროვნე ადამიანების დიდი ჯგუფი და შეექმნა ე.წ. გონებრივი ცენტრი, რომელმაც 1991 წლიდან მოყოლებული, ათ წელიწადზე მეტ ხანს იარსება.

„დრონის“ შემდეგ ამ როლის შესრულება სცადეს გაზეთებმა „ლიტერატურულმა საქართველომ,“ „24 საათმა“ და „საქართველოს რესპუბლიკამ“, ტელეარხებმა „იბერიამ“, „რუსთავი 2“-მა, „მზემ“, „იმედმა“, „I არხმა“, „კავკასიამ“, „202“-მა, მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი არ გამოვიდა და არც შეიძლებოდა გამოსულიყო.

საქმე ის არის, რომ ისტორიულად, რევოლუციებს სძულთ თავისუფალი აზრი, რადგან მისი ეშინიათ. უბრალოდ, ასეთია რევოლუციების ბუნება.

ევროპასა და ამერიკაში განსწავლული, თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას ნაზიარები ქართული რევოლუციის „მამები“, მართალია, სიტყვით იბრძოდნენ სიტყვის თავისუფლებისა და ქვეყანაში დემოკრატიზმის პრინციპების დასამკვიდრებლად, მაგრამ ზუსტად იმ დღემდე, ვიდრე ხელისუფლებაში მივიდოდნენ. თუნდაც, მათი ბრძოლის მეთოდებიდან გამომდინარე, გონიერი ადამიანისთვის ძნელი სულაც არ იყო რევოლუციონერთა ნამდვილი და საბოლოო მიზნის გამოცნობა — პარტია-ჰეგემონის შექმნა და ხელისუფლების სრული უზურპაცია. 1995 წლიდან მოყოლებული, 2003 წლის შემოდგომამდე „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ ქვეყნის მთელი მედიასივრცის მნიშვნელოვან ნაწილზე საკუთარი კონტროლის დამყარება შეძლეს. ცოტა უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ რევოლუციონერთა შეტევებს სერიოზული წინააღმდეგობა უღარიბესმა ქართულმა ბეჭდურმა მედიამ გაუწია. თუმცა, გამოსავალი აქაც გამოინახა — რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე გამოვიდა მომხიბლავი რევოლუციური ლოზუნგებით გაჟღენთილი და ქართული სინამდ-

ვილისთვის შესანიშნავად დაფინანსებული მრავალგვერდიანი ყოველდღიური გაზეთი („24 საათი“), სხვადასხვა მიზეზით დაიხურა ზოგიერთი საღად მოაზროვნე გამოცემა („დილის გაზეთი“, „დრონი“, „რესპუბლიკა“). სხვებისთვის კი ხელისუფლებამ მართლაც ნოვატორული ხერხი გამოიყენა — სრული უგულებელყოფა. პირადად ამერიკაში ნასწავლმა და ამერიკული პოლიტიკური წრეების აშკარა მხარდაჭერით გაპრეზიდენტებულმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე საჯაროდ (ტელევიზიით!) განაცხადა, ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო და სხვებსაც ამისკენ მოუწოდა. ეს „სხვები“, ბუნებრივია, სხვადასხვა რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკები იყვნენ და პრეზიდენტის „რჩევა“ კანონად და მოწყალებად მიიჩნიეს.

ძალიან გთხოვთ, წარმოიდგინეთ რომელიმე ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც ძილის წინ თავში ამგვარი აზრი გაუელვებს და დილით ისევ პრეზიდენტად გაიღვიძებს!

რევოლუციის შემდეგ, პირველივე თვეებში ხელისუფლებამ, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელი ქართული ელექტრონული მედიის მონოპოლიზება მოახერხა: გაუქმდა ტელეკომპანია „იბერია“, გაჩერდა „202“, სასწრაფოდ ჩაესვენა ერთობ სიმპათიური ტელეკომპანია „მზის“ მზე — იგი სახელისუფლებო ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ შეიძინა, თვითონ „რუსთავი 2-დან“ გაათავისუფლეს რევოლუციაში ღვაწლდადებული ჟურნალისტები, აბსოლუტური კონტროლი დაამყარეს „პირველ არხზე“ და „აჭარაზე“, აშკარად დააშინეს მილიონერ ბადრი პატარკაციშვილის ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც ამბიციების დაკმაყოფილებას ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ვითარების, პოლიციის თვითნებობის და საპროტესტო მიტინგების ამსახველი სიუჟეტებით შეეცადა...

სატელევიზიო ეკრანები მთლიანად დაიპყრო უდაბლესი ხარისხის, უცნობ ქართულ ჟარგონზე თარგმნილმა სამხრეთამერიკულმა სერიალებმა.

დასავლური კულტურის ცოდნაზე პრეტენზიის მქონე ქართულმა პროვინციულ-რევოლუციურმა ხელისუფლებამ, სრული შემადგენლობით(!) კატეგორიული უარი განაცხადა... ნებისმიერი დონის ტელედებატებზე! ხელისუფლებაში მისვლიდან მთელი სამი წლის განმავლობაში ქართულ ბეჭდურ პრესაში არ გამოჩენილა ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლის არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი ანალიტიკური სტატია!

2005 წელს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე საკმაოდ ვრცელი წერილების ორი სერია რუბრიკებით „ახალი პოლიტიკური ლექსიკონი“ და „თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ“ (სულ ოცამდე წერილი). ეს იყო ანალიტიკური პუბლიცისტიკა ისტორიული ანალოგიებით და თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-სოციალური ვითარების მძაფრი შეფასებებით.

გამომეხმაურნენ დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში მცხოვრები ქართველები, საქართველოში მცხოვრები ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, უბრალო ადამიანები — ზოგი დამეთანხმა, ზოგმა გამამხნევა, ზოგს ჩემი დასკვნები და დახატული სურათი გადაჭარბებულად მოეჩვენა, ზოგმა პირიქით — გამბედაობა დამიწუნა...

არც ოფიციალურად, არც პირადად არ გამომხმაურებია ხელისუფლების (ანუ პარტია-ჰეგემონის, ანუ პარტია-სახელმწიფოს — ნაციონალური მოძრაობის) არც ერთი ჩინიანი წარმომადგენელი და არც ერთი ოპოზიციური პარტიის არც ერთი ე. წ. ლიდერი!

ერთი გენიალური ქართული (კახური) სიმღერის ტექსტი მახსენდება: „პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცი, ვისმეს ჰგლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო...“ მეც არ ვიცი, რა ვიფიქრო — ერთ სუფრასთან მსხდომ იმ ჩვენს ახალგაზრდა რევოლუციურ ხელისუფლებას და მის ოპონენტებს სიჩუმის აღთქმა ჰქონდათ დადებული, თუ მშობლიურ ქართულ ენაზე წერილობით ან სიტყვიერად აზრის გადმოცემა არ შეეძლოთ.

ეს ისე, ხუმრობით, სინამდვილეში, ალბათ, ხელისუფლებას სერიოზული პოლემიკის დონეზე სათქმელი მართლაც არაფერი ჰქონდა. რაც ძალიან საგულისხმოა, სათქმელი არ ჰქონდა არც ოფიციალურ ოპოზიციას. ვგულისხმობ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ხელისუფლების უშვერი ლანძღვა-გინებით ათენაღამებდნენ.

ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლების ძირითადი ოპოზიციური ძალები სახელისუფლო წიაღიდან იშვნენ: პრეზიდენტ გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორებად გამსახურდიასვე თავგადაკლული მომხრეები მოგვევლინენ; პრეზიდენტ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლება შევარდნაძის ყველაზე ერთგულმა მომხრეებმა

დაამხეს; სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალურ მოწინააღმდეგეთა რიგებიც იმ ადამიანებმა შეავსეს, ვინც გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე „ცნობადი სახეები“ იყვნენ. დაქსაქსულმა და მრავალთავიანმა ოპოზიციურმა პარტიებმა საზოგადოებას ვერ შესთავაზეს ქვეყნის განვითარების მეტნაკლებად რეალური და დამაჯერებელი კონცეფცია; ვერ მოახერხეს გაერთიანება და ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბება; მათ რიგებს, ისევე, როგორც თავის დროზე პარტია-სახელმწიფო „კომუნისტურ პარტიას“, პარტია-სახელმწიფო „მოქალაქეთა კავშირს“, პარტია-სახელმწიფო „ნაციონალურ მოძრაობას“ უამრავი მედროვე და ვიგინდარა მიეტმასნა. შექმნილი ტრაგიკული ვითარების სერიოზული და ყოველმხრივი ანალიზის ნაცვლად, საზოგადოებამ მიიღო ისევ ის, რასაც მას თავის დროზე სთავაზობდნენ კომუნისტური, ზვიადისტური, შევარდნაძისეული რეჟიმების მოწინააღმდეგეები. შეგვიძლია ცოტა უფრო შორსაც წავიდეთ: ხრუშჩოვის კომპარტია სასტიკად აკრიტიკებდა სტალინისას, ბრეჟნევისა — ხრუშჩოვისას, ანდროპოვ-ჩერნენკოსი — ბრეჟნევისას, გორბაჩოვისა — ყველა წინამორბედისას ერთად, ელცინისა — გორბაჩოვისას... ანუ იცვლებოდნენ პოლიტიკური ფიგურები, რეჟიმი კი ძველებური რჩებოდა.

ხალხის მეხსიერება არც ისე მოკლეა, როგორც ეს ახალგამომცხვარ „ლიდერებს“ ჰგონიათ. ხალხი, მართალია, პასიურია (სტენკა რაზინის ეპოქისგან განსხვავებით, შურდულებით, ფინწლებით და ნაჯახებით შეიარაღებული, ჯერჯერობით, ქუჩებში არ გამოდის და მასობრივ დარბევებს არ იწყებს), მაგრამ მას ყველაფერი ახსოვს და ამიტომ ისევე ვერ ენდობა ოპოზიციას, როგორც ხელისუფლებას. თავისას შვრება კომუნისტური მემკვიდრეობაც — მაინც არაფერი გამოგვივა!

გინდათ, რომ გაქებდნენ?

პრესამ, თავისი ეპოქის და თავისი საზოგადოების ღვიძლმა შვილმა, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე გათამაშებულ დრამაში მთავარი გმირის როლზე უარი თქვა და საპატიო სტუმრის ლოჟაში თვლემა ამჯობინა. ვინმეს კი არ ვსაყვედურობ, უბრალოდ,

მოგახსენებთ საკუთარი დაკვირვების შედეგს, რაც, შესაძლოა, მცდარიც იყოს.

დამოუკიდებელ საქართველოში ჟურნალისტიკის დონე დაეცა-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან საბჭოთა საქართველოში ჟურნალისტიკის რაიმე დონეზე საუბარი ძალზე საჭოჭმანო საკითხია. სხვა საქმეა, რომ იყვნენ ნიჭიერი ჟურნალისტები, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი ნიჭის და შესაძლებლობების გამჟღავნების საშუალება და უფლება. როგორც ვთქვი, ჯერ „7 დღემ“ და „დრონმა“, შემდეგ „რეზონანსმა“, „24 საათმა“ და „საქართველოს რესპუბლიკამ“ სცადეს ანალიტიკოსის, გზის მაჩვენებლის და, შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის წარმმართველის როლის ტვირთვა, მაგრამ მათი მცდელობა კრახით დამთავრდა. პრესამ ვერ შესძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ეგრეთ წოდებულ რეფორმებზე სამართლებრივ და განათლების სფეროებში, სახელმწიფოს მოწყობის პრობლემებზე, ხელისუფლების საგარეო, შიდა ეკონომიკურ, თუ ფისკალურ პოლიტიკაზე, ჩინოვნიკების თვითნებობის აღკვეთაზე, ძალიან გახმაურებული კრიმინალური საქმეების სრულფასოვნად გამოძიებაზე, თვით სახელმწიფო სიმბოლიკის (ჰიმნი, დროშა, გერბი) დადგენაზეც კი.

პრესა და ტელევიზია, ანუ ამ პერიოდის მთელი ქართული ჟურნალისტიკა გონებრივი ცენტრის, ლიდერის ნაცვლად თავად დაეშვა ბრბოს დონეზე. მან ნებაყოფლობით დათმო შუამავლის როლი ობიექტურად არსებულ გონსა და ათასი საზრუნავით დატვირთულ საზოგადოებას შორის.

ჟურნალისტიკას სიყვითლის სენი შეეყარა. იგი, როგორც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ლუკმაპურისთვის, სიცოცხლის გადარჩენისთვის ყოველდღიურ გაწამაწიაში ჩაება.

არ ვამბობ, რომ ხელისუფლებას, მის გადაწყვეტილებებს, კანონებს, პიროვნებებს, ფაქტებს და მოვლენებს არ აკრიტიკებდნენ. „რეზონანსი“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ქრონიკა“, „ახალი ვერსიები“ და სხვა, მართლაც ხმალამოღებული იბრძოდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა თავიდანვე განწირული იყო დასამარცხებლად, რადგან არ არსებობდა არავითარი სტრატეგია, არ ჩანდა გამოკვეთილი მიზანი, არ ჩანდა მოვლენათა ანალიზი, არ იყო ოპტიმალური გზის მინიშნების მცდელობა. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ცუდია! — და მეტი არაფერი.

ისიც საინტერესოა, რომ ამ პერიოდის პრესა ისევე ერიდებოდა ოპოზიციის კონსტრუქციულ კრიტიკას, როგორც ოდესღაც კომუნისტური პრესა ერიდებოდა საბჭოთა რეჟიმის კრიტიკას. მაგალითად, ქართულ მასმედიაში ძალიან მწარე შენიშვნები გამოითქვა პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით, როცა მან ერთმანეთში აურია შოთა რუსთაველი და გრიგოლ ორბელიანი. თუმცა, იგივე არ მომხდარა, როცა ლეიბორისტების ლიდერმა ნათელაშვილმა ერთმანეთში აურია ანდერსენი და ძმები გრიმები. ანუ ნაციონალური პარტიის იქნებ სამართლიანი, მაგრამ აშკარად დაუსაბუთებელი კრიტიკით მე, საქართველოს მოქალაქე უნდა მივმხვდარიყავი, რომ ძალიან კარგია ლეიბორისტული პარტია. მით უფრო, თუ ამ პარტიის ნამდვილი გეგმები ჩემთვის არავის არ გაუცვნია!

მიმტკიცებდნენ (სამართლიანად!), რომ, ვთქვათ, სამტრედიის გამგებლის თანამდებობისთვის აშკარად შეუფერებელი იყო ვინმე ავთო სტურუა, მაგრამ არ მეუბნებოდნენ, რატომ იყო ამ თანამდებობისთვის ზედგამოჭრილი დეპუტატ ზვიად ძიძიგურის ძმა, კობა!

ამომრჩეველი, რა თქმა უნდა, ამგვარ ლოგიკას ვერ ეთანხმება და, საბოლოოდ, მთელი ეს თავგამოდებული ანტისახელისუფლო კამპანია წყალს ასხამს სწორედ ხელისუფლების წისქვილზე.

შეგახსენებთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არა ჟურნალისტიკის პოლიტიკაზე, არამედ, ზოგადად, ჟურნალისტიკის და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთ ზეგავლენაზე. ტოტალიტარული რეჟიმის, უფრო ზუსტად, თანამედროვე მოდერნიზებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეს ზეგავლენა ცალმხრივია — რეჟიმი არ ცნობს ჟურნალისტიკის თავისუფლებას. ქართულ ჟურნალისტიკას საქმეს კიდევ უფრო ურთულებს დაბალი პროფესიონალიზმი, ისტორიული უსახელმწიფოებრიობის განცდა, დემოკრატიული ჟურნალისტური ტრადიციების სიმწირე, მატერიალური სიდუხჭირე, სრულფასოვანი ჟურნალისტური სკოლების ფაქტობრივი არარსებობა და, რა თქმა უნდა, ბიზნესწრეების ჟურნალისტიკისადმი ზერელე, ხშირად ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, ბიზნესისადმი რეჟიმის დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია.

თუმცა, ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტიკა უნდა ელოდოს, როდის მოიღებს მოწყალებას რეჟიმი და მისდამი კეთილ-

განწყობას გამოიჩენს. XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ჟურ-ნალისტიკაში ბევრი ნიჭიერი და მამაცი ადამიანი მოღვაწეობს. საჭიროა მათი ძალების გაერთიანება და ერთი მიზნისკენ წარმართვა. ამას კი დრო უნდა.

თუ ისტორიას ვენდობით, ეს დრო დადგება. აი, მაშინ კი აუ-ცილებლად გაიხსენეთ ბრძენი ფრანგი ჟან დე ლა ბრიუიერი*:

„ზოგი (ჟურნალისტი) ქების და დიდების ღირსია იმის გამო, რომ კარგად წერს, ზოგი კი იმის გამო, რომ, საერთოდ, არაფერს არ წერს“.

თქვენც ეცადეთ, მუდამ ქება დაიმსახუროთ.

თავი XIII

ენა და ჟურნალისტიკა

2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საფუძვლიანად შევისწავლე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი ზოგადი განათლების შესახებ (კოდური სახელწოდებით „ილია ჭავჭავაძე“).

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავადგინე, რომ ამ კანონპროექტის და მთლიანად „განათლების რეფორმის“ ერთ-ერთი შემოქმედი და სულისჩამდგმელი ყოფილა ფილოსოფიის პროფესორი გიგი თევზაძე.

დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ პირველი შთაბეჭდილება თავზარდამცემი იყო — კანონპროექტის ავტორებმა არ იციან მშობლიური ენა! არცოდნაში ვგულისხმობ ქართული ენის გრამატიკას, ლექსიკას, ორთოგრაფიას, პუნქტუაციას, აზრის წერილობით გადმოცემის ხელოვნებას.

როგორც გაირკვა, ენთუზიასტ-რეფორმატორთა ჯგუფს, რომელსაც, მათივე „ნაშრომიდან“ გამომდინარე, ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კანონშემოქმედებაზე, სამართალზე, პედაგოგიკაზე, მართვაზე, განათლების სისტემაზე, ქართული ენის ნორმებზე და პროფესიულ სინდისიერებაზეც, რამდენიმე უცხო ენიდან ეთარგმნა რამდენიმე უცხო ქვეყნის შესაბამისი კანონების ფრაგმენტები.

მადლობა ღმერთს, მაშინ პარლამენტმა არ განიხილა ეს აბდაუბდა. ეჭვი მაქვს, რომ პატივცემულმა დეპუტატებმა ვერ დაადგინეს, რა ეწერა კანონპროექტში. ეს ის შემთხვევაა, როცა გულწრფელად ვუთანაგრძნობ ჩვენი პარლამენტის უმრავლესობას — მართლაც ძნელია ასეთი ნორმების გაგება:

„საქართველოს მთავრობა წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს“;

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მონაცემთა რეგისტრაცია იწვევს მათ ძალაში შესვლას“;

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, რომელიც არსებობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით, ვრცელდება ამ კანონის I, II, III და IV თავები“;

„ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით...“

„ეროვნული სასწავლო გეგმა — დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილებას, მოსწავლეთა მაქსიმალურ და აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევების და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელსაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღწევის საშუალებების აღწერას“.

ასე და უფრო უარესიც თავიდან ბოლომდე.

რა თქმა უნდა, მინახავს არანაკლებ პატივცემული დაწესებულების მიერ შეთხზული ბევრი არანაკლებ ბრიყვული დოკუმენტი, მაგრამ სახელდობრ ეს კანონპროექტი იმიტომ გავიხსენე, რომ იგი შეიქმნა სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. თანაც, მტრის თვალის დასაყენებლად და მოყვრის თვალში ნაცრის შესაყრელად, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოქართულის და ქართული ენის უდიდესი მოამაგის — ილია ჭავჭავაძის სახელს ამოეფარა.

ენის მნიშვნელობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და, იქნებ, ისეთ უღრანებში შეგვიტყუოს, უკან დაბრუნება რომ გაგვიჭირდება. ამიტომ ძალიან მოკლედ გავიმეორებ ორიოდე ძალიან გავრცელებულ მოსაზრებას.

ენა არის ერის კულტურის გამოხატულებაც და პიროვნების ამ კულტურისადმი კუთვნილების საზომიც.

ენა ადამიანის, პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების საზომიცაა. მაგალითად, ენა ერთნაირად მნიშვნელოვანი არ გახლავთ, ვთქვათ, პროფესორ ნადირაშვილისთვის* და თავისთვისაც კი მოულოდნელად გადეპუტატებული ქალბატონი ნადირაძისთვის. ბატონი პროფესორისთვის ენა არის ინსტრუმენტი ურთულესი ფილოსოფიური კატეგორიების რაც შეიძლება უბრალოდ (გასაგებად) გადმოსაცემად. ამიტომ, პროფესორის ენა მდიდარი, ფერადი (მრავალფეროვანი) და სადაა. ქალბატონი დეპუტატისთვის კი ენას აქვს მეორე დეპუტატისთვის საკუთარი უპირატესობის დამმტკიცებლის ფუნქცია („იცით, რა, მე ეს მაგონებს იმას, როცა თქვენ, ისა... სად იყავით ვარდების რევოლუციის დროს, თქვენ არა გაქვთ ამ თემაზე საუბრის უფლება...“). ამიტომ დეპუტატის ენა ისეთივე პრიმიტიულია, როგორიც მისივე აზროვნება.

ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება, აზრის სწორად და ლაკონიურად გადმოცემის, აზრის დამახინჯების, ან აზრების დაფარვის (კოდირების) ხელოვნებასაც გულისხმობს. საგაზეთოს გარდა, არსებობს მხატვრული სიტყვის, სამართლის, დიპლომატიის, მეცნიერების, კომპიუტერის, ბრძანებების, პროტოკოლის, რეკლამის, ჟესტებისა და მიმიკების, მუსიკის, კინოს, არქიტექტურის, ფუტკრების და ა. შ. ენა.

ენა მეორადია. პირველია აზრი, ანუ გონება. ენა ვერასოდეს ვერ ასწრებს აზრს, თუ აზრი, საერთოდ, არის. ანუ ენის სიღარიბე გონების შეზღუდულობაზე მიუთითებს. ხოლო თუ კამათისას არგუმენტად ძალა (მუშტი, წიხლი, დედის გინება) გვევლინება, საქმე სრულ უგონობასთან გვაქვს.

უკვე მესმის პროტესტის ხმა, რომ ენა, შესაძლოა, თავად იყოს აზროვნების წყარო, ანუ ადამიანი ენით აზროვნებდეს, მაგრამ პირადად მე ამ ფილოსოფიური თეორიის გაზიარება ძალიან მიჭირს.

დამიმესიჯეთ თქვენი მხარდაჭერა

„თქვას“ მნიშვნელობის გადმოსაცემად, ქართულ ენას უმდიდრესი არსენალი აქვს: **ბრძანა, ილაპარაკა, ისაუბრა, იბაასა, იმუსაიფა, იმეტყველა, იყვირა, იუბნა, განაცხადა, გააბა, ილაყბა, იბაზრა, ილაქლაქა, იკაპასა, ირატრატა, ირაკრაკა, იტლიკინა, იტიკტიკა, იჟღურტულა, იბუხუნა, იჭიკჭიკა, იწრიპინა, ისისინა, იჯაჯღანა, იჯუჯღუნა, იჭუკჭუკა, იჩურჩულა, იწკმუტუნა, იკაკანა, იკნავლა, ითლიფინა, იბურდღუნა, იბღავლა, იჭაჭყანა, იტატყანა, იდადღანა, იდუდღუნა, იბურტყუნა, იყაყანა, დაფქვა, იყიყინა, დაბეჭდა, ბეჭედი დაუსვა, ენა გამოიბა, ენა მიუტანა, ენა მოიქავა, ენა ამოიდგა, ენა აილესა, ენაზე წავიდა, ენა ზურგზე გადაიგდო, ენით ზურგი მოიფხანა, პირი გააღო, პირი აიქაფა, პირი აიდუღა, გუდას პირი მოხსნა, ტვინი წაიღო, ტვინი შეჭამა, ხმა ამოიღო, ყური გახვრიტა, ყური წაიღო, გული შეაღონა, ლაყაფი გააბა, ტრიბუნა ჩაიგდო, რადიო გადაყლაპა, თვით—მესიჯი გაუგზავნაც კი...**

ამ მრავალფეროვნებიდან მოაზროვნე ადამიანი ვითარებისთვის შესაფერის გამოთქმას ირჩევს. თუ დარბაისელ ადამი-

ანს გულისხმობს, იტყვის იმუსაიფაო; თუ ანჩხლ დედაკაცს — იკაპასაო; თუ ვინმეს შეურაცხყოფა სურს — პირი აიქაფა, ტვინი წაიღოო; — თუ ვიღაცის გველთან შედარება უნდა — ისისინაო; თუ ლომთან — იბუხუნაო, თუ ბაყაყთან — იყიყინაო და ასე შემდეგ, უსასრულოდ.

როცა საქმე პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან გვაქვს, მაშინ არჩევანი შეზღუდულია — პოლიტიკოსს არა აქვს უფლება, თქვას ყველაფერი, რასაც გულში გაივლებს და რაც ენაზე მოადგება. როცა დეპუტატი ბრძანებს, ყველა უზრდელობაზე უზრდელობით ვუპასუხებო, კოლეგა დეპუტატს ის ვუთხარი, რაც დაიმსახურა და რასაც მასზე ვფიქრობო, ეს ზნეობის საყოველთაო და კატასტროფულ დაცემაზეც მეტყველებს და, ზოგადად, უვიცობაზეც.

ალბათ, დაჯერება გაგიჭირდებათ, მაგრამ რასაც ახლა ვიტყვი, სრული სიმართლეა: ოდესღაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ჰყავდა ახალგაზრდა, ენერგიული პრეზიდენტი, რომელმაც არ იცოდა სალიტერატურო ქართული ენა და არც პატივს სცემდა მას. ამიტომ პოლიტიკური ოპონენტების მისამართით ხშირად იმეორებდა, „წკმუტუნებენ, ყიყინებენ, აჩმახებენო“. ამით იგი არაორაზროვნად მიუთითებდა იმ ოპონენტების უსუსურობაზე, უჭკუობაზე და უმნიშვნელობაზე. ასე ეგონა თვითონ და ამასვე გულმოდგინედ იმეორებდნენ პრეზიდენტის „ერთგული“ მაღალი და დაბალი რანგის ჩინოვნიკები.

ეს არის სწორედ ენის მნიშვნელობის უცოდინრობიდან მომდინარე საბედისწერო შეცდომა. თუ პრეზიდენტს, მთლიანად ხელისუფლებას ოპონენტი და ხელისშემშლელი არა ჰყავს, რაღა საჭიროა საპარლამენტო დებატები და ამდენი იწილო-ბიწილო — მიდი და აკეთე, რაც გინდა, გამარჯვებებისთვის დაფნის გვირგვინიც შენ გერგება და დამარცხებისთვის — რიყის ქვაც.

პრეზიდენტმა არასოდეს არავის, თვით მოსისხლე მტრის მისამართითაც კი არ უნდა იხმაროს ასეთი გამოთქმები: ყიყინებს, აჩმახებს, წკმუტუნებს, ყმუის, ბღავის, გიჟი ხომ არა ხარ, მეტი საქმე არა მაქვს, სხვა კიდე რა უნდათ, ვერ მოგართვი, ნურას უკაცრავად, ცივი წყალი დალიოს, დავსჯი, დავიჭერ, მივუზღავ, დამნაშავეა, ხროვა, ბრბო, ვიგინდარები, ხელმოცარულები, უსაქმურები, კრიმინალები, წურბელები, მოუსავლეთში წავიდა და სხვა.

ჩვენი მაშინდელი პრეზიდენტი შინაც და გარეთაც, თვით ბიუჯეტის კანონის განხილვის დროსაც კი სიტყვით ზეპირად,

„უშპარგალკოდ“ გამოდოდა. ვიღაცის რჩევით, თუ საკუთარი ინტუიციით, დარწმუნებული იყო, რომ პუბლიკას ამით თავს უფრო მოაწონებდა. ესეც ბავშვური გულუბრყვილობაა: ერთი და იმავე შინაარსის გამოსვლები, ერთი და იმავე არარსებული წარმატებებით კვეხნა, უადგილო, უკბილო იუმორით შეზავებული კომენტარები, ოპონენტების და წინა ხელისუფლების გაუთავებელი ლანძღვა-გინება ახალგაზრდა პრეზიდენტის სახელს აშკარად ვნებდა, მისი ფარისეველი „მეგობრები“ კი ამაზე არაფერს ეუბნებოდნენ. პირიქით, აქეზებდნენ კიდეც.

ადამიანის განათლება, კულტუროსნობა, ცოდნა, გაზრდილობა, განზრახვა, ოჯახიშვილობა, რთული აზრების უბრალოდ და კორექტულად გადმოცემის უნარი — ყველაფერი ეს ადამიანის მეტყველებიდან ჩანს. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს აკლდა იმ ეპოქის ქართველ პოლიტიკოსთა უდიდეს უმრავლესობას. რაც მთავარია, სწავლის სურვილიც არავის ეტყობოდა.

გეფიცებით, არ მინდა პოლიტიკაზე და პოლიტიკოსებზე საუბარი, მაგრამ გვერდის ავლასაც ვერ ვახერხებ. გთხოვთ, წაიკითხოთ 2003 წლის შემდეგ მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე დანიშნული პირების მოკლე ბიოგრაფიები. ისინი გამოქვეყნებულია პრესაში. უკლებლივ ყველგან მითითებულია, რომ ამან და ამან იცის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, არაბული... ენა (უფრო ზუსტად, ასე წერენ: ფლობს ... ენას). არსად, არავის ბიოგრაფიაში მითითებული არ არის, რომ ამ კაცმა — საქართველოს მინისტრმა, გუბერნატორმა, გამგებელმა, დეპუტატმა, დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მოსამართლემ... იცის მშობლიური ენა. თითქოს საზოგადოების ამ ნაწილისთვის მშობლიური ენის ცოდნა არც საჭირო იყოს და არც სავალდებულო. ამიტომაც, პატივცემული პოლიტიკოსები, აი, ასე მეტყველებდნენ:

— **გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი თავი;**

— **მინდა სწორად ვიყო გაგებული;**

— **რასაც იგივეს ითხოვს ნატო ჩვენთან;**

— **მე ვარ ამაყი და ამაღლებული იმ ზომაზე, რომ...**

— **ეს არის (ასეთია) ჩემი მესიჯი;**

— **ვიმუშავეთ და მივიღეთ ახალი კომბინირებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ადგილი ჰქონდეს რეალურ ანგარიშვალდებულებას“..**

მოდი, ქართველი მედიკოსების ჩანაწერებსაც გავეცნოთ, დარწმუნებული ვარ, ძალიან იხალისებთ:

— მიმღებ განყოფილებაში ავადმყოფს გული გაუჩერდა და თავი უკეთ იგრძნო;

— მეორე დღეს მუხლი უკეთ გამოიყურებოდა, მესამე დღეს კი, საერთოდ, გაქრა;

— მიუხედავად გაფრთხილებისა, ავადმყოფმა განავალი მაინც სხვა კლინიკაში დატოვა;

— ავადმყოფი ყინულზე წაიქცა და ფეხები შუა დეკემბერში ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გაუცურდა;

— სუნთქვის გაძნელება ფილტვის შეშუპების აშკარა ნიშნებით, ავადმყოფს დაეწყო სახლში, სქესობრივი აქტის დროს, რომელიც მიმღებ განყოფილებაში თანდათან გაურთულდა;

— ავადმყოფი პალატაში არ არის, ე. ი. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია;

— უჩივის მხედველობას: ქალიშვილს ქალისგან უკვე ვეღარ არჩევს;

— მკურნალობდა შინაური მეთოდებით: დილით სვამდა არაყს, სადილად—ღვინოს;

— ავადმყოფმა დანიშნული რეჟიმის დარღვევით ორგანიზმში შეიყვანა შემწვარი გოჭი და აჯიკა;

— ავადმყოფს აღენიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება: ფეხებს უკვე დამოუკიდებლად ჭიმავს;

— ავადმყოფი დეპრესიაშია და გამუდმებით ტირის, ამავე დროს, ჩანს, რაღაცაზე გულნატკენია;

— ავადმყოფი ნ. გ. ასაკი 70 წელი. დიაგნოზი: მწვავე ქოლეცისტიტი, თანმხლები პათოლოგია — ქალწულობა;

— ავადმყოფს აღენიშნება ცოლი, ორი ქალიშვილი და საზარდულის თიაქარი...

სიცილი სიცილად, მაგრამ ამ წინადადებების წაკითხვის შემდეგ მეც იმ პაციენტის მდგომარეობაში ვარ, „გამუდმებით რომ ტირის და ამავე დროს, ჩანს, რაღაცაზე გულნატკენია.“

ვფიქრობ, კომენტარი არ ღირს. მხოლოდ ერთ ჭეშმარიტებას გაგახსენებთ — ვინც მშობლიური ენა არ იცის, სიტყვის (Lingua) მნიშვნელობა არ იცის, იგი ვერ იქნება საკუთარი ერის კულტურის მემკვიდრე და, შესაბამისად, ვერ იქნება პატრიოტი. ანუ ვერ გამოდგება პოლიტიკოსად. არ ვლაპარაკობ ენის მეცნიერულ ცოდნაზე, — უბრალოდ, აზრის გამართულად და დაუმახინჯებლად გადმოცემის შესაძლებლობაზე მოგახსენებთ.

თუმცა, რას ვერჩით „ტლუ“ დეპუტატებს, როცა იმ შორეულ

ეპოქაში ასეთი წინადადებით საუბრობს ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი: **„დავადგინეთ ის მიზეზები, რომელთა გამოც მოხდა შენობის ავარიულობა“.**

გული რომ არ დაგწყდეთ, ცნობილი და სახელიანი ქართველი ჟურნალისტების გამოთქმებსაც გავიხსენებ:

— თუ რომელი პროექტით იქნება აშენებული, მთელი დარბაზის სურათი თქვენ სახეზე გაქვთ;

— ალბათ, ოდნავ დააგვიანებს ამ შეხვედრის გამართვა;

— ახლა კი, თუ რას ელიან ის ხალხი, რომლებიც საღამოს კონცერტს ელის;

— დაპირებული 2000 ბუშტი ბავშვებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტმაც გააფრინა.

მოდი, არც ამ წინადადების ავტორის გვარს გავამხელ: **„სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყანაში სააკაშვილის მერე ყველაზე რეიტინგული ქალბატონი ბურჯანაძეა“.**

ეს საგაზეთო ინფორმაციაა. მით უფრო, გასაოცარია მისი ავტორის უვიცობა თუ წინდაუხედაობა. თუ სპიკერ ბურჯანაძეს ქალბატონობით მოიხსენიებ, პრეზიდენტ სააკაშვილს რაღას ერჩი — ის რა, რანგით ქალბატონ ბურჯანაძეზე ნაკლებია?! თუმცა, ამ წინადადებაში მთავარი ის არის, რომ ავტორს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მდედრობითი სქესისა ჰგონია! ამიტომაც ამბობს, **„სააკაშვილის შემდეგ ყველაზე რეიტინგული ქალბატონი ბურჯანაძეა“, ანუ ამ ორი ქალბატონიდან (ბურჯანაძე და სააკაშვილი) ბურჯანაძე მეორე ადგილზეაო...**

მეცნიერების ენა

თავადაც ვხვდები და უთუოდ თქვენც შეამჩნიეთ, რომ გამოთქმა — „მეცნიერების ენა“ — ორაზროვანი და ცოტა გაუგებარიცაა. არ არის ნათელი, რაზეა საუბარი — მეცნიერებზე, თუ მეცნიერებაზე. მე კი მინდოდა დამეწერა ის, რასაც ქართულად ნიშნავს „язык науки“ და არა „язык ученых“. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, სჯობდა მეთქვა „მეცნიერული ენა“ და არც ეს ახსნა-განმარტებები დამჭირდებოდა. მაგრამ მაშინ გამიჭიანურდებოდა მთავარ სათქმელთან მისვლა: ერთიდაიგივე აზრი შეიძლება მრავალნაირად ითქვას, მაგრამ ეს არ გახლავთ ერთფეროვანი ნაირგვარობა — ყველა სიტყვას და გამოთქმას თა-

ვისი კონკრეტული მისამართი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელფერი, სუნი და გემო აქვს.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოში გაბატონებული იმპერიული აზრით, ქართული მეცნიერული ენა უნდა ყოფილიყო მშრალი, აუცილებლად უცხო ტერმინოლოგიით გადატვირთული, მთავარი აზრი ღრმად ჩამალული უნდა ყოფილიყო სტრიქონებს შორის, დაწერილი უნდა ყოფილიყო მრავლობით რიცხვში (აღმოვაჩინეთ, დავადგინეთ, გამოვიკვლიეთ) და წინადადებები აგებული უნდა ყოფილიყო რუსული ენის გრამატიკის შესაბამისად. სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა, ძირითადად, რუსულენოვანი და, ნაწილობრივ, რუსულიდან ძალიან ცუდი თარგმანის სახით არსებობდა.

ვითარება ახლაც ზუსტად ძველებურია ერთადერთი განსხვავებით — ინგლისური რუსულის ნაცვლად.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც — ადრე წიგნების, მით უფრო, სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა ძნელი საქმე იყო (დიდმა მეცნიერმა და მთარგმნელმა, ბაჩანა ბრეგვაძემ* თავისი ნაშრომების გამოცემა დღემდე ვერ მოახერხა!). ახლა ამ მხრივ სრული დემოკრატია, ანუ სრული განუკითხაობაა — ოღონდ ფული იყოს და, გამოეცი, რაც გინდა და რამდენიც გინდა!

ნაშრომი, რომელზეც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოსულა. ამ წიგნს მხოლოდ ქართული ენის ინტერესებიდან გამომდინარე შევეხები და ისიც გაკვრით, თორემ მის საფუძვლიან კომენტარს, ალბათ, მრავალი წლის თავაუღებელი გარჯა დასჭირდება.

საუბარია ჟურნალისტის და ფილოსოფოსის (ასე უწოდებს ავტორი საკუთარ თავს), ჯანრი კაშიას ნაშრომზე „თავისუფლება და ფედერალიზმი“.

ჯერ ეს ციტატა ვნახოთ:

„ცივილიზაციათა ტიპების ამგვარი მოდელირების უფლებამოსილებას, ცხადია, ვერავინ შეეწინააღმდეგება, მაგრამ საკითხავი სწორედ ისაა, ამ ცივილიზაციათა მაკონსტიტუირებელ მატრიცას რა წარმოადგენს, ცოდნის რა ტიპოლოგიაში (ველში და ჰორიზონტში) თავსდებიან ისინი, რა სტრუქტურა აქვთ ამ ტიპებს და, არსებითი საკითხი: რითი არის განსაზღვრული აღნიშნულ ცივილიზაციათა (ვთქვათ, ებრაულის, ან ჩინურის) ტიპოლოგიურობა? თუ ეს ცივილიზაციები თავისთვის ტიპოლოგიურები არიან, ამგვარი ნებისმიერი

ცივილიზაციაა, ხოლო თუ ეს ცივილიზაციები რაღაც სხვა, უკვე ცნობილი ზეცივილიზაციის მიმართ იდგენენ ტიპოლოგიურობას, მაშინ ეს ზეცივილიზაციაა ჯერ განსასაზღვრი და მისი ტიპოლოგიურობა დასადგენი, და შემდეგ კი სხვადასხვა ცივილიზაციებისა, რელატივისტურ ისტორიოსოფიაში ხან ერები (ებრაელი, ჩინელი, ელინი და სხვ.) გამოდიან ცივილიზაციის ტიპებად, ხან რელიგიები (ქრისტიანული, ბუდისტური და სხვ.)".

ბატონი კაშია ამ გრანდიოზული ნაშრომის შექმნას, ალბათ, დიდ დროს და ენერგიას შეალევდა. მიზანიც ფრიად კეთილშობილური დაუსახავს — ჩვენთვის, ფილოსოფიაში არცთუ გაცნობიერებული თანამემამულეებისთვის, თავისუფლებისა და ფედერალიზმის არსის წარმოჩენა. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ არის ერთი გარემოება, რაც წყალში ყრის მეცნიერის და ჟურნალისტის ნაჯაფს — ენა, რომელსაც იგი საკუთარი ნააზრევის გადმოსაცემად ირჩევს.

სამწუხაროდ, არ მქონია ბედნიერება ბატონი კაშიას სხვა ნაშრომებიც წამეკითხა („თავისუფლება და ფედერალიზმი" მისი პირველი და უკანასკნელი ნაშრომი არ იქნება!). იმედია, ისინი უფრო გასაგებ ენაზე დაიწერებოდა. ალბათ, ჩემი გაუნათლებლობის ბრალია, რომ არ მესმის ჟურნალისტის და ფილოსოფოსის ასეთი „უბრალო" აღმოჩენაც კი: **„საფრანგეთის რევოლუციამ პირველი დიდი ბზარი გააჩინა საფრანგეთის შიდასაზოგადოებრივი ერთობის ურთიერთგამოსაცნობობის თვალსაზრისით".** ქართული ენის გრამატიკის გათვალისწინებით, ეს წინადადება, სჯობდა, ასე დაწერილიყო: **„საფრანგეთის შიდასაზოგადოებრივი ერთობის ურთიერთგამოსაცნობობაში პირველი დიდი ბზარი რევოლუციამ გააჩინა".** თუმცა, ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის, რადგან უბრალო მოკვდავთათვის გაუგებარია მთავარი — **„შიდასაზოგადოებრივი ერთობის ურთიერთგამოსაცნობობა".**

„ერის", როგორც სოციალური კატეგორიის გააზრება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ამ ცნებათა შორის არის გარკვეული წინააღმდეგობა ღირებულებითი თვალსაზრისით".

კაცი, რომელიც ენას ასე ეპყრობა, ამ ენაზე არ უნდა წერდეს. ალბათ, აჯობებდა, ბატონ კაშიას თავისი ნაშრომები ფრანგულად დაეწერა და მერე ისინი პროფესიონალ მთარგმნელს ქართულ

ენაზე ეთარგმნა. ნებისმიერი საკუთარი თავის პატივისმცემელი მთარგმნელი ასეთ რამეებს არ დაწერდა: **„ხდება ურთიერთობების გამწვავება“; „ხდება ვითარების აღწერა“; „აქვს უნივერსალიზებისაკენ მისწრაფება“; „იდეოლოგიზირებული აზროვნება“; „ონტოლოგიალური ისტორიულობა“; „ტიურგოს კალმის ქვეშ წარმოქმნილი ცნების გამოქვეყნებისას“; „ამ ეპოქიდან ერთ მხარეს გვაქვს ცივილიზებული ხალხები, მეორეს კი ველური“; „ცივილიზაცია წარმოადგენს კულტურის გარკვეულ ფორმას“...**

ესეც მეცნიერის ნააზრევი გახლავთ: **„მეტყველება ინტონაციათა და რეგისტრთა მონაცვლეობა. მონოტონურობის კოშმარი მუდამ თან სდევს რიტმულად დაუნაწევრებელ ბრწყინვალე სტრიქონებსაც. ოცნება ბრუნავს წრის გარშემო. ვარიაციები და განწყობილებათა ტრიალი. მოძრაობა არსაით. ჩაკეტილი სწრაფვა. ცნობიერების უსასრულო დინება. ზმანებათა ლენტა გვაზიარებს რეალობის დარბილებულ ნამსხვრევებს. ფერადი ფიქრები მუსიკალურ კომპოზიციად აიგება. რემინისცენციათა სიჩქარე და სიმბოლიკური პარაბოლები, ლამაზი და რაფინირებული ფრაზები გადმოშლიან ფურცლებს პოეტის გონების წიგნისა, ხოლო მის ყოველ გვერდს ფირფიტა ეწოდება“.**

ეს მრავლისმეტყველი ციტატა აღებულია ლიტერატურის კრიტიკოსის, პროფესორ სოსო სიგუას სტატიებისა და მონოგრაფიების კრებულიდან „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“.

კრიტიკოსი რენე კალანდიას პოეზიაზე გვესაუბრება. ალბათ სურს გვითხრას, რომ მას მოსწონს პოეტის ლექსები. მგონი, იმის თქმაც სურს, რატომ მოსწონს და ჩვენ, საბრალო მკითხველებსაც რატომ უნდა მოგვწონდეს. ყველაფერი ეს ისეთ ბურუსშია გახვეული, გზის გაგნება წარმოუდგენელია. შესაძლოა, საქმე უფრო პროზაულადაც იყოს: კრიტიკოსს არ მოსწონს რენე კალანდიას პოეზია, ხათრს ვერ უტეხს მეგობარ პოეტს და მასზე განზრახ ისეთ რამეს წერს, რასაც ძეხორციელი თავს და ბოლოს ვერ მიაბამს. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელსაც ბატონი პროფესორი უთუოდ დაეთანხმება: მე, თეიმურაზ ქორიძე (და ნაწილობრივ თქვენც, ვინც ეცადეთ და ვერ ჩაწვდით სიგუასეულ სტრიქონებს შორის საიმედოდ ჩამარხულ აზრებს!) ვერ ვერკვევი თანამედროვე ქართულ ავანგარდულ პოეზიაში. შე-

საბამისად, რამე არც ავანგარდული პოეზიის მეცნიერული კრიტიკისა გამეგება... ბატონი სიგუა კი საზოგადოების იმ ნაწილისთვის იღვწის, ვინც იცის და ვისაც გაეგება.

ახლა მცირე ხნით მეცნიერების სხვა სფეროს, ფილოსოფიას მივუბრუნდეთ. უფრო ზუსტად, გავაგრძელოთ საუბარი მეცნიერების ენაზე.

1999 წელს სამეცნიერო-პოპულარულმა ჟურნალმა „საქართველოს ტელეკომუნიკაცია“ გამოსცა პ. კერვალიშვილისა და ნ. ჯიბლაძის ნაშრომი „სამეცნიერო პოლიტიკის რამდენიმე საკითხი“. მას წინ უძღვის ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ გიგი თევზაძის წინასიტყვაობა. იგი საკმაოდ მცირე მოცულობისაა და აქ მთლიანად გთავაზობთ.

„ეს წიგნი უნიკალურია იმით, რომ ის, ერთი მხრივ, საინტერესო და სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის, ვინც საქართველოში თავს პოლიტიკოსებს მიაკუთვნებს, ხოლო მეორე მხრივ, ისინიც უნდა დააინტერესოს, ვისაც თავი საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების წევრად წარმოუდგენია.

მთავარი, რაც დღეისათვის შეიძლება იყოს ღირებული ქართველი მკითხველისათვის ამ წიგნში, არის მეცნიერების როლის და ადგილის აღწერა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, წიგნში სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა სისტემის საინტერესო ანალიზია ჩატარებული; როგორც ანალიზიდან ირკვევა, მეცნიერების მსგავსი პოლიტიკა და სისტემა მხოლოდ ისტორიის საკუთრება არ არის და თავს სხვადასხვა გამოვლინებით დღესაც გვახსენებს.

წიგნის ავტორები ცხადად წარმოადგენენ, თუ რით განსხვავდება განვითარებული ქვეყნის მეცნიერება სახელმწიფოს ურთიერთობა სხვა ქვეყნების ანალოგიური მიმართებებიდან: თუ განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკოსები აქცენტს აკეთებენ მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებაზე, სოციალისტურ და პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების უმეტესობაში ხელისუფლების რეპრეზენტატორები თავს ვალდებულად თვლიან უხელმძღვანელონ მეცნიერების განვითარებას და ერთიანი, ცენტრალიზებული მართვის სისტემა დააფუძნონ.

იდეა, რომელიც ამ წიგნს ლაიტმოტივად გასდევს, არის მეცნიერების ორი სახელმწიფო გაგების (განვითარებული ქვეყნისათვის და სოციალისტური ქვეყნისათვის დამახასიათებელი) დაპირისპირება: 1. ქვეყანაში არსებული მეცნიერების სისტე-

მა, როგორც სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკური გადაწ-ყვეტილების მიღების მონაწილე, და 2. მეცნიერება, რომელსაც ხელისუფლება უყურებს როგორც დამხმარე ინსტრუმენტს, ცნობარს, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის ხელთ უნდა ჰქონდეს.

ეს ანალიზი მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგანაც, სულ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს მეცნიერების ოფიციალური სისტემა საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა, როგორც ხელისუფლების სამეცნიერო მრჩეველი.

„სამეცნიერო პოლიტიკის რამდენიმე საკითხი“ დაინტერესე-ბულ მკითხველს სთავაზობს არჩევანს: ან მეცნიერების პოლი-ტიკა და გახსნილი გზა, როგორც გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის საწარმოებლად, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩასართველად, ან მეცნიერების ხისტი მართვა და კვლავ მართვის სოციალისტური სისტემის გადმონაშთებში ტრიალი.

ისევე როგორც ადამიანის ყველა შემოქმედებას, ამ წიგნსაც აქვს რამდენიმე სადავო თეზისი: შეიძლება მეცნიერების ისტო-რიაში გათვითცნობიერებულ მკითხველს ზოგი ადგილი საკა-მათოდ მოეჩვენოს, ანდა, ზოგიერთი ცხრილის მართებულობაში დაეჭვდეს. მაგრამ, ავტორებთან წარმოებული პოლემიკა, რო-მელიც მათი ნაშრომის კითხვის დროს წარმოიშობა, როგორც წესი, უფრო საინტერესოდ აქცევს წიგნის გაცნობის პროცესს და მკითხველს აიძულებს იფიქროს.

გიგი თევზაძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ივნისი, 1999“

ვნახოთ, რა სახე მიიღო პროფესორის ამ ნააზრევმა არცთუ საფუძვლიანი სტილისტური, გრამატიკული და პუნქტუაციური კორექტივების შემდეგ:

„ეს წიგნი, შესაძლოა, საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც საქართველოში თავი პოლი-ტიკოსად ან სამეცნიერო საზოგადოების წევრად მიაჩნია. წიგნში გაანალიზებულია მეცნიერების როლი და ადგილი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში: თუ ერთგან

ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებას უთმობს, მეორეთა უმეტესობაში მეცნიერების ხელმძღვანელობას და მეცნიერების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის დამკვიდრებას ესწრაფვის.

წიგნის დედააზრია მეცნიერების ორი სახელმწიფოებრივი გაგების დაპირისპირება: ქვეყანაში არსებული მეცნიერების სისტემა, როგორც სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ერთ-ერთი მიმღები; და მეცნიერება, რომელსაც ხელისუფლება დამხმარე ინსტრუმენტად მიიჩნევს.

ეს ანალიზი მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ახლახანს საქართველოს მეცნიერების სისტემა ოფიციალურად აღიარეს ხელისუფლების სამეცნიერო მრჩევლად.

„სამეცნიერო პოლიტიკის რამდენიმე საკითხი“ დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს არჩევანს — ან მეცნიერების პოლიტიკა და ღია გზა გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობაში ჩართვის მიზნით; ან მეცნიერებაზე ძალადობა და კვლავ მართვის სოციალისტური სისტემის ნარჩენებში ტრიალი.

ბუნებრივია, რამდენიმე სადავო თეზისიც შეგხვდებათ. თუმცა, ავტორებთან კამათი, როგორც წესი, უფრო საინტერესოდ აქცევს წიგნის გაცნობის პროცესს და მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს“.

მართალია, წინასიტყვაობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ უნდა იყოს — ფრანსუა რაბლეს* „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გერმანულ თარგმანს ჰერმან ჰესემ* სულ რაღაც ხუთიოდე სტრიქონი წაუმძღვარა.

გეთანხმებით, დიდი ბედენა არც ეს გასწორებული ტექსტი გამოვიდა, მაგრამ ძველი ჟურნალისტური სიბრძნე ხომ გახსოვთ — შესაძლებელია მხოლოდ კარგად დაწერილის გასწორება!

ალბათ, მარადიულ საიდუმლოებად დარჩება, რატომ სთხოვეს ავტორებმა პატივცემულ პროფესორს წინასიტყვაობის დაწერა თავიანთი ნაშრომისთვის, ან პროფესორი რატომ დაეთანხმა ავტორების თხოვნას. მე თუ მკითხავთ, გაცილებით სარგებლიანი იქნებოდა, ნაშრომს კვალიფიციური რედაქტორი რომ ჰყოლოდა — მშობლიური ენისადმი ასეთი უმაგალითო დაუდევრობით

მოპყრობის უფლებას იგი არც წიგნის ავტორებს მისცემდა და არც წინასიტყვაობისა.

„ჰაიდეგერის* მიერ კითხვის დასმამ ძირითადი თემის ისეთივე ამოგლეჯა მოახდინა ინტელექტუალური სივრციდან, როგორც პოლიტიკიდან. ამ ამოგლეჯამ საბოლოოდ განსაზღვრა არალეგიტიმური და ლეგიტიმური გარემოს შეჭიდულობის და ურთიერთგადაფარვის დისკურსული ანარეკლი“ (გიგი თევზაძე, „ერთი შეკითხვის ისტორია“, ჟურნალი „ენა და კულტურა“).

ამ ციტატის პირველი წინადადება, ალბათ, ასე უნდა დაწერილიყო: **„ჰაიდეგერის შეკითხვამ ძირითადი თემა ინტელექტუალური სივრციდანაც ამოგლიჯა და პოლიტიკიდანაც“.** ანუ იმ ცამეტსიტყვიან წინადადებაში ხუთი სიტყვა აშკარად ზედმეტია (მიერ, დასმამ, ისეთივე, მოახდინა, როგორც). განსაკუთრებით საგულისხმოა ბოლო ათწლეულების ქართულში დამკვიდრებული ტრაფარეტული სიტყვათშეთანხმებანი: „ჰაიდეგერის მიერ კითხვის დასმამ“ და „ამოგლეჯა მოახდინა“ (ამავე პერიოდის ქართული ტელეენის ანალოგიები: „სერიალი თარგმნილია ტელეკომპანია რუსთავი ორის მიერ“ და „დაჯდომა განახორციელა“).

ციტატის მეორე წინადადების თანამედროვე არამეცნიერულ (ადამიანურ) ქართულ ენაზე თარგმნა ძნელია, მაგრამ თუ მას ზედმეტ სიტყვებს მოვაშორებთ, მივიღებთ ამ მარტივ წინადადებას: „ამოგლეჯამ... განსაზღვრა... ანარეკლი“.

ეს წინადადება სინტაქსურად დიახაც გავამარტივეთ, მაგრამ შინაარსობრივად ისევ ბუნდოვანი დარჩა. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ **„ანარეკლი დისკურსულია“** და, საერთოდ, საუბარი **„არალეგიტიმური და ლეგიტიმური გარემოს შეჭიდულობას და ურთიერთგადაფარვას“** შეეხება.

ნათქვამით ბატონი პროფესორის ხსენებულ ან სხვა ნაშრომთა მეცნიერული ღირებულების დაკნინებას სულაც არ ვაპირებ. ვლაპარაკობ ძალიან საშიშ ტენდენციაზე — ქართული ენისადმი ფარისევლურ და აგდებულ დამოკიდებულებაზე საქართველოში მოღვაწე საკმაოდ ცნობილი ქართველი მეცნიერების (პოლიტოლოგი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი)... მხრიდან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხსენებული და სხვა ქართველი მეცნიერები უცხო ენაზე მსგავსი აბდაუბდის დაწერას არც საკუთარ თავს აკადრებდნენ და არც იმ უცხო ენას. ბატონი გიგი თევზაძე კი

მხოლოდ იმიტომ გამოვარჩიე, რომ ქართულმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ მას ქართული განათლების სისტემის რეფორმატორის მისიაც დააკისრა და თბილისის რამდენიმე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანებით მიღებული უნივერსიტეტის რექტორობაც.

რეფორმატორი პროფესორის მოღვაწეობის შედეგს ოდესმე აუცილებლად ვნახავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, განათლების სისტემაში რეფორმების საწყის ეტაპზე მის კეთილ ნაყოფზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემატურია. სავსებით შესაძლებელია, რეფორმები მართლაც განხორციელდეს, მაგრამ გაქრეს სალიტერატურო ქართული ენა, ანუ არსებობა შეწყვიტოს ცოცხალმა ქართულმა კულტურამ, ადათმა და, საერთოდ, ყველაფერმა ქართულმა.

რა თქმა უნდა, არსებობს „მეცნიერების“ ისეთი ენაც, რომელიც სპეციალურად მომზადებულ მკითხველს გულისხმობს და ხშირად გადატვირთულია ტერმინოლოგიით. სავსებით შესაძლებელია, ფილოსოფიის პროფესორმა ვერაფერი გაუგოს მედიცინის პროფესორის ნაწერს თუ ნაამბობს. სხვათა შორის, ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართულ ტელეარხებზე ექიმთა არცთუ იშვიათი ინტერვიუები, საიდანაც, თუ სამედიცინო ტერმინოლოგიაში კარგად ვერ ერკვევი, ვერ გაიგებ, რა სჭირს და რა შეიძლება დაემართოს პაციენტს (ამ მხრივ, განსაკუთრებით კოლორიტულად გამოიყურება ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „პატრული“). მათემატიკოსები, თავის მხრივ, იმის გარდა, რომ უხვად იყენებენ უცხო ტერმინებს, მტკიცების პროცესში ხშირად გამოტოვებენ ხოლმე ლოგიკური მსჯელობის საფეხურებს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ მათი მკითხველი (მსმენელი) მათთან ერთად „გადაახტება“ ერთ ან რამდენიმე საფეხურს. მსჯელობის სპეციფიკურობისა და სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენების წინააღმდეგ კი არ გამოვდივარ, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით, წმინდა მეცნიერული ნაშრომის მეტაფორებით და შედარებებით გადატვირთვა მხოლოდ აძნელებს ამ ნაშრომის აღქმას. ხოლო აზრის ხელოვნურად გაბუნდოვანება მეცნიერის დაბალ კვალიფიკაციაზე და რთული ვითარებიდან „თავის დაძვრენის“ სურვილზე მიუთითებს.

მეტაფორები, შედარებები, ალიტერაციები, ე. წ. სახეებით აზროვნება დიდ პოეზიას უხდება და, საბედნიეროდ, ქართულ ენაზე ამის უამრავი ბრწყინვალე ნიმუში გვაქვს:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

ეს გალაკტიონია. თუ მის ამ სტრიქონებს ძირითადი აზრის დასადგენად ისევე შემოვაცლით შედარებებისა და მეტაფორების მთელ წყებას, როგორც ეს გიგი თევზაძის ნაშრომის ერთი წინადადების განხილვისას გავაკეთეთ, ისევ სამსიტყვიან მარტივ წინადადებას მივიღებთ: **„მხარეში... ქრიან... ცხენები“.** აქ, მართალია, ყველაფერი გასაგებია (შედარებისთვის: „ამოგლეჯამ... განსაზღვრა ... ანარეკლი“), მაგრამ გალაკტიონი რომ ასე მოქცეულიყო, მაშინ გაუგებარი დარჩებოდა მთავარი — რატომ დაწერა პოეტმა ეს სიტყვები („მხარეში... ქრიან... ცხენები“).

თავს ვერ დავდებ, არ ვცდები-მეთქი, მაგრამ ამ ლექსით გალაკტიონი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რომ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია: მხოლოდ სამყარო, მხოლოდ ღმერთი და მხოლოდ მისი პოეზიაა მარადიული! ამისთვის სჭირდება ღვთიურ გალაკტიონს რითმების, მეტაფორების, შედარებების, ალიტერაციების „წყებათა-წყება“. ვიმეორებ, სჭირდება აზრის დამაჯერებლად, ნათლად და შთამბეჭდავად გადმოსაცემად და არა მკითხველის მოსატყუებლად ან საკუთარი უვიცობის შესანიღბავად.

საბედნიეროდ, ჩვენი ისტორიიდან და თანამედროვეობიდანაც, შეგვიძლია დავასახელოთ ასეულობით მოღვაწე, მოკრძალებული გადამწერებიდან და კირითხუროებიდან (ქართულ ტაძრებზე სამშენებლო წარწერებს რომ ტოვებდნენ), ენის მკვლევარებამდე და მხატვრული სიტყვის დიდოსტატებამდე, ვინც **„ესე ენაჯ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჯ“** შთამომავლობისთვის გადასაცემად დღემდე შემოგვინახა და მისი რუდუნებით მოვლა-პატრონობა გვიანდერძა.

ქართული ენის მოამაგეებმა შესანიშნავად იცოდნენ და იციან: — **„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს.“** ანუ ენის წახდომა-დაკნინება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიის ასპარეზიდან გასვლას ნიშნავს.

სხვათა შორის, ერის იდენტიფიკაციის უპირველეს ნიშნად ენა მიაჩნდა მსოფლიო სოციალისტური იმპერიის შემოქმედს იოსებ სტალინსაც, რომელიც ორივე ენაზე უზადოდ წერდა და

მეტყველებდა. შესანიშნავად გრძნობდა სალიტერატურო რუსული და ქართული ენების უმცირეს ნიუანსებსაც კი და ენის საკითხებზე ერთობ კომპეტენტურ შენიშვნებსაც იძლეოდა. ვიმეორებ, საუბარია სტალინზე, გიგანტური იმპერიის შემქმნელსა და მმართველზე, ვინც ყოველთვის პოულობდა დროს ქართული პოეზიის ნიმუშების რუსულად თარგმნის პროცესისთვის თვალყურის სადევნებლად.

მეორე მხრივ, სტალინის ლექსიკონში მრავლად იყო სიტყვები და გამოთქმები, შიშის ზარს რომ სცემდა მილიონობით ადამიანს, მთელ სახელმწიფოებს — მტრები, მოღალატეები, მავნებლები, იმპერიალისტები, ტროცკისტები, მენშევიკები, კულაკები, წითელი ტერორი, სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია, სიკვდილი კონტრრევოლუციონერებს და მრავალი, მრავალი სხვა.

იოსებ ჯუღაშვილის სხეულში ჩასახლებული ორი პიროვნება — იოსებ სტალინი და სოსო ჯუღაშვილი, სხვადასხვანაირად მოქმედებდა, სხვადასხვანაირად აზროვნებდა და სხვადასხვანაირად მეტყველებდა კიდეც. ერთი — კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო იმპერიის ერთადერთი და დაუნდობელი მმართველის შესაფერისად, მეორე — ალალი და გულთბილი გორელი ბიჭის, ბრწყინვალე მომღერლისა და პოეტის, მეგობრისთვის თავდადებული კაცის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მცოდნისა და დამფასებლის შესაფერისად.

ნათქვამი იმის დადასტურებაა, რომ ენა, როგორც წესი, სხვა მოვლენებზე ნათლად (და სწრაფადაც) ასახავს სოციალურ რეალობას.

მაგალითებისთვის არც შორს წასვლა დაგვჭირდება და არც ფილოსოფიური წიაღსვლები. გავიხსენოთ, რა ენაზე ელაპარაკებოდა თავის ხალხს სააკაშვილი-ოპოზიციონერი და მოგვიანებით — სააკაშვილი-პრეზიდენტი. ზუსტად პრეზიდენტის დარად და სწორად ლაპარაკობდნენ მისი მხარდამჭერებიც — ხომ განათდა მთელი თბილისი, ხომ ავაშენეთ მსოფლიოში საუკეთესო საავადმყოფო, ხომ გავიყვანეთ გვირაბი, ხომ ვართ ერთი გუნდი!.. ამ წარმოსახვითი „გუნდის“ წევრთა დიდი უმრავლესობა (უფრო ზუსტად, ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, „გუნდის“ ბელადს თვალში მოხვდნენ), ანუ ერთი სოციალური ჯგუფი საკუთარი ლიდერის ენაზე ლაპარაკობს — შეძლებისდაგვარად იმეორებს მის ლექსიკას, ფრაზეოლოგიას, საუბრის

მანერას, ჟესტებსა და მიმიკებსაც კი. იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებით მოსწონს, ან ჰგონია, რომ ბელადს მოსწონს ეს ენა. უბრალოდ, ასეთია კანონზომიერება — **როგორც კი ადამიანთა ერთი ჯგუფი გამოეყოფა კოლექტიურ ერთობას, მაშინვე იწყება ახალი, ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი ენის ჩამოყალიბება.**

რუსულ ბოლშევიკურ ელიტას პროლეტარიატთან სასაუბროდ არ სჭირდებოდა პუშკინის და ტოლსტოის, ესენინის და ცვეტაევას, არც პეტერბურგული დახვეწილი სალონური ენა. ბოლშევიკურ პოლიტიკურ ელიტას სჭირდებოდა პრიმიტიული, უხამსი, ბრბოსთვის და ამ ბრბოდან გამოსული სალდათების და ჩეკისტებისთვის გასაგები ენა.

XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკურ „ფაშიოს“ (სამწუხაროდ, მას ელიტას ვერ დავარქმევთ) სალიტერატურო ქართული ენა არ სჭირდებოდა რამდენიმე ძალზე სერიოზული მიზეზის გამო:

1. საზოგადოებაში ბრბოს სინდრომის დანერგვა. 2003 წლის ნოემბრის სუსხიან დღეებში ბრბოდ ქცეულმა საქართველოს მოსახლეობამ, განსაკუთრებით, მისმა ახალგაზრდულმა ნაწილმა, თავისი მისია პირნათლად შეასრულა — აჰყვა „ლიდერთა“ მოწოდებებს და ხელისუფლების სათავეში რევოლუციური ტრიუმვირატი მიიყვანა. ამით ბრბოს მისია ამოიწურა, მაგრამ თვითონ ბრბოს დარჩა არცთუ უსაფუძვლო ამბიცია ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობისა. მსურველთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ნომენკლატურულ თანამდებობათა რაოდენობას. თუ ხელისუფლება ბრბოსთან სალიტერატურო ქართულ ენაზე გააბამდა დიალოგს, ეს მასთან თავის გაყადრებას, თანასწორობას და მისი ამბიციებისთვის ანგარიშის გაწევას ნიშნავდა. სახელისუფლო კასტა საზოგადოებას ჯერ ფიზიკურად მოწყდა — ლიმუზინებში და კაბინეტებში ჩაიკეტა, დაცვა დაიყენა, ხაზგასმულად მაღალი ხელფასები დაინიშნა; მერე კი მსოფლმხედველობრივად და ენობრივადაც — „გაებუტა“ პრესას და ტელევიზიას, უარი თქვა საჯარო დებატებზე ნებისმიერ ოპონენტთან და სასწრაფოდ შეცვალა ყოფილ მოკავშირესთან (ბრბოსთან) სალაპარაკო ენაც. ახლა იგი საზოგადოებას (რომელიც აღარ იყო ბრბო) ისე ელაპარაკებოდა, როგორც მწყემსი ნახირს — შორისდებულებით.

ამით პოლიტიკური „ფაშიო“ ხაზს უსვამდა საკუთარ განსა-

კუთრებულობასაც და საზოგადოების უსასოობასაც — შენ ხარ არარაობა, უპიროვნო მასა, პირუტყვთა კრებული, რასაც გიბრძანებენ, ის უნდა გააკეთო, ყველა დამცირება უნდა აიტანო. მეტიც, დამცირება წყალობად უნდა მიიღო.

2. საზოგადოებაში ცოდნისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დანერგვა. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, ამავდროულად, არ განეკუთვნება სამეცნიერო ელიტასაც — მეცნიერები ძალიან ძნელად ელევიან საყვარელ საქმეს. პოლიტიკოსები, ძირითადად, უპროფესიო, ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც, როცა პოლიტიკურ სარბიელზე ნიჭიერი და უაღრესად განათლებული ადამიანებიც ჩნდებიან. XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში ასეთები თითო-ოროლა თუ იქნება და ისინი, ბუნებრივია, „პოლიტიკურ ამინდს“ ვერ ქმნიან.

პოლიტიკოსებმა, ქვეშეცნეულად მაინც, კარგად უწყიან, რომ საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა, ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ — მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერხებელი ლაყბობით, ან, სულაც, „ბრძნული“ მდუმარებით.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა სულ მცირე, 90 პროცენტისთვის სალიტერატურო ქართულ ენაზე საუბრის მცდელობა კატასტროფა იქნებოდა — ჯერ ერთი, ამ ენაზე რომ ილაპარაკო, იგი უნდა იცოდე; მეორეც, სალიტერატურო ენაზე საუბარი მაშინაა საჭირო და აუცილებელი, თუ თვითონ საუბრის თემა არის ინტელექტუალური. მაგალითად, უნიჭო ინტრიგების გაბმას ან რომელიმე დეპუტატის პირომანიაში დადანაშაულებას დიდი განათლება არ სჭირდება*. მაგრამ თუ პარლამენტი, კრიმინალის აღმოფხვრის მიზნით, 10-12 წლის ბავშვებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამკისრებელი კანონის მიღებას აპირებს, ამას სამართლის თეორიის, პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ლოგიკის და კიდევ ბევრი სხვა რამის საფუძვლიანი ცოდნა სჭირდება. ფარული კონფლიქტი პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის სწორედ აქ იწყება — **საზოგადოება მოითხოვს ხელისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილების**

სრულფასოვან თეორიულ დასაბუთებას. ხელისუფლებას ეს არ შეუძლია (არც ცოდნა ჰყოფნის და არც სურვილი აქვს) და იძულებულია, იფარისევლოს, ილაყბოს ან უხეშად იცრუოს.

ცოდნად საღდება არა, ზოგადად, კომპეტენცია, არამედ რომელიმე უცხო ენაზე ლაპარაკის შესაძლებლობა, პარტიული კუთვნილება, პირადად პრეზიდენტისადმი ერთგულება. ამ მხრივ, კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ვინმე ყმაწვილი არველაძის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრად დანიშვნა: პრეზიდენტმა ჯერ ბევრი ილაპარაკა ეკონომიკის მნიშვნელობაზე. თქვა, რომ ეს იყო „ფრონტის ხაზი“, „გადამწყვეტი უბანი“, „რუბიკონი“, „ყველაზე მნიშვნელოვანი“ და ა. შ. ამიტომ ამ პოსტზე „ყველაზე მძიმეწონიან პოლიტიკოსს“, ანუ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს ვნიშნავო. ოქრუაშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც კომპლიმენტები მიიღო და არც ახალი თანამდებობა. მაშინ პრეზიდენტმა ეკონომიკის მინისტრად საკუთარი ადმინისტრაციის ყმაწვილი უფროსი დანიშნა. ქართული პოლიტიკური „ელიტა“ „მსუბუქწონიანი“ არველაძის დანიშვნას ზუსტად ისეთივე დიდი კმაყოფილებით შეხვდა, როგორითაც ორიოდე დღის წინ ამავე თანამდებობაზე „მძიმეწონიანი“ ოქრუაშვილისას. რაც მთავარია, ყველამ ერთხმად და „დამაჯერებლად“ განმარტა, რომ ეკონომიკურად გაჩანაგებული ქვეყნის ეკონომიკის მინისტრობას სულაც არ სჭირდება... ეკონომიკის ცოდნა!

უპროფესიო, თინეიჯერული ასაკის ადამიანები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაში, ხელისუფლების მხრიდან უნივერსიტეტების პროფესურისადმი ცინიკური დამოკიდებულება, განათლების სისტემის სრული პოლიტიზაციის მცდელობა, საუნივერსიტეტო ავტონომიების გაუქმება, სკოლების „ოპტიმიზაცია“ — ყველაფერი ეს საზოგადოებაში ცოდნისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამკვიდრებდა.

3. საზოგადოებაში გაუცხოების სინდრომის დანერგვა. „თავისუფალ“ საქართველოში, 2003 წლის „რევოლუციის“ შემდეგ, ერთი შეხედვით უცნაური ვითარება შეიქმნა — თვით უდაბლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკისთვისაც კი სავალდებულოდ იქცა ინგლისური ენის ცოდნა. ნებისმიერი ენის ცოდნა, თავისთავად, კარგია, მაგრამ საქმე ის არის, რომ პრინციპულად არავის არ აინტერესებს, იცის თუ არა ვინმემ სახელმწიფო (ქა-

რთული) ენა. ამას ზედ დაერთო უმძლავრესი პროპაგანდა უახლოეს მომავალში საქართველოს ტურისტულ ქვეყნად გადაქცევის თაობაზე. პროპაგანდა განმტკიცდა საქმითაც — საქართველოში დაიწყო სასტუმროების, საერთოდ, ტურისტული ინდუსტრიის გამალებული მშენებლობა.

ხელისუფლების აზრით, მე, საქართველოს მოქალაქე, ისტორიული მიწათმოქმედი, მშენებელი, უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელი, ვარ ბრბო. მე არ მჭირდება ცოდნა და განათლება, არც მრეწველობა და მიწათმოქმედება, არც ფრესკების ხატვა, არც ლიტერატურა, არც მშობლიური ენა. აღარ მჭირდება არაფერი, რაც საკუთარი თავის ქართველი ერისადმი მიკუთვნების (იდენტიფიკაციის) საშუალებას მომცემდა. აღარც სამშობლო მჭირდება — ჩემი სამშობლო ჩემი ლამაზი სასტუმროა, სადაც ყოველ დილას მოსირმულ ლივრეაში გამოწყობილი მივდივარ და უცხოელ სტუმრებს მათსავე ენაზე თავაზიანად ვესაუბრები; ვცდილობ, ყველაფერი ვასიამოვნო და ამისთვის გასამრჯელო დავიმსახურო!

ტურისტული ინდუსტრია საქართველოში ფეხს მხოლოდ ახლა, XXI საუკუნის დამდეგს, იდგამს. იმედია, სომეხ და ყაზახ ბიზნესმენებს მალე გვერდით არაბი, აფრიკელი და ინდოჩინელი კოლეგებიც ამოუდგებიან და, ღვთის წყალობით, საქართველო სასტუმროებით, რესტორნებით, კაზინოებით, კემპინგებით, საროსკიპოებით და კეთილმოწყობილი მოსასაქმებელი დაწესებულებებით მოიფინება.

აბორიგენი ქართველებისთვის ენას ერთადერთი — უცხოელ ტურისტებთან, საერთოდ, უცხოელებთან ურთიერთობის ფუნქცია დარჩება. სამწუხაროდ, ამისთვის ქართული ენა არ გამოდგება. ამიტომ, თუ ინტეგრაციაზე, გლობალიზაციაზე და ფულის იოლად შოვნაზე ვოცნებობთ, ოდესღაც მშობლიურ ქართულს უნდა დავემშვიდობოთ.

ეს იქნება ხვალ. მაგრამ უკვე დღეს ჩემთვის, საქართველოს მოქალაქისთვის, „სამშობლო“ ასოების და ბგერების უაზრო გროვად ქცეულა — არ ვიცი, რატომ უნდა მიყვარდეს, ან რატომ უნდა ვემსახურებოდე სწორედ ამ გეოგრაფიულ წერტილში აღმოცენებულ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია! — სახელმწიფოებრიობის ნიშნების მქონე ეს პოლიტიკური წარმონაქმნი ხომ მე, მის მოქალაქეს, არც რამეს მაძლევს და არც რამეს მპირდება. ამიტომ, მირჩევნია, კარგად

ვისწავლო ინგლისური, ავითვისო ლაქიის მანერები, გავყიდო მამის საფლავზე დადებული გრანიტის ფილა და პირდაპირ კუალა-ლუმპურისკენ ავიღო გეზი — იქ ფეშენებლური სასტუმროები, კარგა ხანია, აშენებულია...

XXI საუკუნის დამდეგის საქართველოს მოქალაქე გაუუცხოვდა საკუთარ წარსულს, ტრადიციებს, სამშობლოს და საკუთარ თავსაც. იგი აღარ არის ფარნავაზის ამაყი შთამომავალი, არც ოპიზარებისა, არც ერეკლე მეფისა, არც გურამიშვილის და საბასულხანისა... მისი არსებიდან განიდევნა ერთადერთი და განუმეორებელი „მე". სწორედ ის, ვინც აზროვნებდა, მის გრძნობებს განაგებდა, საკუთარი საქციელის გამო პასუხისმგებლობას აკისრებდა. „მეს" ადგილი დაიკავა უსამშობლო, უტყვმა, უგრძნობელმა „სხვამ" — მექანიკურმა ხორცსაკეპმა, რომლის ერთადერთი დანიშნულება საკუთარ სხეულში პროდუქტების გატარებაა.

სანამ სტიქია ჯებირს გაარღვევდეს

როცა ენის და ჟურნალისტიკის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, ენის უამრავი ცნობილი და ჯერ კიდევ დასადგენი განმარტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მისაღები, ალბათ, ეს უნდა იყოს: **ენა ის კი არ არის, რასაც მოვიაზრებთ (რასაც ვფიქრობთ), არამედ ის, რადაც გარდაიქმნება ჩვენი აზრი. ანუ ენა არის ადამიანის აზროვნების ცხადი გამოხატულება — ზეპირი, წერილობითი, ჟესტებით და მიმიკებით, მუსიკით, არქიტექტურით და ა. შ.** აქედან გამომდინარე, თუ ვენდობით მეცნიერებას, რომ ფუტკრები, დელფინები, თახვები, ძაღლები... ერთმანეთში საუბრობენ, მაშინ ისინი აზროვნებენ კიდეც. თუ აზროვნება პრიმიტიულია, ან ნაკლოვანია, ბუნებრივია, პრიმიტიული და ნაკლოვანი (ადამიანური თვალთახედვით) იქნება მისი გამოხატვის საშუალებაც — ენა. როცა ამტკიცებენ, რომ „ადამიანი აზროვნებს ენით" (მაგალითად, პროფესორი ჯანრი კაშია), ალბათ, ამას გულისხმობენ.

ვფიქრობ, ყველა პროფილის ჟურნალისტისთვის ენის მნიშვნელობაზე საუბარი საჭირო არ უნდა იყოს. მაგრამ, ალბათ, საჭირო და აუცილებელია საფუძვლიანი საუბარი ქართულენოვანი ჟურნალისტებისთვის მშობლიური ენის, ენის ფილოსო-

ფიის სწავლებისა და ენისადმი გულისყურიანი დამოკიდებულების თაობაზე. ეს გახლავთ ურთულესი სახელმწიფოებრივი პრობლემა, რომლის გადასაჭრელად ზრუნვა ერთდროულად უნდა დაიწყონ მეცნიერებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა. ჯერჯერობით (2006 წლის მიწურულს) ეს ერთეულთა კეთილ სურვილად რჩება და ხელისუფლების მხრიდან ახირებულთა აკვიატებად აღიქმება.

ენის ერთი მთავარი ფუნქცია ისაა, რომ იგი კომუნიკაციის საშუალებაა (სხვათა შორის, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ეს არის ენის ერთადერთი ფუნქცია და თუ პირზე კლიტეს დაიდებს, მის აზრს ვეღარავინ შეიტყობს). ესე იგი, არსებობს გადამცემი — ერთის სამეტყველო აპარატურა და მიმღები — მეორის მოსასმენი აპარატურა, რომელიც მიღებულ ინფორმაციას გასაანალიზებლად და გადაწყვეტილების მისაღებად მყისიერად გზავნის „კომპიუტერულ ცენტრში“ — ტვინში.

ვიმეორებ, შემოსული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ადამიანის ტვინი იღებს გადაწყვეტილებას. ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, არის ბგერების, ასოების, სხვა ნიშნების საკმაოდ რთული სისტემა. ამიტომ სუსტ, ზარმაც ტვინს უჭირს მისი გაანალიზება და არცთუ იშვიათად, სინამდვილისადმი არაადეკვატურ გადაწყვეტილებას იღებს.

ფანტასტიკური ტექნიკური მიღწევების საუკუნეში ეს სქემა, შეიძლება, ასე წარმოვიდგინოთ: ვთქვათ, თბილისის ზღვაზე დამონტაჟებულია რაღაც ტივტივას მსგავსი მოწყობილობა. როგორც კი წყლის დონე კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, სპეციალურ ეკრანზე ინთება წითელი ნათურა, რაც საგანგაშო ვითარებაზე მიგვანიშნებს. სპეციალური სამსახური მაშინვე იწყებს ზრუნვას წყალსაცავში წყლის დონის შესამცირებლად. თუ ასე არ მოხდა, ანუ სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა განგაშის ნიშანს ყურადღება არ მიაქციეს და ადეკვატური ღონისძიებები არ გაატარეს, კატასტროფა გარდაუვალია — წყალი ჯებირებს გაარღვევს და დიდი ქალაქის მოსახლეობას წალეკავს.

ზუსტად ასეთივე მექანიზმი მოქმედებს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოშიც: სპეციალური სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტები უზარმაზარ წარმოსახვით ეკრანზე აკვირდებიან საზოგადოების ყველა სფეროდან წამოსულ სიგნალებს, აანალიზებენ მათ და იღებენ შესაბამის ზომებს.

ეს სიგნალები, შესაძლოა, გადმოცემული იყოს პირდაპირ, „ღია ტექსტით“ (როგორც ამას, ჩვეულებრივ, აკეთებს რადიკალური ოპოზიცია), ან ე. წ. ნიშნების, ანუ კინოს, თეატრის, ქანდაკების, პოეზიის, მუსიკის, არქიტექტურის და ა. შ. ენით.

ვთქვათ, თავგადაკლული ოპოზიციონერი ნათელაშვილი ყველა ხერხით ცდილობს პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას, ხელისუფლების დისკრედიტაციას და როცა ამბობს, ქვეყნის აღსასრული ახლოვდებაო, მის სიტყვას არ დაეჯერება. ხელისუფლება ასეც იქცევა და ლეიბორისტების ხმაურს ყურადღებას არ აქცევს. ამავე დროს, პრესაში ქვეყნდება აპოლიტიკური პოეტის ლექსი:

„აქ არაფერი აღარ შეცვლილა —
სულ უნუგეშოდ წივის მზეწვია;
საწყალობელად სულ ბღავის კრავი,
ერთადერთ ნოტზე ყრანტალებს ყვავი...
აქ არაფერი აღარ შეცვლილა —
ქვეყანა დადის თოხით და ბარით,
გადახუნებულ ნივთებს და საგნებს
წმენდს და ალაგებს ყალიჩას ქალი.
ჯახუც, ნუგზარიც, ჯამუც, ბექიაც
დახუნძლულია ისევე ვალით.
აქ არაფერი აღარ შეცვლილა...“

ბადრი ცირამუა

იმ გრანდიოზულ წარმოსახვით ეკრანზე, სადაც ქვეყნის ცხოვრებაა ასახული, ამგვარი პოეტური სტრიქონების გამოჩენა ავის მომასწავებელია — ქვეყანა გაქვავებულა, ადამიანები უნუგეშოდ დარჩენილან, ყელამდე ვალებში ჩაფლულან, რეალური საკეთებელი წართმევიათ და საკუთარი არსებობის გამართლებას „გადახუნებული“ ნივთების წმენდა-ლაგებითღა ცდილობენ.

2006 წლის გაზაფხულზე თბილისის ერთ-ერთი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის გონებამახვილმა მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს მისცა წერითი დავალება პირობითი სათაურით, „იყო და არა იყო რა“. ბავშვებს „თხზულების“ დასაწერად სულ ხუთიოდე წუთი ეძლეოდათ. ბუნებრივია, ეს დრო მხოლოდ ერთი წინადადების დასაწერადაა საკმარისი:

— **იყო და არა იყო რა... იყო მოსალოდნელი ტრაგედია, საშინელება და არ იყო მისი შემჩერებელი;**

— იყო და არა იყო რა... იყო ერთი ადამიანი, კეთილი, ჭკვიანი, სათნო, ყურადღებიანი, მაგრამ არ იყო იმ სიკეთის და სიყვარულის უკან დამბრუნებელი, სიკეთის დამფასებელი;

— ერთხელ სიზმარში ვნახე, რომ ყველაფერი, რაც რეალობაში არეული იყო, დალაგებულიყო. სიზმარში ისე ბედნიერი ვიყავი, რომ აღარც კი მახსოვდა რეალობა და მივხვდი, რომ არა იყო რა;

— იყო და არა იყო რა, ...იყო ერთ დროს სამართალი, მაგრამ ეხლა აღარ არის. იყო ერთ დროს სიყვარული და ოცნება, მაგრამ ჩაქრა და სევდიან წარსულს ფიქრებად გაჰყვა:

— იყო ოცნება, მაგრამ გამქრალიყო,
იყო სურვილი, სურვილიც აღარ იყო,
იყო მონატრება — ცრემლით გამთბარიყო...
ღმერთო, ყველაფერი იყო და აღარ იყო?

ამას წერენ 12-13 წლის გოგო-ბიჭები. ამ ასაკის ბავშვები, სამართალზე, არეული ქვეყნის დალაგებაზე, „სევდიან წარსულს ფიქრებად გაყოლილ ოცნებაზე“, მწარე იმედგაცრუებაზე, „ცრემლით გამთბარ მონატრებაზე“ არ უნდა ფიქრობდნენ. რახან ფიქრობენ და ამას წერენ კიდეც, ქვეყანაში რაღაც დიდი სოციალური უბედურება ტრიალებს. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება ვალდებულია, იმოქმედოს, რათა მოსალოდნელი კატასტროფა თავიდან აიცილოს. ბოლოს და ბოლოს, თავი მაინც გადაირჩინოს.

იმ დროს, როცა ამ გოგო-ბიჭებს ცივ საკლასო ოთახში გაუწაფავი ხელით ასოები გამოჰყავდათ და მშიერი პოეტი გულისშემძვრელ სტრიქონებს წერდა, პრეზიდენტის მიერ თბილისის მერად დანიშნულმა ჯეელმა გიგი უგულავამ ყველა თბილისურ ოჯახს დაუგზავნა საკუთარი გაღიმებული პორტრეტით დამშვენებული ღია ბარათები, სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო: **„ჩვენი ამოცანაა, თბილისში არ დარჩეს არც ერთი უბანი, ქუჩა თუ ეზო სადაც არ იქნება სპორტული მოედანი ან თუნდაც ერთი კეთილმოწყობილი კალათბურთის ფარი, რათა ვიცოდეთ სად და რისთვის ვუშვებთ ეზოში ჩვენ შვილებს. ჩხუბი, ნარკოტიკი და უსაქმურობა ჩავანაცვლოთ ჯანსაღი ცხოვრების წესით...**

მოზარდ თაობას ყველა პირობას შევუქმნით იმისთვის, რომ მოცილდეს ქუჩის მავნე ზეგავლენას, მიიღოს სპორტული აღზრდა და ჩემპიონად თუ არა, ნორმალურ მოქალაქედ

მაინც აღიზარდოს“.

ასეთია ხელისუფლების ოფიციალური პასუხი ქვეყანაში შექმნილ ტრაგიკულ ვითარებაზე.

დედაქალაქის მერის ხელმოწერილი და ასიათასობით ეგზემპლარად გამრავლებული ეს ერთი შეხედვით უწყინარი ბარათი არ არის მხოლოდ დემაგოგიური პოლიტიკური რიტორიკა, პოლიტიკური ლოზუნგების უწესრიგო კონგლომერატი. მისი უმთავრესი დანიშნულებაა, მკითხველის (მოქალაქის) მოტყუება და მისი ყურადღების უმწვავესი სოციალური პრობლემებიდან შედარებით ნაკლებ სერიოზულზე გადატანა (სპორტული მოედნები, „ქუჩის მავნე ზეგავლენა“, უსაქმურობა, ნარკოტიკი). აქ არის დაპირებაც (და ეს არის სიცრუე), რომ ხელისუფლება („ჩვენ“, „ჩვენი გუნდი“) „ყველა პირობას შექმნის“.

სიცრუე და დემაგოგია არის ძალადობა ადამიანის გონებაზე, რასაც, როგორც წესი, ყოველთვის მოსდევს მოქალაქეთა ფიზიკური იძულება სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ყველა შესაძლებლობის გამოყენებით. ანუ ამგვარი პოლიტიკური განცხადებები არის ქვეყანაში არსებული მკვეთრი სოციალური დისბალანსის და ამ ნიადაგზე მოსალოდნელი სოციალური დაპირისპირების უტყუარი ნიშანი.

როგორც ვთქვი, ავტორის, ან ავტორთა ჯგუფის გონებრივი შესაძლებლობების დადგენა ძალიან ადვილად შეიძლება ტექსტის უბრალო ლინგვისტურ-ფსიქოლოგიური ანალიზით, თვით პუნქტუაციური და კორექტურული შეცდომების მიხედვითაც კი. ჩვენს შემთხვევაში, პირველივე წინადადების ამ მონაკვეთში **„... ქუჩა თუ ეზო სადაც არ იქნება სპორტული მოედანი ან თუნდაც ერთი...“** სულ მცირე, ოთხი პუნქტუაციური უზუსტობაა.

„ჩვენი ამოცანაა, თბილისში არ დარჩეს არც ერთი უბანი, ქუჩა თუ ეზო სადაც არ იქნება სპორტული მოედანი ან თუნდაც ერთი კეთილმოწყობილი კალათბურთის ფარი, რათა ვიცოდეთ სად და რისთვის ვუშვებთ ეზოში ჩვენს შვილებს“.

„კეთილმოწყობილი კალათბურთის ფარი“ უხერხული და გაუგებარი სიტყვათშეთანხმებაა, რასაც **„კალათბურთის ფარის“** მსაზღვრელად **„კეთილმოწყობილი“** ზედსართავის გამოყენება იწვევს. სჯობდა, უბრალოდ, **„კალათბურთის ფარი“** ეთქვა, მაგრამ ავტორმა მკითხველზე ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერება მოინდომა და, საბოლოოდ, სისულელე გამოუვიდა. ქუჩაში რაიმე სპორტული ნაგებობის, თუნდაც, საკა-

ლათბურთო ფარის დადგმა (თუ ქუჩის დანიშნულებას გავითვალისწინებთ) ყოვლად წარმოუდგენელია. ამიტომ, აღნიშნულ კონტექსტში **„ქუჩის“** ჩაკვეხებაც კვლავ მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებაზეა ნავარაუდევი. წინადადების დასკვნითი ნაწილი (**„რათა ვიცოდეთ სად და რისთვის ვუშვებთ ეზოში ჩვენ შვილებს“**), ერთი შეხედვით, ელემენტალური უვიცობის, ხოლო სინამდვილეში, საზოგადოების აბუჩად აგდების თვალსაჩინო მაგალითია: თუ მე საკუთარ შვილებს **„ვუშვებ ეზოში“**, ვიცი, რომ შვილებს ვუშვებ ეზოში და ჩემს წინაშე ლოგიკურად არ შეიძლება დადგეს კითხვა — **სად ვუშვებ შვილს?** მით უფრო, არ დადგება მეორე კითხვა — **რისთვის ვუშვებ?**

უხეში დემაგოგიის თვალსაჩინო ნიმუშია შემდეგი წინადადება-ლოზუნგი: **„ჩხუბი, ნარკოტიკი და უსაქმურობა ჩავანაცვლოთ ჯანსაღი ცხოვრების წესით“.**

შეგახსენებთ, რომ მერის ღია ბარათში საუბარია ბავშვებზე. ხოლო ქალაქის მერისგან **ბავშვების ნარკომანებად და უსაქმურებად მოხსენიება ერთდროულად არის სიბრიყვე და ყველა თანამოქალაქის თავხედური შეურაცხყოფა.** რაც შეეხება კინკლაობას, მუშტი-კრივს ან სიტყვიერ შეურაცხყოფას (რასაც სიტყვა **„ჩხუბის“** მნიშვნელობა გულისხმობს), მათ ყოვლად ფეშენებლური სპორტული არენებიც ვერ გამორიცხავს. საქართველოს საფეხბურთო სტადიონებზე გახშირებულ აყალ-მაყალებს რომ თავი დავანებოთ, ამის დასტურად, 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში ორი სუპერვარსკვლავის, იტალიელი მატერაცისა და ფრანგი ზიდანის ინციდენტიც საკმარისია*.

ის ბავშვები, ვისაც ეზოში სათამაშოდ გასასვლელად მშობლების ნებართვა სჭირდებათ, არ შეიძლება იყვნენ მოჩხუბრები, ნარკომანები ან უსაქმურები. აქედან გამომდინარე, მათი ამ სენისგან განკურნებაზე საუბარი უსარგებლო ლაყბობის გარდა არაფერია. დოკუმენტის ავტორი, უბრალოდ, ცდილობს ხელისუფლება, კონკრეტულად, დედაქალაქის მერი, საზოგადოებაზე თავგადაკლულ მზრუნველად მოგვაჩვენოს. ამის დასამტკიცებლად მას, ეტყობა, სხვა არგუმენტი არა აქვს და ფონს გასვლას სიტყვების უაზრო დახვავებით ლამობს. ამის მჭევრმეტყველური მაგალითია იდიოტური ლოზუნგიც: **„ჩხუბი, ნარკოტიკი და უსაქმურობა ჩავანაცვლოთ ჯანსაღი ცხოვრების წესით“.**

ჩხუბი, თავისი უსასრულოდ ბევრი გამოვლინებით, ცხოვრ-

ების არაჯანსაღი, ანუ ავადმყოფური წესის მაჩვენებელი არ არის და ამ კონტექსტში სრულიად უადგილოა. რაც შეეხება „ნარკოტიკს“ (ლოგიკურად, კონტექსტში უნდა იყოს სიტყვა „ნარკომანია“) და „უსაქმურობას“, ერთიც და მეორეც არის, ძირითადად, სოციალური პრობლემა და ვერავითარი „კეთილმოწყობილი კალათბურთის ფარი“ მათ ვერ „ჩაანაცვლებს“.

თუ გამოვალთ წინადადების კლასიკური განსაზღვრებიდან (სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გამოხატავს დამთავრებულ აზრს) და „აზრის და მნიშვნელობის“ ფილოსოფიურ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, აღნიშნული წინადადება წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისითაც სასაცილოდ უაზრო აღმოჩნდება („ჩხუბი... ჩავანაცვლოთ... წესით“). განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნური ზმნა „ჩავანაცვლოთ“, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ ჟარგონზე საუბრისას გამოიყენება და უცხოა სალიტერატურო ქართული ენისთვის.

ახლა, რაც შეეხება მოყვანილი ციტატის ბოლო წინადადებას: **„მოზარდ თაობას ყველა პირობას შევუქმნით იმისთვის, რომ მოცილდეს ქუჩის მავნე ზეგავლენას, მიიღოს სპორტული აღზრდა და ჩემპიონად თუ არა, ნორმალურ მოქალაქედ მაინც აღიზარდოს“.**

ამ წინადადების ავტორი „ქუჩაში“ ოჯახის გარეთ ყოფნას გულისხმობს. „ქუჩას“, „გარეთ ყოფნას“ თავისთავად არ შეუძლია ადამიანზე რაიმე „მავნე ზეგავლენის“ მოხდენა. „მავნე ზეგავლენა“ ადამიანზე, შესაძლოა, მოახდინოს ქუჩაში, სკოლაში, ოფისში, ხელისუფლებაში, ქვეყანაში, ოჯახში ან, სულაც, მსოფლიოში შექმნილმა ექსტრემალურმა ვითარებამ (ომი, შიმშილობა, სახადი, მიწისძვრა, რევოლუცია, კორუფცია..). აქედან გამომდინარე, ადამიანი კი არ უნდა მოვგლიჯოთ შეჩვეულ გარემოს, ან მასთან ურთიერთობა შევუზღუდოთ, არამედ უნდა ვცადოთ ამ გარემოს გაკეთილშობილება. თუ ბავშვს შია და ქუჩაში თანატოლებთან ერთად ფუნთუშების მოსაპარად გადის, „მავნე ზეგავლენის“ შიშით მშობლებს ბავშვების სახლში გამომწყვდევა კი არ უნდა მოვთხოვოთ, არამედ ღირსეული სამუშაო უნდა შევთავაზოთ და ოჯახის რჩენა შევაძლებინოთ.

„მიიღოს სპორტული აღზრდა“ იმდენად ბრიყვული გამოთქმაა, სალაპარაკოდაც არ ეღირებოდა, მისი გაგრძელება რომ არა — „და ჩემპიონად თუ არა, ნორმალურ მოქალაქედ მაინც აღიზარდოს“. სამწუხაროდ, „მიიღოს სპორტული აღზრდას“ ავტორის

პროტოტიპები ქართულ საზოგადოებაში ბლომად არიან. მთელი უბედურება ისაა, რომ ეს უწიგნური ადამიანები წერილობითი დოკუმენტების შედგენას ბედავენ. მეტიც, ისინი, თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, ადამიანების ბედს განაგებენ. **თბილისის მერის ჭკუის ადამიანებს „ჩემპიონად“ საკუთარი პერსონა წარმოუდგენიათ, ხოლო ყველა დანარჩენი — არარაობად, ანუ, მათი სიტყვებით, „ნორმალურ ადამიანებად“.** ამ კონტექსტიდან სწორედ ეს იკითხება — „ჩემპიონების“ და „ნორმალური ადამიანების“, ანუ ხელისუფლებისა და დანარჩენი საზოგადოების დაპირისპირება.

ვფიქრობ, რაც ახლა თბილისის მერის ერთი პაწაწინა ღია ბარათის გამო ითქვა, საკმარისი საბუთი უნდა იყოს იმ მოსაზრების გასაზიარებლად, რომ ენა მართლაც არ არის ის, რასაც მოვიაზრებთ — ენა არის ის, რადაც ჩვენი აზრი გარდაიქმნება. ენა არც ნიშნების, ბგერების, სიტყვების, წინადადებების, ტექსტების, ნოტების, კადრების და ა. შ. გროვაა.

როგორც ნობელის პრემიის ჩინელი ლაურეატი გაო სინძიანი ამბობს, **„ენა არ არის მარტო ცნებებისა და წარმოდგენების საცავი. უშუალო შეგრძნებების დახმარებით, მას შეუძლია გააღვიძოს ინტუიცია და გრძნობა — კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ არ შეუძლია ნიშანს ან მშრალ ინფორმაციას, შეცვალოს ცოცხალი ადამიანის ენა“.**

ჩვენი ამ საუბრის დროს, მეც ვეცადე ყურადღება გამემახვილებინა ცოცხალ სამეტყველო ენაზე და არა ნიშანთა სისტემაზე.

ზემოთ მოხმობილი მაგალითები მოწმობს, რომ საზოგადოებიდან წასული საგანგაშო სიგნალები ხელისუფლებამდე ვერ აღწევს, ან ხელისუფლება ამ სიგნალებს არაადეკვატურად ეხმაურება. იმასაც მოწმობს, რომ მთლიანად მოშლილია უკუკავშირი — ხელისუფლება-საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, სოციალური აფეთქება გარდაუვალია.

ახლა მთავარი, რისთვისაც, საერთოდ, დავიწყე ეს საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი ენისა და ჟურნალისტიკის ურთიერთობაზე.

ჟურნალისტის ვალია, იცოდეს ენის „კითხვა“. ანუ მან უნდა გაიგოს, რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერის, პოლიტიკოსის, პლებეის, არისტოკრატის, ხელოვანის სიტყვით ან სხვა რამ ხერხით გამოხატულ აზრს და იგი (ეს აზრი) შეძლებისდაგვარად

დაუმახინჯებლად მიიტანოს მკითხველამდე. ყველამ, ვინც კი ხალხის სახელით და ხალხის გასაგონად ლაპარაკს ბედავს, უნდა იცოდეს, რომ ამქვეყნად არსებობენ ადამიანები, რომლებიც, თუნდაც პოლიტიკურ აბდაუბდაში, ხედავენ ერთადერთ კანონ-ზომიერებას, წვდებიან აზრის მნიშვნელობას და საზოგადოე-ბის დამცირებას არავის არ აპატიებენ. ამისთვის კი გაცილებით მეტი ცოდნაა საჭირო, ვიდრე ეს აქვთ XXI საუკუნის დასაწყისის ქართველ ანალიტიკოს ჟურნალისტებს.

თუ ქვეყანაში არსებობს ასეთი „მკითხველი“ ჟურნალის-ტიკა, იქ დიქტატურა დიდხანს ვერ იბოგინებს.

საოცარი წიგნი
არა მხოლოდ ჟურნალისტიკაზე

— გამარჯობათ, მე თეიმურაზ ქორიძე ვარ! — ხელი გამომიწოდა უცხო სტუმარმა და სახეზე მასპინძლის დაბნეულობით გამონვეული ერთგვარი კმაყოფილება გამოეხატა.

— რას ბრძანებთ, თეიმურაზ ქორიძე მე გახლავართ. თქვენ კი, ალბათ, რაღაც გეშლებათ, — მივმართავ უცნობს და ის გრძნობა მეუფლება, ადამიანი მოულოდნელობით აღძრული ცნობისმოყვარეობის გამო რომ განიცდის.

„საუბრების“ ავტორთან ამ პირველი შეხვედრიდან უკვე ოცდახუთი გრძელი წელიწადი გავიდა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში სწორედ ის თეიმურაზ ქორიძე აღიბეჭდა: გამოუსწორებლად მოულოდნელი, საინტერესო და, რაღა თქმა უნდა, — ლაღი იუმორით აღსავსე მოსაუბრე.

რა დასამალია და, არც იმას ველოდი, რომ „საუბრების“ წინასიტყვაობის დაწერის პატივი სწორედ მე მერგებოდა. სხვა რომ არა იყოს რა, ჩემმა სეხნიამ კარგად უწყის, რომ მის წიგნში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება სრულიადაც არ ემთხვევა ჩემს პრინციპებსა და შეხედულებებს*.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თეიმურაზ ქორიძეს შეიძლება ვეკამათოთ კიდეც — „საუბრების“ მიმზიდველობის საიდუმლოც სწორედ ის არის, რომ ავტორი თავად გიწვევს საკამათოდ, მას მოსაუბრე ენატრება და საუბარი სწყურია. საკამათოს და განსასჯელს კი აქ ყველა დაინტერესებული იპოვის, რადგან წიგნის შინაარსი დიდად სცილდება ერთი რომელიმე თემატიკის ფარგლებს და ჩვენი კულტურულ-ისტორიული ყოფის, განსაკუთრებით, ქართული ჟურნალისტიკის უმწვავეს პრობლემათა სიღრმისეულ ანალიზს ეძღვნება.

აქ კი, როგორც იტყვიან, თეიმურაზ ქორიძე თავს ჩვეულ სტიქიაში გრძნობს და მართლაც შეუდარებელია! ქართულმა საზოგადოებამ გულწრფელად იწამა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას ამქვეყნად მხოლოდ დიქტატორული რეჟიმები ემუქრებიან; რომ მხოლოდ ტირანები და დემოკრატიის მტრები ახშობენ თავისუფალ აზრს, დევნიან მართალ სიტყვას და შემოქმედებითი ცხოვრებით გატაცებულ ადამიანებს მხოლოდ ისინი აიძულებენ ჩადგნენ სიყალბისა და სიცრუის სამსახურში. არადა, ამ კეთილშობილურ, მაგრამ გულუბრყვი-

ლო თვალსაზრისს უკვე კარგა ხანია, რაც ყავლი გაუვიდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში პოზიტივიზმის ფუძემდებლად აღიარებული კარლ იასპერსი* პირდაპირ მიუთითებდა იმ საშიშროებაზე, რომელიც დღეს მასების გემოვნებისადმი ჟურნალისტიკის დამოკიდებულებაში იჩენს ხოლმე თავს. „ნამდვილი საშინელებაა, — წერდა ის, — რომ ჟურნალისტის პასუხისმგებლობა და სულიერ-შემოქმედებითი თავისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის სურვილებზე დამოკიდებულების გამო... იმისთვის, რომ მოგება მიიღოს, პრესა იძულებულია გაითვალისწინოს მილიონების ინსტიქტები, უმრავლესობას მიაწოდოს მასის ცნობიერებისთვის გასაგები სენსაცია, ვულგარულობა და ასე შემდეგ. ასეთ შემთხვევაში პრესა ითვისებს შეგნებული სიცრუის ხელოვნებას, რომელიც, თავის მხრივ, სულისთვის უცხო ძალაზეა გათვლილი. იგი ქედს იხრის ამ ძალის წინაშე!“ (კარლ იასპერსი, „ისტორიის არსი და დანიშნულება“).

თეიმურაზ ქორიძის „საუბრები“ ჟურნალისტიკაში სწორედ ამ „შეგნებული სიცრუის“ (თვითონ ამას „სავალდებულო სიცრუეს“ უწოდებს) დაძლევის დაუცხრომელი სულისკვეთებით არის აღსავსე. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამასთან ერთად, ის თავად არის ჩინებული მთხრობელი, მოსაუბრე, — უნდა ვივარაუდოთ, რომ წიგნს ასეთივე მკითხველი, ანუ „კაცი ვარგი“ უხვად გამოუჩნდება.

თემურ ქორიძე,*
ლიტერატორი
2010 წლის ივნისი

სახელთა საძიებელი

ა

აბაკელია ვაჟა 221
აბაშიძე ასლან 359
აბაშიძე დოდო 143
აბაშიძე ვახტანგ 163
აბსანძე გურამ 68, 69, 70
ადამსი ჯონ 318
ადეიშვილი 365
ავრელიუსი მარკუს 268, 284
აინშტაინი 84
აკვინელი თომა 357, 381
ალექსანდრე II 210
ალექსანდრე VI (რომის პაპი) 358
ალუდა ქეთელაური 199, 200, 201, 202, 277
ალხასტაიძე 113
ალილუევა სვეტლანა 103
ანანიაშვილი ნინო 30
ანდერსენი 389
ანდროპოვი 219, 387
ანტონიანი 264, 265
არველაძე 318, 365, 410
არისტოტელე 84, 113, 276, 306, 314, 381
არონი რაიმონდ 322
არჩვაძე მანანა 377
ასათიანი ლადო 203
აფციაური ჯემალ 73
აშკენაზი 264, 265

ბ

ბაგაური ანატოლი 153, 154
ბაგრატიონი 116, 117, 266
ბატისტა 211
ბაციკაძე კახა 181
ბაქრაძე 318
ბაღათურია ჯონდი 199, 200, 201, 202,318
ბახტაძე გიორგი 169
ბახტურიძე ვახტანგ 167
ბეგაშვილი 318
ბენეტონი 382
ბეჟუაშვილი 373
ბერაძე მერაბ 61
ბერია ლავრენტი 24, 57, 101, 102, 104, 105, 106, 107, 108, 196
ბერია სერგო 105, 106
ბერიაშვილი ირაკლი 15, 43, 80, 159
ბერლინი ისაია 357
ბექაური 318
ბისმარკი 318
ბოკერია 318, 346, 365
ბორჯია ჩეზარე 351, 358, 366
ბოცვაძე ზეინაბ 13
ბრეგვაძე ბაჩანა 398
ბრეჟნევი ლეონიდ 23, 67, 219, 387
ბრეხტი ბერტოლდ 376
ბროლაძე 35
ბუაჩიძე ბერდია 145
ბუაჩიძე ელგუჯა 143
ბურბონი 194
ბურჯანაძე ნინო 138, 191
ბუსა 264
ბუში ჯორჯ 262, 356

გ

გაგუა ოთარ (რიჩა) 143
გამსახურდია ზვიად 34, 35, 189, 190, 191, 194, 196, 212, 225, 227, 228, 230, 377, 386
გამსახურდია კონსტანტინე 22, 23, 24, 70, 143, 278
გამყრელიძე ოთარ 221, 241
გეგეჭკორი ნინო 101, 107, 108 109
გეგეჭკორი საშა 101, 102
გეგეშიძე გურამ 145
გელაძე ჰამლეტ 130, 134
გერგედავა ამბროსი 167
გვაზავა ნუნუ 240, 243
გილიგაშვილი როლანდ 167
გირგვლიანი 343
გოგელია არჩილ 13, 14, 15, 16, 19, 43, 80, 81, 170
გელოვანი აკაკი 111

გენშერი ჰანს-დიტრიხ 318
გოგიჩაიშვილი აკაკი 279
გოგორიშვილი 318
გოდერძიშვილი ლია 15, 43
გოლდბაუმი 265
გორბაჩოვი მიხეილ 62, 219, 222, 255, 355, 387
გორელიშვილი გურამ 21, 22
გოცირიძე ირაკლი 134
გრაკლელი 172, 173
გრანელი ტერენტი 183
გრიგალაშვილი ნოდარ 133, 224, 373
გუგავა 318
გუგუშვილი 372
გულუა ბაკურ 98, 99, 379
გურამიშვილი დავით 182, 203

დ

დავით IV აღმაშენებელი 312, 313, 357
დანტონი 193
დე გოლი 218, 318, 321
დედა ტერეზა 88
დეკარტი 84
დემულენი 193
დიზრაელი ბენჟამინ 321
დირიხლე 115
დიუმა ალექსანდრე (მამა) 192, 193
დოდაშვილი სოლომონ 159, 342
დონ კიხოტ ლამანჩელი 74
დოჩანაშვილი გურამ 92, 115

ე

ეკერმანი იოჰან პეტერ 110, 111, 112
ელია 271
ელცინი ბორის 387
ენგელსი ფრიდრიხ 84, 182
ეპიკურე 276
ერაძე ოთარ 58
ერბოწონაშვილი 210
ერშოვი 103

ვ

ვარაზი ავთო 169
ვარდოსანიძე იაგო 143
ვაჟა-ფშაველა 182, 183, 199, 200, 201, 202,203, 276, 277
ვაშალომიძე ზურიკელა 181
ვაშინგტონი ჯორჯ 318, 321
ვაჩნაძე თენგიზ 145
ვებერი მაქს 271, 319, 321
ვერუსი 268, 284
ვიშინსკი ანდრეი 196
ვოლტერი 84

ზ

ზანაზანი 264
ზაქარეიშვილი მიტო 143
ზინოვიევი 24
ზირაქაძე ალექსანდრე 167

თ

თაბუკაშვილი რეზო 145
თარგამაძე გივი 264, 318
თევდორაძე ელენე 50, 264, 265, 373
თევზაძე გიგი 391, 401, 402, 404
თევზაძე დავით 39
თვარაძე რეზი 141, 154
თოფურიძე ლევან 18

ი

იაშვილი ლევან 209
იასპერსი კარლ 7
ილფი და პეტროვი 182
იობი 330
იოანე 220
იოანე-პავლე II 136
იოსელიანი ჯაბა 191, 251, 378
ისაია 330
ისაკაძე გურამ 208, 209, 210
იულიუს კეისარი 357

კ

კაკაბაძე ზურაბ 142
კაკაბაძე ნოდარ 145
კაკაბაძე პოლიკარპე 226
კალანდაძე ირინა 169

კალანდია ზაურ 183
კალანდია რენე 400
კამენევი 24
კანტი იმანუელ 276, 381
კარნეგი დეილ 29, 82, 83, 115
კარაულოვი ანდრეი 37
კასტრო ფიდელ 196, 218, 311, 354
კაშია ჯანრი 398, 399, 412
კელენჯერიძე მიტროფანე 167
კერატიშვილი შოთა 209
კერესელიძე უშანგი 167
კერვალიშვილი პ. 401
კვარაცხელია ვალერი 228
კვაჭანტირაძე თამაზ 225, 226
კვირაია შოთა 224
კემულარია 373
კიერკეგორი 276
კიკნაძე გიორგი 71
კიმ ირ სენი 354
კისინჯერი ჰენრი 318
კიტოვანი თენგიზ 191
კიწმარიშვილი ეროსი 257
კლინტონი ბილ 38
კობახიძე იუზა 167
კოლი ჰელმუტ 318
კორდე შარლოტა 193
კოსიგინი 219
კოსტავა მერაბ 31
კოტეტიშვილი ვახუშტი 145
კოფი ანანი 377
კრუტინი ვალერი 167
კულუმბეგოვი 129
კურნაკოვი სერგეი 139
კუტონი 193

ლ

ლა ბრიუიერი 381, 389
ლა როშფუკო 84
ლონდონი ჯეკ 59, 157
ლენინი 84, 142, 191, 198, 209, 271, 287, 331, 338, 355, 363
ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ 289
ლეონიძე გიორგი 144
ლინკოლნი აბრაამ 321
ლომაძე სერგი 181, 182
ლორთქიფანიძე გრიგოლ 321

მ

მადამ ბოვარი 217, 218
მავზარაშვილი თენგიზ 167
მაისურაძე მარინა 15
მაკიაველი ნიკოლო 349, 350, 351, 352, 354,
355, 356, 357, 358, 359, 363, 366, 367, 368, 381
მაკედონელი ალექსანდრე 357
მალარმე სტეფან 84
მალკინა ტატიანა 37
მალენკოვი 104
მაილსი რიჩარდ 198
მამარდაშვილი მერაბ 249
მანი თომას 376
მანჯგალაძე ეროსი 71
მარატი 191, 193
მარგოშვილი ვეფხია 259
მარქსი 83, 182, 191
მაო ძე დუნი 196
მაღრაძე დავით 74, 75, 76, 146
მაჭავარიანი მუხრან 228
მაჰათმა განდი 321
მელიქიძე ნელი 169,170
მენაღარაშვილი კარლო 145
მერაბიშვილი ივანე 363, 365, 373
მეტრეველი თეიმურაზ 19, 82
მეფე ლირი 109
მირიანაშვილი თემურ 134
მიქავა უტუ 194
მიქოიანი ანასტას 104
მიშველაძე რეზო 380
მკალავიშვილი ბასილ 297
მოპასანი 183
მოცარტი 145
მსხვილაძე რეზო 167
მუამარ კადაფი 196
მუსოლინი ბენიტო 289, 290
მუცალი 201, 276

ნ

ნადირაშვილი შოთა 392
ნადირაძე აკაკი 153
ნადირაძე მაია 318, 392
ნათაძე ნოდარ 373
ნათელაშვილი შალვა 93, 94, 372, 378, 389
ნანეიშვილი ირაკლი 144
ნაპოლეონი 193, 194, 218, 270, 312, 357
ნიკალა (ნიკო ფიროსმანიშვილი) 75
ნიცშე ფრიდრიხ 3, 144
ნოზაძე თენგიზ 144

ო

ოზგანი კონსტანტინე 129
ორბელიანი გრიგოლ 74, 389
ორბელიანი სულხან-საბა 79
ორუელი ჯორჯ 270, 323
ოქრუაშვილი ირაკლი 339, 365, 410

პ

პავლე I (იმპერატორი) 289
პარენტი 266, 370
პატარკაციშვილი ბადრი 138
პატარკაციშვილი ნანა 150
პატაშური გიორგი 161, 208
პელშე 219
პეტრიაშვილი 372
პლატონი 84, 110, 276, 314, 381
პლუტარქე 289, 290
პოდგორნი 219
პოლიანსკი 219
პუგაჩოვი 194
პუტინი ვლადიმირ 258, 262, 362

ჟ

ჟვანია ზურაბ 191, 224, 254, 257, 258, 260, 261, 262, 264, 265, 373, 379
ჟირინოვსკი ვლადიმირ 93, 94

რ

რაბლე ფრანსუა 403
რაზინი სტენკა 387
რამიშვილი ნინო 31
რამიშვილი შალვა 280
რატიშვილი მერაბ 19
როსტროპოვიჩი 31
რეიგანი რონალდ 83
რემბო არტურ 84
რიკოვი 24
რობაქიძე გრიგოლ 143
რობესპიერი მაქსიმილიან 192, 193
რობესპიერი ოგიუსტ 193
როტბარდი მარი ნ. 329
რუზველტი ფრანკლინ 318
რუსთაველი შოთა 114, 181, 182, 203, 389
რცხილაზე ავთანდილ 209

ს

სააკაშვილი მიხეილ 191, 195,196, 197, 202, 254,258, 260, 261, 262, 264, 289, 295, 305, 315, 338, 345, 346, 354, 357, 359, 360, 361, 362,364, 365, 366, 367, 372, 373, 374, 375, 378, 379, 387, 388, 389, 407
სააკაძე გიორგი 167
სადამ ჰუსეინი 196, 357
სავატსკი ჯონ 155
საშა პარტნოი 105
საჯაია ნუგზარ 379
სიგუა 191, 373
სიგუა სოსო 400, 401
სიმონიშვილი სოსო 19
სოკოლოვი დავით 190
სოლომონ ბრძენი 357
სოროსი ჯორჯ 27, 197, 198
სპარტაკი 194
სპენსერი ჰერბერტ 268
სპინოზა 276
სტალინი 24, 83, 103, 104, 107, 124, 142, 193, 194, 195, 318, 321, 326, 333, 350, 351, 354, 357, 363, 364, 387, 407
სტურუა ავთო 389

სტურუა ვანო 104
სტურუა პ. 24
სტურუა მელორ 23
სურენი 264
სუსლოვი 219
სხირტლაძე გურამ 145

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 182, 183, 188, 203, 289, 406
ტაბიძე ტიციან 143
ტალეირანი 84, 318, 321
ტანდოევა 264, 265
ტეტჩერი მარგარეტ 138, 321
ტიკარაძე დიტო 261

უ

უგულავა გიგი 365, 415

ფ

ფაღავა რეზო 143
ფაცაცია გერმანე 50
ფეტელავა ზაზა 154
ფირცხალავა გია 145
ფიხტელიუსი ერიკ 156
ფლობერი გუსტავ 218
ფორესტი ლუი 44
ფრიდრიხ დიდი 356
ფრომი ერიხ 273, 274, 275, 276
ფულერი 298

ქ

ქართველიშვილი 102
ქაფიანიძე ზურაბ 380
ქიქოძე გერონტი 143
ქობულაშვილი 372
ქორიძე თეიმურაზ 14, 19, 421 20, 83, 109, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132,134,172
ქორიძე თემურ 7, 9, 229, 372
ქორიძე უჩა 208, 210
ქუთათელაძე ვახტანგ 224
ქურდაძე ნოდარ 209, 211

ყ

ყაველაშვილი 71
ყვარყვარე 226
ყიფიანი დიმიტრი 321

შ

შავდია გოგი 144
შაიო ანდრაშ 5
შამანიდი გურამ 183, 185
შამოევი 210
შარაძე გურამ 186
შატბერაშვილი 318
შატაიძე ნუგზარ 159, 160, 208
შაფაქიძე პელო 227
შევარდნაძე ედუარდ 27, 28, 38, 39, 40, 69, 72, 156, 191, 195, 197, 224, 258, 262, 267, 305, 306, 318, 324, 335, 361, 366, 373, 377, 386
შენგელაია გიორგი 145
შენგელაია ელდარ 145, 182
შექსპირი 204, 206
შოთა 247, 248
შოპენი 145
შოპენჰაუერი არტურ 268, 269, 276

ჩ

ჩარკვიანი გელა 39, 40
ჩარკვიანი ჯანსუღ 145, 222, 228
ჩარკვიანი ჯიმი 145
ჩე გევარა ერნესტო 191
ჩერედნიჩენკო ვლადიმირ 27, 44, 58, 139
ჩერნენკო 219
ჩერჩილი 144, 318, 320, 321
ჩიქვანაია თამაზ 217, 218
ჩიქოვანი თამარ 19
ჩოჩიშვილი გიორგი 19
ჩოჩიევი ალან 129
ჩოხელი არჩილ 68
ჩუბინიშვილი 365
ჩუმოურიძე მიხეილ 167

ცჰ

ცარციძე უჩა 153, 154
ცირამუა ბადრი 414
ცისკარიშვილი პეტრე 259, 260
ციციაშვილი აბონ 83

ძ

ძიძიგური ზვიად 389
ძიძიგური კობა 389
ძმები გრიმები 185, 389
ძოძუაშვილი მარიამ 226

წ

წერეთელი აკაკი 203
წერეთელი ირაკლი 48, 228
წვერიკმაზაშვილი 208, 210
წინწალაშვილი 122, 209, 210

ჭ

ჭავჭავაძე ილია 157, 290
294, 321, 391, 392
ჭავჭავაძე ნიკო 289
ჭანტურია გია 44, 228
ჭკუასელი ვახტანგ 261
ჭკუასელი (მინისტრი) 378
ჭკუასელი როლანდ 157

ხ

ხაბეიშვილი სოლიკო 44,
ხეტეშვილი უშანგ 75
ხო ში მინი 196, 354
ხრუშჩოვი ნიკიტა 322, 387
ხუნდაძე ლუკა 145
ხუციშვილი ოთარ 15

ჯ

ჯაბაური გიორგი 58
ჯაბუშანური გაბრიელ 104
ჯავახიშვილი ივანე 181, 213
ჯავახიშვილი მიხეილ 143, 203
ჯაველიძე ბიძინა 145
ჯაველიძე ელიზბარ 145
ჯამარაული 71
ჯამრულიძე ლევან 30
ჯეფერსონი 84
ჯიბლაძენ. 401
ჯოხარიძე ნანა 43, 169, 208
ჯუღაშვილი იაშა 103
ჯუღაშვილი სოსო 407

ჰ

ჰაიდეგერი 404
ჰამლეტი 109, 196
ჰეგელი 276, 381
ჰემინგუეი 157
ჰეროსტრატე 185
ჰესე ჰერმან 403
ჰინდენბურგი 334,335
ჰიტლერი 333, 334, 338,
354, 363, 364
ჰობსი თომას 276, 321,
329, 330, 357, 381

შენიშვნები და განმარტებები

1. **ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე (გვ. 3)** — 1844-1900 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი; ავტორი ნაშრომებისა: „შოპენჰაუერი, როგორც აღმზრდელი“, „ადამიანური, ძალიან ადამიანური, ანუ წიგნი თავისუფლად მოაზროვნეებისთვის“, „გარიჟრაჟი, ანუ აზრები მორალურ გადმონაშთებზე“, „მხიარული მეცნიერება“, „ამას ამბობდა ზარათუსტრა“, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“, „ანტიქრისტიანი“, „მორალის გენეალოგიისათვის“ ...
2. **ანდრაშ შაიო (გვ. 5)** — თანამედროვე უნგრელი სამართალმცოდნე-კონსტიტუციონალისტი; უნგრეთის აკადემიის წევრი; აშშ სამართლის ინსტიტუტის წევრი; ადამიანის უფლებათადაცვის ევროპული სასამართლოს წევრი; აშშ სამართლის ინსტიტუტის წევრი; ავტორი ნაშრომებისა სახელმწიფოსა და სამართლის, საკონსტიტუციო სამართლის, პოლიტიკური ისტორიისა და პრაქტიკის, სამართლის ფილოსოფიის საკითხებზე.
3. **„მის წიგნში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება სრულიადაც არ ემთხვევა ჩემს პრინციპებსა და შეხედულებებს“ (გვ. 6)** — იგულისხმება ავტორის მიერ წინამდებარე ნაშრომსა და პუბლიცისტურ წერილებში გამოთქმული მოსაზრებები ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მოღვაწეობაზე (1990-1991 წ. წ.).
4. **კარლ თეოდორ იასპერსი (გვ. 7)** — 1883-1969 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ავტორი ნაშრომებისა: „ზოგადი ფსიქოპათოლოგია“, „მსოფლმხედველობის ფსიქოლოგია“, „ფილოსოფია“, „ეგზისტენციალური ფილოსოფია“, „ჭეშმარიტების შესახებ“, „გერმანული დანაშაულის პრობლემა“, „ფილოსოფიური რწმენა“, „ისტორიის წარმოშობისა და მიზნის შესახებ“, „გამოჩენილი ფილოსოფოსები“, „ატომური ბომბი და კაცობრიობის მომავალი“, „ტრანსცენდენციის შიფრები“...
5. **თემურ ქორიძე (გვ. 421)** — დაიბადა 1954 წელს. ქართველი ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი; საქართველოს პარლამენტის წევრი 1990-1991 წლებში. მრავალი ლიტერატურული ესსეს და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი.
6. **„აფხაზები რომ შემოვიდნენ შრომაში...“ (გვ. 21)** — იგულიხმება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 1993 წლის ზაფხულში; შრომა — სოფელი სოხუმთან ახლოს.
7. **კონსტანტინე გამსახურდია (გვ. 22)** — 1893-1975 წ.წ. ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ავტორი ისტორიული რომანებისა: „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „მთვარის მოტაცება“, „ვაზის ყვავილობა“, „ბელადი“.
8. **ბრეჟნევი, კოსიგინი, პელშე, პოდგორნი, პოლიანსკი, ჩერნენკო, ანდროპოვი, სუსლოვი, გრომიკო... (გვ. 23)** — საბჭოთა კავშირის პოლიტი-

კური ხელმძღვანელობის წევრები გასული საუკუნის 60-80-იან წლებში.

9. **ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი... (გვ. 24)** — საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწეები, სოციალიზმის ცნობილი თეორეტიკოსები, რომლებიც სტალინურმა ხელისუფლებამ 30-იან წლებში სამშობლოს და სოციალიზმის მტრებად, „მავნებლებად“ შერაცხა და სიკვდილით დასაჯა. მათ დასჯას წინ უძღოდა გრანდიოზული ე.წ. „სახალხო განხილვები,“ რაც აგრეთვე ინსპირირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ.
10. **ლავრენტი ბერია (გვ. 24)** — 1899-1953 წ.წ. საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, სკკპ პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი, სტალინის უახლოესი თანამებრძოლი. სამშობლოს და სოციალიზმის ღალატის ბრალდებით დახვრიტეს 1953 წელს.
11. **„ამ სტრიქონებს იმ დროს ვწერ“...(გვ. 25.“** — იგულისხმება 2005-2006 წ.წ.
12. **ჯორჯ სოროსი (დიორდ შოროში, გვ. 27)** — დაიბადა 1930 წ. უნგრული წარმოშობის ამერიკელი მილიარდელი, ფინანსისტი, ინვესტორი და ფილანტროპი; „ღია საზოგადოების“ თეორიის მომხრე; საერთაშორისო „სოროსის ფონდის“ დამაარსებელი; მის მოღვაწეობას მსოფლიოში სხვადასხვაგვარად აფასებენ. არსებობს მოსაზრება, რომ მან დაგეგმა და დააფინანსა ქართული „ვარდების რევოლუცია“ 2003 წლის 23 ნოემბერს.
13. **დეილ კარნეგი (გვ. 29)** — 1888-1955 წ.წ. ამერიკელი პედაგოგი, ფსიქოლოგი და მწერალი; ადამიანთა შორის უკონფლიქტო და დაუძაბავი ურთიერთობების თეორიის შემქმნელი; ავტორი პოპულარული ნაშრომებისა: „ორატორული ხელოვნება და საქმიან პარტნიორებზე ზეგავლენის მოხდენა“, „უცნობი ფაქტები ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან“, „როგორ შევიძინოთ მეგობრები“, „როგორ შევიძინოთ თავდაჯერება საჯარო გამოსვლის დროს და ზეგავლენა მოვახდინოთ ადამიანებზე“, „როგორ ვძლიოთ მღელვარებას და დავიწყოთ ცხოვრება“.
14. **მსტისლავ როსტროპოვიჩი (გვ. 31)** — 1927-2007 წ.წ. გამოჩენილი რუსი ვიოლონჩელისტი და დირიჟორი; საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი; საზოგადო მოღვაწე — ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი.
15. **„ქალბატონი ჟურნალისტი ამავე დროს გახლდათ პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელი...“ (გვ. 38)** — იგულისხმება ტელეჟურნალისტი, იმჟამად პრეზიდენტ შევარდნაძის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნატო ონიანი.
16. **ბილ კლინტონი (უილიამ ჯეფერსონ კლინტონი გვ. 38)** — დაიბადა 1946 წელს. აშშ 42-ე პრეზიდენტი (1993-2001 წ.წ.); დემოკრატიული პარტიის წევრი.
17. **ჯეკ ლონდონი (ჯონ გრიფიტ ჩეინი, გვ. 59)** — 1876-1916 წ.წ. ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი, ავტორი სათავგადასავლო მოთხრობებისა და რომანებისა: „თოვლის დედოფალი“, „წინაპართა ძახილი“, „ქემფთონ უაისის წერილები“, „ზღვის მგელი“, „თამაში“, „თეთრი ეშვი“, „ადამის გაჩენამდე“, „რკინის ქუსლი“, „მარტინ იდენი“, „მეწამული ჭირი“, „მზის შვილი“, „მზიანი ველი“, „ამბოხი ელსინორზე“, „დიდი სახლის პა-

ტარა დიასახლისი“, „კუნძულელი ჯერი“, „ჯერის ძმა“, „სამთა გული“...

18. **მიხაილ გორბაჩოვი (გვ. 62)** — დაიბადა 1931 წელს. რუსი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე; სკკპ წევრი 1952-1992 წ.წ. სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი 1985-1992 წ.წ. საბჭოთა „პერესტროიკის“ მთავარი ინიციატორი; საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი (1990-1991 წ.წ.); მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლის ერთ-ერთი ორგანიზატორი; ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი; ავტორი წიგნებისა: „XX საუკუნის მორალური გაკვეთილები“, „ფიქრები ოქტომბრის რევოლუციაზე“, „ახლებური აზროვნება“, „ფიქრები წარსულზე და მომავალზე“, „გარდაქმნის შეცნობა“...
19. **„ადამონ ნიხას“ (გვ. 62)** — სეპარატისტული პოლიტიკური მოძრაობა საქართველოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანის დასაწყისში. „ადამონ ნიხას“ ოსურიდან — „ხალხის სიტყვა“.
20. **„ასეთი მაგალითები ამ ეპოქის ნებისმიერ გაზეთში შეიძლება შეგხვდეს“ (გვ. 69)** — იგულისხმება გასული საუკუნის 90-იანი წლები.
21. **„ვხედავ, ერთი ჩემი ნაცნობი პროფესორი მოდის, ეროვნებით ოსი...“ (გვ. 73)** — საუბარია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში საქართველოში მძვინვარე ქსენოფობიურ აფეთქებაზე. „ნაცნობ პროფესორში“ ავტორი, პროფესორი ჯემალ აფციაური, ოსური წარმოშობის ცნობილ ქართველ მეცნიერს, ფილოსოფოს ოთარ ჯიოევს გულისხმობს.
22. **„მე ნიკალასთან ერთად გახლდით ორთაჭალის დუქანში, ჯამბაზთა ყიჟინამ რომ დაიგრგვინა...“ (გვ. 75)** — იგულისხმება გამოჩენილი ქართველი მხატვარი-პრიმიტივისტი ნიკო ფიროსმანაშვილი (ნიკალა) და ჰაფეზის პოპულარული ლექსი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „ბაზრისთავს უცებ ჯამბაზთა ყიჟინამ დაიგრგვინაო...“
23. **რონალდ უილსონ რეიგანი (გვ. 83)** — 1911-2004 წ.წ. აშშ მე-40 პრეზიდენტი; ყოფილი მსახიობი; კალიფორნიის გუბერნატორი; ცნობილია თავისი განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკით („რეიგანომიკა“); საბჭოთა კავშირს პირველად მან უწოდა „ბოროტების იმპერია“; მსოფლიოში ანტიკომუნისტური მოძრაობების მხარდამჭერი. აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად აშშ ისტორიაში.
24. **რენე დეკარტი (გვ. 84)** — 1596-1650 წ.წ. ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი; რაციონალური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; „თანამედროვე მათემატიკის მამა“. ანალიზური გეომეტრიის ფუძემდებელი; ცვლადი სიდიდეების, კოორდინატთა მეთოდების დამნერგავი.
25. **ფრიდრიხ ენგელსი (გვ. 84)** — 1820-1895 წ.წ. გერმანელი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, სამხედრო ისტორიკოსი და მეწარმე. კარლ მარქსთან ერთად მარქსისტული მოძღვრების ფუძემდებელი; „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თანაავტორი; ავტორი ნაშრომებისა მარქსთან ერთად: „გერმანული იდეოლოგია“, „წმინდა ოჯახი“, „სტატიები ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის შესახებ“, „კაპიტალი“; და-

მოუკიდებლად: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „გლეხთა ომები გერმანიაში“, „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“, „ანტი-დიურინგი“, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე (ბუნების დიალექტიკა)“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“...

26. **ფრანსუა VI დე ლა როშფუკო (გვ. 84)** — 1613-1680 წ.წ. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი-მორალისტი; „მაქსიმებისა“ და „მემუარების“ავტორი.
27. **ვოლტერი (ფრანსუა მარი არუე, გვ. 84)** — 1694-1778 წ.წ. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი-განმანათლებელი; მწერალი, პოეტი, სატირიკოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი; ადამიანის უფლებათა დამცველი; ვოლტერიანელობის ფუძემდებელი. 28 კლასიკური ტრაგედიის ავტორი, მათ შორის: „ოიდიპოსი“, „ბრუტუსი“, „კეისარი“, „ალ-ზირა“, „მუჰამედი“, „მეროპა“, „სემირამიდა“, „ჩინური ობლობა“, „ტანკრედი“... ავტორი ფილოსოფიური რომანებისა: „ბაბუკის მოჩვენება“, „ზადიგი ანუ ბედისწერა“, „მოკრომეგასი“, „კანდიდი“, „ზღაპარი ბაბილონელ პრინცესაზე“, „შცარმენტადო“ და სხვა.
28. **პლატონი (გვ. 84)** — ძვ.წ. 427-347 წ.წ. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი; სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი. ფილოსოფიური დიალოგების ავტორი.
29. **ტალეირანი (შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორი, გვ 84)** — 1754-1838 წ.წ. ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და დიპლომატი; იყო სასულიერო პირი — ეპისკოპოსი; საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; თავისივე ირონიული განცხადებით, პოლიტიკური კარიერის განმავლობაში თოთხმეტ ხელისუფლებასთან დადო ერთგულების ფიცი და არცერთი არ შეუსრულებია.
30. **სტეფან მალარმე (გვ. 84)** — 1842-1898 წ.წ. ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი; მისმა პოეზიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცისფერყანწელებზე (გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე...).
31. **დედა ტერეზა (აგნეს გოჯა ბოიაჯუ, გვ. 88)** — 1910-1997 წ.წ. ალბანური წარმოშობის მაკედონელი კათოლიკე მონაზონი. „ქველმოქმედების მისიონერი“; ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი; გარდაცვალების შემდეგ რომის პაპმა იოანე-პავლე II წმინდანად შერაცხა; აღიარებულია XX საუკუნის სიკეთისა და სათნოების სიმბოლოდ.
32. **საშა (ალექსი) გეგეჭკორი (გვ. 101)** — 1887-1928 წ.წ. რევოლუციონერი-ბოლშევიკი; სოფლის მეურნეობის მინისტრი საბჭოთა მთავრობაში. ნინო გეგეჭკორის ბიძა. სიცოცხლე დაამთავრა თვითმკვლელობით.
33. **სვეტლანა ალილუევა (მოგვიანებით — ლანა პეტერსი, გვ. 103)** — დაიბადა 1926 წ. იოსებ სტალინისა და მისი მეორე ცოლის, ნადეჟდა ალილუევას ქალიშვილი. ისტორიკოსი, ფოლოლოგი და მთარგმნელი; 1967 წელს წავიდა ემიგრაციაში (ინდოეთში); 1984 წელს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში და საჯაროდ მოინანია თავისი საქციელი. ორი წლის შემდეგ ისევ წავიდა — ამჯერად აშშ-ში. არის ოთხი მემუარული წიგნის

ავტორი: „ოცი წერილი მეგობარს“, „მხოლოდ ერთი წელიწადი“, „წიგნი ჩემი შვილიშვილებისთვის: „მოგზაურობა სამშობლოში“, „შორეული მუსიკა“. ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში, ვისკონსინის შტატში.

34. **სერგო ბერია (გვ. 105)** — 1924-1998 წ.წ. ფიზიკოსი, პროფესორი, რადიოლოკაციური სისტემების ცნობილი სპეციალისტი. ავტორი წიგნისა „მამაჩემი ლავრენტი ბერია“.

35. **იოჰან პეტერ ეკერმანი (გვ. 110)** — 1792-1854 წ.წ. გერმანელი პოეტი, მწერალი და ლიტერატურისმცოდნე. თითქმის ათი წელიწადი გაატარა გოეთეს გვერდით და გერმანული პუნქტუალობით ჩაიწერა დიდი პოეტისა და მოაზროვნის გამონათქვამები. მის ნაწარმოებს ასეც ეწოდება — „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“.

36. **ბაგრატიონი (გვ. 116)** — საქართველოს სამეფო დინასტია 809-1810 წლებში. საკუთარ წარმოშობას ბაგრატიონები ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველს უკავშირებდნენ. ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი საქართველოში იყო ქართლის ერისმთავარი 575-590 წლებში გუარამ I კურაპალატი.

37. **„თუმცა, ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მაინც ნაჩქარევად და ასეთ შენთხვევებში გათვალისწინებული საპროცესო ნორმების უგულებელყოფით მიიღო...“ (გვ. 118)** — ავტორი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ისტორიული ქართული დროშა მიიღეს სათანადო თეორიული დასაბუთების გარეშე და პარამეტრების დაუდგენლად, ხოლო გერბს საერთო არაფერი აქვს ქართულ ისტორიულ გერბთან.

38. **„ბაღუაშ-ორბელიანები, კონსტანტინე და გიორგი ბატონიშვილები“ — (გვ. 121)** — იგულისხმება ძლევამოსილი ქართველი დიდებულები, რომელთა თავკერძობა ალაგმა დავით IV აღმაშენებელმა; კონსტანტინე ბატონიშვილი, იგივე კოსტან-მირზა, შაჰ-აბასის კარზე აღზრდილი ქართველი უფლისწული, რომელმაც 1608 წლის 12 მარტს, შაჰისვე დავალებით ალავერდის ტაძარში მოკლა მამა — მეფე ალექსანდრე მეორე და ძმა — გიორგი; ინფორმაცია გიორგი ბატონიშვილზე (ავ-გიორგი) იხ. გვ. 59.

39. **იოანე-პავლე II (ერისკაცობაში კაროლ იოზეფ ვოიტილა, გვ. 136)** — 1920-2005 წ.წ. რომის პაპი 1978-2005 წ.წ. პაპობის ისტორიაში პირველი არაიტალიელი წმინდა პეტრეს ტახტზე.

40. **მარგარეტ ტეტჩერი (გვ. 138)** — დაიბადა 1925 წელს; ბრიტანელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; კონსერვატიული პარტიის ლიდერი; დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წ.წ. 2002 წელს პოლიტიკური სარბიელი სამუდამოდ დატოვა. ისტორიაში შევიდა „რკინის ლედის“სახელით.

41. **გერონტი ქიქოძე (გვ. 143)** — 1885-1960 წ.წ. ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურისმცოდნე. კლასიკურადაა მიჩნეული ფრანგულიდან მის მერ თარგმნილი: „წითელი და შავი“, „ტრისტან და იზოლდა“, „იტალიური ქრონიკები“, „შაგრენის ტყავი“, პროსპერ მერიმეს მოთხრობები და სხვა.

42. **მიხეილ ჯავახიშვილი (გვ. 143)** — 1880-1937 წ.წ. ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე; რომანებისა („არსენა მარაბ-

დელი“, „თეთრი საყელო“, „ჯაყოს ხიზნები“) და მრავალი მოთხრობის ავტორი. სიკვდილით დასაჯეს 1937 წელს „მავნებლური ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის.“

43. **ტიციან ტაბიძე (გვ. 143)** — 1893-1937 წ.წ. გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე; ცისფერყანწელი; დახვრიტეს 1937 წელს ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით.
44. **გრიგოლ რობაქიძე (გვ. 143)** — 1882-1962 წ.წ. ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე; ფილოსოფიის დოქტორი; ანტიბოლშევიკი; მოღვაწეობდა გერმანიაში; გერმანული ნაციზმის თანამგრძნობი. საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1917 წ.) ავტორი რომანებისა „ფალესტრა“, „გველის პერანგი“, „იმამ შამილი“... გარდაიცვალა ჟენევაში. დასაფლავებულია ლევილში, პარიზის გარეუბანში.
45. **ზურაბ კაკაბაძე (გვ. 144)** — 1926-1982 წ.წ. ქართველი ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი; ავტორი ნაშრომებისა: „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“; „ფილოსოფიური საუბრები“; „ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „ხელოვნების ნაწარმოების გაგების პრობლემა“ და სხვა.
46. **გიორგი (გოგლა) ლეონიძე (გვ. 144)** — 1899-1966 წ.წ. ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე; საქართველოს სახალხო პოეტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
47. **უინსტონ ჩერჩილი (სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი, გვ. 144)** — 1874-1965 წ.წ. ბრიტანელი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ორატორი და მხატვარი; დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წ.წ. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. ისტორიკოსების აზრით, „ჩერჩილის გარეშე XX საუკუნის ისტორიის დაწერა შეუძლებელია“.
48. **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (გვ. 145)** — 1756-1791 წ.წ. ავსტრიელი კომპოზიტორი; გენიალური ოპერების („მოტაცება სერალიდან“, „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჟუანი“, „ასე იქცევა ყველა ქალი“, „ჯადოსნური ფლეიტა“), სიმფონიების, სხვა მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი.
49. **ფრედერიკ ფრანციშეკ შოპენი (გვ. 145)** — 1810-1849 წ.წ. დიდი პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი; პოლონეზების, ნოქტიურნების, ვალსების, ბალადების ავტორი. წერდა, ძირითადად, ფორტეპიანოსთვის.
50. **ერნესტ მილერ ჰემინგუეი (გვ. 157)** — 1899-1961 წ.წ. ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი; ნობელის პრემიის ლაურეატი; ავტორი დოკუმენტური პროზის, მოთხრობების და რომანებისა „აღმოხდების მზე“, „მშვიდობით, იარაღო!“ „იქ, სადაც სინათლე და სისპეტაკეა“, „ქონა და არქონა“, „ვის უხმობს ზარი“, „მდინარის გაღმა, ხეების ჩრდილქვეშ“, „მოხუცი და ზღვა“, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, „ედემის ბაღები“, „მარტინ იდენი“...
51. **სოლომონ დოდაშვილი (გვ. 159)** — 1805-1836 წ.წ. ქართველი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე; პირვე-

ლი ქართული რუსულენოვანი გაზეთის „ტიფლისსკიე ვედემოსტი“ დამაარსებელი და რედაქტორი (გამოდიოდა 1828-1832 წ.წ.); 1832 წლის აჯანყების მონაწილე; ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა „ლოგიკა“ (რუსულ ენაზე) და „ქართული ღრამატიკა“. გარდაიცვალა გადასახლებაში, ვიატკაში.

52. **ივანე ჯავახიშვილი (გვ. 181)** — 1876-1940 წ.წ. ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე; პირველი ქართული უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი (1818 წ.); საქართველოს და კავკასიის ისტორიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; საბჭოთა კავშირის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების წევრი; ავტორი ნაშრომებისა: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „ქართული ნუმიზმატიკა“, ქართული დიპლომატიკა“, „ქართველი ერის ისტორია“ (ხუთ წიგნად), „საქართველოს საზღვრები“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“...

53. **დავით გურამიშვილი (გვ. 182)** — 1705-1792 წ.წ. გამოჩენილი ქართველი პოეტი და მოაზროვნე; რუსეთის არმიის ოფიცერი; მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის, რუსეთ-შვედეთისა და რუსეთ-პრუსიის ომებში. 1759 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა უკრაინაში, მირგოროდში. ავტორი ფილოსოფიური პოეტური ნაწარმოებების კრებულისა „დავითიანი“.

54. **გალაკტიონ ტაბიძე (გვ. 182)** — 1891-1959 წ.წ. დიდი ქართველი პოეტი; სიმბოლისტი და ცისფერყანწელი; საქართველოს სახალხო პოეტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; „საქართველოს პოეტების მეფე“; 1959 წლის 17 მარტს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

55. **ტერენტი გრანელი (კვირკველია, გვ. 183)** — 1897-1934 წ.წ. ქართველი პოეტი და პუბლიცისტი.

56. **გი დე მოპასანი (ანრი რენე ალბერ გი დე მოპასანი, გვ. 183)** — 1850-893 წ.წ. გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი; მისი მოთხრობების პირველი კრებული (1881 წ.) „ტელიეს სახლი“ ორ წელიწადში თორმეტჯერ გამოიცა. ავტორი გახმაურებული რომანებისა: „წუთისოფელი“, „პიერი და ჟანი“, „ლამაზი მეგობარი“.

57. **“შენნაირი გაქანების კაცი რომ ერმა დაიმახსოვროს, სულ ცოტა, სვეტიცხოველი უნდა დაწვა...“ (გვ. 185)** — იგულისხმება ისტორიაში შესვლის აკვიატებული იდეით შეპყრობილი ვინმე ჰეროსტრატე, რომელმაც ძვ.წ. 356 წლის 20 ივლისს გადაწვა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — არტემიდას ტაძარი ეფესოში.

58. **ერნესტო ჩე გევარა (რაფაელ გევარა ლინჩ დე ლა სერნა, 191)** — 1928-1967 წ.წ. კუბელი რევოლუციონერი, ფიდელ კასტროს თანამებრძოლი; პროფესიით ექიმი-ქირურგი; კომუნისტური პარტიის წევრი; მრეწველობის მინისტრი კასტროს ხელისუფლებაში (1961-1964 წ.წ.); რევოლუციის ექსპორტის იდეოლოგი და შემსრულებელი. მოკლეს ბოლივიაში რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის.

59. **ზურაბ ჟვანია (გვ. 191)** — 1963-2005 წ.წ. ქართველი პოლიტიკოსი;

საქართველოს „მწვანეთა პარტიის“ დამაარსებელი და ლიდერი; საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ (მმართველი პარტია პრეზიდენტ შევარდნაძის დროს, 1994-2003 წ.წ.) გენერალური მდივანი; საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე და პრემიერ-მინისტრი; გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა 2005 წლის 3 თებერვალს.

60. ზურაბ კაკაბაძე (გვ. 144) — 1926-1982 წ.წ. ქართველი ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი; ავტორი ნაშრომებისა: „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“; „ფილოსოფიური საუბრები“; „ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „ხელოვნების ნაწარმოების გაგების პრობლემა“ და სხვა.

61. მარატი, დანტონი, დემულენი, რობესპიერი, კუტონი... — (გვ. 191) — იაკობინური მოძრაობისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1789-1793 წ.წ.) დიდი ლიდერები. აღსანიშნავია, ამ და სამ ათასამდე სხვა რევოლუციონერმა სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულეს (გარდა მარატისა, რომელიც საკუთარ საწოლში ხანჯლით აჩეხა შარლოტა კორდემ). სიმბოლურად, გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს იმ ადამიანებსაც (მაგალითად, მაქსიმილიან რობესპიერს), რომლებმაც განაჩენის აღსრულებამდე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

62. ალექსანდრე დიუმა (მამა, გვ. 192) — 1802-1870 წ.წ. გამოჩენილი ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი; ავტორი სათავგადასავლო და ისტორიული რომანებისა: „სამი მუშკეტერი (ტრილოგია), „გრაფი მონტე-კრისტო“, „ორი დიანა“, „დედოფალი მარგო“, „ჰენრი მეოთხის ცხოვრება“, „შავი ტიტა“ და მრავალი სხვა.

63. ნაპოლეონ ბონაპარტე (გვ. 193) — 1769-1821 წ.წ. ფრანგი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე; ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგი და მხედართმთავარი კაცობრიობის ისტორიაში; საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ პირველი კონსული და შემდეგ იმპერატორი (1804-1815 წ.წ.). უდიდესი დამპყრობელი და რეფორმატორი. გარდაიცვალა გადასახლებაში, ატლანტის ოკეანის სამხრეთში მდებარე წმ. ელენეს კუნძულზე.

64. ბურბონები (გვ. 194) — ფრანგული არისტოკრატიული წარმოშობის საგვარეულო. საფრანგეთის მეფეები 1589-1830 წ.წ. ესპანეთის მეფეები 1700 წლიდან დღემდე; ვანდომის, ორლეანის და პარმის ჰერცოგები; კონდესა და კონტის პრინცები; სუვერენული და ნომინალური ჰერცოგები... სამეფო საგვარეულო სათავეს იღებს ცნობილი კაპეტინგების სამეფო სახლიდან (რობერ კაპეტინგი 1256-1317 წ.წ.).

65. სპარტაკი (გვ. 194) — დაბადების თარიღი უცნობია. გარდაიცვალა ძვ. წ. 71 წელს. მსოფლიოს ისტორიაში მონათა უდიდესი აჯანყების მეთაური (74-71 წ.წ.) წარმოშობით — თრაკიელი; რომაელების წინააღმდეგ ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა და გაქცევის მცდელობის შემდეგ გაჰყიდეს გლადიატორად ქალაქ კაპუაში. აქედან დაიწყო მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით, რომელიც თითქმის სამი წლის განმავლობაში გაგრძელდა და საბოლოოდ მარცხით დამთავრდა. თვითონ სპარტაკი ბრძოლაში დაიღუპა.

66. **ემელიან პუგაჩოვი (გვ. 194)** — 1742-1775 წ.წ. დონელ კაზაკთა ატამანი; იმპერატორ ეკატერინე მეორის წინააღმდეგ კაზაკთა გრანდიოზული აჯანყების მეთაური (1773-1774 წ.წ.). თავს ასაღებდა იმპერატორ პეტრე III. სიკვდილით დასაჯეს მოსკოვში 1775 წლის 10 იანვარს.
67. **უტუ მიქავა (გვ. 194)** — 1812-1878 წ.წ. ნალენჯიხელი გლეხი, მჭედელი და ზეინკალი; სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური (1856-1857 წ.წ.).
68. **ანდრეი ვიშინსკი (გვ. 196)** — 1883-1954 წ.წ. საბჭოთა მეცნიერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე; იურისტი და დიპლომატი; საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; სახკომსაბჭოს თავჯდომარის მოადგილე; საგარეო საქმეთა მინისტრი; გენერალური პროკურორი; სამართლის თეორეტიკოსი და „რეფორმატორი". 40-იანი წლების ბოლოს მისი ინიციატივით გატარებული სამართლებრივი რეფორმების წყალობით, კანონს ენიჭებოდა უკუქცევითი ძალა, ხოლო ეჭვმიტანილის აღიარება მიჩნეული იყო „მტკიცებულებათა დედოფლად", რაც უსაზღვრო მასშტაბებს ანიჭებდა ბოლშევიკურ რეპრესიებს.
69. **მაო ძე დუნი (გვ. 196)** — 1893-1976 წ.წ. ჩინური კომუნიზმის ფუძემდებელი და მთავარი იდეოლოგი; ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მისი შეიარაღებული ძალების შემქმნელი; ჩინეთის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთპიროვნული მმართველი 1949-1976 წ.წ. ჩინეთში ე.წ. „კულტურული რევოლუციის" ორგანიზატორი, რომელმაც მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა; „თავმჯდომარე მაოს" კულტი XXI საუკუნის დასაწყისის ჩინეთშიც ძალიან აქტუალურია.
70. **ფიდელ კასტრო (ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი, გვ. 196)** — დაიბადა 1926 წელს. კუბის კომუნისტური პარტიის წევრი; 1959 წლის 1 იანვარს, სამხედრო გადატრიალებისა და დიქტატორ ბატისტას დამხობის შემდეგ, როგორც პრემიერ-მინისტრი, სათავეში ჩაუდგა კუბის ხელისუფლებას. 1976-დან 2008 წლამდე ერთდროულად იყო კუბის პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და უმაღლესი მთავარსარდალი. 2008 წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ძალაუფლება უმცროს ძმას, რაულ კასტროს გადააბარა.
71. **მუამარ კადაფი (მუამმარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდ ას-სალამ ბენ ჰამიდ ალ-კადდაფიი, გვ. 196)** — დაიბადა 1942 წელს მწყემსი ბედუინის ოჯახში; ლიბიის სახელმწიფოს მეთაური 1970 წლიდან (საერთოსახალხო კონგრესის გენერალური მდივანი, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი). მარქსისტი; ხელისუფლების სათავეში მივიდა მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული რევოლუციის (სახელმწიფო გადატრიალების) შედეგად, რომელმაც დაამხო მეფე იდრის I ხელისუფლება. აღიარებულია საერთაშორისო ტერორიზმის მფარველად და მსოფლიოს 1 ტერორისტად.
72. **სადამ ჰუსეინი (სადამ ჰუსეინ აბდ ალ-მაჯიდ ათ-თიქრითი, გვ. 196)** — 1937-2006 წ.წ. ერაყელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; დაიბადა მეცხვარის ოჯახში ქალაქ თიქრითთან ახლოს; ერაყის პრემიერ-მინ-

ისტრი 1979-2003 წ.წ. პრეზიდენტი — 1994-2003 წ.წ. მმართველი ბაასის პარტიის გენერალური მდივანი; ერაყის მარშალი და რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე; 1980 წელს წამოიწყო ომი ირანთან, რომელიც 8 წლის განმავლობაში გაგრძელდა; ბრალად ედება ერაყელი ქურთებისა და შიიტების გენოციდი; 2003 წლის მარტში, იმ მოტივით, რომ საიდუმლოდ მზადდებოდა ბირთვული იარაღი, აშშ ინიციატივით ერაყში კოალიციური ჯარები შევიდა, რომელმაც ძალიან სწრაფად დაამხო სადამის ხელისუფლება. იმავე წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინი შეიპყრეს, 2006 წლის 30 დეკემბერს სიკვდილით დასაჯეს.

73. **ხო ში მინი (ნგუენ შინ კუნგი, ნგუენ ტატ თხანი, ნგუენ აი კუოკი, გვ, 196)** — 1890-1969 წ.წ. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტივისტი,საბძოთა კომუნისტური სკოლის აღზრდილი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, ინდოჩინეთისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიების დამაარსებელი, ვიეტნამის სოციალისტური გადატრიალების ორგანიზატორი, ვიეტნამის პრემიერ მინისტრი და პრეზიდენტი 1946-1969 წ.წ. ჩრდილოეთ ვიეტნამისთვის დღესაც ურყევი ავტორიტეტი, ყველა ხალხის და ყველა დროის უბრძნესი ბელადი.

74. **"უმორჩილესად ვთხოვ ჯონდის მასწავლებელს, ამის წამკითხველი გულში ტყვიას ნუ დაიხლის" (გვ. 200)** — იგულისხმება აკაკი წერეთლის ცნობილი პოემის, „გამზრდელის" პერსონაჟი ჰაჯი უსუბი, რომელმაც თავისი ნამოწაფარის დანაშაულის გამო თავი მოიკლა.

75. **ფულხენსიო ბატისტა (გვ. 211)** — 1901-1973 წ.წ. კუბის დიქტატორი 1933-1944 და 1952-1958 წლებში. ფიდელ კასტროს რაზმების შეტევისგან თავის არიდების მიზნით, კუბიდან ესპანეთში გაიქცა 1959 წლის პირველ იანვარს.

76. **შარლ დე გოლი (გვ. 218)** — 1890-1970 წ.წ. ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის გათავისუფლების მოძრაობის ლიდერი და დროებითი მთავრობის თავჯდომარე; საფრანგეთის პრეზიდენტი 1958-1969 წ.წ.

77. **გუსტავ ფლობერი (გვ. 218)** — 1821-1880 წ.წ. ფრანგი რომანისტი, ავტორი გახმაურებული რომანებისა: „მადამ ბოვარი", „გრძნობების დამორჩილება", „ბუვარი და პეკიუშე", „სალამბო".

78. **პოლიკარპე კაკაბაძე (გვ. 226)** — 1893-1972 წ.წ. ქართველი დრამატურგი; ავტორი პიესებისა: „გზაჯვარედინზე", „სისხლი სინათლემდე", „სამი ასული", „ლისაბონის ტუსაღები", „კოლმეურნის ქორწინება", „ციცინათელა", „პაექრობა", „კახაბერის ხმალი"... საყოველთაო აღიარება მოუტანა პიესამ „ყვარყვარე თუთაბერი".

79. **ყვარვარე (გვ. 226)** — ქართულ ლიტერატურაში კონფორმიზმისა და ფარისევლობის სიმბოლოდ აღიარებული პოლიკარპე კაკაბაძის ამავე სახელწოდების პიესის პერსონაჟი.

80. **მამარდაშვილი მერაბ (გვ. 249)** — 1930-1990 წ.წ. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე. ავტორი ნაშრომებისა: „აზროვნების ფორმები და შიგთავსები", „სიმბოლო და ეჭვი", „რაციონალიზმის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები", „როგორ მესმის ფი-

ლოსოფია“, „კარტეზიანული განსჯანი“, „კარტეზიანული ვარიაციები“, „შემეცნების ისარი“, „ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში“.

81. **ნიკო ჭავჭავაძე (გვ. 249)** — 1923-1997 წ.წ. ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; მეორე მსოფლიო ომის მონაწილე; საქართველოს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი 30 წლის განმავლობაში; ავტორი ნაშრომებისა: „ესთეტიკის საკითხები“, „ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის“, „კულტურა და ღირებულებები“.
82. **ჰერბერტ სპენსერი (გვ. 268)** — 1820-1903 წ.წ. ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი; ევოლუციონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; ავტორი ნაშრომებისა: „სინთეტური ფილოსოფიის სისტემა“, „ადამიანი და სახელმწიფო“, „ფილოსოფია და რელიგია“, „სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებელი საზღვრები“, „გონებრივი, მორალური და ფიზიკური აღზრდა“, „ეთიკის შესახებ“, „სამართლიანობა“, „მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური ესსეები“.
83. **არტურ შოპენჰაუერი (გვ. 268)** — 1788-1860 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი, ირაციონალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი; მისტიკოსი; ავტორი ნაშრომებისა: „მხედველობისა და ფერების შესახებ“, „სამყარო, როგორც ნებელობა და წარმოდგენა“, „ნებელობის თავისუფლების შესახებ“, „მორალის საფუძვლების შესახებ“, „ეთიკის ორი ძირითადი პრობლემა“.
84. **ჯორჯ ორუელი (ერიკ არტურ ბლერი, გვ. 270)** — 1903-1950 წ.წ. ინგლისელი მწერალი და ესსეისტი; ავტორი გახმაურებული რომანებისა: „ცხოველების ფერმა“ და „1984“.
85. **ერიხ ფრომი (გვ. 273)** — 1900-1980 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი, სოციალური ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი; ავტორი ნაშრომებისა: „გაქცევა თავისუფლებიდან“, „ადამიანი საკუთარი თავისთვის“, „ადამიანური დესტრუქციულობის ანატომია“, „ფროიდის თეორიის დიდებულება და შეზღუდულობა“, „სიყვარულის ხელოვნება“, „ფსიქოანალიზის კრიზისი“...
86. **ეპიკურე (გვ. 276)** — 341-270 წ.წ. ძვ. წ. ბერძენი ფილოსოფოსი, მორალისტი და ათეისტი. ეპიკურეიზმის ფუძემდებელი ფილოსოფიაში; სამასამდე ნაშრომის ავტორი.
87. **იმანუილ კანტი (გვ. 276)** — 1724-1804 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი. ავტორი ნაშრომებისა: „წმინდა გონების კრიტიკა“, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“, „ზნეობრიობის მეტაფიზიკის საფუძვლები“, „ბერდება თუ არა დედამიწა ფიზიკური თვალსაზრისით“, „ლექციები ეთიკაზე“ ...
88. **სიორენ კიერკეგორი (გვ. 276)** — 1813-1855 წ.წ. დანიელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და მწერალი, თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ავტორი ნაშრომებისა: „ჯერ კიდევ ცოცხლის ჩანაწერებიდან“, „ირონიის გაგებისათვის“, „ჭკუისსასწავლებელი სიტყვები“, „შიშის გაგებისათვის“, „შიში და თრთოლვა“, „ქრისტიანობის შესავალი“...

89. ბენედიქტე სპინოზა (ბარუხ დე სპინოზა, გვ. 276) — 1632-1677 წ.წ. ებრაული წარმოშობის ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; ახალი დროების ფილოსოფიის (რაციონალიზმის) ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი; ავტორი ნაშრომებისა: „ეთიკა“, „საღვთისმეტყველო-პოლიტიკური ტრაქტატი“, „ღმერთის, ადამიანისა და მისი ბედნიერების შესახებ“, „ტრაქტატი გონის სრულყოფილების შესახებ“, „პოლიტიკური ტრაქტატი“.

90. ჰეგელი (გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელი, გვ. 276) — 1770-1831 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი; გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი; ავტორი ნაშრომებისა „სულის ფენომენოლოგია“; „ლოგიკა“, „სამართლის ფილოსოფია“, „ნატურფილოსოფია“, „ისტორიის ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ლექციები ესთეტიკაში“, „ქრისტიანობის არსი და მისი მომავალი“...

91. თომას ჰობსი (გვ. 276) – 1588-1679 წ.წ. ინგლისელი ფილოსოფოსი, სახელმწიფოს წარმოშობისა და საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიის ფუძემდებელი; ავტორი ნაშრომებისა „ფილოსოფიის საფუძვლები (ფილოსოფიური ტრილოგია)“, „ლევიათანი, ანუ სასულიერო და საერო სახელმწიფოს ფორმა და ძალაუფლება“.

92. გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი (გვ. 289) — 1729-1781 წ.წ. დიდი გერმანელი მწერალი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი; ავტორი პიესებისა: „ახალგაზრდა მეცნიერი“, „ქალთა მოძულე“, „შინაბერა“, „ებრაელები“, „თავისუფლად მოაზროვნე“, „მის სარა სამფსონი“, „მინა ფონ ბარნჰელმი“, „ემილია და გალოტი“, „ნათან ბრძენი“...

93. ბენიტო ამილკარე ანდრეა მუსოლინი (გვ. 289) – 1883-1945 წ.წ. ფაშიზმის ფუძემდებელი და პროპაგანდისტი; იტალიაში ფაშისტური გადატრიალების ორგანიზატორი 1922წ. იტალიის დიქტატორი 1922-1945 წლებში.

94. პლუტარქე (გვ. 289) — ძვ. წ. დაახლოებით 46-130 წ.წ. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ბერძენი მწერალი, ლიტერატორი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი; სახელგანთქმული „პარალელური ბიოგრაფიების“ ავტორი.

95. დავით IV აღმაშენებელი (ბაგრატიონი, გვ. 312) — 1073-1125 წ.წ. საქართველოს მეფე 1089-1125 წ.წ. „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და სომეხთა“; საქართველოს გამაერთიანებელი და ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეფე საქართველოს ისტორიაში; ძირეული საერო-პოლიტიკური და საეკლესიო რეფორმების ინიციატორი და განმახორციელებელი; არაბთა ბატონობისგან საქართველოს განმათავისუფლებელი.

96. ჰენრი ალფრედ კისინჯერი (ჰაინც ალფრედ კისინგერი, გვ. 318) — დაიბადა 1923 წელს. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში; აშშ რიგით 56-ე სახელმწიფო მდივანი; ნობელის პრემიის ლაურეატი; 2002 წელს აღიარეს პირველ ნომრად მსოფლიოს ას საუკეთესო ინტელექტუალს შორის.

97. ჰელმუტ კოლი (ჰელმუტ იოზეფ მიხაელ კოლი, გვ. 318) – დაიბადა 1930 წელს. გერმანელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; გერმანიის ფედერალური კანცლერი 1982-1998 წლებში; უდიდესი წვლილი

მიუძღვის გერმანიისა და ევროპის გაერთიანებაში, „ცივი ომის“ დამთავრებასა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნაში.

98. ფრანკლინ დელანო რუზველტი (გვ. 318) — 1882-1945 წ.წ. აშშ 32-ე პრეზიდენტი; ერთადერთი აშშ ისტორიაში, ვინც პრეზიდენტის პოსტზე ოთხჯერ აირჩიეს; იგი და მისი მეუღლე ელეონორა ითვლებიან თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ფუძემდებლებად; სტალინთან და ჩერჩილთან ერთად, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნასა და გერმანული ფაშიზმის დამარცხებაში. მოიხსენიება აშშ სამ უდიდეს პრეზიდენტს შორის.

99. ჯორჯ ვაშინგტონი (გვ. 318) — 1732-1799 წ.წ. ამერიკელთა ბრიტანულ-ფრანგული კოლონიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი და მეთაური; აშშ უმაღლესი მთავარსარდალი; აშშ პირველი პრეზიდენტი (1789-1797 წ.წ.) ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიო ისტორიაში.

100. ჯონ ადამსი (გვ. 318) — 1935-1826 წ.წ. აშშ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დამაარსებელი; აშშ ვიცე პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობისას (1789-1797 წ.წ.); აშშ მეორე პრეზიდენტი (1797-1801 წ.წ.); აშშ მეექვსე პრეზიდენტის, ჯონ კუინსი ადამსის მამა; ცოლთან, აბიგაილ ადამსთან ერთად, ადამსების პოლიტიკური ოჯახის დამაარსებელი.

101. ჯეიმს ადისონ ბეიკერი (გვ. 318) — დაიბადა 1930 წელს; ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე; პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; აშშ 61-ე სახელმწიფო მდივანი (1989-1992 წ.წ.). 1992 წელს იმყოფებოდა საქართველოშიც და მიენიჭა „საპატიო მხედრიონელის“ წოდება.

102. ჰანს-დიტრიხ გენშერი (გვ. 318) — დაიბადა 1927 წელს. გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე; გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი; გფრ საგარეო საქმეთა მინისტრი 1974-1992 წ.წ. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი 1969-1974 წ.წ. გერმანიის ბუნდესტაგის წევრი 1965-1974 წ.წ. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ცივი ომის“ დასრულებასა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ჩამოყალიბებაში; ავტორი მემუარული ხასიათის წიგნისა „მოგონებანი“.

103. ბისმარკი (ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკ-შიონჰაუზენი, გვ. 318) — 1815-1898 წ.წ. გამოჩენილი გერმანელი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე; გერმანიის გამაერთიანებელი და პირველი კანცლერი (1871-1890 წ.წ.); საპატიო გენერალ-ფელდმარშალი; „სამთა კავშირის“ (გერმანია-ავსტრია-იტალია) შექმნის მთავარი ინიციატორი. მას მიაწერენ გამოთქმას: „თუ გინდათ ააშენოთ სოციალიზმი, აირჩიეთ ქვეყანა, რომლის დაღუპვა არ დაგენანებათ“.

104. მაჰათმა განდი (მოჰანდას ყარამჩანდ მაჰათმა განდი, გვ. 321) — 1869-1948 წ.წ. ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის არაძალადობრივი გზებით ბრძოლის თეორეტიკოსი და ორგანიზატორი, ინდოელი ხალხის სულიერი წინამძღოლი თავისუფლებისთვის ბრძოლაში; იურისტი და ფილოსოფოსი. ტიტული „მაჰათმა“ („დიდი სული“) მის მიმართ პირველად გამოიყენა დიდმა ინდოელმა მწერალმა, რაბინდრანათ თაგორმა 1915 წელს.

105. დიმიტრი ყიფიანი (გვ. 321) — 1814-1887 წ.წ. ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის წინამძღოლი; თბილისის ქალაქისთავი (1876-1879 წ.წ.) თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორორის მკვლელობის გამო ეგზარხოსმა პავლემ ქართველი ერი შეაჩვენა, რის გამოც მას დიმიტრი ყიფიანმა საქართველოს დატოვება ოფიციალურად მოსთხოვა. ამისთვის დიმიტრი ყიფიანი თანამდებობიდან გადააყენეს და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ერთი წლის შემდეგ მძინარე მოჰკლეს. 2007 წ. იგი საქართველოს საპატრიარქომ წმინდანად შერაცხა.

106. ბენჯამინ დიზრაელი (გვ. 321) — 1804-1881 წ.წ. ებრაული წარმოშობის ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე; იურისტი, მწერალი და ჟურნალისტი. ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის ლიდერი; დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874-1880 წ.წ. ლორდთა პალატის წევრი 1876 წლიდან; მას მიეწერება ცნობილი გამოთქმა — „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

107. აბრაამ ლინკოლნი (გვ. 321) — 1809-1865 წ.წ. აშშ მე-16 პრეზიდენტი (1861-1865 წ.წ.). ამერიკული მონობის წინააღმდეგ მებრძოლი; რესპუბლიკური პარტიის ლიდერი.; სამოქალაქო ომის გმირი და ამერიკის გამაერთიანებელი. აღიარებულია საუკეთესო პრეზიდენტად აშშ ისტორიაში. 1865 წლის 14 აპრილს სასიკვდილოდ დაჭრა „სამხრეთელთა“ მხარდამჭერმა ჯონ ბუთმა.

108. გრიგოლ ლორთქიფანიძე (გვ. 321) — 1881-1937 წ.წ. ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; 1918 1921 წლებში ასრულებდა განათლების და სამხედრო მინისტრის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობას. ბოლშევიკური ოკუპაციის დროს დარჩა საქართველოში და ხელმძღვანელობდა აჭარიდან თურქი ოკუპანტების განდევნის ოპერაციას; აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბოლშევიკურ რევკომთან საქართველოს პოლიტიკური მოწყობის თაობაზე; როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, რეპრესირებული იყო ბოლშევიკების მიერ; დახვრიტეს 1937 წელს. ავტორი ფილოსოფიურ-ესსეისტური ჟანრის ნაწარმოებებისა: „ფიქრები საქართველოზე“ და „პოლიტიკური ანდერძი“.

109. ნიკიტა ხრუშჩოვი (გვ. 322) — 1894-1971 წ.წ. საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე; სკკპ ცკ პირველი მდივანი 1953-1964 წ.წ. სსრკ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე 1958-1964 წ.წ. საბჭოთა კავშირის გმირი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი; 50-იანი წლების „ცივი ომის“ მთავარი ინსპირატორი; ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური მმართველი საბჭოთა ისტორიაში.

110. ჰინდენბურგი (პაულ ლუდვიგ ჰანს ანტონ ფონ ბენეკენდორფ უნდ ფონ ჰინდენბურგი, გვ. 334) — გერმანელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი; პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი; გენერალური შტაბის უფროსი; პრუსიის გენერალ-ფელდმარშალი. გერმანიის რაიხსპრეზიდენტი 1925-1933 წ.წ. 1933 წლის 21 მარტს სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების

მიზნით, ხელისუფლება ნებაყოფლობით გადააბარა ადოლფ ჰიტლერს და მის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას.

111. ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი (გვ. 349) — 1469-1457) წ.წ. იტალიელი (ფლორენციელი) ფილოსოფოსი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. მისი თეორიის თანახმად, სახელმწიფოს, ხელისუფლების ძლიერების განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად ნებისმიერი საშუალება გამართლებულია. ფლორენციის სამთავროში ასრულებდა სახელმწიფო მდივნის თანამდებობას. მაკიაველის ძირითადი ნაშრომებია „მთავარი“ და „მსჯელობანი“. დაწერილი აქვს აგრეთვე ისტორიული ნარკვევები, ლირიკული და დრამატული ნაწარმოებები, რომანი.

112.ჩეზარე ბორჯია (გვ. 351) — 1475-1507 წ.წ. ესპანური წარმოშობის იტალიელი დიდგვაროვანი; კარდინალ როდრიგო ბორჯიას, შემდგომში — პაპი ალექსანდრე VI ვაჟიშვილი; გონფალიერი და წმინდა ეკლესიის გენერალ-კაპიტანი; ჰერცოგი ვალანსელი, გრაფი დიოსელი, ანდრიის პრინცი; პიომბინოს, კამერინოს და უბინოს მმართველი; ცნობილია თავისი სისასტიკით და დაუნდობლობით; იტალიის სამეფო-სამთავროების გაერთიანებისთვის მებრძოლი; ლეონარდო და ვინჩის მეგობარი; ნიკოლო მაკიაველის კუმირი.

113. კიმ ირ სენი (კიმ სონ ჩჟუ, გვ. 354) — 1912-1994 წ.წ. მარქსიზმის კორეული ვერსიის (ჩუჩხე) ავტორი; ჩრდ. კორეის სახელმწიფოს დამაარსებელი; კორეის შრომის პარტიის გენერალური მდივანი, სახელმწიფოს მეთაური და პრეზიდენტი; კორეის მარშალი და გენერალისიმუსი; ოფიციალური ტიტული — „დიდი ბელადი, ამხანაგი მარშალი კიმ ირ სენი“. სიკვდილის შემდეგ გამოცხადდა მარადიულ პრეზიდენტად.

114. ფრიდრიხ დიდი (ჰოჰენცოლერი, „ბებერი ფრიცი“, გვ. 356) — 1712-1786 წ.წ. პრუსიის მეფე 1740-1786 წ.წ. ევროპული განათლებული აბსოლუტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი და პრუსიულ-გერმანული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებელი; მეფე-ფილოსოფოსი და მეფე-მუსიკოსი; პოლიგლოტი, უმამაცესი მეომარი და მხედართმთავარი. უმნიშვნელოვანესი საერო და საეკლესიო რეფორმების ორგანიზატორი.

115. გაიუს იულიუს კეისარი (გვ. 357) — ძვ. წ. 100-44 წ.წ. ძველი რომის და კაცობრიობის ერთ-ერთი უგამოჩინებულესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე; მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი. მოკლეს შეთქმულებმა. ერთ-ერთი ვერსიით, კეისრის მკვლელობა ერთმმართველობისკენ მისმა სწრაფვამაც გამოიწვია.

116. თომა აკვინელი (გვ. 357) — 1225-1274 წ.წ. გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი იტალიელი ფილოსოფოსი; თომიზმის (კათოლიციზმის უმთავრესი ფილოსოფიური მოძღვრება) ფუძემდებელი; ავტორი ნაშრომებისა: „თეოლოგიის შეჯამება“, „შეჯამება წარმართთა წინააღმდეგ“, „ჭეშმარიტების შესახებ“.

117. ისაია ბერლინი (გვ. 357) — 1909-1997 წ.წ. ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი დამაარსებელი; ბრიტანეთის აკადემიის პრეზიდენტი

1974-1978 წლებში. ავტორი ნაშრომებისა: „ზღარბი და მელა“ (შესულია XX საუკუნის ას საუკეთესო არაბელეტრისტულ წიგნს შორის), „ისტორიული გარდუვალობა“, „თავისუფლების ორი კონცეფცია“, „ოთხი ესსე თავისუფლებაზე“, „ცნებები და კატეგორიები“, „რუსი მოაზროვნეები“, „დინების საწინააღმდეგოდ“...

118. ალექსანდრე მაკედონელი (გვ. 357) — ძვ.წ. 356-323 წ.წ. მაკედონიის მეფე 336-323 წ.წ. ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მხედართმთავარი კაცობრიობის ისტორიაში; მაკედონიის მეფე ფილიპე II და მისი მეოთხე ცოლის, ოლიმპიადას ვაჟიშვილი; არისტოტელეს უსაყვარლესი და უნიჭიერესი მოწაფე. მისი მეთაურობით ჩატარებული ბრძოლები დღემდე სამხედრო სტრატეგიის ნიმუშებადაა აღიარებული.

119. სოლომონ ბრძენი (გვ. 357) — ისრაელ-იუდეის სახელმწიფოს მესამე მეფე (დაახლოებით ძვ.წ. 965-928 წ.წ.); მეფე დავითის მესამე ვაჟიშვილი; ღმერთის რჩეული და განსაკუთრებული სიბრძნით დაჯილდოებული. მის სახელს უკავშირდება მრავალი ლეგენდა და მითი; მასვე მიეწერება ეკლესიასტეს ავტორობაც.

120. პაულ თომას მანი (გვ. 376) — 1875-1955 წ.წ. გერმანელი მწერალი და ესსეისტი; ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; ანტიფაშისტი; ჰაინრიხ მანის ძმა; კლაუს და ერიკა მანების მამა; ავტორი ეპიკური რომანებისა: „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „დოქტორი ფაუსტუსი“, „ლოტა ვაიმარში“, „იოსები და მისი ძმები“, „რჩეული“...

121. ბერტოლდ ბრეხტი (ოიგენ ბერტოლდ ფრიდრიხ ბრეხტი, გვ. 376) — 1898-1956 წ.წ. გერმანელი პოეტი, დრამატურგი და რეჟისორი; თეატრის რეფორმატორი, თეატრ „ბერლინის ანსაბლის“ დამაარსებელი. ავტორი მსოფლიოში ცნობილი დრამატული ნაწარმოებებისა: „ბაალი“, „დაფდაფები ღამეში“, „სამგროშიანი ოპერა“, „გამონაკლისი და წესი“, „III რაიხის შიში და გაჭირვება“, „კავკასიური ცარცის წრე“, „ანტიგონე“ და სხვა.

122. კოფი ანანი (გვ. 377) — დაიბადა 1938 წ. განელი დიპლომატი, გაეროს გენერალური მდივანი 1997-2006 წ.წ. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი.

123. ბორის ელცინი (გვ. 387) — 1931-2007 წ.წ. საბჭოთა და რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე; რუსეთის პირველი პრეზიდენტი 1991-1999 წ.წ. რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის რადიკალური რეფორმატორი. აკრძალა სკკპ მოღვაწეობა და დაშალა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო.

124. სტეფან (სტენკა) რაზინი (გვ. 387) — 1630-1671 წ.წ. დონელ კაზაკთა ატამანი; ყირიმელ თათართა წინააღმდეგ ლაშქრობის ხელმძღვანელი; მძარცველთა დიდი შეიარაღებული ბანდის მეთაური; ირანის წინააღმდეგ თვითნებური ლაშქრობის ორგანიზატორი; რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კაზაკთა და გლეხთა უდიდესი აჯანყების მეთაური (1670-1671 წ.წ.); რუსული ფოლკლორის უსაყვარლესი გმირი; სიკვდილით დასაჯეს მოსკოვში 1671 წლის 16 ივნისს.

125. ჟან დე ლა ბრიუიერი (გვ. 390) — 1645-1996 წ.წ. ფრანგი ფილოსოფო-

სი-მორალისტი; მსოფლიო სახელი და დიდება მოუტანა ერთადერთმა ნაწარმოებმა — „ხასიათები“.

126. შოთა ნადირაშვილი (გვ. 392) — დაიბადა 1926 წელს; ქართველი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და საზოგადო მოღვაწე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

127. ბაჩანა ბრეგვაძე (გვ. 398) — დაიბადა 1936 წელს. გამოჩენილი ქართველი მთარგმნელი და ლიტერატურისმცოდნე; თარგმნის ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული და ესპანური ენებიდან. თარგმნილი აქვს პლატონის „ნადიმი“, „ფედონი“, „იონი“, „დიდი ჰიპია“, „მენონი“, „კრიტონი“; მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“; დანტეს „ახალი ცხოვრება“; აგრეთვე ფრანსის, ვალერის, ლორკას, მისტრალის, ლა ბრიუიერის თხზულებები და მრავალი სხვა.

128. ჰერმან ჰესე (გვ. 403) — 1877-1962 წ.წ. გერმანო-შვეიცარიელი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი და მხატვარი; ნობელის პრემიის ლაურეატი; ავტორი ნაშრომებისა „პეტერ კამენციდი“, „ბორბლებქვეშ“, „ჰერტრუდა“, „კლეინი და ვაგნერი“ „კლინგზორის უკანასკნელი ზაფხული“, „სტეპების მგელი“, „ნარცისი და გოლდმუნდი“, „ბისერის თამაში“...

129. ფრანსუა რაბლე (გვ. 403) — 1994-1553 წ.წ. რენესანსის ეპოქის ფრანგი მწერალი-ჰუმანისტი; თანამედროვე ლიტერატურული ფრანგული ენის ფუძემდებელი; ავტორი რომანისა „გარგანტუა და პანტაგრიუელი“.

130. მარტინ ჰაიდეგერი (გვ. 404) — 1889-1976 წ.წ. გერმანელი ფილოსოფოსი; თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ფუძემდებელი; გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი; ავტორი ნაშრომებისა: „დრო და ყოფიერება“, „რა არის ფილოსოფია?“ „მეტაფიზიკის შესავალი“, „ფენომენოლოგიის ძირითადი პრობლემები“, „ნიცშე და სიცარიელე“, „კანტი და მეტაფიზიკის პრობლემა“, „პლატონის მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ“...

131. „რომელიმე დეპუტატის პირომანიაში დადანაშაულებას დიდი განათლება არ სჭირდება“ (გვ. 409) — იგულისხმება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება (2004 წ.), რითაც დეპუტატ გელაშვილს ბრალი დაედო თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლისთვის ცეცხლის წაკიდების მცდელობაში და ამ საბაბით შეუწყდა უფლებამოსილება (პირომანია — ბერძ. ცეცხლის წაკიდებისადმი დაუძლეველი ლტოლვა, ფსიქოპატიის გამოხატულება).

132. „იტალიელი მატერაცისა და ფრანგი ზიდანის ინციდენტი“ (გვ. 417) — იგულისხმება ინციდენტი, როცა ფრანგი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩის დროს იტალიელ მცველ მატერაცის მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო ფიზიკურად გაუსწორდა, რის გამოც მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

ბიბლიოგრაფია

1. Milton Friedmann, „Capitalism and Freedom“, University of Chikago Press. ISBN 0226264211.
2. იაშა ლანგი, „მედია და არჩევნები,“ თბილისი, 2002.
3. საუბრის წარმართვა, სერია — “რჩევები მოხელეთათვის“, თბილისი, 2005.
4. В. В. Ворошилов, „Журналистика“, С.-Петербург, 2000.
5. Raymond Aron, „Essai sur les Libertes“ ,Paris: Calmann-Levi, 1995.
6. Аристотель,“Никомахова этика“(ძვ. ბერძნული - Ἠθικὰ Νικομάχεια).
7. არისტოტელე, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, თბილისი. 1978.
8. Аристо́тель; „Политика“, М. 1986.
9. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, თბილისი, 1972.
10. Архив Троцкого, в 4-х т., М. 1990.
11. ბანძელაძე, „ეთიკა“, თბილისი, 1969.
12. მოსე ბელენკი, „სპინოზა“, თბილისი, 1966.
13. Isaiah Berlin, „Four Esseys on Liberti“, Oxford University Press, 1969
14. Исайя Берлин, „Оригинальность Маккиавелли“, ж. „Человек“ №2-4, М. 2001.
15. И. Р. Галперин, „Текст как объект лингвистического исследования“, М. 1981.
16. „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“; ბათუმი, 1988.
17. Томас Гоббс, „О свободе и необходимости“, М. 1989.
18. Thomas Hobbes, „Leviathan, or the Matter, Forme, and Power of a Commonwealth, Ecclesiasticall and Civil“.
19. ჰანს-დიტრიხ გენშერი, „მოგონებანი“, ორ ტომად, თბილისი, 2002.
20. Хосэ Ортега и Гассет, „Избранные труды“, М. 2000.
21. Е. Гусерли, „Логические исследования“, М. 1909.
22. ჰამლეტ გელაძე, „კიდევ ვის უნდა რესპუბლიკა?“ გაზ. „საქართველოს სამრეკლო“, თბილისი, 08. 12. 1992.
23. ნორბერტო ბობიო, „დემოკრატიის მომავალი“, თბილისი, 2003.
24. ნოდარ გრიგალაშვილი, „ამის მეტს აღარ გიტირებ...“ გაზ. „საქართველო“, თბილისი, 18. 12. 1992.
25. დემოსთენე, „ფილიპიკები“, თბილისი, 1984.
26. Клод Давид, „Франц Кафка“, Харковь, 1984.
27. „რაზე გვწყდება გული“; გაზ. „დრონი“, 12. 01. 1993.
28. Умберто Эко, „Пять эссе на темы этики“, Пер. с итал. Е. Костюкович — СПб.
29. Умберто Эко, „Отсутствующая структура. Введение в семиологию“, Пер. с итал. В. Резник А. Погоняйло. — СПб.: Trattato di semiotica generale (1975 - English translation: A Theory of Semiotics. 1976); La Struttura Assente (1968 – „The Absent Structure“).
30. ჟ. „ენა და კულტურა“ 2, თბილისი, 2001.

31. Н. Вайнонен, „Каждый пишет так, как дышет“, ж. „Журналист“, 8 М.1997.
32. ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბილისი, 1990.
33. Макс Вебер, „Избранные труды“, М. 1990
34. И. И. Зилберфарб, „Идеи и традиции Великой французской революции“, М. 1971.
35. И. М. Захер, „Движение „Бешенные“, М. 1961.
36. ავლიპ ზურაბაშვილი, „პიროვნების ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის პრობლემები“, თბილისი, 1969.
37. გ. თავაძე, „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“, თბილისი, 1963.
38. რეზი თვარაძე, „უბანი“, გაზ. „თბილისი“, 04. 04. 1989.
39. „როცა მხარდაჭერას გრძნობ“, გაზ. „თბილისი“, თბილისი, 08. 04. 1989.
40. Karl Jaspers, „The Origin and Goal of History“. Translated by Michael Bullock. New Haven, CT: Yale University Press.
41. Газета „Южная Осетия“, 17. 12. 1992.
42. Alberte Camus, „Le Mythe de sisyphe “ (1945).
43. Иммануил Кант „Критика чистого разума“, Пер. с нем. Н. Лосского сверен и отредактирован Ц. Г. Арзаканяном и М. И. Иткиным; Примеч. Ц. Г. Арзаканяна. — М.: Эксмо, 2007. — 736 с. — ISBN 5-699-14702-0
44. ვახტანგ კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, თბილისი, 1961.
45. Е. А. Лазарева, Т.Б. Черкасова, „Заглавия в местных газетах“, Свердловск. 1997.
46. Съерен Киеркегор, „Страх и трепет“, М. 1993.
47. ჯანრი კაშია, „თავისუფლება და ფედერალიზმი“, თბილისი, 1997.
48. პაატა კერვალიშვილი, ნოდარ ჯიბლაძე, „სამეცნიერო პოლიტიკის რამდენიმე საკითხი,“ თბილისი, 1999.
49. „Красная книга ВЧК“ в 2-х томах, М. 1990.
50. ზურაბ კაკაბაძე, „ნარკვევები“, თბილისი, 1990.
51. К.М. Какабадзе, „Человек, как философская проблема“, Тбилиси, 1970.
52. ი. კაჭარავა, „საქართველოს კპ ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიის და პრაქტიკის წინააღმდეგ“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი. 1976.
53. С. В. Лаине, „Заглавие, как вид литературы“, М. 1996.
54. Г. В. Лазутина, „Параметры журналистского текста“, ж. „Журналист“, 8. М. 1982.
55. Fransua de La Rochefoukauld, „Maxsimes“.
56. ნიკოლო მაკიაველი, „მთავარი“, თბილისი, 1972.
57. Жак Маритен, „Человек и государство“, М. 1998.
58. А. Манфред, „Французская буржуазная революция конца XVIII века“, М., 1956;
59. С. Муратов, „Мораль, как апетдикс“, ж. „Журналист“, 1, М. 1998.
60. К.П. Новицкий, „От самодержавия до диктатуры пролетариата“, М. 1920.
61. Friedrich Wilhelm Nietzsche, „The Antichrist“.

62. Viktop Marie Hugo, „Quatrevingt-treize“, 1874.
63. „ოთხი დღე, რომელმაც შეძრა საქართველო“, თბილისი, 2002.
64. А. О Лари „Политическая история Французской революции“, М. 1938.
65. Georg Orwell, „Animal Farm“.
66. Georg Orwell, „1984“ (Nineteen Eighty-Four).
67. ჯ. ოდიშვილი, „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა“, „მ. ტ.“ 8, თბილისი, 1983.
68. პლატონი; „ფედონი“, თბილისი, 1966.
69. Платон, „Сочинения“, М. 1988.
70. Плутарх , „Избранные биографии“, в 2-х томах, М.1987.
71. „Принципы описания языков народов мира“, Коллективная монография, М. 1976.
72. გიორგი პაიჭაძე, „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, თბილისი, 1980.
73. Е.П. Прохоров, „Введение в теорию журналистики“, М. 1996.
74. И. Ц. Попов, „Теофраст Рендо — основоположник французской журналистики“, „Вестник МГУ“ 4, М. 1978.
75. მარი ნ. როტბარდი, „სახელმწიფოს ანატომია, ლიბერალიზმი და ძალაუფლება“, წიგნი II, თბილისი, 2004.
76. „Религия и общественная мысль народов вастока“, М. 1971.
77. Gustav Radbruch, „Rechtsphilosophie“, Studienausgabe, herausgegeben von Ralf Dreier und Stanley L. Paulson, C. F. Müller, 2. Aufl., Heidelberg 2003.
78. David Randall, „The universal Journalist“.
79. Жан Жак Руссо, „О политическом договоре“, М. 1938.
80. Жан Жак Руссо, „Об общественном договоре“, М. 1998.
81. А. Собуль, „Парижские санкюлиты во время диктатуры якобинцев“, М. 1966.
82. Bill Kovach, Tom Rosenstiel, „The Elements of Journalism“. New York: Croun Publishers, c2001.
83. John R. Searle, „Studies in the Theory of Speech Acts“.
84. სსრკ ისტორია (1917-1937) თბილისი, 1980.
85. Константин Симонов, „Размышления о И. Б. Сталине“, М. 1990.
86. Д. Сидоров, „Организованные расстрелы общественных деятелей в московской Бутырской тюрме“, Ростов на Дону, 1999.
87. Б. В. Стрельцов, „Основы публицистики, жанры“, Минск, 1990
88. Гурам Тевзадзе, „Иммануил Кант“, Тбилиси, 1979.
89. Лев Троцкий, „Сталин“, в 2-х томах, М. 1990.
90. .James George Frazer, „Volk-lore in the Old Testament“.
91. Sigmund Freud, „Introduction to Psichoanalysis“ (Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse) .
92. Sigmund Freud, „The Fututre of an Illusion“ (Die Zukunft einer Illusion).
93. Erich Fromm, „Psychoanalyse & Ethik“, 1946, ISBN 3-423-35011-3.
94. Friedrich Ludvig Gotlob Frege, „Über Sinn und Bedeutung, Zeitschrift für Philosophie und philosophische Kritik“, (1892): 25-50.

95. Friedrich Ludvig Gotlob Frege, „Der Gedanke. Eine logische Untersuchung“, წიგნში: „Beiträge zur Philosophie des Deutschen IdealismusI“, 58-77
96. ქსენოფონტე, „მოგონებები სოკრატეზე“, თბილისი, 1969.
97. „ქართული მწერლობა“, ტ. I, თბილისი, 1987.
98. Татьяна Малкьина, Андрей Караулов, „Автопортрет“, газ. „Незовисимая газета“, М. 16. 09. 1991.
99. თამაზ კვაჭანტირაძე, „ვაგლახ, უკვდავი“; გაზ. „დრონი“, 12, თბილისი, 1991.
100. ავთანდილ ქურხული, „... და რომ გახსოვდეს“, თბილისი, 2004.
101. თეიმურაზ ქორიძე, „დიდი წვრილმანები“, თბილისი, 2002.
102. თეიმურაზ ქორიძე, „ჩემი ქმარი ლავრენტი ბერია“, გაზ. „7 დღე“, 1, თბილისი, 1990.
103. თეიმურაზ ქორიძე, „ომი უნდა დავამარცხოთ“, გაზ. „დრონი“, თბილისი, 27. 11. 1992.
104. თეიმურაზ ქორიძე, „საით მივდივართ...“ გაზ. “თბილისი“, თბილისი, 25. 02. 1993.
105. თეიმურაზ ქორიძე, „სანამ ჯამში ღვინო აქაფდებოდეს...“ გაზ. „კვირას“, თბილისი, 14. 10. 2004.
106. თეიმურაზ ქორიძე, „შექსპირის მოტივები თანამედროვე ქართულ კანონშემოქმედებაში,“ გაზ. „კვირას“, 14, თბილისი, 2004.
107. თეიმურაზ ქორიძე, „ბარონი წვერიკმაზაშვილი და სხვები“, გაზ. „7 დღე“ 16, თბილისი, 1991.
108. თეიმურაზ ქორიძე, „რევოლუცია მოდის!“, გაზ. „დრონი“, 27. 11. თბილისი, 2001.
109. გიორგი პატაშური, „ინკასატორი“, გაზ. „ტფილისის უწყებანი“ 11, თბილისი, 1996.
110. გურამ შამანიდი, „დაწვი სვეტიცხოველი...“ გაზ. „დრონი“, 23, თბილისი.
111. ნანა ჯოხარიძე, „პორტრეტი ინტერიერში“, გაზ. „დრონი“ 36, 1999. თბილისი, 2000.
112. ნუგზარ შატაიძე, „ინსპექტორები“, გაზ. „ტფილისის უწყებანი“ 6, თბილისი, 1996.
113. იამზე ასანიშვილი, „გურამ დოჩანაშვილის ცხოვრების ქრონიკა“, გაზ. „დრონი“ 32, თბილისი, 1992.
114. კონსტანტინე გამსახურდია, „ზღვისფერი გაქვს თვალები...“ თხზულებანი 10 ტომად, თბილისი, 1985.
115. БСЭ, Александр Дюма-отец, т. XV, М. 1952.
116. Carl Shmitt, „Politische Theologie. Vier Kapitel zur Lehre von der Souveränität“, 1922.
117. Carl Shmitt, „Die Diktatur. Von den Anfängen des modernen Souveränitätsgedankens bis zum proletarischen Klassenkampf“, 1921.
118. Arthut Schopenhauer, „On the Will in Nature“ (Über den Willen in der Natur), 1836 ISBN 978-0-85496-999-9On.

119. Arthut Schopenhauer, „the Freedom of the Will“ (Über die Freiheit des menschlichen Willens), 1839 ISBN 978-0-631-14552-3
120. ანდრაშ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“, თბილისი, 2003.
121. Rudolf Steiner, „Theosophy: An Introduction to the Spiritual Processes in Human Life and in the Cosmos“, (1904) ISBN 0-88010-373-6.
122. Rudolf Steiner, „The Education of the Child“ (1907) ISBN 0-85440-620-4ю
123. М. Шостак, „Оперативное коментирование“, ж. „Журналист“, 12, М. 1997.
124. М. Шостак, „Давай сочиним заглавие“, ж. „Журналист“, 3. М. 1998.
125. Владимир Чередниченко, „Основы журналистики“, Краснодар, 1998.
126. М. С. Черепахов, „Проблемы теории публицистики“, М. 1978.
127. ს. წერეთელი, „ანტიკური ფილოსოფია“, თბილისი, 1968.
128. ილია ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, ტ. II,
129. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I-II, თბილისი, 1913.
130. „სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2002.
131. გალაკტიონ ტაბიძე, „რჩეული“, თბილისი, 1966.
132. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი IV, რედაქტორი მამია დუმბაძე, თბილისი, 1973.
133. Biorn Erik Fichtelius, „Nyhetsjournalistik“ – Tio gullene regler,version 2.0 ISBN 978-91-25-08004-3
134. Фихтелиус Э. „Десять заповедей журналистики“, Стокгольм, 1999. С. 78.
135. Jon Savatski, „How To Ask Powerful Questions“, ლექციების კურსი, ჟურნალისტიკის ევროპული ცენტრი, მაასტრიხტი, 2000.
136. Шумилина Т. „Метод и жанр: диалектика взаимодействия - Методы журналистского творчества“, М. 1982
137. Шумилина Т. „Мастерство журналиста“, М.. 1977. С. 98-120.
138. Теплюк В. „Этика журналистского творчества“, М., 1980.
139. Муратов С. „Нравственные принципы тележурналистики“, М. 1995.
140. Лазутина Г. „Основы творческой деятельности журналиста“, М. 2000.
141. Шостак М. „Репортер - профессионализм и этика“, М., 1999.
142. Killenberg G., Anderson R. „Before the Story. Interviewing and Communication Skills for Journalists“. St. Martin’s Press, 1989.
143. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, მთ. რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, თბილისი, 1986.
144. ალექსანდრე ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბილისი, 1978.
145. ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბილისი, 1973.
146. „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.
147. ბიბლია, თბილისი, 1989.
148. Г. Гече, „Библейские истории“, М. 1989.
149. Коран (არაბ. اَلْقُرْآن აკად. კრაჩკოვსკის თარგმანი), М. 1990.

სარჩევი

ზეგ არ იქნება გვიან 3
..... 6

თავი I
უმოკლესი გზა პოპულარობისკენ 8
ვინ არის ჟურნალისტი? 10
როგორ გავხდი ჟურნალისტი 12
ჟურნალისტის პროფესია — მითი და სინამდვილე 16
მწერლები და ჟურნალისტები 22
რატომ კითხულობენ გაზეთს? 25

თავი II
ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები 31
როგორ მოვამზადოთ საგაზეთო სტატია 31
ყოვლისმცოდნეობა საშიში სენია 38

თავი III
სტატია იწყება სათაურიდან 43
სათაური 43
პირველი გვერდი 51
ლიდი 55
რუბრიკა 62

თავი IV
საგაზეთო ენა და სტილი 66
ერიდეთ მაღალფარდოვნებას! 73
„როგორც არისტოტელე ამბობდა“, ანუ
ციტირების ხელოვნება 82

თავი V
ძველი და მარადიული პრობლემები 87
ინტერვიუ 87
შეცდომები 93
ჟურნალისტიკა შეკითხვების ხელოვნებაა 95
მეტოქე, თუ თანამოაზრე 96
მონოლოგი 100

დიალოგი 110
პოლემიკა 112
რეპორტაჟი 137
იფიქრეთ, სანამ იკითხავდეთ 155

თავი VI

ჟურნალისტური პუბლიცისტიკა 157
ჩანახატი 159
ნარკვევი 161
სტატია 163
ინტერვიუ 169
პოლემიკური პუბლიცისტიკა 171
ირონიული პუბლიცისტიკა 179
პოლიტიკური პუბლიცისტიკა 186
მეცნიერული პუბლიცისტიკა 203
სოციალური პუბლიცისტიკა 207
უმიზნო, ანუ ცრუ პუბლიცისტიკა 212

თავი VII

ყოვლისშემძლე პრესა 219
დრონი მეფობენ 225
ხელისუფლება და პრესა 230

თავი VIII

ჟურნალისტური გამოძიება 235
პირველი საქმე 235
როგორ დავიწყოთ? 238
მოდი, გამოვიძიოთ... 244
როგორ მოვამზადოთ საგაზეთო მასალა
გამოძიების შედეგებზე 252
აქლემების მარულა 254

თავი IX

ეთიკა და ჟურნალისტიკა 268
ღორების რევოლუცია 268
ავტორიტარული და ჰუმანისტური ეთიკა 273
არაფერია მზის ქვეშ ახალი 281

თავი X

სამართალი და ჟურნალისტიკა 285
რა არის სამართალი? 287

თავი XI

თავისუფლება და ჟურნალისტიკა 299
ხეიბარი თავისუფლება 299
ჩემი მშვენიერი თავისუფლება 303
იგივეობათა ჯაჭვი 306
ჩემი ნება ხალხის ნებაა! 310
აღმსარებლობის თავისუფლება 311
ჟურნალისტიკა ჭაობში 314

თავი XII

პოლიტიკა და ჟურნალისტიკა 318
მარად ცოცხალი ლევიათანი 329
ჩვენ გადავთხარეთ! 336
საქართველოს რუსული პოლიტიკა და
ქართული ჟურნალისტიკა 341
მაკიაველის მორალით 349
უწესო თამაშები, ანუ პრესა, როგორც პოლიტიკური
მანიპულაციების ინსტრუმენტი 368
ძველი ახალი სამყარო 381
გინდათ, რომ გაქებდნენ? 381

თავი XIII

ენა და ჟურნალისტიკა 391
დამიმესიჯეთ თქვენი მხარდაჭერა 393
მეცნიერების ენა 397
სანამ სტიქია ჯებირს გაარღვევდეს 412
საოცარი წიგნი არა მხოლოდ ჟურნალისტიკაზე 421

სახელთა საძიებელი 423
შენიშვნები და განმარტებები 429
ბიბლიოგრაფია 446
სარჩევი 451